ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა

KORNELI KEKELIDZE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა

(გამოკვლევა, ტექსტები)

ავტორები:
მზია სურგულაძე (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი),
ნესტან ჩხიკვაძე, ლელა შათირიშვილი, მაია კარანაძე,
ნიკოლოზ ჟღენტი, ეთერ ედიშერაშვილი

თბილისი 2018

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის (N FR/396/1-10/14) ფარგლებში. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლებელია, არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებას.

რედაქტორი: მზია სურგულაძე

თარგმანი: თამარ ჟღენტი, მარია წერეთელი

დიზაინი და დაკაბადონება: გელა ბაბაკიშვილი

გარეკანზე: მიქაელ მოდრეკილის იადგარი, წმ. ბასილი კესარიელი და იოვანე მტბევარი.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

© ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღებით და მაგნიტურ მოწყობილებაზე ჩაწერით, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაწერილ იქნას საავტორო უფლებების მფლობელთა წინსწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

დაიბეჭდა: შპს პოლიგრაფში

ISBN 978-9941-9564-0-9

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
© ავტორთა ჯგუფი

თბილისი 2018

This Project has been made possible by financial support from the Foundation of Georgian Studies, Shota Rustaveli National Science (grant N FR/396/1-10/14). All ideas expressed herewith are those of the author and may not represent the opinion of the Foundation itself.

Edited by: Mzia Surguladze

Translated by: Tamar Zhghenti, Maria Tsereteli

Layout and Cover design: Gela Babakishvili

Cover: The Iadgari of Mikhael Modrekili. Snt. Basil of Kaesarea and Iovane Mtbevari.
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

© No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means electronic, mechanical, photocopying, recording or otherwise, without the prior permission of the publishers.

Printing Hause: ltd Polygraph

ISBN 978-9941-9564-0-9

© Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
© Authors

Tbilisi 2018

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

MANUSCRIPT HERITAGE OF TAO-KLARJETI

(Research, Texts)

Authors:
Mzia Surguladze (Research Manager), Nestan Chkhikvadze,
Maia Karanadze, Lela Shatirishvili, Nikoloz Zhghenti,
Ether Edisherashvili

Tbilisi 2018

რედაქტორისაგან

„ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა“ ეძღვნება იმ ხელნაწერების მიმოხილვას, რომლებიც შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე დაწინაურებული რეგიონიდან, ტაო-კლარჯეთიდან, შემორჩა. ესენია ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურის და საისტორიო მწერლობის ნიმუშები, სამოქალაქო და საეკლესიო სამართლებრივი დოკუმენტები. მთლიანად ეს მწიგნობრული მემკვიდრეობა ასახავს საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი რეგიონის მიერ განვლილ ისტორიულ გზას და იმ კულტურულ პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია მის აღმავლობა-დაცემასთან. დიდი კულტურული წინსვლა, რომელიც IX-X საუკუნეებში ამ მხარემ განიცადა, გამოხატულია არა მხოლოდ იმ საეკლესიო და საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრებით, რომელთა დიდებული ნაშთები დღემდე აღტაცების გრძნობას იწვევს მნახველში, არამედ ბრწყინვალე ხელნაწერებით და ლიტერატურული აზროვნების ნიმუშებით, რომლებიც ნათელს ჰფენენ იმდროინდელი ქართული საზოგადოების კულტურულ მისწრაფებებს.

ტაოკლარჯული ხელნაწერი წიგნები XIX საუკუნის მიწურულიდან იპყრობს ქართველი და უცხოელი მეცნიერების ყურადღებას. მათი ცალკეული ნიმუშების მეცნიერულმა შესწავლამ სრულიად კონკრეტული შედეგებით აჩვენა ქართული ქრისტიანული კულტურის ინტეგრირების მაღალი ხარისხი ქრისტიანული აღმოსავლეთის უძველეს კულტურის ცენტრებთან, ამავე დროს გამოავლინა ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელების ფართო მეცნიერული პერსპექტივა.

წარმოდგენილ ნაშრომში თავმოყრილია და განზოგადებული დღეისათვის არსებული ცოდნა ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობის შესახებ. განხილულია ეპოქის პოლიტიკური თუ სოციალური წანამძღვრები, რომლებმაც განაპირობეს ტაო-კლარჯეთში სპეციფიკური „ბერმონაზვნური“ კულტურის განვითარება.

ნაშრომის შინაარსობრივი სტრუქტურა გამიზნულია სხვადასხვა კატეგორიის მკითხველზე – როგორც დარგის სპეციალისტებზე, ასევე შუა საუკუნეების ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებულ ფართო მკითხველზე.

ავტორები დიდ მადლიერებას გამოხატავენ ხელნაწერთა საცავის მცველის, ნათია ხიზანიშვილის მიმართ, რომელმაც სრულად შეადგინა ტაოკლარჯული ხელნაწერების კატალოგი და ნაშრომის საძიებო აპარატი. ასევე, მადლობას უძღვნიან ფილოლოგებს, ნინო მელიქიშვილს და თამარ ოთხმეზურს, ხელოვნებათმცოდნე მზია ჯანჯალიას, რომლებიც ხელნაწერში გაეცნენ ნაშრომის ცალკეულ ნაწილებს და საყურადღებო რჩევებით დახმარება გაუწიეს მის საბოლოო დახვეწას.

EDITOR'S PREFACE

„Manuscript Heritage of Tao-Klarjeti" is dedicated to review of that manuscripts, which have been preserved from the most advanced region of the medieval Georgia – Tao-Klarjeti. These are monuments of ancient Georgian crurch literature and historical writings, civil and church legal documents. In total this literary heritage reflects the historical road passed by this most important region of Georgia and the cultural processes, connected with rise and fall of this region. Great cultural advance, which this region experienced in IX-X centuries, is expressed not only by church and fortification architecture, grand remnants of which even today cause admiration of onlookers, but also by brilliant manuscripts and samples of literary thinking, which highlight cultural aspirations of the then Georgian society.

Tao-Klarjeti manuscript bools attract attention of Georgian and foreign scholars from the end of XIX century. Scientific study of their separate samples showed with quite concrete results a high level of integration of the Georgian Christian culture with the oldest cultural centers of Christian East, at the same time revealed a wide scientific perspective to continue the studies in this direction.

The present work gathers and generalizes knowledge existing today in regard to Tao-Klarjeti literary heritage. Here are discussed political and social considerations of the epoch, which caused developoment of specific „monastic" culture in Tao-Klarjeti.

The content structure of the present work is designated for readers of various categories, both for the specialists and a wide circle of readers interested in the issues of medieval Georgian culture.

The authors would like to express deep gratitude to Natia Khizanishvili, guard of the manuscript repository of the NCM, who compiled a full catalogue of Tao-Klarjeti manuscripts and indices of the present work, also their colleagues: philologists Nino Melikishvili and Thamar Otkhmezuri, art historian Mzia Janjalia, who largely contributed to the authors with their wise recommendations.

შესავალი

საქართველოს ისტორიული მხარე, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად ტაო-კლარჯეთს უწოდებენ, სინამდვილეში გულისხმობს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიას, რომელიც XVI საუკუნის მიწურულიდან ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ამ მხარის მოხილვისა და აღწერის შესაძლებლობა ქართველ და უცხოელ მკვლევარებს პირველად XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მიეცათ (დ. ბაქრაძე, გ, ყაზბეგი, პ. უვაროვა, ა. პავლინოვი). მეცნიერებისათვის სრულიად განსაკუთრებული ღირებულების მქონე აღმოჩნდა XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის თაოსნობით მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების შედეგები - დღიურები, გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული დაკვირვებები, რომლებიც მდიდარ ფოტომასალასთან, ხუროთმოძღვრული და ეპიგრაფიკული ძეგლების მონახაზებთან ერთად, ხშირ შემთხვევაში, პირველწყაროს მნიშვნელობას იძენენ[1]. სწორედ ამ მასალაზე დაყრდნობით, იმ პირობებშიც კი, როდესაც ქართველ მეცნიერებს არ შეეძლოთ ტაო-კლარჯეთის ძეგლების ადგილზე მონახულება, გასულ საუკუნეში მაინც მნიშვნელოვანი დასკვნები იქნა გამოტანილი ტაოკლარჯული ხუროთმოძღვრული ფორმების ზეგავლენის შესახებ საქართველოს დანარჩენი რეგიონების ძეგლებზე[2]. ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიური ასპექტები გამოკვლეულია უცხოელ მკვლევართა შრომებში[3]. განსაკუთრებული მასშტაბი მიიღო ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეცნიერულმა შესწავლამ ბოლო ათეულ წლებში. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ქართველი, ევროპელი და თურქი მეცნიერები: ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ისტორიის მკვლევარნი, ისტორიკოსები, ფილოლოგები, ენათმეცნიერები, ეთნოლოგები. მათი კვლევები აისახა ცალკეულ სტატიებში, თემატურ კრებულებსა თუ ტაო-კლარჯეთისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში[4].

მაგრამ ტაო-კლარჯეთის ისტორიული როლის შეფასება შუა საუკუნეების ქართული კულტურის განვითარების საქმეში შეუძლებელია ტაოკლარჯული მწიგნობრული მემკვიდრეობის გათვალისწინების გარეშე. იგი ასახავს ქართულენოვანი ქრისტიანული მწერლობის ფორმირე-

---

[1] Н.Марр, Дневник поездки в Щавшию и в Кларджию; წიგნში: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, С.-Петербург, 1911. ე. თაყაიშვილის მიერ სამხრეთ საქართველოში ჩატარებული ორი არქეოლოგიური ექსპედიციის - 1907 და 1917 წლების მასალებისათვის იხ. ახალი გამოცემა: ე. თაყაიშვილი, თხზულებანი, I, თბილისი, 2016.

[2] გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, ტფილისი, 1936; В. Беридзе, Архитектуара Тао-Кларджети, Тбилиси, 1981; П. Закарая, Зодчество Тао-Кларджети, Тбилиси, 1990.

[3] მრავალთაგან დავასახელებთ მხოლოდ ვ. ჯობაძის ნაშრომს: V. Djobadze, Georgian Monasteries Tao, Klardjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992. ნაშრომის ქართული თარგმანი: ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბილისი, 2006. ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის უცხოელი მკვლევარების შესახებ სრული ბიბლიოგრაფია იხ. წიგნში: დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2005.

[4] 2010-2017 წლების ფარგლებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით მოეწყო ხუთი საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“. იხ. 2010-2016 წწ-ის კონფერენცათა თეზისები. აგრეთვე, გამოიცა ვრცელი კატალოგი: „ტაო-კლარჯეთი. ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები“ 2017 წ. სამეცნიერო ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი ბ. კუდავა. კატალოგს ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია გვ. 529-591.

ბის უმნიშვნელოვანეს ეტაპს, რომლის განვითარების ისტორიულმა ლოგიკამ მოამწიფა მწერლობის უფრო მაღალ საფუხურზე (ათონის სალიტერატურო სკოლა) გადასვლის აუცილებლობა. ამ მემკვიდრეობის მატერიალური გამოხატულებაა ტაო-კლარჯეთში შექმნილი ხელნაწერი წიგნები, რომელთა აღმოჩენა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გადარჩენა დაკავშირებულია იმ დიდ სამუზეუმო მოძრაობასთან, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა თაოსნობით თითქმის მთელი საქართველო მოიცვა[5]. ამ პერიოდშივე ტაოკლარჯული წარმომავლობის უძვირფასეს ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა ბიბლიის წიგნები, ლიტურგიკული, პატრისტიკული და სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულების კრებულები, ეროვნული ისტორიოგრაფიის უძველესი ძეგლის „მოქცევაი ქართლისაჲს“ ე. წ, შატბერდული ნუსხა, რომლის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ე. თაყაიშვილს[6].

ამ ცოდნამ კიდევ მეტი სიცხადე შეიძინა მას შემდეგ, რაც ნ. მარმა გამოაქვეყნა გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებთან ერთად. ამ მრავალპლანიანი ნაწარმოების გაცნობამ მეცნიერების წინაშე მკაფიოდ წარმოაჩინა ტაო-კლარჯეთის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში და კვლევის სრულიად ახალი პერსპექტივები დასახა. პარადოქსული ფაქტია, რომ ტაოკლარჯული ხელნაწერებით არ შემონახულა არც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“[7], არც ამ მხარეში შექმნილი ორიგინალური აგიოგრაფიის ისეთი მნიშვნელოვანი ტექსტები, როგორებიცაა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და „გობრონის წამება“. ეს უკანასკნელები მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებით (A-69, A-139) გახდა ცნობილი.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ტაოკლარჯული მწერლობის ძეგლები შეისწავლებოდა, როგორც წყარო საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიისათვის, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიული ეტაპის ამსახველი ძეგლები. ამ თვალსაზრისით ფუნდამეტური გამოკვლევები მიეძღვნა ტაოკლარჯული წარმომავლობის აგიოგრაფიულ და პოლემიკურ მწერლობას[8], ჰიმნოგრაფიულ კრებულებს[9], ბიბლიის წიგნებს[10], რომლებმაც მალე-

---

[5] მხედველობაში გვაქვს წერა-კითხვის საზოგადოების (1879), საეკლესიო მუზეუმის (1888) და საქართველოს საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოების (1907) მიერ შეკრებილი ქართულ ხელნაწერთა კოლექციები, რომლებიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

[6] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფილისი, 1890.

[7] „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ 1845 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში (Jer.2) მიაკვლია ნ. ჩუბინიშვილმა, ხოლო ცნობა მის შესახებ ქართულ პრესაში პირველად გამოჩნდა მხოლოდ 1889 წელს. 1902 წელს ნ. მარმა, რომელიც რუსეთის პალესტინური საზოგადოების მივლინებით მუშაობდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, „ცხოვრების“ ტექსტი ადგილზე შეისწავლა და გამოსაცემად მოამზადა. იხ. ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955.

[8] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბილისი, 1974, გვ.92-141; . კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1980, გვ.გვ.134-162, 170-178.

[9] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954; მისივე, ძველი ქართული პოეზია, თხზულებანი, 3, თბილისი, 1963.

[10] ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. სერია: ძველი ქართული ენის ძეგლები, 2. თბილისი, 1945; მისივე: წიგნნი ძუელისა აღღოქმისანი, ნაკვ. I-II, თბილისი, 1947-1948; ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ოთხთავის ბერძნიზმები, ენიმკის მოამბე, IV,თბილისი, 1944; ივ. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად, თსუ შრომები, 28, თბილისი, 1946; ე. დოჩანაშვილი, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.32, თბილისი, 1955.

ვე დაიმსახურეს უცხოელ მკვლევართა დიდი ყურადღება[11].

ტაოკლარჯული სამწიგნობრო ტრადიციის სიღრმისეულ და სისტემურ კვლევას 1959 წლიდან ხელი შეუწყო კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ხელნაწერთა აღწერილობებისა და ტექსტების კრიტიკული გამოცემებისათის შემუშავებულმა მაღალმა სამეცნიერო სტანდარტმა, რომლის საფუძველზე მკვლევარებს შესაძლებლობა მიეცათ ინფორმაცია მიეღოთ არა მხოლოდ ხელნაწერი წიგნების არქეოგრაფიულ და ტექსტოლოგიურ მონაცემებზე, არამედ მათში შემავალ თხზულებათა ჟანრობრივ რაგვარობასა და თემატურ შედგენილობაზე.

ამ პერიოდიდან კვლავ დიდი ყურადღება ექცეოდა ტაო-კლარჯეთში გადაწერილი ბიბლიის წიგნების – ძველი აღთქმის ცალკეული ნაწილების, ოთხთავების, ფსალმუნთა ტექსტების პუბლიკაციებსა და მათ შესწავლას ტექსტოლოგიური და ლინგვისტური მიმართულებებით[12]. ამავე პერიოდიდან რეგულარულად ქვეყნდებოდა ტაოკლარჯული ლიტურგიკული და სასწავლო დანიშნულების კრებულები[13], საგანგებო კვლევები მიეძღვნა ტაოკლარჯულ კრებულებში დადასტურებულ ისეთი სპეციფიკური ჟანრის თხზულებებს, როგორებიცაა აპოკრიფული თხრობები[14].

ტაოკლარჯული მწიგნობრული მემკვიდრეობის კვლევის პროცესში იმთავითვე გამოვლინდა არქაული, ადრებიზანტიური რედაქციის თარგმანები, რომლებმაც უცხოელი ბიზანტინოლოგებისა და ორიენტალისტების დიდი დაინტერესება გამოიწვია. მათი სპეციალური გამოკვლევები, გარდა ტაოკლარჯული ბიბლიის წიგნებისა, ეძღვნება კრებულების ტიპოლოგიის, თარგმანის, ჟანრების (აგიოგრაფია, ჰომილეტიკა, აპოკრიფი, ეგზეგეტიკა) და სხვ. საკითხებს[15].

პარალელურად მუშავდებოდა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიის საკითხები, რომლებმაც მკაფიოდ აჩვენა როგორც საკუთრივ ტაოკლარჯული სამწიგნობრო კერების მწიგნობრული და ლიტერატურული საქმიანობა, ასევე მათი კულტურუ-

---

[11] R. P. Blake, The Old Georgian version of the Cospel of Mark, From the Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet Gospels, edited with a Latin translation by Robert P. Blake, Patrologia Orientalis, t. XX, fasc 3. Paris. 1928; მისივე: The Old Georgian version of the Cospel of Matthew, From the Adysh Gospels, Patrologia Orientalis, t. XXIV: fasc 1, 1933; მისივე, მ. ბრიერის მონაწილეობით: La Version géorgienne ancienne de l'Evangile de Luk, d'après les évangiles d'Adysh avec les variantes des évangiles d'Opiza et de Tbet. Ed. Avec une trad. Latin par Maurice Brière. Patrologia Orientallis.t.XXVII, fasc.3; Paris ,1955.

[12] ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მ. შანიძემ, თბილისი, 1960; Molitor J. Synopsis latina Evangeliorum ibericorum antiquissimorum secundum Mattaeum, Marcum, Lucum. Desumptae codicibus Adiysh, Opiza, Tbeth. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, t.24, Louvain, 1965; ადიშის ოთხთავი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს: ე. გიუნაშვილმა, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", თბილისი, 2003.

[13] შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი, 1979; კლარჯული მრავალთავი, ტესტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1991.

[14] N. Tchikvadze, Une traduction georgienne d'un original perdu: L'histoire de l'eglise de Lydda. Appocriphe, 1997,8. Brepols. p. 171-179; ნ. ჩხიკვაძე, იოსებ არიმათიელის ავტორობით ცნობილი ლუდიის ეკლესიის დაარსების აპოკრიფი: ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, მეცნიერება, 1997, გვ. 60-66; მისივე, აპოკრიფი-დაფარული საიდუმლო, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XXI, თბილისი, 2005, გვ. 80-87.

[15] M. Briere, L. Maries, B. Ch. Mercier, Hippoliyte de Rome. Sur les benedictions d'Isaac, de Jacob et de Moise... par M. Briere, L. Maries, B. Ch. Mercier. Patrologia Orientalis. T.XXVII, favt. 1-2, Paris 1954; Esbroeck M. van, Les plus anciens homeliaires georgiens. Louvin-La-Neuve, 1975; Voicu S.J. Histoire de l'enfance de Jesus, Introduction: Écrits apocryphes chretiens,I, Édition publié sous la direction de Francois Bovon et Pierre Geolrain, index etablis par Sever J. Voicu, Gallimard, 1997, p. 191-193.

ლი კონტაქტების მნიშვნელობა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის სამწიგნობრო კერებთან[16].

ტაოკლარჯული ხელნაწერების შინაარსობრივ სტრუქტურასთან ერთად მნიშვნელოვანია მათი მხატვრულ-ესთეტიკური სახე, რომელიც თანადროული სოციოკულტურული გარემოს ერთგვარ ანაბეჭდს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ტაოკლარჯული მწიგნობრული მემკვიდრეობის კვლევისას მეცნიერთა ყურადღების ფოკუსში მოექცა თავად ტაოკლარჯული კოდექსი, როგორც კულტურის ფენომენი – მისი დამზადების ტექნიკა, კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული თავისებურებები, მხატვრული გაფორმების წესები[17]. ამ თვალსაზრისით ტაოკლარჯული ხელნაწერი წიგნი სრულად ეხმიანება ტაო-კლარჯეთის სამთავროს კულტურული განვითარების აღმავალ ხაზს, რომელშიც პარადოქსულად ერწყმის ერთმანეთს ბიზანტიასთან ღია თუ ფარული დაპირისპირება და იმპერიული კულტურის ათვისების მზარდი მოთხოვნილება.

მიუხედავად გასულ საუკუნეში ჩატარებული რთული და სკრუპულოზური მეცნიერული კვლევებისა, ტაოკლარჯული ხელნაწერების შესწავლა ჯერ კიდევ შორსაა დასრულებისაგან. მისდამი ინტერესს განაპირობებს, უპირველესად, ტაოკლარჯული ხელნაწერების მდიდარი ლიტერატურული მასალა; ამავე დროს ახალი ცოდნის დაგროვება იმ პოლიტიკური კონტექსტის შესახებ, რომელიც ასაზრდოებდა ტაო-კლარჯეთის კულტურულ წინსვლას; ეპოქის პოლიტიკური თუ სოციალური წარმოდგენები, რომლებმაც განაპირობეს ტაო-კლარჯეთში სპეციფიკური „ბერმონაზვნური კულტურის“ განვითარება. დაბოლოს, ტაოკლარჯული ხელნაწერის კიდევ ერთი ასპექტის – მისი სიმბოლური არსის განსაზღვრა რეგიონის ფეოდალური არისტოკრატიის კულტურაში. ყოველივე ამის გამო მკვლევართა ყოველი ახალი თაობა ისევ უბრუნდება ტაოკლარჯული მწიგნობრული მემკვიდრეობის პრობლემატიკას. რიგ შემთხვევებში, ხდება უკვე ძველად მიღებული დასკვნების გადასინჯვა, პრობლემური საკითხების ახლებური გააზრება და არგუმენტირება.

კულტურული წინსვლის თვალსაზრისით, ტაო-კლარჯეთისათვის ყველაზე ნაყოფიერი იყო IX-XI საუკუნეები, ამიტომ, ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ პერიოდის ლიტერატურულ პროდუქციას ეძღვნება, მაგრამ, ამასთანავე, ნაშრომში უყურადღებოდ არაა დატოვებული მომდევნო საუკუნეებში (XVII საუკუნემდე), უკვე სამცხე-საათაბაგოს სამთავროდან შემორჩენილი მწიგნობრული მემკვიდრეობა, რომელიც ვერც შემოქმედებითი იმპულსებით, ვერც შედგენილობით და ვერც გარეგნული იერსახით ვერ შეედრება ადრინდელს, მაგრამ ამ საუკუნეების ხელნაწერები (სამართლებრივი ძეგლები, მოსახსენებლები და სააღაპე ჩანაწერები, ისტორიული მინაწერები და ქრონიკები) შესანიშნავ ცნობებს შეიცავს ამ მხარის პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და პოლიტიკური პროცესების კვლევისათის.

ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობის ერთიანობაში გაცნობა მკითხველს დაეხმარება საქართველოს ამ ისტორიული რეგიონის წარსულის უკეთ შეცნობაში, იმ ცივილიზაციური ფაქტორების გააზრებაში, რომლებმაც განსაზღვრეს მისი როგორც კულტურული აღმავლობა, ისე დაცემა.

---

[16] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ.97; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები I, ნაკვ. მეორე,თბილისი, 1962; ელ. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 1996.

[17] Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX-X столетий, Тбилиси, 1979.

ტაო-კლარჯეთი

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ტაო-კლარჯეთი ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მტკვრის დინების ზემო წელზე მდებარე დიდ მხარეს მოიცავდა. ვახუშტის თანახმად, მას „ზემო ქართლი“ ეწოდებოდა[1]. ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ქართული და ბიზანტიური წყაროები ამ ტერიტორიას იბერიის, ქართლის, „ქართველთა სამეფოს“, ან „აღმოსავლეთის საკურაპალატოს“ სახელით მოიხსენიებენ. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით, „ზემო ქართლი“ ორ მსხვილ ტერიტორიულ ერთეულს მოიცავდა – ოძრახოსის და ჯავახოსის წილ ქვეყნებს[2]. ოძრახოსის წილში შედიოდა „ტაშისკარითგან და ფანავრითგან“ დასავლეთით მდებარე მიწები: სამცხე, გურია, ნიგალი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო. ხოლო ჯავახოსის წილში – ფანავრის ტბის დასავლეთი მხარე და მტკვრის აღმოსავლეთი სანაპირო მის სათავეებამდე – საკუთრივ ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი და კოლა. ფარნავაზის (ძ.წ. IV ს-ის მიწურული) დროიდან გვიანანტიკური პერიოდის ჩათვლით, ეს პროვინციები სამ საერისთავო ქვეყანაში (სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქში) ნაწილდებოდა. ესენი იყო: წუნდა, ოძრხე და კლარჯეთი[3].

ამ მხარის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ იმთავითვე განსაზღვრა ტაო-კლარჯეთის ისტორიული ბედი. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მას უშუალოდ ესაზღვრებოდნენ: აქამენიდური ირანი, სელევკიდთა სამეფო, დიდი სომხეთი, რომისა და ბიზანტიის იმპერიები, არაბული საემიროები, თურქ-სელჩუკები, დაბოლოს – ოსმალთა იმპერია, რომელმაც, XVI საუკუნის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ დაიპყრო იგი.

მტრული გარემოცვის გამო ტაო-კლარჯეთის პოლიტიკური საზღვრები საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ შცვლილა. სტრაბონის ცნობით, ძვ.წ. II საუკუნეში, სომეხთა მეფის, არტაშეს I-ის (189-161) დროს არმენია დიდად გაფართოებულა მეზობელი ქვეყნების, მათ შორის იბერიის ხარჯზე. ამ უკანასკნელისათვის მას ჩამოუჭრია პარიადრის კალთები, ხორზენე და გოგარენე[4]. ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობაში იგულისხმება პარხლის/პონტოს ქედი, რომელიც საზღვრავდა შუა საუკუნეების ქართული წყაროებით კარგად ცნობილ სპერს, ტაოსა და ბასიანს; ხორზენე (ბერძნ. ავტორების ხოტენე) ევფრატის სათავესა და ჭოროხის შუა წელს შუა მოქცეული ტერიტორიაა – ისტორიული კოლა; ხოლო გოგარენე – ესაა ქვემო ქართლი, ტერიტორია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ჯავახეთიდან მოყოლებული, ბერდუჯის გაყოლებით, თაუზის შესართავამდე, იგივე ისტორიული წყაროების ხუნანი[5]. ამ ტერიტორიის მმართველს, თანახმად სომხური ადმინისტრაციული მოწყობისა, ეწოდებოდა პიტიახში, სახელწოდება, რომელიც ტრადიციულად შემორჩა შემდგომი დროის ქვემო ქართლის

---

[1] ვახუშტი, გვ. 656.

[2] ქართლის ცხოვრება I, გვ.9

[3] იქვე, გვ.გვ. 24,185.

[4] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 189, კომენტარი გვ. 290.

[5] ზ. აბაშიძე, ვ, ვაშაკიძე,ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი, ყოველი საქართველო, გვ. 47-48.

მმართველებს. ამ დროიდან ივარაუდება ტაო-კლარჯეთსა და ქვემო ქართლში სომხური მოსახლეობის პირველი მიგრაციული ნაკადების შემოსვლა. ამავე პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უკიდურესი დასავლეთი ნაწილი – კლარჯეთი, შავშეთი და აჭარა (სტრაბონისეული მოსხიკეს ქვეყანა) – მტკვრის ზემო დინება და ჭოროხის აუზი ეგრისის სამეფოს დაუკავებია[6]. ქართლის სამეფოს ფარგლებში რჩებოდა არტაანი, ჯავახეთი და სამცხე. ძვ. წ. I საუკუნეში, „მითრიდატეს ომების" დასრულების შემდეგ, პომპეუსის ლაშქრობათა შედეგად, ქართლის სამეფო რომის პოლიტიკურ ორბიტაში მოექცა. იმჟამინდელმა ქართლის მეფე არტაგმა „რომაელთა მეგობრისა და მოკავშირის" სტატუსი მიიღო[7]. უკვე ძველი და ახალი წელთაღრიცხვების ზღვარზე ქართლმა მოხერხებულად გამოიყენა რომისა და პართიის დაპირისპირება და მეზობელ სახელმწიფოთა მიერ მიტაცებული მიწა-წყალი დაიბრუნა[8]. I-II საუკუნეებში ქართლის მეფე ფარსმან II-მ თავისი გაბედული პოლიტიკის წყალობით ტაო-კლარჯეთის საზღვრები ზღვამდე განავრცო და რომისაგან შესაბამისი აღიარებაც მოიპოვა[9], მაგრამ სპერი და ტაო დიდ სომხეთში დარჩა. ამ საზღვრებში რჩებოდა ტაო-კლარჯეთის მხარე ქართლის გაქრისტიანების საუკუნეშიც (ამ საუკუნის ბოლო მესამედამდე). წყაროთა ცნობით, დაახლოებით 326 წლის სიახლოვეს რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ გამოგზავნილი მღვდლები სწორედ ტაო-კლარჯეთის მხრიდან – ერუშეთ-წუნდა-მანგლისის გამოვლით ჩადიან მცხეთაში და გზადაგზა ეკლესიებს აფუძნებენ[10]. 372/373 წელს სასანურ ირანსა და რომს შორის დადებული ზავის შედეგად ქართლის სამეფო მტკვრის დინების გაყოლებაზე ორად გაიყო, რის შედეგადაც „დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი" ზღვიდან არსიანის მთებამდე[11] და ადმინისტრაციულად ეგრისს შეუერთეს[12]. ამავე ხანებში, 387 წელს, სასანიანთა და რომაელთა შორის სომხეთის გაყოფისას, დასავლეთ სომხეთის დაახლოებით ერთი მეხუთედი, რომელშიც ტაოც შედიოდა, რომს მიეკუთვნა. სომხური წყაროების მოწმობით, ტაო IV-V საუკუნეებში მამიკონიანთა საგვარეულო სამფლობელოს წარმოადგენდა[13]. ასეთი ვითარება რჩებოდა V საუკუნის ბოლო ათეულ წლებამდე, როცა ვახტანგ გორგასალმა ბიზანტიის თანხმობით კლარჯეთი ქართლის საზღვრებში დააბრუნა[14]. ამ მხარეში ვახტანგმა ციხესიმაგრეები და საეპისკოპოსოები დააფუძნა: არტანუჯი, ახიზა, არტაანი, წუნდა[15]. „ზემო ქართლის" ფარგლებში პერიოდულად აჭარაც შემოდიოდა. მაგ., ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლის" ქართული ვერსიის მიხედვით, იგი იბერიის სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული[16]. IV საუკუნის 60-იან წლებში,

[6] ზ. აბაშიძე, ვ, ვაშაკიძე,ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი, ყოველი საქართველო, გვ. 49.

[7] გ. მელიქიშვილი, საქართველო ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებში, გვ. 505.

[8] იქვე, გვ. 510.

[9] იქვე, გვ. 523-530.

[10] ქართლის ცხოვრება I, გვ. 117-118.

[11] იქვე, გვ.137.

[12] დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 100.

[13] ე. ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, გვ. 84.

[14] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 177.

[15] იქვე, გვ. 198.

[16] დ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 249.

ირანისა და რომის ზავის შედეგად, აჭარა უკვე ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში გადასულა. ვარაუდობენ, რომ ვახტანგ გორგასლის მმართველობის დროს აჭარა ერთხანს ისევ ქართლის საზღვრებში ბრუნდება (როგორც ჩანს, კლარჯეთთან ერთად)[17], მაგრამ VI საუკუნის „დიდი ომიანობის“ დასრულების შემდეგ იგი კვლავ ეგრისის საზღვრებში ექცევა.

ბაგრატიონები და ტაო-კლარჯეთი

ვახტანგ გორგასლის მემკვიდრეებს შორის სამეფო მიწა-წყალი, მათ შორის, ზემო ქართლი, ორად განაწილდა: ჯავახეთის ნაწილი – ფარავნიდან წუნდამდე ვახტანგის უფროს ძეს, ქართლის მეფეს (დაჩი) ერგო, დანარჩენი – ჯავახეთი, არტაანი და კოლა – დაჩის ნახევარძმას (ვახტანგ გორგასლის ბერძენი ცოლისაგან ნაშობს), მირდატს. მირდატს ეკუთვნოდა აგრეთვე დედის ნამზითვი მიწა-წყალი ეგრისში – კლისურასა და ეგრისწყალს შუა მდებარე ტერიტორია[18]. შემდგომში მირდატმა[19] დაჩის გაუცვალა ზღვისპირეთში მდებარე დედის ნამზითვი მიწები ჯავახეთის წილზე (ფარავნიდან წუნდამდე). ასე გაერთიანდა ზემო ქართლი: კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ჯავახთის დანარჩენი ნაწილიც „ფანავრიდან წუნდამდე“[20], ვახტანგის უმცროსი მემკვიდრის, მირდატის ხელში, რომელიც თავისი სტატუსით ამ მხარის ერისთავთა მთავრად ითვლებოდა: „...და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთვთა მთავრად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩისა“[21]. მირდატი უძეოდ გარდაიცვალა, ამიტომ მისი მიწა-წყალი უკვე მირდატის დისწულების, ანუ ვახტანგ გორგასლის შვილიშვილების ხელში გადავიდა. სწორედ ეს დისწულები უნდა ყოფილიყვნენ ის პირველი ბაგრატიონები, რომელთა შთამომავალი გუარამი, ჯუანშერისა და სუმბატ დავითის ძის თანახმად, VI საუკუნის 70-იანი თუ 80-იანი წლების დამდეგს ბიზანტიამ ქართლის ერისმთავრად დასვა მცხეთაში[22] (თბილისში ამ დროს სპარსეთის მოხელე მარზპანის რეზიდენციაა). გუარამმა ააგო მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია, ხოლო მისმა მემკვიდრემ, სტეფანოზ I-მა (იგი უკვე თბილისში იჯდა) წამოიწყო მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა, რომელიც მისმა მემკვიდრეებმა განასრულეს[23]. სტეფანოზ I-ის ძის, ადარნასეს ერისმთავრობის დროს მოხდა დიდი განხეთქილება ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის[24]. 614 წელს, როდესაც სპარსეთ-ბიზანტიის დიდი ომის პირველი ფაზა სპარსთა უპირატესობით დასრულდა, ადარნასე ბაგრატიონი კარგავს ერისმთავრობას და კახეთში გადადის, მაგრამ 628 წელს გამარჯვებული ჰერაკლე კეისარი მას კვლავ უბრუნებს თანამდებობას[25].

---

[17] დ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 249.

[18] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 177.

[19] თ. ბერაძისა და მ. სანაძის შეხედულებით, ეს გაცვლა უნდა შემდგარიყო ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული „უვადო ზავის“ პირობების გათვალისწინებით. იხ. მ. სანაძე, ქართველთა ცხოვრება, III, გვ. 352.

[20] ქართლის ცხოვრება I, გვ. 205.

[21] იქვე, გვ. 204-205.

[22] იქვე, გვ.გვ. 217, 374.

[23] მცხეთის ჯვრის წარწერებისათვის იხ. ლაპიდარული წარწერები, I, გვ.157-165.

[24] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 175.

[25] ქართლის ცხოვრება, I, გვ.228.

სწორედ ამ ადარნასე სტეფანოზის ძეს გულისხმობს ახალი სინური კოლექციის ხელნაწერის (Sin-50) მოსახსენებელი, რომელიც შემდეგს გვაუწყებს ტაო-კლარჯეთის მმართველ ბაგრატიონთა შესახებ: „ოდეს გარდაიცვალა კურთხეული და დიდებული მამფალი ადარნასე, ძ(ᲗᲔ) სტეფანოზისი, ძმისწული დემეტრისი, ძისწული დიდისა გუარამისი, და მეოცე წელსა გარდაიცვალა კურთხეული მეუღლე მისი გუარამავრი, დეკენბერსა 2-ს, და თთუესა იანვარსა 20-ს გარდაიცვალა კურთხეული დედოფალი ლატავრი, ასული სტეფანოზისი, დაჲ ადარნასᲔᲗᲘსი, დედაჲ ბაგრატუნიანისაჲ და კუროპალატიანისაჲ, და დაეფლა ჯუარს, მარიამ-წმიდას ძით და ასულის წულითურთ[26]“. სინური მოსახსენებლის ამ უაღრესად სანდო, დოკუმენტური სიზუსტის ცნობამ მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა ქართველ ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ არსებულ წარმოდგენებში. ქართველი ისტორიკოსები იზიარებდნენ ე. თაყაიშვილის მოსაზრებას, რომელიც ემყარება XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, ვარდან არეველცის, ცნობას, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების უშუალოდ სომეხ ბაგრატუნთაგან (აშოტ II ბრმის (732-750) უმცროსი შვილის, ვასაკის და შვილიშვილის, ადარნასეს ხაზი) მომდინარეობის შესახებ[27]. ადარნასეს კარგად იცნობენ „ქართლის ცხოვრების“ ავტორები, მაგრამ მის ურთიერთობას ადგილობრივ ბაგრატიონებთან განსხვავებულად წარმოგვიდგენენ, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.

სპარსეთის განადგურების შემდეგ ჰერაკლე კეისარმა „კლარჯეთის ზღვისპირი“ – ნიგალისა და მურღულის თემები ჭოროხის ქვემო დინებაზე და თუხარისის ქვეყანა ქართლს ჩამოაჭრა და უშუალოდ შეუერთა ბიზანტიას[28]. ჰერაკლეს შემდეგ კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე დიდი ცვლილებები გამოიწვია არაბთა გამოჩენამ. ქართლში არაბები შემოვიდნენ ადარნასეს მემკვიდრის, სტეფანოზ II-ის დროს, VII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში. სტეფანოზმა უთანასწორო ბრძოლას თავი აარიდა და არაბთა სარდლის, ჰაბიბ იბნ მასლამასაგან თბილისისა და მისი შემოგარენის (არმაზ-მანგლისი) დაცვის სიგელი მიიღო[29]. როგორც ჩანს, არაბებმა სხვა რეგიონებიც, მათ შორის ტაო-კლარჯეთის მხარეც, დალაშქრეს, რასაც მოწმობს ერთ-ერთ დაცვის სიგელში შეტანილი სახელწოდებები: კლარჯეთი, შავშეთი, არტაანი, სამცხე და ჯავახეთი[30]. როგორც ცნობილია, სახალიფოში დაწყებული შინაური არეულობის გამო (656) არაბები კავკასიას ერთ ხანს გაეცალნენ, მაგრამ VII საუკუნის 70-იან წლებში მყარად დაბრუნდნენ. ამ დროს უკავშირდება „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომლის მიხედვითაც ქართლის ერისმთავრობა ადარნასე ბაკურის ძემ, ანუ ვახტანგ გორგასლის უფროსმა შტომ, დაიბრუნა, ხოლო ძველი ერისმთავრები (ბაგრატიონები) კარგავენ ერისმთავარობას და თავიანთ მამულში, კლარჯეთში, ბრუნდებიან[31], რომელიც ამ დროს ისევ ბიზანტიის პროტექტორატს წარმოადგენდა.

განსაკუთრებით დამძიმდა არაბთა ბატონობა VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან. გამანადგურებელი შედეგები ჰქონდა საქართველოსათვის 736-737 წლებში მურვან ყრუს ლაშქრობას. ამ დროს აოხრებულა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოც, რის შესახებაც არა ერთი ქართული

---

[26] ზ. ალექსიძე, უძველესი ცნობა ბაგრატიონთა დინასტიის შესახებ, გვ. 121.

[27] ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, გვ.107.

[28] ქართლის ცხოვრება, I, გვ.226.

[29] ა.ბოგვერაძე, არაბი დამპყრობლები და ბრძოლა მათ წინააღმდეგ VII -VIII საუკუნეებში, გვ. 286.

[30] ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, არაბული დაცვის სიგელები, გვ. 175.

[31] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 226.

წყარო იუწყება[32].

VIII საუკუნის პოლიტიკურმა მოვლენებმა განაპირობა აღმოსავლეთ საქართველოდან მოსახლეობის დიდი ნაკადების დაძვრა დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებებით, სადაც ბიზანტიის სუსტი, მაგრამ მაინც უფრო საიმედო მფარველობის ქვეშ შედარებით სტაბილური ვითარება იყო. სომხურ წყაროებს შემოუნახვთ ცნობები, რომ VII-VIII საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თავს აფარებენ არაბთაგან შევიწროებული ნახარარებიც და ზოგჯერ ბიზანტიელი სარდლებიც (სებეოსი, ღევონდი, იოანე დრასხანაკერტელი)[33]. მურვან ყრუს გამოქცევია სომხეთიდან სომხეთის ერისთავი, ადარნასე ბაგრატუნის მამა (ვასაკი) და თავი შეუფარებია კლარჯეთის ბაგრატიონების სახლისათვის[34]. აქ იგი, როგორც წარმომავლობით გათანაბრებული ღირსების მქონე გვარის წარმომადგენელი, „დამზახებია“ (ჩასიძებია) ქართველ ბაგრატიონებს („ნათესავთაგან დავით წინასწარმეტყველისა“). ამ ქორწინებიდან შობილა ადარნასე, რომელსაც ჯუანშერი იცნობს, ხოლო ადარნასეს შვილია აშოტ I კურაპალატი[35], კლარჯი ბაგრატიონების სამართალმემკვიდრე და ტაო-კლარჯეთის სამთავროს დამაარსებელი. მხოლოდ ამ ქორწინების შედეგად შეეძლო მიეღო ადარნასე ბაგრატიონს ის ქართული პროვინციები, რომლებიც ვახტანგ გორგასლის დროიდან ჰქონდათ მის შთამომავლებს: „არამედ სიცოცხლესავე ჯუანშერისსა იცვალა ადარნასე ბაგრატონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა, და ციხეთგანცა, რომელნი ჰქონდეს შვილიშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა[36]“. ამავე ქორწინებამ გაუხსნა ლეგიტიმური გზა ადარნასეს შვილს, აშოტ (I) კურაპალატს ქართლის ერისმთავრის თანამდებობისაკენ.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო

VIII საუკუნის ბოლო ათეულ წლებში არაბთა გაძლიერებული ექსპანსიის (თბილისში საამიროს დაარსება, ქართლის მმართველი დინასტიის განადგურება) პირობებში დაიწყო ისტორიული ქართლის სამეფოს ერთიანი ტერიტორიის დაშლა ცალკეულ სამთავროებად. ტაო-კლარჯეთის სამთვროს ფუძემდებელი აშოტ (I) კურაპალატი, ბიზანტიის კეისრისაგან კურაპალატის ტიტულის მიღების შემდეგ და მისივე მხარდაჭერის წყალობით, იწყებს გავერანებული მხარის შემოკრებას და მის მოშენებას. აშოტის სამფლობელო ქვეყანა, გიორგი მერჩულის ცნობათა

---

[32] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.376; III, გვ. 250; სუმბატ დავითის ძე, გვ.376.

[33] ე. ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, გვ.გვ.30, 33, 85.

[34] ჯუანშერი, გვ. 243.

[35] მატიანე ქართლისაჲ, გვ.252.

[36] იქვე, გვ.251. ამ ჩამონათვალში, რასაკვირველია, სომხური პროვინციებიც არის მოხსენიებული, რომლებიც მას, როგორც მთავარს, მემკვიდრეობით ეკუთნოდა. ამასთანავე გამოთქმა „იცვალა“ მიუთითებს რაღაც მაიძულებელ გარემოებებზეც, რომლებიც ადარნასეს საკუთრ სამშობლოში შექმნია. ამ საკითხის შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ.157.

მიხედვით, გარდა კლარჯეთ-შავშეთისა, მოიცავდა ამიერ და იმიერტაოსაც[37]. ტაო-კლარჯეთში პოზიციების გაძლიერების შემდეგ აშოტი ცდილობს ბაგრატიონ ერისმთავართა ძველი იურიდიული და პოლიტიკური უფლებების აღდგენას ქართლზე, რასაც აღწევს კიდეც. ქართლის შემოერთებისათვის „ ქ ს ა ნ ს ა ზ ე დ ა “ ბრძოლაში აშოტ კურაპალატს ეხმარებოდა თეოდოსი აფხაზთა მეფე, მოწინააღმდეგე ბანაკში კი იყვნენ კახეთის გამგებელი გრიგოლი, წანარები და თბილისის ამირა[38]. ძალთა ასეთი განლაგება მოწმობს, რომ ამ დროს აშოტი დაპირისპირებულია თბილისის ამირასთან, მაგრამ ცქირის ეპიზოდში „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“ აშოტი სწორედ თბილისის ამირას უწევს ანგარიშს[39]. ამიტომ ფიქრობენ, რომ აშოტი (შემდგომ კი მისი შვილი ბაგრატ კურაპალატი), მოხერხებულად სარგებლობდა სახალიფოს შიდა დაპირისპირებით, რომელიც მისი მმართველობის პერიოდში საკმარისად იყო გამწვავებული და მას თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებდა[40]. მაგრამ მას შემდეგ, როცა ისევ „განძლიერდა ჭელმწიფება აგარიანთა”, არაბები აშოტს დევნიან და აიძულებენ არათუ ქართლის დათმობას, მისი შვილების მცირეწლოვანების დროს ტაო-კლარჯეთზეც ავრცელებენ თავიანთ ძალაუფლებას[41].

აშოტ კურაპალტის გამთავრების დროს ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობა უკვე იყო დაწყებული გრიგოლ ხანცთელის წინამძღოლობით, რომელმაც აშოტის მემკვიდრეების დროს კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა.

IX საუკუნის ბოლო მესამედში დაიწყო აშოტ დიდის მემკვიდრეთა შორის ტერიტორიების დანაწილება, რამაც განაპირობა ბაგრატიონთა შორის ცალკეული დინასტიური შტოების გამოყოფა. პირველ ეტაპზე გამოიყო ადარნასეს, იგივე კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს შ ტ ო (რეზიდენცია არტანუჯში), ამავე პერიოდში გვარამ მამფალი ჯავახეთის მფლობელი გახდა, მაგრამ გუარამის მემკვიდრის, ნასრას სიკვდილის (888) შემდეგ ჯავახეთს ადარნასეს შთამომავლები დაეპატრონნენ (კუმურდოს წარწერა)[42]. მეორე იყო ტ ა ო ს შ ტ ო . მას ბაგრატ I კურაპალატის შთამომავლებმა დაუდეს სათავე (რეზიდენცია ბანაში). X საუკუნის შუა ხანებში ტაოს შტოც დაიყო ა მ ი ე რ და ი მ ი ე რ ტ ა ო ს შ ტ ო ე ბ ა დ (რეზიდენცია ოლთისის ციხე). ამ შტოებს შორის უფროსობა ნომინალურად ამიერტაოს შტოს ეკუთვნოდა, რამდენადაც იგი პირველ კურაპალატთა (ბაგრატ

[37] ტაოს პოლიტიკური საზღვრები საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა. 591 წლის ბიზანტია-სპარსეთის ზავის შედეგად, ბიზანტიამ ტაო, სადაც თავშესაფარს პოულობდნენ სომეხი ქალკედონიტები, უშუალოდ შეიერთა. VII-VIII საუკუნეებში ტაო სომხეთშია, IX საუკუნეში - ტაო-კლარჯეთის ქართული სამთავროს ფარგლებში. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ.გვ.159-161, 174.

[38] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 253.

[39] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 305.

[40] აშოტ კურაპალატის გარდაცვალების თარიღად მიჩნეულია 826, 830 ან 836 წლები. ამ თარიღებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისში ისჰაკ იბნ ისმა'ილის (ქართული წყაროების საჰაკ ამირა) ამირად დანიშვნის თარიღი, რომელიც ასევე, პრობლემურია (კ. კეკელიძე, აშოტ დიდი კურაპალატის ქრონოლოგიისათვის, გვ.101-109; ა. ბოგვერაძე, ერთი ქრონოლოგიური საყრდენი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა (აშოტ I კურაპალატის სიკვდილის თარიღის შესახებ), საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები I, გვ. 130; დ. ნინიძე, ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიული ქრონოლოგიიდან – დათარიღება „მოჰამედის გამოჩინების“ მიხედვით, გვ. 12; გ. ალასანია, ქართველები და ისლამადელი თურქები, გვ.149; გ. ჯაფარიძე, თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილ ალ-უმავი ათ-თიფლისი... გვ. 17-18.

[41] სუმბატ დავითის ძე, გვ. 378.

[42] დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ.90.

I, დავით I, ადარნასე II) მემკვიდრეობით ხაზს აგრძელებდა[43]. მაგრამ უფლება-სამფლობელოთა ამგვარ დანაწილებას არ შეუძენია აბსოლუტური ხასიათი. დროდადრო ბაგრატიონები ერთმანეთის საზღვრებსაც არღვევდნენ, რაც მათ შორის სერიოზული კონფლიქტების მიზეზიც ხდებოდა (მაგ., გუარამ მამფალის ძე ნასრა, „დიდი“ გურგენი)[44].

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები ატარებდნენ ბიზანტიურ ტიტულებს: კურაპალატი, მაგისტროსი, ანთიპატოს-პატრიკიოსი. გარდა ბიზანტიური ტიტულებისა, ისინი ფლობდნენ მეფის, მეფეთ მეფის, ერისთავთ ერისთავის, ერისთავის ან მამფალის ქართულ ტიტულებს. ამ ტიტულებით განსაზღვრული იყო მათი იურიდიული სტატუსები შიდა იერარქიაში და სამფლობელო მამულები. ქართულ ტიტულთა შორის ყველაზე მაღალი იყო მოგვიანებით (888/899) შემოღებული „ქართველთა მეფის“ ტიტული, რომელმაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა შიდა იერარქიაში: თუკი ადრე კურაპალატი წარმოადგენდა ტაო-კლარჯეთის უზენაეს ხელისუფალს, ამიერიდან შიდა იერარქიაში ეს ფუნქცია „ქართველთა მეფემ“ შეიძინა, მაგრამ ბიზანტიისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ტაო-კლარჯეთში მაინც კურაპალატი რჩებოდა. სხვადასხვა რანგის ტიტულის მქონე ბაგრატიონები ოფიციალურად „ქართველთა მეფის“ უზენაესობას აღიარებდნენ, მაგრამ ფაქტობრივად, სამთავრო ფეოდალურ-კოლეგიალური პრინციპით იმართებოდა. ყოველგვარი რანგობრივი განსხვავება მათ შორის ამ კოლეგიალობის ფარგლებში იყო მოქცეული[45].

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს, რასაკვირველია, კარგად ახსოვდათ თავიანთი ერისმთავრობის საუკუნოვანი ისტორიაც, გორგასლიანთა სამეფო სახლთან ნათესაობაც და საკუთარი დინასტიის ბიბლიური წარმომავლობის მითიც[46]. ყოველივე ეს, ერთად აღებული, განუზომლად ზრდიდა მათი ლეგიტიმურობის ხარისხს ქართლისათვის ბრძოლაში, რომელშიც ქართულ სამეფო-სამთავროებთან ერთად სომეხთა მეფეც მონაწილეობდა[47]. ამ უპირატესობის სიმბოლურ

---

[43] მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 452.

[44] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 380; დ. მუსხელიშვილი,საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ.191-193.

[45] შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. გვ.222, 226-227.

[46] ადარნასე ბაგრატიონი, აშოტ კურაპალატის მამა, ჯუანშერისა და „მატიანე ქართლისას“ თანახმად, იყო „შვილთაგან დავით წინასწარმეტყველისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ.გვ. 243, 249), ისევე, როგორც სუმბატ დავითის ძის მოწმობით, გუარამიანები (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 373). ბაგრატიონთა წარმომავლობითი მითი ემყარება მონარქთა გაღმერთების („იზოთეოსის“) ძველ აღმოსავლეთში გავრცელებულ უძველეს წარმოდგენას, რომელმაც ქრისტიანულ გარემოში ტრანსფორმაცია განიცადა. სამეცნიერო ლიტერატურაში ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის მითის გაჩენას უკავშირებენ აშოტ I კურაპალატის მეფობას და, ამდენად, მას IX საუკუნით ათარიღებენ. მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ სუმბატ დავითის-ძის ცნობები გუარამიანთა ბაგრატიონობის შესახებ ჭეშმარიტებას შეიცავს, მაშინ მითის წარმოქმნა იმ პერიოდში უნდა ვივარაუდოთ, როდესაც ბაგრატიონთა საგვარეულო პოლიტიკურ კონკურენციაში აღმოჩნდა გორგასლიანთა უფროს შტოსთან (ბაგრატიონთა წარმომავლობისა და ბიბლიური გენეალოგიის შესახებ იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 77-87; С.Н. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды, გვ. 19-20; მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, გვ. 144-149; ბ. კუპატაძე, იზოთეიზმის ისტორიული საფუძვლები და ბაგრატიონთა დინასტია, არტანუჯი, I, გვ. 24-25; მ. სურგულაძე, ბაგრატიონთა წარმოშობის ბიბლიური ლეგენდა, გვ. 3-22).

[47] „ქართველთა მეფის“ტიტულის გაჩენას, დ. მუსხელიშვილის შეხედულებითაც, საფუძვლად ედო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა „კანონიერი“ პრეტენზიები ქართლის მიმართ, რამდენადაც ისინი ქართლის ერისმთავართა შთამომავლებად მიიჩნევდნენ თავს (იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ.187).

გამოხატულებად იქცა „ქართველთა მეფის“ ტიტული, რომელიც, სუმბატ დავითის-ძის თანახმად, პირველად ადარნასე II კურაპალატმა მიიღო[48]. სუმბატის ქრონოლოგიურ ცნობას ეწინააღმდეგება ადიშის ოთხთავის 897 წლის ანდერძი, რომელშიც ადარნასე ჯერ მხოლოდ კურაპალატის ტიტულით არის მოხსენიებული[49]. მიუხედავად ცნობათა სიმწირისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ადარნასე II-ის აღიარება ქართველთა მეფის სტატუსში, მართალია, ბიზანტიის ხელისუფლების თანხმობის გარეშე, ვერ მოხდებოდა, მაგრამ იგი არსობრივად საშინაო პოლიტიკური მოვლენა იყო და, გარდა იმისა, რომ ბაგრატიონთა პოლიტიკურ პრეტენზიებს გამოხატავდა მთელ ქართლზე, შიდა იერარქიასაც აწესრიგებდა. ბიზანტია კი, იმ პოლიტიკური კურსის ფარგლებში, რომელიც მან IX საუკუნის 80-იანი წლებიდან აირჩია კავკასიის ქვეყნების მიმართ, ნებსით თუ უნებლიეთ, ეთანხმება შიდა იერარქიაში მომხდარ ცვლილებებს. ეს ცვლილებები კი გამოიხატებოდა სამთავროს ტერიტორიების განვრცობაში, რამაც IX საუკუნის მეორე ნახევრიდან შთამბეჭდავ მასშტაბებს მიაღწია. მის ფარგლებში, გარდა საკუთრივ შავშეთ-კლარჯეთისა და ტაოსი, შემოდიოდა აჭარა, სამცხე და ჯავახეთი, კოლა-არტაანი, დროდადრო – შიდა ქართლი (თრიალეთი სამართავად მათ ბაღვაშებს გადასცეს)[50].

ტაო-კლარჯეთის ისტორიის მკვლევარნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბიზანტიასთან სამთავროს ურთიერთობის იურიდიული სტატუსის საკითხს. ივ. ჯავახიშვილი ამჩნევდა, რომ ამ ურთიერთობის ნორმები, გარემოებათა მიხედვით, ხშირად იცვლებოდა[51]. მომდევნო თაობის ისტორიკოსები (ვ. კოპალიანი, მ. ლორთქიფანიძე, შ. ბადრიძე) ამ ურთიერთობას, მართალია, სიუზერენულ-ვასალურს უწოდებენ, მაგრამ აღიარებენ, რომ ბაგრატიონები გაცილებით მეტ თავისუფლებას ამჟღავნებდნენ, ვიდრე ეს ჩვეულებრივი ვასალური მორჩილების ფარგლებში იყო შესაძლებელი[52]. ამ ურთიერთობის შესაფასებლად უფრო პერსპექტიული ჩანს მისი განხილვა ბიზანტიური თანამეგობრობის[53] კონტექსტში, რამდენადაც იგი საშუალებას იძლევა გამოინახოს თანამშრომლობის საფუძველი განსხვავებული სოციალური და სამართლებრივი წყობის, განსხვავებული (და ზოგჯერ დაპირისპირებული) პოლიტიკური ინტერესე-

---

[48] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 379.

[49] ამ ორ თარიღს შორის არსებულ წინააღმდეგობას ა. აბდალაძე ხსნის სავსებით დამაჯერებელი არგუმენტით: ადარნასე ტაო-კლარჯეთში მართლაც უნდა გაემეფებინათ 888 წელს, მაგრამ ადიშის სახარება უჩვენებს მისი აღიარების თარიღს ბიზანტიის იმპერატორისა და სომეხთა მეფის მიერ (იხ. ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, გვ.192).

[50] ტაო-კლარჯეთის სამთავროს ტერიტორიების შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიია ძირითადი საკითხები, II, გვ.გვ. 181-186, 189-191.

[51] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ისტორია, II, გვ. 112.

[52] ვ.კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, გვ. 22; მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ.465-467; შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ.253.

[53] ბიზანტიური თანამეგობრობის მეცნიერული კონცეპციის ფარგლებში მისი ავტორი დ. ობოლენსკი განიხილავს მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის (ძირითადად სლავური წარმომავლობის) ხალხებს, რომლებმაც ურთულესი გზა გაიარეს მომთაბარე ბარბაროსობიდან სახელმწიფოებრიობამდე და დაახლ. XI ს-დან XV ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით, ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის სიუზერენობით შეადგენდნენ ერთიან ქრისტიანულ ოიკუმენას. D. Obolensky, The Byzantine Commonwelth. Eastern Europe 500-1453, 1971. რუს. თარგმანი: Д. Оболенский, Византийское содружество наций – шесть византийских портретов, Научно-издательский центр Ладомир, 1998.

ბისა და კულტურის მქონე ქვეყნებს შორის.

ბიზანტიასა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს შორის პოლიტიკურ კავშირებს განამტკიცებდა იურიდიული ხელშეკრულებები[54], რომლებშიც გაწერილი იყო მხარეთა ორმხრივი ვალდებულებები, მაგრამ ამ კავშირებს ჰქონდა კიდევ უფრო ღრმა კულტურული ასპექტი, რომელიც მოიცავდა იმპერიული ცხოვრების მთელ კომპლექსს საკარო ცერემონიების, სამოქალაქო წესრიგის, საეკლესიო ღვთისმსახურების, განსწავლული საეკლესიო იერარქებისა და მოხელეების სახით. ტაო-კლარჯეთის მმართველი ელიტის ზიარება ყოველივე ამასთან, რასაკვირველია, ხელს უწყობდა საკუთარი ქვეყნის წინაშე მდგარი კულტურული ამოცანების სრულად გააზრებას[55].

არაბებთან განცდილი მრავალი მარცხის შემდეგ ბასილი (I) მაკედონელმა (867-886) გადაწყვეტილება მიიღო იმპერიის სამსახურში ჩაეყენებინა აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების სამხედრო პოტენციალი, რის საზღაურადაც იმპერია მზად იყო გაეთვალისწინებინა ამავე ხალხების პოლიტიკური ინტერესები. ამ პოლიტიკის სიმბოლურ გამოხატულებას ხედავენ ისტორიკოსები ბასილი (I) მაკედონელის მიერ ბაგრატიდთა სამეფო დინასტიის დამაარსებელის აშოტ (I) ბაგრატუნისადმი (885-891) გაგზავნილ სამეფო გვირგვინში. გვირგვინთან ერთად იმპერატორს აშოტისათვის გაუგზავნია სამეგობრო ხელშეკრულებაც[56]. ამავე პოლიტიკას აგრძელებს ბასილის მემკვიდრე ლეონ ბრძენიც (886-912). 893 წელს იგი სამოკავშირეო ხელშკრულებას უახლებს აშოტის მემკვიდრეს, სუმბატს (893-914)[57], რომელსაც, იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, სამეფო სამოსით ადარნასე (II) ქართველთა კურაპალატი შემოსავს[58]. ტარონის სამეფო სახლთან ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების მჭიდრო ნათესაური და პოლიტიკური კავშირები თავისთავად გულისხმობს, რომ ბიზანტიიის მხრიდან მსგავსი დიპლომატიური სვლები ქართველთა საკურაპალატოს მიმართაც ხორციელდებოდა. ამის ირიბ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ ადარნასე (II) ქართველთა მეფეს ბიზანტიის მოკავშირე სუმბატ სომეხთა მეფე ადგამს სამეფო გვირგვინს[59]. ბიზანტია-სომხეთის (სავარაუდოდ, ქართვლებისაც) სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის პირველი მკაფიო შედეგი იყო ერთობლივი ლაშქრობა არაბების წინააღმდეგ თეოდოსიოპოლის მისადგომებთან[60], სადაც ბიზანტიელებმა მიწასთან გაასწორეს სარკინოზთა ციხეები. ამის საპასუხოდ 908-914 წლებში ქართლში, სომხეთსა და მესხეთში ლაშქრობს აზერბაიჯანის საჯი ამირა აბულ კასიმი, რომელმაც სიკვდილით დასაჯა სუმბატ სომეხთა მეფე და ყველის ციხის პატრონი მიქელ-გობრონი[61]. მიუხედავად

---

[54] კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 266. შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან, გვ.7.

[55] სპეციალურ ლიტერატურაში IX-X საუკუნეები განიხილება ბიზანტიური თანამეგობრობის იმ (მეორე) პერიოდად, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობს კავკასიის ქვეყნების (ტაო-კლარჯეთი, სომხეთი) რელიგიური და პოლიტიკური კულტურის „გაბიზანტიელება“ (ს. რეპი, კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის შექმნა, გვ. 62).

[56] Ф. Успенский, История Византии, с. 208.

[57] იქვე, გვ.293.

[58] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 37-38.

[59] იქვე, გვ.47.

[60] Ф. Успенский, История Византии, с. 239.

[61] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 178.

ამ მარცხისა, შემდგომმა იმპერატორმა რომანოზ (I) ლაკაპენოსმა (920-944) სომეხ და იბერიელ მმართველებთან კავშირები კიდევ უფრო განამტკიცა, რასაც ადასტურებს კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების ის ცნობები, რომლებიც 920-922 წლების მოვლენებს ეხება[62]. ცხადია, ამ წლების საიმპერატორო მიმართვებში იბერიის კურაპალატისადმი იგულისხმება ადარნასე (II) კურაპალატი და ქართველთა მეფე, რომელთანაც ბიზანტიის იმპერატორს საქმიანი მიმოწერა ჰქონია. ამავე წყაროდან ჩანს, რომ თეოდოსიოპოლის ბრძოლაში (928), რომელსაც წინამძღოლობდა გამოჩენილი ბიზანტიელი მხედართმთავარი იოანე კურკუასი, მონაწილეობა მიუღია ბაგრატ მაგისტროსს[63]. X საუკუნის 40-იანი წლებიდან ბიზანტიამ უკვე საგრძნობლად წაიწია წინ სირიასა და მესოპოტამიაში. ამ ბრძოლებში, მოკავშირეობის წესით, რეგულარულად მონაწილეობდნენ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებიც, რასაც ბიზანტიურ ტიტულებთან ერთად მოწმობს ის დავები, რომლებიც პერიოდულად წამოიჭრებოდა ხოლმე მათსა საიმპერატორო კარს შორის[64]. ერთი ასეთი სადავო საკითხის განხილვისას კონსტანტინე პორფიროგენეტი იბერიის კურაპალატთან დადებული ხელშეკრულების პირობებსაც გადმოგვცემს: იბერიის კურაპალატს დახმარება უნდა გაეწია იმპერიის ჯარებისათვის, მაგრამ გათავისუფლებული მიწა-წყლიდან არაფერი არ უნდა მოეთხოვა, გარდა იმ მიწებისა, რომლებსაც სარკინოზებს დამოუკიდებლად წაართმევდა[65]. ქართველებისათვის ეს პირობები ხელსაყრელი იყო იმდენად, რამდენადაც მათ სამხრეთის მიმართულებით მოძრაობის საშუალებას აძლევდა[66], ამავე დროს, შეეძლოთ საკუთარი პირობებიც წაეყენებინათ ბიზანტიისათვის. ამგვარი ნახევრად თავისუფალი ურთიერთობის ხასიათს კარგად ასახავს კონსტანტინე პორფიროგენეტთან შემონახული კეჯეს ციხესთან დაკავშირებული ცნობილი ეპიზოდი[67]. კიდევ უფრო მეტ დათმობაზე მიდის ბიზანტია ბასიანის მიწების სადავო საკითხის განხილვისას, რის შედეგადაც ტაო-კლარჯეთისა და ბიზანტიის საზღვარი ბასიანში მდ. არაქსზე გაივლო[68].

რასაკვირველია, ბიზანტიასთან პატარა ქვეყნის „მეგობრობა“ შორს იყო თანაბარი პარტნიორული ურთიერთობისაგან, მაგრამ მან მაინც უაღრესად სასარგებლო და ნაყოფიერი შედე-

---

[62] 922 წ. ადარნასე II-ის კონსტანტიპოლში ჩასვლა, რაზედაც იუწყება კონსტანტინე პორფიროგენეტი, დაკავშირებულია მის პრეტენზიებთან სამეფო სარგოსთან დაკავშირებით. ამგვარი პრეტენზიის არსებობა აჩვენებს, რომ ადარნასეს სამხედრო დამსახურება მიუძღოდა ბიზანტიის წინაშე (იხ. ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ.29); ამავე დამსახურებებზე მიანიშნებს Fr. Dölger-ის შრომაში გამოყოფილი 920-922 წლების საარქივო მასალის ფენა, რომელიც შეიცავს იმპერატორის მიმართვებს იბერიის კურაპალატისა და მისი არქონტებისადმი, (იხ. შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან, გვ. 7).

[63] კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 271.

[64] მაგ., დავები არტანუჯის, კეჯეს ციხისა და ფასიანის მიწების შესახებ (იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. გვ.262, 276-277, 280-284).

[65] კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 267.

[66] შ.ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, გვ.13.

[67] კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ.გვ. 260-262. 268. კეჯეს ციხე, ს.ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, უნდა იყოს არტაანში მდებარე ე.წ. ქაჯეთის ციხე, საიდანაც შეიძლებოდა თეოდოსიოპოლისაკენ მიმავალი გზების გაკონტროლება. იქვე, გვ. 264, სქოლიო. შდრ. სამცხე-საათაბაგოს მღვდელთავართა ნუსხიდან: „გურჯი-ბოღაზს აქეთი, სულ თორთომი“, იგივე საქართველოს ყელი, რომელზედაც გადადიოდა არზრუმიდან მომავალი მთავარი გზა თორთუმისა და ოლთისის ხეობებისაკენ, ანუ იშხნელის სამწყსოსკენ (იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 165).

[68] ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, გვ. 13.

გი გამოიღო ორივე მხარისათვის. ტაო-კლარჯეთის მმართველთათვის ეს იყო სახელმწიფოებრივი და დიპლომატიური კულტურის ამაღლება, ეკონომიკური დაწინაურება და აღმავლობის გზაზე მდგარ ბიზანტიურ კულტურასთან მჭიდრო კავშირი. ბიზანტიისათვის კი – რეალური მოკავშირის შეძენა და პოლიტიკური პოზიციების გაუმჯობესება წინა აზიის რეგიონში[69].

მართლაც, X საუკუნის ტაო-კლარჯეთის სამთავრო ყველა პარამეტრით აკმაყოფილებდა ბიზანტიასთან ურთიერთობის იმ პრინციპებს, რომლებიც ემყარებოდა ბიზანტიური თანამეგობრობის პარადიგმას, რაც ნიშნავდა, რომ სამთავროს რეალურად იმაზე მეტი უფლებები ეძლეოდა, ვიდრე ფეოდალურ ვასალს. ამ პირობებმა საშუალება მისცა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს თანდათანობით გაეფართოებინათ სამთავროს საზღვრები სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებებით და მაჰმადიანთა მფლობელობისაგან გამოხსნილი სომხური მიწები თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ[70]. ამას დაემატა კიდევ ის მიწა-წყალი, რომელიც დავით მაგისტროსმა ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების შემდეგ მიიღო. მაგრამ ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის ურთიერთობებში ჩადებული იყო ისეთი სამართლებივი მექანიზმები, რომლებიც საუკუნის ბოლოს, როგორც კი ამის საბაბი გაჩნდა, ბიზანტიამ თავის სასარგებლოდ აამუშავა. ბიზანტიური კანონების თანახმად, იმ მიწა-წყლის ნაწილი, რომლებსაც ქართველები ბიზანტიელებთან ერთად იკავებდნენ, ბაგრატიონებს ლენური წესით უნდა დარჩენოდათ (სიცოცხლის ვადით), რადგან ბიზანტიური სახელმწიფო სამართალი არ ცნობდა მემკვიდრეობით საკუთრებას[71]. ქართული სამართლებრივი წარმოდგენები, ისევე, როგორც, მთელი სოციალური და პოლიტიკური სისტემა, მემკვიდრეობით მფლობელობაზე იყო დაფუძნებული, რაც ბიზანტიურ „თანამეგობრობაში“ პოტენციურად შეიცავდა გარდუვალ წინააღმდეგობას – ქართველებს დიდ უსამართლობად მიაჩნდათ საკუთარი ბრძოლით („ხმლით“) მოპოვებული მიწების დათმობა ბიზანტიისათვის[72]. ბიზანტია კი, რასაკვირველია, სრულებით არ იზიარებდა ქართველების ამგვარ განწყობებს, მაგრამ, თუ, რიგ შემთხვევებში, მათ მიმართ დიდ დათმობებზეც კი მიდიოდა, ეს მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშიანობით იყო განპირობებული.

განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ტაოს სამეფომ დავით (III) კურაპალატის დროს (961-1001). მისი მმართველობა დაემთხვა პერიოდს, როცა ბიზანტიის იმპერატორებმა (ნიკიფორე ფოკა (963-969), იოანე ციმისხი (969-976) საბოლოო გარდატეხა შეიტანეს არაბებთან ბრძოლაში. მათ ზედიზედ დაიკავეს კვიპროსი, სირიის, ლიბანის, პალესტინის და ჩრდილო მესოპოტამიის უმთავრესი ციხექალაქები. მიუხედავად ცნობათა სიმწირისა, სავსებით ცხადია, ამ ბრძოლებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართველ ბაგრატიონებსაც, სხვაგვარად აუხსნელი დარჩებოდა ის მაღალი ბიზანტიური ტიტულები, რომლებსაც ისინი ატარებდნენ. მაგ., ვიცით, რომ დავით III 978 წლამდე მაგისტროსი იყო (ასე მოიხსენიება იგი 973 წლის ოშკის სა-

[69] ბიზანტინისტიკაში აღიარებულია, რომ ბიზანტიური თანამეგობრობის წევრი ხალხები არა მხოლოდ ითვისებდნენ ბერძნების კულტურულ მონაპოვარს, არამედ ყოველ მათგანს საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა იმპერიის და თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში (ს. რეპი, კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის შექმნა, გვ.63).

[70] შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, გვ. 48-50.

[71] იქვე, გვ. 49.

[72] იქვე, გვ. 49-50.

მშენებლო წარწერაში), თუმცა, უცნობია, როდის და კონკრეტულად რომელი დამსახურების საფუძველზე მიიღო მან ეს მაღალი ტიტული. შესაძლოა, ეს ტიტული კავშირში იყოს „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ცნობასთან, რომ ეფთვიმეს მცირეწლოვანების დროს იმპერატორმა დავით კურაპალატს „ზემონი ქუეყანანი“ მისცა[73]. აქ, ცხადია, ლაპარაკია ისევ ბასიანზე, რომელიც დავითს მიუღია ეფთვიმეს მცირეწლოვანების წლებში ბიზანტიელთა რომელიღაც დიდ ბრძოლაში მონაწილეობისათვის. ვ. კოპალიანის ვარაუდით, ეს შეიძლება ყოფილიყო ტარსის ცნობილი ბრძოლა (963)[74], რომელმაც ნიკიფორე ფოკას გზა გაუხსნა სირიის სხვა ქალაქებისაკენ. შეუძლებელია დავითი არ ყოფილიყო აქტიურად ჩაბმული ნიკიფორე ფოკას და იოანე ციმისხის იმ წარმატებულ სამხედრო კამპანიებში, რომლებმაც ბიზანტია თითქმის სრულად დააბრუნა მცირე აზიის ძველ საზღვრებში. 975 წელს ამ რანგში (მაგისტროსი) ებმება დავითი საქართველოს გაერთიანებისათვის წამოწყებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში. მის მიერ კურაპალატის ტიტულის მიღების თარიღი (978) დაზუსტებით არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. იგი დაკავშირებულია ბარდა სკლიაროსზე მოპოვებულ გამარჯვებასთან, რითაც მან დიდი სამსახური გაუწია ბიზანტიის სამეფო კარს. მაშინ უბოძა ბასილი კეისარმა დავითს კურაპალატობა და მასთან ერთად ჭოროხისა და ევფრატის სათავეებთან მდებარე მიწები (ხალტო-არიჭი, ბასიანი, სევუქი, ჰარქი, აპაჰუნიქი)[75], ქართული წყაროების გამოთქმით – „ზემო ქვეყნები“[76]. რეალურად ამ მიწების ერთი ნაწილი (კარინის ოლქი, ბასიანის ჩრდილოეთი) ტაოელ ბაგრატიონებს უფრო ადრეც ჰქონდათ საკუთარი ძალებით შემოერთებული, რაც კარგად ჩანს კონსტანტინე პორფიროგენეტთან[77]. მეორე ნაწილი (ჰარქი, აპაჰუნიქი) კი ახლად ებოძათ. ეს ის პროვინციები იყო, რომლებზედაც ბიზანტიას ხელი ჯერ კიდევ არ მიუწვდებოდა, მაგრამ მათი განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის გამო პერსპექტივაში გეგმავდა მათ დაჭერას[78].

რასაკვირველია, დავით კურაპალატმა შესანიშნავად იცოდა, რომ ნაბოძვარი მიწები მას მხოლოდ დროებით, სიცოცხლის ვადით ეკუთვნოდა. ამიტომ, როცა 987 წელს საიმპერატორო კარის წინააღმდეგ ბარდა ფოკას წინამძღოლობით ახალმა აჯანყებამ იფეთქა, იგი ფოკას მიემხრო, სავარაუდოდ, იმ იმედით, რომ ფოკა უსათუოდ გაიმარჯვებდა (ფოკასთან დავითს ძველი თანამშრომლობა აკავშირებდა) და მასთან უკეთეს შედეგს მიაღწევდა „ზემო ქვეყნების“ თაობაზე[79], მაგრამ ფოკას მოულოდნელმა მარცხმა (989) დავით კურაპალატი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. გამარჯვებულმა ბასილი კეისარმა უარი თქვა ყოველგვარ კომპრომისზე და ძველი მოკავშირე აიძულა უარი ეთქვა საკუთარ მემკვიდრეობაზე. დავითმა გააფორმა ე.წ. ანდერძი, რომლის თანახმად, გარდაცვალების შემდეგ მისი ქვეყანა ბასილი კეისარს

[73] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ.43.

[74] ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, გვ.23.

[75] იქვე, გვ. 38.

[76] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 45-48.

[77] კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ,260.

[78] შ.ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, გვ. გვ. 50-51, 58.

[79] აჯანყებული ფოკას მხარეზე დავით კრაპალატის მიერ გაგზავნილ ჯარში იბრძოდნენ თორნიკეს ძმა ბაგრატ პატრიკი და შვილი ან ძმისწული ჩორდვანელი (იხ. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, გვ. 61-63).

უნდა დარჩენოდა[80]. მიუხედავად ამ დიდი მარცხისა, 990-998 წლებში დავით კურაპალატი სომეხ მოკავშირეებთან ერთად კვლავ განაგრძობდა წარმატებულ შეტევებს მაჰმადიანური საამიროების წინააღმდეგ, ამჯერად ვანის ტბის ჩრდილოეთით, სადაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და მდიდარი სომხური ქალაქები მდებარეობდა: მანაზკერტი, ბერკერი, არჭეში და სხვ.

ტაოს სამეფოში ინტეგრირების მიზნით ახლად დაპყრობილ ადგილებში დავით კურაპალატს შეჰქონდა ქართული სახელმწიფოებრივი წესწყობილება და ქართული კულტურა – არსებობს სტეფანოს ტარონელის პირდაპირი მოწმობა, რომ შემოერთებული ოლქებიდან დავით კურაპალატი ყრიდა მაჰმადიან მოსახლეობას და იქ ქალკედონიტ სომხებსა და ქართველებს ასახლებდა[81], მიწებს სამართავად ქართველ წარჩინებულებს ურიგებდა, რომლებიც ადგილებზე ქართულ ფეოდალურ სისტემას ნერგავდნენ. მაგ., ასეთები იყვნენ ჩორდვანელები[82] კარინის მხარეში. ბუნებრივია, შემოერთებული მიწების შემომტკიცების საქმეში უდიდეს მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეკლესია. X საუკუნეში ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ წინსვლასთან ერთად აქ მიმდინარეობდა გრანდიოზული საეკლესიო მშენებლობები – ამიერტაოში აშენდა ბანას საეპარქიო ტაძარი, იმიერში - ოშკი, ხახული, პარხალი, განახლდა ოთხთა ეკლესია. მათი მრავალრიცხოვანი ქართულენოვანი წარწერები და ამ ეკლესიათა სკრიპტორიუმებში შესრულებული ხელნაწერები ნათლად მეტყველებენ, რომ ისინი ქართული სამწყსოსათვის იყვნენ განკუთვნილნი. საუკუნის მიწურულს ბასიანში დაარსდა ვალაშკერტის ეპარქია[83], რომლის მმართველობა ბანელს ჰქონდა შეთავსებული და ორივე ერთად მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს შეადგენდა. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში სრულიად ახლებური სახელმწიფოებრივი დატვირთვა შეიძინა ქართულმა საეკლესიო ენამ[84], რომელიც ერთნაირად გამოიყენებოდა როგორც ეთნიკურად ქართული, ასევე ტაოს მკვიდრი სომხური და ბერძნული მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლებისთვისაც ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე ქართული მშობლიურ ენად იყო ქცეული. ამასთანავე, ირკვევა ისიც, რომ ტაოში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდა სომეხი ქალკედონიტი მოსახლეობა, საღვთისმსახურო და სამწიგნობრო ენად ისევ სომხური რჩებოდა. ამისი თვალსაჩინო მოწმობაა ამ რეგიონში აღმოჩენილი X, XI და XIII საუკუნეების სომხური ხელნაწერები[85].

დაწინაურებული ქრისტიანული კულტურის მქონე იმპერიასთან პოლიტიკურმა პარტნიორობამ ტაო-კლარჯეთს შესძინა ბიზანტიური განსწავლულობის მქონე ახალი საერო და სასულიერო ელიტა, რომელმაც პერსპექტივაში გაიაზრა ბიზანტიური განათლების მნიშვნელობა მისივე იმპერიული დიქტატისაგან თავის დასაღწევად და მიზანმიმართულად შეუდგა ამ მიზნისაკენ მიმავალ არც თუ იოლ გზას – ამ მიზანს ემსახურებოდა ათონის მთაზე ქართველთა მონასტრის დაარსება.

---

[80] მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთვროების წარმოქმნა, გვ. 481.

[81] იქვე, გვ. 483, Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию – писателя XI столетия, с.с. 191-192, 198-198. ამგვარ დემოგრაფიულ პოლიტიკას ეწეოდა ბიზანტია ყველგან, მაჰმადიანთაგან გათავისუფელბულ ადგილებში.

[82] ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ.28-29.

[83] გ. ჭეიშვილი, ვალაშკერტის საეპისკოპოსო, გვ. 81-82.

[84] შ.ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, გვ. 52.

[85] ვ.კეკელია, ტაო-კლარჯეთის კულტურული კონტაქტის არეალი და სომეხი ქალკედონელების ისტორიის შესწავლის მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 54.

ათონის ქართველთა მონასტრის დაარსებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით დავით კურაპალატის თანამებრძოლთ, ჩორდვანელთა წარჩინებული საგვარეულოს წევრებს, იოვანე თორნიკესა და მის ძმას, იოვანე ვარაზვაჩეს, ექვთიმე ათონელის მამას. ამათი მამა, სახელად ჩორდვანელი, სავარაუდოდ, დავით კურაპალატის მამის, ადარნასე (III) კურაპალატის მოხელე და კონსტანტინე პორფიროგენეტის კარზე მიღებული პირი იყო. მისი ხელით მიურთმევია იბერთა კურაპალატს იმპერატორისათვის დოკუმენტის პირი, რომლითაც იგი ამართლებდა თავის ტერიტორიულ პრეტენზიებს ბასიანის მხარეში[86]. დამოუკიდებელი მონასტრის აშენების იდეა უკვე ათანასეს ლავრაში ყოფნის დროს მომწიფებულა ქართველ ბერ-მონაზონთა კოლონიაში, რასაც მოჰყოლია კიდეც იქვე მახლობლად იოანე მახარებლის მცირე ეკლესიის აგება, მაგრამ ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების შედეგად მოპოვებულმა ნადავლმა გამარჯვებულ მხარეს – დავით კურაპალატსა და მის თანამებრძოლ-თანამოაზრეებს, უკვე ფართო მასშტაბის პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის სამონასტრო კომპლექსის აშენების შესაძლებლობა გაუჩინა. გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ეფთვიმის ცხოვრებაში“ ივერთა მონასტრის დაარსება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ჟ. ლეფორი, საკმაოდ მარტივადაა წარმოდგენილი. სინამდვილეში თორნიკეს მეტად რთული იურიდიული პროცედურების გავლა დასჭირდა, რასაც შუქს ჰფენს ე.წ. მოსამართლე ლეონის აქტი, რომლის მიხედვით, თორნიკეს, იმისათვის, რომ ათონზე მიწა მოეპოვებინა ახალი მონასტრის ასაშენებლად, რასაკვირველია, იმპერატორის თანხმობით, ჩაუტარებია შემდეგი გაცვლა: მის სახელზე უკვე არსებული (979 წლამდე შეძენილი ან იმპერატორისაგან ბოძებული) ორი მონასტერი კონტანტინოპოლსა და ტრაპიზონში გაუცვლია იმპერატორ ბასილისათვის ათონის გარეთ მდებარე საიმპერატორო მონასტერზე მისი (ამ მონასტრის) დაქვემდებარებული მონასტრებითურთ და საკუთრივ ათონზე მდებარე წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერზე (ტუ კლემენტოს)[87]. 980-983 წლებში სწორედ ამ ადგილას მიმდინარეობდა ივერთა მონასტრის მშენებლობა. ამავე დროს თორნიკემ ტაოდან ჩამოიყვანა „ფიჩვოსანი ბერები“, მონასტრის კრებულისათვის ყველაზე აუცილებელი წიგნებით დააკომპლექტა ბიბლიოთეკა, რისთვისაც ოშკში საგანგებოდ გადააწერინა ხელნაწერები.

ტაო-კლარჯეთი გაერთიანებულ ქართულ მონარქიაში XI-XIII სს.

XI საუკუნის დასაწყისში ტაო-კლარჯეთი ახლად გაერთიანებული ქართული მონარქიის ნაწილი გახდა, მაგრამ ეს ტერიტორია უკვე აღარ იყო ისეთი ვრცელი, როგორიც X საუკუნის მეორე ნახევარში. 1001 წელს, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ბასილი კეისარმა, თანახმად დავით კურაპალატის ანდერძისა, იმიერტაო, ბასიანი და სხვა „ზემო ქვეყნები“ იმპერიას უშუალოდ მიუერთა და აქ ახალი ადმინისტრაციული ერთეული, „იბერიის თემი“ დააარსა[88]. ბიზანტიის მხარეს მოექცა იმიერტაო, მონასტრებიდან ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია და

[86] კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 267.

[87] ჟ. ლეფორი, ივირონის მონასტრის ისტორია დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე (იხ. წიგნში ივირონის აქტები, I, გვ. 32-33).

[88] მ.ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X საუკუნის 80-იანი წლებიდან XI საუკუნის 80-იან წლებამდე, გვ.158-159.

პარხალი. მაგრამ კლარჯეთი, შავშეთი, ბანა, კალმახი, ოლთისი, იშხანი და არტაან-ჯავახეთი საქართველოს მხარეს დარჩა[89]. სწორედ ამ ჩამორთმეული მიწების გამო დაუპირისპირდა გიორგი I ბიზანტიას, რაც დიდ ომში გადაიზარდა (1021/1022 წ.) და საქართველოს მარცხით დასრულდა. ახალი ზავის (1023) შედეგად ბიზანტიამ დამატებით კიდევ შავშეთისა და ამიერტაოს ციხესიმაგრეებიც წაიღო[90]. მიუხედავად ამ მძიმე დანაკარგებისა, ბიზანტიელების რეალური გავლენა, როგორც ჩანს, ლოკალურად მხოლოდ ციხეებსა და მათ შემოგარენზე ვრცელდებოდა. იმ დროიდან შემორჩენილი დოკუმენტური მასალის მიხედვით, შავშეთის, ტაოსა და კოლას რამდენიმე სოფელი[91] სვეტიცხოვლის მფლობელობაში რჩებოდა. ოშკის ტაძარი ბასილი (II) კეისრის დროს (გარდ.1025 წ.) ბიზანტიას ეკუთვნოდა, მაგრამ 1033 წელს ილარიონ იშხნელის დაკვეთით გადაწერილი ოთხთავის (ე.წ. მესტიის ოთხთავი) ანდერძის მიხედვით, იგი ისევ საქართველოს მეფის იურისდიქციაში ჩანს: ოთხთავი გადაუწერიათ ოშკში „სალოცველად და სადიდებელად ღმრთივმორწმუნეთა მეფეთა ჩუენთა: ბაგრატ კურაპალატისა და დედისა მათისა მარიამ დედოფლთა დედოფლისა“[92]. XI საუკუნის 60-იან წლებში თურქ-სელჩუკებთან განცდილი მარცხის შედეგად ბიზანტია არბილებს პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რის შემდეგაც საქართველოს მეფე გიორგი II დაკარგულ პოზიციებს ტაო-კლარჯეთში, აჭარასა და კარინის მხარეში თანდათანობით იბრუნებს[93]. ეს მხარე საშინლად დაზარალდა თურქ-სელჩუკთა შემოსევების დროს. დავით აღმაშენებელმა მომთაბარეები სამხრეთ საქართველოდან 1124 წელს განდევნა, მაგრამ მოსაზღვრედ მაინც რჩებოდნენ შაჰარმენის სახელმწიფო, ყარსისა და არზრუმის საამიროები, რომლებიც მთელი XII საუკუნის განმავლობაში ტაოს დაპყრობას ცდილობდნენ. არტაანი პალაკაციოთი, ოლთისი და ბანაც კი ერთხანს სელჩუკთა ამირების ხელთ იყო[94]. ბასიანის ბრძოლამდე (1202 წ.) ცოტა ხნით ადრე ფანასკერტის ერისთვმა ზაქარია ასპანისძემ ზედიზედ აიღო ხახული, ოშკი და ბანა[95]. ბასიანის ბრძოლის შემდეგ ეს მიწები გათავისუფლდა, მაგრამ იმიერტაოს ნაწილი და სპერი ამ ბრძოლის შემდეგაც არზრუმის საამიროში დარჩა[96]. თურქულ საამიროებთან სიახლოვის გამო ამ რეგიონში დიდი ხნით შეუძლებელი იყო მშვიდობის შენარჩუნება. 1230 წელს ეგვიპტისა და რუმის სელჩუკთა ძალებმა ერთად დაამარცხეს ჯალალედინი, რის შემდეგაც ისინი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ და იმიერტაო – ოლთისის, ხახულის, პარხალის, მამრივანის თემები დაიმორჩილეს[97]. ამ ტერიტორიასთან ერთად საქართველომ წინა აზიასთან დამაკავშირებელი გზებიც დაკარგა[98]. მალე კავკასიაში

---

[89] მატიანე ქართლისაჲ, გვ. გვ. 284,288, 295,301. საქართველოში დარჩენილ მიწებზე მიუთითებს ბაგრატ IV-ის სიგელიც ოპიზართა და მიჯნაძორელთადმი (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 26).

[90] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 288.

[91] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, გვ. 26; ზ. აბაშიძე, ვ, ვაშაკიძე,ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი, ყოველი საქართველო, გვ. 88.

[92] სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 42.

[93] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 317.

[94] ზ. აბაშიძე, ვ, ვაშაკიძე,ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი, ყოველი საქართველო, გვ. 89.

[95] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 55-56,

[96] გ. ჯაფარიძე, საქართველოს საზღვარი ტაოში XII საუკუნისა და XIII საუკუნის 60-იან წლებში, გვ. 85.

[97] იქვე, გვ. 86.

[98] ზ. აბაშიძე, ვ, ვაშაკიძე,ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი, ყოველი საქართველო, გვ. 91.

ვითარება იცვლება, დადგა მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივი პერიოდი. ჟამთააღმწერლის ცნობით, XIII საუკუნის 40-იან წლებში სამცხის სპასალარმა ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელმა მოახერხა იმიერტაოს დაბრუნება[99].

სამცხე-საათაბაგო

1266 წელს მონღოლებმა სამცხე სარგის ჯაყელს „ხას ინჯუს" სტატუსით დაუქვემდებარეს. ამ აქტით ჩაეყარა საფუძველი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს არსებობას. მის მთავრებს ამიერიდან ათაბაგები ეწოდებოდათ[100]. სარგისის მემკვიდრე ბექა ჯაყელმა XIII საუკუნის 80-იან წლებში სამთავროს საზღვრები დიდად გააფართოვა – დაიპყრო ქვეყანა ტასისკარითგან კარნუ-ქალაქამდის". მის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა „სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისხევი, არტანუჯი, თორმეტი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორივე არტაანი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს"[101]. ამ ცნობის თანახმად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი დასავლეთი ნაწილი, მათ შორის ყოფილი საერისთავო მიწები ჯაყელთა სამთავრო ტერიტორიაში მოექცა, მხოლოდ ტაოს რაღაც ნაწილი მაინც დარჩენილა საქართველოს მეფის განკარგულებაში[102]. შესაძლოა, მსგავს ვითარებას ასახავს XIV საუკუნის დაახლ. 20-80-იან წლებში წყაროებში „არტანუჯელის" ზედწოდების გაჩენა. ამ ზედწოდებას ატარებენ ჯაყელთა სამთავრო სახლის უმცროსი წევრები. მისი შემოღება, ზოგი მეცნიერის ვარაუდით, მიუთითებს არტანუჯის ყოფილი საერისთავოს გადაქცევაზე ჯაყელთა დომენად[103], სხვათა შეხედულებით, არტანუჯის საერისთავოს აღდგენაზე[104]. XIV საუკუნის მეორე ნახევარში ჯაყელთა პოზიციები რეგიონში კიდევ უფრო მტკიცდება. ამ დროიდან ფანასკერტელებიც თანდათნობით ტოვებენ თავიანთ სამოხელეო მხარეს და ქართლში გადადიან. ჯაყელები მთლიანად ეპატრონებიან ტაოს.

სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მონღოლები ამტკიცებდნენ, ამიტომ ისინი აღარ ცნობდნენ საქართველოს მეფეების უზენაესობას, რისი დემონსტრირებაც მათ დაუსჯელად შეეძლოთ. მაგ., როცა დემეტრე (II) მეფემ სამცხე-საათაბაგოს მთავარი ბექა ჯაყელი (1285-1306) სათათბიროდ თბილისში მოიწვია, ბექა არც კი გამოცხადებულა[105]. ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში სამცხე-საათაბაგოს მშვიდობიან დაბრუნებაში დიდი წვლილი მიუძღვის გიორგი ბრწყინვალეს, ბექა (I) ჯაყელის შვილიშვილსა და აღზრდილს, რომელიც 1334 წელს თავად ჩავიდა სამცხეში და გარდაცვლილი სარგის ჯაყელის შვილი ყვარყვარე მთავრად და-

---

[99] ჟამთააღმწერელი, გვ. 213.

[100] ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ, გვ. 599.

[101] ჟამთააღმწერელი, გვ.304.

[102] ციტირებულ გამოთქმაში დ. ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებს გამოთქმაზე: „უმრავლესი ტაო", რაც უჩვეულოა ქართული წყაროებისათვის. ჩვეულებრივ ტაოს აღნიშნავენ გამოთქმით: „ტაონი". მისი დაკვირვევით, „უმრავლესი ტაო" მიანიშნებს, რომ ეს მხარე მთლიანად ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდათ ჯაყელებს და მისი ნაწილი კვლავ რჩებოდა ფანასკერტელ ერისთავთა ხელში, რომლებიც საქართველოს მეფის უზენაესობას აღიარებდნენ (იხ. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, გვ. 14).

[103] თ. ჯოჯუა, „არტანუჯელის" ტიტული და საუფლისწულო დომენის საკითხი სამცხის სამთავროში (XIV ს.), გვ.89-91.

[104] მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ.265-271.

[105] ჟამთააღმწერელი, გვ.297.

ამტკიცა. ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი საათაბაგოზე საქართველოს მეფის სიუზერენობის აღდგენას ნიშნავდა[106], მაგრამ „ხელმწიფობას“ მიჩვეული ჯაყელთა სამთავრო სახლი ადვილად ვერ ეგუებოდა ახლად გაერთიანებული საქართველოს მეფის იურისდიქციაში ყოფნას. გიორგი ბრწყინვალის მემკვიდრეების დროს პოლიტიკური გარემოცვა და სოციალური განვითარების საერთო ტენდენციები სამცხის მთავრებს ფართო შესაძლებლობებს აძლევდა ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ესარგებლათ.

მონღოლთა მფარველობის დროს სამცხის სამთავრო საქართველოს სხვა ნაწილებისგან პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობით გამოირჩეოდა, რამაც აღმოსავლეთ საქართველოდან და სხვა მეზობელი რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციას და ახალ აღმშენებლობით პროცესებსაც შეუწყო ხელი.

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე საათაბაგოს ჭანეთიც შეემატა (იგი ტრაპიზონის იმპერატორმა გადასცა ბექა ჯაყელს), მაგრამ XIV საუკუნის მეორე ნახევარში ეს პროვინცია ბერძნებმა უკან დაიბრუნეს[107]. XIV საუკუნის 20-იან წლებში სამცხის ათაბაგების საბრძანებელში სპერიც შემოდიოდა[108].

XIV საუკუნეში იმიერტაოს კილიკიის სამეფოდან სომხური მოსახლეობის ახალი ტალღა მოაწყდა, რომელიც მშვიდობიანად თანაცხოვრობდა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან[109]. ამ ვითარების ანარეკლს ვხედავთ XIV-XV საუკუნეებში ხახულისა და სხვა მონასტრების ქართული და სომხური მრევლის მოსახსენებლებსა და საკუთრივ სომხური ხელნაწერების მინაწერებში[110]. ტაოელი სომხების ქართველებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ზოგჯერ ასიმილაციის მაგალითები გვიანდელ წყაროებშიც ჩნდება. XVII საუკუნის სომეხი ავტორის, იაკობ კარინელის ცნობით, ტაოს მოსახლეობას ტომითა და რწმენით ქართველნი შეადგენდნენ, თუმცა სომხურ ენაზეც ლაპარაკობდნენ. მისივე მოწმობით, ამ საუკუნეში ჯერ კიდევ ქართველებით ყოფილა დასახლებული იშხანანიტის ხეობის სოფლები, „სადაც არის ქართველთა დიდებული მონასტრები ხახული, ოშკი, იშხანი, რომელთა მსგავსი მხოლოდ კონსტანტინოპოლში აია სოფიას ტაძარი თუ იქნება“[111].

XIV საუკუნის ბოლო მესამედიდან მოყოლებული XVI საუკუნის პირველ ნახევრამდე, საქართველოს მეფეებს სხვადასხვა – ძალისმიერი თუ დიპლომატიური – საშუალების გამოყენება უხდებოდათ სამთავროს მესვეურთა გაზრდილი სეპარატისტული განწყობების ასალაგმავად, მაგრამ, საბოლოოდ, ამ პროცესში სამეფო ხელისუფლებამ მარცხი განიცადა. ჯერ ალექსანდრე I-ის (1412-1442), შემდეგ გიორგი VIII-ის (1446-1466) წინააღმდეგ ათაბაგ ყვარყვარე (II) ჯაყელის (1451-1498) შეურიგებელმა ბრძოლამ დიდად შეუწყო ხელი ერთიანი ქართული მონარქიის დაშლას[112]. 1459 წელს, როდესაც ანტიოსმალური კოალიციის შესაკრავად საქართველოში პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი ჩამოვიდა, მეფე-მთავარს შორის ერთხანს ზავი ჩამოვარდნი-

---

[106] ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობის დასასრული და ქვეყნის პლიტიკური მთლიანობის აღდგენა, გვ.629.

[107] ზ. აბაშიძე, ვ, ვაშაკიძე,ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი, ყოველი საქართველო, გვ. 91.

[108] ჟამთააღმწერელი, გვ.გვ. 312, 273,304.

[109] გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIIII საუკუნეებში, გვ. 124-126.

[110] თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, გვ. 69.

[111] ი. ხოსიტაშვილი, XVII საუკუნის სომეხი ავტორის იაკობ კარინელის ცნობები ტაო-კლარჯეთის შესახებ, გვ. 75.

[112] ბ. ლომინაძე, ერთიანი საქართველოს დაშლა, გვ.739-740.

ლა[113]. ყვარყვარე ათაბაგი ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი და 20000 ცხენოსანი ჯარის გამოყვანის პირობასაც დებდა[114], მაგრამ როგორც კი ჩაიშალა ანტიოსმალური კოალიცია, ყვარყვარე ათაბაგმა კიდევ უფრო მეტი მონდომებით გააგრძელა ბრძოლა გიორგი VIII-ის წინააღმდეგ. 1465 წელს მან მეფე დაატყვევა კიდეც და მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლა, რაც ცოლად თავისი ასული თამარი შერთო[115]. ამასობაში ქართლს დაეუფლა იმერეთის მეფე ბაგრატი და გიორგი მეფე იძულებული შეიქნა კახეთში გადასულიყო.

1461 წლიდან, ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, სამცხე-საათაბაგოს უშუალოდ გაუმეზობლდა ოსმალეთის ექსპანსიური იმპერია, მაგრამ საათაბაგოს მთავართა სწრაფვა პროვინციული დამოუკიდებლობისაკენ ამ ფაქტმაც ვერ შეაჩერა. ამან დიდად განაპირობა ისტორიულ მოვლენათა უაღრესად დრამატული განვითარება: 1532 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის დაიწყო ომი, რომლის ერთ-ერთი ფრონტის ხაზი სამცხე-საათაბაგოზე გადიოდა. ამასიის ზავის (1555) შედეგად სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – კლარჯეთი, შავშეთი, ტაო – ოსმალეთმა დაიკანონა, აღმოსავლეთი ნაწილი კი, სადაც ათაბაგთა ხელისუფლება ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული, – ირანმა[116]. 1578 წელს მოწინააღმდეგეთა შორის განახლებული ომის შედეგად ოსმალებმა ახალციხე დაიჭირეს, რომელიც ახალი ადმინისტრირებით ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს ცენტრი გახდა. 1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ახალი საზავო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთის ხელში გადავიდა[117].

საქართველოსათვის ამ საბედისწერო მოვლენებს ქართლისა და იმერეთის მეფეები გულხელდაკრეფილები როდი შეჰყურებდნენ. იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565) და ქართლის მეფეები: ლუარსაბ I (1527-1556) და სვიმონ I (1556-1609) დიპლომატიური საშუალებებით, ქორწინებითი კავშირებით, დაბოლოს, სამხედრო ძალითაც კი, არაერთგზის ცდილან საათაბაგოს დაბრუნებას საქართველოს მეფეთა იურისდიქციაში და მის დაცვას ოსმალთა გარდუვალი ანექსიისაგან, მაგრამ ჯაყელთა პოლიტიკურ მიდრეკილებებს, რასაც, ყველაფერთან ერთად, ზურგს უმაგრებდა მტერთან თანამშრომლობის სამწუხარო პრაქტიკა, ვერ მოერივნენ[118]. ირან-ოსმალეთის გახანგრძლივებული ომის დროს ქართლისა და იმერეთის მეფეებს მარტო უხდებოდათ ბრძოლა იმ დროისათვის უძლიერეს ოსმალურ არმიასთან, რომელიც ნაჭერ-ნაჭერ იკავებდა საათაბაგოს მიწა-წყალს. 1535 წელს იმერეთის მეფემ, ბაგრატ III-მ, საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი შეიერთა და აქ საკმაოდ ეფექტური ადმინისტრაციული და საეკლესიო პოლიტიკის გატარებას შეუდგა. ტაოში ბაგრატმა წინა საუკუნეში გაუქმებული ერისთავის ინსტიტუტი აღადგინა და მმართველობა ადგილობრივ გავლენიან ფეოდალს გიორგი კავკასიძეს ჩააბარა[119]. ამავე წლებში იშხნის კათედრაზე იგზავნება გაენათელ-ყოფილი მელქისედეკ სა-

---

[113] მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია, გვ.513.

[114] იქვე, გვ.გვ. 57,59, 596.

[115] ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.) გვ. 231-233.

[116] ვ. გუჩუა, საქართველო XVI საუკუნის 50-70-იან წლებში, გვ. 127.

[117] მ. სვანიძე, სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის მიწურულში, გვ.გვ. 127, 150.

[118] ჯაყელთა სამთავრო სახლი, იმის მიხედვით, ვისკენ გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი, თანამშრომლობდა როგორც ირანთნ, ისე ოსმალეთთან. 1579 წელს მანუჩარ ჯაყელმა სულთნის კარზე ისლამი მიიღო და თავის 10 წლის შვილსაც მიაღებინა (იხ. ნ. პაპუაშვილი, ძმები ათაბაგები კონსტანტინოპოლში და აუგსბურგის აღსარება).

[119] თ. ჯოჯუა, XVI-XVIII საუკუნეების ხელნაწერი კრებული.... გვ.გვ.359, 371-373.

ყვარელიძე, მაწყვერლად – ნიკორწმინდელი მანოელ ჩხეტისძე[120]. თითქმის იმავდროულად ქართლის მეფე ლუარსაბ I-მა ჯავახეთი დაიკავა[121]. ამავე პერიოდში შედგენილ სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხის მიხედვით, ამ დიდმნიშვნელოვან პროცესში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ეკლესიაც – აჭარის ერთი ნაწილი ქუთათელის სამწყსოშია შეტანილი, მეორე – ქართლის კათალიკოსის[122]. როგორც ეტყობა, სამეფო ხელისუფლების კვალდაკვალ ეკლესიაც ცდილობს ძველი მფლობელობის აღდგენას ამ მხარეში, მაგრამ სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ, 1545 წელს, სოხოისტასთან ორივე მეფემ მძიმე მარცხი იწვნია ოსმალთაგან. 1547 წელს ოსმალებმა გურიას ჩამოაჭრეს ჭანეთი და გონიოს ციხე დაიჭირეს[123]. ამავე 1547 წელს ირანის შაჰმა ლუარსაბ I აიძულა ჯავახეთი დაეტოვებინა[124]. 1553 წელს ოსმალთა ხელში უკვე მთელი ჭოროხის ხეობა იყო მოქცეული[125]. 1609 წელს გურიის მთავარმა მამია გურიელმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა აჭარის დასაბრუნებლად[126], მაგრამ მისი წარმატება მეტად ხანმოკლე გამოდგა.

საქართველოსათვის ასეთ მძიმე საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს მმართველები არაერთგზის შეეცადნენ სამთავროს ეკლესიურ გამოყოფასაც ქართლის კათალიკოსის კანონიკური სივრციდან, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს მცხეთის ტახტის უკომპრომისო პოლიტიკის წყალობით[127]. ამ მიზნით ქართლის კათალიკოსები იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას: კანონიკურ უფლებებს, ინსტიტუციურ და სამართლებრივ მექანიზმებს[128].

XV საუკუნის 50-იან წლებში ათაბაგ ყვარყვარეს (II) მაწყვერელი და სამცხის ეპისკოპოსთა ერთი ნაწილი კათალიკოსის ხელდასხმის გარეშე განუმწესებია. ამას სამცხის დანარჩენი ეპისკოპოსების აღშფოთება გამოუწვევია. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით დავით (IV) კათალიკოსი თავად ჩავიდა საფარაში და საჯაროდ, უამრავი ხალხის თანდასწრებით შეაჩვენა („უჯუარობით და შეუნდობლობით“) კანონდამრღვევი ეპისკოპოსები[129]. მაგრამ საათაბაგოს ეკლესიის ცალკე გამოყოფის მცდელობები ამით არ დასრულებულა. ამას ხელს უწყობდა ის კულტურული გარემოც, რომელიც საათაბაგოში შეიქმნა ტრაპიზონიდან ლტოლვილი ბერძნების მომრავლების შედეგად. როგორც ყვარყვარე დიდისა და მისი ძეებისადმი მიძღვნილი ბერძნული პანეგირიკონიდან ირკვევა, ყვარყვარე დიდი და მისი ოჯახის წევრები მფარველობდნენ ბერძენ ლტოლვილებს, მათ განსწავლულ სასულიერო პირებს კი ადგილობრივი კათედრების დაკავებაში უწყობდნენ ხელს[130]. გარდა ტრაპიზონელი ბერძნებისა, საათაბაგოს ხშირად სტუმ-

[120] ნ. ჟღენტი, მელქისედეკ იშხნელის იდენტიფიკაციისათვის, გვ.46.

[121] ვ. გუჩუა, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, გვ.გვ.104, 107.

[122] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, გვ.194.

[123] ვახუშტი, გვ. 814

[124] ვ. გუჩუა, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, გვ. 108.

[125] იქვე, გვ. 109-110.

[126] ვახუშტი, გვ.724; გ. ჯამბურია, დასავლეთ საქართველო XVII საუკუნის პირველ მესამედში, გვ. 298.

[127] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), გვ. 85-98.

[128] იქვე, გვ.გვ. 85-86, 91-92; მ. სურგულაძე, „მცხეთის სახლი“, გვ. გვ.76-77, 90.

[129] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), გვ.92.

[130] ასეთი პირია, მაგ., „მღვდელთმთავართ მთავარი“ სუიმონ მაწყვერელი. მისი მესაჭეობის დროს მზეჭაბუკმა აწყურის ღმრთისმშობელს შესწირა ზარზმის მონასტერი (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ.36).

რობდნენ ოსმალური გადასახადებისაგან შეწუხებული ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები და სხვადასხვა რანგის მღვდელმთვრები[131], რომელთა პირდაპირ ინტერესებში შედიოდა საათაბაგოს ეკლესიის დაქვემდებარება. რასაკვირველია, განათლებული, სწავლული ბერძნების გარემოცვაში ყოფნა მხოლოდ უღრმავებდა სამცხის ათაბაგებს უამისოდაც მომეტებულ პოლიტიკურ ამბიციებს და სამცხის ეკლესიის ანტიოქია-კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში გადაყვანის სურვილს უძლიერებდა.

ეკლესიური გამოყოფის წარუმატებელი მცდელობა ჰქონდა მზეჭაბუკ ათაბაგსაც (1500-1515), რომელსაც საგანგებოდ მოუწვევია ანტიოქიის პატრიარქი, რათა ამ უკანასკნელს მაწყვერლისათვის საათაბაგოს ეპისკოპოსთა კურთხევის უფლება მიენიჭებინა. ანტიოქიის პატრიარქსაც შეუდგენია შესაბამისი დოკუმენტი არაბულ ენაზე, რომელიც მაშინვე უთარგმნიათ ქართულად (Sd-303)[132]. მაგრამ ეს დოკუმენტი, როგორც ირკვევა, მხოლოდ მზეჭაბუკის ზეობაში ამოქმედებულა (მაწყვერლად მან ბერძენი სამღვდელო პირი დასვა), რადგან მცხეთას საათაბაგოში ძლიერი დასაყრდენი ჰქონდა – გარდა ერთგული მღვდელთმთავრებისა, იგი ეყრდნობოდა საკუთარ მრავალრიცხოვან სამწყსოს, რომელსაც მცხეთისადმი ერთგულების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია უმაგრებდა ზურგს. ეს იმდენად ანგარიშგასაწევი ძალა ყოფილა, რომ მომდევნო ათაბაგების დროს მცხეთისაგან გამოყოფის საკითხი აღარ დამდგარა[133]. ქართლის კათალიკოსების ხელში იყო აგრეთვე, კანონიკური მორჩილების უმთავრესი იარაღი – ადგილობრივ ეპისკოპოსთა ხელდასხმა-დალოცვის უფლება და, ურჩობის შემთხვევაში, მათი წყევა-შეჩვენებისა.

ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობამ საქართველოს ცენტრალური რეგიონებისაკენ მოსახლეობის დიდი მიგრაციული ტალღების დაძვრა გამოიწვია. ადგილზე დარჩენილები ერთხანს ინარჩუნებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, მაგრამ გადასახადის დამძიმებასთან ერთად მათი რიცხვი სწრაფად კლებულობდა[134]. ვახუშტის ცნობით, XVIII საუკუნის დასაწყისში აღარვინ იყო ქრისტიანე, არამედ იგინიცა მცირედ სამცხეს, თვინიერ ჯავახეთისა და უმცირესად შავშეთს, აჭარას და არტაანს[135]. ადგილობრივი ეპარქიები, რომლებიც, დიდი ალბათობით, კონსტანტიპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იქნა მოქცეული, მრევლის შემცირების გამო ჯერ ერთმანეთს შეუერთეს, შემდეგ კი საერთოდ გააუქმეს[136].

ასეთ პირობებში ძველი სამონასტრო კერები დაიცალა, სამონასტრო ბიბლიოთეკების ხელნაწერების ნაწილი ლტოლვილმა ბერმონაზვნობამ თან წამოიღო, ნაწილი ომის ქარცეცხლში განადგურდა, ნაწილი კი ოსმალთა ნადავლად იქცა, რომლებიც შემდგომში აღმოსავლეთის ბაზრებზე იყიდებოდა. არაერთი ასეთი ხელნაწერი უცხოეთში მყოფ ქართველებს აღმოუჩენიათ და სამშობლოში დაუბრუნებიათ.

---

[131] დ. კლდიაშვილი, ჯაყელთა კიდევ ერთი საგვარეულო მატიანე ქუთისის ისტორიული მუზეუმიდან, გვ.225.

[132] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, გვ.40.

[133] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), გვ. 95-96.

[134] ლ. დავლიანიძე, ჰაკობ კარნეცის ერთი ცნობის გამო, გვ. 250-252.

[135] ვახუშტი, გვ.736.

[136] ც. აბულაძე, სულტან მეჰმედ IV სიგელი იოანე ბერის მაწყვერლად დანიშვნის თაობაზე, .199; შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ.300-302.

სამონასტრო ცხოვრება და მწიგნობრობა

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის პერიოდი ემთხვევა ბერმონაზვნური მოძრაობის აყვავების ხანას ეგვიპტის უდაბნოებსა და სირია-პალესტინაში. ბერ-მონაზვნები მრავლად იყვნენ საქართველოს უშუალო მეზობელ ქვეყნებშიც – კაპადოკიაში, სომხეთსა და ალბანეთში. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ამ მოძრაობას საქართველოშიც ექნებოდა გამოძახილი, მით უფრო, რომ IV-V საუკუნეებში საქართველოდან იერუსალიმისაკენ დაძრული მომლოცველები უშუალოდ იძენდნენ აგვარ გამოცდილებას, მაგრამ იმდრინდელ საქართველოში ბერმონაზვნური ცხოვრების შესახებ უკიდურესად მწირი ცნობებია შემონახული – შედარებით მკაფიო მინიშნებები ამის შესახებ შეიმჩნევა ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში. ისინი შეეხება ბერული ასკეზის განდეგილურ ფორმას[1]. რაც შეეხება სამონასტრო ბერმონაზვნობის ისტორიას, წერილობითი წყაროების არარსებობის გამო მას, ჩვეულებრივ, სირიელი მამების (VI ს.) ჩამოსვლის დროიდან იწყებენ. უკანასკნელ ხანს გამოიცა შ. მათითაშვილის ნაშრომი, რომელშიც გაანალიზებულია IV-V საუკუნეების საქართველოში ბერმონაზვნური მოძრაობის შესახებ ქართულ და უცხოურ წყაროებში მოძიებული ყველა პირდაპირი თუ ირიბი მოწმობა და მასთან ერთად სამონასტრო ცხოვრების ტიპოლოგიის საკითხები, მიკვლეულია როგორც ანაქორეტ ბერმონაზონთა, ისე ასკეტური სამონასტრო თემების არსებობის დამადასტურებელი ცნობები ქართულ აგიოგრაფიასა („ნინოს ცხოვრება“, „შუშანიკის წამება“) და საისტორიო მწერლობაში (ჯუანშერი)[2].

V საუკუნიდან ქართველი ბერები მკვიდრად ჩანან წმ. მიწაზე, იმდროინდელი მსოფლიო ქრისტიანობის მიზიდულობის ცენტრებში. უეჭველია, მათი უმეტესობა იზიარებდა ეპოქის ბერმონაზვნობის ასკეტურ იდეალს – მეუდაბნოვის განმარტოებულ ცხოვრებას, შესაძლოა, განთქმულ ანაქორეტებთან მოწაფეობითაც გადიოდნენ სულიერ წვრთნას, მაგრამ ისტორიამ ასეთთა სახელები ნაკლებად შემოგვინახა. სამაგიეროდ, შედარებით უკეთ ვიცნობთ იმ ბერთა სახელებს, რომელთა ღვაწლი კვინობთან[3], ანუ სამონასტრო ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული – ასეთები თავადაც აარსებდნენ მონასტრებს (მაგ.,V საუკუნეში პეტრე იბერი და იოანე ლაზი), ან უკვე არსებული რომელიმე დიდი მონასტრის (მაგ., სვიმეონ მესვეტის)[4] ძმობის წევრები ხდებოდნენ. კ. კეკელიძე საფუძვლიანად ვარაუდობდა, რომ ქართველები მრავალად იქნებოდნენ წარმოდგენილნი ისეთ განთქმულ ლავრებში, როგორებიც იყო წმ. ხარიტონის, ექვთიმის, წმ. თეოდოსისა და საბა განწმედილის მონასტრები, რომლებშიც სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანები იყრიდნენ თავს და „ქრისტესმიერ ძმობაში“ თანაცხოვრების გამოცდილებას ეზიარებოდნენ. დანამდვილებით ცნობილია V საუკუნის მიწურულს ქართველი ბერების არცთუ ისე მცირერიცხოვნობა საბა განწმედილის მამათა მონასტერში, რის გამოც მათ უფლება მიეცათ დედაენაზე ეკითხათ სახარება და სამოციქულო. ეს ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია

[1] ე. გ.აბიძაშვილი, ასკეტურ-მისტიკური ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობა, გვ. 389-390, 396.

[2] შ. მათითაშვილი, ქართული ბერმონაზვნობის ისტორია, I, გვ.გვ. 9, 168-172, 186-187, 207-208.

[3] ტერმინი კვინობი ქართულ სამწერლო ტრადიციაში ჩანს XI საუკუნის ტექსტებიდან (იხ. იხ. მამათა ცხოვრებანი, გვ. 245).

[4] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 89.

იმ მხრივაც, რომ ადასტურებს ამ დროისათვის ქართულ ენაზე წმ. წერილის არსებობას[5]. ამ-რიგად, კვინობური ცხოვრების წესი ქართველ ბერთათვის ადრეული საუკუნეებიდანვე ნაცნობი იყო. ეს ტიპები სამონასტრო ცხოვრებისა კიდევ უფრო განვითარდა საქართველოში ე.წ. სირიელ მამათა ღვაწლის შედეგად. მათი პრაქტიკული საქმიანობა – მისიონერობა, კურნება, სასწაულთქმედება[6] – ძირითადად მათ მიერვე დაფუძნებულ (გარეჯა, შიომღვიმე) სამონასტრო ცენტრებში მიმდინარეობდა, რამაც ადგილობრივ მკვიდრთა შორის მრავალი მიმდევარის გაჩენა განაპირობა. სირიელი ასკეტები სვიმეონ მესვეტის მოწაფეები და მიმდევრები იყვნენ და, ცხადია, სვიმეონწმიდის მონასტრის განგებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ, უცნობია, იყო თუ არა ეს განგება წერილობით ფიქსირებული (სვიმეონწმიდის წერილობით განგებას იცნობს ერთი გვიანდელი ქართული ძეგლი – დავით აღმაშენებლის ანდერძი)[7]. დიდი ალბათობით, იგი ზეპირი გზით ინერგებოდა მოწესეთა შორის. წყაროთა ჩვენებით, ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში კვინობზე მეტად მაინც უპირატესობას ანაქორეტულ „თავისუფლებასა და მასთან ახლო მდგომ ლავრის ტიპის ორგანიზაციას“ ანიჭებდნენ[8]. ამაზე მიანიშნებს აგიოგრაფიულ ლიტერატურაში შემორჩენილი ცნობები ამა ქვეყნისაგან განდგომილთა განსაკუთრებულ მრავალრიცხოვნობაზე. მაგ., „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ, როცა ილარიონ ქართველმა უარი განაცხადა მამის მიერ აშენებულ მონატერში ცხოვრებაზე, „უშინაგანეს უდაბნოს“, გარეჯას მიაშურა, სადაც ერთ-ერთ „ქვაბში“ დაეყუდა სხვა „მრავალ კაცთა“ შორის[9]. ამაზევე მეტყველებს ენაში უხვად შემორჩენილი ცნებებიც სპეციფიკური „ბერული დაყუდებისა“ და შესაბამის ადგილთა მნიშვნელობებით (ვანი, მეუდაბნოე, მოსენაკე, დაყუდებული/შეყენებული, პარეხი/პარეხელი); ამაზევე მიანიშნებს თავად უძველეს სავანეთა (შიომღვიმე, გარეჯა) ხუროთმოძღვრული სახეც. ეს მონასტრები თავდაპირველად ლავრის ტიპის ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, რომლებიც საშუალებას აძლევდა მოწესეებს, თავიანთ ნებაზე განმარტოებულიყვნენ, მხოლოდ შაბათ-კვირაობით, როგორც ეს ხდებოდა დიდ ლავრებში[10], დასწრებოდნენ საერთო წირვა-ლოცვას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს შიომღვიმის ერთ გვიანდელ (XI-XIIსს.) საბუთში შემორჩენილი გამოთქმა, რომელშიც მღვიმის წინამძღვარი მონასტერს ლავრას უწოდებს[11]. სწორედ მსგავსი გარემოებანი ათქმევინებს გ. ფერაძეს, რომ საქართველოში (ისევე, როგორც აღმოსავლეთის საქრისტიანოში) ბერმონაზვნობის ყველაზე პოპულარული ფორმა ანაქორეტობა იყო. „წმინდანი გაურბის არა მარტო ამქვეყნიურ სამყაროს, არამედ თავის თანამოძმეებსაც კი. მხოლოდ რაიმე ხილვას ან რომელიმე ხელისუფლის თუ კეთილგონიერი ბერის ჩარევას უნდა ვუმადლოდეთ... რომ წმინდანი მონასტერში რჩება და თავის თავზე იღებს კვინობური ცხოვრების ტვირთს. ასეთი დამოკიდებულე-

[5] მ.თარხნიშვილი,წერილები, გვ. 52; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია,I, გვ.39.

[6] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 221-224; III, გვ. 126.

[7] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 54.

[8] გ. ფერაძე, ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, თ. ჯუმბურიძის გამოკვლევითა და რედაქციით, .გვ. 71,115.

[9] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 11.

[10] Л. Карсавин, Монашество в средние века.Гл.I. Начало монашества, Online library: http://www.gumer.info/bogoslov-Buks/History-Church/Karsav/01.php; ე. გაბიძაშვილი, ასკეტიკურ-მისტიკური ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობა, გვ.335.

[11] ქართული ისტორიული საბუთებს კორპუსი, I, გვ. 18.

ბა ჩემთვის სრულიად გასაგებია, თუმცა ამით ხალხისათვის ბევრი სულიერი და კულტურული ღირებულება იკარგება“[12]. გ. ფერაძეს უსათუოდ მხედველობაში ჰქონდა ის გარემოებაც, რომ ბერული მოძრაობის ადრეულ ეტაპებზე (სხვადასხვა ქვეყანაში ეს ეტაპები სხვადასხვა დროს დგება) ცოტანი იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე ბერები, რადგან მარადიული ხსნისათვის ზრუნვა არა წიგნიერებას, არამედ სულის წვრთნას მოითხოვდა, რომელსაც ცხოვრებისაგან განდგომილნი ასკეზის რომელიმე ფორმის შერჩევით ან სულიერი მოძღვრის მიბაძვით აღწევდნენ[13]. ამდენად, ბერმონაზვნობაში თავიდანვე სუფევდა წიგნიერებისადმი ორგვარი დამოკიდებულება – წმ. წერილის ცოდნა აუცილებელი იყო, მაგრამ „ ს ხ ვ ა “ წიგნი ბერული ცხოვრების მიმდევართათვის ხიფათსაც შეიცავდა, რადგან მისგან უნებლიეთ სულისათვის უსარგებლო, ცრუ ცოდნა შეიძლებოდა შეეძინათ[14]. ამიტომ დამწყებ ბერებს წმ. წერილისა და ლოცა-გალობის შესწავლა ზეპირი გზით, ავტორიტეტული მოძღვრის „მოსმენით“ უწევდათ[15]. ბერძნული აგიოგრაფიის გმირებს ადრინდელი ავტორები ხშირად იმის გამო აქებენ ხოლმე, რომ ისინი „ გ ა - რ ე შ ე ს ი ბ რ ძ ნ ე ს “ არასოდეს გაჰკარებიან[16]. „გარეშე სიბრძნე“ ქრისტიანულ მწერლობაში უპირისპირდება „საღვთო სიბრძნეს“, მაგრამ მასში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ანტიკური წარმართული სიბრძნე, ასევე მწვალებლური მოძღვრება ან არასაღვთისმეტყველო, „ბუნებითი“ სიბრძნე (მეცნიერული ცოდნა)[17].

იმის შესახებ, თუ რა მოცულობის განათლება ჰქონდათ ქართველ ბერ-მონაზვნებს, შეიძლება მიახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მიხედვით. თავად გრიგოლს სამრევლო ეკლესიისათვის ამზადებდნენ და მისი სასწავლო „პროგრამაც“ ამ მიზანს შეეფარდებოდა. გრიგოლმა, როგორც გიორგი მერჩულე იუწყება, „...მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დ ა ვ ი თ ი და ხ მ ი თ ა ს ა ს წ ა ვ ლ ე ლ ი ს წ ა ვ ლ ა ჲ საეკლესიოჲ, სამო-

[12] გ. ფერაძე,ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, გვ.გვ. 28-30, 117-118.

[13] პატრისტიკულ თხრობებში მრავალი მაგალითი აჩვენებს, რომ მოძღვრები თავიანთ მოწაფეებს სულის ხსნისათვის წიგნების კითხვაზე მეტად „მარგებელი საქმის“ (მოყვასის შეწევნა) კეთებას ურჩევდნენ. მაგ., ერთ-ერთი ნოველის მიხედვით, მამა თევდორე, რომელმაც სამი „კარგი წიგნი“ მოიგო, მამა მაკარის ეკითხება, რა უფრო ჯობია, წიგნების დატოვება თავისთვის და ძმებისთვის, თუ მათი გაყიდვა და მონაგების გლახაკთათვის გაყოფა? მოძღვარმა მიუგო: „კეთილ არს სიტყუანი, გარნა უმჯობეს არიან საქმენი“ (თეოფილე ხუცესმონაზონი, გვ. 280-281).

[14] შდრ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების „გარეშე სიბრძნე“, - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.250; იხ. აგრეთვე თეოფილე ხუცესმონაზონი, გვ. 435; იხ. აქვე მოძღვრისაგან ბერის დამოძღვრის ეპიზოდი: „ნუ შეუშვებ დედაკაცსა სენაკად შენდა და ნუ *აღმოიკითხავ წიგნსა დაფარულსა* და ნუ გამოეძიებ ხატისათვის, რამეთუ დაღაცათუ არა არს ესე წვალება, გარნა შრომასა შეგამთხვევს ცუდი ძიებაჲ, და რამეთუ საღმრთოჲ საქმე სრულად მიწთომად არს ყოველთა დაბადებულთა...“ (გვ. 508).

[15] შდრ. მაგ., ერთ-ერთი ასკეტი ბერის სიტყვები: „ათოთხმეტი წიგნი ვიცი ზეპირით...“ (თეოფილე ხუცესმონაზონი, გვ. 414; იხ. აგრეთვე თ. ცერაძე, სამონასტრო ცხოვრება და განსწავლა ქრისტიანულ ასკეზაში, გვ. 150, იქვე ვრცელი ლიტერატურა).

[16] А.П.Каждан, Книга и писатель в Византии, с. 45.

[17] რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, გვ. 234. „გარეშე სიბრძნისადმი“ დამოკიდებულება რადიკალურად იცვლება უკვე ათონური სკოლის მოღვაწეთა შორის. ამ დროს ფართოვდება სათარგმნი ლიტერატურული მასალის ჟანრი, დანიშნულება და, რაც მთავარია, ნათარგმნი ტექსტის დამუშავების ტექნიკა. ხდება ტექსტის აღჭურვა ფილოლოგიური კომენტარებით. თარგმანის პროცესი ორიენტირებული ხდება უფრო განათლებულ მკითხველზე და ემსახურება მისი ინტელექტუალური დონის ამაღლებას. ეს ტენდენცია, ქართულ მწერლობაში ელინოფილურ ეტაპად წოდებული, კიდევ უფრო გაღრმავდა XI საუკუნის მეორე ნახევარში ანტიოქიურ სკოლაში (დაწვრილებით იხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თრგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, გვ. 8-9).

ძღვროდ, ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობადცა ისწავა მრავალთა ენათადცა და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა“[18]. ამ პასაჟის მიხედვით, გრიგოლს ზეპირად დაუსწავლია ფსალმუნთა წიგნი და რვა ხმაზე გაწყობილი საგალობლები (ე.წ. ხმეანი)[19]. ამასთანავე, ირკვევა, რომ გრიგოლი სასწავლო მასალას განურჩევლად როდი იღებდა: „ამა სოფლისა ფილოსოფოსთა სიბრძნეს“, მართალია, დიდი ცნობისწადილით ეწაფებოდა, მაგრამ ერთმანეთისაგან მკაფიოდ განარჩევდა „კეთილ“ სიტყვას „ჯერკუალისაგან“. ამავე დროს გრიგოლი სწავლობდა უცხო ენებს, ეცნობოდა „გარეშე სიბრძნესაც“, მაგრამ მას კრიტიკულად უდგებოდა, განაქიქებდა: „ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ“[20]. ცნობილია, რომ გრიგოლს საეპისკოპოსო კათედრას სთავაზობდნენ და იმდროინდელი კრიტერიუმების მიხედვით, მისი განათლებაც საამისოდ საუკეთესო იყო. თუ შევადარებთ მისი სწავლების შინაარსს ადრეული ეპოქის ბერების ცოდნის მოცულობას, აღმოვაჩენთ, რომ იგი აღმატებოდა კიდეც დამწყები ბერისათვის აუცილებელ ცოდნას. ადრეულ შუა საუკუნეებში (IX საუკუნემდე) ბიზანტიაშიც კი, საეკლესიო წოდებას არ მოეთხოვებოდა მაინცა და მაინც ფართო განათლება. VII მსოფლიო კრების (787) მეორე დადგენილების თანახმად, ეპისკოპოსსაც კი ზედმიწევნით მხოლოდ ფსალმუნის ცოდნა ევალებოდა, ხოლო წმ. წერილის დანარჩენ ნაწილებზე საკმარისი იყო ზოგადი წარმოდგენის შექმნაც[21]. გრიგოლის სწავლების შინაარსი ბევრ მსგავსებას პოულობს ბიზანტიელ წმინდანთა ადრეულ „ცხოვრებებში“ აღწერილ სწავლებასთან. ბიზანტიაშიც წერა-კითხვასთან ერთად მოსწავლეებს დაწყებით სკოლაში ზეპირად ასწავლიდნენ ფსალმუნს და საეკლესიო გალობას[22]. თხზულების სხვა ადგილას, სადაც ლაპარაკია გრიგოლის განსაცვიფრებელ მეხსიერებაზე, აგიოგრაფი ამბობს, რომ, გარდა ფსალმუნისა, გრიგოლს ზეპირად დაუსწავლია „ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი (კანონიკური) წიგნნი ... და მრავალნი წიგნნი ძველისაცა შჯულისანი“. ასევე ზეპირად სცოდნია „დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღვართა თქმულნი აღურაცხელნი...“[23] (იგულისხმება აპოკრიფული ლიტერატურა). ავტორი იმასაც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გრიგოლმა მრავალი ენა შეისწავლაო, მაშინ, როდესაც ბიზანტიის სკოლებში უცხო ენების სწავლებას საჭიროდ არ მიიჩნევდნენ[24].

მაგრამ გრიგოლ ხანცთელის შემთხვევის განზოგადება სხვა ქართველ ბერებზე ნაკლებად გამოდგება, რადგან გრიგოლი აღიზარდა ნერსე ქართლის ერისმთავრის ოჯახში, სადაც

---

[18] ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ.250.

[19] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 055, სქოლიო1.

[20] ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ.250.

[21] А.П.Каждан, Книга и писатель в Византии, с. 44.

[22] იქვე, გვ. 47.

[23] ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ.282.

[24] А.П.Каждан, Книга и писатель в Византии, с.с. 63,65. ბერძნული, მართალია, ერთ-ერთი იყო შუა საუკუნეების სამ (ებრაული, ლათინური, ბერძნული) წმინდად მიჩნეულ ენათაგან, მაგრამ გამომსახველობითი საშუალებებით, ლექსიკის სიმდიდრითა და გამოყენების ფართო არეალით (როგორც გეორაფიული, ისე ფუნქციური) ქრისტიანულ სამწერლობო ტრადიციაში იგი ორ დანარჩენს აღემატებოდა. მიუხედავად ბერძნულის ასეთი მაღალი სტატუსისა, აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, საეკლესიო მწერლობა, მართალია, ბერძნულიდან თარგმანის გზით, მაგრამ მაინც ეროვნულ ენებზე განვითარდა. ამიტომ ამ ქვეყნებში ადგილობრივმა ენებმა ადრევე შეიძინეს ეთნიკურ-კულტურული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი ნიშნის ფუნქცია.

მას იმდროინდელი საქართველოს პირობებში საუკეთესო განათლება შეეძლო მიეღო. გრიგოლის მსგავსი განათლება უნდა ჰქონოდათ მის უახლოეს ნათესავ საბას და თანამოაზრეებს, თეოდორესა და ქრისტეფორეს. რაც შეეხება იმ ბერების ცოდნას, რომლებიც გრიგოლსა და მის მეგობრებს ოპიზაში დახვდნენ, ამის შესახებ არაფერი ვიცით, სამაგიეროდ ცნობილია მათი ცხოვრების წესი, რომელიც მაინცადამაინც წიგნიერებას არ მოითხოვდა და დიდ მსგავსებას ამჟღავნებდა ადრეული ეპოქის ასკეტთა ყოფასთან. ამასთან, ცნობილია ისიც, რომ გრიგოლის კლარჯეთში ჩასვლის დროს ოპიზა[25] ერთადერთი მოქმედი მონასტერი იყო ამ მხარეში. დანარჩენი (პარეხნი, ტაძრები, მერე, შინდობანი) არაბთა გამანაგურებელ ლაშქრობას გაუუკაცრიელებია[26]. ოპიზა, როგორც ჩანს, შერეული, ლავრის ტიპის მონასტერი იყო, რომლის შემოგარენში, მონასტრის ბირთვისაგან განცალკევებით, ანაქორეტი ბერებიც ყოფილან მიმოფანტულნი. სწორედ მათთან არჩიეს დარჩენა გრიგოლმა და მისმა თანამოაზრეებმა და „ფიცხელ მონაზონურ ღვაწლში“ ორი წელი გაატარეს. აქ შეუსწავლიათ მათ „... ც ხ ო რ ე ბ ა ჲ მ ა რ ტ ო დ მ ყ ო ფ თ ა ჲ მათ სივრცესა მას შინა უდაბნოჲსასა, რომელნი-იგი იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწვანვილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა პურითა და რომელთაჲმე ესმოდა სახელი და რომელნიმე ფარულად იყუნეს...“[27]. აქვე დაუფლებიან ისინი სხვადასხვა „ბერულ „სათნოებათ“: „...რომელთაგანმე ლოცვასა და მარხვასა, რომელთაგანმე სიმდაბლესა და სიყუარულსა, რომელთაგანმე სიმშვიდესა და განურისხველობასა, რომელთაგანმე უპოვარებასა და ქუეყანასა ზედა წოლასა, გინათუ ზეჯდომით ძილსა, რომელთაგანმე უძლურებასა და ჴელთ-საქმარსა დუმილით და მსგავსთა ამათთა სათნოებათა...“[28]. ნამდვილი ანაქორეტი ჩანს ხანცთაში დამკვიდრებული ბერი ხუედიოსი, რომელიც მოსულებს სთხოვს, არ დაარღვიონ მისი მყუდროება და მის გარდაცვალებამდე თავი შეიკავონ ძმობის გამრავლებისაგან[29]. ზემოხსენებული ეპიზოდები გვარწმუნებს, რომ მარტომყოფობას და მასთან დაკავშირებულ ბერულ „სათნოებებს“ მოცემულ ეპოქაში ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ თავიანთი ცხოველმყოფელი მიმზიდველობა[30]. ამიტომაც ამბობს მერჩულე, რომ თავიდან გრიგოლსაც „ ს წ ა - დ ო დ ა მ ა რ ტ ო დ დ ა ყ უ დ ე ბ ა ჲ, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაჲ მარტოდ მყოფთაჲ“[31]. ამ სიტყვების ავტორი საუკეთესოდ გამოხატავს გრიგოლისა და მისი მეგობრების ბერულ იდეალს, სულისკვეთებას იმ ადამიანებისას, რომლებსაც თვით სამრევლო ეკლესიებში მსახურებაც კი, „ჴორციელ პატივად“ ესახებოდათ[32]. ამგვარი, შეიძლება ითქვას, იმედგაცრუებული, დამოკიდებულება „მსოფლიო“ (სამრევლო) ეკლესიისადმი გრიგოლ ხანცთელის მიერ შატბერდში სამონასტრო ადგილას წარმოთქმული ლოცვის ქვეტექსტშიც იკითხება, რომელსაც

---

[25] ოპიზის მონასტერი ააშენა ვახტანგ გორგასლის ერისთავმა არტავაზდმა. მეორედ აღუშენებია გუარამ აშოტის ძეს. ცხოვრება, I, .გვ.178, 260.

[26] სუმბატ დავითის ძე, გვ.376.

[27] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, გვ. 253.

[28] იქვე.

[29] იქვე, გვ. 255.

[30] იქვე, გვ.გვ. 253, 264.

[31] იქვე, გვ. 253.

[32] იქვე, გვ. 251.

იწყებს ფსალმუნის შემდეგი სიტყვებით: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი“ (ფსალმ. 126,1), – შემდეგ განაგრძობს: – აწ, უფალო, იყვნედ ყურნი შენნი მორჩილ ჴმასა ლოცვისა ჩემისასა და აკურთხე ადგილი ესე მადლით შენითა და აღაშენე მონასტერი განსასუენებლად სიწმიდისა სამკვიდრებელთა შენთა...“[33] აქვე უნდა გავიხსენოთ თვით ქრისტიანობის შიგნით არსებული მწვავე დაპირისპირება ხატმებრძოლობასა და ხატთაყვანისმცემლობას შორის, რომელმაც, ისლამის მოძალების ფონზე, „ახალმოწამეობის“[34] და ქრისტიანული ასკეზის ახალ აფეთქებას შეუწყო ხელი.

თავდაპირველად გრიგოლმა და მისმა თანამზრახველებმა, როგორც მერჩულე მოგვითხრობს, ხანცთაში ხის ეკლესიასთან ერთად თითო-თითო სენაკიც აიშენეს[35], სადაც განმარტოებით ეწეოდნენ ბერულ ღვაწლს. ამ ცნობის მიხედვით, გრიგოლიც და მისი „ძმებიც“ ანაქორეტებად რჩებიან, მხოლოდ თანდათანობით, მას შემდეგ, რაც ხანცთას ბევრი მიმდევარი მოაწყდა, გრიგოლი გადადის კვინობურ ორგანიზაციაზე. გიორგი მერჩულე არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რამ შეაცვლევინა გრიგოლს თავდაპირველი არჩევანი. ეს კითხვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სამონასტრო (კვინობურ) ცხოვრების წესზე გადასვლა არსებითად ცვლიდა ბერმონაზვნურ „თავისუფალ“ ყოფას – იგი მოითხოვდა ორგანიზებულ საქმიანობას, რამაც ბერები შეაგუა შრომის დანაწილებას, სხვადასხვა სახის ფიზიკური და გონებრივი სამუშაოს შესრულებას, ე.წ. „ბერულ ხელთსაქმართ“. მაგრამ შრომა მონასტერში თავისთავად თვითმიზნად არ ითვლებოდა, იგიც ღვთის მსახურებად განიხილებოდა, რომელიც ბერს მდუმარე მორჩილებით და ლოცვის თანხლებით უნდა შეესრულებინა[36]. ასეთივე „ხელთსაქმრად“ იყო მიჩნეული კალიგრაფობაც და ხელნაწერთა გადაწერა-დამზადებაც[37]. რასაკვირველია, გრიგოლის მიერ დაარსებულ მონასტრებშიც ასეთივე დამოკიდებულება იქნებოდა შრომისა და, მათ შორის, მწიგნობრული საქმიანობისადმი. თუ რა გარემოებებმა იმოქმედა გრიგოლ ხანცთელის გადაწყვეტილებაზე, ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ იმჟამინდელი პოლიტიკური და კულტურული კონტექსტის ფარგლებში შეიძლება ვეძიოთ. უპირველესად, უნდა გავითვალისწინოთ გრიგოლის კულტურული ტიპი, რომელსაც აყალიბებდა მისი წარმომავლობა – ქართლის უმაღლესი არისტოკრატიისადმი კუთვნილება შესაბამისი აღზრდა-განათლებით, კულტურული თვალსაწიერით და მაღალი წოდებრივი პასუხისმგებლობით. ამავე დროს გრიგოლს აქვს ლიდერის გამორჩეული თვისებები: ნიჭიერება და ქარიზმატულობა, პრინციპულობა, უდრეკი ნებისყოფა და მიზანდასულობა, რამაც მას შეაძლებინა სამონასტრო მშენებლობის ორგანიზება და ძმათა მოზიდვა.

რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გრიგოლ ხანცთელისა და მისი პირ-

---

[33] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, გვ.273.

[34] ასეთივე აზრს დებს ე. ჭელიძე იოვანე საბანისძის მიერ აბო თბილელის მიმართ გამოყენებულ ცნებაში „ახალი“. ეს ცნება მოცემულ ეპოქაში გამოხატავდა ძველ, „პირველ“ მოწამეებთნ მიმართებას. ასეთივე მიმართება დასტურდება „ახალსა“ და „პირველს“ შორის მეუდაბნოე მამებზე აგიოგრაფიულ ტექსტებში მეუდაბნოე მამებზე თხრობისას. ე. ჭელიძე, როდის დაიწერა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“? გვ.211.

[35] იქვე, გვ.256-257.

[36] Л. Карсавин, Монашество в средние века.Гл.V. Начало монашества, Online library: http://www.gumer.info/bogoslov–Buks/History–Church/Karsav/01.php

[37] თ. ცერაძე, სამონასტრო ცხოვრება და განსწავლა ქრისტიანულ ასკეტიზმში, გვ.158.

ველი თანამოაზრეების ჩასვლა ტაო-კლარჯეთში უკავშირდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსაკენ დაძრულ იმ დიდ მიგრაციულ ტალღას, რომელიც VIII საუკუნის მეორე ნახევარში გააძლიერა ქართლში არაბთა ბატონობის უკიდურესმა დამძიმებამ და ხშირმა ომიანობამ. ამას თან დაერთო ქართლის ერისმთავართა სახლის (სადაც გრიგოლი აღიზარდა) დევნა-შევიწროვება, ეკლესიის დაძაბუნება, სარწმუნოებრივი რყევა და საერთო ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რაზედაც შთამბეჭდავად მოგვითხრობს იონე საბანისძე. ასეთ პირობებში გრიგოლ ხანცთელი ბერული განმარტოებისათვის ირჩევს კლარჯეთის მხარეს, სადაც შედარებით იშვიათად აღწევდა არაბთა ძალმომრეობა და ძლიერი იყო ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების გავლენა, რომლისთვისაც უცხო იყო მოჭარბებული აღმოსავლური ასკეტიზმი და სამოქალაქო ცხოვრებისაგან სრული გამიჯვნა. საფიქრებელია, ყოველივე ამან უბიძგა გრიგოლ ხანცთელს ინდივიდუალურ-პიროვნული ხსნის გზა „დაეთმო“ უფრო მეტი სულიერი ენერგიისა და გადამდები ენთუზიაზმის მატარებელი მონასტრული ცხოვრების წესის სასარგებლოდ.

გრიგოლ ხანცთელის პირველი მონასტრის აშენებას მალე მოჰყვა „ქრისტეს მსახურ ძმათა“ გამრავლება, რომლებიც მანამდე, თითო-ოროლანი, „მწყეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი“, გაფანტულნი ყოფილან ხანცთის მიდამოებში[38]. თუმცა, ტაო-კლარჯეთში „თავისუფლებისმოყვარე“ ანაქორეტი ბერების ასკეტური პრაქტიკა არც გრიგოლ ხანცთელამდე და არც შემდგომში სრულად არ გამქრალა (ასეთები ჩანან გრიგოლის მეგობრები თეოდორე და ქრისტეფორე, რომლებიც ორჯერ გაექცნენ ხანცთის სამონასტრე წესრიგს. ხანცთაში მობრუნების შემდეგაც დანარჩენი ბერებისაგან განცალკევებით ცხოვრობდნენ დამოწაფებულ ყრმებთან ერთად. ბერების ასეთსავე კატეგორიას მიეკუთვნება მიქელ პარეხელი, რომელსაც გრიგოლისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებები“ გვაცნობენ), მაგრამ არსებითად ტაო-კლარჯეთში მაინც მონასტრულმა წესრიგმა იმძლავრა, რამაც იმდროინდელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში სრულიად ახალი რეალობების შექმნა განაპირობა. გრიგოლის არჩევანის ისტორიულობას ადასტურებს ის გადამდები ენთუზიაზმი, რომელმაც გრიგოლის სიცოცხლეშივე იჩინა თავი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ამ მხარეს მონასტრული ცხოვრების მსურველთა ახალ-ახალი ნაკადები მოაწყდა, რამაც სამონასტრო მშენებლობას მანამდე არნახული მასშტაბი შესძინა.

მონასტრების მშენებლობათან დაკავშირებული მატერიალური სირთულეების დასაძლევად გრიგოლ ხანცთელი ადგილობრივ საერო არისტოკრატიას (დაფანჩულთა ოჯახი), მათ შორის, ტაო-კლარჯეთის მმართველ დინასტიას დაუკავშირდა. სულიერი მამებისა და საერო ხელისუფალთა ეს კავშირი სულ მალე ორმხრივ სასარგებლო თანამშრომლობაში („შეზავება“) გადაიზარდა, რომელშიც „სულიერი კეთილი“ ბერმონაზვნობას ეკუთვნოდა, ხოლო „ჭორციელი კეთილი“ – საერო ელიტას[39]. ამასთანავე, ბერმონაზვნობა შესანიშნავად იაზრებდა თავისი არჩევანის უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნის სულიერი აღორძინების საქმეში და ამას საკუთარი უპირატესობის განცდით შეახსენებდა ხოლმე მეფე-მთავრებს[40]. ეს უკანასკნელნიც მზად აღმო-

[38] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 264.

[39] იქვე, I, გვ. 260.

[40] იხ. იქვე, საბა იშხნელის სიტყვა, წარმოთქმული ბაგრატ კურაპალატის წინაშე, გვ. 274, აგრეთვე გრიგოლ ხანცთელის საუბარი დემეტრე მეფესთან, გვ. 269-270.

ჩნდნენ წმ. მამების დახმარებისათვის და დროთა განმავლობაში მათი საერთო ღვაწლით აქ, მართლაც, შეიქმნა „ახალი ქართლი“, რომელიც IX-X საუკუნეებში ქართული ქრისტიანული კულტურის მთავარ კერად იქცა[41].

მწიგნობრული კულტურის განვითარება ბუნებრივად მოჰყვა მონასტერთა გამრავლებას, რადგან ყოველი მონასტრის დაფუძნება ნიშნავდა ბერული ცხოვრების დაწერილი „განგების“ (ტიპიკონის) შექმნას და მის განუხრელ დაცვას, სხვა საღვთისმსახურო წიგნების, უპირველესად, წმ. წერილის გამრავლება-დასწავლას. სამონასტრო პრაქტიკამ ხელი შეუწყო „ზეპირი ცოდნიდან“ წიგნიერ ცოდნაზე გადასვლას – მან სავალდებულო გახადა წერა-კითხვის ცოდნა, რათა „ძმები“ თავად გასცნობოდნენ წმ. წერილსა და ე.წ. სულისმარგებელ წიგნებს[42] (ჰომილეტიკურ და ასკეტურ-პატრისტიკულ ლიტერატურას) და სხვ. წიგნზე გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ტაო-კლარჯეთის ყოველი მოზრდილი მონასტერი თვითონ ზრუნავდა – მონასტრებთან არსებობდა სკრიპტორიუმები[43], სადაც სრულდებოდა ხელნაწერის შექმნასთან დაკავშირებული სრული ციკლი – თარგმნა-რედაქტირება, ტექსტის გადაწერა, მოხატულობით შემკობა, აკინძვა, შემოსვა. ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერებში დამზადებული ხელნაწერები სანიმუშოა კალიგრაფიით, მხატვრული და ტექნიკური გაფორმების წესებით. ხელნაწერების გადაწერასთან ერთად აქვე მიმდინარეობდა გადასაწერი მასალის შერჩევა და, დღევანდელი გაგებით, ფილოლოგიური ძიებები. გარდა სემინარია-სკრიპტორიუმებისა, მონასტრებთან იქმნებოდა დიდი ან მცირე წიგნთსაცავები (ასე შეიქმნა მცირე წიგნთსაცავი ახლად დაარსებულ უბის მონასტერში: აქ გრიგოლ ხანცთელმა მღვდლად დატოვა ილარიონი, რომელსაც თან ჰქონდა იერუსალიმიდან ჩამოტანილი ხელნაწერები, ამას დაემატა საკუთრივ გრიგოლის წიგნები, რომლებიც მგზავრობისას თან წამოეღო)[44]. ბერული სენაკების განუყრელი ატრიბუტი გახდა ე.წ. „სულისმარგებელი“ წიგნები[45] (ასკეტიკა), რომლებსაც ბერები თვითონვე ამრავლებდნენ კერძო მოხმარებისათვის.

სამონასტრო ცხოვრების წესმა მნიშვნელოვნად დააცხრო ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნო-

---

[41] რ. სირაძე, ღვაწლი გრიგოლ ხანცთელისა, გვ. 51. ს. რეპი, კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის შექმნა, გვ.63.

[42] თ. ცერაძე, სამონასტრო ცხოვრება და განსწავლა ქრისტიანულ ასკეტიზმში, გვ. 153, 158.

[43] ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, ყოველ მონასტერთან იყო სემინარია-სკრიპტორიუმები, სადაც ხდებოდა მომავალი ბერების განსწავლა. ოშკის გეგმარების დახასიათებისას იგი აღწერს განცალკევებით მდგარ კვადრატული ფორმის თაღოვან ნაგებობას, რომლის მსგავსი ჰქონია ტაო-კლარჯეთის თითქმის ყველა დიდ ეკლესია-მონასტერს (ოპიზა, ხანცთა, ოთხთა ეკლესია, ბერთა). მისი აზრით, ამ ტიპის ნაგებობებს მრავალფუნქციური დანიშნულება ექნებოდა. აქ უნდა ყოფილიყო განთავსებული ბერების სატრაპეზო, შესაკრებელი ადგილი, სემინარია-სასწავლებელი, წიგნთსაცავი და სკრიპტორიუმი (იხ. ე. თაყაიშვილი, თხზულებანი I, გვ.გვ. 332-333,424). მონასტრებთან აღმოჩენილი დამხმარე ნაგებობათა ნაშთების შესახებ ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამს ვ, ჯობაძე (იხ. მისი: შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, გვ.გვ. 31,37, 52).

[44] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.264.

[45] პატერიკებიდან შესანიშნავად ჩანს, თუ როგორ ინახავდნენ ბერები თავიანთ სენაკებში კერძო მოხმარებისათვის არალიტურგიკულ წიგნებს, რომლებიც, ძირითადად, მათ მიერვე იყო გადაწერილი („...და, მეცა, მამაო, ესოდენ ძუელი და ახალი წიგნი დამიწერიეს თავისა ჩემისა... და შენცა, ძმაო, სარკუმელნი აღგივსიან წიგნითა...“), თეოფილე ხუცესმონაზონი, გვ.გვ.423,443,500,653 და სხვ. „ასეთ წიგნებში იგულისხმება აგიოგრაფიული, ჰომილეტიკური, აპოკრიფული, ასკეტური ან შერეული კრებულები. მათ პირობით სახელწოდებად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია ტერმინები: „არამენოლოგიური“ (ა. ერჰარდი) ან „კელიოტური“კრებულები (იხ. თ. ცერაძე, ქართული „კელიოტური“ტიპის კრებულები, გვ. 88-109).

ბის სწრაფვა მარტომყოფობისაკენ და არსებითად შეცვალა მათი განვითარების ვექტორი – სამონასტრო ცხოვრებაში წიგნმა სულ უფრო და უფრო მეტი ადგილი დაიკავა[46]. როგორც ჩანს, მონასტრის ბერები თავს უყრიდნენ საქართველოშივე არსებულ ძველ ხელნაწერებს, ამაზე მეტყველებს ტაოკლარჯული მრავალთავების მასალა, რომელთა დიდი ნაწილი გაცილებით ადრეა ქართულად თარგმნილი და შემდეგ არის მოხვედრილი ტაო-კლარჯეთში.

ტაო-კლარჯეთის მონასტრებს მჭიდრო ლიტერატურული თანამშრომლობა ჰქონდათ ერთმანეთთან. მართალია, თავად ტაო-კლარჯეთის სამთავრო საერთო პოლიტიკური ცენტრიდან არ იმართებოდა და მისი ტერიტორია დანაწილებული იყო ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოს შორის, მაგრამ, საეკლესიო სივრცე მაინც ერთიანი რჩებოდა. ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობა ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას იჩენდა ხელნაწერთა მოპოვება-გამრავლების საქმეში. ხელნაწერთა ანდერძებიდან ჩანს, რომ მწიგნობარ-გადამწერები განუწყვეტლივ მოძრაობდნენ, მონასტრიდან მონასტერში გადადიოდნენ, რათა საჭირო დედანი მოეძიათ სხვადასხვა წიგნთსაცავში. გვაქვს შემთხვევები, როცა ერთი მონასტრის მწიგნობარ-გადამწერს თვეობით, შესაძლოა, წლობითაც უშრომია სხვა მონასტრის სკრიპტორიუმში, განურჩევლად იმისა, რომელი ადგილობრივი მმართველის საზღრებში შედიოდა შერჩეული მონასტერი. ბერმონაზვნური სოლიდარობის ამგვარი ნიშნები ჩანს იმ ხელნაწერთა ანდერძებშიც, რომლებიც გვაუწყებენ რომელიმე ერთი მონასტრის მკვიდრის მიერ სხვა მონასტრისათვის ხელნაწერის საგანგებოდ დამზადებისა და შეწირვის ფაქტებს.

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული პროდუქციის გამდიდრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აქაური მონასტრების კონტაქტებს უცხოეთის (საბაწმიდა, იერუსალიმი, სინა, შავი მთა) სამონასტრო ცენტრებთან. იერუსალიმსა და საბაწმიდას ხშირად სტუმრობდნენ ჯერ კიდევ გრიგოლის წინამძღვრობის დროიდან მისი მოწაფეები. მაგ., საბაწმიდური განგება გრიგოლს იერუსალიმში მიმავალმა მისმა ერთმა „მეგობარმა“ ჩამოუტანა[47]. გრიგოლის მოწაფე ყოფილა მაკარი ლეთეთელი[48], რომელსაც 864 წელს საბაწმიდაში გადაუწერია და შემდგომ სინისთვის შეწირავს ცნობილი „სინური მრავალთავი“[49]. გრიგოლის მოწაფეთაგანი იყო, აგრეთვე, ეფრემ აწყურის ეპისკოპოსი, რომელმაც იერუსალიმის პატრიარქისაგან მოიპოვა მირონის ადგილზე დამზადების უფლება[50]. ამ დროსვე იწყება ეპიზოდური კავშირები კონსტანტინოპოლთან – პირველად თავად გრიგოლ ხანცთელი გაეცნო კონსტანტინოპოლის სამონასტრო ცხოვრების წესებს, რომლებიც გაითვალისწინა ხანცთის მონასტრის „განგების“ შედგენის

---

[46] ზემოთქმულის გათვალისწინებით გადაჭარბებულად გვეჩვენება სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისი (ლ. მენაბდე, რ. სირაძე), თითქოსდა გრიგოლ ხანცთელი ქართლიდან წინდაწინ მოფიქრებული პოლიტიკურ-კულტურული პროგრამით – ახალი სამწიგნობრო ცენტრების დაარსების მიზნით ჩავიდა ტაო-კლარჯეთში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მკვლევრებს ინტუიციურად საკუთარი ეპოქის წარმოდგენები გადააქვთ წარსულში და ნაკლებად ითვალისწინებენ საკვლევი ეპოქის ადამიანს, რომლის რწმენითი ან ინტელექტუალური არჩევანი მთლიანად განისაზღვრებოდა მისივე ეპოქის კულტურით (ამ და მსგავსი საკითხების შესახებ იხ. Ю. М. Лотман, Семиотика культуры и понятие текста, с. 59).

[47] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 265.

[48] იქვე, გვ. 302.

[49] სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 280–281.

[50] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.290.

დროს. X საუკუნის 60-იანი წლებიდან კი რეგულარული კავშირები მყარდება ბითვინიის ულუმ-ბოსთან და ათონთან.

თავის მხრივ, არც საბაწმიდა-იერუსალიმის, X საუკუნის მეორე ნახევრიდან კი არც სინაის წმ. ეკატერინეს მონასტრის მოღვაწე ქართველ ბერმონაზვნობას გაუწყვეტია კავშირი ტაო-კლარჯეთის მონასტრებთან. მათი ინტენსიური ლიტერატურული თანამშრომლობის უტყუარი დადასტურებაა იერუსალიმურ, სინურ და ტაოკლარჯულ ხელნაწერებში არსებული საერთო რედაქციების ტექსტები. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც უცხოურ ცენტრებში ტაო-კლარჯეთიდან იგზავნება ქართული ორიგინალური თხზულებები. მაგ., შეუძლებელია სხვა გზით მოხვედრილიყო იერუსალიმში „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ან სინაზე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“[51]. სინის მთის ერთ-ერთი ხელნაწერის პალიმფსესტურ ფენას, რომელზეც X საუკუნის „ახალი იადგარის“ ტექსტი აღმოჩნდა, ერთვის თორნიკეს სახელით შედგენილი მოსახსენებელი. ამ ტექსტის გამომცემლები თორნიკეს აიგივებენ დავით კურაპალატის განთქმულ სარდალთან, ათონის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთ დამაარსებელსა და შემდგომ მის მოწესესთან, თორნიკე ერისთავთან. ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სინაზე ხელნაწერები ტაო-კლარჯეთიდან შეწირულების სახით იგზავნებოდა[52].

უცხოურ კერებთან კონტაქტებმა დიდი ზეგავლენა იქონია ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობის ლიტერატურულ გემოვნებაზე, რაც აისახა კიდეც აქაურ მთარგმნელთა საქმიანობაზე. ისინი სწრაფად რეაგირებდნენ ყოველგვარ ცვლილებაზე, რომლებიც დროდადრო იჩენდა თავს ე.წ. იერუსალიმერიდან კონსტანტინეპოლურისაკენ გარდამავალ ლიტურგიკულ პრაქტიკაში (ცვლილებები კალენდარულ ციკლებში, სადღეღამისო მსახურების დანერგვა, გალობებში ახალი პოეტური ფორმების დამკვიდრება და სხვ). ამ ცვლილებების შედეგი იყო ახალი თარგმანები, რომლებიც ტაო-კლარჯეთის მონასტრებში იკაფავდა გზას. IX-X საუკუნეებში ტაო-კლარჯეთი იყო საქართველოს ერთადერთი მხარე, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა ლიტერატურული პროცესი. აქაურ მონასტრებში შედგენილ კრებულებში შემონახულია უფრო ძველი, V-VIII საუკუნეების მწიგნობრული მემკვიდრეობაც, რომელიც ტაო-კლარჯეთის მწიგნობარ-რედაქტორებმა ნაწილობრივ უცვლელად დატოვეს, ნაწილობრივ კი თანადროული ლიტურგიკული წესებისა და ენობრივი ნორმების გათვალისწინებით გადაამუშავეს. ამ გარემოებათა გამო ტაოკლარჯული თარგმანები რედაქციული თვალსაზრისით არ არის ერთგვაროვანი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტაო-კლარჯეთის მონასტრებში სწავლებისა და ხელნაწერების თარგმნა-რედაქტირება-გადაწერის პარალელური პროცესები, ისევე, როგორც ორიგინალური შემოქმედება, ერთმანეთს ავსებდა, როგორც ბერული თანაცხოვრების (განსწავლის) განუყოფელი ასპექტები.

ტაო-კლარჯეთის მთარგმნელ-მწიგნობართა ლიტერატურული ინტერესები მორგებული იყო საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელ საჭიროებებზე და ძირითადად შემოფარგლული იყო ლიტურგიკული რეპერტუარით – ტაოკლარჯული ხელნაწერები შეიცავენ ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებს, ჰიმნოგრაფიულ, ჰომილეტიკურ, პატრისტიკულ და აგიოგრაფიულ მასა-

[51] Jer. 2; N/Sin.50.

[52] ზ.ალექსიძე, დ. ჩიტუნაშვილი, უცნობი ქართული ხელნაწერები ტაო-კლარჯეთიდან, გვ. 62-63.

ლას. მთლიანობაში ტაოკლარჯულ ხელნაწერთა შინაარსობრივი სტრუქტურა და თანდართული კოლოფონები საკმარისი სისრულით უჩვენებენ ტაო-კლარჯეთის სწავლული ბერების საქმიანობის მიმართულებას – ისინი რჩებიან ზემოხსენებული ჟანრების ჩარჩოებში – თარგმნიან ახალს, აუმჯობესებენ ძველ თარგმანებს, აფართოებენ სამონასტრო-საკითხავ რეპერტუარს, ავსებენ მათ საკუთრივ ქართული აგიოგრაფიული მასალით, რომელიც კვებავდა ქართველი მორწმუნის მზარდ ეროვნულ-სარწმუნოებრივ თვითშეგნებას, მაგრამ ტაო-კლარჯეთისათვის ჯერ კიდევ ნაადრევია თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნება, რომელიც ახასიათებდა თანადროულ ბიზანტიურ მწერლობას[53]. ასეთია ტაოკლარჯული მწიგნობრული მემკვიდრეობის შინაარსობრივი მხარე, რაც შეეხება თარგმანის ტექნიკას, მისთვის ნიშანდობლივია მთარგმნელობითი მეთოდის სიჭრელე, გადამწერ-რედაქტორთა არაერთგვაროვანი მიდგომა მასალისადმი, რამაც ხელი შეუწყო ერთი და იმავე ტექსტის, მათ შორის ბიბლიის წიგნების, რედაქციული ვერსიების წარმოქმნას. ამასთანავე, სწორედ ტაო-კლარჯეთის მწიგნობართა წრეში მომწიფდა აზრი ქართული ენის „სიღარიბისა“ ბერძნულთან შედარებით, მისი გამომსახველობითი საშუალებების შეზღუდულობის შესახებ[54], რამაც აქაური ბერმონაზვნობა მოამზადა მთარგმნელობითი კულტურის მომდევნო, უფრო მაღალ საფეხურზე გადასასვლელად.

ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობა ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობას მუდმივად ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე აყენებდა, რაც მას მოდუნების საშუალებას არ აძლევდა და აიძულებდა მეტი ძალა და ენერგია დაეხარჯა იმავე ბიზანტიური განათლებისა და მწერლობის ქართულ ენაზე გადმოსანერგად. ცნობილია, როგორ მტრულად ექცეოდნენ ბერძნები ქართველ ბერებს ათონსა[55] და შავ მთაზე[56], აბრალებდნენ უსწავლელობასა და მწვალებლობას. ქართველები, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა ქართულენოვანი ქრისტიანული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, გრძნობდნენ ამ ბრალდებათა უსამართლობას, მაგრამ, აღიარებდნენ ბიზანტიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროსათვის, ბერძნული ენის „სიწმინდეს“ და სრულყოფილებას. ამასთანავე, ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ მმართველებს და საეკლესიო მოღვაწეებს ბიზანტიურ (კონსტანტინოპოლის) ელიტებთან მჭიდრო თანამშრომლობა საშუალებას აძლევდა ახლოს გასცნობოდნენ ბიზანტიურ საგანმანათლებლო პრაქტიკას, რაც მათ, ცხადია, დამატებით სტიმულს აძლევდა

[53] ადრეული შუა საუკუნეების ბიზანტიური ღვთისმეტყველება მდიდრდება ისეთი მოაზროვნეებით, როგორებიც იყვნენ მაქსიმე აღმსარებელი, იოანე დამასკელი, პატრიარქი ფოტიოსი, სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი და სხვ., რომლებმაც რამდენიმე საუკუნით განსაზღვრეს ბიზანტიური განათლებისა და ფილოსოფიური აზრის აღმავალი განვითარება (იხ. С.С.Аверинцев, Философия VIII-XII вв. В кн. Культура Византии, вторая половина VII-XII в. с. 36-48). საქართველოში ინტერესი ბიზანტიური ფილოსოფიური და მეცნიერული აზრისადმი მწიფდება ეტაპობრივად, ჯერ ქართველი ათონელების, შემდეგ ანტიოქიის სკოლის ქართველ მეცნიერ-მთარგმნელებისა და ბოლოს, პეტრიწონის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენელთა გეგმაზომიერი და თანმიმდევრული სამეცნიერო-ლიტერატურული მუშაობის შედეგად. ამ ნიშნით თუ შევაფასებთ ტაო-კლარჯეთის მონასტრებში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, ისინი, რასაკვირველია, ჩამორჩებოდა თანადროულ ბიზანტიას და, უპირველესად, ეკლესიის პრაქტიკულ საჭიროებებს ემსახურებოდა. ამ საკითხებთან დაკავშირებული სოციოლინგვისტური ასპექტების შესახებ იხ. ნ. დობორჯგინიძე, ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები, გვ. 26-42.

[54] ნ. დობორჯგინიძე, ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები, გვ. 40.

[55] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 96.

[56] იქვე, გვ. 149-150.

მეტი ზრუნვა გამოეჩინათ საკუთარ ქვეყანაში განათლებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის მიმართ. ამგვარმა დამოკიდებულებამ საგანმანათლებლო პროცესისადმი განსაზღვრა კიდეც ქართველ ბერ-მონაზონთა ლიტერატურული საქმიანობის საზღვრების გაფართოება. ბიზანტიური კულტურისადმი ამ ორგვარი დამოკიდებულების რეფლექსიად უნდა აღვიქვათ X საუკუნის მეორე ნახევარში უცხოეთში (სინა, ათონი, შემდეგ ანტიოქია) მოღვაწე ქართველთა გამონათქვამები ქართული ქვეყნის „წიგნთაგან ნაკლოვანების"[57]ან, როგორც ამავე მოვლენის მეორე ასპექტი, ეგზალტირებული ნააზრევი ქართული ენის მესიანისტური დანიშნულების შესახებ[58]. ზემოხსენებული გარემოებანი უბიძგებდა ქართველ მწიგნობარ ბერებს უფრო თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად ეზრუნათ ბერძნული ენიდან ახალი, უფრო ზუსტი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი თარგმანების შესრულებისათვის, დაედგინათ ბერძნულ ცნება-ტერმინთა ქართული შესატყვისობები[59]. ყოველივე ამან ქართულ ენას მეტი ფუნქციური შესაძლებლობები და გამომსახველობითი საშუალებები შემატა. ეს იყო დიდი კულტურული პროცესი, რომელიც ჩაისახა ტაო-კლარჯეთის მწიგნობარ ბერმონაზონთა წრეებში და განხორციელდა უმაღლეს პოლიტიკურ და საეკლესიო პირთა მიერ (დავით კურაპალატი, ჩორდვანელთა დიდი საგვარეულოს წევრები). ბიზანტიისაგან სამომავლო ემანსიპაციის ფორმულას ეს პირები „ნათესავით ქართველის" და „ბიზანტიური განსწავლულობის"[60] ნაზავში ხედავდნენ. ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურებოდა მათ მიერ ათონის ივერთა მონასტრის დაარსება, რომელმაც ქართულ მთარგმნელობით კულტურაში მძლავრი ბიძგი მისცა სრულიად ახალ ეტაპს[61].

ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში. აქ შემუშავებული ენობრივი ნორმები, ცნებები, ლექსიკა და ფრაზეოლოგია დაედო საფუძვლად ახლად გაერთიანებულ საქართველოში საეკლესიო ღვთისმსახურებას, საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ცოდნას, სახელმწიფო დიპლომატიურ მიმოწერას, ისტორიოგრაფიას, სამართალს, მხატვრულ და საბუნებისმეტყველო აზროვნებას. ამ ენის საფუძველზე ხდება იმჟამინდელ საქართველოში ტომობრივი და კუთხობრივი საზღვრების გადალახვა და საერთო ქართული სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ერთობის შექმნა, რომელსაც წინ დინამიკური განვითარების კიდევ სამსაუკუნოვანი გზა ელოდა.

---

[57] იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 61.

[58] იოანე-ზოსიმე, ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ, სინური მრავალთვი 864 წლისა, გვ.283.

[59] ბერძნულთან შედარებით ქართული ენის ნაკლულევანების აღიარებას სხვადასხვა ფრაზეოლოგიით ვხვდებით გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის შრომებში. ამ ფრაზეოლოგიის საფუძველზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იქნა შემუშავებული ცნება - „ქართული ენის სიღარიბის ტოპოსი". ქართული ენის უფრო მაღალი ლეგიტიმაციისათვის ქართულმა მწერლობამ რთული და ნაყოფიერი გზა გაიარა ათონიდან შავ მთამდე (ნ. დობორჯგინიძე, ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები, გვ.გვ. 26,32,38).

[60] გამოთქმა: „დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვითა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ", – მიეწერება ანტიოქიის პატრიარქ თევდოსის, რომელმაც ამ სიტყვებით შეაქო გიორგი მთაწმინდელი (იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 151).

[61] ცნობილია, როგორ ცხოველ ინტერესს ამჟღავნებდა დავით კურაპალატი ათონზე მიმდინარე მთარგმნელობითი საქმიანობისადმი: მისი თხოვნით, იოანე მთაწმინდელი ათონიდან რეგულარულად უგზავნიდა დავით კურაპალატს ექვთიმეს თარგმანებს, რის გამოც მეფე ფრიად გახარებული ყოფილა და პასუხად სთხოვდა, რომ კვლავ და კვლავ გამოეგზავნა. ამიტომ ექვთიმე დღედაღამ შეუსვენებლივ თარგმნიდაო, - იუწყება გიორგი მთაწმინდელი (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ.61).

ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა

ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის კვლევის შედეგების და, საზოგადოდ, ხელნაწერი წიგნის ხელოვნების შესახებ დღეისათვის არსებული სამეცნიერო გამოცდილება შესაძლებლობას იძლევა ნაწილობრივ მაინც განისაზღვროს ტაო-კლარჯეთში არსებული სამწიგნობრო ტრადიციის ძირითადი ტენდენციები. ტაოკლარჯული წარმომავლობის ხელნაწერების დღემდე გამოვლენილი რაოდენობა 70-ს აღწევს[1], რაც, ერთი შეხედვით, არცთუ მრავალრიცხოვანია სინურ და იერუსალიმურ კოლექციებთან შედარებით[2], მაგრამ ქართული სამწიგნობრო ტრადიციის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, იგი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. სწორედ აქ, ტაოკლარჯულ სკრიპტორიუმებში, მათი დაფუძნებისთანავე იჩინა თავი იმ არსებითმა ტენდენციებმა, რომლებმაც ქართული სამწიგნობრო კულტურა მიიყვანეს XI-XIII საუკუნეების თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი და მხატვრულად უნაკლო კოდექსების ჩამოყალიბებამდე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ტაოკლარჯული ხელნაწერი როდი მიეკუთვნება სამწიგნობრო ტრადიციის საეტაპო საფეხურის ამსახველ ნიმუშებს. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა IX-X საუკუნეების ხელნაწერი წიგნები, რომლებშიც უკეთ ჩანს ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრებში მიმდინარე ლიტერატურულ-შემოქმედებითი პროცესები და წიგნის მხატვრული გაფორმების სტილი. ამ პერიოდის ხელნაწერებში გამოვლენილი თემატური და შინაარსობრივი მრავალფეროვნების, ლიტერატურული წყაროებისა და მთარგმნელობითი მეთოდების მიხედვით, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კერებზე, რომლებიც, მსგავსად აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების მწიგნობრული ცენტრებისა, უმთავრესად იერუსალიმური სამწერლობო ტრადიციით საზრდოობდნენ, მაგრამ, ამასთანავე, მათი განვითარების ვექტორი „დასავლური“ (კონსტანტინოპოლი, ათონი) ტრადიციისაკენაც იყო მიმართული. ამავე პერიოდის ტაო-კლარჯეთის მონასტრებში იქმნებოდა ორიგინალური აგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებსაც საეტაპო მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული საეკლესიო მწერლობის განვითარებაში.

მომდევნო XI საუკუნეში ტაო-კლარჯეთის სკრიპტორიუმები აღარ არიან ლიტერატურული ცხოვრების ავანგარდში, მაგრამ აქტიურად არიან ჩაბმულნი ათონის სალიტერატურო სკოლიდან გამოსული ახალი რედაქციების ან სრულიად ახალი თარგმანების ათვისება-გამრავლების პროცესში (მაგ., ეგნატი ხუცესმონაზონის საქმიანობა). ეს იყო შეგნებული მონაწილეობა ქართული ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკის განახლების ხანგრძლივსა და რთულ პროცესში, რომელიც ქართული საეკლესიო მსახურების კონსტანტინოპოლურ წესზე გადასვლამ გამოიწვია[3]. ამ პროცესის დაწყებას და მის შეუქცევად განვითარებას თავად ტაო-კლარჯეთის

---

[1] ხელნაწერთა წარმომავლობის განსაზღვრა რთულდება, როდესაც ხელნაწერი დაზიანებულია და დაკარგული აქვს ანდერძ-მინაწერები. ასეთების წარმომავლობის დადგენა შესაძლებელი ხდება კვლევის დროს გამოვლენილი სხვადასხვა კოდიკოლოგიური ან ტექსტური მონაცემების საფუძველზე.

[2] ქართული ხელნაწერების სინური კოლექცია მოიცავს 229 წიგნსა და ფრაგმენტს; იერუსალიმური-161-ს. რაც შეეხება ათონურ კოლექციას, მასში დაცულია 86 ხელნაწერი წიგნი, რომელთაგან რამდენიმე ტაოკლარჯული წარმომავლობისაა.

[3] ლ. ხევსურიანი, ლიტურგიკა, გვ.8.

პოლიტიკურ და კულტურულ გარემოში ჩაეყარა საფუძველი.

XII-XIII საუკუნეებში ტაო-კლარჯეთის სწავლულთა წრეებში ხდება შემოქმედებითი ათვისება იმ ცოდნისა, რომელიც გელათის საგანმანათლებლო ცენტრიდან ვრცელდებოდა (აბუსერისძე ტბელი) მთელ საქართველოში და რომელიც უკვე გაერთიანებული ქართული მონარქიის საკუთარ კულტურულ მონაპოვარს წარმოადგენდა.

XIII საუკუნის მიწურულიდან XVI საუკუნის გასულამდე ისტორიული ტაო-კლარჯეთი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ტერიტორიას შეადგენდა. ამ საუკუნეებში სამთავროში შექმნილი საეკლესიო ხელნაწერები ძალზე მწირია რაოდენობრივადაც და შინაარსობრივადაც, შემორჩენილია მხოლოდ ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი რამდენიმე სახარება, სვინაქსარი და ფსალმუნი. სამაგიეროდ, მოღწეულია სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტები, რომლებშიც არეკლილია ამ მხარის ისტორია – მისი პოლიტიკური განკერძოებულობა, კულტურული იზოლაცია, დემოგრაფიული ვითარება და საქართველოს მეფეებისა და კათალიკოსების დაუცხრომელი ბრძოლა ამ სეპარატისტული რეგიონის საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში დაბრუნებისათვის.

სამწიგნობრო ტრადიციის დასაწყისი ტაო-კლარჯეთში უკავშირდება ამ მხარეში სამონასტრო და პოლიტიკური ცხოვრების აღმავლობას, რის შესახებაც მოგვითხრობს X საუკუნის აგიოგრაფი გიორგი მერჩულე თავის მრავალმხრივ საყურადღებო თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. სწორედ ამ ძეგლის საფუძველზე შეიძლება ზუსტად გამოვთვალოთ, როდის დაიწყო გრიგოლ ხანცთელმა ხანცთის სამონასტრო „განგების“ შედგენა; ეს მოხდა აშოტ კურაპალატის გარდაცვალებიდან[4] (829/830) სულ მალე, მას შემდეგ, რაც გრიგოლ ხანცთელი კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდა. „განგების“ მომდევნო წიგნი, რომელიც ისევ გრიგოლ ხანცთელის სახელთანაა დაკავშირებული, არის „საწელიწდო იადგარი“. შეუძლებელია დავუშვათ, რომ ქართლიდან, სადაც სამწიგნობრო ტრადიცია, სულ მცირე, ოთხი საუკუნის ისტორიას ითვლიდა, გადმოსულ ბერებს თან არ ჰქონოდათ საღვთისმსახურო წიგნები, სულ ცოტა, წმ. წერილის წიგნთა თარგმანები, რომელთაც უხვად იმოწმებენ მოგვიანებით (X ს.) აქ შექმნილ აგიოგრაფიულ თხზულებათა ავტორები, მაგრამ საკუთრივ ხანცთაში პირველად სწორედ ეს ზემოხსენებული ორი წიგნი დაწერილა. ასევე შეუძლებელია IX საუკუნეში აქ გაჩაღებულ სამონასტრო მშენებლობას ხელნაწერთა გამრავლება არ მოჰყოლოდა, მაგრამ ამ დროიდან, გარდა ადიშის ოთხთავისა, არაფერია შემორჩენილი. ამიტომ ტაოკლარჯული მწიგნობრული მემკვიდრეობის ათვლაც სწორედ ამ წიგნიდან იწყება, რომელიც IX საუკუნის მიწურულს, 897 წელს არის გადაწერილი. ადრეულ ძეგლთა უკიდურესი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ტაოკლარჯულ მწიგნობრულ მემკვიდრეობას მაინც გამორჩეული ადგილი მიეკუთვნება ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რატომ ვანიჭებთ ტაოკლარჯულ პერიოდს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და რითი დაიმკვიდრა მან ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ აღმოსა-

[4] თხზულების მიხედვით, VIII საუკუნის 80-იანი წლებისთვის, ანუ გრიგოლ ხანცთელის კლარჯეთში ჩასვლის დროს, ოპიზის მონასტერს მესამე წინამძღვარი განაგებდა. ბუნებრივია, მონასტერს ექნებოდა ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი ლიტურგიკული წიგნები.

ვლეთ საქართველოში არაბთა ბატონობის კრიზისული შედეგები, რის გამოც ქართველი ბერმონაზვნობის არისტოკრატული ფრთის წიაღში იბადება ქრისტიანული სულიერების აღორძინების იდეა, რასაც, მათივე რწმენით, უნდა გაეძლიერებინა ეკლესია და ქართველ ხალხში თვითგადარჩენის იმპულსები გაეღვიძებინა. სწორედ ამ იდეის ხორცშესხმა დაიწყო ქართლის ერისმთავრათა სახლის წევრის, გრიგოლ ხანცთელის თაოსნობით.

გრიგოლ ხანცთელი და მისი პირველი თანამოაზრეები VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყებენ კლარჯეთში სამონასტრო მოძრაობას, რომელმაც მალე შთამბეჭდავი მასშტაბები შეიძინა და ფართო გეოგრაფიული არეალი მოიცვა. დაახლ. 813 წელს ბაგრატიონთა მმართველობით ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ აქ იქმნება ტაო-კლარჯეთის სამთავრო, რომელიც დროთა განმავლობაში პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით ქართლის (იბერიის) ალტერნატივად იქცა. მონასტერთა მშენებლობაში ბერებს დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატია, უპირველეს ყოვლისა, ბაგრატიონთა სამთავრო სახლი. მონასტრული (კვინობური) ცხოვრების წესმა იმთავითვე განსაზღრა ტაო-კლარჯეთის ბერმონზვნობის კულტურული პროფილი – ისინი განუხრელად იცავდნენ სამონასტრო ტიპოსის მოთხოვნებს, რასაც თან ახლდა გამუდმებული ზრუნვა საღვთისმსახურო წიგნებისა და ასკეტიკურ-ჰომილეტური კრებულების მოპოვება-გამრავლებისათვის. ბერები თავად ეუფლებოდნენ წიგნის დამზადების ხელოვნებას და ქმნიდნენ სამონასტრო წიგნთსაცავებს.

ტაოკლარჯული ხელნაწერების ჩვენს დრომდე მოღწეული ლიტერატურული მასალა მოწმობს, რომ ტაო-კლარჯეთმა, უპირველეს ყოვლისა, გადაარჩინა მანამდე (მცხეთის პერიოდში)[5] არსებული ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა, შეინარჩუნა ქრისტიანული აღმოსავლეთის უმთავრეს სამონასტრო ცენტრებთან (იერუსალიმი/საბაწმიდა, სინა) ტრადიციული კულტურული კონტაქტები, რითაც მუდამ საზრდოობდა ქართული ეკლესია. ამ კონტაქტების წყალობით ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობა მუდმივად ადევნებდა თვალყურს იერუსალიმურ ლიტურგიკულ პრაქტიკას და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა იქ მომხდარ ცვლილებებს; ამდიდრებდა ახალი თარგმანებით ქართულ საღვთისმსახურო რეპერტუარს. რასაკვირველია, ეს პროცესი ზრდიდა ქართველ ბერმონაზონთა განსწავლულობის დონეს და ხვეწდა მათ ლიტერატურულ გემოვნებას, რამაც ასახვა პოვა კიდეც მათ ორიგინალურ შემოქმედებაში. ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კერებში შეიქმნა ქართული აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის უბრწყინვალესი ნიმუშები („გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „მიქელ-გობრონის მარტვილობა“, მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ შესული ქართველ ავტორთა ჰიმნები); პირველად აქ, ტაო-კლარჯეთის მოღვაწეთა წრეში, იქნა გაცნობიერებული შუასაუკუნოვანი ქართული ეთნოკულტურული იდენტობის გამომხატველი ცნებები: „ქართლი“, „ნათესავით ქართველი“, „ქართული ენა“; პირველად აქ იქნა მოძებნილი ეროვნულ-სარწმუნოებრივი შინაარსის ფორმულა ქვეყნის (ქართლის) კულტურული საზღვრების აღსანიშნად; ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების საღვთისმსახურო რეპერტუარში მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა გვერდით იქნა შეტანილი ქართული ეკლესიის წმინდანების საკითხავები; აქ მოიძიეს და სასწავლო-საგანმანათლებლო კრებულში შეიტანეს ქართლის გაქრისტიანების უძვე-

[5] ნაშრომის ფარგლებში „მცხეთის პერიოდი“ პირობითად აღნიშნავს ქართული მწერლობის უძველეს, ტაო-კლარჯეთამდე არსებულ, ლიტერატურულ მასალას.

ლესი ისტორია („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). დაბოლოს, ტაო-კლარჯეთში აღიზარდა სასულიერო და საერო მოღვაწეთა ახალი ელიტა, რომელმაც ქართული სახელმწიფოს შენების გზაზე კონსტანტინოპოლისაკენ მიმართა კულტურული განვითარების ვექტორი და გრძელვადიან პერსპექტივაში განჭვრიტა იმ დროისათვის ყველაზე დაწინაურებული ბიზანტიური განათლების ქართულ ენაზე გადმონერგვის მნიშვნელობა.

გიორგი მერჩულის მონათხრობის მიხედვით, ტაო-კლარჯეთის მონასტრებში იყენებდნენ გრიგოლ ხანცთელის მიერ ხანცთის მონასტრისათვის შედგენილ განგებას. მკვლევართა შორის დღემდე არ წყდება კამათი იმის შესახებ, თუ რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო ეს „განგება“: იყო იგი სამრევლო (ე. ჭელიძე), თუ მხოლოდ სამონასტრო (კ.კეკელიძე). „ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ გრიგოლ ხანცთელს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუჯერებია ერთმანეთთან ორი განსხვავებული ტრადიციის – საბაწმიდურის და კონსტანტინოპოლურის (იგულისხმება წმ. ბასილი დიდის ტიპოსი) სამონასტრო ცხოვრების წესები და ამგვარად შეუქმნია „განგების“ ადგილობრივი ვერსია. ამ ცნობაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ ვერსიაში გათვალისწინებული იქნებოდა საბაწმიდური ღვთისმსახურებაც და ბასილი დიდის მონასტრების „სოციალური“ სულისკვეთებაც, რომელიც კონსტანტინოპოლურ და, საზოგადოდ, ბიზანტიური „დასავლეთის“ მონასტრებს ახასიათებდა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს „ცხოვრებაში“ უხვად შეტანილი ეპიზოდები სნეულთა სასწაულებრივი განკურნების შესახებ. ასევე კამათის საგანია გრიგოლ ხანცთელის სახელთან დაკავშირებული კიდევ ერთი ლიტურგიკული წიგნის – „საწელიწდო იადგარის“ – სავარაუდო შედგენილობა. მისი სახელწოდება გულისხმობს საგალობელთა მთელი წლის რეპერტუარის შემცველ კრებულს. პ. ინგოროყვა, რომელსაც კ. კეკელიძეც ეთანხმებოდა, ამტკიცებდა, რომ გრიგოლ ხანცთელი იყო კრებულის არა გადამწერი, არამედ ავტორ-შემდგენელი[6]. ამავე შეხედულებას გარკვეული კორექტივებით იზიარებს ე. ჭელიძე. მისი აზრით, გრიგოლ ხანცთელის „საწელიწდო იადგარი“ უნდა ყოფილიყო ჩანაწერი მთელი წლის იმ ჰიმნოგრაფიული მასალისა, რომელიც ზეპირად ჰქონდა დამახსოვრებული გრიგოლს[7]. აღსანიშნავია, რომ თავად სიტყვა „იადგარი“ საშუალო სპარსულია და სამახსოვროს ნიშნავს[8]. ფიქრობენ, რომ საგალობელთა კრებულის სახელწოდებად ამ ტერმინის შემოღება უნდა მიუთითებდეს ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის ზეპირი დასწავლის, დახსომების გავრცელებულ პრაქტიკაზე[9]. „საწელიწდო იადგარის“ შესახებ სრულიად განსხვავებულ აზრს ავითარებენ ე. მეტრეველი და ლ. ხევსურიანი. მათი მტკიცებით, გრიგოლის „საწელიწდო იადგარი“ უნდა ყოფილიყო იერუსალიმური ლექციონარიდან ცალკე გამოყოფილი ჰიმნოგრაფიული მასალით შევსებული კრებული, რომელშიც ქართული ღვთისმსახურების იერუსალიმური პერიოდის ყველაზე ადრეული ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი იქნებოდა შესული[10]. საწინაა-

[6] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, გვ. 216, 222; კ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 135.

[7] ე. ჭელიძე, ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, გვ.816.

[8] ჟ. გარიტის დაკვირვებით, იადგარი შეესატყვისებოდა ბერძნულ „ტროპოლოგიონს“, რამდენადაც ბერძნული ჰიმნოგრაფიის განვითრების ადრეულ ეტაპზე ტროპარები შეადგენდნენ გალობის ძირითად კომპონენტს (შდრ. გრიგოლის „ხმითა სასწავლელი სწავლაჲ“), ტროპარის დახმარებით განისაზღვრებოდა საგალობელთა შესრულების თანამიმდევრობა (G.Garitte,Cataogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai. p.44).

[9] უძველესი იადგარი, გვ.694.

[10] იქვე, გვ. 689, 692.

ღმდეგოდ ამ მოსაზრებისა, ე. ჭელიძე ასაბუთებს, რომ „იადგარი“ ლექციონარისაგან სრულიად დამოუკიდებელი, ბერძნულიდან ახლად თარგმნილი ჰიმნოგრაფიული კრებული უნდა ყოფილიყო. აზრთა ასეთი სხვადასხვაობა ბუნებრივია იმ ვითარებაში, როდესაც გრიგოლ ხანცთელის სახელთან დაკავშირებული ძეგლები, ისევე როგორც ტაოკლარჯული წარმომავლობის მრავალი სხვა ძეგლი, ჩვენამდე მოღწეული არ არის.

პ. ინგოროყვა ვარაუდობდა, რომ „საწელიწდო იადგარის“ რეპერტუარის რაღაც ნაწილი უნდა შენახულიყო X საუკუნეში შექმნილ მიქაელ მოდრეკილის იადგარში[11]. ესაა ე. წ. ნევმირებული (სანოტო ნიშნებიანი) იადგარი, რომელშიც, სპეციალისტების თვალთახედვით, ასახულია საბაწმიდელი მელოდოსების, იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის, სახელებთან დაკავშირებული ბიზანტიური მუსიკისა და სასულიერო პოეზიის განვითრების ახალი ეტაპი[12]. იერუსალიმური სკოლის ბერძენ ჰიმნოგრაფთაგან მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესულია იოანე დამასკელი, ანდრია კრიტელი, კოზმა იერუსალიმელი, თეოფანე ჰიმნოგრაფი. ბერძენ ავტორებთნ ერთად კრებული გვაცნობს ქართველი ჰიმნოგრაფების: თავად მიქაელ მოდრეკილის, იოანე მინჩხის, იოანე მტბევარის, სტეფანე სანანოისძის, იოანე ქონქოზისძის, ეზრას, კურდანაის შემოქმედებას. საგალობელთა ის ძველი ფენები, რომელთაც პ. ინგოროყვა გრიგოლ ხანცთელს და გიორგი მერჩულეს აკუთვნებდა, კვლევის შემდგომ ეტაპზე ბერძნული წარმომავლობის აღმოჩნდა[13]. მიქაელ მოდრეკილის იადგარი რეპერტუარით, კალენდარული სტრუქტურითა და დედანთან მიმართებაში რიტმულ-მეტრული სიზუსტით დიდ მსგავსებას ავლენს პალესტინური წარმომავლობის სხვა იადგარების ქართულ თარგმანებთან. იგი მსგავსი კრებულების განვითარების შემაჯამებელ ეტაპს განასახიერებს. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ქართული მწერლობის ისტორიაში მიქაელ მოდრეკილის იადგარს ლიტურგიუკულ-ჰიმნოგრაფიულ ენციკლოპედიასაც უწოდებენ[14].

ტაო-კლარჯეთში გადაწერილი ბიბლიის წიგნებიდან ჩვენამდე მოღწეულია: ოშკის ბიბლია – გადაიწერა ათონის ქართველთა მონასტრისათვის; ფსალმუნის ერთი ნუსხა და რამდენიმე ოთხთავი. ამ ტექსტების კვლევას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური თავისებურებების გაუთვალისწინებლობამ, ტექსტების გამოუცემლობამ, ფილოლოგიური დისციპლინების არასაკმარისმა განვითარებამ, რიგ შემთხვევებში, მცდარმა მეთოდოლოგიურმა მიდგომებმა მოცემული ძეგლების მიმართ არა ერთი შეუსაბამო შეხედულების არსებობა განაპირობა.

ოშკის ბიბლია (Ath.1) გადაწერილია 978 წელს ნაკლული დედნიდან. ტექსტი ნაწერია ნუსხურით, მუხლობრივი დაყოფის გარეშე. თავიდან ხელნაწერში შესული იყო: ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი, იობი, ფსალმუნი, მეფეთა წიგნები, იგავნი სოლომონისნი და ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე სოლომონისი, ისო ზირაქის ძე, მცირე წინასწარმეტყველები, ესაიას წიგნები, იერემია, ბარუქი, იერემიას გოდება, იერემიას ლოცვა, იერემიას ეპისტოლე, ეზეკიელი, დანიელი, პირველი და მეორე ეზრა, ნეემია, მეოთხე ეზრა, ესთერი, ივდითი, ტობი

[11] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, გვ.გვ.228, 239.

[12] უძველესი იადგარი, გვ. 694; ლ. ჯღამაია, ჰიმნოგრაფია, .გვ.140, 143.

[13] ლ. ჯღამაია, მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, გვ.60; ც. ჭანკიევი, აღდგომის საგალობლები (ხელნაწერი), გვ.65.

[14] ლ. ჯღამაია, ჰიმნოგრაფია, გვ.145.

(არსებობს ვარაუდი, რომ ნეშტთა და მაკაბელთა იმთავითვე არ ყოფილა შეტანილი). შემდგომში ხელნაწერის დაზიანების გამო დაახლოებით მეოთხედი ტექსტებისა: რიცხვთა, მეორე სჯულთა, ისო ნავე, ფსალმუნი, მთლიანად დაკარგულა. ზოგიერთი ტექსტი კი მხოლოდ ნაწილობრივ: დაბადება (1-12-ე თავები), მსაჯულთა (1-18), იობი (26-ე თავის შემდგომი), ესაია (1-7).

ოშკის ბიბლია დიდი ხანია იპყრობს ქართველ და უცხოელ მკვლევართა ყურადღებას. XIX საუკუნეში იგი ათონიდან საქართველოში დროებით ჩამოიტანა პ. იოსელიანმა და მისგან ორი პირი გადააღებინა (ამჟამად S-422 და A-471). ოშკის ბიბლია ადგილზე აღწერეს და მისი ცალკეული წიგნები გამოსცეს ალ. ცაგარელმა, ნ. მარმა, ალ. ხახანაშვილმა, თ. ჟორდანიამ (ამ უკანასკნელმა პირის მიხედვით), რ. ბლეიკმა, კ. კეკელიძემ. ოშკის ბიბლიის მოზრდილი ნაწილი ორ ნაკვეთად 1947-1948 წლებში გამოსცა ა. შანიძემ. ოშკის ბიბლიის ცალკეული წიგნების შესწავლა მათი წყაროების, რედაქციული რაობის, ლექსიკური და გრამატიკული მახასიათებლების თვალსაზრისით რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ჯგუფის მიერ. ხანგრძლივი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ოშკის ბიბლიაში შეტანილ თარგმანებს სხვადასხვა ტიპის რედაქციული ჩარევა განუცდიათ[15], ამიტომ ოშკის ბიბლიის ტექსტები არაერთგვაროვანია – თავდაპირველი თარგმანის ტექსტი თითქმის არც ერთ წიგნში არ არის შენარჩუნებული ცვლილებების გარეშე. ხშირად ერთი წიგნის ფარგლებშიც კი შეინიშნება სხვადასხვა რედაქციული ფენა, რაც, რიგ შემთხვევებში, გამოწვეული უნდა იყოს ნაკლული ტექსტების განსხვავებული რედაქციის ხელნაწერებიდან შევსების პრაქტიკით. ოშკის ბიბლია სრულად გამოიცა 2017 წელს ქართული ბიბლიის აკადემიური გამოცემის ფარგლებში. ოშკურ ტექსტს გამოცემაში ცალკე სვეტი ეთმობა[16].

ფსალმუნი, ანუ როგორც მას ქართულ ხელნაწერებში ხშირად უწოდებენ, დავითი/დავითნი, ერთ-ერთი უადრესი (IV-V სს.) თარგმანია ბიბლიის წიგნთა შორის. ეს განპირობებული იყო ადრეული ღვთისმსახურებით, რომელიც ჰიმნოგრაფიის განვითარებამდე ფსალმუნთა გალობებს იყენებდა[17]. ქართული ფსალმუნის ტექსტები დამოწმებულია VII საუკუნის ხანმეტ ლექციონარში. ფსალმუნის მხატვრული სახეები ხშირადაა გამოყენებული უძველესი ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლებში, მაგრამ თავად ფსალმუნის ტექსტის შემცველი ხელნაწერები შედარებით გვიანდელია. არსებობს ვარაუდი, რომ ფსალმუნთა წიგნი შედიოდა ოშკის ბიბლიის სრულ ნუსხაში, მაგრამ იგი მის დაკარგულ ნაწილში მოყოლილა. ფსალმუნთა წიგნები, მათი ლიტურგიკული დანიშნულების გამო, უმრავლეს შემთხვევაში, ცალკე ხელნაწერებად იწერებოდა. ერთ-ერთი ასეთია ტაოკლარჯული ხელნაწერი, ე.წ. „მცხეთური დავითნი“ (A-38)[18], რომლის თარიღი (სხვადასხვა გამოთვლით), მერყეობს 904, 974, 1016 წლებს შორის. ამათგან უფრო სარწმუნოდ მიჩნეულია 974 ან 1016 წლები, რადგან აღნიშნულ ხელნაწერში შემორჩენილია X საუკუნის შუა ხანების მოღვაწის, იოანე-ზოსიმეს (სინას მთა) შენიშვნები [19].

---

[15] ნ. მელიქიშვილი, ბიბლიოლოგია, გვ. 79-82.

[16] ბიბლია. ძველი აღთქმა. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017.

[17] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 416.

[18] „მცხეთის ფსალმუნის“ ტაოკლარჯულ წარმომავლობაზე თავდაპირველად ვარაუდი გამოთქვა მ. შანიძემ, იხ. მისი: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები გვ. 017-018.

[19] მ. შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გვ. 017.

მცხეთური დავითნის კანონები, ანუ საკითხვად განკუთვნილი მონაკვეთების რაოდენობა (20 ერთეული) უძველესი პალესტინური (იერუსალიმური) ლიტურგიკული პრაქტიკიდან მომდინარეობს და სიძველის გამო მას ძველად „ქართულ დაყოფასაც“ უწოდებდნენ[20]. ამდენივე კანონია გამოყოფილი გიორგი მთაწმინდელის ფსალმუნთა ახალ რედაქციაში (ეს დაყოფა ამ დროს უკვე კონსტანტინოპოლშიც იყო გადმოღებული), მაგრამ მცხეთურ ფსალმუნში განსხვავებულია შიდა მუხლობრივი დაყოფა და სტიქომეტრიული სათვალავი. რადგან მცხეთური ფსალმუნი არსებულთაგან ყველაზე ადრეულ რედაქციადაა მიჩნეული (A რედაქცია), ამიტომ მეცნიერები სწორედ ამ ტექსტზე დაყრდნობით იკვლევდნენ ქართული ფსალმუნის წყაროს საკითხს. მცხეთურ ფსალმუნში ერთდროულად დადასტურებული ლექსიკური ბერძნიზმების და არმენიზმების საფუძველზე გამოტანილი იყო დასკვნა, რომ ქართული ფსალმუნი VII საუკუნემდე უნდა ეთარგმნათ სომხური ფსალმუნიდან და ამის შემდეგ უნდა განეცადა მას სწორება ბერძნული ფსალმუნის მიხედვით[21]. უკანასკნელ ათეულ წლებში ქართველი მეცნიერები კვლავ დაუბრუნდნენ ბიბლიის წიგნების ქართული თარგმანების, მათ შორის ფსალმუნის წარმომავლობის საკითხს. თავად მცხეთური ხელნაწერის პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი თავისებურება: ლექსიკური არმენიზმები ტექსტში შეტანილია ტექსტისავე ხელით, გულმოდგინედ გადანაფხეკ ქვედა ფენაზე. მაშასადამე, ტექსტის სწორება მომხდარა სომხური ფსალმუნის მიხედვით სრულიად შეგნებულად, როგორც ვარაუდობენ, ტაოს რეგიონის გაქართველებული დიოფიზიტი სომეხი გადამწერის მიერ. მას უსათუოდ ამოძრავებდა ტექსტის „სიწმინდის“ სურვილი და, რამდენადაც სომხური ფსალმუნი მას სანიმუშოდ მიაჩნდა, სწორება ჩაუტარებია მისი მიხედვით[22]. ამრიგად, არმენიზმების მეორეულობა მცხეთურ ფსალმუნში არავითარ ეჭვს აღარ იწვევს.

„მცხეთური დავითნის“ მნიშვნელობა მხოლოდ ფსალმუნის უძველესი რედაქციული ჩვენებებით არ ამოიწურება. ხელნაწერში შეტანილია კიდევ სხვა თხზულებები, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

ბიბლიის წიგნთაგან ყველაზე მეტი რაოდენობით ტაოკლარჯულ ხელნაწერთა შორის ოთხთავია შემონახული. მათგან უადრესი, ადიშის ოთხთავი, სინური მრავალთავის (864) შემდეგ უძველესი ქართული თარიღიანი (897) ხელნაწერია. ადიშის ოთხთავი უძველესია აგრეთვე მინიატიურული მხატვრობით შემკულ ქართულ ხელნაწერთა შორისაც. იგი დამზადებულია შატბერდის სკრიპტორიუმში მონასტრის წინამძღვარ სოფრონის დაკვეთით.

ადიშის ოთხთავის ტექსტის კვლევის ისტორიამ დაახლოებით ისეთივე გზა გაიარა, როგორიც მცხეთის ფსალმუნმა. საქმე ის არის, რომ ადიშის ოთხთავი დანარჩენ წინარეათონურ ოთხთავთაგან რედაქციულად განცალკევებით დგას[23]. მეორე რედაქციულ ჯგუფში შედის ყველა დანარჩენი, რომელთაც ასევე შატბერდის სკრიპტორიუმიდან გამოსული ჯრუჭისა და, აგრეთვე, პარხლის ოთხთავის მიხედვით, ჯრუჭ-პარხლის რედაქციის ოთხთავებს უწოდებენ.

ადიშის ოთხთავის წარმომავლობის, არქეტიპისა და რედაქციული რაობის დადგენას მეც-

[20] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I გვ. 579-580.

[21] მ. შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გვ.221.

[22] ე. ჭელიძე, წმინდა წერილის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ძირითადი ეტაპები, გვ.გვ.332-334, 337.

[23] ზ. სარჯველაძე, ადიშის ოთხთავის მიმართებისათვის სხვა რედაქციებთან, გვ.31.

ნიერთა რამდენიმე თაობის კვლევა-ძიება მიეძღვნა. ადიშის ოთხთავის თავისებურებათა შორის ასახელებენ მის გამორჩეულად არქაულ ლექსიკას და პროტოდედნიდან შემორჩენილ გრამატიკულ ფორმებს (ხანმეტობა, ჰაემეტობა), აგრეთვე აშკარა არმენიზმებს, რის გამოც ოთხთავის ტექსტს XX საუკუნის პირველი ნახევრის უცხოელი მკვლევარები სომხურიდან თარგმნილად მიიჩნევდნენ[24]. რადგან ოთხთავში ბერძნიზმებიც ძალზე ბევრია, მათ წარმოქმნას ოთხთავის ტექსტში ბერძნულთან სწორების გზით VII საუკუნის შემდგომ ვარაუდობდნენ. XX საუკუნის მეორე ნახევარში ადიშის ოთხთავის კვლევა ენის ისტორიის უფრო ფართო ჭრილში მიმდინარეობდა – მისი ლექსიკის, ფრაზეოლოგიისა და სინტაქსური კონსტრუქციების შესწავლა სომხურ-ბერძნულ ოთხთავებთან და ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებთნ მიმართებით (ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ე. დოჩანაშვილი). გამოირკვა, რომ ადიშის ოთხთავისა და სომხური ოთხთავის შემხვედრი სიტყვები თანაბრად მიეკუთვნება ბერძნული, ირანული, სემიტური, სომხური და ქართული ენების ლექსიკურ ფონდს[25]. მრავალი ამ სიტყვათაგან გვხვდება ჯრუჭ-პარხლისა და გიორგი ათონელის რედაქციის ტექსტებშიც. ამავე დროს ადიშის ოთხთავში მართლაც მოიპოვება უშუალოდ სომხურიდან შემოტანილი სიტყვებიც, რომლებიც ქართულ ენაში (განსაკუთრებით ტაოში) ბუნებრივად მკვიდრდებოდა სომეხ ქალკედონურ მოსახლეობასთან ისტორიული კონტაქტის გზით. სომხური ენის გავლენის კვალი არ გამოვლენილა ადიშის ოთხთავის სინტაქსურ კონსტრუქციებში, რაც თარგმანის წყაროს ყველაზე ზუსტ მახასიათებლად მიიჩნევა[26]. განსაკუთრებით საინტერესო შედეგი აჩვენა ადიშის ოთხთავისა და ჯრუჭ-პარხლის რედაქციების შედარებითმა შესწავლამ. გამოირკვა, რომ ორივე რედაქცია საერთო ძირს, ბერძნული ოთხთავის უძველეს (ხანმეტ) ქართულ თარგმანს ემყარება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ერთ კულტურულ სივრცეში ისეთი კანონიკური წიგნის, როგორიც ოთხთავია, იმთავითვე ორი განსხვავებული თარგმანი შექმნილიყო[27]. ადიშის ოთხთავის ლექსიკური არმენიზმები მეორეულია და იმ ფენაში გვხვდება, რომელიც რედაქტორმა ჩაასწორა მისთვის უფრო მისაღები და, შესაძლოა, უფრო გასაგები სომხური ოთხთავის მიხედვით[28]. ჯრუჭ-პარხლის რედაქციის ოთხთავებს ამგვარი სწორება არ შეხებია. რედაქციული განსხვავებანი ჯრუჭ-პარხლისა და ადიშურ რედაქციებს შორის მეორეული მოვლენაა და აიხსნება უკვე სხვა, „ტექსტის გარეთა“, ისტორიულ-კულტურული ფაქტორებით და არა ოთხთავის ორი სხვადასხვა თარგმანის არსებობით.

X-XI საუკუნეების ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერებიდან წინარეათონური, ე.წ. ჯრუჭ-პარხლის, რედაქციის კიდევ რამდენიმე ოთხთავი არის გამოსული: ოპიზის, შემდეგ ათონზე გადატანილი (Ath.83), ურბნისის (A-509), ტბეთი I (SPb N 2102), მესტიის (M-1 (კ-70), წყაროსთავი I (A-98), ბერთა I (Ms. Georgia 1, Houghton Libr.) ოთხთავები. ამ ოთხთავთაგან ერთი ჯგუ-

[24] R. P. Blake, Notes on the Text of the Georgian and Armenian Gospels, Paris, 1937.

[25] ე. დოჩანაშვილი, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის, გვ.178.

[26] ე. დოჩანაშვილი, მასალები ადიშის ოთხთავის არმენიზმების საკითხისათვის, გვ.170 (დამოწმებულია ს. სარჯველაძის წერილიდან: ადიშის ოთხთავის მიმართებისათვის ოთხთავის სხვა რედაქციებთან, კრებ. ადიშის ოთხთავი 897 წლისა, გვ.56).

[27] ე. ჭელიძე, წმინდა წერილის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ძირითადი ეტაპები, გვ.338.

[28] ს. სარჯველაძე, ადიშის ოთხთავის მიმართებისათვის ოთხთავის სხვა რედაქციებთან, გვ.69; ე. ჭელიძე, წმინდა წერილის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ძირითადი ეტაპები, გვ.343.

ფი: წყაროსთავი I და ურბნისის ოთხთავი ბერძნულ ორიგინალთან სიახლოვის თვალსაზრისით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სამ სინურ (Sin.15,16,30) და ე.წ. პალესტინურ (H-1741) ოთხთავებთან. ეს სწორება ბერძნულ ოთხთავთან ენობრივი მონაცემების მიხედვით (Sin: 15,30-ში გამოვლენილია ჰაემეტი ფორმები) დასრულებული ჩანს VIII საუკუნის პირველ ნახევარში. ამ ნიშნით ისინი უპირისპირდებიან ოპიზის, მესტიის, ბერთისა და ტბეთის ოთხთავებს, მაგრამ ეს სხვაობა არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ რედაქციული სხვაობის საკმარის საფუძვლად იქნას მიჩნეული[29].

ზოგადად, წმ. წერილის შემცველი ტაოკლარჯული ხელნაწერები ქართული ბიბლიოლოგიის, სამწერლობო ენის და კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს წარმოადგენენ.

ტაოკლარჯულ ოთხთავთა შორის შეუძლებელია არ მოვიხსენიოთ IX საუკუნით დათარიღებული ე.წ. კორიდეთის ბერძნული ოთხთავი, რომლის გრაფიკას, ენას, ტექსტის რედაქციულ კუთვნილებას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა. კორიდეთის ოთხთავის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გრიგოლ წერეთელს, რომელმაც 1937 წელს გერმანულ ენაზე გამოსცა ბერძნული ოთხთავის მინაწერები მრავალმხრივი კომენტარებით და ვრცელი ქართული და რუსული რეზიუმეებით.

კორიდეთის ბერძნული ოთხთავი გადაწერილია ასომთავრული ბერძნულით (მაიუსკული), რომლის გრაფიკასაც მთელი რიგი პალეოგრაფიული თავისებურებების გამო ქართველის მიერ გადაწერილად მიიჩნევენ და მას ბერძნული ასომთავრული დამწერლობის ქართულ (ეგზოტიკურ) დუქტუსს უწოდებენ (გ. წერეთელი, ე. გრანსტრემი). ამ გრაფიკას ქართულის კვალი ემჩნევა ორთოგრაფიაში, სიტყვათა გადატანის წესებში და ზოგჯერ ტექსტის გაუგებარ დაწერილობაში[30]. მიუხედავად ამგვარი ხარვეზებისა, ოთხთავის ტექსტი ძალზე მნიშვნელოვანია, იგი რედაქციულად ერთ-ერთი უძველესია და უახლოვდება 300 წლის სიახლოვეს კესარიაში შექმნილ ბერძნული ოთხთავის ორ ნუსხას, რომლებიც, ზოდენის თანახმად, ყველაზე უკეთ ასახავს ოთხთავის თავდაპირველ ბერძნულ ტექსტს[31].

ტაო-კლარჯეთმა შემოგვინახა უძველესი ადრექრისტიანული ლიტურგიკული კრებულების – მრავალთავების (ბერძნ. პოლიკეფალონ) ოთხი (პარხლის – A-95, ტბეთის – A-19, კლარჯეთის – A-144, უდაბნოს – A-1109) ხელნაწერი. ქართულმა მრავალთავებმა დიდი ხანია მიიპყრო ქართველ და უცხოელ მკვლევართა ყურადღება (ა. ერჰარდი, კ. კეკელიძე, ილ. აბულაძე, მ. ვან ესბროკი, თ. მგალობლიშვილი, მ. მაისურაძე)[32]. მათი ჟანრობრივი სიჭრელე, ლიტურგიკული კალენდარი, მარხვის ციკლები, ცალკეულ თხზულებათა დოქტრინალური შინაარსი და კრებულთა სტრუქტურა უმნიშვნელოვანეს მასალას იძლევა თავად კრებულის არქეტიპის, ად-

[29] ზ. სარჯველაძე, წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმისეული რედაქციის საკითხები, გვ.109-133.

[30] გ. წერეთელი, კორიდეთის ხელნაწერი და მისი ბერძნული მინაწერები, გვ. 66-67; Е.Э. Гранстрем, Греческие рукописи Государственного музея Грузии с.191-194.

[31] დამოწმებულია პ. უვაროვას მიხედვით: МАК XI, 1907, с.XVI.

[32] ქართული მრავალთავების ტიპოლოგიის, ჟანრობრივი თავისებურებების, ბიზანტიურ, სირიულ, არაბულ, სომხურ ჰომილეტიკურ კრებულებთნ მიმართების საკითხები ვრცლად განხილულია ნ. მელიქიშვილისა და მ. მაისურაძის ნაშრომში: ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა, კრებულში: ნარკვევები ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, გვ. 274-288. დართული აქვს სრული ბიბლიოგრაფია.

რექრისტიანული ჰომილეტიკური მწერლობისა და იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის რეკონსტრუქციისათვის[33].

იერუსალიმურ ღვთისმსახურებაში მრავალთავი „განჩინების“ (ლექციონარის) ჰომილეტიკურ დანამატად იყო მიჩნეული. ანალოგიური ბერძნული კრებულების მსგავსად, მრავალთავი, შესაძლოა, მთელი წლის კალენდარული ციკლის შემცველიც ყოფილიყო (უდაბნოს მრავალთავი) და ნახევარი წლისაც (პარხლის, ტბეთის, კლარჯული მრავალთავები), თუმცა, ქართული მრავალთავების შინაარსობრივი სტრუქტურა არასოდეს იმეორებს ზუსტად ბერძნულ კრებულებს[34].

მრავალთავის თავდაპირველი მოდელი მხოლოდ საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულებზე წარმოთქმულ ქადაგებებს შეიცავდა[35], მაგრამ დროთა განმავლობაში კრებულებს პატრისტიკული, პოლემიკური, აპოკრიფული, ეგზეგეტური და აგიოგრაფიული ჟანრის საკითხავებიც შეემატა[36]. ასეთი ჟანრობრივი სიჭრელე ტაოკლარჯულ მრავალთავებშიც შეიმჩნევა, თუმცა, არქეტიპული ფენა მათში ყოველთვის შენარჩუნებულია. ქართულ მრავალთავში, გარდა ნათარგმნი საკითხავებისა, ქართული მასალაც შეჰქონდათ. მაგ., კლარჯულ მრავალთავში შეტანილია ქართველი ავტორის, იოანე ბოლნელის, ქადაგებები[37]; პარხლის მრავალთავში – წმ. ნინოს ქადაგებათა საკითხავები[38]; ამ უკანასკნელთა ქრისტოლოგიურ ჭრილში გაანალიზებამ მ. ვან ესბროკი მიიყვანა დასკვნამდე, რომ მათი შეტანა თავდაპირველ კრებულში არაუგვიანეს VI საუკუნისა უნდა მომხდარიყო[39]. ამდენად, მრავალთავების შესწავლამ დამატებითი მასალა გამოავლინა ქართლში ქრისტიანობის მქადაგებლის შესახებ. პარხლის და ტბეთის მრავალთავებში საკითხავები შეუტანიათ ქართული ორიგინალური აგიოგრაფიიდანაც („აბოს წამება“ „შუშანიკის წამება“)[40]. როგორც ჩანს, ქართველი მწიგნობრები მრავალთავების შედგენილობას საკუთრი შეხედულებისამებრ განსაზღვრავდნენ და მასში შერჩეულ მასალას ამატებდნენ. ამგვარი მასალა, ერთი მხრივ, ეხმიანებოდა თანადროული საზოგადოების ეროვნულ-სარწმუნოებრივ სულისკვეთებას და, მეორე მხრივ, აძლიერებდა „ქრისტესმიერი ძმობის“ განწყობებს სხვა ეთნოსის წარმომადგენლთა მიმართ, რომელთა სარწმუნოებრივი თავდადების ამბავს ქართველი მრევლი ღვთისმსახურების ჟამს მრავალგზის ისმენდა.

ჟანრებთან დაკავშირებით ქართული მრავალთავები აღძრავენ კიდევ ერთ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხს, რომელიც აპოკრიფული ჟანრის ლიტერატურას შეეხება. ამ საკითხთან მიმართებით საინტერესოა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ცნობა, რომ კონსტანტინოპოლის მონასტრების მოხილვისას სამონასტრო ბიბლიოთეკებში გრიგოლ ხანცთელს

---

[33] ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, გვ.69.

[34] M. Van Esbroeck, Les plus anciens homeliaires géorgiens, p.18.

[35] ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, გვ.69.

[36] კრებულის ჟანრობრივი მრავალფეროვნება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ეკლესიის მამათა ქადაგებების თემატური მრავალფეროვნებით – ისინი შეიძლებოდა შეხებოდნენ წმინდანთა ცხოვრებას, ეკლესიის ისტორიას,ბიბლიური ტექსტების განმარტებებს, დოგმატურ ან ასკეტურ საკითხებს და სხვ. (იხ. ნ. მელიქიშვილი, მ. მაისურაძე, ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა, გვ.278).

[37] კლარჯული მრავალთავი, გვ.19-29.

[38] ხელნაწერთა აღწერილობა A-I1 გვ. 365.

[39] M. van Esbroeck, Les plus anciens homeliaires géorgiens, p. 512-518.

[40] ხელნაწერთა აღწერილობა A-I1 გვ. გვ. 69,371.

მრავლად უნახავს აპოკრიფული წიგნები: „ ... ესრეთ აღივსო გული მისი სიმდიდრისაგან დაუბეჭდველისა ახლისა შჯულისა“[41]. საინტერესოა, რომ ამ მხრივ „ცხოვრება“ ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ „დაუბეჭდველ ახალ სჯულზე“, რაშიც, ცხადია, ახალი აღთქმის აპოკრიფული ტექსტები იგულისხმება. ცნობილია, რომ აპოკრიფული ლიტერტურისადმი ეკლესია სიფრთხილეს იჩენდა: თხრობების გარკვეული ნაწილი განკუთვნილი იყო მხოლოდ სჯულისკანონის მცოდნე პირთათვის[42], ხოლო ნაწილი აკრძალულ წიგნთა ინდექსებში ხვდებოდა და მათ გავრცელებას (თარგმნა-გადაწერას) ეკლესია კრძალავდა. აღსანიშნავია, რომ აპოკრიფული მწერლობის ზოგიერთი ნიმუში, რომელიც ადრე აკრძალულ წიგნთა რიცხვს მიეკუთვნებოდა[43], დროთა განმავლობაში სავსებით მისაღები ხდებოდა, თუმცა, ამგვარი ტექსტების კანონიზაციამ რთული და ხანგრძლივი პროცესი განვლო[44]. აღსანიშნავია ისიც, რომ ეფთვიმე ათონელამდე ქართველ მწიგნობრებს ცხოველი ინტერესი არ გამოუხატავთ ახალი აღთქმის შეუწყნარებელ წიგნთა ინდექსისადმი[45], მაშინ, როდესაც ძველი აღთქმის წიგნთა ინდექსები მათთვის კარგად იყო ცნობილი (Sin.34, შატბერდის კრებული S-1141, მცხეთის ფსალმუნი A-38)[46]. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ X საუკუნის გასულამდე ახალი აღთქმის აპოკრიფთა საკითხი მწვავედ არათუ ქართველ, არამედ თვით ბიზანტიელ მწიგნობართა წინაშეც კი არ დამდგარა[47]. ამასვე უნდა მიგვანიშნებდეს როგორც „ცხოვრების“ ზემოთ მოხმობილი პასაჟი, ასევე, ტაოკლარჯული მრავალთავები (კლარჯული, პარხლის) და სხვა პატრისტიკულ კრებულები (მაგ., ოშკის „სამოთხე“ - Ath. 9), რომლებშიც უხვადაა შესული ახალი „სჯულის“ „დაუბეჭდავი“ წიგნები. პარხლის მრავალთავში შეტანილია სირიულ-პალესტინურ წრეში ჩამოყალიბებული არქაული აპოკრიფი „სიყრმე უფლისა“, რომლის ბერძნულმა ტექსტმა, მეცნიერთა ვარაუდით, მრავალგზისი რევიზია და სწორება განიცადა, რის გამოც მისი ცალკეული პასაჟების შინაარსი გაბუნდოვანებულია[48] (ასეთივე ბუნდოვნებით გამოირჩევა ქართული რედაქციის ზოგი მონაკვე-

[41] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 264.

[42] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ.430.

[43] ცნობილია რამდენიმე ამგვარი ინდექსი, რომელთა შედგენილობა დროთა განმავლობაში იცვლება კიდეც. იხ. მ. რაფავა, ბიბლიის წიგნთა ინდექსები ძველ ქართულ მწერლობაში: ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში, გვ. 224-237; ნ. ჩხიკვაძე, აპოკრიფი-დაფარული საიდუმლო, გვ. 80-87.

[44] ამ პროცესის თვალსაჩინო მაგალითია იოანეს გამოცხადება, ანუ აპოკალიფსი, რომელმაც ახალი აღთქმის კანონში ადგილი მხოლოდ კართაგენის მსოფლიო კრების (419) შემდგომ მოიპოვა და ისიც მხოლოდ საეკლესიო დადგენილების დონეზე. პრაქტიკაში იგი დიდხანს არ დამკვიდრებულა, ყოველ შემთხვევაში, ქართულმა სამწიგნობრო ტრადიციამ, რომელიც მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ბიზანტიის ოფიციალურ სარწმუნოებრივ კურსს, მას ყურადღება მხოლოდ X -XI საუკუნეთა მიჯნაზე მიაპყრო - ექვთიმე ათონელი იყო პირველი მწიგნობარი, რომელმაც ახალი აღთქმის კანონში შესული ეს წიგნი თარგმნა. არც ისაა გამორიცხული, რომ იოანეს გამოცხადება მთარგმნელთა ყურადღების მიღმა დარჩა იმის გამოც, რომ იგი არ გამოიყენებოდა ღვთისმსახურებაში.

[45] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 432-433. ე. ჭელიძე, აპოკრიფულ წიგნთა ეფთვიმე ათონელისეული ინდექსი, გვ. 214-229.

[46] მ. რაფავა, ბიბლიის წიგნთა ინდექსები ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 226-227.

[47] ადრექრისტიანულ კულტურულ სივრცეზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სარწმუნოებით ერთიანი, მაგრამ განსხვავებული სუბკულტურების მომცველი არეალების უნიფიცირება ხანგრძლივი პროცესი იყო, იგი გულისხმობდა სხვადასხვა ხალხში ფეხმოკიდებული ტრადიციების თანდათანობით ნიველირებას და მათ ხანგრძლივ ადაპტაციას აღიარებულ საერთო ქრისტიანულ ნორმებთან.

[48] Voicu S.J. Histoire de l'enfance de Jesus, Introdiction: Écrits apocryphes chretiens,I, p. 191-193.

თიც)[49]. შემდგომში ეს თხრობა ეფთვიმე ათონელის აკრძალულ წიგნთა ინდექსში მოხვდა[50]. საყურადღებოა ასევე, რომ კლარჯულ მრავალთავსა და ოშკის „სამოთხეში“ შესულია იოსებ არიმათიელის ავტორობით ცნობილი ლუდიის ეკლესიის აპოკრიფი, რომელმაც მხოლოდ ქართული თარგმანით მოაღწია[51]. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ოშკის „სამოთხის“ 39 ჰომილიიდან არც ერთს არ ეძებნება შესატყვისი ბერძნული დედანი. ისინი ძალზე ახლოს დგანან პალესტინური რედაქციის 924 წლის საბაწმინდურ კრებულთან (Sin. 36). ამ ორ კრებულს შორის არსებულ ერთ-ერთ სხვაობას სწორედ იოსებ არიმათიელის აპოკრიფი ქმნის[52]. ტაოკლარჯულ ნუსხებში მსგავსი არაერთი მაგალითი დასტურდება.

ტაოკლარჯულ კრებულებში ნათარგმნი ტექსტების ლიტერატურულ პირველწყაროებად, უმეტეს შემთხვევაში, ბერძნული ორიგინალებია დადგენილი, რომელთაგან საკმაოდ ბევრი დაკარგული ბერძნული მოდელის რეკონსტრუქციისათვის გამოიყენება[53]. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი V/VI-X საუკუნეებს შორის მერყეობს. ცნობილია ერთი და იმავე თხზულების ორი ან მეტი სხვადასხვა თარგმანის არსებობის შემთხვევებიც. ეს მოვლენა სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული. მათ შორის ასახელებენ ტექსტების რევიზიის საჭიროებას, რასაც დროდადრო (VII საუკუნემდე) ჰქონდა ადგილი მწვავე ქრისტოლოგიური დისპუტების ეპოქაში; თარგმანი შეიძლებოდა თავიდან შეესრულებინათ ძველი თარგმანის დედანთან მეტისმეტი დაცილების, ანდა, დროთა განმავლობაში, მისი გაბუნდოვანების გამო[54]. ტაოკლარჯული კრებულების ზუსტი თარგმანები, რომლებსაც ვან ესბროკი „ელინიზებულ“[55]. თარგმანებს აკუთვნებს[56] უფრო გვიანდელია (X ს.) და გამოირჩევა მეტი სიზუსტით. ზოგადად, ტაოკლარჯულ კრებულებში არ ჩანს მკაცრად ერთგვაროვანი მიდგომა თარგმანის მიმართ – ერთმანეთის პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს დედანთან უფრო დაშორებული[57] თარგმანიც და ე.წ. ელინიზებულიც, რომელიც თარგმანის მიმართ უფრო მკაცრ დამოკიდებულებას ასახავს.

---

[49] ა. შანიძე, თომას სახარების აპოკრიფული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები, გვ.29-40.

[50] „სამოთხის“ ქართული თარგმანი, გარდა ზემოხსენებული ათონური ხელნაწერისა, მოიპოვება 925 წლის სინურ ხელნაწერში (Sin.36).

[51] ნ. ჩხიკვაძე, იოსებ არიმათიელის ავტორობით ცნობილი ლუდიის ეკლესიის დაარსების აპოკრიფი, გვ. 60-66.

[52] ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, გვ. 34-49; ნ. ჩხიკვაძე, სასულიერო მწერლობის ძველ ქართულ თარგმანთა წარმომავლობისათვის, გვ. 172-182.

[53] Les plus anciens homéliaires géorgiens, étude descriptive et historique par Michel van Esbroeck. Publication de l'institut orientaliste de Louvain, 10. Luvain-la-neuve, 1975, p. 122; ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, გვ.74-75.

[54] ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, გვ.76-77.

[55] ამ პერიოდიდან ბიზანტიაში მკაფიოდ იცვლება დამოკიდებულება „გარეშე სიბრძნისადმი“, რომელსაც თანაბრად ეწაფებოდნენ საეკლესიო მოღვაწეებიც და სახელმწიფო მოხელეებიც, რაც ორივე წოდებას ერთნაირ საბაზო განათლებას აძლევდა და დიდ როლს ასრულებდა ბიზანტიური ელიტების კონსოლიდაციის საქმეში. ამასთანავე, ამ ელიტებში იზრდებოდა ირონიული დამოკიდებულება გაუნათლებელი ადამიანების მიმართ, რომელთა შორის ზოგჯერ თვით იმპრატორებიც კი შეიძლება აღმოჩენილიყვნენ. З.Г.Самодурова, Школы и образование. В кн. Культура Византии, вторая половина VII- XII в. Москва, 1989, с.с. 366, 368-369.

[56] Les plus anciens homéliaires géorgiens, étude descriptive et historique, p. 245; ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, გვ.76-77.

[57] „დედანთან დაშორების“ მიზეზების განმარტება ყოველთვის არ შეიძლება იყოს რელევანტური, რადგან მეცნიერებს ხელთ არა აქვთ ყველა ძველი დედანი, რომლებიც, ადვილი შესაძლებელია, თავად ყოფილიყვნენ მიზეზი თარგმანებში არსებული განსხვავებებისა.

ტაოკლარჯულ კრებულებში შედარებით ნაკლებია სომხური, სირიული და არაბული წყაროებიდან ნათარგმნი მასალის ხვედრითი წილი[58]. ადრეულ თარგმანთა შორის (მრავალთავებში) სომხური ენიდან შესრულებული თარგმანების მოხვედრის შესაძლებლობას ვარაუდობენ VII საუკუნემდე, სომხური და ქართული ეკლესიების კონფესიური ერთობის პერიოდში[59]. რამდენიმე შემთხვევაში მკვლევარები მიუთითებენ სირიულ ან არაბულ წყაროებს[60].

მაგრამ სომხური ენიდან თარგმნა, როგორც ირკვევა, ტაო-კლარჯეთში X-XI საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა, თუმცა, ყველა შემთხვევაში ბერძნული დედნის გამოყენება უფრო სასურველად იყო მიჩნეული[61]. ეს არც არის გასაკვირი, რადგან რეგიონის სომხურ ქალკედონიტ მოსახლეობასთან თანაცხოვრება მჭიდრო კულტურულ კონტაქტსაც განაპირობებდა. სომხური ენის კვალი, გარდა ზემოხსენებული შემთხვევებისა, შეიმჩნევა შატბერდის კრებულში (ამაზე ცოტა მოგვიანებით), როგორც ჩანს, ტაოში შედგენილ და შემდგომ ათონზე გაგზავნილ კრებულში (Ath. 8) მრავლად არის შეტანილი სომხურიდან თარგმნილი სომეხ წმინდანთა მარტვილობები. სომხურიდან თარგმანისადმი მკვეთრად ნეგატიურმა დამოკიდებულებამ თავი იჩინა ათონზე, აქ მოღვაწე ქართველ მწიგნობართა წრეში. ამაზე დაუფარავადაა გაცხადებული გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში: „და ვითარცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცდუნებად გუზმნობდეს, და რომელნიმე წიგნნიცა გუქონდეს მათგან თრგმნილნი“[62]. მიუხედავად ამგვარი შეფასებისა, ტაო-კლარჯეთის მონასტრებში XI საუკუნეშიც გვხვდება სომხურიდან ნათარგმნი ტექსტები. ამის თვალსაჩინო მაგალითია გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა გრიგოლ ოშკელისეული მაღალმხატვრული თარგმანები, რომლებიც გარკვეულ თავისუფლებას ამჟღავნებენ დედანთან მიმართებით[63].

„სომხური თემა“ ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო წრეებში რომ აქტიურად განიხილებოდა, ამას მოწმობს ქართლის კათალიკოს არსენ საფარელის ორიგინალური პოლემიკური თხზულება „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“. თხზულება წარმოადგენს ანტიმონოფიზიტურ ტრაქტატს, რომელიც იმავდრულად მოგვითხრობს კავკასიის ქვეყნების და, უმეტესწილად, სომხეთის საეკლესიო ისტორიას ბიზანტია-ირანის პოლიტიკური დაპირისპირებების ფონზე. თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩო თავსდება IV საუკუნის დასასრულსა და 726 წელს შორის[64]. სომეხთა „განდგომის“ ისტორიის თხრობისას არსენ საფარელი ეხება მონოფიზიტუ-

---

[58] P. Peeters, Traductions et traducteurs dans l’ hagiographie orientale a l’ epoque Byzantine, Analecta Bollandiana, t. XI, 1922; ი. აბულაძე, „მრავალთავი“, გვ. 242-243; ნ. მელიქიშვილი, მ. მაისურაძე, ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა, გვ. 288. მრავალთავებში შესული მთელი რიგი ტექსტების ლიტერატურული წყაროები ჯერ კიდევ დაუდგენელია.

[59] M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, p. 278.

[60] P.Peeters Traductions et traducteurs dans l’ hagiographie orientale a l’ epoque Byzantine , p. 288; M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, p. 278.

[61] იხ. დაჩის წერილი სტეფანე მტბევრისადმი, შატბერდის კრებული, გვ.364-365.

[62] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები II, გვ.123.

[63] მ. რაფავა. გრიგოლ ოშკელის თრგმანები ტაო-კლარჯეთის სკოლის ლიტერატურული შემოქმედების კონტექსტში, გვ. 82-84.

[64] თხზულების ავტორის, არსენ საფარელის, იდენტიფიკაციის საკითხი ამ სახელის მქონე ქართლის კათალიკოსებთან სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე კამათის საგანია, ამის გამო მისი მოღვაწეობის პერიოდი განისაზღვრება VII-

რი აღმსარებლობის მიმართულებებს და მათ მოძღვრებს, ლიტურგიკულ წესებს, რომლებშიც ასახვა პოვა რწმენითმა განსხვავებებმა ქალკედონურ და ანტიქალკედონურ ეკლესიებს შორის. ავტორი ემყარება მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას, ავლენს ფართო განსწავლულობასა და მაღალ პოლემიკურ კულტურას[65].

თხზულება უაღრესად საინტერესოა მისი ავტორის იდეოლოგიური პოზიციით, რომელსაც იგი ამჟღავნებს კავკასიის რეგიონში საეკლესიო განხეთქილების შეფასებისას. მისი თვალთახედვით, სომეხ ხალხს „ბრალი“ არ მიუძღვის აღმსარებლობის არჩევაში, რადგან იგი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა სპარსეთის პოლიტიკურმა ზეწოლამ[66]. ეს პოზიცია უსათუოდ ანარეკლია სომხების მიმართ იმ ლოიალური განწყობისა, რომელიც რეგიონში ბუნებრივად იქნებოდა ჩამოყალიბებული სომხური ეთნოსის წარმომადგენლებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში. არსენის თხზულება, რასაკვირველია, პროპაგანდისტულ ქვეტექსტსაც შეიცავს – იგი თითქოს ცდილობს თვალი აუხილოს მეზობელ ხალხს და დაეხმაროს მას სპარსელთა „მზაკვრობით“ უნებლიეთ დაშვებული შეცდომის დაძლევაში.

ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ბიბლიოთეკებში, უეჭველია, იარსებებდა ბერმონაზონთა წრეებში უაღრესად პოპულარული ასკეტურ-მისტიკური თხრობები, მაგრამ უშუალოდ ტაო-კლარჯეთის მონასტრებიდან ასეთი შინაარსის კრებულებს ჩვენამდე არ მოუღწევია. სამაგიეროდ, ათონის წიგნთსაცავში ინახება იოანე-თორნიკეს დავალებით 977 წელს ათონზე გასაგზავნად ოშკში საგანგებოდ დამზადებული ამ ჟანრის თხზულებათა შემცველი ხელნაწერი (Ath-9), „სამოთხე“. ბუნებრივია, „სამოთხის“ დედანი ისევ რომელიმე ტაოკლარჯულ მონასტერში იქნებოდა დაცული, მით უფრო, რომ „სამოთხის“ ქართული თარგმანი (ყველაზე ადრეული ნუსხა მოიპოვება 925 წლის სინურ ხელნაწერში) შესრულებულია IX საუკუნეში[67].

ტაო-კლარჯეთის სკრიტორიუმებში ამრავლებდნენ მომავალ ღვთისმსახურთა განსწავლისათვის საჭირო წიგნებსაც, რომელთაც, უეჭველია, ფართო გამოყენება ექნებოდათ ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობაში. იმის შესახებ, თუ რა შინაარსის შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარი წიგნები, წარმოდგენას გვიქმნის X საუკუნის 70-იან წლებში შედგენილი განთქმული შატბერდის კრებული (S-1141). კრებულს „გარეშე“ დამკვეთი არა ჰყავს, მისი შემდგენელია შატბერდის მონასტრის აღზრდილი და მისი სამწიგნობრო სკოლის

XI საუკუნეთა ფარგლებში (ს. კაკაბაძე, თ. ჟორდანია, პ. ინგოროყვა, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ლ. მელიქსეთბეგი, ზ. ალექსიძე, ე. ჭელიძე). მთავარი არგუმენტი, რომლის საფუძველზე არსენ კათალიკოსს IX საუკუნის ავტორად მიიჩნევენ, არის ის, რომ ქართველთა განმანათლებლად იგი გრიგოლ პართელს ასახელებს, რაც X საუკუნის 70-იან წლებში ქართლის მოქცევის მატიანის და „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმოჩენის შემდეგ (შატბერდის კრებული) მოძველებულ ცოდნად ითვლებოდა. ე. ჭელიძე, სპეკალი მართლმადიდებლობისა, თბილისი, 2007, გვ. 696.

[65] არსენ საფარელი, ზ. ალექსიძის გამოკვლევის თანახმად, კარგად იცნობდა აგათანგელოსის, მოსე ხორენელის და ლაზარე პარფელის ისტორიულ თხზულებებს, გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ XI საუკუნის ქართულ და „საჰაკ პართელის ხილვის“ სომხურ ვერსიებს, აგრეთვე, ანტიმონოფიზიტური ტრაქტატის Narratio de rebus Armeniae-ის სომხურ დედანს, პატრიარქ ფოტიოსის 895 წლის ეპისტოლეს ზაქარია სომეხთა კათალიკოსისადმი, X საუკუნის ისტორიკოსის, იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიას“, აგრეთვე, XI საუკუნის დასაწყისში დასრულებულ ასოღიკის „მსოფლიო ისტორიას“.

[66] ზ. ალექსიძის მოსაზრებით, თხზულება უნდა დაწერილიყო იმ დროს, როდესაც ირანის პოლიტიკური ფაქტორი უკვე მოხსნილი იყო და საქართველოს გაუჩნდა რეალური შესაძლელობები კავკასიაში ქალკედონიტობის მფარველის როლი შეესრულებინა (იხ. არსენ საფარელი, განყოფისათვს ქართველთა და სომეხთა, გვ.200).

[67] ი. აბულაძე, იოანე მოსხის „ლიმონარი“, გვ. 012. რ. გვარამია, ქართული „სამოთხის“ და არაბული ალ-ბუსთანის ერთი სინური წყაროს მიმართებისათვის, გვ. 97-110.

სახელოვანი წარმომადგენელი იოვანე ბერა, რომელსაც კრებული სპეციალურად შეუქმნია შატბერდისათის[68]. იოვანე ბერას თავად უზრუნია კრებულის შედგენილობაზე, სხვადასხვა მონასტრის ბიბლიოთეკებიდან შეურჩევია კრებულში შესატანი მრავალფეროვანი მასალა. მასში შეტანილი 14 თხზულებიდან 12 ეგზეგეტური ხასიათისაა[69]. დანარჩენი 2 აგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობის ნიმუშებია. შატბერდის კრებულის შედგენილობა ამჟღავნებს მის საგანმანათლებლო-შემეცნებით დანიშნულებას, უახლოვდება თანადროულ ბიზანტიურ ენციკლოპედიური ხასიათის კრებულებს. ძველი აღთქმიდან აქ წარმოდგენილია „შესაქმის“, „დავითისა და გოლიათის“, „ქებათა ქების“ და „ფსალმუნთა“ განმარტებები (ავტორები: გრიგოლ ნოსელი, იპოლიტე რომაელი), შეტანილია აგრეთვე, იმდროინდელი საბუნებისმეტყველო ცოდნის ნიმუშები (ეპიფანე კვიპრელის „თუალთუაჲ“, ბასილი კესარიელის „მჴეცთათჳს“, ე.წ. „ფიზიოლოგი“); „საზომთათვის და საწყაულთა“ შეეხება გრამატიკის, ისტორიული ქრონოლოგიის, ბიბლიაში მოხსენიებულ საზომთა, აგრეთვე ებრაული ანბანისა და ძველი აღთქმის წიგნთა რაოდენობას შორის სიმბოლურ კავშირებს (ავტორები: ეპიფანე კვიპრელი, დიომიდე, დიონისიოს თრაკიელი, იპოლიტე რომაელი). კრებულში შესული თხზულებები სხვადასხვა სიძველის თარგმანებს წარმოადგენენ ბერძნული, სომხური და არაბული ენებიდან (შესაძლოა, სირიულიდანაც), რომელთა სიძველე, როგორც შინაარსობრივი მონაცემებით, ასევე თავდაპირველი დედნების რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს[70].

ქართული კულტურის ისტორიისათვის შატბერდის კრებულის მნიშვნელობას ერთიორად ზრდის მასში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ აღმოჩენა. როგორც იოანე ბერა ტექსტზე დართულ მინაწერში აცხადებს, ამ თხზულების მოძიებას მისი და, როგორც ჩანს, ტაოკლარჯელ მწიგნობართა თაობების გარჯა დასჭირვებია: „ვითარცა ტალანტი, წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთო“[71]. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შეტანა სასწავლო კრებულში მჭევრმეტყველურად ახასიათებს ტაო-კლარჯეთის განათლებული წრეების მზარდ მოთხოვნილებას, რომ საკუთარი ეთნოკულტურული და სარწმუნოებრივი იდენტობა შეემეცნებინათ არა მითების და ზეპირგადმოცემების, არამედ კაცობრიობის ქრისტიანულ ისტორისათან კავშირში, „დაწერილი ტექსტების“ საფუძველზე.

როგორც ირკვევა, სასწავლო დანიშნულებას ითავსებდა ზემოხსენებული „მცხეთური დავითნიც“ (A-38), რომელიც, გარდა ფსალმუნთა და გალობათა ტექსტებისა, შეიცავს რამდენიმე დანართს. ამ დანართების გამო უწოდა მ. ჯანაშვილმა ხელნაწერს „დავითნის მეცნიერული გამოცემა“. პირველი ამ დანართთაგან არის ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე მარკელინესადმი, რომელიც ბიბლიის წიგნების მნიშვნელობათა განმარტებებს წარმოადგენს, მაგრამ

[68] იხ. იოვანე ბერას ანდერძი, შატბერდის კრებული, გვ. 21.

[69] „შატბერდის კრებულში“ შეტანილი მასალა, განსხვავებით სხვა ტაოკლარჯული ხელნაწერებისაგან, ყველაზე მკაფიოდ უჩვენებს ეგზეგეტური ჟანრით დაინტერესებას. ძველ ქართულ მწერლობაში ეგზეგეტური ჟანრის ადრეული ნიმუშების შესახებ იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, გვ. 316-318; თ. ოთხმეზური, ეგზეგეტიკა, გვ. 255-262.

[70] ამ საკითხების შესახებ: ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, გვ. 169; აგრეთვე: შატბერდის კრებული, გვ. 37-42.

[71] შატბერდის კრებული, გვ. 20-21.

ქართული ტექსტი ბერძნულ ორიგინალთან შედარებით ძალზე შემოკლებული და თავისებურად გადამუშავებული ვერსიაა; მეორე დანართი, სათაურის მიხედვით, ფსალმუნთაგან და წინასწარმეტყველთა წიგნებიდან ანონიმი ავტორის მიერ გამონაკრებ ექსცერპტებს შეიცავს; შემდგომი დანართი შეეხება ეგზეგეტურ მსჯელობას ფსალმუნთა დაყოფის შესახებ, რომელიც ისევ ათანასე ალექსანდრიელის თხზულებიდან მომდინარეობს, მაგრამ ქართული ტექსტის გაგრძელება ფსალმუნთა თანამიმდევრობის შესახებ ევსევი კესარიელის ფსალმუნთა განმარტებასთან ამჟღავნებს სიახლოვეს. მომდევნო ვრცელი დანართი ახასიათებს ფსალმუნთა წიგნის ხუთ ნაწილად დაყოფის ებრაულ ტრადიციას, რომელიც კვლავ ევსევი კესარიელის ტექსტს მიჰყვება და პარალელს პოულობს შატბერდის კრებულში შეტანილ მსგავს მსჯელობასთან[72]. ასევე აახლოვებს შატბერდის კრებულთან ფსალმუნთა ხელნაწერს ებრაული ანბანისა და ძველი აღთქმის წიგნთა რაოდენობის სიმბოლური განმარტებები. ს. ყაუხჩიშვილმა გამოარკვია, რომ ეს ნაწყვეტი, რომლის ქართული თარგმანია „საზომთათვის და საწყაულთა“, მომდინარეობს ეპიფანე კვიპრელის ამავე სახელწოდების თხზულებიდან (პერი მეტრონ კაი სტათმონ)[73], მაგრამ ტექსტოლოგიურად აქაც სხვაობა იჩენს თავს[74]. სულ ბოლო დანართი წარმოადგენს ქრონოლოგიურ-პასქალურ თხზულებას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის შევსებული გამოთვლებისათვის საჭირო „დასაბამითგანის და ქრონიკონის“ ორმაგი – ბერძნული და ქართული დაანგარიშებით, არც მარხვათა გამოთვლის ბერძნულ-ქართული წესით. პასქალური გამოთვლების ეს ტექსტი უფრო მოკლეა, ვიდრე მოგვიანო ხელნაწერებში შეტანილი მსგავსი ტრაქტატები. იგი, მ. შანიძის დაკვირვებით, უნდა იყოს გადმოწერილი იმ არქაული ტექსტიდან, რომელიც შეასწორა და განავრცო იოანე-ზოსიმემ (Sin.34)[75].

ტაო-კლარჯეთიდან იწყება ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრულ-დეკორატიული ელემენტებით: საზედაო ასოებით, ფერადოვანი კამარებით, მინიატურული მხატვრობით, მოჭედილი ყდებით ხელნაწერთა შემკობა-გაფორმების ტრადიცია. მანამდე, VII-VIII საუკუნეებში, ხატთმბრძოლობის პირობებში, ამ ტრადიციამ თვით ბიზანტიაშიც ვერ პოვა განვითარება[76]. იგი აღორძინდა მაკედონური ხანის ხელოვნებაში, რომელიც ეფუძნებოდა ხატის (პირველსახის, სიმბოლოს) საღვთისმეტყველო არსის ესთეტიკურ გააზრებას, რაც მხატვრისაგან, გარდა ოსტატობისა, თეოლოგიურ განსწავლულობას და ღრმა რელიგიურ შთაგონებას მოითხოვდა. რამდენადაც ქართული ხელნაწერი წიგნიც ბიზანტიაში დადგენილი მხატვრული ნორმების შესაბამისად ვითარდებოდა, ამდენადვე, შესაძლებელია, ამავე პერიოდიდან ტაო-კლარჯეთის სკრიპტორიუმებშიც ვივარაუდოთ მოხატული ხელნაწერების დამზადება, მაგრამ გასათვალისწინებელია დიდი ფინანსური დანახარჯებიც, რომლებიც ილუსტრირებული ხელნაწერის შესაქმნელად იყო აუცილებელი. ზემოხსენებულ გარემოებათა ხშირი თანხვედრა ტაოკლარ-

[72] შატბერდის კრებული, გვ.195.

[73] ს. ყაუჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, გვ.169.

[74] მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, გვ.82-92.

[75] იქვე, გვ.95.

[76] ადრექრისტიანული წიგნის ისტორიამ შემოინახა VI-VII საუკუნეებით დათარიღებული რამდენიმე ილუმინირებული ხელნაწერი წიგნი (როსანოს, ხლუდოვისა და რაბულას ხელნაწერები), მაგრამ საეჭვოა, რომ ტაო-კლარჯეთამდე საქართველოში ილუმინირებული ხელნაწერების შექმნის ტრადიცია განვითრებულიყო.

ჯულ მონასტრებში ნაკლებ მოსალოდნელია, რის გამოც მხატვრობით შემკული ხელნაწერები არცთუ ბევრია. ასეთთა დამკვეთებად, ჩვეულებრივ, გვევლინებიან მმართველი წრეების წარმომადგენლები, დიდი ფეოდალები, საეკლესიო წოდების მაღალი იერარქები. ტაო-კლარჯეთიდან ჩვენთვის ცნობილი პირველი მოხატული ხელნაწერია 897 წლის ადიშის ოთხთავი (M-22). ხელნაწერის მომგებელია სოფრონი, შატბერდის წინამძღვარი. X-XII საუკუნეების ტაოკლარჯული ოთხთავებიდან მოხატულია: ჯრუჭი I (H-1660), წყაროსთავი I (A-98), მესტიის ოთხთავი (M-1), ტბეთი II (Q-929, მოჭედილია ყდაც), ბერთის II (Q-906, მოჭედილია ყდაც). გარდა მოხატულობებისა, ხელნაწერის მხატვრულ-გამომსახველობით ეფექტს მნიშვნელოვნად განაპირობებს ხელნაწერისათვის გამოყენებული ეტრატის ხარისხი, ასოთა გრაფიკა და ტექსტის ორგანიზების წესები. ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებულია მიქაელ მოდრეკილის იადგარი (S-425).

ტაოკლარჯულ ხელნაწერებს ერთვის შინაარსობრივად მდიდარი ანდერძ-მინაწერები. ისინი გვაწვდიან ცნობებს ხელნაწერთა დამზადების ადგილის, მათი დამკვეთებისა და შემქმნელების შესახებ. თავისთავად ანდერძ-მინაწერის სტანდარტული ფორმაც უაღრესად საინტერესოა, რამდენადაც წარმოგვიდგენს მოცემული ეპოქის ადამიანის ტიპს, მის ფსიქორელიგიურ განწყობებს და მისწრაფებებს. ამასთანავე, ანდერძ-მინაწერებში ხშირად აღწერილია ხელნაწერის შექმნის პროცესთან დაკავშირებული პროფესიული საქმიანობის დეტალები, რითაც ვეცნობით სხვადასხვა კატეგორიის მუშაკებს: წიგნის რედაქტორებს, რიგით გადამწერებს („მწერლებს“), რვეულების მკაზმავებს და ყდით შემმოსველებს, მხატვრებსა თუ ოქრომჭედლებს. ნაწილი ანდერძებისა გვაცნობს სრულიად უნიკალურ ისტორიულ ფაქტებს, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ისტორიის მთელი რიგი ეპიზოდების აღდგენა, ან გარკვეულ ისტორიულ პირთა მოღვაწეობის სრულფასოვნად შეფასება. ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება ანდერძ-მინაწერებს ხელნაწერებში შესული ლიტერატურული მასალის წარმომავლობის, რედაქტირებისა თუ მათი მოპოვებისათვის გაწეული შრომის გასაცნობად. ანდერძები საუკეთესოდ ასახავენ მწიგნობართა განსწავლულობის ხარისხსა და ცოდნის მოცულობას, ისინი გვიქმნიან წარმოდგენას ქართველ ბერმონაზონთა განათლების და, შესაბამისად, იმდროინდელი სამონასტრო სწავლების შინაარსზე. ამავე დროს, ანდერძების საშუალებით ვეცნობით გადამწერ-მწიგნობართა მთელ დინასტიებს, რომელთა ნამუშაკევი, ჩვენ ხელთ არსებული ხელნაწერების სახით, წარმოგვიდგენს ტაო-კლარჯეთში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებს.

ტაო-კლარჯეთის კულტურულ ორიენტაციაზე უდიდესი ზეგავლენა იქონია სამთავროს მმართველი ბაგრატიონთა დინასტიის მჭიდრო პოლიტიკურმა თანამშრომლობამ ბიზანტიის იმპერიასთან, რაც ორივე მხარისათვის არაბებთან ბრძოლის საერთო ინტერესებს ეფუძნებოდა. მართალია, ბაგრატიონები ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდნენ (კურაპალატი, მაგისტროსი, ანტიპატოსი), მაგრამ რეალურად ისინი სუვერენული უფლებებით სარგებლობდნენ, დამოუკიდებლად წყვეტდნენ საშინაო პოლიტიკის საკითხებს, მეტიც, გაბედულად ეურჩებოდნენ ბიზანტიას, როდესაც ეს უკანასკნელი მათ პოლიტიკურ ინტერესებს ან ისტორიულ ტერიტორიებს შეეხებოდა. ამასთანავე, ტაო-კლარჯეთის მმართველი წრეები, განათლებული საერო და სასულიერო არისტოკრატია აღიარებდა ბიზანტიის, როგორც ქრისტიანული ღირებულებების დამცველი, ზენაციონალური სახელმწიფოს ფუნქციას და მისი კულტურის მნიშვნელობას მთელი

ქრისტიანული სამყაროსათვის. ეს წრეები თავად განასახიერებდნენ ბიზანტიური განათლების მქონე ელიტებს, რომელთაც გააზრებული ჰქონდათ ბიზანტიური კულტურის „მიბაძვის“, მასთან გატოლების საჭიროება საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის. ბიზანტიისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა X საუკუნის ბოლო ათეული წლების პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებში, როდესაც ტაო-კლარჯეთის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწენი, ერთი მხრივ, მტკიცედ იცავდნენ საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებს, მეორე მხრივ, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ მაღალი ბიზანტიური კულტურის ქართულ ნიადაგზე გადმოსანერგად ათონზე, იმ დროისათვის კოსმოპოლიტურ სამონასტრო ცენტრში, ქართველთა მონასტერი დაეფუძნებინათ.

ათონის სალიტერატურო სკოლამ მოუმზადა საფუძველი ქართული ეკლესიის გადასვლას კონსტანტინოპოლური ღვთისმსახურების წესზე, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა საეკლესიო მწერლობის შემდგომი განახლება-განვითრების პროცესს. ამ დროიდან ქართულ ეკლესიებში გავრცელებას იწყებს კონსტანტინოპოლური ლიტურგიკული კალენდარი და ლიტერატურული რეპერტუარი (მოკლე და ვრცელი სვინაქსარების წმ. ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანები), ახალი ტიპის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები (თვენი, მარხვან-ზატიკნი, პარაკლიტონი), უფრო მოგვიანებით ჩნდება კურთხევანისა და ჟამნის ახალი რედაქციები[77].

ამ ახალი რედაქციების გავრცელებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი როგორც ტაოკლარჯული სამონასტრო კერების მოღვაწენი, ისე საერო ხელისუფალნი. ეს პროცესი, თუ გავითვალიწინებთ დედნების მოპოვებასთან და შორეულ მიმოსვლებთან დაკავშირებულ სიძნელეებს, მაინც სწრაფად და შეუქცევადად ვითარდებოდა. ამასთანავე, ტაო-კლარჯეთში კვლავ ცოცხლობდა აღმოსავლეთთან ტრადიციული კავშირები და ძველი ტენდენციები. აქაური ხელნაწერები ერთხანს კვლავ ინარჩუნებდნენ პალესტინური წარმომავლობის ლიტერატურულ მასალას, მაგრამ ამჯერად მათ ახალი ტიპის კრებულების დასაკომპლექტებლად იყენებენ[78].

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, დიდი ისტორიული კატაკლიზმების კვალდაკვალ, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კერების უდიდესი ნაწილი განადგურდა. დაქვეითდა ან მთლიანად მოისპო პალესტინა-იერუსალიმისა და შავი მთის სამონასტრო ცენტრების შემოქმედებითი სამწერლობო საქმიანობა, რომლებთანაც ტაო-კლარჯეთის მონასტრებს ტრადიციული კულტურული კონტაქტები აკავშირებდა. ტაო-კლარჯეთის მოსაზღვრე ბიზანტიის პოზიციების დასუსტებამ და ისლამის გაბატონებამ, ამასთანავე, რეგიონის მოქცევამ სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ფარგლებში, სულ სხვა, უფრო კუთხურ-სეპარატისტული ამოცანები წამოსწია წინ ამ მხარის მმართველთა წინაშე. ამიერიდან სამცხე-საათაბაგოში საეკლესიო ან სხვა დარგის მწერლობის განვითარება წყდება, მიმდინარეობს მხოლოდ საღვთისმსახურო ტექსტების არსებული თარგმანების ხელახალი გადაწერა-გამრავლება ადგილობრივი სამრევლო ეკლესიებისათვის.

შეცვლილი პოლიტიკური და სოციალური გარემოებების შესაბამისად, XIV საუკუნეში სამცხე-საათაბაგოს მთავრებმა, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა, შექმნეს

[77] ლ. ხევსურიანი, ლიტურგიკა, გვ. 8-10.

[78] იქვე, გვ.8.

საკანონმდებლო კოდექსი (ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი), რომელიც ორიგინალური ქართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის თვალსაჩინო ნიმუშად მიიჩნევა. XIV-XVI საუკუნეებიდან სამცხე-საათაბაგოდან მოღწეული მწიგნობრული მემკვიდრეობა – იქნება ეს ოფიციალურ და კერძო პირთა შორის გაფორმებული იურიდიული გარიგებები – საეკლესიო იერარქთა ფიცის წიგნები, შეწირულებათა და ყიდვა-გაყიდვის აქტები, სტატისტიკური დოკუმენტები თუ ქრონიკური ჩანაწერები – ეს ყველაფერი ასახავს სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ მესვეურთა ვიწრო-რეგიონალურ თვალსაწიერს, შიდაპოლიტიკური დაჯგუფებების არსებობას, მთავართა მცდელობებს, მოეწყვიტათ საათაბაგოს ეკლესია ქართლის კათალიკოსთა იურისდიქციისაგან, ამ უკანასკნელთა შეუპოვარ ბრძოლას რეგიონში სამწყსოსა და კანონიკური უფლებების შენარჩუნებისათვის და ა.შ. ისტორიულ წყაროთა ცალკე ჯგუფს ქმნის ტაოკლარჯულ ხელნაწერებზე დართული ჯაყელთა სამთავრო სახლისა და სხვა ადგილობრივი დიდგვაროვანი საგვარეულოების მოსახსენებლები (სინოდიკონები), რომლებიც მდიდარია ფაქტოლოგიური და გენეალოგიურ-ქრონოლოგიური ცნობებით. ისინი ხშირად ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ სამცხე-საათაბაგოს ისტორიის დაკარგული ფურცლების აღსადგენად.

ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერები

ტაო-კლარჯეთის მონასტრებიდან ჩვენს დრომდე მოღწეული მწიგნობრული მემკვიდრეობა, რასაკვირველია, ვერც რაოდენობრივად და ვერც შინაარსობრივად სრულად ვერ ასახავს აქ შექმნილ ლიტერატურულ პროდუქციას, მაგრამ სავსებით საკმარისია ტაო-კლარჯეთის, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთიანი კულტურული სივრცის, განუყოფელი ნაწილის შესაფასებლად. მაშინ, როცა მემატიანის გამოთქმით, „განრყუნილ იყო საყოფლად მცხეთა“[1], ტაო-კლარჯეთმა გადაარჩინა (ნაწილობრივ მაინც), შემდგომ გადაამუშავა და გაამდიდრა ის ლიტერატურული მასალა, რომელიც მცხეთისაგან იმემკვიდრა. აქ განვითარდა უკვე არსებული მთარგმნელობითი ტრადიციები, შეიქმნა სხვადასხვა შინაარსობრივი სტრუქტურისა და დანიშნულების ხელნაწერი კრებულები, დაიწერა ქართული აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული მწერლობის შედევრები, დაიხვეწა ხელნაწერი წიგნის ხელოვნება, აღიზარდა ბერ-მონაზონთა განსწავლული, მაღალი სულიერი კულტურის მატარებელი თაობები, რომლებმაც ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში დიდი ხნით დაამკვიდრეს ბერის – თავისუფალი პიროვნების („ქუეყანასა ზედა არა ვისსა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან“) – მაღალი ავტორიტეტი. დაბოლოს, ტაო-კლარჯეთში შემუშავდა „კულტურის პოლიტიკის“ შუასაუკუნოვანი მოდელი, რომელსაც შემდგომაც წარმატებით იყენებდნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეები.

სამწუხაროდ, IX საუკუნიდან, როდესაც დიდი ინტენსივობით მიმდინარეობდა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობა, ადგილობრივ დამზადებული ხელნაწერები არ შემორჩენილა, გარდა 897 წლის შატბერდული ოთხთავისა (ე.წ. ადიშის სახარება). ამ ნაკლოვანებას ნაწილობრივ ავსებს X საუკუნის ხელნაწერი მემკვიდრეობა. ამ საუკუნემ ტაო-კლარჯეთის მხარეს შესამჩნევი პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობა მოუტანა, რამაც ბიზანტიურ „დასავლეთზე“ ორიენტირებულ მის მმართველ დინასტიას შესაძლებლობა მისცა, ხელი შეეწყო სამონასტრო კულტურის წინსვლისათვის. ამიტომაც მიმდინარეობდა ტაოკლარჯულ მონასტრებში დინამიკური შემოქმედებითი პროცესი, რომელსაც ერთდროულად კვებავდა მათი ტრადიციული კონტაქტები ქრისტიანული აღმოსავლეთის (პალესტინა-იერუსალიმი, სინა, ანტიოქია) სამონასტრო ცენტრებთან და, ამასთანავე, კონსტანტინოპოლ-ათონისადმი გაცხოველებული ინტერესი. ტაო-კლარჯეთში იშვა ათონზე ქართველ ბერ-მონაზონთა კოლონიის დაფუძნების იდეა და აქედანვე შეესხა მას ხორცი. შემდგომ საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში სამონასტრო ცხოვრება გრძელდება, მაგრამ მას ნაკლებად ახლავს შემოქმედებითი მუხტი. აქაური მონასტრები ცდილობენ სწრაფად მიიღონ და შეითვისონ ის სიახლეები, რომლებიც ახალი თარგმანებისა თუ ახლად შევსებულ-რედაქტირებული ლიტერატურული მასალის სახით შემოდის ათონიდან. ის ლიტერატურული სიახლეები, რომლებიც მთელი XI საუკუნის განმავლობაში ინერგებოდა საქართველოს ეკლესიის ლიტურგიკულ პრაქტიკაში, „ბერძული“ (ათონის) სალიტერატურო სკოლის დამსახურებას წარმოადგენდა.

[1] ჯუანშერი, გვ. 143.

ტაოკლარჯულ ხელნაწერთა ერთი ნაწილის კოლოფონებში მითითებულია, თუ სად, რომელი მონასტრის სკრიპტორიუმში დამზადდა ესა თუ ის ხელნაწერი. ეს გარემოება საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლებად განისაზღვროს ცალკეული მონასტრის მნიშვნელობა ლიტერატურული პროდუქციის შექმნის საქმეში. გვხვდება შემთხვევები, როდესაც ხელნაწერი იწერება რომელიღაც ერთი მონასტრის სკრიპტორიუმში, ხოლო მისი გადამწერი ან დამკვეთი სხვა მონასტრის კრებულს ეკუთნის. ამიტომ მითითებანი ასეთ ხელნაწერებზე, ცალკეულ მონასტრებზე მსჯელობისას, ზოგჯერ განმეორდება, რამდენადაც ასეთი შემთხვევები მონასტერთა შორის კულტურული თანამშრომლობის გავრცელებულ პრაქტიკას ასახავენ. წინამდებარე თავში სწორედ ტაო-კლარჯეთის ცნობილ სამონასტრო სკრიპტორიუმებში დამზადებულ ხელნაწერებსა და მათთან ორგანულად დაკავშირებულ ანდერძ-მინაწერებს შევეხებით. მკითხველმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ზოგიერთი ხელნაწერის თანამედროვე სახელწოდება (მაგ., ადიშის ოთხთავი, წალკის ოთხთავი) დაკავშირებულია არა რომელიმე სამონასტრო სკრიპტორიუმთან, არამედ ხელნაწერის პოვნის ან გვიანდელი დაცულობის ადგილთან.

ამასთანავე, გვაქვს ხელნაწერებიც, რომლებიც აშკარად ტაოკლარჯული წარმომავლობისანი არიან, მაგრამ მათი იდენტიფიცირება რომელიმე კონკრეტულ მონასტერთან შეუძლებელია. ნაშრომში ასეთი ხელნაწერების შესახებაც არის ინფორმაცია, მაგრამ ისინი, განსახილველი თემატიკის მიხედვით, სხვადასხვა თავში არის გადანაწილებული.

ოპიზა

ერთადერთი მოქმედი მონასტერი, რომელიც გრიგოლ ხანცთელს კლარჯეთში დახვდა, იყო ოპიზა. იგი მდებარეობს იმერხევისწყლის მარჯვენა სანაპირო ზოლის მთის ფერდზე. ოპიზის პირველი მაშენებელი იყო არტავაზი[2], ვახტანგ გორგასლის ერისთავი. VIII საუკუნეში, მურვან ყრუს ლაშქრობის დროს, მონასტერი დანგრეულა, ამავე საუკუნის 50-იან წლებში იგი აღუდგენია სამოელ ოპიზარს[3], ხოლო IX საუკუნეში განუახლებია გუარამ მამფალს[4]. ოპიზას მოიხსენიებენ როგორც დიდ ლავრას, სადაც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ და ბერული ცხოვრების პირველ გაკვეთილებს იღებდნენ IX-X საუკუნეების ტაო-კლარჯეთის ცნობილი სასულიერო პირები: მიქელ პარეხელი, გრიგოლ ხანცთელი და მისი სულიერი ძმები. აგრეთვე სერაპიონ ზარზმელი, ბასილი ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი[5], გრიგოლ ოპიზელი.

ოპიზის მონასტერი განთქმული იყო მწიგნობრული საქმიანობით. დღემდე შემორჩენილია 913 წელს გრიგოლ ოპიზელის მიერ გადანუსხული ადრეული რედაქციის ოთხთავი (Ath.83), რომელიც შემდგომში ათონზე აღმოჩნდა წაღებული. ოპიზის ოთხთავი ადრეული აღმოსავლურ ქრიასტიანული, ჩვენს სამწერლობი ტრადიციაში ჯრუჭ-პარხლის რედაქციის

[2] ჯუანშერი, 178.

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 253.

[4] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 260.

[5] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 335.

სახელწოდებით ცნობილ ოთხთავთა ჯგუფს განეკუთვნება. ხელნაწერის ანდერძი აჩვენებს, რაოდენ სიფრთხილით ეკიდებოდნენ გადამწერები თავიანთ საქმეს და რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ სანდო დედნის მოძიებას: „... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლავრასა შინა წმიდასა ნათლისმცემლისასა ოპიზას, დ ე დ ი ს ა გ ა ნ უ ც თ ო მ ე ლ ი ს ა ს ი ტ ყ ვ თ დ ა ზ ა ნ დ უ კ ი თ გ ა მ ო წ მ ე დ ი ლ ი ს ა ...“[6].

XI საუკუნის მიწურულს, 1093 წელს, ვინმე ათანასე არვანდ-ყოფილს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული ნუსხიდან ოპიზაში გადაუწერია და ისევ ოპიზისათვის შეუწირავს პარაკლიტონი (ხეც, A-93). საგალობლების გასწვრივ, ხელნაწერის არშიებზე, გადამწერს, ისევე როგორც ეს იყო გიორგი მთაწმიდელის ნუსხაში, მიუწერია საგალობლების ავტორთა სახელები. სამებისადმი მიძღვნილი გალობის შემდგომ იკითხება გადამწერის ანდერძი, რომელიც შეიცავს ერთ საინტერესო ფილოლოგიურ შენიშვნას. იგი აჩვენებს, თუ როგორი დაკვირვებით მუშაობდნენ ტაო-კლარჯეთის გადამწერები ლიტერატურულ მასალაზე და რა მოტივებით შეიძლებოდა ჩარეულიყვნენ ტექსტში: „ვესავ უფალსა, რომელ-ესე წმიდისა სამებისა გალობები წმიდა მამასა ჩუენსა გიორგი მთაწმიდელსა უთარგმნია, ვითა ბერძულად ყოფილ არიან. აწ ესე ქ ა რ თ უ ლ ნ ი შ ჯ ო ბ ა ნ ა მ ი ს თ ვ ი ს, რ ა მ ე თ უ ა რ ა დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა თ ქ მ უ ლ ნ ი ა, ა რ ა მ ე დ ე პ ი ფ ა ნ ე ს ვ ი ს მ ე მ ო ძ ღ უ ა რ ს ა უ თ ქ უ მ ა ნ და არიან ათექუსმეტნი. ესე იგი არს ყოველთა ჴმათა ორ-ორი, ხოლო მე, ათანასე, რვანი ოდენ დავწერენ, დ ა თ უ ვ ი ს ს რ უ ლ ე ბ ი თ უ ნ დ ე ნ, თ ა ვ ა დ ს ა მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა წ ი გ ნ ს ა ს წ ე რ ი ა ნ“[7]. როგორც მოხმობილი ანდერძიდან ირკვევა, XI საუკუნის მიწურულსაც კი ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო ცენტრებში გიორგი ათონელის რედაქციის პარაკლიტონის პარალელურად გადამწერ-რედაქტორები ინარჩუნებდნენ კლარჯული ტრადიციისათვის დამახასიათებელ ე.წ. „ ქ ა რ თ უ ლ“ ჰიმნოგრაფიულ კანონებს. ათანასე არვანდ-ყოფილს გიორგი ათონელის ვრცელი რედაქციის პარაკლიტონიდან გამოუკრებია რვა ხმაზე გაწყობილი ეპიფანე მოძღვრის საგალობლები. ყურადღებას იმსახურებს ანდერძში დადასტურებული ტერმინი „ქართული“, რომლის შესახებ მკვლევრებს განსხვავებული თვალსაზრისები აქვთ. ერთი პოზიციით იგი აღნიშნავს ნამდვილად ორიგინალურ საგალობელს, ხოლო სხვა თვალსაზრისით მხატვრული ღირსებით ორიგინალთან გატოლებულ, „გაქართულებულ“ ძველ თარგმანებსაც[8], რომელთა ავტორების სახელები დავიწყებას მისცემია. ყველა შემთხვევაში გადამწერის განაცხადი შესანიშნავად უჩვენებს ტაოკლარჯელ მწიგნობართა ერთგულებას მყარად არსებული ლიტერატურული ტრადიციისადმი, რომელიც კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა ინერციას.

ოპიზის მონასტრის შემდგომი ბედის შესახებ ცნობას გვაწვდის გიორგი მთაწმიდლის რედაქციის XIII საუკუნის ოთხთავის (ლაბსყალდის ოთხთავი, M-26) ანდერძი, რომლის თანახმად, დავით ნარინს მოძღვარი ილარიონ სოფრომისძე ოპიზიდან გელათში ჩაუყვანია, სადაც მისთვის გადაუცია ძველი, დაშლილი ოთხთავი და საფასე, რათა ხელნაწერი თავიდან

[6] R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothéque de la Laure d' Iviron, p. 266.

[7] ხელნაწერთა აღწერილობა, A - I1, გვ. გვ. 341, 346. ხელნაწერში შესული საგალობლების შესახებ იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 068-073.

[8] ლ. ჯღამაია, ჰიმნოგრაფია, გვ. 166.

„შეეკაზმა“. შემდეგ განამწესებს მეფე ილარიონ ოპიზელს, სავარაუდოდ, გელათის მეტოქ ქედის წმ. მთავანაგელოზთა ეკლესიის მოძღვრად და ილარიონიც ამ ოთხთავს, სხვა საგანძურთან ერთად, მეფის სახელზე ეკლესიას სწირავს. ასე მოხვდა ილარიონ ოპიზელი კლარჯეთიდან რაჭაში[9]. ანდერძიდან კარგად ჩანს, რომ მოძღვარი ილარიონი იძულებულია ოპიზა დატოვოს, რაშიც მას დახმარებას უწევს დავით ნარინი. ანდერძის ეს ცნობა ეხმიანება 1265-1270 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ სასტიკ ბრძოლებს ოქროს ურდოს უფლისწულ თეგუდარსა და ილხანთა ყაენ აბაღას შორის. ცნობილია, რომ თეგუდარი უზარმაზარი ლაშქრით შემოვიდა საქართველოში სპარსეთიდან და სამხრეთ-დასავლეთ და შავშეთ-აჭარის მთებში დაბანაკდა. აქ ორი მძიმე ბრძოლა გადაიხადა აბაღა ყაენის ჯართან, რა დროსაც აოხრდა შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა, ჯავახეთი, თრიალეთი. თეგუდარის მეომრები არბევდნენ და ძარცვავდნენ მონასტრებსაც[10]. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, როგორ გაგზავნა თეგუდარმა 1000 მონღოლი ჯარისკაცი ოპიზის დასარბევად, რომელიც იმ დროს მრავალრიცხოვან ბერთა სავანე ყოფილა, მაგრამ მონღოლებს საშინელი დელგმა დასტყდომიათ თავს და კაციან-ცხენიანად მთის ნიაღვარს ჩაურეცხავს[11]. მაშინ ოპიზა გადარჩენილა, მაგრამ, როგორც ჩანს, რეგიონის საერთო მდგომარეობამ მაინც იმოქმედა მის დაქვეითებაზე. 1282 წელს დავით ნარინი ჯარით შეიჭრა ტრაპიზონის სამეფოში, სადაც კონსტანტინოპოლი დინასტიური ქორწინების გზით აქ ქართული გავლენის აღმოფხვრას ცდილობდა. ამ ლაშქრობამ დავით ნარინს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა და უკან გამობრუნდა[12]. სავარაუდოდ, ამ დროს უნდა მოენახულებინა დავით ნარინს ოპიზა და ილარიონი თან წამოეყვანა. მეტი ცნობა ოპიზაზე არ გვაქვს.

ოპიზა განთქმული იყო საოქრომჭედლო სახელოსნოთი, სადაც ამზადებდნენ საეკლესიო სამსახურებელ წმ. ჭურჭელს, ჯვარ-ხატებს და ხელნაწერთა ჭედურ ყდებს. XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე ბეშქენ და ბექა ოპიზრებს ამ სახელოსნოში დაუმზადებიათ ანჩის (დაკარგულია), წყაროსთავის (ხეც, Q-907) და ბერთის (ხეც, Q-906) ოთხთავების ჭედური ყდები. ბექა ოპიზრის ნახელავია, აგრეთვე, ანჩის მაცხოვრის ხატის ჩარჩო[13].

ხანცთა

ხანცთის მონასტერი მდებარეობს იმერხევისწყლის მარჯვენა მხარეს, კლდოვან ფერდზე. იგი დააარსა გრიგოლ ხანცთელმა 782 წლის მომდევნო წლებში ადგილობრივი აზნაურის, გაბრიელ დაფანჩულის შეწევნით. ხანცთის კრებულისათვის გრიგოლ ხანცთელმა, საბაწმიდური „განგებისა“ და კონსტანტინოპოლური მონასტრების გამოცდილების გათვალისწინებით, შეადგინა ახალი „განგება“, „ყოველთგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით

[9] ქედა/ქედი/ქედისუბანი ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, დამოწმებულია რაჭაში, სადაც გელათის მონასტერს ჰქონდა მეტოქი ეკლესიები და მონასტრები (საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, II, გვ.261).

[10] საქართველოს ისტორიის ნარკვევები III, .580.

[11] ჟამთააღმწერელი, გვ. 259.

[12] მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, .213.

[13] შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, გვ.გვ.5-6,44.

შეკრებული“. გიორგი მერჩულის თანახმად, ეს განგება ნაწილობრივ („მცირედი რაჲმე“) მის დროსაც გამოიყენებოდა[14]. გიორგი მერჩულის თხზულებაში შემონახული ფრაგმენტული ცნობები საბაწმიდური ტიპიკონიდან ორმაგადაა მნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, იგი ადასტურებს, რომ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების რეგლამენტაცია საბაწმუდურ ტიპიკონს ეყრდნობოდა, მეორე მხრივ, თავად წეს-განგების თხზულებაში მოწოდებული ფრაგმენტი გარკვეულ წილად წარმოადგენს საბაწმიდური ტიპიკონის პირველ წერილობით ფიქსაციას (ფრაგმენტულად), რამდენადაც უძველესი საბაწმიდური ტიპიკონის ტექსტი ბერძნულ ენაზე შემონახულია მხოლოდ 1096 წლის სინის მთის ხელნაწერში. ამაზე უფრო ადრეული პერიოდიდან მოღწეულია მხოლოდ ცნობა, რომ იგი, სტუდიელთა ტიპიკონთან ერთად, ხელთ ჰქონია ცნობილ ანტიოქიელ მოღვაწეს, ნიკონ შავმთელს (XI ს.)[15]. სამონასტრე ტიპიკონთაგან ზოგი შეიცავს მხოლოდ სამონაზვნო ცხოვრების დისციპლინარულ წესებს (მაგ., პეტრიწონის ტიპიკონი), ზოგიც - დისციპლინარულ წესებთან ერთად ლიტურგიკულ წეს-განგებასაც. ხანცთის „განგება“, გიორგი მერჩულის მონათხრობის მიხედვით, ორივეს შეიცავდა – ღვთისმსახურების ტიპოსსაც და, მასთან ერთად, სამონასტრო ცხოვრების დისციპლინარულ წესებსაც.

უკვე ითქვა, რომ კ. კეკელიძე გრიგოლ ხანცთელის „განგებას“ მხოლოდ სამონასტრე ტიპიკონად მიიჩნევდა, რომელიც ტაო-კლარჯეთის მონასტრებში იქნებოდა გავრცელებული[16], ამავე შეხედულებისაკენ იხრება ე. გაბიძაშვილიც – გრიგოლ ხანცთელის „განგებას“ იგი აკუთვნებს ქართულ ტრადიციაში კარგად ცნობილ ე.წ. საკტიტორო განგებათა კატეგორიას. ასეთთაგანი უნდა ყოფილიყო, ვთქვათ, ილარიონ ქართველის მამის აშენებულ მონასტერში მის მიერვე შემოღებული განგება და სხვ[17]. ამ მოსაზრებათა საპირისპიროდ, ე. ჭელიძე ფიქრობს, რომ გრიგოლ ხანცთელის შემოღებული „განგება“ იყო არა სამონასტრო, არამედ საერთო დანიშნულების – სამრევლო და სამონასტრო – ახლად თარგმნილი და ახალ კალენდარულ (შობის წელიწადზე) სისტემაზე გამართული ლიტურგიკული ძეგლი, რომელშიც საკითხავები ძველი ქართული თარგმანებიდანაც იქნებოდა შეტანილი[18]. მეცნიერის დასკვნით, სწორედ გრიგოლის მიერ შემოღებული განგება იყო იგივე იერუსალიმური ლექციონარი, იგივე „დიდი კანონი“[19], რომელიც კ. კეკელიძეს და მ. თარხნიშვილს VIII საუკუნის ძეგლად მიაჩნიათ, ხოლო ე. მეტრეველი მას ხანმეტი ლექციონარის თანდათანობით განვრცობილ რედაქციად მიიჩნევს[20].

ხანცთასთან არის დაკავშირებული კიდევ ერთი ძეგლი – მთელი წლის კალენდარულ სისტემაზე გაწყობილი ჰიმნოგრაფიული კრებული „საწელიწდო იადგარი“, რომელიც,

---

[14] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ, 265-266.

[15] თ. ქრონცი, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ და საბაწმიდური წეს-განგება, გვ. 88-89.

[16] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 576, სქოლიო გვ.1.

[17] ე. გაბიძაშვილი, შრომები, III, გვ. 9-10.

[18] ე. ჭელიძე, ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, გვ.765-807.

[19] იქვე, გვ. 766.

[20] К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII в. с.27; M. Tarchnishvili, Zwei georgische Lektionarfragmente aus dem 5. und 8. Jahrhundert, s. 261-285; უძველესი იადგარი, გვ. გვ. 665, 672-684.

გიორგი მერჩულის თანახმად, გრიგოლ ხანცთელს „სულიწმიდის შთაგონებით“ დაუწერია[21]. მერჩულის ეს სიტყვები მკვლევართა ნაწილს გრიგოლის ავტორობის დადასტურებად ესმის. ეს მოსაზრება პირველად პ. ინგოროყვამ გამოთქვა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში ქართული სასულიერო პოეზიის შესახებ. მისი დასკვნით, გრიგოლ ხანცთელს პირველს შეუდგენია საგალობელთა მთელი წლის („საწელიწდო“) კრებული და, რომ მანამდე უნდა არსებულიყო მხოლოდ მოკლე იადგარი („დღესასწაულთანი“). გრიგოლ ხანცთელის საგალობელთა ნაკვალევს პოულობს პ. ინგოროყვა მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულშიც[22]. პ. ინგოროყვას მოსაზრებას არსებითად ეთანხმებოდა კ. კეკელიძე[23]. ე. ჭელიძე პ. ინგოროყვას მოსაზრებას იმ ნაწილში იზიარებს, რომ გრიგოლ ხანცთელამდე „საწელიწდო იადგარის“ სრული ჩანაწერი არ უნდა არსებულიყო, მაგრამ უარყოფს დასკვნას, რომ თავად გრიგოლ ხანცთელი არის ორიგინალური საგალობლების ავტორი. მისი აზრით, გრიგოლი უნდა ყოფილიყო ჩამწერი მთელი წლის იმ ჰიმნოგრაფიული მასალისა, რომელიც ქართულ ენაზე მანამდეც არსებობდა და გრიგოლს მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ზეპირად ჰქონდა დასწავლილი[24]. გრიგოლ ხანცთელის ავტორობას შეუძლებლად მიიჩნევს ე. მეტრეველი. მისი მსჯელობის თანახმად, რადგან „იადგარი“ ქართული ღვთისმსახურების განვითარების ადრეული, იერუსალიმური პერიოდის დამახასიათებელი მოვლენაა, ბუნებრივია, მთლიანად განსაზღვრული იქნებოდა მისი წესით, განგებით, სპეციფიკით. გრიგოლ ხანცთელს მხოლოდ უნდა გადაეწერა უკვე არსებული „საწელიწდო იადგარი“ – საგალობელთა კრებული, რომლის ანალოგი ასეთივე სახელწოდებით არსებობდა გიორგი მერჩულის დროსაც[25]. ასეთია გრიგოლ ხანცთელის არმოღწეულ მემკვიდრეობაზე სამეცნიერო მოსაზრებები, რომლებიც თავისთავადაა საინტერესო და ძველი ქართული ფილოლოგიის განვითარების გზას ასახავს.

X საუკუნის პირველ ნახევარში ხანცთაში მოღვაწეობდა შესანიშნავი მწერალი გიორგი მერჩულე, ავტორი „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებისა“ და საგალობლებისა, რომლებიც „მერჩულურის“ სახლითაა შემონახული[26].

შემორჩენილი ცნობების თანახმად, ტაო-კლარჯეთის მონასტრები ერთმანეთს ხელს უწყობდნენ სამონასტრო წიგნთსაცავების შევსებაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელნაწერის თხოვებას მაინც ერიდებოდნენ (თუმცა, ასეთი შემთხვევებიც არსებობდა). ხელნაწერების დიდი ხნით გატანის ან დაკარგვის თავიდან ასაცილებლად მონასტრები ამჯობინებდნენ მოთხოვნილი ხელნაწერი საკუთარ სკრიპტორიუმში დაემზდებინებინათ ადგილობრივი ან დამკვეთი მონასტრის ძალებით, შემდეგ გაეტანებინათ მოწვეული პირისათვის, ან თვითონვე შეეწირათ სასურველი მონასტრისათვის. ასეთი შემთხვევების თვალსაჩინო მაგალითია 1085 წელს ხანცთის სკრიპტორიუმში შატბერდის მონასტრისათვის გადაწერილი საწელიწდო-

[21] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.282.

[22] პ. ინგოროყვა, ქართული პოეზია, გვ. 221-222,342.

[23] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 135.

[24] ე. ჭელიძე, ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, I, გვ. 819.

[25] უძველესი იადგარი, გვ.683.

[26] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ.846-856.

საწინასწარმეტყველო (ხეც, A-192), რომელიც გადაუწერია ხანცთელ მწიგნობარს, მოსე ხანცთელს (ამ ხელნაწერის შესახებ დაწვრილებით იხ. შატბერდი).

XII საუკუნის პირველ მეოთხედში ხანცთის მონასტრის მკვიდრმა სტეფანე დიაკონმა სვეტის უდაბნოსათვის გადაწერა გიორგი მთაწმიდელის რედაქციის დეკემბრის თვენი (ხეც, S-4999)[27]. ეს არის დიდი მოცულობის ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც თავმოყრილია და კალენდარულ რიგზე გამართული წმინდანებისა და საეკლესიო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ძველი და ახლად თარგმნილი საგალობლები[28]. გიორგი მთაწმიდელი ყველგან უთითებს საგალობლების ავტორთა სახელებს, რასაც ასეთი რეგულარულობით არ (ან ვერ) აკეთებდნენ ადრეული იადგარების შემდგენელნი. „თვენში" შეტანილია თავად გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის შობის აკროსტიხული საგალობელიც[29].
გიორგი მთაწმიდელის თარგმანებს, გადამწერები, ჩვეულებრივ, უნარჩუნებენ მთარგმნელის უაღრესად საყურადღებო ანდერძებს, რომლებშიც აღწერილია მთარგმნელის მიერ გაწეული ფილოლოგიური შრომა, დასახელებულია ლიტერატურული წყაროები, ავტორები, ახსნილია ტერმინები, ხშირად განმარტებულია შრომის საგანმანათლებლო მიზანი, რომელიც იმ ეპოქისათვის ნიშნავდა „ქართველთა ნათესავის" განსწავლას ბიზანტიური ცოდნით. სწორედ ამგვარი ანდერძია შეტანილი „დეკემბრის თვენშიც": „...გულსავსებით უწყოდეთ, რომელ არღარა რომელსა საბერძნეთისა ეკლესიისა არა იპოოს ამისი უკეთესი სათუე, სრული და უნაკლულოჲ. პეტრე წმიდისა დიდისა ეკლესიისა სათუეე და სვმეონ წმიდისაჲ მქონდეს, და სოფია წმიდისა სტიქარონნი. და ყოველი, ვითა ნათელი მზისაჲ, ეგრეთ გამოგვკრებია, და ერთი გვრგვნი კათოლიკე ეკლესიისაჲ, შემკული თუალითა და ანთრაკითა, და ყოველთავე ქვითა პატიოსნითა შეგვთხზავს, და, ვიდრე აქამომდე ჩუენგან დაფარული ცაჲ, მრავალფერთა მთიებთა მიერ აღსავსე, საჩინოდ ყოველთა ქართველა ზედა, არა ჩ(უე)ნ, არამედ ღ(მერთს)ა გარდაურთხამს, რათა ჰნათობდეს კიდით კიდემდე ქუეყნისა ნათესავსა ჩ(უე)ნსა..."[30]

ხანცთელი სტეფანე დიაკონის ანდერძში საუკეთესოდ ჩანს, თუ რაოდენ დაინტერესებულნი ყოფილან სვეტის უდაბნოს ძმები გიორგი მთაწმიდლისეული „თვენის" შეძენით. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ხელნაწერი დაიწერა „მათითა საფასითა". გადამწერი მადლობას უძღვნის ყველას, ვინც შემწეობა აღმოუჩინა ხელნაწერის წერისას. მათ შორის განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენიებს სვეტის მოურავს (იკონომოსი) ანტონის და გიორგი ხუცესს, რომელთაც დიდი „ჭირი უნახავთ" ხელნაწერის მოსაგებად.

XVII საუკუნეში ეს ხელნაწერი, სხვა ტაოკლარჯულ ხელნაწერთა მსგავსად, ოსმალთა

---

[27] ხელნაწერი პალიმფსესტზეა გადაწერილი. ქვედა ფენის შედგენილობის შესახებ იხ. ლ. შათირიშვილი, ერთი კლარჯული თვენის შესახებ, მასალები, გვ. 402-411.

[28] დეკემბრის „თვენის" ტექსტი სრულადაა მოღწეული. ხელნაწერი შეიცავს 33 საკითხავს. 25-ე-27-ე თავები შეიცავენ შობისადმი მიძღვნილ საკითხავსა და იოანე დამასკელის შობის საგალობლის ორ თარგმანს, რომელთაგან ერთი, არააკროსტიქული, პ. ინგოროყვას აზრით, ეკუთვნის გრიგოლ ხანცთელს (პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, გვ.318); შობის გიორგისეული აკროსტიქული თარგმანი შეისწავლა ლ. ჯღამაიამ (იხ. მისი: იოანე დამასკელის შობის საგალობლის გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი, კრ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, გვ . 178-190).

[29] ამავე საგალობლის არააკროსტიხული თარგმანი შესულია იადგარებში, რომლებიც, პ. ინგოროყვას მოსაზრებით, უთარგმნია გრიგოლ ხანცთელს, (პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, გვ. 318.)

[30] ხელნაწერთა აღწერილობა, S VI, გვ. 319.

ნადავლად ქცეულა და ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით 1682 წელს მოხვედრილა ქვემო ქართლში, მდივანბეგ ვახტანგ ორბელიშვილისა და ზაალ არაგვის ერისთავის ასულის – თამარის (ანუ სულხან-საბა ორბელიანის მშობლების) ოჯახში. ამას გვაუწყებს ხელნაწერის მეორე გვერდზე მოთავსებული მინაწერი. მათ „თვენი“ სხვა რამდენიმე ხელნაწერთან (მარხვანი, სვინაქსარი, სამოციქულო, პარაკლიტონი, ძველი პარაკლიტონი, ნოემბრის თვენი), ერთად შეუსყიდიათ და ტანძიის საგვარეულო წმ. ნიკოლოზის ეკლესიისათვის შეუწირავთ. სავარაუდოდ, დეკემბრის „თვენს“ დაზიანებულსა და უყდოს უნდა მიეღწია ორბელიშვილების ოჯახამდე. ამიტომ ვახტანგ ორბელიშვილს ხელნაწერის აღდგენაზეც უზრუნია. მისი ბრძანებით, დაშლილი ხელნაწერი ხელახლა აუკინძავთ და ახალი ყდით „შეუმოსავთ“. ხელნაწერი დღემდე ამ ყდაშია ჩასმული[31].

შატბერდი

შატბერდის მონასტერი მდებარეობს კლარჯეთში, არტანუჯისა და ანჩის სიახლოვეს. ვ. ჯობაძე მას აიგივებს ენი რაბათთან[32]. მონასტერი დაარსდა IX საუკუნის 30-იან წლებში გრიგოლ ხანცთელის თაოსნობით და ბაგრატ კურაპალატის კტიტორობით. შატბერდის სკრიპტორიუმმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ტაო-კლარჯეთის კულტურულ ცხოვრებაში. აქ შექმნილი ხელნაწერები გამორჩეულია კალიგრაფთა და მომხატველთა ოსტატობით, შინაარსობრივი მრავალფეროვნებით და რედაქციული გამართულობით. ლიტერატურული საქმიანობა შატბერდში მიმდინარეობდა დღიდან დაარსებისა. IX-XI საუკუნეებში აქ მოღვაწეობდნენ სწავლული მწიგნობრები: გრიგოლ ხანცთელის მოწაფე სოფრონ შატბერდელი, იოანე ბერა, გრიგოლ ვაჩეძორელი, სტეფანე შატბერდელი და სხვ.

897 წელს სოფრონ შატბერდელის მომგებლობით მიქაელ დიაკონს აქ გადაუწერია ჩვენამდე მოღწეულ ოთხთავთა შორის ყველაზე ადრეული თარიღიანი სახარება – ე.წ. ადიშის ოთხთავი, რომელიც უნიკალური ძეგლია ქართული ბიბლიოლოგიის, ძველი ქართული ენისა თუ შუასაუკუნოვანი ქართული წიგნის მხატვრული გაფორმების ისტორიისათვის. ხელნაწერის გადამწერისა და შემმოსველის, მიქაელ დიაკონის ანდერძი, რომელიც ხელნაწერის 387v-ს მარჯვენა სვეტზე ყოფილა განთავსებული, დღეისათვის ამოჭრილია. ანდერძის ტექსტი გადარჩენილია ე. თაყაიშვილის ფოტოტიპიური გამოცემით[33]. ანდერძში ხელნაწერის თარიღი მითითებულია სამგვარი სათვალავით: დასაბამითგანი (ხფ˜[ა]), ქრონიკონი (რი˜ზ) და ქრისტესით ჩ˜ა). ამათგან პირველი ორი (დასაბამითგანი და ქრონიკონი) იძლევა 897, მესამე დათარიღება („ქრიტესისით“) უჩვენებს 1001 წელს, რაც ერთ ხანს გარკვეულ გაუგებრობებს იწვევდა, მაგრამ კ. კეკელიძემ დაადგინა, რომ „ქრისტესით“ მითითებულია ქართულ ხელნაწერებში არაერთგზის გამოყენებული ალექსანდრიული სისტემით, რომელიც წელთაღრიცხვის ქართულ სისტემასთან 104-წლიან სხვაობას აჩვენებს. ამ სხვაობის გამოკლებით (1001-104=897) ისევ 897 წელს ვიღებთ. ამრიგად, ადიშის ოთხთავის გადაწერის

[31] ხელნაწერთა აღწერილობა, S VI, გვ. 320.

[32] ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, გვ.57.

[33] Адишское евангелие, таб. 198,199.

თარიღი (897) არავითარ ეჭვს არ იწვევს[34] და მას დამატებით ამაგრებს ანდერძში არსებული ისტორიული რეალიები.

იმავე გვერდის მარცხენა სვეტზე გადარჩენილა ხელნაწერის მომგებლის, სოფრონის, ანდერძი საინტერესო ისტორიული ცნობებით. მასში მოხსენიებული არიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწეები, რაც საშუალებას იძლევა დაზუსტდეს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის ქრონოლოგია და, ასევე, შატბერდის წინამძღვართა ქრონოლოგიური რიგი: „სახელითა ღმრთისაჲთა ... ღირს ვიქმენ მე, გლახაკი სოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამას წიგნსა სახარებასა ოთხთავსა ფრიადითა მოღუაწებითა სულიერად ძმათა ჩემთაჲთა. სალოცველად ყოვლისა ამის კრებულისათვს და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ჴორციელად; და სალოცველად მეფეთა ჩუენთა: ღმრთივ დიდებულისა ა დ ა რ ნ ე ს ე კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა და ღმრთივბოძთა ნაშობთა მათ[თ] ა: დ ა ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა და მეუღლეთა და ნაშობთა მათთათვს. და სალოცველად სულთა გარდაცვალებულთათვს: სულისა მ ა მ ი ს ა გ რ ი გ ო ლ ი ს ა, სულისა მამისა გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა და ყოველთა ძმათა ჩუენთა გარდაცვალებულთათვს და სულთა მეფეთა ჩუენთათვს: ა რ ს ე ნ ი ს ა, დ ა ვ ი თ ი ს ა, ა შ ო ტ ი ს ა და ყოველთა თვსთა გარდაცვალებულთათვს...“[35]

ანდერძის ავტორი დიდებით მოიხსენიებს ადარნასეს, იმავე ადარნასე (II) ქართველთა მეფეს, რომელიც ხელნაწერის შექმნის დროისათვის, 897 წელს, ჯერ კიდევ კურაპალატად იწოდება. სწორედ ამ ანდერძზე დაყრდნობით განსაზღრა ე. თაყაიშვილმა ადარნასეს მიერ ქართველთა მეფის ტიტულის მიღების ქვედა ზღვარი (899 წ.)[36], თუმცა, სუმბატ დავითის-ძე ამ მოვლენის თარიღად უთითებს 888 წელს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ორი თარიღი „მორიგებულია“ ერთმანეთთან შემდეგი განმარტებით: ადარნასემ, როგორც ჩანს, ტიტული მართლაც მიიღო 888 წელს, მაგრამ ბიზანტიამ იგი აღიარა 899 წელს (იხ. აქვე, გვ. 18). ანდერძში მოხსენიებული დავით ერისთავი ადარნასეს ძეა, შემდგომში – მაგისტროსი და ქართველთა მეფე (923-937). გარდაცვალებულთა შორის ანდერძის ავტორი ჯერ ასახელებს შატბერდის მონასტრის პირველ მამებს: გრიგოლს, რომელიც სხვა არავინაა, თუ არა გრიგოლ ხანცთელი და გაბრიელს. ამ უკანასკნელის შემდგომი წინამძღვარი თავად ანდერძის ავტორი, სოფრონი ჩანს. სოფრონს იცნობს გიორგი მერჩულეც, იგი მას „დიდ სოფრონად“ მოიხსენიებს[37]. სამეფო სახლის გარდაცვლილ წევრთაგან სოფრონი ჩამოთვლის აშოტ I კურაპალატს, მის შვილიშვილს და ადარნასე II-ის მამას, დავითს (გარდ.881), და მის შემონაზვნებულ ძმას, ადარნასე-ყოფილ არსენს[38].

ადიშის ოთხთავს დაერთვის ერთი გვიანდელი ანდერძიც (387r), რომლის ავტორი ნიკოლაოს ჯუმათელი მოგვითხრობს, თუ როგორ იმყოფებოდა შატბერდში და მოცემული ოთხთავი რამდენიმე სხვა ხელნაწერთან ერთად (მრავალთავი, ჴელთკანონი, მამათა

---

[34] კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება, გვ.335-338.

[35] ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 48.

[36] Е.Такайшвили, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии, გვ. 31; ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა, გვ.83, ტაბ.1.

[37] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.294.

[38] ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა, გვ.81.

წიგნი, კითხვა-მიგებაჲ)[39] შატბერდიდან წამოიღო[40]. როდინდელია ნიკოლაოს ჯუმათელის ანდერძი, უცნობია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხელნაწერის შატბერდიდან გატანის თარიღი, სავსებით სამართლიანად, გვიანდელ შუა საუკუნეებს უკავშირდება (ე.თაყაიშვილი, ა. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე), როცა ტაო-კლარჯეთის მიტოვებული მონასტრებიდან იქ საგანგებოდ ჩასულ საეკლესიო პირებს ხელნაწერები გადასარჩენად გამოჰქონდათ. მოგვიანებით, სვანეთის წერილობით ძეგლებზე მუშაობის დროს, ვ. სილოგავამ აღნიშნული ანდერძი, პალეოგრაფიულ ნიშნებზე ზოგადი მითითებით, XI საუკუნით დაათარიღა. ეს თვალსაზრისი გაიზიარა ე. მეტრეველმა[41] და შატბერდიდან ხელნაწერების გატანა შეეცადა დაეკავშირებინა 1064 წელს ალფ არსლანის ჯავახეთში ლაშქრობასთან, თუმცა, ეს დათარიღება კვლავ საკამათოა. ჯუმათის შემდეგ ხელნაწერი მოხვდა სვანეთში, სოფელ ადიშში, სადაც მას შეემატა სავედრებელი მინაწერები და სვანური საბუთები (6v-7v, 348r-349r, 366v-367r), რომელთაგან ყველაზე ადრეულებს ვ. სილოგავა XIV-XV საუკუნეებით ათარიღებს[42].

936 წელს ადგილობრივი ფეოდალის, გრიგოლ მირდატის-ძის დაკვეთით, შატბერდის მწერლებს, გაბრიელ მღვდელსა და გეორგის, გადაუწერიათ ჯრუჭის (I) ოთხთავი (H-1660). ხელნაწერის სახელწოდება მის უკანასკნელ ადგილსამყოფელს, ჯრუჭის მონასტერს უკავშირდება, საიდანაც იგი ექვთიმე თაყაიშვილმა 1919 წელს ჩამოიტანა. ხელნაწერი დათარიღებულია ორი სათვალავით: „დასაბამითგან წელნი იყვნეს ხფმ, ქორონიკონი იყო რნვ“. ორივე სათვალავი ერთ თარიღს – 936 წელს იძლევა. სავედრებელ ანდერძში მომგებელი ცოცხალთა შორის მოიხსენიებს თავის სიუზერენს, სუმბატს. ვინ შეიძლება იყოს ეს სუმბატი? სუმბატ დავითის ძის ბაგრატიონთა ქრონიკაზე დაყრდნობით, 936 წლის ახლოს შესრულებული ხელნაწერის დამკვეთად შეიძლება ვივარაუდოთ: 1. სუმბატ (II) არტანუჯელი ანტიპატრიკიოსი, ძე აშოტ კეკელაისი (გარდ. 867 წ.), მაგრამ, თავად სუმბატის გარდაცვალების წელი არ ვიცით[43], ან 2. ტაოს შტოდან ადარნასე (II) ქართველთა მეფის ძე სუმბატ (I) ერისთავთ ერისთავი, კურაპალატი 954-958 წლებში[44]. როგორც ჩანს, სწორედ ეს უკანასკნელია 936 წლის ოთხთავის მომგებელი. თუ ეს იდენტიფიკაცია სარწმუნოა, გამოდის, რომ კლარჯი და ტაოელი ბაგრატიონებისათვის კლარჯეთის მონასტრები საერთო სიწმინდეს წარმოადგენენ, თანაბრად უწევდნენ მათ მფარველობას და მიმართავდნენ თავიანთი რელიგიური გრძნობების დასაკმაყოფილებლად. გასათვალისწინებლია ის გარემოებაც, რომ X საუკუნის 70-იან წლებამდე ტაოში, გარდა იშხნისა, სამწერლობო კერა არც ჩანს და, ბუნებრივია, ამ

[39] ამ ხელნაწერთა იდენტიფიკაცია ე. თაყაიშვილმა და ა. შანიძემ შემდეგნაირად მოახდინეს: „მრავალთავი“ იგივე უდაბნოს მრავალთავია (A-1109), „ჴელთკანონი“ - ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმნილი მცირე სჯულისკანონი, „მამათა წიგნი“ - ისევ ეფთვიმეს მიერ თარგმნილი ისაკ ასურისა და კასიანე ჰრომაელის სიტყვათა კრებული, „კითხვა-მიგებაჲ“ - მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა კრებული (იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ.255).

[40] სვანეთის წერილობითი ძეგლები, 1, გვ.48.

[41] ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ.251-258.

[42] სვანეთის წერილობითი ძეგლები, 1, გვ.49.

[43] ამ სუმბატის გარდაცვალების წელი არ ვიცით, მაგრამ თუ მამის გარდაცვლების (867) წელს გავითვალისწინებთ, საეჭვოა,რომ 936 წელს იგი ცოცხალი ყოფილიყო.

[44] ასევე ნაკლებ სარწმუნოა ხელნაწერის მომგებლად სუმბატ (III) არტანუჯელის მიჩნევა, რომელიც დავით მამფალის (გარდ. 943 წ.) ძე იყო და მისი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა X საუკუნის მეორე ნახევარზე მოდის (გარდ. 988 წ.).

მხრივ კლარჯეთის მონასტრების ავტორიტეტი შეუვალი იყო. კლარჯეთისა და ტაოს საეკლესიო (სამონასტრო) სივრცის განუყოფლობას ადასტურებს უფრო გვიანდელი ფაქტებიც, როდესაც ჩორდვანელთა სახლის განთქმული მწიგნობარ-კალიგრაფები სწორედ შატბერდში ამზადებენ ტაოს ახლად აშენებული მონასტრებისათვის ხელნაწერებს (მიქაელ მოდრეკილი, იოვანე ბერა).

940 წელს ჯრუჭის ოთხთავი კამარებით და მოხატულობებით შეუმკიათ. მოხატულობის ავტორი უცნობია, მაგრამ შემორჩენილია კამარების ოსტატის სახელი – „კამარათა მწერალი" თევდორე (1v). მინაწერი ჩაწერილია მრგვლოვანით, კვადრიფოლიუმის ზედა ორივე კუთხეში სარკისებურად, მარცხენა მხარეს. აღნიშნული მინაწერის საფუძველზე ა. შანიძემ კამარათა მწერალი თევდორე სახარების მომხატველ პირადაც მიიჩნია[45], თუმცა, უფრო საფუძვლიანია მოსაზრება, რომ თევდორე მხოლოდ კამარათა ოსტატი იყო, რადგან ამ ეპოქის ოსტატი-მხატვრები საღვთო იერარქიის წევრთა გამოსახულებების გვერდით არასოდეს ამჟღავნებენ საკუთრ ვინაობას[46].

სახარების არშიებზე განთავსებული გვიანდელი მინაწერების მიხედვით, ჯრუჭის სახარებას მძიმე თავგადასავალი რგებია. პირველი მინაწერის (1v) თანახმად, XVI საუკუნეში ოთხთავი, როგორც ჩანს, ოსმალებმა „დაატყვევეს", ანუ ომის ნადავლის სახით წაიღეს. შემდეგ ხელნაწერი მოხვედრილა ირანში, ხორასნის პროვინციაში. აქ იგი თერთმეტ ფლურად (ფლური = 4 გრ. ოქრო) გამოუსყიდია ქართველ ხუცესს, ვინმე არწაqსშვილ იოვანეს და საქართველოში დაუბრუნებია. მეორე მინაწერი 1723 წელსაა შესრულებული, როცა თბილისში ოსმალთა ჯარები შემოვიდნენ. ამ ფაქტით მოგვრილ მძიმე შთაბეჭდილებაზე მიუთითებს მინაწერის ავტორის ჩანაწერი: „ვაq მე ცოდვილსა! ოთმანიანთა ქართლისა ტფილის ქალაქი და შირვანი აიღეს"[47].

973 წელს განთქმულ შატბერდელ მწიგნობარს, კალიგრაფსა და რედაქტორს, მიქაელ მოდრეკილის დისწულის, იოვანე ბერას შატბერდში გადაუნუსხავს ოთხთავი (A-1453, იხ. აქვე, გვ. 103).

973-976 წლებში იოვანე ბერას მომგებლობით და რედაქტორობით, მისივე ძმის, დავითის და დედის ძმის, მიქაელ მოდრეკილს თანადგომით, შატბერდში იქმნება შესანიშნავი ხელნაწერი, ე.წ. „შატბერდის კრებული" (S-1141). თითქმის დაუზიანებლად დაცული, თავისი შედგენილობით უნიკალური კრებული საუკეთესოდ ახასიათებს წინარეათონურ ლიტერატურულ და მთაგმნელობით ტენდენციებს. რედაქტორს კრებულში შესატანად საგანგებოდ შეურჩევია ჟანრობრივად განსხვავებული თხზულებები, რაც, მკვლევართა საერთო შეფასებით, ადასტურებს კრებულის სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულებას. ამ ნიშნით შატბერდის კრებული ერთგვარი ენციკლოპედიური კრებულია, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის ცოდნის იმ მიმართულებებსა და მოცულობაზე, რომელსაც იღებდნენ ტაო-კლარჯეთის წამყვან მონასტრებში. კრებულში წარმოდგენილია ეგზეგეტიკა,

[45] შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ.017-032.

[46] ნ. ჩხიკვაძე, ევსები კესარიელის კანონი IX-X საუკუნეების ქართულ ოთხთავებში, გვ. 65-66.

[47] მინაწერები გამოაქვეყნა ა. შანიძემ, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 023.

ქრონოლოგია, მეტროლოგია, ისტორია, გრამატიკა და ბუნებისმეტყველება. აღსანიშნავია, რომ ნათარგმნ თხზულებებთან ერთად კრებულში შეუტანიათ ქართლის გაქრისტიანების ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეროვნული ძეგლი – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“[48]. ტექსტის ბოლოს კრებულის შემდგენელის მიერ დართული განმარტება აჩვენებს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმდროინდელი ქართველი სწავლულები ამ ტექსტს და რამდენად განუყოფელია მათთვის ისტორიის შემეცნება („დასაბამის“) სარწმუნოებრივი შემეცნებისაგან: „წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა, დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამობრწყინვებისაჲ ძალთა ზეცისა მგა[ლობელთა გუნდთა აღყუავილდა უბიწოჲ სარწმუნოვებაჲ, შეუძრავი კედ[ელი] ქრისტესსა. ესე ჩუენისა [ცოდვისა ჴსნაჲ და მარგებელ] სულისაჲ, ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ“. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ეს ვერსია, ცნობილი შატბერდული რედაქციის სახელით, სამი საუკუნით უფრო ადრინდელია, ვიდრე ამავე ძეგლის ჭელიშური რედაქცია და დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთ უძველეს ვერსიად ითვლებოდა. 1990 და 1994 წლებში სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში სხვა მანამდე უცნობ ქართულ ხელნაწერთა შორის მიკვლეულ იქნა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემცველი კიდევ ორი ხელნაწერი (Sin.48 და Sin.50), რომლებიც, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნით უფრო ძველია, ვიდრე შატბერდული რედაქცია[49].

შატბერდის კრებულის შედგენილობა თავისი შინაარსით აღემატება თანადროული დაწყებითი სწავლების (ტრივიუმი) პროგრამას და უფრო საშუალო საფეხურს მიესადაგება, თუმცა, ამ თვალსაზრისით, არასრულია – აკლია მათემატიკური ოთხეული. სამაგიეროდ, შევსებულია იმდროინდელი „საბუნებისმეტყველო“ ცოდნით.

იოვანე ბერას ერთ-ერთი მინაწერიდან (59r), ჩანს, რომ თავისი კრებულისათვის რედაქტორი თხზულებებს სხვადასხვა მონასტერში (ასევე, შესაძლოა, სხვადასხვა კრებულში) ეძებდა. მაგ., გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“ მას იშხნის მონასტერში („დედითა იშხნისაჲთა“) მოუპოვებია.

ხელნაწერს დაერთვის იოვანე ბერას ვრცელი, არასტანდარტული შინაარსის ანდერძი, რომლის დასაწყისი წარმოადგენს ავტორის უბადლო ლიტერატურული გემოვნებით და რიტორიკული ოსტატობით შედგენილ მიმართვას მის მიერვე კრებულისათვის შერჩეული ავტორებისადმი. კრებულის შემდგენელი ისე ესაუბრება წარსულიდან გამოხმობილ მწერლებს, როგორც თავის თანამედროვეებს, როგორც მოწაფე მოძღვრებს, დიდი შთაგონებით და მათთან ღრმა სულიერი კავშირის შეგრძნებით: „...სახელისა წმიდისა სამებისაჲსა მქადაგებელნო, ზეგარდამო ქებულნო და დიდებულნო წმიდანო მოძღუარნო, ნეტარნო გრიგოლ ნოსელ ებისკოპოსო, და ღირსო ეპიფანე კვპრელ მამადმთავარო, და განთქუმულო წმიდაო ბასილი, წყემსო ყოველთა მორწმუნეთაო, და დიდებულო იპოლიტ, წინაწარმეტყუელნო, გამოუთქუმელითა მადლითა მეცნიერად მეტყუელნო, დიდად განსაკვრვებელნო

[48] შატბერდის კრებული, გვ.6-10.

[49] ზ. ალექსიძე, მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ.7-8.

კ ა ც ნ ო , პ ო ვ ნ ი ლ ნ ო გ უ ლ ი თ ა უ ფ ლ ი ს ა დ , წოდებულნო მონად ქრისტესა, სამკჳდრებელნო სულისა წმიდისანო, რომელმანცა გამოუჩინებელნი და დაფარულნი სიბრძნისანი გამომიცხადნა და სული წრფელი განახლდა გუამთა თქუენთა; და დაუწერენით ეკლესიასა ქრისტესსა პირად-პირადთა წიგნთა თარგმანებანი და შესხმანი წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღმრთისმშობლისანი და ჩუენ გუაუწყეთ წესი აწინდელისა ქცევისაჲ ღმრთისმსახურებით და მოსაგებელი ნეტარისა მის საუკუნოჲსა სასოვებით ცხორებისაჲ ...“ [50]

ასეთი შესავლის შემდეგ იოვანე ბერა მადლიერებით მოიხსენიებს კრებულის შექმნაში შემწეთ და დამხმარეთ და დიდებასა და დალოცვას უთვლის ბაგრატ მეფეს[51], რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ ქართველთა მეფე ბაგრატ რეგვენი (958-994).

კრებულის ბოლო სავედრებელი მინაწერები, რომლებიც ფსალმუნთა განმარტებას დაერთვის, მთარგმნელად მოიხსენიებენ ვინმე დაჩის, რომლის წერილიც სტეფანე მტბევარისადმი იქვეა შეტანილი. წერილიდან ირკვევა, რომ დაჩის სომხურიდან გადმოუღია ფსალმუნთა თარგმანება[52], რის შესახებაც ერთგვარი მობოდიშების ტონით მოუთხრობს სტეფანე მტბევარს. ჰყვება, რომ ეპიფანე კვიპრელის[53] ფსალმუნთა განმარტებას ჯერ ეძებდა ქართულად, მაგრამ, რადგან ვერ იპოვა, დაუწყია ტექსტის ბერძნულიდან თარგმნა. მუშაობის პროცესში მიმხვდარა, რომ ამ საქმეს თავს ვერ გაართმევდა, ამიტომ იძულებული გამხდარა სომხურისათვის მიემართა. ამასთანავე, შიშობს, რომ თუკი სადმე იგივე ტექსტი ქართულად ნათარგმნი აღმოჩნდებოდა, სომხურიდან „მეორედ თარგმანებული“ შეიძლება დასაწუნი გამხდარიყო. ამიტომ ვთარგმნე მხოლოდ მცირედიო, – აცხადებს და სთხოვს სტეფანე მტბევარს, მამამთავარს და, იმავდროულად, ავტორიტეტულ მწერალს[54], რათა შეეფასებინა მისი თარგმანი. კ. კეკელიძემ შეისწავლა დაჩის ტექსტი და აღმოაჩინა, რომ მას მართლაც მხოლოდ მცირე ნაწილი - 15 ფსალმუნის განმარტება უთარგმნია[55].

შატბერდის სკრიპტორიუმის სამწიგნობრო ხელოვნების გამორჩეული ნიმუშია 979-988 წლებში შედგენილი მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული, ნევმირებული იადგარი S-425)[56]. ხელნაწერი ნაკლულია, მაგრამ გადარჩენილი ნაწილი მაინც საკმაო წარმოდგენას

---

[50] შატბერდის კრებული, გვ.21.

[51] ტექსტში წერია „მეფეები“, მაგრამ პირველი მეფის სახელი არ იკითხება.

[52] შატბერდის კრებული, გვ. 364-423.

[53] დაჩის ეპისტოლეში „თარგმანების“ ავტორად მოხსენიებულია ეპიფანე კვიპრელი, რაც ბ. უტიეს სპეციალურ გამოკვლევაში მცდარად არის მიჩნეული. მანვე გამოარკვია, რომ „თარგმანების“ავტორი ყოფილა თეოდორიტე კვირელი. იხ. B. Outtier, La version arménienne du Commentaire des psaumes de Théodoret. Premier bilan. Revue des étude arméniennes, nouvelle série, tome XII, Pa ris, 1977, p. 169-180.

[54] წერილი დაწერილია მობოდიშების ტონალობაში, რაც მიგვანიშნებს, რომ სომხურიდან თარგმანის საკითხი უკვე მწვავედ განიხილებოდა.

[55] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 142-143.

[56] XX საუკუნის დასაწყისში მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულის შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანა პ. ინგოროყვამ. მან გამოიკვლია კრებულის სტრუქტურა, შედგენილობა, გამოყო ქართულ საგალობელთა ის პლასტები, რომლებიც, მისი აზრით, ეკუთვნოდა გრიგოლ ხანცთელს. მანვე შეისწავლა კრებულში შესული ქართველი ჰიმნოგრაფების საგალობლები ფორმის, მოცულობის, საზომის და შინაარსობრივი თვალსაზრისით (პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, გვ.226-239). მიუხედავად პ. ინგოროყვას დიდი დამსახურებისა ქართული სასულიერო პოეზიის შესწავლის საქმეში, შემდგომმა კვლევა-ძიებებმა მის შეხედულებებში მთელი რიგი კორექტივები შეიტანა: გამოიყო იადგარში შესული სააღდგომო ციკლის ჰიმნების ფენები, დადგინდა გრიგოლ

გვიქმნის კრებულის შესახებ. იგი უნიკალურია როგორც შედგენილობის, ისე მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით და წარმოადგენს X საუკუნის ქართული წიგნის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს[57]. კრებული დაუკვეთია იოვანე მტბევარს, ტბეთის ეპისკოპოსს, მწერალსა და ჰიმნოგრაფს (24v, 25r, 38v, 39r). მიქაელ მოდრეკილი კრებულის რედაქტორ-შემდგენელიც არის, ორიგინალური ჰიმნებისა და ახალი სალექსო ზომის[58] ავტორიც და ერთ-ერთი გადამწერიც (23r, 24r, 49v, 56r, 262v).

მიქაელ მოდრეკილის კრებული წარმოადგენს იმ დროისათვის „ახალ იადგარს“, ანუ ახალი რედაქციის საგალობელთა კრებულს, რომელშიც შეტანილია ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი, საკუთრივ ქართველ ჰიმნოდთა და ე.წ. „მეხელთა“[59] მიერ დამუშავებული საგალობლები. განსაკუთრებულია მიქაელ მოდრეკილის კრებულის მნიშვნელობა. ამ კრებულმა შემოინახა ქართველი ჰიმნოგრაფების: ე ზ რ ა ს (I) მცირე საგალობელი, კ უ რ ა დ ა ნ ა ი ს (1 საგალობელი), ს ტ ე ფ ა ნ ე ს ა ნ ა ნ ო ი ს ძ ე ჭყონდიდლის (1 საგალობელი), ი ო ვ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი ს (4 საგალობელი), ი ო ა ნ ე ქ ო ნ ქ ო ზ ი ს ძ ი ს (1 საგალობელი), ი ო ა ნ ე მ ი ნ ჩ ხ ი ს (1 სტიქარონი და სამი საგალობელი)[60], საკუთრივ მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი ს (4 საგალობალი). ამ ჰიმნოგრაფთა სახელების უმეტესობა მხოლოდ მიქაელ მოდრეკილის კრებულმა შემოგვინახა. „იადგარში“ შეტანილია წმ. აბოსადმი მიძღვნილი ერთი ანონიმური საგალობელიც, რომელიც კვლევის შედეგად იოანე მინჩხს მიეკუთვნა[61].

ბერძენი ჰიმნოგრაფებიდან კრებულში შესულია იოანე დამასკელის, ანდრია კრიტელის, კოზმა იერუსალიმელის, თეოფანეს ჰიმნები. ამ მასალის შეჯერებამ ქართული იადგარების სხვა ჯგუფის ხელნაწერებთან და ბერძნულ დედნებთან გამოავლინა ქართული თარგმანების ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: რიტმულ-მეტრული სიზუსტე; კანონთა კომპილაციის შემთხვევები, გამოწვეული, რიგ შემთხვევებში, თარგმანის დროს ძლისპირთა შეცვლით; აკროსტიქის გარეშე თარგმნა; დედნის ძლისპირ-ტროპართა მარცვალთა რაოდენობის

ხანცთელისა და გიორგი მერჩულისადმი მიკუთვნებული ჰიმნოგრაფიული მასალის ბერძნული წარმომავლობა, მკაფიოდ განისაზღვრა საკუთრივ ქართული ფენის მოცულობა, დაზუსტდა ტერმინების „ქართულნი“ და „მეხელნი“, „კაზმულნი“, „მორთულნი“ და ა.შ. შინაარსი და სხვ. (იხ. ლ. ჯღამაია, იოანე დამასკელის შობის აკროსტიქული საგალობლის გიორგი ათონელისეული თარგმანი, გვ.178; მისივე, მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, გვ. 60-63; ე. მეტრეველი, ძლისპირნი, გვ.071-072; . ნაკუდაშვილი, ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა, გვ.64).

[57] ფაქსიმილური გამოცემისათვის იხ. ვ. გვახარია, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, I-III, თბილისი, 1978.

[58] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, გვ.175.

[59] X-XII საუკუნეებში მეხელებს უწოდებდნენ პროფესიონალ მგალობლებს, რომლებმაც თავიდან თარგმნეს საბაწმიდელ ჰიმნოდთა საგალობლები და სრულად შეინარჩუნეს დედნის რიტმულ-მელოდიური კილო. მათ მიერ შესრულებულ ამ ურთულესი სამუშაოს გრაფიკულ ასახვას წარმოადგენს ე.წ. ნევმები - სანოტო ნიშნები, რომლებიც მგალობელს კარნახობდა მუსიკალურ ფრაზას (ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, გვ.165; მისივე: ძლისპირნი, გვ.გვ.051,099).

[60] მიქაელ მოდრეკილის იადგარში მინჩხის რამდენიმე საგალობლიდან ერთ-ერთი – ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი საგალობელი, სამეცნიერო ლიტერატურაში ეზრას მიეწერებოდა, სპეციალურმა კვლევამ აჩვენა, რომ მისი ავტორი იოანე მინჩხია. ეზრასი აღმოჩნდა ამ კანონზე დართული მცირე ფორმის საგალობელი. გარდა მიქაელ მოდრეკილის იადგარისა, იოანე მინჩხის საგალობლები აღმოჩნდა სხვა ხელნაწერებშიც (ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 42).

[61] ლ. ჯღამაია, ჰიმნოგრაფია, გვ.185-186.

დაცვა[62]. კრებულში შეტანილია მრავალი ანონიმური საგალობელი, რომელთა შორისაა დღეისათვის დაკარგული ადრებიზანტიური პერიოდის ბერძნული ჰიმნოგრაფიული მასალა, მათ შორის ქალი წმინდანებისადმი მიძღვნილი საგალობლები[63]. კრებულის ბერძნულიდან თარგმნილი საგალობლები მკვლევარებს წარმოდგენას უქმნის იადგარის უფრო ადრეული ბერძნული მოდელის შედგენილობაზე, რომელიც ბიზანტიურ აღმოსავლეთში IX-X საუკუნეებამდე უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს მიქაელ მოდრეკილის კრებულის კალენდარული ციკლის მიმართება პალესტინურ და ბიზანტიურ ტრადიციებთან. ამ თვალსაზრისით მისმა შედარებამ დიდ იადგარებთან და სინურ კრებულებთან დაადასტურა, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარი ასრულებს ქართული ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული მწერლობის ადრეულ ეტაპს, რომლის შემდეგ იწყება ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკის გადაწყობა კონსტანტინოპოლურ წესზე[64].

უაღრესად მდიდარი ინფორმაციის შემცველია მიქაელ მოდრეკილის ანდერძიც (24rv). უპირველესად იგი განადიდებს დავით მეფეთა მეფესა და კურაპალატს, უსურვებს მას მტერთა და წინააღმდგომთა ძლევას, შემდგომ გადმოგვცემს კრებულის შედგენის მიზანსა და პრინციპებს: „... შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი, ბერძულნი და ქართულნი და სრულნი ყოვლითა განგებითა....[65]. რედაქტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კრებულში შეტანილი გალობები მხოლოდ ბერძნულ მუსიკალურ კილოზეა გამართული: „სისწორითა კილოსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა“. საგალობელთა წარმომავლობის გასარჩევად მათ გასწვრივ ხელნაწერის არშიებზე მიწერილია „ქართულნი“ ან „ბერძულნი“. მაგრამ ეს მინიშნებები აღმოჩნდა მიწერილი საკუთრივ მიქაელის მიერ გადაწერილ ნაწილში, რომელშიც თავმოყრილია 143 დიდი ფორმის (კანონი) და 631 მცირე ფორმის (სტიქარონები) საგალობლები. ამათგან 79 დიდი საგალობელი და 148 მცირე ფორმისა წარუწერლად დაუტოვებია, რადგან, როგორც ჩანს, ზუსტად არ სცოდნია მათი წარმომავლობა[66].

მიქაელ მოდრეკილის უახლოეს გარემოცვაზე, გარდა საკუთრივ იადგარისა, საგულისხმო ცნობები შემოუნახავს შატბერდის კრებულს და ოშკის „სამოთხეს“ (მეორე ანდერძი). ისინი ნათელს ჰფენენ მიქაელ მოდრეკილის ნათესაურ და შემოქმედებით კავშირებს შატბერდსა და ოშკში მოღვაწე სხვა განთქმულ სწავლულ-მწიგნობრებთან (მათ შორისაა ორი სხვადასხვა დავითი, რომელთაგან ერთი, „ღმერთშემოსილი“, მიქაელის ბიძაა – მამის ძმა. ამ დავითის შესახებ არაფერია ცნობილი, მაგრამ მისი შემკობა ეპითეტით – „ღმერთშემოსილი“ – გვკარნახობს, რომ ბერული ღვაწლით მას სულიერი სრულყოფის მაღალი საფეხურებისათვის მიუღწევია. მეორე დავითია მიქაელის დისწული, ძმა იოვანე ბერასი. ამ დავითს დაუწერია ოშკის „სამოთხის“ ანდერძი იოვანე-

[62] ე. დუღაშვილი, მეხელთა შემოქმედებითი მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტისათვის, გვ. 96.

[63] ე. დუღაშვილი, ქალი წმინდანების საგალობლები მიქაელ მოდრეკილის იადგარში, გვ. 99-100.

[64] ლ. ჯღამაია, ჰიმნოგრაფია, გვ.197.

[65] ხელნაწერთა აღწერილობა, S I, გვ.544.

[66] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, გვ.489.

თორნიკეს სახელით[67]. ამ შესანიშნავ მწიგნობართა გვერდით იხსენიება ს ტ ე ფ ა ნ ე ც. ეს პირები არიან შემქმნელები შატბერდის კრებულის, ოშკის ბიბლიის, „სამოთხის," , „განძის" და პარხლის ოთხთავისა. მათ შესახებ არსებული ცნობების შეჯერების შედეგად დადგენილია, რომ ყველა ეს პირი (გარდა სტეფანესი) ჩორდვანელთა დიდ საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომლის წარმომადგენლები X საუკუნის მეორე ნახევარში სათავეში ედგნენ ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას [68].

X საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ტაო-კლარჯეთის მონასტრებში სწრაფად იწყებს გავრცელებას ეფთვიმე მთაწმიდელის ათონიდან გამოგზავნილი თარგმანები. მათ გავრცელებაზე ზრუნვა დავით კურაპალატისა და მისი გარემოცვის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნაწილი იყო. ამის შესახებ პირდაპირი მოწმობა მოგვეპოვება „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში"[69]. ამ პროცესის მთავარი მონაწილეთაგანი, ცხადია, იყო შატბერდის მონასტერიც, როგორც ყველაზე მძლავრი სალიტერატურო ტრადიციების მქონე კერა.

XI საუკუნის პირველ მესამედში შატბერდში მოღვაწეობდნენ ბიძა-ძმისწული დავით და იოანე ჯიბისძენი. მათი ბიოგრაფია საუკეთესო მაგალითია სწავლული მწერალ-მწიგნობრებისა, რომელთა კულტურული თვალსაწიერი არ იყო ჩაკეტილი ლოკალურ გეოგრაფიულ ჩარჩოებში – ისინი შატბერდში აღზრდილები იყვნენ, მაგრამ, ცხადია, იცნობდნენ ათონური ლიტერატურული სკოლის პროდუქციასაც. 1035 წელს ეზრა მამამთავრის, როგორც ჩანს, შატბერდის წინამძღვრის, მომგებლობით გადაიწერა ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი ეგზეგეტური ჟანრის[70] თხზულება – ბასილი დიდის ფსალმუნთა თარგმანება (A-135). ხელნაწერის გადაწერას, რომელშიც მონაწილეობდნენ სულიერი ძმები: საბა, მიქაელი და გაბრიელი, ხელმძღვანელობას უწევდა გამოცდილი მწიგნობარი დავით ჯიბისძე. ტექსტის გადაწერა დაუსრულებია დავით ჯიბისძის ძმისწულს, ივანეს. სულ ბოლოს, ხელნაწერი შეუმოსავს ისევ დავით ჯიბისძეს. მასვე ეკუთვნის ხელნაწერის ანდერძი[71], რომელიც ამჟღავნებს ავტორის საუკეთესო განათლებას და ლიტერატურულ ნიჭს. ზოგიერთი პასაჟი მისი ანდერძიდან თავად შეიძლება ჩაითვალოს ფსალმუნის განმარტების ორიგინალურ ნიმუშად. მაგ., „ დ ა ვ ი თ ი მ დ ი ნ ა რ ე ა რ ს წ ყ ლ ი ს ა ც ხ ო ვ ე ლ ი ს ა ჲ დ ა თ ა რ გ მ ა ნ ნ ი მ უ შ ა ნ ი ა დ ა უ ძ ი ნ ე ბ ე ლ ი, დ ა უ ს ა ბ ა მ ო ჲ ს ა დ ა მ ბ ა დ ე ბ ე ლ ი ს ა ნ ი. მ ი ს მ დ ი ნ ა რ ი ს ა გ ა ნ ზ ო გ ი ვ ე ნ ა ჴ ს ა შ ე უ გ დ ებ ს დ ა ზ ო გ ი ყ ა ნ ა ს ა, დ ა თ უ ს ხ უ ა ჲ ს ა თ ი ბ ე ს ა"[72]. დავით ჯიბისძე მიეკუთვნება ახალი თაობის

[67] ე. მეტრეველი, ჩორდვანეთა დიდი სახლის ისტორიისათვის, გვ.10-11.

[68] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ.764-768. ე. მეტრეველი, ჩორდვანეთა დიდი სახლის ისტორიისათვის, გვ.35-44.

[69] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ.61.

[70] ორიგინალური და ნათარგმნი ეგზეგეტური ნააზრევის უადრესი ნიმუშები ქართულ მწერლობაში პირველად გვხვდება „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში", შემდეგ – „შატბერდის კრებულში". დაწვრილებით იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 457-462; თ. ოთხმეზური, ეგზეგეტიკა, გვ.243-266.

[71] ამ ანდერძის გამორჩეულ ლიტერატურულ ღირსებებზე პირველად ყურადღება გაამახვილა ე. მეტრეველმა: „ეს ანდერძი, თავისი კომპოზიციური ორიგინალობით, ლირიკული წიაღსვლებით, პოეტური თქმებით და ეგზეგეტიკის მნიშვნელობის ზოგადი განმარტების ფონზე, ფსალმუნთა თარგმანების, როგორც ლიტერატურული მოვლენის შეფასებით ... სცილდება ჩვეულებრივი ანდერძების ტიპს..." (ე. მეტრეველი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 98).

[72] ხელნაწერთა აღწერილობა, A- I2, გვ. 156.

მწიგნობრებს, რომელთაც უკვე კარგად აქვთ გაცნობიერებული წიგნის (იგულისხმება წმ. წერილის განმარტებანი) შემეცნებითი ღირებულება მორწმუნის სულიერი ცხოვრების სრულყოფისათვის. სწორედ ამ თემაზე ესაუბრება იგი მკითხველს თავის ანდერძში: „ფრიადი კეთილი კაცთმოყუარისაგან კაცთა და მონიჭებული პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაჲ არს: მზჱ და მთოვარე ჴორცთა ჩუენთა საჴმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩუენთა განმანათლებელად მოგუმადლნა, რომლისათჳსცა წმიდაჲ ფსალმუნი დავითისი თავი არს და პირი ყოველთა წიგნთაჲ...“

სავედრებელ ფორმულებში ანდერძის ავტორი მოიხსენიებს ეზრა მამამადმთავარსა და მოძღვარ ეფრემს, შატბერდის გარდაცვლილ მოძღვრებს, თეოდორესა და სვიმეონს, თავის მშობლებს და ხორციელ ძმებს. სავედრებელ მოსახსენებლებს დავით ჯიბისძე ასრულებს წუთისოფლის წარმავლობის ბიბლიური მოტივით, მაგრამ არა რომელიმე ბიბლიური ტექსტის ციტაციით, არამედ პასაჟით, რომელშიც ჩატეულია სიკვდილ-სიცოცხლეზე ავტორისეული ინდივიდუალური განცდა: „აწ, გევედრები ყოველთა მომავალთა ნათესავთა, რომელნი მოხუალთ გამოსაცდელად საწუთოსა ამას და აჩრდილებრ წარმავალსა ცხორებასა, რაჟამს მოგეცეს ფლობაჲ ყოფად ხილულსა ამას მზესა ქუეშე და ჩუენ მტუერი და ნაცარქმნილ ვიყვნეთ, მოგჳსენენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა, რომელნი-ესე ამას წიგნსა ჴსენებულ ვართ და შთაწერილ. მოკლედ მოვლენან ჟამნი დაუსრულებელნი და ჩუენ არღარა ჴელგუეწიფებოდის აღმოკითხვად, ვითარცა ჩუენსა პირველთა წარსულთა მამათა და ძმათა....“ (255r-256v). ცნობილია, რომ დავით და იოანე ჯიბისძეები XI საუკუნის 40-50-იან წლებში შავ მთაზე გადასულან, სადაც აუშენებიათ ძელიცხოველის ეკლესია. აქ დაუმზადებიათ მათ შესანიშნავი ხელნაწერი – გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარი (H-2211), რომლის გარეგნული სახე, გაფორმების სტილი და მხატვრული ელემენტები სრულად ასახავენ შატბერდულ ტრადიციებს[73].

XI საუკუნის ბოლო ათეულ წლებში შატბერდში გადაუწერია ვაჩეძორის[74] წინამძღვარ გრიგოლ ვაჩეძორელს ხელნაწერი, რომელშიც ერთადაა თავმოყრილი ორი დიდი ავტორის, ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტური თხზულებები შესაქმის თემაზე (A-73). მთარგმნელია გიორგი მთაწმიდელი, რომლის ანდერძი, ბერული თავმდაბლობის გრძნობით აღსავსე, ამასთანავე, მკაცრად აფრთხილებს გადამწერებს, რომ „ვითა ჰპოოთ, ეგრეთ დაწერეთ, და თუ რაჲზომნი ღუაწლნი გჳნახვან ამისსა თარგმნასა, იგი ღმერთმან იცის, რამეთუ აღურაცხელად ღრმაჲ არს და შეუკადრებელი...“[75] მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, გრიგოლ ვაჩეძორელი აღიარებს, რომ დიდად გასჭირვებია ხელნაწერის გადაწერა და მიმართავს მომავალ გადამწერებს, ნუ ენდობიან მის ნაწერს. მართლაც, ტექსტი

[73] ე. მეტრეველი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის, გვ. 95.

[74] ვაჩეძორის მონასტრის ადგილსამყოფელს 1907 წლის ექსპედიციაში მუშაობის დროს მიაკვლია ე. თაყაიშვილმა ოლთისისწყლის ხეობაში. ვაჩეძორის მონასტერი მან გააიგივა კალმახის ციხის მიდამოებში აღმოჩენილ მონასტრის ნანგრევებთან. (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა - ოლთისში და ჩანგლში, გვ. 55-56).

[75] ხელნაწერთა აღწერილობა, A-I1, გვ.259.

გადაწერილია არცთუ ლამაზი ხელით, ნაჩქარევად; გაპარულია ბევრი უნებლიე შეცდომა, გამოტოვებულია ბევრი ადგილი, რომლებიც უფრო წვრილი ასოებით არშიებზეა მიწერილი.

„ექუსთა დღეთას“ დასასრულს, არშიაზე მიწერილ ღვთის მადიდებელ წარწერაში გადამწერი მადლობას უძღვნის თავის შემწეებს, პეტრე მოძღვარს და მის ძმას, გიორგის (როგორც ჩანს, შატბერდელ ბერებს).

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაზე“ მუშაობდა, ხშირად იყენებდა გრიგოლ ვაჩეძორელის ნუსხას. მის ლექსიკონში ამ ნუსხიდან 20 სიტყვაა შეტანილი. ამათგან 16 სიტყვა სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, ხოლო დანარჩენი 4 ერთეული განუმარტებლად დაუტოვებია[76].

1085 წელს წყაროსთავის მოღვაწეს, იოანე ჭყონდიდელ-მთავარეპისკოპოსისა და პეტრე ვესტის ძმას, ეგნატი ხუცესმონაზონს შატბერდის მონასტრისათვის დაუკვეთავს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის საწელიწდო-საწინასწარმეტყველო (A-192). ეგნატი ხუცესმონაზონი მიზანდასახულად ავრცელებდა ქართულ მონასტრებში გიორგი მთაწმიდელის თარგმანებს (ეგნატის შესახებ უფრო ვრცლად იხ. წყაროსთავი), ამიტომ აღნიშნავს ხაზგასმით საწელიწდო-საწინასწარმეტყველოს გადამწერი და ეგნატის მოწაფე მოსე ხანცთელი, რომ ტექსტი იყო ახლად თარგმნილი „წესსა ზედა ბერძულსა“ „წმიდისა მამისა ჩ(უე)ნისა გ(იორგ)ი მთაწმიდელის“ მიერ.

მომგებლის (ეგნატი ხუცესმონაზონის) ანდერძის სადიდებელ ფორმულაში მოიხსენიებიან გიორგი მეფეთა მეფე (II) კესაროსი და მისი ძე დავითი, მეფე და სევასტოსი. ზუსტად ასეთივე ტიტულებით მოიხსენიებიან ეს ისტორიული პირები ეგნატი ხუცესმონაზონის კიდევ ერთ, წყაროსთავში გადაწერილი ხელნაწერის (A-136) ანდერძში, რაზედაც საუბარი იქნება ქვემოთ (იხ. ქვემოთ, წყაროსთავი).

მეფეთა შემდგომ ეგნატი ლოცვით მოიხსენიებს თავის ძმებს, საეკლესიო მოღვაწეებსა და დიპლომატებს, იოანე ჭყონდიდელ მთავარებისკოპოსსა და სვინგელოზს, პეტრე ვესტსა და მწიგნობართუხცესს.

XII თუ XIII საუკუნეში შატბერდში გადაუწერიათ შერეული კრებული (S-4939), რომელიც დაუკვეთავს მამამთვარ გიორგი მროელ-პარეხელს (?). სარჩევის მიხედვით, კრებული ძალზე დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისგან მხოლოდ 46 პალიმფსესტური ფურცელიღაა გადარჩენილი. ყურადღებას იპყრობს კრებულის არასტანდარტული შედგენილობა – მასში შერჩევით შეუტანიათ მოციქულების ეპისტოლეები, ძველი აღთქმიდან „სოლომონის იგავნი“ და „ისო ზირაქის წიგნი“, ეკლესიის დიდი მამების თხზულებები, იოანე დამასკელის წმინდანთა შესხმანი. გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერი უთითებს კრებულის დანიშნულებაზე: „იკითხო ყოველ შაბათთა და ოდესცა გინდეს“. ჩანს, კრებული დამკვეთის ინდივიდუალური გემოვნებითაა შედგენილი და სენაკში საკითხავადაა განკუთვნილი.

[76] ხელნაწერთა აღწერილობა, A-I1, გვ.259.

წყاროსთავი

სამხრეთ საქართველოში წყاროსთავის სახელით ორი ეკლესიაა ცნობილი – ერთია ჯავახეთის წყاროსთავი – კათედრალი, აშენებული VI საუკუნეში დასავლეთ ჯავახეთში, კარწახის ტბის სიახლოვეს[77], სადაც მონასტრის არსებობას მკვლევარნი არ გამორიცხავენ, თუმცა, აქ სამწიგნობრო კერის არსებობაზე უტყუარი ცნობები არა გვაქვს[78]. მეორეა კლარჯეთში, წყاროსთავის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტერი, რომელიც, გიორგი მერჩულის თანახმად, დაუარსებია დავით მიძნაძორელის მოწაფეს, ილარიონ „მამაის, რომელი კათალიკოს იქმნა მცხეთას“[79]. X-XIII საუკუნეებში სწორედ ეს წყاროსთავი წარმოადგენდა აღზრდა-განათლებისა და მწერლობის მნიშვნელოვან კერას. წყاროსთავში აღიზარდა გიორგი-პროხორე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მაშენებელი[80], აქ მოღვაწეობდა ექვთიმე გრძელი, „იერუსალიმელად“ წოდებული, რომელიც საგანგებოდ მიიწვია ბაგრატ IV-მ ღრტილაში გამართულ საეკლესიო კრებაზე (1046) მარმაშენის სომეხ მოძღვართან, სოსთენთან, საპაექროდ[81]. ღრტილას კრების „ძეგლისწერის“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი დაწერილი ჩანს XII საუკუნეში პეტრიწონის სკოლის წარმომადგენლის მიერ[82], მაგრამ ის არგუმენტები, რომლებიც „ძეგლისწერაში“ ექვთიმე გრძელს მიეწერება, ცხადია, ავტორმა მის დრომდე არსებულ ჩანაწერებში მოიძია. ექვთიმე იშველიებს „ისტორიულ“ არგუმენტს, რომ მეოთხე მსოფლიო კრებამდე სომხებიც აღიარებდნენ ქრისტეს ორბუნებოვნებას და რომ შემდეგ, სპარსელთა ზეწოლით, გადაიხარნენ საერთო რწმენისაგან. „ძეგლისწერის“ ტექსტის შესწავლამ უჩვენა, რომ ექვთიმე გრძელი მსჯელობისას იყენებს იოანე დამასკელის მოძღვრებას, წმ. გრიგოლ განმანათლებლის ხილვას, წმ. საჰაკის ჩვენებას და სომეხ ქალკედონიტთა წრეში შეთხზულ აპოკრიფულ თქმულებებს, რომლებიც ქართულად IX-X საუკუნეებში უნდა ეთარგმნათ[83]. ექვთიმე გრძელის მოღვაწეობას იმდენად მნიშვნელოვანი კვალი დაუტოვებია საქართველოს ეკლესიაში, რომ მისი ხსენება რუის-ურბნისის კრების ტექსტზე დართულ სინოდიკონშიც შეუტანიათ[84]. XI საუკუნის მეორე ნახევარში წყاროსთავის უდაბნოს ბერმონაზვნობას დიდი წვლილი შეჰქონდა ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების თარგმანთა გავრცელების საქმეში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებული წვლილი ამ მხრივ მიუძღოდათ ექვთიმე გრძელსა და ეგნატი ხუცესმონაზონს. მაგ., ექვთიმე გრძელის ზრუნვითა და საფასით იერუსალიმის ახლად დაარსებული ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკისათვის გადაიწერა ეფთვიმე მთაწმიდელის

[77] ვახუშტი, გვ.669.

[78] ე. გაბიძაშვილი წყاროსთავის I და II ოთხთავების (A 98, Q-907) გადაწერის ადგილად მიიჩნევს ჯავახეთის წყاროსთავს. იხ. მისი და თანავტორების: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ.970.

[79] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, გვ. 275.

[80] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ.345.

[81] ღრტილას კრების ძეგლისწერის ტექსტისათვის იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 615-621.

[82] მ. რაფავა, სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ პოლემიკა ძველ ქართულ მწერლობაში, გვ.368.

[83] იქვე, გვ.69.

[84] რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბილისი, 1978, გვ.195.

თარგმნილი ბასილი დიდის „სწავლანი“ (Jer. Georg. 14).[85] შესაძლოა, სწორედ წყაროსთვში გადაწერა ეგნატი ხუცესმონაზონის მოწაფემ, მოსე ხუცესმა, „დიდი სჯულისკანონის“ ერთ-ერთი უადრესი ნუსხა (A-124)[86].

წყაროსთავთან დაკავშირებულია რამდენიმე ძვირფასი ხელნაწერი, მათ შორის ყველაზე ადრეულია წყაროსთავის (I) ოთხთავი (A-98), გადაწერილი X საუკუნეში „მწერალი“ ბერების, გაბრიელის [პატარაი?] და თევდორეს (67v) მიერ. ხელნაწერის მეორედ მმოსველია იოვანე (4v). ხელნაწერის გადაწერის ადგილი უცნობია, თუმცა, სამეცნიერო ტრადიცია მას წყაროსთავის მონასტერს უკავშირებს. გადამწერთა იგივე სახელები მეორდება ამავე საუკუნის სხვა ტაოკლარჯულ ხელნაწერთა (ჯრუჭისა (I) და ბერთის (I) სახარებების) ანდერძ-მინაწერებშიც, რომლებიც ასევე X საუკუნით დათარიღდა. წყაროსთავის (I) ოთხთავის X საუკუნით დათარიღებას მხარს უჭერს აგრეთვე ასომთავრული გრაფიკა, ტექსტის ორგანიზების (დაკაბადონების) წესი და ოთხთავის მხატვრულ-დეკორატიული პროგრამა[87], რომელიც მიჰყვება IX-X საუკუნეების შატბერდულ ოთხთავებს (ადიში, ჯრუჭი (I). ოთხთავი ხელმეორედ შეუმოსავთ 1070 წელს, რაზედაც მიუთითებს მმოსველ იოვანეს მინაწერი (4v).

XI საუკუნის მეორე ნახევრის შესანიშნავი სწავლულსა და მწიგნობარს[88], ეგნატი ხუცესმონაზონს ამ საუკუნის 80-იან წლებში გადაუწერია ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი ეგზეგეტური თხზულება – იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება (A-136). ხელნაწერზე დართული ეგნატის ანდერძი მრავალმხრივაა საყურადღებო. მასში მითითებულია ხელნაწერის გადაწერის ადგილი („უდაბნოსა შინა წ ყ ა რ ო ჲ ს თ ა ვ ს“), აქვეა ცნობა, რომ ეგნატი ხუცესმონაზონი ყოფილა ექვთიმე გრძელის გაზრდილი („...სენაკსა შინა ნეტარისა ბერისა ეფთვმესსა, რ ო მ ლ ი ს ა ც ა ფ ე რ ჴ თ ა თ ა ნ ა ა ღ ზ რ დ ი ლ ვ ი ყ ა ვ . ..“)[89]. ანდერძის მადიდებელი ფორმულა ეძღვნება გიორგი II-ს და სამეფო ოჯახის დანარჩენ წევრებს, რომლებიც მოხსენიებული არიან ქართული და ბიზანტიური ტიტულებით: „... ღირს ვიქმენ მე, უღირსი ე გ ნ ა ტ ი , სახელით ოდენ ხუცესმონაზონი, ხოლო საქმითა და

[85] ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გვ.გვ. 07, 09.

[86] გადამწერის ანდერძის ტექსტი, ჩაწერილი ხელნაწერის თავსართ დეკორში, შეამჩნია და ამოიკითხა ე. ჭელიძემ, მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები, სპეკალი, გვ. 595, (სქოლიო).

[87] იგულისხმება ოთხთავის კანონთა თაღების მარტივი, სვეტებზე აღმართული ნალისებური ფორმის ორი ან სამთაღოვანი სისტემა და ფეხზე მდგომ მახარებელთა გამოსახულებები. ამ თვალსაზრისით წყაროსთავის პირველი ოთხთავი გაცილებით მეტ მსგავსებას პოულობს 897 წლის ადიშის (შატბერდის) სახარებასთან.

[88] ეგნატი ხუცესმონაზონი იყო ძმა და თანამოაზრე თავისი ძმების, ბაგრატ IV-ისა და გიორგი მთაწმიდელის უახლოესი გარემოცვის წევრების, იოანე ჭყონდიდლისა და პეტრე პატრიკ-ყოფილი ვესტისა. პეტრე, როგორც პატრიკი და მწიგნობართუხუცესი, მოხსენიებულია ლიხნის წარწერაში (ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, გვ.210); „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ თანახმად, პეტრე პატრიკი და მისი ძმა იოანე თან ახლდნენ ბაგრატ IV-ს კონსტანტინოპოლში. 1065 წელს იგივე პირი, უკვე შემონაზვნებული, კონსტანტინოპოლში მეორედ ჩადის, როგორც მართა უფლისწულის ამალის წევრი (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 177). პეტრე პატრიკ-ყოფილმა თავის ძმებთან ერთად განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გიორგი მთაწმიდელის კანონიზაციისა და მის ნაშრომთა გამრავლება-გავრცელების საქმეში (იხ. . მეტრეველი, პატრიკისა და პეტრე-პატრიკის იდენტიფიკაციისათვის, გვ.196-225; დ. კლდიაშვილი, კლარჯული სვინაქსარის თარიღი და მომგებელი, გვ. 336-337; პეტრე პატრიკ-ყოფილის მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ: მ. სურგულაძე, მეფე, კათალიკოსი, მწიგნობართუხუცესი, გვ. 150-151).

[89] ხელნაწერთა აღწერილობა, A-I2, გვ 159.

გონებითა უდები, აღწერად წმიდასა ამას წიგნსა, თარგმანებასა წმიდისა სახარებისასა ... და შ ე ვ წ ი რ ე ე კ ლ ე ს ი ა ს ა წ ყ ა რ ო ჲ ს თ ა ვ ი ს ა ს ა, აღსადგომელსა მჴსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. სადიდებელად და სალოცველად ღმრთივგჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩუენთა. სულითა განათლებულისა კურთხეულისა დ ე დ ო ფ ლ ი ს ა მ ა რ ი ა მ ი ს ი, ძ მ ი ს ა მ ა თ ი ს ა გ ი ო რ გ ი მ ე ფ ე თ ა მ ე ფ ი ს ა და კ ე ს ა რ ო ს ი ს ა, და ძ ი ს ა მ ა თ ი ს ა დ ა ვ ი თ მ ე ფ ი ს ა და ს ე ვ ა ს ტ ო ს ი ს ა, და ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი ს ა დ ე დ ი ს ა მ ა თ ი ს ა ე ლ ე ნ ე დ ე დ ო ფ ლ ი ს ა, და გამზრდელისა ჩემისა მამისა ეფთჳმესი და ყოველთა მამათა წყაროჲსთაველთა, და მშობელთა და ძმათა ჩემთა სულიერთა და ჴორციელთა, რომელნი შემწე და მოღუაწე მექმნეს სიტყჳთ და საქმით სულიერისა ამას შრომასა...“[90]

აღსანიშნავია, რომ ეგნატის მოცემულ ანდერძში სამეფო ოჯახის წევრთაგან პირველ ადგილას მოიხსენიება ბიზანტიის დედოფალი მარიამი და შემდეგ გიორგი მეფე ბიზანტიური ტიტულით – კესაროსი, ისევე, როგორც რუის-ურბნისის კრების (1105 წ.) ტექსტზე დართულ სინოდიკონში[91]. კესაროსი – უმაღლესი ბიზანტიური ტიტული ეძლეოდათ ბიზანტიის საიმპერატორო ოჯახის უახლოეს ნათესავებს, რაც, გიორგი მეფის შემთხვევაში, განპირობებული ჩანს დედოფალ მარიამის ძმობით და იმ როლით, რომელიც მას უნდა ეტვირთა თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში. დავითი ანდერძში მეფედ და სევასტოსად იწოდება, ისევე, როგორც 1085 წლის შატბერდული ხელნაწერის (A-192) ანდერძში. მინაწერები ადასტურებენ, რომ რომ დავითი 1085 წლიდან უკვე თანამეფე და სევასტოსი[92] ყოფილა. ხელნაწერის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია დედოფალ მარიამის მიმართ გამოყენებული გამოთქმა: „სულითა განათლებულისა კურთხეულისა დედოფლისა მარიამისა", რომელიც უნდა გულისხმობდეს პერიოდს მარიამ დედოფლის შემონაზვნებამდე (1092 წ.), რის შემდეგაც, დედოფალს, როგორც ჩანს, მისი ძველი სახელით (მართა) მოიხსენებდნენ. მართას უწოდებს მას რუის-ურბნისის ძეგლისწერის სინოდიკონი[93]. ამ ქრონოლოგიურ მინიშნებათა გათვალისწინებით, ხელნაწერის შექმნის თარიღი შეიძლება განისაზღვროს დავითის თანამეფობის (1085) და მარიამ დედოფლის შემონაზვნების (1092) წლების შუალედით.

მადიდებელი ფორმულის შემდეგ ეგნატი ხუცესმონაზონი, კლასიკური ანდერძის ტრადიციული წესისამებრ, უფალს ავედრებს თავის მშობლებს (სახელთა მოუხსენიებლად) და თავის სულიერ მოძღვარსა და ძმას, გაბრიელ რკინაელს, ხოლო სულ ბოლოს – საკუთარ თავს. ანდერძის ბოლოს ეგნატი ხუცესმონაზონი გვაწვდის საყურადღებო ცნობას იმის შესახებ, თუ რა გულმოდგინებით ზრუნავდა წყაროსთავის წიგნთსაცავის შევსებაზე და როგორ წუხდა, როცა მონასტერში „ახალნი წიგნი ერთაჲცა არა იყო"[94]. ამ საზრუნავით ცხოვრობდა იგი მაშინ,

---

[90] ხელნაწერთა აღწერილობა, A- I2, გვ.159-160.

[91] იქვე, გვ.194.

[92] სევასტოსის ტიტულით დავით IV აღმაშენებელი მოიხსენიება მონეტების ზედწერილებში::„ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი" (იხ. გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, I, გვ.194-195).

[93] რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ.194.

[94] ეგნატი ხუცესმონაზონისათვის გიორგი მთაწმიდელის თარგმანების მოპოვებაში, რაც ძალზე რთული საქმე იყო, დახმარება უნდა გაეწია მისსავე ძმას, პეტრე ვესტსა და პატრიკ-ყოფილს, რომელიც გიორგის უახლოესი

როდესაც მათთან იმყოფებოდა „ნეტარი იგი ბერი“ (იგულისხმება გიორგი მთაწმიდელის ყოფნა კლარჯეთში) და მაშინაც, როდესაც გიორგი მთაწმიდელი გარდაცვლილი იყო: „უწყის სიწმიდემან თქუენმან, თუ რაოდენი წიგნნი შემიძენიან ამის ეკლესიისადა, საურავითა და წყენითა ზედაჲს-ზედა, ვიდრე ჩუენთანაღა იყო ნეტარი იგი ბერი. მაშინ და აწ, შემდგომად მიცვალებისა მისისა, საგალობელნი ყოველნი სრულიად, რომელ მადლითა ღმრთისაჲთა არღარაჲ გუაკლს, რამეთუ პირველ ახალნი წიგნი ერთაჲცა არა იყო...“[95]. გიორგი მთაწმიდელის თარგმანთა გამრავლებაზე ეგნატის ზრუნვა რომ სხვა მონასტრებსაც სწვდებოდა, ეს უკვე გამოჩნდა 1085 წელს მის მიერ ხანცთში შატბერდისათვის დაკვეთილ საწელიწდო-საწინასწარმეტყველოს ანდერძში.

1195 წელს იოვანე საფარელ-მტბევარმა (სავარაუდოდ, ტბეთში) წყاროსთავის ღმრთაების ხატისათვის შესაწირად დაამზადებინა ე. წ. წყاროსთავის (II) ოთხთავი Q-907), გასრულებული კანონით, ზანდუკით და ქრონიკონით. ბექა ოპიზარს შეამკობინა ოქროჭედილი ყდით, რაშიც გადაუხდია: „ორასისა დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქროჲ, თვლები და მარგალიტი”, ხელფასის სახით – კ˜გ (23) (დრამა?). ანდერძის ავტორი მტბევარი ეპისკოპოსი დიდებას შესთხოვს ღმერთს თამარ მეფისა და დავითისათვის, შემდეგ უკვე თავისი მშობლებისათვის. ხელნაწერი გადაუწერია ორ მწერალს: მნათე იოვანე ფუკარალისძეს და გიორგი სეთაჲსძეს. იოვანე ფუკარალისძე პროფესიონალი გადამწერი ჩანს, რომელიც თავს „სასყიდლით მწერალს“ უწოდებს და, მიუხედავად მოხუცებულობისა და მხედველობის კლებისა, მაინც შესანიშნავად შეუსრულებია თავისი სამუშაო.

ხელნაწერის თანადროულ სავედრებელ მინაწერებში მომგებელ-გადამწერებთნ ერთად იხსენიება ჭედური ყდის ოსტატი – ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი. XV-XVI საუკუნეებში ხელნაწერის არშიებზე მიუწერიათ სულთა მოსახსენებლები.

სოფრომ მწიგნობარს ანჩის მთავარი ხატისათვის მოსახსენებლად წყاროსთავში დაუმზადებინებია კიდევ ერთი ძვირფასი ოთხთავი, ე.წ. წალკის სახარება (სეა 323)[96], რომლის ყდაც ასევე ბექა ოპიზარს შეუმოსავს (იხ. აქვე, ანჩა).

XIII საუკუნეში წყاროსთავში მოღვაწეობდა ჰიმნოგრაფი საბა, რომელსაც, თანახმად ანდერძისა, გადაუწერია მცირე ზომის სახარება და შეუწირავს მაცხოვრის ხატისათვის („წინაშე ხატსა ღ(ვ)თ(ა)ებისსა“). მასვე შეუმკია ოთხთავი კამარებით და შეუმოსავს (ხელნაწერი ამჟამად დაკარგულია). ეს სახარება უბისაში უნახავს ე. თაყაიშვილს, რომელმაც გამოაქვეყნა მისი აღწერილობა[97]. ამ დროს ხელნაწერს შერჩენილი ჰქონია მხოლოდ ჭედური ყდის უკანა მხარე, რომელზედაც გამოსახული ყოფილა ჯვარცმა ორ ანგელოზთან ერთად და წარწერით: „ესე არს“. როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, ყდის ფილიგრანი ქართული ხელოვნების

მოწაფეთაგანი იყო (იხ. ე. მეტრეველი, ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ. 197-198).

[95] ხელნაწერთა აღწერილობა, A- I2, გვ.160.

[96] ხელნაწერი 1923 წ. წალკაში აღმოაჩინა ლ. მელიქსეთბეგმა, რის გამოც შეერქვა მას წალკის სახარება. ხელნაწერის აღწერილობა და ანდერძი გამოქვეყნებულია: Е. Такайшвили, О Грузинских рукописях на Цалке, გვ. 96-105. სეა, ქრთულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, გვ. 292-294. მესამედ ანდერძის ტექსტი გამოაქვეყნა ვ. სილოგავამ სტატიაში „ანჩის ეპარქია“ კრებ. ტაო-კლარჯეთი, გვ. 58-59.

[97] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, გვ.34-36.

საუკეთესო ნიმუშებს უტოლდებოდა[98]. ტექსტის ბოლოს საბას ხელითვე მიწერილი ყოფილა გიორგი მტბევარისადმი მიძღვნილი ესქატოლოგიური მოტივებით გაჯერებული იამბიკური საგალობელი, რომლის ავტორად კ. კეკელიძე ამავე საბას მიიჩნევს[99].

მიძნაძორი

მიძნაძორი მდებარეობს კლარჯეთში, მდ. კარჩხალის ხეობაში. იგი დაუარსებია დავით მიძნაძორელს აშოტ (I) კურაპლატის მეფობის პერიოდში. მონასტერი მოციქულთა სახელობისა ყოფილა, რასაც მოწმობს ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელი[100]. XI საუკუნის 60-იან წლებში აქ გადაიწერა გიორგი მთაწმიდელის სახელთან დაკავშირებული „დიდი სვინაქსარი“ (A-97), გამართული „ბერძულ“, ანუ კონსტანტინოპოლის წმ. სოფიისა და სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონის კალენდარულ რიგზე. ამიტომ, ბუნებრივია, მასში არ იქნებოდა ქართველ წმინდანთა საკითხავები. მაგრამ, უკვე XI საუკუნის მიწურულს ხელნაწერის არშიებზე (6r, 22v,42v,93v, 126r, 322v) კალენდარული რიგით ჩაუმატებიათ საქართველოს ეკლესიის წმინდანთა მოკლე მოსახსენებლები, რითაც ამ მინაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ეროვნული წმინდანების კალენდარული რიგის აღდგენისათვის. მკვლევართათვის უცნობია, რომელი წყაროთი უნდა ესარგებლათ ამ მოსახსენებლების მიმწერთ. პ. ინგოროყვა ვარაუდობდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ჩვენთვის უცნობი კლარჯული სვინაქსარი, საიდანაც შეიძლებოდა ამოეღოთ ხსენებები[101]. ე. გაბიძაშვილის მოსაზრებით, ამგვარი შენამატი მოცემულ ნუსხაში მხოლოდ ადგილობრივი ეკლესიის სანქციით იქნებოდა დასაშვები, რასაც შემდგომში სხვა ეკლესიებისათვისაც ნიმუშის ძალა უნდა ჰქონოდა[102]. დიდი სვინაქსარის აშიებზე მიწერილ მოსახსენებლებს შორის მხოლოდ ორი ჩანს XI საუკუნის მიწურულს მიწერილი – გიორგი მთაწმიდელისა და მასთან დაახლოვებული პიროვნების, იოვანე ჭყონდიდელისა (29 ივნისი, 3 იანვარი). იოვანე ჭყონდიდელისა და მისი ძმების დიდი დამსახურების შესახებ ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის წინაშე ზემოთ უკვე ითქვა. (იხ. აქვე, წყაროსთავი). განსაკუთრებით თვალსაჩინოა მათი ერთ-ერთი ძმის, წყაროსთავის უდაბნოს აღზრდილისა და მწიგნობრის, „ღმერთშემოსილის“ პატივით შემკული ეგნატი ხუცესმონაზონის წვლილი ქართულ ეკლესიებში გიორგი მთაწმიდელის თარგმანთა სწრაფი გავრცელების საქმეში[103]. ამ გარემოებათა გამო ვარაუდობენ, რომ კლარჯული სვინაქსარი XI საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ეგნატი ხუცესმონაზონს უნდა დაეკვეთა გიორგი მთაწმიდელის საპატივცემულოდ და მის მოსახსენებლად, ხოლო მოგვიანებით, იოანე ჭყონდიდლის გარდაცვალების შემდეგ, მასვე უნდა შეეტანა ხელნაწერის არშიებზე გიორგი

[98] ლ. მენაბდე, კერები, I, გვ. 435.

[99] კ. კეკელიძე, ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, გვ. 107-108.

[100] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, გვ.32-34.

[101] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, გვ. 246-248.

[102] ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 35-37.

[103] დ. კლდიაშვილი, მიძნაძორის მონასტრის სულთა მატიანე, გვ. 297.

მთაწმიდელისა და იოანე ჭყონდიდლის მოსახსენებლები[104].

XIII საუკუნეში მიძნაძორის სვინაქსარში კვლავ დაუმატებიათ მოსახსენებელი, ამჯერად უკვე ათაბაგ ავაგ მხარგრძელის სახელზე (66r). ათაბაგს, როგორც ირკვევა, მონღოლთა მიერ მონასტრისათვის შეწერილი ხარაჯა მოუხსნია. ამავე პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს თამარის წმინდანად შერაცხვა და მისი ხსენების დღის შეტანა (1 მაისი) XI საუკუნეში შეტანილი სხვა წმინდანების გვერდით[105].

ბერთა

ბერთა მდებარეობს კარჩხალის მარჯვენა ნაპირზე, ოპიზის, მიძნაძორის და წყაროსთავის სიახლოვეს. იგი დაარსებულია IX საუკუნეში, გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის პერიოდში. აქაური კრებულის წევრები ყოფილან „გ რ ი გ ო ლ ი ს დ ე დ ი ს მ ს ა ხ ურ თ ა გ ა ნ ნ ი, ნ ა თ ე ს ა ვ ნ ი მ ა ტ ო ი ს ნ ი, კ ე თ ი ლ ნ ი მ ო ნ ა ზ ო ნ ნ ი....“[106] ბერთაში დიდი საგანმანათლებლო კერისა და სკრიპტორიუმის არსებობას ადასტურებს მონუმენტური ნაგებობის ნაშთი, რომელიც ადგილზე იხილა ნ. მარმა[107].

ბერთის ოდესღაც დიდი საგანმანათლებლო კერიდან მხოლოდ ორი ოთხთავია შემორჩენილი. პირველი გადაწერილია სუმბატ არტანუჯელის გარდაცვალებამდე (988 წ.). ხელნაწერი 1830 წელს ამერიკელ მისიონერებს ყარსში შეუძენიათ და ამერიკაში წაუღიათ. იგი ადრე ინახებოდა ამერიკის ქ. ნიუტონში[108], ამჟამად გადატანილია ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (Ms. Georgia 1). ოთხთავის ტექსტი წინარეათონური რედაქციისაა (ჯრუჭ-პარხლის). ხელნაწერი დაუკვეთია ვინმე გაბრიელს, როგორც ჩანს, მონასტრის წინამძღვარს, გადამწერია მისი თანამოსახელე გაბრიელი.

ბერთის მეორე, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ოთხთავი (Q-906) თარიღდება XII საუკუნით. მისი მომგებელი და ანდერძის ავტორი, ოპიზის ანონიმი მოძღვარი მოგვითხრობს ხელნაწერის შექმნის ისტორიას: ხელნაწერი ჰქონია ბერ იოანე მთავარაისძეს, რომელსაც აღუზრდია თავისი დისწულები, ანდერძის ანონიმი ავტორი და მისი ძმა სიმონი. ოთხთავი იოანე მთავარაისძეს უბოძებია სიმონისათვის. ამ უკანასკნელს იგი თავისი ძმისთვის დაუტოვებია, რომელიც ამასობაში ოპიზის მოძღვარი გამხდარა. ოპიზის მოძღვარმა და ანდერძის ავტორმა ოთხთავი მახარებელთა გამოსახულებებით და ბეშქენ ოპიზარის მიერ დამზადებული ჭედური ყდით შეამკო და ბერთის ღვთისმშობელს შესწირა სააღაპედ. გარდა ოთხთავისა, ამავე მიზნით ბერთისათვის შეუწირავს იმავე მთავარაისძის ნაბოძები ნაწილიანი ოქროს ჯვარი, ბერთის მონასტრის ნასყიდი და მის მიერ გაშენებული ვენახი და სახლი. მთელ ამ ქონებას ოპიზელი მოძღვარი ბერთას სწირავს, რათა მონასტერს მისთვის და კიდევ სხვა ოთხი, როგორც ჩანს, ოპიზელი მოძღვრისათვის (იესე, სიმონი, ბასილი, ნიკოლოზი) „საუკუნო

[104] დ. კლდიაშვილი, კლარჯული სვინაქსარის თარიღი და მომგებელი, გვ. 237-338.

[105] დ. კლდიაშვილი, მიძნაძორის მონასტრის სულთა მატიანე, გვ. 297.

[106] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.285.

[107] Н.Марр, Дневник поездки в Щавшию и в Кларджию, გვ.168.

[108] ლ. მენაბდე, კერები, I, გვ.429.

აღაპი“ დაეწესებინა. სააღაპე ტექსტიდან ჩანს, რომ ანდერძის ავტორს შეწირული ქონება მაინც არ მიუჩნევია საკმარისად, რადგან კარგად იცოდა, რომ „უმიწოდ საუკუნოდ აღაპი არა დამტკიცდებოდა“. ამიტომ კვლავ შეუძენია მონასტრის მიწა 12 ბოტინატად (როგორც ჩანს, სამწირველოსათვის), რათა მისი შემოსავალი აღაპის გადამხდელ პერსონალს მომსახურებოდა. ამ უხვი შეწირულების საფუძველზე ოპიზის მოძღვარს ბერთის მონასტერში დაუწესებია „საუკუნო აღაპი“ უფლის მიგებების (ლამპრობის) დღეს. ამავე დროს შემწირველი (მიღებული წესის მიხედვით), მონასტერს უყენებს პირობებს: არ დაეკლოთ ლოცვა და აღაპი შემწირველთა სახელებზე; მწირველი მღვდლებისათვის გასამრჯელო (საწირავი) მიეცათ ყოველ ამაღლება დღეს; ამავე დღეს გამოესვენებინათ და „აემაღლებინათ“ მის მიერ შეწირული ჯვარი, ხოლო ვნების კვირას მისეული ოთხთავიდან წაეკითხათ საკითხავი[109].

ოთხთავის არშიებზე მიწერილია XIV-XVI საუკუნეების მოსახსენებლები და საბუთები. ესენია: კოპასთეთა სააღაპე მინაწერი (1r); ბერთის კრებულის სააღაპე მინაწერი (1r); ოპიზის წინამძღვრის სააღაპე მინაწერი (158v-159r); ათაბაგ მირზა-ფაშას მინაწერი პურის ბეგარისაგან მონასტრის გათავისუფლების შესახებ (160r): მინაწერი საბუთი გუბელისძის და ნარსიძის (?) სასისხლო დავის შეწყვეტის შესახებ (264v), ანჩელ მთავარეპისკოპოს ქერაბინის მინაწერი ბერთისა და პარეხთას სამამულო დავის გარიგების შესახებ (264v-265r); ბერთის კრებულის მინაწერი ქულიანთელი მოძღვრისადმი ბალხიური მამულის ბერთისადმი კუთვნილების შესახებ[110].

პარეხთა

პარეხთას ორი ეკლესია მდებარეობს მდ. კარჩხალის ხეობაში, კლდოვან ბაქანზე, იმერხევიდან დაახლ. 15 კმ-ით ჩრდილოეთით. სახელწოდება „პარეხთა“ უკავშირდება აქაურ ბუნებრივ ქვაბულებში მარტომყოფ ბერთა დაყუდებულ ცხოვრებას, რომელთაგან ერთ-ერთი, მიქელ პარეხელი გრიგოლ ხანცთელის თანამედროვე და სერაპიონ ზარზმელის მოძღვარი ყოფილა[111]. ვ. ჯობაძემ პარეხთას ე.წ. ზედა ეკლესიის ადგილზე მონახულებისას ყურადღება მიაქცია მონასტრის დასავლეთით მდებარე კლდეში ამოკვეთილ ორ დიდ სენაკს, რომლებიც ანაქორეტ ბერთა დაყუდების ადგილად მიიჩნია[112]. ამ მხარეში დაწყებული დიდი სამონასტრო მშენებლობების გავლენით მიქელ პარეხელიც დაახლ. IX საუკუნის შუა ხანებში აარსებს კვინობს, სადაც სამონასტრო ცხოვრება განვითარდა. მიქელის მოწაფეებს აქ აღუწერიათ მისი „ცხოვრება“ რომელიც, სამწუხაროდ, დაკარგულია. IX-X საუკუნეთა მიჯნაზე აქ უმოღვაწია ილარიონ პარეხელს, რომელსაც, მერჩულის თქმით, მასზე მეტად შეეფერებოდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების აღწერა[113]. სხვა ცნობა პარეხთაში მწიგნობრული საქმიანობის შესახებ არ მოგვეპოვება.

---

[109] ხელნაწერთა აღწერილობა, Q-II, გვ. 319.

[110] იქვე, გვ. 320.

[111] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.გვ. 280-281, 322.

[112] ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები, გვ.65-66.

[113] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, გვ. 294.

ანჩა

ანჩის საკათედრო ტაძარი მდებარეობს სამწყალის ხეობაში, სოფელ ანჩის აღმოსავლეთით. მისი დაფუძნება ივარაუდება VI-VII საუკუნეებში, ორი საუკუნით ადრე, ვიდრე გრიგოლ ხანთელი კლარჯეთში ჩავიდოდა. ანჩის მაცხოვრის სახელობის ტაძარი განთქმული იყო მისი მთავარი სიწმინდით, უფლის ხელთუქმნელი ხატით, რომელიც 1664 წელს თბილისში იქნა გადმოსვენებული. ანჩის ეპარქიაში შედიოდა გრიგოლ ხანცთელის დროს დაარსებული კლარჯეთის უდაბნოები, გრიგოლ ხანცთელის შემდეგ ანჩელი ეპისკოპოსი ითვლებოდა კლარჯეთის 12 უდაბნოს არქიმანდრიტადაც.

ანჩაში სამწერლობო ცენტრის არსებობის შესახებ უკიდურესად მწირი ცნობებია შემონახული. გიორგი მერჩულის მიხედვით, X საუკუნის 30-40-იან წლებში ანჩის ეპარქიას განაგებდა დაფანჩულთა დიდი გვარის წარმომადგენელი ეზრა (I) ანჩელი[114], ავტორი ექვთიმე პალესტინელისადმი მიძღვნილი მცირე ფორმის საგალობლისა, რომელიც შეტანილია მიქაელ მოდრეკილის იადგარში[115]. სასულიერო პოეზიასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი ანჩელი ეპისკოპოსი, XII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, იოანე ანჩელი. მას ეკუთნის ანჩის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობელი (საგალობელი მოღწეულია XVIII საუკუნის ხელნაწერით A-1040). მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა ხშირად მუშავდება XII-XIII საუკუნეების ქართულ ჰიმნოგრაფიაში (იოანე ანჩელი, არსენ ბულმაისიმისძე, საბა სვინგელოზი). ამ თემისადმი ინტერესის განსაკუთრებული გაძლიერება ემთხვევა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობას, რა დროსაც იწყება ქართული მწერლობის ძველი თემატიკის (ღვთისმშობლის წილხვდომილობა, წმ. ანდრია პირველწოდებულის მოსვლა, წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, უფლის კვართისა და ცხოველი სვეტის სიმბოლიზმი) გადამუშავება და ახალი საღვთისმეტყველო საზრისით გამდიდრება[116]. ამგვარმა ლიტერატურამ მოამზადა საფუძველი ქართველი ერის „საზეპუროობის“ იდეოლოგიის წარმოქმნისათვის (ნიკოლოზ გულაბერისძე).

ამ რიგის თემათა შორის განიხილება ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის თემაც, რომელიც ახლებურად დაამუშავა იოანე ანჩელმა[117]. ცნობები მის შესახებ დაცულია ტბეთის (II) ოთხთავის ანდერძში (Q-929), რომელიც დიმიტრი მეფის გაზრდილს, პავლე მტბევარს ეკუთვნის. ანდერძიდან ვიგებთ, რომ იოანე ანჩელი პავლე მტბევარის ერთ-ერთი დის შვილია და, რომ მის უახლოეს ნათესავებს (ძმებს ან დეიდაშვილებს) XII საუკუნის შუა ხანებში ეპყრათ ქუთათელი მთავარეპიკოპოსის, ოპიზის წინამძღვრისა და დიმიტრი მეფის მწირველის თანამდებობანი[118].

---

[114] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, გვ. 307.

[115] ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 42.

[116] ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია., გვ. 112-127.

[117] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 318-322; ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 121.

[118] ამ პირთა შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 309; იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გვ. 54-55.

ტბეთის (II) ოთხთავის ანდერძის მიხედვით, იოანე ანჩელი XII საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწე ჩანს. იგი ცოცხალია თამარის გამეფების დროსაც. მან თამარ მეფის საფასით ბექა ოპიზარს მოაჭედვინა ანჩის მაცხოვრის ხატის საუცხოო ჩარჩო, რომელიც ქართული ჭედური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთაგანია[119]. ხატის წარწერა გვაცნობს იოანე ანჩელის გვარსაც – რკინაელი: „მე, იოვანე ანჩელმან. რკინაელმან, ჴელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჭედად...“

იოანე ანჩელ-რკინაელის მღვდელთმთავრობის დროს სოფრომ მწიგნობარს ანჩისათვის შეუკვეთავს კიდევ ერთი შესანიშნავი ოთხთავი, ე.წ. წალკის სახარება, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში (სეა, N 323). ხელნაწერს ერთვის მომგებლის მეტად ვრცელი ანდერძი, შედგენილი უფრო გვიან, როგორც ჩანს, იოანე ანჩელის გარდაცვალებისა და ახალი მღვდელთმთავრის, სოფრომ ანჩელ ეპისკოპოსის, დადგინების შემდგომ. სწორედ ეს სოფრომია ხელნაწერის მომგებელი. ანდერძის თანახმად, სამეფო კარზე მას მაღალი თანამდებობები სჭერია – ყოფილა მწიგნობარი „ოდესმე ვაზირთა, ოდესმე ღმრთისა სწორთა“. ანდერძის ტექსტი წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი კარის მოხელეთა განსწავლულობის უაღრესად მაღალ სტანდარტზე. მომგებელი, ტრადიციისამებრ, დიდებას აღავლენს ჯერ საქართველოს მეფეების – დავითისა და თამარის, მათი ძის, ლაშას, შემდგომ კი – თავისი წინამორბედის, თეოდორე ანჩელ მთავარეპისკოპოსისა და „ათორმეტთა უდაბნოთა“ არქიმანდრიტის სახელზე. შემდეგ გადადის იმ კონკრეტულ მიზეზთა დასახელებაზე, რის გამოც საჭიროდ მიუჩნევია ანჩის საყდრისათვის მიერთმია ესოდენ ღირებული ხელნაწერი. მიზეზთა შორის ასახლებს ანჩის დაკნინებას („შეკნინებას“), საყდრის სიმდიდრისა და სამკაულის დაძველებას, „ხრწნილებასა შინა დანთქმას“. აი, ამ მიზეზთა გამო გადაუწყვეტია წყაროსთავის უდაბნოში „მოესყიდა“ წმ. ოთხთავი და მისი ყდის მოეჭედილობა დაეკვეთა „ღმრთისა მიერ კურთხეულისა და ღირსისა ოქრომქანდაკებლისა ბექაჲსათვს“[120]. ანდერძის მიხედვით, იქ, სადაც მომგებელმა ოთხთავი დაასვენა, გარდა ანჩის განთქმული ღმრთაების ხატისა, სხვა მრავალი „ბერძული“ ხატიც ყოფილა დაბრძანებული. ამ ძვირფასი ოთხთავის შეწირვის სანაცვლოდ, შემწირველის პირობის თანახმად, ანჩელს და ტაძრის საყდრიშვილებს სოფრომ მწიგნობრის ხორციელი ძმის, მშობლებისა და მათი გაზრდილების ხსენების დღეზე დაწესებული ღვთისმსახურების დროს ეს შეწირული ოთხთავიც უნდა გადმოესვენებინათ (ოთხთავის „გარდამოყენება“).

სვეტი

IX საუკუნეში სვეტის ეკლესიის არსებობის ფაქტს ადასტურებს სუმბატ დავითის-ძე აშოტ კურაპალატის მკვლელობის ეპიზოდში[121]. სვეტის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიანიშნებს ბიზანტიასთან ომის დროს საბა მტბევარის მიერ აქ ციხის აგება[122]. სვეტის უდაბნოს

[119] შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, გვ. 7-8; თ. საყვარელიძე, ანჩის კარედი ხატი, გვ.77-91.

[120] ეს ყდა დიდი ხანია დაკარგულია.

[121] სუმბატ დავითის-ძე, გვ.377.

[122] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 292; სუმბატ დავითის-ძე, გვ. 386.

ლოკალიზაციის საკითხი, XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, მრავალი მკვლევარის ძიების საგნად იყო ქცეული (ა. პავლინოვი, პ. ინგოროყვა, ი. სიხარულიძე, ჯ. და მ. ტიერები, დ. ხოშტარია, დ. კლდიაშვილი). დღესდღეობით სვეტის უდაბნო იდენტიფიცირებულია ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, შავშეთ-კლარჯეთიდან ნიგალის ხეობაში შემავალ გზაზე მდებარე ეკლესიის ნანგრევებთან („ნიგალის ეკლესია“ ართვინის სიახლოვეს)[123]. სვეტის უდაბნოში სკრიპტორიუმის არსებობის შესახებ დანამდვილებით არაფერია ცნობილი, მაგრამ აქ წიგნთსაცავის არსებობას მოწმობს ჩვენთვის ცნობილი რამდენიმე ხელნაწერი. ამათგან ერთ-ერთია XII საუკუნეში სტეფანე დიაკონის მიერ ხანცთში გადაწერილი დეკემბრის „თვენი“ (იხ. ხანცთა). სვეტის ბიბლიოთეკის საკუთრება ყოფილა კვირიკე ნადღუნის მიერ გადაწერილი ოთხთავი (A-844), რომელსაც თ. ჟორდანია XI-XII საუკუნეებით ათარიღებს[124], ამავე გადამწერის ნამუშაკევი ჩანს მათეს თავის სახარების თარგმანება (A-89), რომელიც მთლიანად პალიმფსესტურ ფურცლებზეა გადაწერილი[125]. ასევე, სვეტის უდაბნოს ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, ტბეთის სკრიპტორიუმში დაკვეთილი, XI საუკუნით დათარიღებული ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული (H-341). უკვე ოსმალთა დაპყრობის შემდეგ ხელნაწერი ადგილობრივ აზნაურ ხერხემლისძეებს წალკაში წაუღიათ[126]. XVIII საუკუნეში, როგორც ჩანს, უკვე დაშლილი ხელნაწერი ბარათაშვილთა აზნაურების, ჩაჩიკაშვილების ხელში მოხედრილა. ნიკოლაოზ ჩაჩიკაშვილს იგი ახალ ყდაში ჩაუსვამს [127].

იშხანი

იშხნის კათედრალი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, ოლთისისა და თორთუმის შესართავიდან დაახლ. 5 კმ-ით დაშორებულ ზეგანზე[128]. აქ იჯდა მწყემსი „ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონიმტამდე[129]“. იშხნის კათედრა VII საუკუნის 30-იან წლებში დაუარსებია სომეხ ქალკედონიტ მოღვაწეს, ნერსეს, რომელიც 641-661 წლებში სომეხთა კათალიკოსი გამხდარა, მაგრამ ქალკედონიტობის გამო გადაუყენებიათ[130]. ტაძარი არაბთა შემოსევების დროს დანგრეულა. დაახლ. 830 წელს მისი დიდებული ნანგრევები იხილეს კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებულმა გრიგოლ ხანცთელმა და მისმა თანამოაზრემ და დედის დისწულმა საბამ. ამ უკანასკნელმა ტაძრის განახლება მოინდომა და მალე მისი ინიციატივით იშხანი მეორედ აღაშენა ბაგრატ კურაპალატმა. საბა გახდა იშხნის პირველი ეპისკოპოსიც[131]. საბა იშხნელის მიერ ბაგრატ კურაპალატის წინაშე მჭევრმეტყველურად

[123] დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ.214; დ. კლდიაშვილი; სვეტის უდაბნოს სულთა მატიანე, გვ.169.

[124] Ф. Жордания, Описание, გვ. 57.

[125] ლ. ქაჯაია, ერთი წარმოშობის ორი პალიმფსესტის შესახებ, გვ. 52-57.

[126] დ. კლდიაშვილი, სვეტის უდაბნოს სულთა მატიანე, გვ.173.

[127] ხელნაწერთა აღწერილობა, H-I, გვ. 247.

[128] ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები, გვ. 217.

[129] ვახუშტი, გვ. 681.

[130] არსენ საფარელი, განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა, გვ. 194.

[131] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. გვ. 264,274.

წარმოთქმული სიტყვის იპოლიტე რომაელის (II-III სს.) ეგზეგეტური თხზულების, „დავითისა-თვის და გოლიათისთვის“, ქართული თარგმანის ერთ პასაჟთან ფრაზეოლოგიურმა სიახლოვემ კ. კეკელიძეს აფიქრებინა, რომ საბა იშხნელი თავად იყო ხსენებული თხზულების მთარგმნელი[132]. ზოგი მკვლევარი კ. კეკელიძის ამ ვარაუდს არ იზიარებს იმ არგუმენტით, რომ საბა იშხნელის სიტყვა უფრო გიორგი მერჩულის შენათხზს ჰგავს და ნაკლებად გამოდგება საბა იშხნელის მთარგმნელობის სარწმუნო წყაროდ[133]. თუმცა, თუ გავიხსენებთ, როგორი დაბეჯითებით მიაწერს გიორგი მერჩულე საბა იშხნელს განსაკუთრებული გაბედულებით წარმოთქმულ სიტყვას, მართლაც შეიძლება, კ. კეკელიძის მოსაზრება გაზიარებული იქნას[134].

იშხანში სამწერლობო კერის არსებობას ადასტურებს სხვა სამონასტრო კერებში შექმნილ ხელნაწერთა მინაწერებიც. მაგ., „შატბერდის კრებულის“ მინაწერის მიხედვით, „ექუსთა დღეთას“ განმარტებებისათვის იშხნის „დედით“[135](დედნით) უსარგებლიათ. იშხნურ დედანს ახსენებს გაბრიელ პატარაჲც, პარხლის მრავალთავის გადამწერი: „ესე მ ა მ ა თ ა მ ო წ ა მ ე თ ა ჲ, რ ო მ ე ლ ი პ ა რ ხ ა ლ ს ა რ ა ე წ ე რ ა, ი შ ხ ნ ი თ მ ო ვ ი ღ ე დ ა მ ი თ გ ა ვ ა ს რ უ ლ ე“[136].

იშხანშია გადაწერილი X საუკუნით დათარიღებული ასკეტიკურ-ჰომილეტიკურ თხზულებათა კრებული (A-35), რომლის დიდი ნაწილის ავტორია საჰაკ მონაზონი (ისააკ ასური). ეს ავტორი ეფთვიმე ათონელს უთარგმნია ჯერ კიდევ იოვანე ვარაზვაჩეს სიცოცხლეში[137]. მომდევნო ნაწილი წარმოადგენს ასევე ეფთვიმე ათონელის თარგმნილ „პატერიკს“, ანუ მამათა სწავლებებს[138]. კრებულის დამკვეთი ყოფილა ილარიონ (I) იშხნელი მთავარეპისკოპოსი, გადამწერი – იოვანე-გერმანე. საინტერესოა, რომ მისი სავედრებელი წარწერა მდივანმწიგნობრული ხელითაა შესრულებული (26v) და ამ დაწერილობის ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. მომგებელი ილარიონ იშხნელი[139] სამეცნიერო ლიტერატურაში იდენტიფიცირებულია იმ ილარიონ იშხნელთან, რომლის ქტიტორობით 973 წელს დაუმზადებიათ ვერცხლის საწინამძღვრო ჯვარი[140].

---

[132] კ. კეკელიძე გულისხმობს პასაჟს იპოლიტე რომაელის იმ თხზულებიდან, რომელიც შეტანილია შატბერდის კრებულში (გვ.249): „...მეფჱ ხარ ქუეყანასა კაცთა ზედა, ხოლო ქრისტე – ზეცისათა და ქუეყანისათა და ქუესკნელისათა. მეფჱ ხარ, ვითარცა კაცი საწუთროჲსა ჟამთაჲ, ხოლო ქრისტე - საუკუნე მეუფჱ და სრული ჰგიეს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ“ (კ. კეკელიძე, ციტატი იპოლიტე რომაელიდან გიორგი მერჩულის შრომაში, გვ.231-234).

[133] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, გვ. 445,.

[134] ეს შეხედულება გაზიარებულია ვ. სილოგავას შრომაში: იშხნის ეპარქია, კრ. ტაო-კლარჯეთი, გვ.25.

[135] შატბერდის კრებული, გვ.20.

[136] ხელნაწერთა აღწერილობა, A- I1, გვ.389.

[137] კ. კეკელიძე, ავტორები ქართულ მწერლობაში, , V, გვ.85.

[138] შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები. ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. დვალმა, თბილისი, 1966.

[139] A-35-ის მომგებელი ილარიონ იშხნელი, შესაძლოა, იყოს იგივე პირი, რომელიც, მათეოს ურჰაეცის მიხედვით, მონაწილეობდა დავით კურაპალატის წინააღმდეგ შეთქმულებაში (იხ. ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI სს-ში. გვ.198-199). ვ. სილოგავას აზრით, შეუძლებელია იშხნის ჯვრის დამკვეთი ილარიონის გაიგივება სომხური წყაროს ილარიონთან. ეს უკანასკნელი, ალბათ, სამეფო კარის ეპისკოპოსი იყო (იხ. კრ. ტაო-კლარჯეთი, გვ. 28).

[140] გ. ჩუბინაშვილი, 973 წლის ჯვარი იშხნიდან, გვ. 296-314. ჯვარი ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში.

1033 წელს იშხნელად დაუდგენიათ ილარიონ (II) იშხნელი მასურისძე[141], რომელსაც თავისი აღსაყდრების აღსანიშნავად ოშკის სკრიპტორიუმში დაუკვეთავს მდიდრულად შემკული ოთხთავი და იშხნისათვის შეუწირავს (ამჟამად მესტიის ოთხთავი M-1 კ-70). ხელნაწერი დაწერილია ასომთავრულით, ანდერძები და სასწაულების საძიებელი – ნუსხურით, შემკულია მახარებელთა მინიატურებით, ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში, რომელზედაც ვერცხლის ბურთულებით გამოსახულია ჯვარი.

მომგებლის ანდერძი გვაუწყებს, რომ ხელნაწერი „საფასით“ დაუწერია ოშკის მწიგნობარს, „გაბრიელ გიორგის ძმისწულს“[142]. ილარიონ იშხნელი დიდებით მოიხსენიებს ბაგრატ (IV) კურაპალატს (კურაპალატობა ბაგრატს 1029/1030 წელს მიენიჭა) და მის დედას დედოფალ მარიამს. ანდერძის წყევით ფორმულაში მომგებელი ასახელებს იოვანე ქართლის კათალიკოსს, რომელიც იგივე კათალიკოსია (მეტსახელად ოქროპირი 1033-1049), რომელიც პარხლის წარწერაში „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქის“ ტიტულით მოიხსენიება[143]. ანდერძის ცნობები უაღრესად საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ადასტურებს ოშკის ტაძრის და, შესაბამისად, იმიერტაოს ამ ნაწილის საქართველოს მეფისადმი დაქვემდებარებას (მხედველობაში გვაქვს მითითებულ წლებში „იბერიის თემის“ მწვავე პოლიტიკური პრობლემის არსებობა). ვ. სილოგავამ, ხელნაწერის ადგილზე გაცნობისას, ანდერძის ტექსტში იქ, სადაც „იშხნელი“ წერია, გამოავლინა „იშხ“ კომპლექსის გადაფხეკის კვალი და მის ქვემოთ „ბან“-ის კონტურები. ამ გარემოებამ მკვლევარს დააშვებინა ვარაუდი, რომ ილარიონ (II) იშხნელი ადრე ბანელი ეპისკოპოსი შეიძლებოდა ყოფილიყო[144]. ხელნაწერი დაახლ. XVI საუკუნიდან ინახება სვანეთში, რაზედაც მიუთითებს მის არშიებზე მიწერილი სვანური სულთა მოსახსენებლები და საბუთები[145].

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, იშხანში სკრიპტორიუმი მოქმედებდა XVI საუკუნის შუა ხანებამდე. XV საუკუნეში იშხნელ მთვარეპისკოპოს ჯერასიმეს დაკვეთით აქ გადაიწერა ზატიკი (H-375)[146].

XVI საუკუნის პირველ ნახევარში აბერკი ამბა-იშხნელის[147] დავალებით სვიმეონ

---

[141] პირველ და მეორე ილარიონ იშხნელებს შორის 1032 წლამდე იშხნის კათედრის მესაჭედ ჩანს ანტონი (იხ. ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები, გვ. 239). ამ ანტონ იშხნელის შესახებ ვრცლად იხ.: ვ. სილოგავა, იშხნის ეპარქია, კრ. ტაო-კლარჯეთი, გვ.29-30.

[142] სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ.41-42.

[143] ვ. სილოგავა პარხლის სამშენებლო წარწერის იოანე კათალიკოსს მელქისედეკ კათლიკოსის წინამორბედად მიიჩნევს. იხ. კრ. ტაო-კლარჯეთი, გვ.108-109. ეს მოსაზრება სპეციალურ ლიტერატურაში სარწმუნო არგუმენტებით უარყოფილია. იოანე კათალიკოსი გაიგივებულია მელქისედეკის მომდევნო იოანე კათალიკოსთან, რომელსაც იცნობს „მატიანე ქართლისაჲ“ (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 296. ამ საკითხის შესახებ იხ. გ. ოთხმეზური, „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი“ (პარხლის წარწერა), გვ. 276-277; აგრეთვე: მ. სურგულაძე, მცხეთის სახლი, გვ. 177-180).

[144] ვ. სილოგავა, იშხნის ეპარქია, გვ.38.

[145] სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ.42-46.

[146] თ. ჯოჯუა, XVI-XVIII საუკუნეების ხელნაწერი კრებულის .... გვ. 384.

[147] იშხნელი ეპისკოპოსის წინ „ამბა“ პრედიკატის დამატება (ანალოგიურია „ამბა-ალავერდელისა“) აფიქრებინებს ვ. სილოგავას, რომ, შესაძლოა, XVI ს-ში იშხნის კათედრალთან გახსნილი იყო მონასტერიც (იხ. მისი: იშხნის ეპარქის, გვ. 43).

კარგარეთელმა განაახლა 1233 წლის შესანიშნავი ეტრატის კრებული (A-85). ხელნაწერი მხოლოდ პირობით შეიძლება დავუკავშიროთ იშხანს, რამდენადაც იგი აბუსერისძეთა საგვარეულო მონასტრის (ხიხანი) კუთვნილება და იმთვითვე ხიხათა ეკლესიაში დასადებად ყოფილა შედგენილი. კრებულის შემდგენელ-რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორია XIII საუკუნის მოღვაწე, ფართო ერუდიციის სწავლული ტბელ აბუსერისძე, ძე ივანე აჭარის ერისთავთ ერისთავისა. გადამწერებად მოიხსენიებიან ვინმე ბასილი და გიორგი. კრებული იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი ჟანრობრივი განსაზღვრა ჭირს. შესაძლოა, თავიდან ჩაფიქრებული იყო როგორც საგალობელთა კრებული, მაგრამ გზადაგზა შემდგენელს იგი იმდენად მრავალგვარი მასალით შეუვსია, რომ კრებულს თავისუფლად შეეძლო შეეთავსებინა სასწავლო ფუნქციაც. ასეთად თვლიან კიდეც კრებულს აბუსერისძე ტბელის თხზულებათა ბოლო გამოცემის ავტორები: მისი „ქრონიკონი" წარმოადგენს სახელმძღვანელოს ახალი კალენდრით სარგებლობის შესახებ, ავტორს აქვს მუდმივი კონტაქტი მკითხველთან, მის მიერ დასმულ ყოველ საკითხს ახლავს სათანადო განმარტებები და არგუმენტაცია[148].

კრებულში შესული მასალა შემდეგნაირად ჯგუფდება: 1. საგალობლები. ამ თემატურ ჯგუფში შედის: დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი", იოანე პეტრიწის გალექსილი კალენდარი – იამბიკური სვინაქსარი და მისი გაგრძელება - თებერვალ-მაისის იამბიკონი, შედგენილი არსენ ბულმაისიმისძის მიერ აბუსერ აბუსერისძის თხოვნით; აქვეა არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები და ძლისპირნი, მიძღვნილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი; აგრეთვე ანდერძი, რომელშიც მოთხრობილია ანტონ მარტმყოფელის მიერ ხატის საქართველოში ჩამობრძანების ამბავი. აქვეა აგრეთვე, საბა სვინგელოზის ჰიმნოგრაფიული კანონი. ყოველივე ამას მოსდევს ვარდან აბუსერისძის (კრებულის რედაქტორის ძმის) გელათიდან გამოგზავნილი ეპისტოლე, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ სთხოვა აბუსერმა არსენ ბულმაისიმისძეს „გალობით განეშუენებინა" ხელნაწერის ტექსტი. ამათ მომდევნოდ შეტანილია იოანე შავთელის იამბიკოდ თქმული ე.წ. „ასურული კვინკლოსის" საძიებელი; შემდეგ – თავად აბუსერიძე ტბელის ორიგინალური ჰიმნოგრაფიული კანონი, მიძღვნილი სამი იოანესადმი (ნათლისმცემლის, მახარებლის და ოქროპირისადმი). საგალობელი რვა ოდისაგან შედგება (აკლია მეორე ოდა). საგალობლის ტექსტებიც არ არის სრული – ზოგს აკლია ძლისპირები (თავში) ან ღმრთისმშობლისანი (ბოლოში), რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გალობა ლიტურგიკული მიზნებით არ უნდა იყოს შექმნილი. სხვა მხრივ, საგალობელი ჰიმნოგრაფიული წესების სრული დაცვით არის შესრულებული[149]. იგი ამჟღავნებს ავტორის ღრმა საღვთისმეტყველო განათლებას, მხატვრულ ოსტატობას, მუსიკალური რიტმის გრძნობას[150]. 2. თემატურად მომდევნო ჯგუფს ხელნაწერში შეადგენს ვასილოგრაფიდან გადმოღებული მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია, რომელიც იწყება შესაქმიდან და სრულდება კომნენოსებით. 3. ორიგინალური კალენდარულ-მათემატიკური გამოკვლევა ორ ნაწილად: ერთია „სრული ქრონიკონი" ან „დიდი ქრონიკონი", მასში მოცემულია 532-წლიანი

[148] აბუსერისძე ტბელი 1998, გვ. 4.

[149] იქვე, გვ.154.

[150] ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 163.

პასქალური ციკლის ცხრილი და მასთან დაკავშირებული პასქალურ-კალენდარული საკითხები; მეორეა ე. წ. „ასურული კვინკლოსი“, რომელშიც შეტანილია აღდგომის გამოსათვლელი კომპაქტური ცხრილი და მისი განმარტებანი[151]; კალენდარში მოცემულია ქართული და ბერძნული პასქალური სისტემების შეძლებისდაგვარად დაახლოების მცდელობა, გამოვლენილია ავტორის დროს ცნობილი კალენდრის ძირითადი ცდომილებანი. 4. აგიოგრაფიულ ჟანრთან ახლო მდგომი თხზულება – წმ. გიორგის სასწაულთა თხრობები (უფრო დაწვრილებით იხ. აქვე, გვ.142-143). 5. აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, რომელშიც 1233 წლიდან დაღმავალი ხაზითაა ნაჩვენები აბუსერისძეთა ოთხი თაობის გენეალოგიური შტო[152]. 6. სულ ბოლოს, XVI საუკუნის ხელით, კრებულში ჩაურთავთ ლათინურიდან თარგმნილი იუსტინიანეს საოჯახო სამართლის ძეგლი ქორწინების ინსტიტუტის შესახებ[153], რომელთანაც აბუსერ აბუსერისძეს კავშირი არ აქვს.

კრებულში შეტანილია ორი კინკლოსური ქრონიკა, რომელთაგან პირველში 1156-1206 წლების საქართველოს ისტორიიდან ხუთი ცნობაა შესული, მეორეში – 1351-1640 წლების ფარგლებში სამცხე-საათაბაგოსა და ქართლ-იმერეთში მომხდარი ოცდათოთხმეტი მოვლენა. მათ შორის რამდენიმე გენეალოგიური ცნობა აბუსერისძეთა საგვარეულოს ეხება[154].

ქრონიკულ ჩანაწერებზე გვიანდელია (XVI ს.) ხელნაწერში შემორჩენილი ნაკლული ანდერძი. იგი ეკუთვნის ხელნაწერის განმაახლებელს, აბერკი იშხნელს: „ადიდევ ორთავე შინა ... ამბა-იშხნელი აბერკი, რომელმან დიდად იღუაწა მოგებად და ხარკებად წმიდისა ამის... წიგნისაჲ“[155]. აბერკი იშხნელის დავალებით ხელნაწერის დაზიანებული ადგილები ქაღალდით შეუვსიათ და დანარჩენ ნაწილებთან გაუმთლიანებიათ. თუ სად ინახებოდა ხელნაწერი XV-XVI საუკუნეებში, ცნობილი არ არის. არსებობს ვარაუდი, რომ XV საუკუნიდან XVI საუკუნის 40-იან წლებამდე იგი საფარაში იყო შენახული, შემდეგ გადაუტანიათ გელათში. ამას ადასტურებს ნიკოლოზ თბილელიც, რომელსაც A-85-დან გადაუწერია აბუსერიძის ტბელის „სრული ქრონიკონი“ და რამდენიმე თხზულება. იგი აცხადებს, რომ მეფე არჩილს (1663-1713) ხელნაწერი, როგორც ის უწოდებს, „ძველი ძლისპირი“, გელათიდან მოსკოვში წაუღია. 1843 წელს აქ უნახავს იგი მ. ბროსეს, რომელმაც გამოსცა აბუსერისძე ტბელის ქრონიკონი[156].

---

[151] M. Brosset, Etude de chronologie technique Memor. De l'Acad. Des sciences, VII Serie, XI, N13, 1868, p. 24-28. აბუსერისძე ტბელი 1998, გვ.179.

[152] აბუსერისძე ტბელი, 1942, გვ. 20-23.

[153] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ.გვ.143-150, 611-613.

[154] მცირე ქრონიკები, გვ.26-29.

[155] ხელნაწერთა აღწერილობა, A- I1, გვ. 295.

[156] M. Brosset, Etude de chrionologie technique, De l'Acad. de l'Acad. Des sciences, VII Serie, XI, N13, 1868, p. 24-28. Petersbourg, 1868.

ტბეთი

ტბეთის კათედრალი მდებარეობს ისტორიულ შავშეთში, მდ. იმერხევის მარჯვენა მხარეს გაშლილ ვაკეზე (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). მისი დამაარსებელია აშოტ კუხი (გარდ. 918 წ.). რომელსაც პირველ ეპისკოპოსად დაუსვამს სტეფანე მტბევარი[157]. ვახუშტის განმარტებით, „მტბევარი ეპისკოპოზი ყოფილა მ წ ყ ე მ ს ი სრულიად შ ა ვ შ ე თ ი ს ა დ ა ა რ ტ ა ნ უ ჯ ი ს ა“.[158] X საუკუნეში ტბეთის კათედრალს ორი შემოქმედი ეპისკოპოსი განაგებდა. პირველია სტეფანე მტბევარი, ავტორი „წმ. გობრონის წამებისა“, რომელშიც დოკუმენტური სიზუსტითაა მოთხრობილი არაბი სარდლის, აბულ კასიმის 914 წლის შემოსევის ამბავი და ყველის ციხის პატრონის, მიქელ-გობრონის მოწამებრივი აღსასრული[159]. ეს ის სტეფანე მტბევარია, რომელსაც ეპისტოლეს უგზავნის ამავე ეპოქის მწერალი და მთარგმნელი დაჩი ფსალმუნთა თარგმანებასთან დაკავშირებით.

X საუკუნის მეორე ნახევარში ტბეთის კათედრას ხელმძღვანელობდა შესანიშნავი ჰიმნოგრაფი იოვანე მტბევარი, რომელსაც დაუკვეთავს შატბერდში მოღვაწე მიქაელ მოდრეკილისათვის, ჰიმნოგრაფიული კრებული (S-425). იოვანე მტბევარის სახელთან დაკავშირებულია კრებულში შეტანილი 15 საგალობელი, რომლებიც პ. ინგოროყვამ მის ორიგინალურ ქმნილებებად მიიჩნია. შემდგომმა კვლევამ – საგალობლების შედარებამ საბაწმიდურ-სინურ იადგარებთან (Sin.1, Sin.64) და გიორგი მთწმინდელის თვენთან (S-4999), რომელშიც საგალობელთა ავტორები, ჩვეულებრივ, მიწერილია ხოლმე, ცხადყო, რომ იოანე მტბევარის საგალობლებიდან ოთხი მის მიერვე ბერძნულიდანაა თარგმნილი. ეს თარგმანები თავისუფალი თარგმანის ნიმუშებია, იმდენად, რომ შინაარსის სასარგებლოდ მთარგმნელს უარი უთქვამს დედნის აკროსტიქულ ფორმაზე. ამასთანავე, თავად ჩაუმატებია მეორე ოდა („მოიხილეთა“)[160]. საზოგადოდ, იოანე მტბევარის ორიგინალური შემოქმედებაც და თარგმანებიც გამოირჩევა საღვთისმეტყველო აზრის სიღრმით, სახისმეტყველებითი პასაჟების სიუხვით, პოეტური აღმაფრენით და სტილის სრულყოფით[161].

იოანე მტბევარს „მოუგია“ ე.წ. სვანური (ტბეთის) მრავალთავიც (A-19), რომელიც, გარდა ეკლესიის მამების ნათარგმნი ჰომილეტიკისა, შეიცავს შესანიშნავი ქართველი ავტორის, იოანე საბანისძის „აბოს წამების“ ტექსტსაც.

იოანე მტბევარი მომგებელია 995 წლით დათარიღებული ტბეთის (I) სახარებისა[162], რომელიც XIX საუკუნის მიწურულს არასრულად აღწერა ა. ცაგარელმა[163], შემდგომ ხელახლა

---

[157] სუმბატ დავითის ძე, გვ. 380.

[158] ვახუშტი, გვ.679.

[159] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ.145-146.

[160] ლ. ჯღამაია, იოანე მტბევარის საგალობლები, გვ.გვ.327-328, 332.

[161] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ.174.

[162] ტბეთის (I) ოთხთავი იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან მოხვდა რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ამჟამად დაცულია პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში (Российская национальная библиотека N 2102).

[163] А. Цагарели, Сведения I, с. 105.

აღწერეს ა. შანიძემ[164] და ი. იმნაიშვილმა[165]. ხელნაწერის გადამწერებად იხსენიებიან დავით ოშკელი და არქიპოსი[166], ყდით შეუმოსავს სტეფანეს. იოვანე მტბევარის ვრცელ ანდერძში, რომელიც პეტერბურგში ა. შანიძეს ამოუკითხავს, კარგად ჩანს მისი შემდგენელის საღვთისმეტყველო განათლება, მისი წუხილი იმის გამო, რომ ღმერთმა არ მოისურვა მისი მონაზვნობა ან რიგითი მღვდლობა და ტბეთის საყდრის ეპისკოპოსობა დააკისრა (შდრ. გრიგოლ ხანცთელის უარი ეპისკოპოსობაზე). ანდერძის ავტორი მოიხსენიებს გარდაცვლილ მშობლებს, არსენსა და მარიამს, დაბოლოს, აცხადებს, რომ ხელნაწერი მოიგო „სალოცველად ღმრთივგვირგვინოსანთა მეფეთა ჩუენთა: დავით კურაპალატისა და გურგენ მეფეთა მეფისა და ბაგრატ აფხაზთა მეფისა...“[167]. ხელნაწერის ერთ-ერთი ანდერძის თანახმად, იოვანე მტბევარი ეპისკოპოსი ხელნაწერის დასრულების ჟამს უკვე აწყურის ეპისკოპოსი ჩანს („უფალო.... ადიდე ი ო ვ ა ნ ე მ ა მ ა თ მ თ ა ვ ა რ ი , პ ი რ ვ ე ლ მ ტ ბ ე ვ ა რ ი და აწ შ ე ნ მ ი ე რ მ ა წ ყ უ ე რ ე ლ - ე პ ი ს კ ო პ ო ს ი...“)[168]. ტბეთის სახარების (I) შემკობა დასრულებულა შედარებით გვიან, რაზედაც მოგვითხრობს ტბეთის ერთ-ერთი მომდევნო ეპისკოპოსის, სამოელის (იგი ყოფილა ძე საფარის დეკანოზ გიგაბადიძისა), ანდერძი: „...წიგ-ნი ესე ოთხი თავი სახარებაჲ ვიპოვე აღწერილი და შემკობილი ყოვლითა განგებულებითა, ხოლო ნაკლულევან იყო ხატთა და კამარათაგან, და გულსვიდგინე დიდი ხარკებითა, გ ა მ ო ვ ი ჴ უ ე ნ ე ს ე ხ ა ტ ნ ი და კ ა მ ა რ ა ნ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი თ , ქალაქით დიდით სამეუფოჲთ და ჩაურთენ ამას წმიდასა სახარებასა...“[169] ანდერძი გვაცნობს ხელნაწერთა შემკობის მიზნით მინიატიურების კონსტანტინოპოლში შეძენის ფატს, რომელიც საკმაოდ გავრცელებულ პრაქტიკაზე უნდა მეტყველებდეს.

იოვანე მტბევარი კვლავ მოიხსენიება ერთი ათონური ხელნაწერის (Ath. 28) ანდერძში, რომელიც შაორშია გადაწერილი (იხ. აქვე, შაორი).

XII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ტბეთის ეპარქიის მესაჭე გამხდარა პავლე მტბევარი, რომელსაც კათედრალის მიღების აღსანიშნავად, მოუგია და საყდრისათვის შეუწირავს ტბეთის (II) ოთხთავი (Q-929). თავის ვრცელ ანდერძში, რომელშიც პავლე მტბევარი თავს დიმიტრი (I) მეფის გაზრდილს უწოდებს, ჰყვება გიორგი (III) მეფის მიერ ანისისათვის გადახდილი წარმატებული ბრძოლის ამბებს (სამწუხაროდ, ტექსტის ეს ნაწილი ძალზე ცუდად იკითხება), რა დროსაც გიორგიმ „... მ ც ი რ ი თ ა ე რ ი თ ა ს ძ ლ ო უ რ ი ც ხ უ ს ა მ ა ს ს ი მ რ ა ვ ლ ე ს ა ბ ა რ ბ ა რ ო ზ თ ა ს ა და მ ო კ ლ ვ ი თ და ტ ყ უ ჩ ო ბ ი თ მ ო ს წ ყ ვ დ ე ს ო ც დ ა ა თ ე ქ უ ს მ ე ტ ი ჩ (1000) კაცი; დაუტევეს საჭურჭლე: ურიცხვ კარვები, ცხენი, აბჯარი და ყ[ოვე]ლი [ს]აქონები მათი; დ ა ი პ ყ რ ე ს თ ა ვ ა დ ი ა მ ი რ ე ბ ი ; ს უ ქ მ [ა] ნ ი ს ძ ე (ანისის შადადიანი მმართველი სუქმან II) ძ ლ ი ვ წ ა რ ვ ი დ ე ს , დ ა კ ო დ ი ლ - ჩ ა მ ო გ დ ე ბ უ ლ ი...“ ანდერძში იგულისხმება 1161 წლის 4

[164] ა. შანიძე, იოანე მტბევარის ვინაობისათვის, გვ. 220-222.

[165] ი. იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი (ხელნაწერი) დამოწმებულია ვ. სილოგავას და კ. შენგელიას პუბლიკაციის მიხედვით (იხ. კრ. ტაო-კლარჯეთი, გვ.78).

[166] А. Цагарели, Сведения I, გვ. 17-22.

[167] ა. შანიძე, იოანე მტბევრის ვინაობისათვის, გვ. 220-222.

[168] А. Цагарели, Сведения I, გვ. 20.

[169] იქვე, გვ. 21.

აგვისტოს მომხდარი ბრძოლა, რომლის შესახებ ცნობები შემოუნახავთ სომხურ და არაბულ წყაროებს[170].

ანდერძში პავლე მტბევარი მოიხსენიებს საკუთარ მშობლებს (უსახელოდ), დაძმებს და დისწულებს: „სალოცველად .....ძმათა ჩემთა: გ[იორგ[ი, თ[ევდორ]ე, კ[ვრიკ]ესა, დათა ჩემთა: ცხ(ო)რ(ე)ბაჲ, გურანდუხტ და ნონაჲსი; დისწულთა ჩემთა: [ნ ი კ ო ლ ო ზ] ქ უ თ ა თ ე ლ მ (თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი ს) ა , [ი] (ო ა ნ) ე ... დ ა ა რ ს ე ნ ი ქ უ თ ა თ ე ლ მ (თ ა ვ ა რ) ე (პ ი ს კ ო პ ო ზ ი ს ა) , ი (ო ა ნ) ე ა ნ ჩ ე ლ მ (თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი ს ა) , ი (ო ა ნ) ე , ა ნ ტ ო ნ ი , ო პ ი ზ ი ს ა წ ი ნ ა მ ძ ღ უ რ ი ს ა , ა რ ს ე ნ ი , დ ი მ ი ტ რ ი ს მ ე ფ ი ს ა მ წ ი რ ვ ე ლ ი ს ა და ყ(ოველ)თა თჳსთა და ნათესავთა ჩემთათჳს, დავდევ საყდარსა ტბეთისასა.....“[171] აქვე ჩამოთვლის იმ წიგნებს: „ზატიკნი, იბაკონი და სტიქარონი“, რომლებიც შეუწირავს მათი სულების მოსახსენებლად. ამრიგად, პავლე მტბევარის ანდერძის მიხედვით, დემეტრე მეფეს ერთი სახლის წამომადგენლებისათვის ჩაუბარებია ქუთაისის, ანჩის, ტბეთის ეპარქიები და ოპიზის წინამძღვრობა. ამავე სახლიდან ჰყოლია შერჩეული მწირველიც. ამდენად, ანდერძი მკაფიოდ ახასიათებს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკას, რომელიც საეკლესიო სფეროშიც მთლიანად ერთულების ფეოდალურ პრინციპს ემყარება.

ოთხთავი ჩასმულია შესანიშნავად მოჭედილ ვერცხლის ყდაში, რომლის ჭედური წარწერა გვამცნობს, რომ იგი დაუმზადებინებია უკვე მომდევნო მღვდელთმთავარს, თამარის თანამედროვე ეპისკოპოსს, იოვანე მტბევარ-საფარელს (იხ. აქვე, წყაროსთავი).

Q-929-ის ანდერძში გვაქვს საინტერესო ცნობა ტბეთის ეპარქიის წიგნთსაცავის შესახებაც. მომგებელი ამბობს, რომ აქ ინახებოდა ძველი წიგნები, რომელთა უმრავლესობა მ რ გ ვ ლ ო ვ ა ნ ი თ ყ ო ფ ი ლ ა ნ ა წ ე რ ი და ძ ნ ე ლ ა დ ი კ ი თ ხ ე ბ ო დ ა. ამიტომ განუზრახავს მას ნუსხური სახარების შექმნა „სრული და უნაკლოჲ, კარგითა და მართლითა ზანდუკითა და კანონითა“[172].

ხელნაწერის გადამწერია იოანე ფუკარალაისძე, იგივე პირი, რომელსაც შემდგომ, ზემოხსენებულ იოვანე მტბევარ-საფარელის დაკვეთით, 1195 წელს წყაროსთავის (II) ოთხთავი გადაუნუსხავს. (იხ. წყაროსთავი).

ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, XIII საუკუნეში ტბეთში უნდა გადაეწერა ვინმე საბას დღეისათვის დაკარგული „უბისის სახარება“, რომლის ანდერძში მოიხსენიება „მამფალი“ გიორგი მტბევარი: „ქრისტე ღმერთო, მფლობელო ყოველთაო, და მადლო მახარებელთაო, აჴმარე წმიდაჲ ესე ოთხთავი მ ა მ ფ ა ლ ს ა გ ი ო რ გ ი მ ტ ბ ე ვ ა რ ს ა და მიეც შენმიერი სუფევა აქა და უმეტეს საუკუნესა“. გადამწერ საბას გიორგი მტბევარისათვის მიუძღვნია იამბიკო, რომელშიც გიორგის დავითის მწირველს უწოდებს[173].

---

[170] მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე, გვ. 269; გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 104.

[171] ხელნაწერთა აღწერილობა, Q - II, გვ.356.

[172] იქვე, გვ. 354.

[173] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, გვ. 34-36.

შაორი

შაორი მდებარეობს ჯავახეთში, ფარავნის ტბის სიახლოვეს. 1003 წელს ბაგრატ III-ის დაკვეთით შაორის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადაუწერიათ „წმინდათა ცხოვრებანი“ (Ath. 28, Цar. N53). ხელნაწერს ერთვის ბაგრატ (III) აფხაზთა და ქართველთა მეფის და კურაპალატის სახელზე შედგენილი ხუთი ანდერძ-მოსახსენებელი, რომელთა ავტორი ღმერთს შესთხოვს მეფის მეოხებას და „ყოველთა საბრჴეთგან“ დაცვას. ერთ-ერთ ასეთ ანდერძ-მოსახსენებელში მითითებულია ხელნაწერის გადაწერის ზუსტი თარიღი: „ინდიკტიონსა მეფობისა მათისასა კე, დასაბამითგანთა წელთა ხქზ, ქრონიკონსა სკგ“. სამივე თარიღი გვაძლევს 1003 წელს[174]. ეს ქრონოლოგიური მოწმობა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი ათარიღებს ხელნაწერის სხვა მინაწერს, რომელშიც აღნიშნულია საქართველოს ისტორიისათვის უცნობი ფაქტი – ბაგრატ III-ის პირველი ლაშქრობა კახეთში 1003 წელს და არა 1008 წელს, გურგენ მეფეთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ამას იუწყება „მატიანე ქართლისაჲ“[175]: „ესე წიგნი დაიწერა ქრონიკონსა სკგ, ოხრებასა კახეთისასა[176], შაორს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა“. ამრიგად, მინაწერის ეს ცნობა ადასტურებს, რომ კახეთისათვის ბრძოლა ბაგრატს 1008 წელზე გაცილებით ადრე დაუწყია. ხელნაწერის თავში (1v), თარიღიანი ანდერძის ბოლოს, მოთავსებულია ცნობა ხელნაწერის გადაწერის ადგილისა და გადამწერთა შესახებ: „დაიწერა და შეიმოსა წმიდაჲ ესე წიგნი შაორს[177], საყოფელსა ღმრთისმშობლისასა, მამასახლისობასა ზენონ დაგაჲსძისასა, ჴელითა გლახაკისა აკვილა მტბევარისაჲთა“. სხვა მინაწერებში ხელნაწერის გადამწერად დასახელებული ივანე მტბევარი ზოგჯერ ივანე მწერლად, ზოგჯერ კი ზაკუელ მტბევრად იხსენიება. ფორმა ზაკუელი, რომელიც აქ იოანეს წარმომავლობაზე მიუთითებს, მომდინარეობს სოფ. ზაკუიდან, რომელიც აგრეთვე ჯავახეთში, შაორის სიახლოვეს, მდებარეობს. ირკვევა, რომ ივანე ზაკველი მტბევარი იგივე ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარია, რომელსაც, როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლოს აწყურის ეპარქიიდან შაორის მონასტრისათვის შეუფარებია თავი. საინტერესოა, რომ ამავე ხელნაწერის გადამწერ-შემმოსველად იხსენიება ტბეთის კიდევ ერთი ეპისკოპოსი – აკვილა მტბევარი (224v), რომელსაც, ვ. სილოგავას აზრით, შეიძლება იოვანეს შემდგომ დაეკავებინა ტბეთის ეპისკოპოსის თანამდებობა.

---

[174] ვ. სილოგავა, ათონის ქართული სიძველეებიდან, გვ. 20.

[175] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 279.

[176] გეოგრაფიული სახელი „კახეთი“ ათონზე ყოფნისას დედანში ამოიკითხა ვ. სილოგავამ. უფრო ადრე ეს ანდერძი გამოქვეყნდა რ. ბლეიკის „ათონის აღწერილობაში“, მაგრამ აქ „კახეთის“ ადგილას აღნიშნულია მხოლოდ „..სასა“. იხ. ვ. სილოგავა, დასახ ნაშრომი, გვ.20-21.

[177] ვ. სილოგავა Ath. 28-ის „შაორს“ აიგივებს რაჭის შაორთან, ხოლო „ზაკუელს“ – რაჭის სოფელ ზნაკვასთან, რაც, ვფიქრობთ, არ შეესაბამება სინამდვილეს (ვ. სილოგავა. ტბეთის ეპარქია, კრებულში ტაო-კლარჯეთი, გვ.82). გეოგრაფიული პუნქტები შაორი (შაორის ციხე/შაორის წყალი) და ზაკუი/ზაკვი დადასტურებულია სამხრეთ საქართველოში ფარავნის ტბის სიახლოვეს (იხ. ვახუშტი, გვ.320, აგრეთვე, ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 349).

ოშკი

ოშკის დიდებული ტაძარი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, თორთუმის ტბის დასავლეთით. ოშკის მაშენებელთა შესახებ სარწმუნო ინფორმაცია დაცულია ტაძრისავე წარწერებში. პირველი წარწერა, რომელიც სამხრეთი მკლავის კარიბჭის ტიმპანზე იკითხება, გვაუწყებს, რომ „დიდებულნი მეფენი“, რომელთაც უშურველად გაიღეს „საფასენი წარმავალნი“ „წაროჴვალისა“ ცხოვრებისათვის, არიან ადარნასე (III) კურაპალატის (გარდ. 961 წ.) ძენი, ბაგრატ ერისთავთ-ერისთვი და დავით მაგისტროსი (შემდგომში დავით (III) კურაპალატი). მეორე წარწერას, რომლის საფუძველზე შესაძლებელია თარიღის უფრო დაზუსტება, მიაკვლია ვ. ჯობაძემ. ამ წარწერის თანახმად, ტაძრის მშენებლობა დაწყებულა 963 წლის 25 მარტს, ხარება დღეს[178]. 966 წელს გარდაცვლილა ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი. ამ მონაცემებს ავსებს ოშკის აღმოსავლეთი ფასადის ერთ-ერთი წარწერა, რომლის თანახმად, ტაძარი 10 წელი შენდებოდა. ამრიგად, დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ტაძარი შენდებოდა 963-973 წლებში[179].

აშენებიდან სულ მალე ოშკის ტაძარი იქცა ტაო-კლარჯეთის უძლიერეს სასწავლო და სამწიგნობრო კერად. ოშკთან თანამშრომლობდნენ ტაო-კლარჯეთის ყველაზე განსწავლული მოღვაწენი – ღვთისმეტყველები, ჰიმნოგრაფები და მთარგმნელ-რედაქტორები, რომელთა უმრავლესობა შატბერდში იყო აღზრდილი. ოშკის კულტურული მნიშვნელობის გაძლიერებისათვის დიდად იღვწოდნენ დავით კურაპალატი და მწიგნობრობით განთქმული ჩორდვანელთა ფეოდალური სახლი. ოშკშია გადაწერილი სამი უძვირფასესი ხელნაწერი (ოშკის ბიბლია, სამოთხე, გიორგი ალექსანდრიელის „იოანე ოქროპირის ცხოვრება“), რომელთა მნიშვნელობა განუზომელია შუა საუკუნეების ქართული მწერლობის, ენის, დამწერლობისა და, ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიისათვის. არანაკლები მნიშვნელობა აქვთ ამავე ხელნაწერებზე დართულ ანდერძებს, რომლებიც დოკუმენტურ პირველწყაროებს წარმოადგენენ ტაოს მეფის, დავით კურაპალატის, სამხედრო წვლილის შესახებ საიმპერატორო ტახტის გადარჩენის საქმეში. ამავე ანდერძებშია შემონახული გენეალოგიური ცნობები ჩორდვანელთა დიდი ფეოდალური სახლის შესახებ.

ათონზე, ჯერ კიდევ ქართველთა მონასტრის დაარსებამდე, ათანასასეს ლავრაში შეკრებილ ქართულ საძმოში დაუწყიათ ფიქრი ქართველი ბერების ცალკე გამოყოფის შესახებ. ამის შედეგი იყო ათანასეს ლავრის მახლობლად წმ. იოანე მახარებლის ეკლესიისა და სენაკების აშენება, სადაც დაიწყო ექვთიმე ათონელმა მთარგმნელობითი საქმიანობა[180]. 977 წელს აქ გადაიწერა ექვთიმეს მიერ თარგმნილი ბასილი კესარიელის „სწავლანი“ ვინმე იორდანეს მიერ, „რომელმან ფრიადი შრომაჲ თავს იდვა და მოვიდა ქართლისა ქუჱყანით საბერძნეთს, მთაწმიდას“[181]. ივირონის, ანუ ქართველთა მონასტრის

[178] ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები, გვ.159.

[179] ე. თაყაიშვილი, თხზულებანი I, გვ. 335-352.

[180] ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 45.

[181] ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გვ.გვ. 03,021. ანდერძის ტექსტისათვის იხ. აგრეთვე ხელნაწერთა აღწერილობა, H-V, გვ.181.

აშენებამდე ათონზე გასაგზავნი პირველი ხელნაწერები ოშკში სწორედ ამ მონასტრისათვის იწერებოდა. ამ საქმის სათავეში იდგნენ დავით კურაპალატი, იოვანე-თორნიკე და იოვანე-ვარაზვაჩე[182].

ხსენებულ ხელნაწერთაგან პირველია „სამოთხე", ასკეტურ-ჰომილეტიკური კრებული (Ath.9). თავდაპირველად მისი მომგებელი ყოფილა იოვანე-ვარაზვაჩე, იოვანე-თორნიკეს (ბარდა სკლიაროსთან ცნობილი ბრძოლის (979) გმირის)[183]ძმა და ექვთიმე ათონელის მამა. ხელნაწერი გადაწერილია 977 წელს სტეფანე დეკანოზის მიერ. მასვე ეკუთვნის პირველი ანდერძი, რომელშიც დიდებით მოიხსენიებს ტაოს მმართველს დავით მაგისტროსს, მაგრამ მომგებელთაგან – მხოლოდ იოვანე-ვარაზვაჩეს, რადგან, როგორც ირკვევა, იოვანე-თორნიკე ამ დროს ათანასეს ლავრაში ყოფილა ბერად შემდგარი[184]. შემდეგ, ბარდა სკლიაროსის ცნობილ ამბოხთან დაკავშირებით, დავით კურაპალატის ჯარი, იოვანე-თორნიკეს სარდლობით, აჯანყებულ („განლაღებულ") ბიზანტიელ სარდალს ამარცხებს. 979 წლის გაზაფხულზე გამარჯვებული თორნიკე, უკვე სვინგელოზის ტიტულით, ტაოში ბრუნდება. ე. მეტრეველის გამოთვლით, სწორედ ამ დროს იწერება თორნიკეს სახელით „სამოთხის" მეორე მომგებლის, იოვანე-თორნიკეს ძალზე ვრცელი, ისტორიული ცნობებით და საღვთისმეტყველო პასაჟებით უხვად გაჯერებული, ანდერძი, რომელშიც აქცენტები გაკეთებულია სამების არსზე და მარიამ ღვთისმშობლის უბიწოებაზე. მისი შემდგენელია შატბერდის სკოლის სწავლული მწიგნობარი, მიქაელ მოდრეკილის დისწული დავითი. ეს ანდერძი სტეფანეს ანდერძის წინ მოგვიანებით ჩაუკერებიათ, რამაც მკვლევართა შორის გარკვეული გაუგებრობების გაჩენას შეუწყო ხელი.

ანდერძის მადიდებელ ფორმულაში დავით ტაოელი აქ პირველად იხსენიება, როგორც „ყ ო ვ ლ ი ს ა ა ღ მ ო ს ა ვ ა ლ ი ს ა კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი", შემკული განსაკუთრებული ღვთისმოსაობით გამორჩეული მონარქის ეპითეტებით: „საღმრთოჲსა სიყუარულისა ჯაჭვთა აღჭურვილი", „მართლმადიდებლობისა თუალი" და სხვ. შემდეგი ნაწილი ანდერძისა ეხება ბარდა სკლიაროსის აჯანყების ამბავს და დავით კურაპალატის დამსახურებას მის ჩახშობაში. მხოლოდ შემდეგ მოიხსენიებს იოვანე-თორნიკე საკუთარ თავს „წმიდათა მეფეთა" (ბიზანტიის იმპერატორების) მიერ მინიჭებული სვინგელოზის პატივით და აცხადებს, რომ „სიყუარულისათუის ღმრთისა დაუტევა დიდებაჲ ქუეყანისაჲ....შეიცვალა ხატი ერისკაცობისაჲ და შეიმოსა სახე მეუდაბნოვეთაჲ". შემდეგ თორნიკე შენდობას ითხოვს თავისი ძმის, ვარაზვაჩესათვის, მისი შვილებისათვის, მშობლებისა და ბიძა-ძმისწულებისათვის[185]. იოვანე-თორნიკეს ანდერძის თავის ადგილას ჩასასმელად (ე.ი. გადამწერის ანდერძის წინ) ხელნაწერის ბოლო ნაწილი დაუშლიათ, ჯერ ჩაუკერებიათ იოვანე-თორნიკეს ანდერძის შემცველი ფურცლები, სულ ბოლოს კი მიუმატებიათ ქრონოლოგიური რიგით უფრო ადრინდელი, გადამწერ სტეფანეს ანდერძი. ამ ცვლილებამ ხელნაწერის ფიზიკურ სტრუქტურაში გამოიწვია 977 წლის ანდერძის ადგილის შეცვალა, მისი მოქცევა 979

[182] ე. მეტრეველი, ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისთვის, გვ. 17.

[183] იქვე, გვ. 7-16.

[184] იქვე, გვ. 9.

[185] ე. მეტრეველი, ჩორდვანელთადიდი სახლის ისტორიისთვის, გვ.9.

წლის ანდერძის შემდგომ. ეს გარემოება გახდა საფუძველი იმ უნდობლობისა, რომელსაც მკვლევარები (პ. პეეტერსი, ნ. აკინიანი, ნ. ადონცი) დიდი ხნის განმავლობაში იჩენდნენ „სამოთხის“ და „ოშკის ბიბლიის“ კოლოფონებში ასახული ისტორიული რეალიების მიმართ[186]. გარდატეხა ამ საკითხების გააზრებაში შეიტანა ე. მეტრეველმა, რომელმაც პირველმა შეისწავლა ეს ხელნაწერები კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული მახასიათებლებისა და პოლიტიკურ მოვლენათა ერთიან ჭრილში და დამაჯერებლად ახსნა ანდერძებში გამოვლენილი ქრონოლოგიური რიგითობის დარღვევის მიზეზები[187].

„სამოთხის“ ბოლოს, სავედრებელ მინაწერებში (374v), კვლავ იხსენიებიან ჩორდვანელთა საგვარეულოს წევრები: სვინგელოზი [იგულისხმება იოვანე-თორნიკე], იოვანე-ვარაზვაჩე, მისი შვილი მიქაელი და ძმა აბუჰარბი, რაც უჩვენებს, რომ ხელნაწერის გადაწერის დროს (977) ოშკი უკვე ჩორდვანელთა სამფლობელოა. ამ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს „იოანე ოქროპირის ცხოვრებაზე“ (Ath.3) თანდართული იოვანე ჩირაის ანდერძი, რომელშიც გადამწერი იოვანე-თორნიკეს და იოვანე-ვარაზვაჩეს უფლად მოიხსენიებს[188].

„ოშკის ბიბლია“ (Ath.1) ძველი აღთქმის კანონიკური და არაკანონიკური წიგნების ქართულად არსებული თარგმანების თავმოყრის ჩვენთვის ცნობილ პირველ მცდელობას წარმოადგენს. ხელნაწერი აკინძულია ორ წიგნად, დღეისათვის შეიცავს 954 ფურცელს. ხელნაწერს აკლია 23-49 რვეულები. ხელნაწერის მომგებელია იოვანე-თორნიკე, რომლის ვრცელი თარიღიანი ანდერძი, დაწერილი 978 წელს სტეფანეს ხელით, ჩართულია ხელნაწერის შუაში, 422v-423r გვერდებზე[189]. ეს ანდერძი, ისევე როგორც „სამოთხის“ ანდერძი, ეხება ძირითად ქრისტოლოგიურ საკითხებს, აქ განხილულია წინასწარმეტყველების, მოციქულების და წმ. მამების გამონათქვამები წმ. სამების, მარიამის ქალწულობისა და ქრისტეს სხეულის უხრწნელობის შესახებ, რითაც იგი, მართლაცდა, საღვთისმეტყველო ტრაქტატს უახლოვდება[190]. ხელნაწერების გადამწერები არიან იმდროინდელი ტაო-კლარჯეთის საუკეთესო მწიგნობრები: მიქაელი, გიორგი, სტეფანე, მიქაელ და გიორგი. გადამწერების სავედრებელ მინაწერებში იოვანე-თორნიკე პატრიკის ტიტულით იხსენიება. ამ ტიტულს ატარებდა იგი ბარდა სკლიაროსზე მოპოვებულ გამარჯვებამდე (979 წ. გაზაფხული), რის გამოც მას სვინგელოზის პატივი მიანიჭეს[191]. მაგრამ სტეფანეს მიერ გადაწერილ ნაკვეთში („მეფეთა წიგნები“) იოვანე-თორნიკე უკვე სვინგელოზადაა მოხსენიებული, რაც ნიშნავს, რომ ეს ნაკვეთი 978 წლის შემდეგ დაიწერა, როცა ხელნაწერში უკვე შეტანილი იყო იოვანე-თორნიკეს ზემოხსენებული თარიღიანი (978) ანდერძი და იგი მოგვიანებით შეუერთეს ბიბლიის დანარჩენ წიგნებს[192].

ათონზე გასაგზავნად გადაუწერია იოვანე ჩირაის ოშკში გიორგი ალექსანდრიელის

---

[186] ე. მეტრეველი, ჩორდვანელთადიდი სახლის ისტორიისთვის, გვ.გვ. 6,15.

[187] სრულად ეს საკითხები განხილულია ე. მეტრეველის მითითებულ ნაშრომში.

[188] იქვე, გვ. 22.

[189] იქვე, გვ. 17-18.

[190] იქვე, გვ.19.

[191] იქვე, გვ.19.

[192] იქვე, გვ.20.

„იოვანე ოქროპირის ცხოვრებაც“ (Ath.3). ხელნაწერის გადაწერა დაწყებულა 978 წელს და დასრულებულა 979 წელს, რაზედაც მიუთითებს სავედრებელ მინაწერებში ი ო ვ ა ნ ე - თ ო რ ნ ი კ ე ს მოხსენიება ჯერ პ ა ტ რ ი კ ა დ , ბოლოს – ს ვ ი ნ გ ე ლ ო ზ ა დ [193]. გვიანდელი მხედრული მინაწერების თანახმად, ხელნაწერი ადგილზე უნახავს ილარიონ ბერს (1r), 1915 წელს – მღვდელმონაზონ ილიას (14r).

ხელნაწერთა ამავე ჯგუფს ეკუთვნის კარინის მხარეში (ისტორიული ტაო, თორთუმის ხეობა), აქ არსებულ რომელიღაც ქართულ მონასტერში (პ. პეეტერსის და ნ. აკინიანის აზრით, იგივე ოშკი იგულისხმება) გადაწერილი ხელნაწერი, კირილე ალექსანდრიელის „განძი“ (მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი №6). ამ თხზულებას რომ კარგად იცნობდა ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობა, ჩანს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“, რომელშიც მას იმოწმებს გრიგოლ ხანცთელი მამა მაკარისთან საუბრისას[194]. ხელნაწერის შექმნაში მონაწილეობდნენ ოშკის სკრიპტორიუმის განთქმული მწიგნობრები – გადამწერი მიქაელი (ოშკის ბიბლიის ერთ-ერთი გადამწერი), ხოლო ხელნაწერის მომგებლის, იოვანე-თორნიკეს ანდერძი შეუდგენია სტეფანეს („მეფეთა წიგნების“ და „სამოთხის“ გადამწერი), ოშკური ხელნაწერების ანდერძების ავტორს, რომელსაც აქაც შეუტანია საღვთისმეტყველო მსჯელობა. მუშაობა ამ ხელნაწერზე დასრულებული ყოფილა 981 წელს. ეს ცნობები ხელნაწერის შესახებ შემორჩენილია დღეისათვის მისგან გადარჩენილ ერთადერთ ფურცელზე, რომელიც სხვა ბერძნული ხელნაწერის საცავ ფურცლად ჩაუკერებიათ[195]. „განძის“ გადაწერის თარიღი ორი ქრონოლოგიური სისტემითაა მითითებული – ქრონიკონით (981) და დასაბამითგანით (991). ამგვარი აცდენები, რომელიც გადამწერის შეცდომიდან მომდინარეობს, საკმაოდ ხშირია ხელნაწერებსა და დოკუმენტებში და ამ მიზეზით ანდერძის ავთენტურობაში ეჭვის შეტანა (პ.პეეტერსი) არ არის მართებული[196].

ზემოხსენებული ოთხივე ხელნაწერი ათონის იოანე მახარებლის მონასტრის ბიბლიოთეკისათვის ოშკიდან ათონზე იქნა გადატანილი. ამ ხელნაწერების ათონზე გაგზავნა ბიზანტიაში ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ახალი ძლიერი კერის შექმნას ისახავდა მიზნად[197]. მართლია, ათონზე საქართველოდან სხვა არა ერთი ხელნაწერიც მოხვდა, მაგრამ კონკრეტულად ეს ხელნაწერები გამოხატავენ, თუ როგორ შეესხა ხორცი ათონის დაფუძნების იდეას, რომელიც „ქართველთა ნათესავის“ მიერ ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის სრულფასოვან ათვისებას ისახავდა მიზნად. ამ მიზნის მიღწევის გრძელ და რთულ გზაზე ბერძნულ გარემოში მოხვედრილ ქართველ ბერმონაზვნობას არაერთგზის დასჭირდებოდა ბერძნულ „მართალსარწმუნოებასთან“ იდენტურობის დადასტურება, მართლმადიდებლური მრწამსის საფუძვლიანი ცოდნის დემონსტრირება. ამ საჭიროებას ასახავს ოშკური ხელნაწერების ანდერძების ვრცელი საღვთისმეტყველო პრეამბულები, რომლებიც მართლაც

[193] სრულად ეს საკითხები განხილულია ე. მეტრეველის მითითებულ ნაშრომში, გვ.22.

[194] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.313.

[195] ე. მეტრეველი, ჩორდვანელთადიდი სახლის ისტორიისთვის, გვ.გვ. 24, 32.

[196] P.Peeters, Un colophon géorgien de Thornik le Moine, p. 358-371. დამოწმებულია ე. მეტრეველის დასახელებული შრომიდან, გვ.28.

[197] ე.მეტრეველი, ჩორდვანელთადიდი სახლის ისტორიისთვის, გვ.33.

საღვთისმეტყველო ტრაქტატებს წარმოადგენენ.

ათონის ქართველთა მონასტრის დაფუძნებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ტაოკლარჯული მონასტრების ლიტერატურულ საქმიანობაზე. მათ გადაუდებელ ამოცანად იქცა ათონზე შექმნილი ახალი თარგმანებისა თუ ძველი თარგმანების ახალი რედაქციების მიღება-გამრავლება, მაგრამ ეს ისედაც ნელი პროცესი მრავალ გარემოებათა წყალობით საკმაოდ გახანგრძლივდა. როგორც ცნობილია, ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწეთა წრეში მკაფიოდ დაფიქსირდა ნეგატიური დამოკიდებულება სომხური ენიდან თარგმანისადმი[198]. ეს პრინციპი, როგორც ჩანს, ძირითადად გაიზიარეს ტაო-კლარჯეთის მონასტრებშიც, მაგრამ იგი მკაცრად არ იყო დაცული. ტაოკლარჯულ ცენტრებში კარგა ხანს ძველებურად გრძელდებოდა სალიტერატურო საქმიანობა, რომლისთვისაც სრულებით არ იყო დამახასიათებელი „სკოლური პრინციპი", რომელიმე ერთი მთარგმნელობითი მეთოდისადმი ერთგულება. ასევე, არც სომხურიდან თარგმანზე ამბობდნენ პრინციპულ უარს. მაგ., XI საუკუნის ოშკის მოღვაწე, გრიგოლ ოშკელი, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების გადმოქართულების დროს, ერთი მხრივ, თავისუფალი თარგმანის ტრადიციას აგრძლებს, მეორე მხრივ, კვლავ სომხურენოვანი დედნით სარგებლობს. ამიტომ მისი თარგმანები (S-1696, A-87) იმდენადაა დაშორებული როგორც უშუალო სომხური დედნებისაგან, ისე ბერძნული ორიგინალებისაგან, რომ მათ ნაზიანზელის ტექსტის უცნობ რედაქტირებულ ვერსიადაც კი მიიჩნევენ. რომ არა აშკარა არმენიზმები, ძნელი იქნებოდა მათი დაკავშირება სომხურ დედნებთან. მაგრამ, შესაძლოა, სათარგმნ მასალასთან სწორედ ამ თავისუფალი დამოკიდებულების გამო გრიგოლ ოშკელის თარგმანი მაღალმხატვრული ღირებულებებით გამოირჩევა[199].

ოშკის სავანიდან ცნობილია კიდევ ორი მწიგნობარი. ერთია გაბრიელ ოშკელი, რომელმაც 1033 წელს ილარიონ იშხნელის დაკვეთით ოთხთავი გადაწერა (მესტიის სახარება M-1); მეორე – ეფრემ დიდი ოშკელი, შავი მთის ქართველ მწიგნობართა წრის წარმომადგენელი, ეფრემ მცირის უფროსი თანამედროვე და მისი მასწავლებელი[200].

ხახული

ხახულის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, თორთუმისწყლის მარცხენა ნაპირზე. მისი მაშენებელია დავით (III) კურაპალატი. X-XI საუკუნეებში ხახულის მონასტერი განთქმულ სასწავლო და ლიტერატურულ კერას წარმოადგენდა. აქაური ხელნაწერები, რომლებმაც ჩვენ დრომდე მოაღწია, უცხოურ მონასტრებსა და ბიბლიოთეკებშია გატანილი. ამიტომ მათ შესახებ მხოლოდ უცხოური კოლექციების აღწერილობების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. ხახულში

---

[198] ბერძნული ლიტერატურული წყაროების სომხურენოვანი ტექსტებიდან თარგმანის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება კარგად ჩანს ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „მათეს თავის თარგმანების" (Ath.10, 268v) მინაწერში: „...„წმიდაო და სასოო ჩუენო..... მეოხ ეყავ იოანესა და ეფთვიმეს, რომელმან ესე თარგმნა ბერძულისაგან ქართულად, თჳნიერ სომხურისა".

[199] მ. რაფავა, გრიგოლ ოშკელის თარგმანები ტაო-კლარჯეთის სკოლის ლიტერატურული შემოქმედების კონტექსტში. გვ. 82-84.

[200] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერაურის ისტორია, I, გვ.გვ. 170, 253.

მოღვაწეობდა იოანე ხახულარი, დამკვეთი თებერვლის თვენისა (Цar. N35) და კირილე ალექსანდრიელის თხზულებებისა („სწავლანი“ და წმინდანთა საკითხავები)[201]. აქვე ეწოდნენ ლიტერატურულ საქმიანობას ბ ა ს ი ლ ბ ა გ რ ა ტ ი ს - ძ ე[202], დ ა ვ ი თ ტ ბ ე ლ ი, გადამწერი იოანე ოქროპირის „თარგმანებათა“ (ნ. მარი, იერ. N30). აქაურ სემინარიაში – „ლავრასა დიდსა ხახულისასა“ აღიზარდა და ბერად აღიკვეცა ყრმა გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი[203]. ხახულის სკოლის წარმომადგენელია გ რ ი გ ო ლ ხ ა ხ უ ლ ე ლ ი, რომლის სახელს ვხვდებით ოქტომბერ-ნოემბრის ათონურ თვენში[204]. ხახულის მწიგნობრებს, გარდა ათონისა, ლიტერატურული კონტაქტები ჰქონიათ შავი მთის სამონასტრო კერებთანაც. იერუსალიმის საპატრიარქოს ხელნაწერში (Jer.2) შემონახულია ცნობა, რომ „ესე ახალთარგმნილი“ მოწამეთა „ცხოვრებები“ ხახულიდან შავ მთაზე, კალიპოსის მონასტერში, მოხვედრილა[205]. ეს იგივე ხელნაწერია, რომელმაც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ შემოგვინახა. მაშასადამე, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ჩვენთვის ცნობილი ვერსია ხახულში დამზადებული ნუსხიდან მომდინარეობს.

პარხალი

პარხალი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის, პარხლის-წყლის ხეობაში, ართვინის მხარეს. მისი მაშენებელია დავით მაგისტროსი, შემდგომში დავით (III) კურაპალატი. პარხალი რომ ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი კერა იყო, კარგად ჩანს იმ რამდენიმე მაღალხარისხოვანი ხელნაწერის მონაცემებით, რომლებიც ჩვენს დრომდე შემორჩენილა. მათგან ყველაზე ადრეულია პარხლის (I) ოთხთავი (A-1453), რომელიც, 973 წელს ცნობილ შატბერდელ სწავლულსა და კალიგრაფს, იოვანე ბერას, პარხლის მონასტრის დასრულების აღსანიშნავად („...წ ი ნ ა შ ე ა ხ ა ლ ს ა ე კ ლ ე ს ი ა ს ა, ა ხ ა ლ ს ა ს ა კ უ რ თ ხ ე ვ ე ლ ს ა ზ ე დ ა დ ა ი დ ვ ა ს“) გადაუწერია შატბერდის სკრიპტორიუმში. გადამწერის ანდერძის მადიდებელ ფორმულაში ერთად იხსენიებიან ტაოსა და კლარჯეთის უპირველესი პოლიტიკური ფიგურები: ბაგრატ ქართველთა მეფე (958-994), დავით მაგისტროსი (იგივე დავით კურაპალატი, მაგისტროსია 960-იანი წწ.-დან-978)[206] და სუმბატ ერისთავთა

[201] R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothéque Patriarcale Greque a' Jérusalem, N151.

[202] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ.გვ. 658-659, 661-662.

[203] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 114.

[204] R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothéque de la Laure d' Iviron, №54.

[205] ლ. მენაბდე, კერები,I, გვ. 458.

[206] მაგისტროსის ტიტულს 945-958 წლებში ატარებდა ბაგრატისა და დავითის მამა ადარნასე III. 958 წ. ადარნასემ კურაპალატობა მიიღო, მაგრამ უცნობია, როდის მიიღო დავითმა მაგისტროსის ტიტული. დავითი ამ ტიტულის მფლობელად იხსენიება მხოლოდ 973 წ. ოშკის სააღმშენებლო წარწერაში და პარხლის ოთხთავში. ვ. სილოგავა ფიქრობს, რომ მაგისტროსის „გამოთავისუფლებული ტიტული“ კარგა ხანს არავის მიუღია, ამ ნიადაგზე უნდა წარმოქმნილიყო კონფლიქტი მამასა და შვილებს შორის (იხ. ვ. სილოგავა, რეცენზია მ. ბახტაძის სადოქტორო-სადისერტაციო ნაშრომზე „ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ.525). ეს მსჯელობა მოკლებულია დამაჯერებლობას, რადგან ავტორი ადარნასეს აკუთვნებს ტიტულის მინიჭების უფლებას, რომელიც მხოლოდ საიმპერატორო კარს ეკუთვნოდა.

ერისთავი (არტანუჯელი, გარდ. 988 წ.): „სალოცველად ... ღმრთივ-დიდებულისა ბ ა გ რ ა ტ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს ა , დ ა ვ ი თ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი ს ა , ს უ მ ბ ა ტ ე რ ი ს თ ა ვ თ ა ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა და ღმრთივ მონიჭებულთა ძეთა მათთათვს...“[207]. ამ პირთა ერთად მოხსენიება მეტყველებს ტაო-კლარჯეთის მმართველთა კონსოლიდირებულ პოლიტიკაზე ეკლესიის მიმართ მაშინ, როდესაც სამოქალაქო მმართველობას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ახორციელებდნენ. ამიტომ ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები არ ცნობენ რომელიმე ერთ სიუზერენს და მადიდებელ ფორმულებში ყველას თანაბარ პატივს მიაგებენ.

მაგრამ ხელნაწერის მომდევნო ანდერძში (შესრულებულია მეორე გადამწერის ხელით), მაინც არის გამოკვეთილი ტაოს მმართველისა და ახლადაგებული მონასტრის ქტიტორის – დ ა ვ ი თ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი ს ფიგურა. მასთან ერთად იხსენიება მონასტრის წინამძღვარი ეფთვიმე: „...სადიდებელად ღმრთივ გვრგვნოსნისა მეფეთა მეფისა, ადიდენინ ღმერთმან, ღმრთივ დამყარებულისა დ ა ვ ი თ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი ს ა , მამობასა სარწმუნოჲსა მწყემსისა და კეთილად მო[ღ]უაწისა წმიდისა მამისა ე ფ თ ი მ ე ს ა , ქრისტემან შეაწიენ ესე წმიდანი მახარებელნი მათ და ყოველსა კრებულსა პარხლისასა ჟამთა უკუნისადმდე, ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხორებასა მას საუკუნესა, ა(მე)ნ“[208]. ხელნაწერს ბოლოში ერთვის იოვანე ბერას ხელით შესრულებული ორი ბერძნული მინაწერი.

ხელნაწერის არშიებზე მოთავსებულია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შესრულებული მინაწერები, რომელებიც მოგვითხრობენ ხელნაწერის გვიანდელ თავგადასავალს – „მას ჟამთა, ოდეს საათაბაგონი წმიდისა სარწმუნოებისაგან განსრულ იყვნენ და სარკინოზნი შექმნილიყვნენ“. ასეთ ვითარებაში ვახუშტი აბაშიძეს, ვახტანგ VI-ის ასულის, ანუკა ბატონიშვილის მეუღლეს და ცნობილ სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეს[209], 1739 წელს „ეს წ მ ი ნ დ ა ს ა ხ ა რ ე ბ ა თ ა თ რ ი ს ხ ე ლ ი თ დ ი დ ი ს ს უ რ ვ ი ლ ი თ დ ა ს ა ს ო ე ბ ი ა ნ ი ს გ უ ლ ი თ დ ა ე ხ ს ნ ა“. ვახუსტის ხელნაწერი დაუბრძანებია საკუთარ მამულში, ბულბულის ციხის (ქვიშხეთის მხარე) ეკლესიაში დასვენებული ხახულის ღვთისმშობლის ხატის წინ. როგორც ჩანს, ოჯახის წევრები ხელნაწერს ყურადღებას არ აკლებდნენ და მისი ფურცლების კიდეებზე დროდადრო მემორიალურ მინაწერებს ათავსებდნენ. 1744 წელს ვახუშტი აბაშიძის დავალებით, მის უმცროს ვაჟს, ნიკოლაოზ მთავარდიაკონს, მრგვლოვანით ნაწერი დაუმუხლავი სახარების ტექსტი მუხლობრივი სათვალავით გაუმარათავს (70v, 239r, 259v). ხელნაწერის 238v-ზე ოთხსტრიქონიანი ლექსი მიუწერია ანუკა ბატონიშვილსაც:

„ფრიად ცოდვილმან ანუკამ დავწერე ესე ლექსია,
ჩემთვის შენდობას ბძ[ა]ნებდეთ, ვისც გწამსო ქრისტე მესია.

---

[207] ხელნაწერთა აღწერილობა, A-V, გვ. 2.

[208] იქვე, A-V, გვ. 2. არსებობს მოსაზრება, რომ მინაწერში მოხსენიებული მამა ეფთვიმე არის ეფთვიმე მთაწმიდელი მისი განსაკუთრებული დამსახურების გამო, მაგრამ კონტექსტი ამ მოსაზრების გაზიარების საშუალებას ნაკლებად იძლევა. მინაწერში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ხელნაწერი დასრულდა „მამობასა (ე.ი. წინამძღვრობასა) ... მწყემსისა და კეთილად მო[ღ]უაწისა წმიდისა მამისა ეფთიმესა“, იქვე მონასტრის კრებულია მოხსენიებული, რაც ნიშნავს, რომ ლაპარაკია სწორედ პარხლის მამაზე (წინამძღვარზე).

[209] ვახუშტი, გვ.გვ. 49, 515,868,870.

მცოდნენო, თავსა არ გისწრობთ, ხართ ჩემგან უკეთესია,
და დავწერე შენდობის თხოვნა, მოცემაც დან[ა]წესია“[210].

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე პარხლის მონასტერში გაბრიელ პატარაჲს შეუდგენია პარხლის მრავალთავი (A-95) და გადაუნუსხავს პარხლის (II) ოთხთავი S-4927). მრავალთავზე მუშაობისას გაბრიელ პატარაჲს, მისივე ანდერძის თანახმად, ჯერ განზრახული ჰქონია „დედათა ცხოვრებების“ თავმოყრა კრებულში, რაც, უთუოდ, გამოწვეული უნდა ყოფილიყო ამ ტიპის მასალის აუცილებლობით ტაო-კლარჯეთის დედათა მონასტრებისათვის. ორი ასეთი მონასტერი – მერე და გუნათლეს ვანი, კარგად არის ცნობილი „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“, მაგრამ რადგან მწიგნობარს გასჭირვებია დედათა ცხოვრებების მოძიება, ამიტომ ისევ მამათა „ცხოვრებებს“ დასჯერებია. გაბრიელ პატარაჲს ანდერძი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი მკაფიოდ განმარტავს ტაოკლარჯელი მწიგნობრების მიერ კრებულების შედგენის პრინციპებს – მან, როგორც ნამდვილმა რედაქტორმა, იცოდა, სად რა სახის ლიტერატურული მასალის ნაკლოვანება იგრძნობოდა და სხვა მონასტრებთან თანამშრომლობის გზით ცდილობდა მის შევსებას. ამ შემთხვევაში, გაბრიელ პატარაჲმ ვერ მოიპოვა მისთვის სასურველი ტექსტები, გარდა „შუშანიკის წამებისა“, რომელიც ეროვნული აგიოგრაფიის კიდევ ერთ ძეგლთან, „აბოს წამებასთან“ ერთად ჩაურთო კრებულში. ძირითადი მასალა თავისი კრებულისათვის, მან, როგორც ანდერძიდან ჩანს, იშხანში მოიპოვა: „ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელ პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულეო“[211]. პარხლის მრავალთავი უდიდესია სხვა ქართულ მრავალთავთა შორის. მ. ვან ესბროკი პარხლის მრავალთავს ორი კრებულის მექანიკურ გაერთიანებად მიიჩნევს. მისი აზრით, ამათგან მხოლოდ პირველი ნაწილია მრავალთავი. ხელნაწერის ნაკლულ ნაწილში ივარაუდა მკვლევარმა ხარების საკითხავების, როგორც მისი სიძველის დამადასტურებელი მასალის არსებობაც[212]. ძალზე ძველი ჩანს პარხლის მრავალთავში შეტანილი „მამათა ცხოვრების“ ტექსტების დიდი ნაწილიც. მ. ვან ესბროკმა პარხლის მრავალთავში შობისა და ნათლისღების საკითხავების ცალ-ცალკე არსებობა იმ შორეული ეპოქის ანარეკლად მიიჩნია, როდესაც დიოფიზიტურმა დოქტრინამ გაიმარჯვა[213].

ხელნაწერი განსაკუთრებული ღირებულებისაა ქართული მწერლობის ისტორიისათვის – მან შემოინახა ქართველ აგიოგრაფთა ზემოხსენებული თხზულებების ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი ვერსიები.

საინტერესო ყოფით დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას გაბრიელ პატარაჲს ხელნაწერზე მუშაობისას შესრულებული მინაწერი: „გაბრიელ ლასკაველი და გაბრიელ ხორგაჲ დიად დამიდგეს თანა, ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი. ოდეს მიმჭირდის, მათ მივჰმართი, პურაჲ მციან. იოვანე გაცუეთილმან კუტალითა ღვნოჲ მომართუა“[214].

---

[210] ხელნაწერთა აღწერილობა, A-V, გვ. 3.

[211] ხელნაწერთა აღწერილობა, A-I1, გვ. 389.

[212] ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, გვ.71.

[213] იქვე, გვ. გვ. 71, 84.

[214] ხელნაწერთა აღწერილობა, A-I1, გვ. 389.

ხელნაწერზე დართული XVII საუკუნის მინაწერი, შედგენილი ქართლის დედოფალ მარიამის სახელით, გვამცნობს, რომ ხელნაწერი მოხვედრილა ოსმალეთში (ურუმის ქვეყანაში), საიდანაც იგი გამოუსყიდიათ დედოფალ მარიამის მატერიალური დახმარებით. ამ ფაქტის აღსანიშნად ხელნაწერის 197v-ზე დედოფალს მოუთავსებია წარწერა: „წ. მოიხსენე, უფალო, მორწმუნე ჴელმწიფე, პატრონი დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ა რ ი ა მ “[215].

XVIII საუკუნეში ხელნაწერი დავითგარეჯის იოანე ნათლისმცემლის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ამ პერიოდს ეკუთვნის გარეჯელ ბერთა სავედრებელი მინაწერები.

გარეჯაშივე მხედრული ხელით შეუდგენიათ კრებულის ზანდუკი (სარჩევი), რისი საჭიროებაც ასეა განმარტებული თანდართულ მინაწერში: „ზანდუკი წიგნისა ამის მარტვილთა მეტაფრასისაჲ და დღესასწაულთა საკითხავებისაჲ. ხოლო ვინაჲთგან რიგსა ზედა თუჱთასა არა იყო აღწერილი, არამედ ვითარცად მოჰჴდომოდა, ეგრეთ აღეწერა, არა რიგსა იყო დაწერილი, არამედ წინაუკმო, ამისთჳს მეცა ესრეთ დავსწერე. ვიწყე სეკდემბრითგან ვიდრე აგვისტომდე, ესრეთ მივყევ სათუალავსა და ყოველს ადვილად მოგასწავებს და გლახაკთათჳს ლოცვასა ჰყოფდით. თუჱსა სეკდენბერსა კჳ ცხორებაჲ წმიდისა მახარებელისა. კზ...“ [216]

X საუკუნის ბოლოს ან XI საუკუნის დასაწყისში გაბრიელ პატარაჲს გადაწერილია პარხლის (II) ოთხთავიც (S-4927). აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი პირველთაგანია ნუსხურით შესრულებულ ოთხთავთა შორის: „დაესრულა სახარებაჲ ოთხი თავი ჴელითა ჩემ ცოდვილისა გ ა ბ რ ი ე ლ პ ა ტ ა რ ა ჲ ს ა ჲ თ ა“. ხელნაწერს ერთვის XVI საუკუნის მხედრულით შესრულებული სავედრებელი მინაწერი (13v), რომლის ავტორია კავკასისძეთა შთამომავალი შუენიერი. მინაწერის თანახმად, ოთხთავი გვიან საუკუნეებში კავკასიძეთა საკუთრება ყოფილა. მეორე მინაწერის (14r) მიხედვით, ხელნაწერი ოსმალთა ხელში მოხვედრილა. „ურჯულო აგარიანთა“ ხელნაწერის მძიმედ მოჭედილი ყდა „დაულეწავთ“ და დაუჭრიათ. ვინმე კამნაგარელ ზანდარს, რომელიც სამღვდელო პირი ჩანს („მე უნდო-უღირსმან...“) ხელნაწერი აღუდგენია, რაშიც მისი ბატონიც დახმარებია. იგივე ზანდარი თავის სავედრებელ ფორმულაში მოიხსენიებს თავის დედ-მამას და განსაკუთრებული მადლიერებით – თავის გამდელს, თუალმელნისას, რომელსაც, სავარაუდოდ, რაღაც წვლილი მიუძღოდა ხელნაწერის აღდგენაში.

ცნობილია, რომ კავკასიძეთა საგვარეულო ეკლესიაში ინახებოდა X-XI საუკუნეთა მიჯნის შესანიშნავი ხელნაწერიც, კლარჯული მრავალთავი (A-144), რამაც წარმოშვა ვარაუდი, რომ ისიც პარახალში უნდა გადაეწერა გაბრიელ პატარაჲს[217]. გადამწერის იდენტიფიცირება მხოლოდ გრაფიკის საფუძველზე ყოველთვის სანდო არ შეიძლება იყოს, მაგრამ ხელნაწერზე დართული გვიანდელი მინაწერები ასეთი ვარაუდის საფუძველს ნამდვილად იძლევა.

კლარჯული მრავალთავის შედგენილობა დიდი ხანია მკვლევართა ინტერესის საგანია. სხვადასხვა კუთხით მას იკვლევდნენ პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, რ. ბარამიძე, ა. შანიძე, ლ. ათანელიშვილი, მ. ესბროკი, თ. მგალობლიშვილი და სხვ. კლარჯულ მრავალთვში

---

[215] მინაწერი გადასულია, აღდგენილია თ. ჟორდანიას მიერ წითელი მელნით. Ф. Жордания, Описание, გვ. 392.

[216] ხელნაწერთა აღწერილობა, A-I[1], გვ. 391.

[217] ხელნაწერთა აღწერილობა, A-I[2], გვ 184-198.

ნათარგმნ ჰომილეტიკასთან ერთად შესულია ორიგინალური მწერლობის ნიმუშებიც: ი ო ა ნ ე ბ ო ლ ნ ე ლ ი ს რვა ქადაგება და მარტვილიის საკითხავად „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“ ამოღებული ამბავი მცხეთაში წმ. ჯვრის აღმართების შესახებ. იგივე საკითხავი შეტანილია შატბერდის კრებულშიც. იოანე ბოლნელის მოღვაწეობის ხანას და იდენტიფიკაციის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო. ზოგი მას VII საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს (მ. თარხნიშვილი, მ. ვან ესბროკი), ზოგი IX საუკუნეს მიაკუთვნებს (პ. ინგოროყვა), ზოგიც XI-XII საუკუნეთა მიჯნით ათარიღებს (კ. კეკელიძე). ეს კამათი X საუკუნის სასარგებლოდ გადაწყვიტა იოანე ბოლნელის სახელით ქვაზე ამოკვეთილმა ეპიტაფიამ, რომელიც ბოლნისის სიონის სიახლოვეს აღმოჩნდა[218]. ასეთივე აზრთა სხვადასხვაობაა იოანე ბოლნელის პიროვნული იდენტიფიკაციის შესახებ. კ. კეკელიძე მას აიგივებს იოანე ხახულელთან[219], თუმცა, ივ. ლოლაშვილი ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობისათვის“ დართულ კომენტარებში ამგვარ გაიგივებას არ ეთანხმება[220]. კლარჯული მრავალთავისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში იოანე ბოლნელის ქადაგებათა გაანალიზების შედეგად გამოვლინდა რვაკვირიანი მარხვის სისტემა, რამაც შესაძლებელი გახადა აღნიშნული სისტემის შემოღება განსაზღვრულიყო X საუკუნის პირველი ნახევრით[221]. კრებულის ნათარგმნი ტექსტები ძირითადად ბერძნულიდან მომდინარეობს, მათი თარგმანისა და შემდგომი გადამუშავების ქრონოლოგიური დიაპაზონი V-X საუკუნეებში თავსდება. უძველესი ფენის შესატყვისი ბევრი ბერძნული ორიგინალი დღეისათვის დაკარგულია და, ამდენად, ქართულ თარგმანს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ეს ფენა ინახავს უძველესი იერუსალიმური (იუდაურ-ქრისტიანული) ლიტურგიკული პრაქტიკის ელემენტებს. ამასთანავე, კრებულის ლიტურგიკულ საკითხავთა შორის შემჩნეულია არქაული – ანტიოქიურ-იერუსალიმური ტრადიციის კვალიც[222].

კლარჯულ მრავალთავს ერთვის სხვადასხვა დროს შესრულებული მრავალრიცხოვანი მინაწერი. აქ წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე, რომლებშიც დასახელებული არიან XV-XVI საუკუნეების სამცხე-საათაბაგოს გავლენიანი და ერთმანეთთან ნათესაური კავშირით შეკრული საგვარეულოების წარმომადგენლები: კავკასისძეები, ბოცოსძეები და დიასამიძეები:

1. XV ს. ...ვიყვენით ჩუენ კავკასიძისა სახლსა შინა – პატრონი იმირინდო, მისი მეუღლე ნე[სტა]რჯან. მოვიდა რისხვა ღმრთისა დიდი საქართველოზედ და წაიკიდნეს მეფე და ათაბაგი, შეიბნეს. მოიწია სამცხეზე რისხვა დიდი და გაუმარჯვდა მეფესა. მოიწია რისხვა ღმრთისა ჩემზედა – მუნ აღესრულა ქმარი იგი ჩემი კგ (23) წლისა და მე ვიყავ ით (19) წლის. არ მედგა ვაჟი, ხოლო სამნი ქალნი. სიყუარულით მისით... და ქრისტეს ღვთისა ჩემისათ დაუტევე სოფელი და მონაზონ ვიქმენ...“ (174v).

სავარაუდოდ, მინაწერში იგულისხმება 1447 წლის გიორგი VIII-ის გალაშქრება საათაბაგოში და აღბუღა ჯაყელისათვის მისივე ძმის, ყვარყვარეს, მიერ მითვისებული ტახტის

---

[218] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ.გვ. 337-338, 341.

[219] კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 182.

[220] ივ. ლოლაშვილი, კომენტარი წიგნში: ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გვ.369.

[221] კლარჯული მრავალთავი, გვ.199.

[222] ამ საკითხების შესახებ ვრცლად: კლარჯული მრავალთავი, გვ.199-201.

დაბრუნება[223].

2. XV-XVI სს. ვიყავ მე, ბოცოსძისა ასული, ამა სახლშიგან, და იყო ქმარი ჩემი ვანე, და ვშვენით ძენი: გიორგი, შ[უე]ნიერი, ბოცო, უხუცესი ქ[ა]ლ[ი] (166 v).

მინაწერში მოხსენიებული არიან ბოცოსძენი (ფოცხოვის ხეობაში მცხოვრები ჯაყელთა განშტოება). მათი ასული გათხოვილი ყოფილა კავკასიძეთა ოჯახში, რასაც ადასტურებს კავკასიძეთა საგვარეულო სახელები – გიორგი და შუენიერი. ამათ მოსდევს ჯაყელ-ბოცოსძეთა საგვარეულო სახელი ბოცო.

3. XVII ს. ქ. ღმერთო და უბიწოთა ორმოცთა მადლო, აღრდგომაო ქრისტესაო, შეიწყალე ორსავე ცხორებასა კავკასიძე გულბადა, მეუღლე მისი გურგულისშვილის საბურის ასული ბატონი ასათპადრა; ცოდვანი და ბრალნი მათნი შეუნ[დ]ნესა ღმერთმანა! და უდღეგრძელენა შვილნი ივანე და და დულბეგ და ელენე...“(175-176 r).

4. XVII ს. ქ. ღმერთო და ყოველნო წმიდანო და შობა-ნათლისღებაო, ხარებაო, აღდგომაო, ამაღლებაო, ფერისცვალებაო, სულისა წმიდისა მოსვლაო, უფლისა ჩუენისა იესოსა ქრისტესაო, შეიწყალენ ორსავე ში[ნა] ცხორებასა დიასამისაძისა ასული ანა და ძენი მათნი: ივანე, გედეონ, გულბად; ადღეგრძელენ, მოწყალეო ღმერთო, და მე, ასული მისი შუენიერი, შემიწყალე...უფალო, ღმერთო ჩემო, შემიწყალე მწარედ ცოდვილი მწერელი შუენიერი და ჩემი ღონე მამა მიცხოვნე; ქ(რისტე)ე! საე(?) შეიწყალე კავ<ა>კას<ა>ისძე გიორგი“ (52 r).

მინაწერის თანახმად, გიორგი კავკასისძის მეუღლე ყოფილა დიასამიძეთა ქალი ანა. მათი ერთ-ერთი ასული შუენიერი დამწერია მინაწერისა.

ბანა

ბანის კათედრალი მდებარეობს ოლთისის ხეობაში, მისი შენაკადის, ბანასწყლის ნაპირის ოდნავ დამრეც ფერდობზე[224]. ბანის ტაძრის ხუროთმოძღვრული ფორმების ანალიზმა აჩვენა, რომ თავდაპირველი ტაძარი VII საუკუნეში აუშენებიათ[225]. მომდევნო საუკუნეებში, როგორც ჩანს, ბანას ტაძარი ვერ გადაურჩა ნგრევას. მეორედ იგი აუშენებია ადარნასე (II) ქართველთა მეფეს (899-923)[226] და საეპისკოპოსო კათედრად უქცევია. ბანელი ეპისკოპოსი, ვახუშტის მიხედვით, იყო „მწყემსი ფანასკეტისა და სრულიად ტაოსი, ოლთისისა და ნარუმაკისა“.[227] ბანაში ჰქონდათ ამიერტაოს ბაგრატიონებს რეზიდენცია, აქვე, ბანას კათედრალში ტარდებოდა „ქართველთა“ მეფეების კურთხევა[228]. არაფერია ცნობილი ადრეულ შუა საუკუნეებში ბანას კათედრალთან სამწერლობო კერის არსებობის შესახებ, მაგრამ ტაო-კლარჯეთში მწიგნობრული კულტურის საერთო აღმავლობის პერიოდში მისი გამორიცხვაც ძნელია. ასეთი დაშვების საფუძველს გვაძლევს ბანელ ეპისკოპოს ზაქარიას (ზოგან იგი

[223] ვახუშტი, გვ.474.

[224] ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები, გვ.97.

[225] რ. მეფისაშვილი, დ. თუმანიშვილი, ბანას ტაძარი, .გვ. 63,116,178.

[226] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 261, სუმბატ დავითის ძე, გვ. 379.

[227] ვახუშტი, გვ. 683.

[228] მატიანე ქართლისაჲ, გვ.295.

ბანელ-ვალაშკერტელად იწოდება) დამოკიდებულება მწიგნობრობისადმი – ბასილი კეისართან გიორგი I-ის შუამავალი და შემდეგ გიორგის მიერ ექსორია-ქმნილი ეპისკოპოსი კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს (1028-1031) იქაურ ქართულ მონასტრებში უკვეთავს და შემდეგ საქართველოში აგზავნის ბრწყინვალე ხელნაწერებს (A-1, A-92, A-96, A-648, S-143, Q-34)[229]. ზაქარია ბანელს მიეწერება ბერძნულ ენაზე დაწერილი ერთი ლექსიც[230].

ბანადან შემორჩენილია მხოლოდ ერთი გვიანდელი ხელნაწერი - 1511 წელს გადაწერილი საბაწმიდის ტიპიკონი (A-647), გადაწერილი გიორგი VIII-ის და დედოფალ თამარის ასულის, ქეთაონ-ყოფილი ქრისტინეს დაკვეთით[231].

[229] ხელნაწერთა ამავე ჯგუფს ეკუთვნის Ath.20.

[230] თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები, გვ.455-468.

[231] ქ. შარაშიძე, საქართელოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), გვ. 211.

ტაოკლარჯული ხელნაწერი წიგნი

ხელნაწერის მინიატურა

ტაოკლარჯული წიგნის მხატვრობა ამ რეგიონის ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად, მკაფიო ინდივიდუალურობითა და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობით გამორჩეულ მოვლენას წარმოადგენს. შემორჩენილი მოხატული ხელნაწერების დიდი ნაწილი ქართული მინიატურის განვითარების ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობისაა – მათ გარეშე შეუძლებელია არათუ შუა საუკუნეების ქართული წიგნის მხატვრობის, არამედ, ზოგადად, შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების შესწავლა.

ტაოკლარჯული მოხატული ხელნაწერების ქრონოლოგია IX-XII საუკუნეების პერიოდს მოიცავს, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა – IX-X, XI და XII საუკუნეები. ხელნაწერთა ნაწილი ფიგურატიული გამოსახულებებით არის შემკული: ადიშის (897 წ.), ბერთის (I), ჯრუჭის (I) და წყაროსთავის (I) X საუკუნის ოთხთავები, მიქაელ მოდრეკილის იადგარი (978-988 წლები), მესტიის (1033 წელი), წყაროსთავის (II, 1195 წელი), ბერთის (II, XII საუკუნე), ტბეთის (II, XII საუკუნე) და ანჩის (XII საუკუნე) ოთხთავები, ხოლო ნაწილი კი დეკორატიულად არის გაფორმებული: კორიდეთის (IX საუკუნე), პარხლის (I, 973 წელი) ოთხთავები, კლარჯული მრავალთავი (X საუკუნე), პარხლის მრავალთავი (XI საუკუნე), შატბერდის კრებული (973-976 წლები), იოანე ოქროპირი, მათეს სახარების თარგმანება (XI საუკუნე), სვინაქსარები - A 97 და A 193 (ორივე XI საუკუნე) და სხვა ნიმუშები[1].

ტაოკლარჯული ხელნაწერების შემკულობისადმი სამეცნიერო ინტერესი ქართველი და უცხოელი მკვლევრების მიერ XIX საუკუნეში ჩნდება. თავდაპირველად მათ შესახებ ცნობებს ა. ხახანაშვილთან[2], დ. ბაქრაძესა[3] და ნ. კონდაკოვთან[4], ე. თაყაიშვილთან[5], დ. გორდეევთან[6] და თ. ჟორდანიასთან[7], პ. უვაროვასთან[8], მ. ბროსესთან[9] და ნ. მართან[10] ვხვდებით, რომლებიც ხელნაწერების აღწერენ და მათ მხატვრულ გაფორმებასაც ეხებიან. ტაოკლარჯული მინიატურის IX-XI საუკუნეების ნიმუშები ფუნდამენტურად პირველად რ. შმერლინგმა შეისწავლა[11],

---

[1] ტაოკლარჯული ხელნაწერების დეკორატიული შემკულობის განხილვა მოცემულ გამოკვლევაში წარმოდგენილი არ არის.

[2] А. Хаханов, О Сванетских рукопосных евангелях и надписях, с. 9-13.

[3] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოში, გვ. 232-236.

[4] Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, с.с. 43-47, 153-154

[5] Е. Такайшвили, Адышское Евангелие переписано в Шатбердском монастире, 200 фототип. табл. ипредисловие, Материалы по Археологии Кавказа, Вып. XIV, Москва, 1916; Е. Такайшвили, Пархальское четвероевангелие, с. 139-151; Е. Такайшвили, Тбетское евангелие XII века, с.151-162.

[6] Д. Гордеев, Миниатюры древне-грузинских лицевых рукописей Сионского древнехранилища в Тбилиси, с. 85-89.

[7] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, გვ. 89.

[8] П. Уварова, Поездка в Пшавию, Хевсурию и Сванетию, с. 149-150.

[9] M. Brosset, Rapports sur un Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie; Rapp. XII, p. 83-85.

[10] Н. Марр, Заметки по текстам св. писания в древних переводах армян и грузин, Христианский восток т. II, с. 172-174.

[11] რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბილისი 1940; Р. Шмерлинг Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. I, Тбилиси, 1967, Р. Шмерлинг, Художестенное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетии, кн. II, Тбилиси, 1979.

რომლის ნაშრომებში თითოეული ხელნაწერი ქართული მინიატურის ისტორიის ქარგის ნაწილად არის განხილული. მკვლევარის მიერ წარმოჩენილია ტაოკლარჯული მინიატურის როლი ქართული წიგნის მხატვრობის ისტორიაში და ხაზგასმულია მისი ძირითადი სტილურ-იკონოგრაფიული მახასიათებლები ქრისტიანული აღმოსავლეთის და კონსტანტინოპოლური მხატვრული ტრადიციების კონტექსტში. მომდევნო კვლევები ამ სფეროში რ. შმერლინგის მიერ მონიშნულ ორიენტირებს ემყარება. შ. ამირანაშვილის ნაშრომებში ტაოკლარჯული ხელნაწერების მოხატულობათა ნიმუშები (ადიშის, ბერთის (I), ჯრუჭის (I), მესტიის სახარებები) ზოგადი სტილურ-იკონოგრაფიული მახასიათებლების მითითებითაა მიმოხილული[12]. IX-X საუკუნეების ტაოკლარჯულ ნიმუშებს განიხილავს ე. მაჭავარიანი სხვადასხვა ნაშრომში და უმთავრესად შუა საუკუნეების კოდექსების გაფორმების სტრუქტურას, ხელნაწერების დამკვეთებსა და გადამწერებს შორის ურთიერთობების საკითხებს ეხება[13]. ტაოკლარჯულ მინიატურას (ადიშის, ბერთის (I) ჯრუჭის (I), წყაროსთავის (I) და მესტიის ოთხთავები) განიხილავს ასევე, გ. ალიბეგაშვილი ქართული მინიატურისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, რომლებშიც მკვლევარი ხელნაწერების მხატვრობის ინდივიდუალობასთან ერთად, ქრისტიანული აღმოსავლეთის და კონსტანტინოპოლურ მხატვრულ ტრადიციასთან კავშირებს წარმოაჩენს[14]. ტაო კლარჯული ხელნაწერების დეკორის მიმართების საკითხებს ქრისტიანული აღმოსავლეთის (უპირატესად ანტიოქიურ) ტრადიციასთან კავშირში მიმოიხილავს ნ. ქავთარია[15]. ბერთის (I) სახარების მინიატურებს განიხილავენ რ. ბლეიკი და ს. ნერსესიანი,[16] ხოლო მესტიისა და ბერთის (II) სახარებათა მინიატურებს ბიზანტიური მხატვრული ტრადიციის კონტექსტში განიხილავს ა. სამინსკი[17]. ტაოკლარჯული მინიატურის ცალკეული ნიმუშების წარმომავლობასა და კონკრეტული სტილურ-იკონოგ-

---

[12] Ш. Амиранашвили, Грузинская миниатюра, Москва, Искусство, с. 15-17; შ. ამირანაშვილი, ბერთის ოთხთავის მინიატურებისა და მხატვრული მორთულობის დათარიღებისათვის, გვ. 87-89.

[13] ე. მაჭავარიანი, IX-XI საუკუნეების მოხატული ქართული ხელნაწერები (ტაო-კლარჯეთის მხატვრული სკოლა), გვ.117-120; მისივე: ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორატიული სისტემის განვითარება (IX-XIV სს), გვ. 50-62; მისივე: ქართული მოხატული წიგნის პირველი ნიმუშები, გვ. 186-192; მისივე: სამი ქართული ოთხთავის და სურათების პრინციპები, გვ. 85-98; მისივე: ქრისტეს მიერ სნეულთა განკურნების კომპოზიციები ქართულ მოხატულ სახარებებში, გაზეთი "მამული", თბილისი 1996; მისივე: ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V-XIII სს.), გვ. 236-260.

[14] Г. Алибегашвили, Миниатюрная и станковая живопись Грузии XI – начала XIII вв (истоки и пути развития), II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1977; მისივე: Византия, христианский восток и формирование художественных традиций в миниатюрной живописи Грузии и Армении, II Международный симпозиум по армянскому искусству, с. 1-10; მისივე: Этапы развития средневековой грузинской миниатюрной живописи, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983, მისივე: Византия, Христианский Восток и некоторые особенности местных художественных традиций в миниатюрной живописи средневековой Грузии, Византиноведческие этюды, с. 152-159; G. Alibegashvili, La miniature géorgienne XI-XIIIs, p. 265-272.

[15] ნ. ქავთარია, ტაო-კლარჯეთიდან ანტიოქიამდე, ქართული ხელნაწერი წიგნის გაფორმების მხატვრული ტრადიციები XI საუკუნეში, გვ. 43-45; მისივე: ტაო-კლარჯეთის წიგნის მხატვრობა IX-XI საუკუნეებში და აღმოსავლეთ ქრისტიანული მხატვრული ტრადიცია, გვ. 137-138; მისივე: კამარათა მხატვრული გაფორმება ტაო-კლარჯეთში დასურათებულ ქართულ ხელნაწერთა დეკორში, გვ. 119-120.

[16] The Gospels of Bert'Ay: An Old-Georgian Ms. Of the Tenth Century, R. P. Blake; Sirarpie Der Nersessian, p. 226-285; Sirarpie der Nersessian, The Gospels of Bert'ay: An Old Georgian MS. of the Tenth Century, p. 199-226.

[17] A. Saminsky, The miniatures and origin of Berta Gospel, გვ. 241-247; მისივე: A History of Illumination of the first Gospel from Tbeti, p. 40-42; მისივე: Местийское Евангелие. Лик Грузии на фоне Византии, Древнерусское искусство, с. 147-178.

რაფიული საკითხებისადმი ყურადღებას ამახვილებენ ე. ამირანაშვილი[18], ნ. ჭიჭინაძე[19], დ. გოგაშვილი[20] და ლ. ოსეფაშვილი[21]. ტაოკლარჯული მინიატურის ნიმუშებს, როგორც ბიზანტიური ფერწერის ნაწილს, მიმოიხილავს თავის ნაშრომში ვ. ლაზარევი[22].

ამრიგად, ტაოკლარჯული მინიატურა სამეცნიერო ლიტერატურაში უმთავრესად თანადროული ქართული, ბიზანტიური და ქრისტიანული აღმოსავლეთის წიგნის მხატვრობასთან მიმართებით განიხილება. წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული მოხატული ხელნაწერების შესახებ არსებული სამეცნიერო ცოდნის თავმოყრას და, ამასთანავე, მათ განხილვას ზოგადად, თანადროული ქართული სახვითი ხელოვნების კონტექსტში. ამ საკითხებზე მსჯელობის გაფართოება, ვფიქრობთ, ახალი ასპექტების გამოვლენისა და სამომავლო კვლევების მონიშვნის შესაძლებლობასაც წარმოქმნის.

IX-X საუკუნეების ტაოკლარჯული მოხატული ხელნაწერები ადიშის, ბერთის (I), ჯრუჭის (I), წყაროსთავის (I) სახარებები და მიქაელ მოდრეკილის იადგარი ქართული მინიატურის ყველაზე ადრეული ნიმუშებია. სწორედ მათ მაგალითზეა შესაძლებელი არა მხოლოდ ადრეული ხანის ტაო-კლარჯეთში მიმდინარე კულტურული პროცესების, არამედ, ზოგადად, ქართულ მინიატურის თავისებურებებზე მსჯელობა.

ადიშის ოთხთავი (M-478 (კ-82)[23] ჩვენამდე მოღწეული მინიატურებით შემკული პირველი დათარიღებული ხელნაწერია (897 წ.). სახარების მხატვრობა მოიცავს მთლიან გვერდზე წარმოდგენილ შემდეგ გამოსახულებებს: კვადრიფოლიუმი (1v), წმ. მარკოზ მახარებელი (2r), წმ. ლუკა და წმ. იოანე მახარებლები, (2v), კანონები (3r, 3v, 4r, 4v, 5v), კიბორიუმი (5 v).

ბერთის ოთხთავი (ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა Ms. Georgian 1) [24]. ხელნაწერი

---

[18] ე. ამირანაშვილი, განკურნების სიუჟეტების მხატვრული ინტერპრეტაცია I ჯრუჭის ოთხთავში H-1660 (940 წ.), გვ. 380-387.

[19] ნ. ჭიჭინაძე, ჯრუჭი I ოთხთავის ღვთისმშობელი ოდიგიტრიის გამოსახულების რაობისათვის, გვ. 174.

[20] დ. გოგაშვილი, ცაიშის ოთხთავზე დართული უცნობი მინიატურები (კონსერვაცია, იდენტიფიკაცია), გვ. 87-105; დ. გოგაშვილი, ნ. ქავთარია, ტაო-კლარჯეთის მხატვრული სკოლის თავისებურებები ცაიშის ოთხთავზე დართულ მინიატურებში, გვ. 134-135.

[21] ლ. ოსეფაშვილი, ღმრთისმშობელი ყრმითურთ – თავფურცლის კომპოზიცია ჯრუჭი I ოთხთავიდან, ხელოვნება, №4-5-6, 1997; ლ. ოსეფაშვილი, მესტიის ოთხთავის არქიტექტურული ფრონტისპისი, გვ. 28-34.

[22] В. Лазарев, История византийской живописи, с. 84-85.

[23] А. Хаханов, О Сванетскихь рукопосных евангелях и надписях, с. 1-9; К. Кекелидзе, Адишское евангелие, გვ. 392-397; Е. Такайшвили, Адышское Евангелие переписано в Шатбердском монастире, 200 фототип. табл. и предисловие, Материалы по археологии Кавказа, Вып. XIV, ტაბ. 1-5; R. P. Blake. The Old Georgian Version of the Gospel of Mark from the Adysh Gospel with the Variants of the Opiza and Tbet Gospels. Patrologia orientalis, XX 1929; ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, გვ. 46-49; რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, გვ. 39- 40; Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. II, с. 16-33; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 198–99; მისივე Грузинская миниатюра, с. 13–15, ტაბ. 1–6; ადიშის ოთხთავი 897 წლისა. თბილისი 2003; ლ. ფანცხავა, ნ. ლორთქიფანიძე, მ. პატარიძე, რ. ქოჩქიანი, ნ. კიტოვანი, დ. გოგაშვილი, მ. ხიზანიშვილი, სვანეთის მუზეუმი, გვ. 150-157; საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები, კატალოგი, გ. გაგნიძე, შ. გლოველი, დ. გოგაშვილი, მ. კარანაძე, თ. ოთხმეზური, ნ. ჩხიკვაძე, გვ. 279.

[24] ხელნაწერის ფოტოპირები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ფოტოპირების კოლექციაში. R. Blake and S. Der Nersessian. The Gospels of Berat'y: an Old-Georgian manuscripts of the Tehnth Century, p. 226-285; ი. აბულაძე, პალეოგრაფიული ალბომი, გვ. 297, ტაბ. 17; Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. II, с. 84-89; ხელნაწერის მხატვრობის შესახებ მკვლევრების მიერ წარმოდგენილია ორი მოსაზრება: ნაწილი მას X საუკუნის ნიმუშად მიიჩნევს: R. Blake and S. Der Nersessian. The Gospels of Berat'y: an Old-Georgian manuscripts of the Tehnth Century. Byzantion. p. 226-285; Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. II, с. 84-89;

შემკულია ფეხზე მდგომი წყვილ-წყვილად წარმოდგენილი მახარებლების გამოსახულებებითა (წმ. მათე და წმ. მარკოზი 1v, წმ. ლუკა და წმ იოანე - 2 r) და კანონებით (3r, 3v, 4r, 4v, 5r, 5v).

ჯრუჭი I ოთხთავი (H-1660)[25]. ხელნაწერი, ანდერძის მიხედვით, 936 წელს გადაუწერიათ, ხოლო 940 წელს მხატვრობით შეუმკიათ. ანდერძშივე იხსენიება მომხატველი ან როგორც იგი თავისთავს უწოდებს, „კამარათა მწერალი" თევდორე (1v). ხელნაწერის მოხატულობას ქმნის თავფურცელზე გამოსახული კვადრიფოლიუმი (1v), კამარები (2r-5r); ოთხი მახარებლის ფიგურა – წმ. მათე მახარებელი (6v), წმ. მარკოზ მახარებელი (92v), წმ. ლუკა მახარებელი (144r), წმ. იოანე მახარებელი (299r); მაცხოვრის მიერ აღსრულებული სამი სასწაულის სცენა: ბრმის განკურნება (93r), ეშმაკეულის განკურნება (143v), განრღვეულის განკურნება სარეცელზე (228v); ღმრთისმშობლის გამოსახულება ყრმითურთ (7r). ყოველი გამოსახულება ფურცლის მთლიან არეს იკავებს.

მიქაელ მოდრეკილის იადგარი (S-425)[26]. ხელნაწერში ფურცლის ზედა ნაწილში, გვერდით აშიაზე (60r), ბასილი კესარიელის და იოანე მტბევარის ფრონტალური გამოსახულებებია წარმოდგენილი (10X6,2). მთელი ხელნაწერის ტექსტი უხვად არის შემკული თავსართ-ბოლოსართებითა და საზედაო ასოებით.

წყაროსთავის (I) სახარება (A-98)[27] შემკულია კანონებით და ოთხივე მახარებლის გამოსახულებით. მინიატურები, ადიშისა და ჯრუჭის სახარებების მსგავსად, მთლიან გვერდზეა წარმოდგენილი. ხელნაწერი „იხსნება" წმ. მათე და წმ. მარკოზ მახარებლების წყვილადი გამოსახულებით (3 v), რომელთაც წმ. ლუკა და წმ. იოანე მახარებლების (4 r) ფიგურები მოსდევს. ხელნაწერი ასევე, გაფორმებულია კანონთა გამოსახულებებით (5r-8v), რომლებშიც ფრინველთა ფიგურებია ჩართული. აქვეა შარავანდიანი მამაკაცის (იკონოგრაფიული ნიშნებით დღესდღეობით ფიგურის გამოსახულება იდენტიფიცირებული არ არის) ფიგურა წარწერით: „ქრისტე, შეიწყალე თეოდორე" (3 r).

* * *

IX-X საუკუნეების ტაოკლარჯული კოდექსები მონუმენტური ხასიათით გამოირჩევა, რის შთაბეჭდილებასაც ტექსტის ფურცელზე განაწილების პრინციპი – სტრიქონებს შორის არსებული დაშორება, ფართო არშიები, ასომთავრულ ასონიშანთა ზოგადი ხასიათი ქმნის[28]. ამ დროის ყველა ხელნაწერის – ადიშის, ბერთის (I), წყაროსთავის (I) სახარებების მხატვრული

ნაწილი კი მისი შესრულების თარიღად IX საუკუნეს ასახელებს: Ш. Амиранашвили, Грузинская миниатюра, с. 15; შ. ამირანაშვილი, ბერთის ოთხთავის მინიატურებისა და მხატვრული მორთულობის დათარიღებისათვის, გვ. 87-89; ნ. კუპრაშვილი, ბერთის სახარება, გვ. 195-212.

[25] Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Описъ памятников древности в некоторих храмах и монастырях Грузии. с. 153; ხელნაწერთა აღწერილობა, H-IV, გვ. 81-82; ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 17-32; რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, გვ. 41-43; Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий, кн. II, с. 33-56; ნ. ციციშვილი, ჯრუჭი I მინიატურების ზოგიერთი თავისებურების შესახებ, გვ. 46; ნ. ჭიჭინაძე, ჯრუჭი I ოთხთავის ღვთისმშობელი ოდიგიტრიის გამოსახულების რაობისათვის, გვ. 174.

[26] ხელნაწერთა აღწერილობა, S-I, გვ. 544-567.

[27] ხელნაწერთა აღწერილობა, A-I1, გვ. 448-449; Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий, кн. II, с. 92-100.

[28] მხატვრულად გაფორმებულ ადრეულ ხელნაწერებში ტექსტის განაწილების საკითხთან დაკავშირებით იხ. რ. შმერლინგის და ე. მაჭავარიანის დასახელებული ნაშრომები.

გაფორმება ლაკონურია (კვადრიფოლიუმი, მახარებლები, კანონები და კიბორიუმი), რაც გამოსახულებათა შერჩევისას მხოლოდ არსებითისადმი ინტერესში ვლინდება. ამ ხელნაწერებში გამოსახულებები მთელ გვერდს იკავებს, დამახასიათებელი ნიშანია ერთ რვეულად შეკრული მინიატურების მოთავსება სახარების დასაწყიში[29]. ეს პრინციპი გარკვეულად მხოლოდ ჯრუჭის მხატვრობაშია სახეცვლილი, რომელშიც დასაწყისი გვერდების განშლაზე გამოსახული მახარებლების ფიგურებთან ერთად ნარატიულ ელემენტებად მოჩანს ქრისტეს სასწაულის სცენები. მახარებლებთან ერთად ამ სცენების ჩართვა ტექსტის წინ და არა ცალკე, ტექსტის ილუსტრაციად მოთავსება, მათ ერთგვარი აქცენტების ფუნქციას ანიჭებს[30]. ლაკონურობის თვალსაზრისით, IX-X საუკუნეების ხელნაწერების გაფორმების სისტემა წინარე ხანისა და თანადროული ქართული სკულპტურული დეკორის და კედლის მხატვრობის განაწილების იმავე პრინციპს იზიარებს, რომელიც გულისხმობდა ტაძრების ინტერიერებსა და ფასადებზე მთავარი ქრისტიანული სიმბოლო-ხატების საგანგებო აქცენტირებას. ეს ნათლად ჩანს ბოლნისის სიონის (V საუკუნე)[31], აკაურთას (V-VI სს-ის მიჯნა)[32], აკვანებას (VI ს.)[33] სკულპტურულ დეკორებში; წრომის მოზაიკაში (VII ს-ს შუა ხანები)[34]; ქსნის არმაზის (864 წ.)[35], თელოვანის ჯვარპატიოსნის (IX ს.)[36], დოდორქის[37], ნეზგუნის მაცხოვრის ეკლესიისა (IX-X სს)[38] და პარხლის ტაძრის მოხატულობის (973 წლის ახლოს)[39] და სხვათა მაგალითებზე.

IX-X საუკუნეების ტაოკლარჯული ხელნაწერების მინიატურები ეპოქის მხატვრული მრავალფეროვნების ერთგვარი ანარეკლია. ტაოკლარჯული მინიატურის ნიმუშებში ელინისტურმა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ტრადიციამ განსხვავებული ხარისხით და ფორმით იჩინა თავი და თითოეული ნიმუშის ინდივიდუალური იერსახე განსაზღვრა. ამ ნიმუშების მხატვრობაში ელინისტური რემინისცენციები ზოგან დეკორატიულ ელემენტებში ჩანს – ესენია კომპოზიციების თაღედებში მოცემული ნიჟარისებრი კამარები, კორინთული ორდერი, თაღედის მამკობი აკანთის ფოთლები, სვეტების მარმარილოს იმიტაცია და სხვა. თუმცა, ყველა სახარების (ადიშის, ჯრუჭის, ბერთის და წყაროსთავის) მხატვრობა მახარებელთა ფეხზე მდგომი, ორატორის პოზაში

[29] XI საუკუნემდე ბერძნული, ქართული და სომხური ხელნაწერებისთვის დამახასიათებელია მინიატურების ცალკე რვეულად გამოყოფა და ტექსტის წინ ჩართვა, Р. Шмерлинг, Художестенное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий, кн. II, с. 21.

[30] Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. II, с. 44; ე. მაჭავარიანი, ქრისტეს მიერ სნეულთა განკურნების კომპოზიციები ქართულ მოხატულ სახარებებში, გვ. 293-296ე. ამირანაშვილი, განკურნების სიუჟეტების მხატვრული ინტერპრეტაცია I ჯრუჭის ოთხთავში H-1660 (940 წ.), გვ. 380-387.

[31] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I, გვ. 32-50.

[32] ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, გვ. 27-46.

[33] იქვე, გვ. 27-46.

[34] Г. Чубинашвили Цроми. Из истории грузинской архитектуры первой трети VII века, с. 22-24; ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ფერწერის ისტორიიდან, ქართული სახვითი ხელოვნების საკითხები, გვ. 47-49; Z. Skhirtladze, 'A propos du decor absidal de C'romi', p. 163–83; Тинатин вирсаладзе, Избранные труды. Грузинская средневековая монументальная живопись, Цромская мозаика, с. 262-311.

[35] Г. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII-IX века в Ксанскам ущелыи, с. 1-30.

[36] ზ. სხირტლაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი, თბილისი, 2008.

[37] Т. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, ტაბ. 48-49.

[38] იქვე, ტაბ. 63-66; მ. ყენია, ზემო სვანეთი, შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა, გვ. 13-15.

[39] ტაო-კლარჯეთის, ისევე, როგორც დანარჩენი რეგიონების ქართულ ტაძართა მხოლოდ საკურთხევლის მონაკვეთი იმკობოდა. სრული მოხატულობის ციკლი მხოლოდ XI საუკუნის დამდეგიდან ჩნდება, თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან, გვ. 15.

წარმოდგენილი ფიგურებით ელინისტური ალექსანდრიის შთაგონებით ბიზანტიაში გავრცელებულ იკონოგრაფიას მისდევს[40]. ამავდროულად, ადიშის მხატვრობაში ვხვდებით მჯდომარე წმ. მარკოზის გამოსახულებასაც, რომელიც ბიზანტიურ მხატვრობაში ფეხზე მდგომი მახარებლის პარალელურად მკვიდრდება[41]. მახარებელთა ამ ორი იკონოგრაფიული ტიპის ერთ ხელნაწერში თანაარსებობა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში შერეულ ტიპად არის ცნობილი[42], ჯერ კიდევ რაბულას სახარებასა და როსანოს კოდექსშია დადასტურებული (ორივე VI ს.). ამ თვალსაზრისითაც ადიშის მახარებლების იკონოგრაფია არქაულ ტრადიციას ეხმიანება. ადრექრისტიანული იკონოგრაფიის გამოძახილად მოჩანს წმ. იოანე მახარებლის ახალგაზრდა, უწვერულ ყმაწვილად გამოსახვა ადიშისა და ბერთის[43] ოთხთავებში. ჯრუჭის სახარებისეულ სცენებში კი უწვერული მაცხოვრის სახე კიდევ უფრო ადრეულ ტრადიციას უკავშირდება, რომელიც ჯერ კიდევ კატაკომბების მხატვრობიდან იღებს სათავეს.

ელინისტური ხელოვნებისადმი ინტერესმა ტაოკლარჯული წიგნის მხატვრობასთან ერთად იმავე ტაო-კლარჯეთსა და საქართველოს სხვა რეგიონების შექმნილი სახვითი ხელოვნების ნიმუშების სტილურ და იკონოგრაფიულ თავისებურებებშიც იჩინა თავი. იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ამ მხრივ საგულისხმოა კედლის მხატვრობის ნიმუშები: მზისა და მთვარის პერსონიფიკაციები დოდორქის (IX ს.)[44], საბერეების N7 ეკლესიების (X ს.) მხატვრობა[45], სიონის (წმ. სოფიას) გამოსახულება ოთხთა ეკლესიის მხატვრობაში (XI ს. 1032 წ-მდე), რომლის საფუძვლადაც ქალაქისა და ქვეყნის პერსონიფიკაციების ანტიკური გამოსახულებები მიიჩნევა[46]. სტილურ გადაწყვეტაში ელინიზმის ნიშნები მოჩანს მცხეთის ჯვრის (VI-VII სს)[47], მარტვილის (VII ს.)[48], ოშკისა (X ს.)[49] და იშხნის (XI ს.)[50] რელიეფებში და საბერეების N7 ეკლესიის მხატვრობაში[51], დოდორქის[52], ფარის სვიფის ჯგრაგის ეკლესიის თავდაპირველ მოხატულობაში (X საუკუნე)[53], ლაღა-

---

[40] მახარებელთა გამოსახულებები სათავეს წარმართული პროტოტიპებიდან იღებენ და მათი პირველწყარო ჯერ კიდევ პაპირუსების გრაგნილებია, სადაც ფორმისა და ადგილის მიხედვით ტექსტში ფეხზე მდგომარე ფიგურას ათავსებდნენ. შემდეგ, როდესაც გრანილი კოდექსმა ჩაანაცვლა, ფეხზე მდგომი ფიგურა უკვე კოდექსის სტურქტურაშიც გაჩნდა. Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. I, с. 136; A. Friend, The portraits of evangelists, p. 5; დ. აინალოვის მიხედვით, ფეხზე მდგომი მახარებლის ტიპი სირიულ ნიმუშებს მიემართება, Д. Аиналов, Византийские памятники Афона, с. 58, ტაბ. VI, VII.

[41] Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. I, с. 135-136

[42] იქვე, გვ. 135.

[43] S. Der Nersessian, The Gospels of Bert'ay, Byzantion, Vol. XVI, Sasc, 1. p. 262-263.

[44] Т. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, ტაბ 48.

[45] იქვე, ტაბ. 38-39.

[46] ნ. ალექსიძე, ოთხთა ეკლესიის მოხატულობის თეოლოგიური საფუძვლები, გვ. 103-123; ვ. ჯობაძე, შენიშვნები ოთხთა ეკლესიაში სიონის ალეგორიული გამოსახულების სიუხვის რქების შესახებ, გვ. 69-78; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან, გვ. 17-47.

[47] თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, tab. 28-37.

[48] იქვე, ტაბ. 51-58.

[49] იქვე, ტაბ. 373-393; ნ. ალადაშვილი, ქართული სკულპტურის ბიზანტიურთან მიმართების საკითხი (ოშკის ტაძრის „ვედრების" რელიეფი - X ს.), გვ. 63-67; მისივე: ოშკის ტაძრის ვედრების რელიეფი და მისი მიმართება ბიზანტიურ სკულპტურასთან, გვ. 34-35.

[50] თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, ტაბ. 474.

[51] Т. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, ტაბ. 34-40.

[52] იქვე. ტაბ. 48-49.

[53] მ. ყენია, ზემო სვანეთი, შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა, გვ. 33-35.

მის მაცხოვრის პირველი ფენის მხატვრობაში (XI საუკუნის დასაწყისი),[54] იშხნის საწინამძღვრო ჯვარში (973 წელი),[55] ბედიის ბარძიმსა (999 წელი)[56] და ხელოვნების სხვა ნიმუშებში. საქართველოს მასშტაბით გვიანანტიკური ხელოვნების ნიშნების გამოვლენის ინტენსივობა ელინისტური ტრადიციის მიღებისა და გარდაქმნის შემოქმედებით პროცესებზე მეტყველებს, ხოლო ამ ნიმუშებს შორის არსებული დროითი სხვაობა ტრადიციის ხანგრძლივობაზე მიანიშნებს.

ტაოკლარჯულ მინიატურებში ელინიზმისადმი სწრაფვა, სტილური თვალსაზრისით, ყველაზე მძაფრად ადიშის მხატვრობაში იგრძნობა, რაც მკვეთრი ვარდისფრის, ყვითლის, მწვანისა და ლურჯის შეხამებით, რბილად ნაწერი სახეებისა და ხელების, თვალისთვის თითქოს შეუმჩნეველი წვრილი მოძრავი ხაზებით სამოსის დრაპირების "ნატურალისტურად" ჩვენებისა და ნიადაგზე ტალღისებრი მონასმებით სივრცისა და პერსპექტივის მონიშვნის მცდელობით მიიღწევა. თუმცა, უწონო, მოცულობის არმქონე ფიგურები გადიდებული თავებით მთელ არეს ავსებენ და არსებითად პირობით გამოსახულებებად რჩებიან.

ელინისტურ ტრადიციას უფრო ნაკლებად ეხმიანება ბერთის სახარების მხატვრობა[57], რომლის დეკორატიულ ელემენტებში, კამარათა მამკობ ფრინველების და მცენარეთა გამოსახულებებში ელინისტური ხელოვნებისადმი მიმართება აშკარავდება. ხოლო მუქი მსხვილი ხაზი, რომელიც სხეულს შემოწერს და დრაპირებას ანაწევრებს, მუქი ვარდისფრის, მწვანის, ლურჯის კონტრასტული შეპირისპირება, მახარებელთა დიდი, ხაზგასმით წარმოჩენილი თვალებით ამეტყველებული სახეები ექსპრესიულ ხასიათს იძენს და ამ მხატვრობის თანაზიარობას ქრისტიანული აღმოსავლეთის მხატვრულ ტენდენციებთან მეტად წარმოაჩენს.

უფრო ძლიერი ჩანს ქრისტიანულ აღმოსავლეთთან კავშირი ჯრუჭის (I) სახარების მოხატულობაში, რასაც მხატვრობის ზოგადი ხასიათი და განსაკუთრებით კი სახის ტიპი –დამძიმებული ქვედა ოვალი და დიდი, მომრგვალებული თვალები განაპირობებენ. ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა ზოგან დაუფერავ ან ლოკალური ფენით დაფარულ ეტრატის ფონზე წარმოჩენილი გამოსახულებების ხაზობრიობა[58].

აღმოსავლეთ საქრისტიანოს ხელოვნებასთან კავშირი ყველაზე მძაფრად მიქაელ მოდრეკილის იადგარში ჩართულ წმ. ბასილი კესარიელისა და წმ. იოანე მტბევარის მინიატურის სტილურ გადაწყვეტაში თვალსაჩინოვდება. ნალისებურ თაღედში ჩახატული წმინდანების ფრონტალურ ფიგურებს ერთიანად შემოწერს მსხვილი შავი კონტური. მეწამულის, ლურჯის, მკვეთრი წითლის შეპირისპირებით შექმნილი გამოსახულება ექსპრესიულია და, მიუხედავად მკაფიოდ მონიშნული დრაპირებისა, მაინც სიბრტყობრივია. აქვე საგულისხმო ნიშანია ნალისებური, წყვილადი თაღედი, რომელიც მრავლად გვხდება წინარე ხანასა თუ თანადროულ ხუროთმოძღვრულ სამკაულზე, ქვაზე კვეთილობასა და ჭედურობაში.

---

[54] იქვე, გვ. 37-39.

[55] Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство: исследование по истории грузинского средневекового искусства, Т. 2, Иллюстрации, ტაბ. 57-58.

[56] Г. Чубинашвили, იქვე, ტაბ. 85-97.

[57] მიუხედავად იმისა, რომ ორიგინალ ხელნაწერზე მუშაობა ვერ მოხერხდა, მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია სამუშაო პროცესში გამოყენებულმა ჰარვარდის ბიბლიოთეკის ელექტრონულმა მასალამ (https://iiif.lib.harvard.edu/manifests/view/drs:52506531$4i)

[58] ჯრუჭის (I) სახარების სტილურ მახასიათებლებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია მისი დაცულობის მდგომარეობის გათვალისწინება. შესაძლოა, თავდაპირველად ზოგიერთი ადგილი ნამდვილად დაუფერავი იყო, მაგრამ დაკვირვებისას გარკვეულ ადგილებში ფერის კვალიც შეინიშნება.

ქრისტიანული აღმოსავლეთის მხატვრულ ტრადიციას გვახსენებს კიდევ ერთი ხელნაწერის, წყაროსთავის (I) სახარების მოხატულობა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ხალხური ნაკადის ნიმუშად მიიჩნევა[59]. ეტრატის ფერთან შეპირისპირებული წითელი, მწვანე, ლურჯი ფერი და ხაზი, რომელიც ხაზგასმული სიმარტივით მოხაზავს ფორმას, სხეულის თხელი პარალელური ხაზებით "მოდელირება", პირობითი სხეულები გადიდებული თავებით, აქცენტირებული მეტყველი თვალებითა და სახის სახასიათო გამომეტყველებით, მხატვრობის ნაივურ და ექსპრესიულ ხასიათს ქმნის[60]. ამ ნიშნებით წყაროსთავის მხატვრობა ქართული სახვითი ხელოვნების შემდეგ ნიმუშებს ემსგავსება: აკურა (IX საუკუნე)[61], ნეზგუნის მაცხოვრის ეკლესია (X საუკუნის დასაწყისი)[62], საბერეების N8 ეკლესიის მოხატულობა (IX საუკუნე)[63], ბზის წმ. გიორგის რელიეფები (X საუკუნე)[64]. კიდევ უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს სინაზე დაცულ ხელნაწერში (Sin. 66, 83 V) წმ. პეტრესა და წმ. პავლეს გამოსახულებებთან[65]. საგულისხმოა, რომ წყაროსთავის სახარების მხატვრობა X-XI საუკუნეების სომხური მინიატურის ხალხურად სახელდებული ნაკადის ნიმუშებთანაც ამჟღავნებს სიახლოვეს[66]. ამგვარი მსგავსებები საგულისხმო მინიშნებებს იძლევა რეგიონში მიმდინარე კულტურული პროცესების შესახებ და ფუნდამენტურ კვლევასაც მოითხოვს.

IX-X საუკუნეების ხელნაწერების მხატვრობის სტილური მრავალფეროვნება და ხელნაწერის შემკულობის სისტემა XI საუკუნეში განსხვავებულმა ტენდენციამ შეცვალა –თუ IX-X საუკუნეების მინიატურაში ელინისტური და ქრისტიანული აღმოსავლეთის ტრადიციასთან მჭიდრო კავშირი ჩანდა, აქ უკვე კონსტანტინოპოლური ტენდენცია დომინირებს. ე.წ. დედაქალაქური ხელოვნება, როგორც მკაფიოდ გამოკვეთილი ორიენტირი, თავს იჩენს ხელნაწერის მხატვრული გაფორმების პრინციპსა და სტილურ- იკონოგრაფიულ გადაწყვეტაში.

IX-X საუკუნეების სახარებების შემკობის სისტემა, რომელშიც მოხატულობანი უმთავრესად ტექსტის დასაწყისში იყრიდა თავს (კვადრიფოლიუმი, კანონები, მახარებლები და, რიგ შემთხვევაში, კიბორიუმი), XI საუკუნეში სახარების გაფორმების კონსტანტინოპოლში ჩამოყალიბებულმა სისტემამ შეცვალა[67], რომელშიც კოდექსის დასაწყისში მხოლოდ ჯვრისა და კანონების გამოსახულებებია დატოვებული, ხოლო მახარებლების გამოსახულებები განთავსებულია

[59] Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, с. 92-100; А. Вольская, Ранние росписи Гареджи, с. 8 და სხვა.

[60] განსაკუთრებით საგულისხმოა წყაროსთავის სახარებაში წითელი შარავანდით მოსილი წმ. იოანე მახარებელი, რომლის პარალელიც ამ ეტაპზე, ქართულ მინიატურაში არ იძებნება. საფიქრალია, რომ ეს თავად წმ. იოანე მახარებლის და მისი სახარების გამორჩეულ ბუნებასა და ქრისტიანულ სახითმეტყველებაში წითელი ფერის განსაკუთრებულ სიმბოლიკას უკავშირდებოდეს. წითელი ფერის სიმბოლიზმის შესახებ იხილეთ: ა. ოქროპირიძე, წითელი ფერის სიმბოლური გაგების ზოგიერთი ასპექტი შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში, გვ. 29-31.

[61] Т. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, ტაბ. 20-23.

[62] იქვე, ტაბ. 63-66, მ. ყენია, ზემო სვანეთი, შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა, გვ. 13-15.

[63] Т. Шевякова, Монумунтальная живопись раннего средневековья Грузии, ტაბ. 42-48.

[64] Р. Шмерлинг, Архитектурные памятники района древней селений Адзикви и Бза, с. 105-130, თ. ხუნდაძე, ბზის წმ. გიორგის რელიეფები, გვ. 122-132; თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, ტაბ. 282-285.

[65] Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, с. 152-162.

[66] იხ. Л. Дурново, Очерки изабразительного искусство средневековой Армении Москва 1979; Т. Измайлова, Армянская миниатюра XI века, Москва 1979.

[67] იხ. Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. I, с. 182.

ყოველი სახარების ტექსტის წინ. მხატვრული შემკობის სისტემასთან ერთად სახე იცვალა გამოსახულებათა იკონოგრაფიამაც, რომელშიც კვადრიფოლიუმის ნაცვლად პოსტამენტზე აღმართული ჯვარი გამოისახებოდა და მახარებელთა ფეხზე მდგომ და ე.წ. შერეულ ტიპს მჯდომარე, უკვე ანტურაჟში მოქცეული, პიუპიტრთან მსხდომი მახარებელთა ფიგურები შეენაცვლა. ისინი წერის, წერისთვის მოსამზადებელ ან ფიქრის პოზაში გამოისახებოდნენ[68].

კონსტანტინოპოლური მხატვრული ტენდენციისადმი მისწრაფება, რომელიც XI საუკუნეში უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებულ ორიენტირადაა ქცეული, პოლიტიკურ მიზეზებთან ერთად, ღვთისმსახურების იერუსალიმური წესის კონსტანტინოპოლურით ჩანაცვლებას[69] და კონსტანტინოპოლსა და ათონზე ქართული სამონასტრო კერების დაარსებას უკავშირდება[70]. ქართული საერო და სასულიერო არისტოკრატიის ელინური კულტურისა და ბიზანტიის იმპერიისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას არაერთი ქართული ხელნაწერი ადასტურებს: მაგალითად, 995 წლის ტბეთი (I) ოთხთავის შესამკობად XI საუკუნეში სამუელ ეპისკოპოსის დაკვეთით კონსტანტინოპოლში შესრულებული მინიატურები,[71] ზაქარია ბანელ-ვალაშკერტელისთვის ზაქარია მამადმთავრის მიერ დაკვეთილი სვინაქსარი (A-648)[72], გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული (A-1), სჯულის კანონი (A-96 და S-143), ათონზე გადაწერილ-შემკული გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებული (A-92), 1054 წელს შავ მთაზე, კალიპოსის ონასტერში შექმნილი ალავერდის სახარება (A-484) და ამავე პერიოდის ოთხთავები (S-962 და K-76).

ამ ეპოქის ტაოკლარჯულ მინიატურაზე მსჯელობა სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მესტიის ოთხთავის სახელწოდებით ცნობილი ხელნაწერის მიხედვით არის შესაძლებელი[73].

მესტიის სახარება (M-1(კ-70). [74] ხელნაწერის დასურათება იწყება მუქი წითელი ფერით „აღლვარებულ“ ფონზე აღმართული აყვავებული წნული ჯვრის გამოსახულებით (2 v), რომელსაც თანმიმდევრულად მოსდევს კამარებიანი კანონები (3 r, 3 v, 4 r, 4 v, 5 r, 5 v, 6 r, 6v) და თითოეული სახარების დასაწყისში ჩართული, მთელ გვერდზე წარმოდგენილი მახარებლების გამოსახულებანი: მათე (7ვ), მარკოზი (89 v), ლუკა (140v), დასასრულს კი იოანესა და პროხორეს კომპოზიციაა (231 v) წარმოდგენილი. მინიატურათა თანმიმდევრობა XI საუკუნეში ჩამოყალი-

---

[68] Р. Шмерлинг, Художестенное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетии, кн. I, с. 134-147; ნ. ქავთარია, მახარებელთა გამოსახულებები კალიპოსურ ოთხთავებში, გვ.119; იხ. A. M. Friend, The Portraits of the Evangelists in Greek and Latin Manuscripts, p. 5.

[69] კ. კეკელიძის აზრით, სწორედ ამან განსაზღვრა მომდევნო დროის კულტურული ორიენტირი, К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века (Грузинская версия), с. 229, 298-299; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 18-21.

[70] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 73-101.

[71] დაცულია სანკტ-პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში №2102, რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, გვ. 48; A. Saminsky, A History of Illumination of the first Gospel from Tbeti, p. 40-42.

[72] Г. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI-начала XIII веков, с. 12-74; გ. ალიბეგაშვილის ვარაუდით სვინაქსარი შესაძლოა ათონზე იყოს გადაწერილი, იქვე, გვ. 74

[73] მესტიის ოთხთავისადმი მიძღვნილ წერილში ა. სამინსკი სტილური მახასიათებლების მიხედვით სახარების მხატვრობას XII საუკუნის ნიმუშად მიიჩნევს, ix. А. Саминский Местийское Евангелие. Лик Грузии на фоне Византии, с. 147-178; თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ საკითხს უფრო საფუძვლიანი კვლევა სჭირდება, რომელშიც მესტიის მინიატურების მხატვრული მახასიათებლები ბიზანტიურ მასალასთან ერთად, XI-XII საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების (მინიატურა, მონუმენტური ფერწერა, რელიეფი და ჭედურობა) კონტექსტში განიხილება.

[74] А. Хаханов, О Сванетскихь рукопосных евангелях и надписях, გვ. 9-13, Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. II, с. 133-139; ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, გვ. 41-46, 159-205.

ბებულ სისტემას მისდევს.

სახარების მხატვრობა მახარებელთა იკონოგრაფიული მახასიათებლებით ზემოხსენებულ ბიზანტიურ ტრადიციას ეხმიანება. ამასთან, საყურადღებოა სახარების დასაწყისში ჩართული პიედესტალზე აღმართული აყვავებული, წნული ჯვრის იკონოგრაფია, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული სინური ხელნაწერების მორთულობაში (Sin. 16, 7, 245r, Sin. 47, 72 v და სხვა). პიედესტალზე აღმართული და აყვავებული წნული ჯვრის სხვადასხვა ვარიაციას ხშირად ვხდებით ასევე, ტაოკლარჯული ხუროთმოძღვრების საფასადო სამკაულსა[75] და ზოგადად, ქართულ ხელნაწერებში[76].

მესტიის სახარების მხატვრობა სხვაობს წინარე ხანის ტაოკლარჯული მინიატურის ნიმუშებისგან, რომლებშიც ხაზს დომინანტური მნიშვნელობა აქვს, კომპოზიციები სიბრტყობრივია, პირობითი ფიგურები, აქცენტირებული თვალებით, ქრისტიანული აღმოსავლეთის მხატვრულ ტრადიციას მისდევს. მესტიის ოთხთავის მინიატურები, რიგი სტილური მახასიათებლებით, ფიგურათა პროპორციების ელინისტური გადაწყვეტით, ხაზის პლასტიკური ხასიათით, რამდენიმეშრიანი წერის ფერწერული მანერით, ოქროს უხვად გამოყენებით და გარკვეულწილად კოლორიტით, კონსტანტინოპოლურ ტენდენციებთან უფრო ავლენს თანაზიარობას. თუმცა, აქვე თვალსაჩინოვდება ბიზანტიური მასალისაგან სხვაობაც, რადგან ამ დროის ბერძნული მინიატურის ნიმუშები, დატვირთული და დეტალიზებული კომპოზიციებით, მკვეთრი ფერებით (წითელი, ლურჯი, მეწამული), ოქროს დომინირებული როლით, ძლიერი ფერწერული ხასიათით, შუქ-ჩრდილებით და ჩამჯდარი, პატარა, ერთ წერტილზე კონცენტრირებული თვალებით, ფიგურების შინაგანი ექსპრესიით აღსავსე გამომეტყველებით, არსებითად სხვა განწყობის შემქმნელია. მესტიის სახარების მინიატურების კომპოზიციებიც და ფიგურებიც, მოცულობითობის და პერსპექტივის გადმოცემის მცდელობის მიუხედავად, კვლავ სიბრტყობრივი რჩება. ფერწერულობის გამოვლენის მიუხედავად, ისევ მნიშვნელოვანია, როგორც ფორმების დამამუშავებელი ხაზი, ისე კონტური, რომელიც ერთგვარად კრავს ფორმას და არ არღვევს მთლიანობის განცდას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რაც ასე განარჩევს მესტიის სახარების მხატვრობას ზემოთ განხილული ქართული ნიმუშებისა და ბერძნული მასალისაგან, მახარებელთა სახის ტიპია კონტურით მოხაზული დიდი ნუშისებრი თვალებით, გრძელი, სქელი წარბებით და თხელი ბაგეებით. ამ ძირითადი მახასიათებლებით მესტიის სახარების მხატვრული გაფორმება XI საუკუნის არაერთ ნიმუშს მიედრება. ასეთებია, მაგალითად, ოთხთავები: H-1240 და H-2806, ზარზმის ღვთისმშობლის ხატი[77], საფარის[78], ზედაზნის[79], ხოვლეს კანკელები[80], ალავერდის და

[75] ი. გივიაშვილი, ი. კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი, გვ. 136-137, W. Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klardjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992.

[76] იხ. Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX – XI столетий, кн. I, გვ. 130-132; Е. Мачавариани, Художественная интерпретация Креста на выходных листах средневековых грузинских и армянских рукописей (XI-XIII) вв., с. 260-266; საყურადღებო ჩანს ორი ტრადიციის შერწყმა 1048 წლის ოთხთავში (H 1741), სადაც ხელნაწერის დასაწყისში ჩართულია კვადროფიულიუმში ჩაწერილი პიედასტალზე აღმართული დეკორატიულად გადაწყვეტილი ჯვარი.

[77] თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, ტაბ. 15-16.

[78] თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, გვ. 552-555.

[79] იქვე, გვ. 547-548.

[80] იქვე, 549-550.

მესტიის ჯვრების და სვინაქსარის (A-648) მინიატურების გარკვეული ნაწილი[81], ოშკის და იშხნის[82], ატენის სიონის[83] მოხატულობები. მესტიის ოთხთავის კომპოზიციებში თავს იჩენს დეკორატიულობისადმი სწრაფვა, რაც მახარებელთა სამოსის დრაპირებასა და ფიგურების უკან თითქოს ფილიგრანული ტექნიკით შესრულებულ, ყვავილებით გაფორმებულ თაღედსა და დეტალებისადმი ყურადღებაში ვლინდება. ეს ელემენტი უფრო თვალსაჩინო ხდება უკვე მომდევნო ასწლეულის მინიატურასა და კედლის მხატვრობაში.

XII საუკუნის ტაოკლარჯული ნიმუშები უმთავრესად აგრძელებს წინარე ხანის მხატვრულ ტრადიციას, რაც იკონოგრაფიაში და, ნაწილობრივ, სახარების გაფორმების სისტემაში ჩანს. ამის შესახებ მსჯელობა რეგიონთან დაკავშირებული სამი ნიმუშის: ანჩის, წყაროსთავისა (II) და ბერთის (II) სახარებების მიხედვითაა შესაძლებელი[84]. აქ კვლავ ვხვდებით თითოეული სახარების წინ მახარებლის გამოსახულებას წერის ან წერისთვის მოსამზადებელ პოზებში. ასევე, ანჩის ოთხთავის კანონებშიც, თუმცა, წყაროსთავსა და ბერთის სახარებებში არც კანონები და არც ჯვარი აღარაა წარმოდგენილი და ამ ნიშნით ეს ორი ნიმუში თანადროულ ხელნაწერებს უკავშირდება (H-1706 და H-1707). ლაკონური გადაწყვეტით ისინი განსხვავდებიან თანადროული ეპოქის ვრცელი, სახარებისეული ციკლით დასურათებული გელათისა და ჯრუჭის (II) ოთხთავებისგან.

წყაროსთავის (II) ოთხთავი (Q-907)[85]. წყაროსთავის ოთხთავში მინიატურები თითოეული სახარების დასაწყისს უძღვის: წმ. მათე მახარებელი (6 v), წმ. მარკოზ მახარებელი (72 v), წმ. ლუკა მახარებელი (115v), წმ. იოანე მახარებელი წმ. პროხორესთან ერთად (182 v).

ბერთის (II) სახარება (Q-906)[86]. სახარებაში ჩართულ მინიატურებში მახარებელთა გამოსახულებები მთელ გვერდზეა წარმოდგენილი: წმ. მათე მახარებელი (1 v), წმ. მარკოზ მახარებელი (97 v), წმ. ლუკა მახარებელი (160 v), წმ. იოანე მახარებელი (265 v).

ანჩის სახარება (სეა,1446 №323)[87]. ხელნაწერში შემორჩენილია მხოლოდ მათე მახარებ-

---

[81] G. Alibegashvili, L'art de la miniature géorgienne des XI-debut XIII s, Atti del Primo Simposio internationale sull arte géorgienne, p. 267.

[82] N. et M, Thierry, Peintures du Xe siècle en Géorgie méridionale et leurs rapports avec la peinture byzantine D'Asie Mineure, p. 73-113; N. Thierry Peintures historiques d'Ošk'i (T'ao), გვ. 135-171; ე. პრივალოვა, ზოგი რამ ტაო-კლარჯეთის მოხატულობის შესახებ, გვ. 314-336; კვლავ ზოგი რამ ტაო-კლარჯეთის მოხატულობათა შესახებ, გვ. 22-31; ზოგიერთი შენიშვნა ტაო-კლარჯეთის მოხატულობის შესახებ, გვ. 5-14; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან, გვ. 48-100; Z. Skhirtladze, The Oldest Murals at Oshki church: Byzantine Church Decoration and Georgian Art, p. 97-134; მ. დიდებულიძე, შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლები ტაო-კლარჯეთში, გვ. 32-79.

[83] თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, გვ. 1-12.

[84] ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული ამ ხელნაწერების ჯგუფში ექცევა ასევე, ტბეთის (II) სახარების (Q-929, XII ს.) მინიატურებიც მახარებელთა გამოსახულებებით. მათი მხატვრული გადაწყვეტა წინასწარი დაკვირვებით სცდება XII საუკუნის ფარგლებს. ტბეთის სახარების მხატვრობის სტილურ განსხვავებას ამჩნევს ნ. ქავთარია და მის თარიღს გვიანდელ ხანას უკავშირებს, გაზეთი „24 საათი", თბილისი 2010, 29 აპრილი, №87. ასევე, ყურადსაღებია, დაკვირვებისას შენიშნული სხვაობაც მინიატურებისა და ტექსტის მასალას შორის. აღნიშნული საკითხი სამომავლოდ საფუძვლიან კვლევას ითხოვს.

[85] ხელნაწერთა აღწერილობა, Q-II, გვ. 322-327; Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, с. 43-44; რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, გვ. 57;.

[86] ხელნაწერთა აღწერილობა, Q-II, გვ. 317-322, Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, с. 44-47; ბერთის სახარებას ამკობს შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუში, ბეშქენ ოპიზრის მიერ შესრულებული ჭედური ყდა.

[87] თ. ჟორდანია, ქრონიკები I, გვ. 96-97; sea, ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 293; Известия кавказского отделения

ლის მინიატურა (4 r) და კანონთა კამარები (5 r, 75 r, 122 r, 193 r).

ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული XII საუკუნის ნიმუშების გაცნობისას უპირველესად თვალს ხვდება წინარე ხანის მონუმენტურობის შემცირება, რაც ვლინდება როგორც მხატვრობის, ასევე ტექსტის გაფორმების ხასიათში. ამ ნიმუშებში ნუსხურით ნაწერი ტექსტი, სტრიქონებს შორის შემცირებული მანძილი და ტექსტში "ჩაბნეული" სინგურით შესრულებული ასოები ერთგვარი დეკორატიულობის შთაბეჭდილებას ქმნის და ანელებს წინარე ხანის მონუმენტურობის განცდას. ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა კოდექსში ჩართული მინიატურების მოჩარჩოების ფორმისა და ზომის ცვლილება არშიასთან მიმართებით, რაც ასევე სხვაობს წინა ეპოქის მესტიის სახარების მინიატურების მომსაზღვრელი თხელი ჩარჩოსაგან და არსებითად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ქმნის. ამ ნიმუშების კომპოზიციებში მესტიის სახარების მინიატურების მონუმენტურ გადაწყვეტას და სისადავეს ანტურაჟით გადატვირთული "გარემო" ენაცვლება, რომელშიც ფონი თითქოს ანტურაჟში (წყაროსთავის (II), ბერთის (II) "იკარგება", ან თაღის ჩანართით "ივსება", როგორც ანჩის და წყაროსთავის სახარებების შემთხვევაში.

წყაროსთავის (II) და ბერთის (II) სახარებების მხატვრობებში, წინა ეპოქასთან შედარებით, თვალსაჩინოვდება პერსპექტივისადმი ინტერესი და კომპოზიციებში ილუზორული ხერხების მეშვეობით (სხვადასხვა ხედვის წერტილიდან აღქმული საგნები) ერთგვარი დინამიზმიც ჩნდება. ამ ნიშნებით XII საუკუნის ტაოკლარჯული წიგნის მხატვრობა თანადროულ ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების თანაზიარია, რომელიც მონუმენტურობის შემცირებაში, დინამიკურობისა და დეკორატიულობისადმი გაძლიერებული ინტერესით ხასიათდება და, რასაც თვალი გაედევნება როგორც ხელნაწერი წიგნის გაფორმებაში, ისე მონუმენტური მხატვრობასა და ჭედურობაში (მაგ.,ოთხთავები: H-1706, H-1707, H-2120; მაცხვარიშის კედლის მოხატულობა[88], ვარძია[89], ბეთანია[90], XII საუკუნის ხახულის კარედი ხატის მოჭედილობა[91], XIII საუკუნის დასაწყისში – ყინცვისი[92] და სხვა ნიმუშები). წყაროსთავის (II) და ბერთის (II) მხატვრობებს წინა ეპოქის მხატვრული ტრადიციიდან განსაკუთრებით გამოარჩევს წერის ფერწერული მანერა. თუ მესტიის სახარების მინიატურებში, ფერწერულობისადმი სწრაფვის მიუხედავად, წამყვან შთაბეჭდილებას ხაზობრიობა ქმნის და ფორმის შემკვრელი ფართო მონასმი იქცევს ყურადღებას, წყაროსთავის და ბერთის მახარებლების სახის და სხეულის გადმოცემისას მოცულობა პატარა მონასმებითა და სხვადასხვა ფერის შუქ-ჩრდილებით "იძერწება". ამ ნიშნებით წყაროსთავის და ბერთის ოთხთავების მინიატურები უკვე ახალი, XIII საუკუნის მხატვრული ტე-

---

императорскаго московскаго археологическаго общества, вып. II, под редакцией Л Лопатинскаго и Е. Такаишвили, с. 96-97; ვ. სილოგავა, კ. შენგელია, ტაო-კლარჯეთი, მ. ჭუმბურიძე, საეკლესიო მოხატული ხელნაწერები, გვ. 25-26; ქ. ასათიანი, ა. ვაჭარაძე, ანჩის სახარება, გვ. 92-93.

[88] Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаеля Маглакели в Мацхвариши, с. 145-224.

[89] გ. ალიბეგაშვილი, ვარძიის მოხატულობა, გვ. 51-57; Г. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи. с. 99-100; ა. კლდიაშვილი, მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში, გვ. 161-168; მისივე: ა. კლდიაშვილი, ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოხატულობის პროგრამისათვის, გვ.35-49.

[90] ე. პრივალოვა, ბეთანიის მოხატულობა, გვ. 55-62; ე. პრივალოვა, ბეთანიის მოხატულობის შესახებ, გვ. 27-28.

[91] რ. ყენია, ხახულის კარედის მოჭედილობა, თბილისი 1972.

[92] მ. დიდებულიძე, ახალი მონაცემები ყინცვისის წმ. ნიკოლოზის საუკუნის მოხატულობის შესახებ, გვ. 85-100.

ნდენციების მაუწყებელია[93].

მიუხედავად იმისა, რომ ამ ოთხთავთა მოხატულობები საერთო ეპოქალური ნიშნებით ერთიანდება, საგულისხმოა მათი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სტილური გადაწყვეტა. წყაროსთავის მინიატურების კომპოზიციური განაწილება ზომიერად ჩართული ანტურაჟით (ისევე როგორც ანჩის სახარებაში), კოლორიტი, დამუშავების ფერწერული მანერა, რომელიც, მიუხედავად პატარ-პატარა, აქტიური მონასმებისა და გამოთეთრებებისა, არ არღვევს ფორმის მთლიანობას, სახის ტიპი, დიდი, ნუშისებრი მოხაზულობის თვალებითა და მსხვილი წარბებით, ამ მხატვრობას თანადროული ქართული სახვითი ხელოვნების სივრცეში აქცევს. ბერთის (II) სახარების მინიატურების ანტურაჟით შევსებული ან სრულიად ნეიტრალურ, ოქროს ფონზე მოცემული კომპოზიციები, მკვეთრი კოლორიტი, მახარებლების სახის ტიპი – ღრმად ჩამჯდარი პატარა თვალებით, ერთი კონკრეტული წერტილისკენ მიმართული მზერით და ზოგჯერ კუშტი გამომეტყველებით, განსხვავებულია წყაროსთავის სახარების მხატვრობისაგან და ბერძნული იერსახის მატარებელია. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს დამუშავების ფერწერული მანერა მკვეთრი ამოთეთრებებით, "დატეხილი" ფორმებით, რომელიც ფიგურებს ერთგვარ სკულპტურულობას და ექსპრესიულობას ანიჭებს. ბიზანტიასთან კავშირის მიმანიშნებელი უნდა იყოს ასევე, კომპოზიციებში ჩართული ბერძნული წარწერები როგორც მახარებლების აღმნიშვნელი სახელებისა, ისე მათ წინ გადაშლილი სახარების ტექსტებში.

წყაროსთავის და ბერთის სახარებების სტილური სხვაობა მრავალ კითხვას აჩენს. ამ თვალსაზრისით, ასევე, საგულისხმოა ამ ხელნაწერების თანმხლებ მინაწერებში დაცული ცნობები. ასე, მაგალითად, ნ. კონდაკოვის და დ. ბაქრაძის თანახმად, წყაროსთავის მინიატურები სახარებისაგან დამოუკიდებლად, ცალკე ყოფილა მოთავსებული[94], ისევე, როგორც ახლა. ამავე საკითხთან მიმართებით საყურადღებოა მომგებლის, იოანე მტბევარ-საფარელის ანდერძი, რომელშიც მოთხრობილია სახარების გადაწერის და შეკაზმვის შესახებ:"...წმიდაჲ ესე ოთხთავი დავაწერიე და მოვაჭედიე ყოვლად, სრულებით: თვალითა და მარგალიტითა, ხატითა და ზანდუკითა, კანონითა და ქრონიკონითა სრულითა და დავდევ წყაროჲსთავს ხატსა..."[95] აქ ყურადღებას იქცევს სიტყვის "ხატი" ზუსტი კონტექსტი, რომელიც. შესაძლოა, გულისხმობდეს არა მინიატურას, არამედ, სახარების მოჭედილ ყდაზე გამოსახული ჯვარცმის და აღსაყდრებული მაცხოვრის ხატებს. ამიტომ კითხვები ჩნდება ამ ხელნაწერისადმი მინიატურების თავდაპირველი კუთვნილების შესახებ. საფიქრალს ბადებს ასევე, ბერთის (II) სახარების მინაწერი:"მე ვიშუენ ხატნი წ(მიდა)თა მახარებელთა და ჩაუსუენენ ოთხთავე თავთა შინა"[96], საიდანაც აშკარავდება, რომ ოპიზის მოძღვარ იოანეს მახარებელთა გამოსახულებანი მოუპოვებია ხელნაწერში ჩასართველად, რაც მინიატურების წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების უფრო საფუძვლიან შესწავლას ითხოვს[97].

---

[93] რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, გვ. 57; A. Saminsky, The miniatures and origin of Berta Gospel, p. 241.

[94] Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 43-44.

[95] ხელნაწერთა აღწერილობა, Q - II, გვ. 324.

[96] ხელნაწერთა აღწერილობა, Q - II, გვ. 319.

[97] შესაძლოა ეს გარემოება იყოს ბერთის განსხვავებული იერსახის და მისი ბერძნულ მასალასთან სიახლოვის

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი წინასწარი ვარაუდებისა, წყაროსთავის (II) და ბერთის (II) სახარებებში მოხატულობის ჩართულობა უკვე ცხადი მინიშნებაა, რომელიც ერთდროულად მეტყველებს ხელნაწერის დამკვეთისა და, ზოგადად, ტაოკლარჯული მხატვრული ტენდენციების და მხატვრული გემოვნების შესახებ.

IX-XII საუკუნეების ტაო-კლარჯული მინიატურის განხილვა არაერთ საგულისხმო საკითხს წარმოაჩენს, რომლებიც იკონოგრაფიულ, სტილურ და ტექსტის მხატვრულ გაფორმებასთან ერთად ხელნაწერის შემკობის სისტემასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ასპექტებს მოიცავენ, რომლებიც თითოეულ ნიმუშსა თუ ეპოქაში, განსხვავებული კუთხით ვლინდება.

ამ საკითხებთან ერთად, მასალის შესწავლის პროცესში კვლავ თავს იჩენს პრობლემა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინის, "ტაოკლარჯული სკოლის" ზუსტ განსაზღვრებას უკავშირდება. ამ რეგიონის მოხატულ ხელნაწერთა ნიმუშების ერთიანობაში განხილვა კიდევ ერთხელ ააშკარავებს, რომ ტერმინი "ტაოკლარჯული სკოლა" მეტ დაკვირვებას მოითხოვს და იგი მინიატურების განხილვისას კონკრეტული არტელის შემოქმედებას კი არა, არამედ, მთლიანად რეგიონში დამკვიდრებული მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების ლოკალურ გამოვლინებებს გულისხმობს.[98] ტაოკლარჯული მინიატურის რეგიონული მხატვრული თავისებურებების წარმოჩენის საშუალებას მისი თანადროულ ქართულ ხელოვნებასთან მიმართებით განხილვა იძლევა. აშკარავდება, რომ ტაოკლარჯულ მინიატურაში ადრეულ ეტაპზე თანადროული ქართული სახვითი ხელოვნების ტენდენციებთან ერთად ელინისტური ტრადიცია მძლავრობს, ხოლო უკვე XI საუკუნიდან კონსტანტინოპოლური მხატვრული ტენდენციების გავლენა იჩენს თავს, რაც ამ რეგიონის მსგავსად, არსებითად მთელ ქართულ ხელოვნებაში მჟღავნდება. მინიატურების მხატვრულ მახასიათებლებთან ერთად, რეგიონულობის საკითხის მკაფიოდ წარმოსაჩენად მეტად მნიშვნელოვანია ასევე, ხელნაწერების მამკობი მინიატურების წარმომავლობისა და მათი შექმნის კონკრეტული ადგილების დადგენა. მართალია, ტაოკლარჯული ხელნაწერების მხოლოდ ნაწილს აქვს შემორჩენილი ანდერძ-მინაწერები, რომლებიც საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს მათი დამზადების ადგილები, ასევე, მათი მომგებლები (დამკვეთები) და შემქმნელები, მაგრამ ამგვარი ანდეძ-მინაწერები სავსებით ცხადად აჩვენებს ერთიან კულტურულ სივრცეს, რომელიც საგულისხმო მინიშნებას იძლევა რეგიონის სამოქალაქო და საეკლესიო ელიტის მხატვრულ გემოვნებაზეც.

IX-XII საუკუნეების ტაო-კლარჯული მინიატურისათვის თვალის მიდევნებით ცხადი ხდება, რომ ამ პერიოდში თანადროული ქართული სახვით ხელოვნების ტენდენციების გაზიარებასთან ერთად, მთელი რიგი სტილური, იკონოგრაფიული თუ კოდექსის შემკულობისათვის დამახასიათებელი თავისებურების მეშვეობით მყარი რეგიონულ ტრადიცია იკვეთება, რომელიც გამოარჩევს მას დანარჩენი ქართული მასალისაგან. ტაო-კლარჯული მინიატურის მრავალფეროვანი ხასიათი, მისი ისტორიულ-კულტურული კონტექსტი და კვლევისას წამოჭრილი ცალ-

ერთ-ერთი მიზეზიც, რის შესახებაც მსჯელობს ა. სამინსკი და მიიჩნევს, რომ ბერთის სახარების მინიატურები Dumbarton Oaks-ში დაცული №4 ხელნაწერის ასლი უნდა იყოს და ორივე მათგანი ერთმანეთის ახლოს მდებარე მონასტრებში უნდა შეექმნათ. მისი აზრითვე, ბერთის მხატვრობას სანკტ-პეტერბურგში დაცული ხელნაწერის E 45 მხატვრობასთან ავლენს სიახლოვეს, იხ. A. Saminsky, The miniatures and origin of Berta Gospel, გვ. 241-247. ეს ვარაუდები სამომავლოდ მეტ დაკვირვებას მოითხოვს.

[98] ე. ედიშერაშვილი, ნ. ციციშვილი, ტაო-კლარჯული წიგნის მხატვრობის ძირითადი ტენდენციები, გვ. 136-137.

კეული საკითხები კვლავ არაერთ შესაძლებლობას ქმნის მასალის ახალი კუთხის გააზრებისა და მისი, როგორც შუა საუკუნეების ქართული სახვითი მინიატურის მნიშვნელოვანი ნაწილის სხვადასხვა ასპექტით შესწავლისთვის.

წიგნის შეკვრისა და ყდაში ჩასმის ტექნოლოგია

ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო მემკვიდრეობის კულტურულ-ისტორიული ღირებულების შეფასებისას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ხელნაწერი წიგნის შექმნის ტექნოლოგიურ მხარეს. IX საუკუნიდან სწორედ აქ, ამ სივრცეში, ხელნაწერი კოდექსის ყველა კომპონენტის (გრაფიკა, ტექსტის ორგანიზება, ორნამენტი, მინიატურა, რვეულების აკინძვა, წიგნის შეკვრა, ყდა) დამზადების წესი ემორჩილებოდა ერთიან ტექნოლოგიურ და მხატვრულ-დეკორატიულ სისტემას. ამგვარმა მიდგომამ წიგნი სხვადასხვა ხელობის მქონე მწიგნობართა ანსამბლური მუშაობის ნაყოფად აქცია. ამ ანსამბლში გამოიყო წიგნის ყდის ოსტატთა ჯგუფი, რომლის საქმიანობაც დაიხვეწა ტაოკლარჯული სამწიგნობრო ტრადიციისათვის დამახასიათებელი კულტურული ურთიეთობების პირობებში. ქართული ხელნაწერი წიგნის ადრეული, IX-XI საუკუნეებით დათარიღებული, ყდების ფრაგმენტები სწორედ ტაოკლარჯულმა ხელნაწერმა წიგნებმა შემოგვინახა. ესაა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ადიშის ოთხთავისა (M 478 (კ-82) და ადიშის იადგარის (M 479 (კ-74) ხელნაწერი წიგნები, რომლებზეც დასტურდება ყდის უძველესი ფრაგმენტები. ამ ნიმუშების საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ადრებიზანტიური წიგნის კინძვისა და ყდაში ჩასმის ტექნიკასა და მხატვრულ-დეკორატიულ თავისებურებებზე. თავდაპირველად ყურადღებას იპყრობს წიგნის კინძვისათვის გამოყენებული ადრეული მეთოდი[99]: მასიური ხის დაფები[100], რომლებსაც სამივე მხრიდან კიდეზე მიუყვება ჩაღრმავება ღარების სახით; ძაფების მიმაგრებისთვის ყუაზე გამოყენებული „გრეკაჟის“ სპეციფიური ჩაჭრა, ჯაჭვური აკინძვა და ხის დაფებზე თოკების მიმაგრება ვერტიკალურად. კინძვის ეს ადრეული მეთოდი, გარდა ზემოთ დასახელებული ორი წიგნისა, შემორჩენილია ტაო-კლარჯეთში გადაწერილი და აკინძული, გვიან რესტავრირებული წყაროსთავის I და ბასილი დიდის ფსალმუნთა თარგმანების ხელნაწერთა ყდებზე (A-98, A-135).

გარდა წიგნის კინძვაში არსებული თავისებურებებისა, ყურადღებას იპყრობს ადრეული ტაოკლარჯული ტყავის ყდების მხატვრული ორნამენტის თავისებურებანი, რომელთა საფუძველზეც თვალნათლივ შეგვიძლია ვისაუბროთ ქართული წიგნის ყდის წარმოებაში აღმოსავლურქრისტიანული ხელოვნების გავლენაზე.

897 წელს შატბერდში გადაწერილი ადიშის სახარებისა და X-XI საუკუნეებით

---

[99] ადრებიზანტიური წიგნის ყდის ტიპოლოგიური თავისებურებანი დაწვრილებითაა შესწავლილი ბელგიელი მეცნიერის ბერტა ვან რეჟემორტერის მიერ: B. van Regemorter, La reliure Byzantine, Revue Belged, Archéologie et d' Histoire de l ' Art, vol. 36 (1967), Bruxelles, 1969. ქართული წიგნის ყდის ისტორიისათვის იხ.: მ. კარანაძე, ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბილისი, 2002, იქვე დამატება I,II.

[100] ხის დაფების სისქე დამოკიდებულია საწერი ფურცლის ფაქტურის ცვლილებაზე. დროთა განმავლობაში, ქაღალდის საწერი მასალის გამოჩენის პარალელურად ყდის ტყავის ზედაპირის საფუძვლად განკუთვნილი დაფების სისქე თანდათანობით იკლებს, ანუ თხელდება.

დათარიღებული ადიშის იადგარის ტყავის ყდების ტვიფრული ორნამენტები, რომლებიც შემორჩენილია ამ წიგნების ყდების ზედა ფრთების ცენტრალურ ნაწილში[101], წარმოადგენს ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული ტოლფერდა (ჩვენთან გავრცელებული სახელწოდებით ბოლნური) ჯვრის სტილიზებულ გამოსახულებას, შედგენილს რომბისებური წნული ორნამენტით[102]. აღმოსავლური სტილიზებული ჯვრის ორნამენტით ყდის გაფორმება დამახასიათებელი იყო IX-XI საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნებისათვის ტაო-კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე სინის მთამდე. ყდის გაფორმებაში არსებულ ტენდენციებზე დაკვირვების საინტერესო მაგალითს გვაწვდის იმავე ადიშის ოთხთავის დღემდე შემორჩენილ ყდაზე ძველი ფენის შესანარჩუნებლად დამაგრებული ლითონის ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტით გრავირებული ჯვარი, რომლის დათარიღებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისებია გამოთქმული[103]. ქართული ხელნაწერი წიგნის ყდის ისტორიის სრული სურათის გათვალისწინებით, ადიშის ოთხთავის ყდის დასახელებული ელემენტი ქართული წიგნის ისტორიაში XIV საუკუნიდან გაჩენილი ტყავისა და მეტალის კომბინირებული ყდების ჩამოყალიბების ტენდენციის გამოძახილს წარმოადგენს.[104]

ტაოკლარჯული ხელნაწერი წიგნების ყდის დეკორში აღმოსავლურქრისტიანული სიმბოლიკიდან კონსტანტინოპოლური ტრადიციისაკენ გადასვლის ტენდენცია შეიმჩნევა წყაროსთავის I ოთხთავის ყდის შემკულობაში. 1070 წელს მეორედ შემოსილ ამ წიგნზე დასტურდება პოსტამენტზე აღმართული სწორმკლავება სტილიზებული ჯვრის ტვიფრული ორნამენტი. გოლგოთის ტიპის ჯვრებით გაფორმებული ქართული ხელნაწერები კი ძირითადად XI საუკუნიდან გვხვდება და ბიზანტიური, კერძოდ, კოსტანტინოპოლის სკოლის ხელოვნებად მიიჩნევა[105].

ტაოკლარჯეთული ხელნაწერი წიგნების კონსტანტინოპოლური ტრადიციისაკენ საბოლოო გადასვლის ყველაზე მკაფიო მაგალითს წარმოადგენს მოოქრული ვერცხლის ძვირფასი, რელიეფურად მოჭედილი ყდით შემკული ხელნაწერი წიგნების არსებობა. მოჭედილი ყდით შემკული ქართული ხელნაწერები გვხვდება XI საუკუნიდან [106].

---

[101] ადიშის ყდის დაწვრილებითი ანალიზისათვის იხ.: ნ. ჩხიკვაძე, მ. კარანაძე, უძველესი ქართული ყდები სვანური კოლექციიდან, გვ. 481-493.

[102] ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ჯვრები საბაწმიდასა და სინაზე გადაწერილ X საუკუნით დათარიღებული ქართული ხელნაწერი წიგნების არა მხოლოდ ყდების (Sin. Geo. O. 32-57-33; Sin. Geo.O.46; Sin.Geo.N.26; Graz.Geo. 2058 /3), არამედ ტექსტის ორნამენტული შემკულობის უმთავრეს ელემენტად გვევლინება (Sin.Geo.O. 47, 1r-v, 81r, 91r; Sin. Geo.O. 26, 1r; Sin.Geo.O. 38, გვ. 284; პეტერბურგში დაცული ქართული ფრაგმენტები: Gr. XLI 2r-v;Сир.Н.С.16/1 20r,27v; ჯვრები გამოირჩევა ორნამენტული ერთგვაროვნებით (იხ.: მ.კარანაძე, დასახ ნაშრ., გვ.12-13; მისივე: X საუკუნის კიდევ ერთი ხელნაწერის ყდა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან, გვ. 348).

[103] Кения Р. Особенности декоративного убранства окладов Евангелий, IV Международный симпозиум по грузинскому искуству, с.2; ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ.46.

[104] ნ. ჩხიკვაძე, დასახ. ნაშრ. გვ.485; Саминский А. Л. Местийнское евангелие. Лик Грузии на фоне Византии. Древнерусское искусство, с.148-178; მისივე: Оклад лабскалдского евангелия Грузинской константинепольской рукописи второй четверти XIIв. Древнерусское искусство. с.259.

[105] Шмерлинг Р. Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий, с.92-100

[106] ამ ეპოქის ჭედური ყდის მქონე ხელნაწერი შავ მთაზე, კალიპოსის ლავრაში, გადაწერილი, ამჟამად ინახება რუსეთის ისტორიული მუზეუმის (მოსკოვი) შჩუკინის კოლექციაში. სამწუხაროდ, ვერ მოაღწია 1054 წელს ამავე სამონასტრო ცენტრში გადაწერილმა, ბაღვაშთა ფეოდალური სახლის დაფინანსებით (მომგებელი ივანე,

XII საუკუნეში ოპიზის სამწიგნობრო კერაში შექმნილი ოთხთავების (Q-906, Q-907, Q-929) მოოქრული ვერცხლის ყდების მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა მეტყველებს როგორც ოპიზის მონასტრში საოქრომჭედლო სკოლის არსებობაზე, ისე ბიზანტიურ კულტურასთან ნაზიარები ტაოკლარჯელი ოსტატების განსწავლულობაზე. დასახელებული ჭედური ყდები გამოირჩევა ფოთლოვან-ყვავილოვანი, მცენარეული ორნამენტების მრავალსახოვნებით, გეომეტრიული ფორმებისა და წმინდანთა ფიგურების ვირტუოზული შესრულებით. ბექა ოპიზრის ნამუშევრები სამეცნიერო წრეებში ამგვარადაა შეფასებული: „დიდი გულმოდგინებითა და სიყვარულითაა დამუშავებული სხეულის ცალკეული ნაკვთები, სამოსლის მკაცრი მძიმე ნაკეცები, ე.ი. აქ კარგად ჩანს წინა ეპოქის საუკეთესო მონაპოვარი. მაგრამ საკუთრივ სკულპტულური ამოცანები ოსტატს უკვე აღარ აინტერესებს, ფიგურათა დამუშავებაც ბექამ საერთო დეკორატიულ ამოცანებს დაუქვემდებარა, ამოცანებს, რომლებიც ბექას ეპოქაში ქართული ჭედურობის მთავარ, ძირითად პრობლემად იქცა“[107]. იგივე ტენდენციები იკვეთება XI-XII საუკუნეების ქართულ ჭედურ ხელოვნებაში[108].

XII საუკუნის ტაოკლარჯული ჭედური ყდები (Q-906, Q-907, Q-929) ბიზანტიური ხელოვნების კანონების ზუსტ გამოძახილს წარმოადგენენ, რაც გამოიხატება წმინდანთა სხეულების თითოეული ნაწილის წაგრძელებული ფორმის თავისებურებებსა თუ მათ ჩაცმულობაში. თვალში საცემია სამოსის დრაპირება, რაც, თავის მხრივ, წმინდანთა „სკულპტურულ“ გამოსახულებებს ერთგვარ დინამიკურობას ანიჭებს. ზემოთ დასახელებული ჭედური ნიმუშები საერთოს პოულობენ წმ. სოფიის ტაძრის კედლებზე ვედრების კომპოზიციებთან, თვალში საცემია ქრისტე-პანტოკრატორის „სკულპტურამდე“ დაყვანილი გამოსახულება, შეგვიძლია ამ კუთხით გავიხსენოთ კონქის ღვთისმშობლის მოზაიკა და სხვ., ასევე, მაცხოვრის სახე დაფნის მონასტრის მოზაიკის დეტალი (XI ს.), ბიზანტიაში დამზადებული ჯვარი ქრისტე-პანტოკრატორის გამოსახულებით, სინაზე დაცული XII საუკუნის ვედრების მინიატურა და სხვ[109].

ამრიგად, ტაოკლარჯული სამწიგნობრო სკოლის წიგნის ხელოვნებათან დაკავშირებული ეს მცირერიცხოვანი ნიმუშებიც კი ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ისტორიული საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს მხარეში გაშლილი სამწიგნობრო საქმიანობის მნიშვნელობაზე ქართული წერილობითი კულტურის ისტორიაში.

ლიპარიტ ბაღვაშის შვილი) მოჭედილმა ალავერდის ოთხთავის (A-484) რელიეფურმა ჭედურმა ყდამ, რომლის აღწერილობასაც გვაწვდის თავად ხელნაწერზე 1059 წლით დათარიღებული კოლოფონი (315v). ალავერდის ოთხთავის დღეს არსებული ყდა XVII საუკუნით თარიღდება და არ წარმოადგენს კლასიკური ხანის ტაოკლარჯული წიგნის ხელოვნების ნიმუშს.

[107] ლ. ხუსკივაძე, ბექა ოპიზარი, გვ.13-14.

[108] თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, გვ. 6-18.

[109] როგორც ცნობილია, ქრისტე-პანტოკრატორის გამოსახულებებს საფუძვლად უდევს სინაზე დაცული, ყველასათვის კარგად ცნობილი VI საუკუნის შუა წლებში კოსტანტინოპოლში შექმნილი ხატი.

ტაო-კლარჯეთის ორიგინალური მწიგნობრული მემკვიდრეობა: აგიოგრაფია, ისტორიოგრაფია, სამართლის ძეგლები

ტაოკლარჯული მწიგნობრული მემკვიდრეობა მხოლოდ ნათარგმნი ლიტერატურული მასალით არ ამოიწურება. ამ მხარიდან შემორჩენილი ორიგინალური ლიტერატურის ადრეული ძეგლები და, შედარებით გვიანდელი, ტიპოლოგიურად ერთგვაროვანი დოკუმენტური ტექსტების სიჭარბე სიმბოლურად ასახავს საქართველოს ამ ოდესღაც დაწინაურებული მხარის მიერ განვლილ ისტორიულ გზას. ადრეულ შუა საუკუნეებში აქ ვითარდებოდა ორიგინალური აგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, პოლემიკური მწერლობა. ერთიანი ქართული სამეფოს პერიოდში აქ დამუშავდა ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომავლობის იდეოლოგიზებული კონცეფცია (სუმბატ დავითის-ძე), აქ შეიქმნა აბუსერისძეთა წარჩინებული სახლის საგვარეულო ქრონიკა და მეცნიერული ტრაქტატი მათემატიკურ-კალენდარული სისტემების შესახებ (ტბელ აბუსერისძის ქრონიკონი); ამ ეპოქის მაღალი კულტურის გამოძახილს ვხედავთ აქ შექმნილ საეკლესიო და სამოქალაქო სამართლებრივ ძეგლებში (ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონი, ბექა-აღბუღას სამართალი). გვიანდელ შუა საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის რყევასთან ერთად ტაოკლარჯული მწიგნობრული მემკვიდრეობა სახეს იცვლის – ამ დროიდან მოღწეული ოფიციალური დოკუმენტები (მღვდელმთავართა ფიცის წიგნები, საეკლესიო შეწირულობები), საგვარეულო ქრონიკები (მესხური დავითნის მატიანე), კერძო გარიგებები, სულთა მოსახსენებლები თუ საალაპე ჩანაწერები, თავისი არსით ერთგვაროვანი დოკუმენტები, ნაკლებად გამოხატავენ კულტურულ წინსვლას და საზოგადოებრივი ცხოვრების სტაგნაციის ნიშანდობლივ ინდიკატორებად გვევლინებიან.

ტაოკლარჯული წარმომავლობის ტექსტები მათი ფორმის, დაწერილობის, შინაარსობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით სხვადასხვა სახეობის ფარგლებში ჯგუფდება და ყოველი მათგანის შესწავლა სპეციფიკურ მეთოდურ მიდგომას მოითხოვს.

წყაროთა სრულიად განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს ტაოკლარჯულ ხელნაწერთა კოლოფონები – სხვადასხვა დროისა და შინაარსის ანდერძ-მინაწერები, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებს, საღვთისმეტყველო ტრაქტატებს (ოშკის ხელნაწერების ანდერძები) და იურიდიული შინაარსის სულთა მოსახსენებლებს.

ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის ანდერძ-მინაწერები შეიძლება იყოს ხელნაწერის თანადროულიც და გვიან შემატებულიც. მათი ერთობლიობა მიუთითებს ხელნაწერის შექმნის დროსა და გარემოებებზე, ასახავს ხელნაწერის მნიშვნელობას თანადროული საზოგადოებისათვის და მის შემდგომ თავგადასავალს. ამ რიგის ჩანაწერებში იგულისხმება ხელნაწერთა დამკვეთების, ტექსტის რედაქტორების, გადამწერების, მომხატველების

და სხვ. ანდერძები, მემორიალური და სავედრებელი მინაწერები, რომლებიც შეიძლება მოგვითხრობდნენ ხელნაწერის დამზადების ადგილზე, მისი შემკვეთისა და შემსრულებლების ვინაობაზე, გამოყენებულ წყაროებზე, ხელნაწერის შინაარსობრივ თუ სტრუქტურულ თავისებურებებზე, ზოგჯერ მუშაობის პირობებსა და ხელნაწერი წიგნის ტექნიკურ დეტალებზე.

ტაოკლარჯულ ხელნაწერთა არშიებზე გვხვდება მცირე ფორმის იურიდიული ჩანაწერები, ე.წ. სულთა მატიანეები, იგივე სააღაპე შეწირულობები და მოსახსენებლები (სინოდიკონები), რომლებშიც, ჩვეულებრივ, ოფიციალურ თუ კერძო პირთა მიერ ეკლესიისათვის ბოძებულ შეწირულებათა საფუძველზე განსაზღვრულია შემწირველთა სახელებზე დაწესებული საეკლესიო მსახურება (წირვა-ლოცვის დროს მოხსენება, სააღაპე ტრაპეზის გადახდა). ასეთი ჩანაწერები უპირატესად დამახასიათებელია კანონიკური (ძეგლისწერა) ან ლიტურგიკული შინაარსის ხელნაწერებისათვის, როგორებიცაა: სახარება, სვინაქსარი, მეტაფრასი და ფსალმუნი. ლიტურგიკული ხელნაწერები მსგავსი ჩანაწერებისათვის მოხერხებული იყო იმდენად, რამდენადაც შესაძლებლობას იძლეოდა მოსახსენებელი განთავსებულიყო კალენდარული რიგითობის დაცვით, შესაბამისი საკითხავების არშიებზე. აღაპ-მოსახსენებლების მაღალი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების გამო მათი გამოვლენა-შესწავლა კარგა ხანია დამოუკიდებელ კვლევით მიმართულებად ჩამოყალიბდა (პ. ინგოროყვა, ქრ. შარაშიძე, ე. მეტრეველი, თ. ენუქიძე, დ. კლდიაშვილი). ტაოკლარჯულ ხელნაწერთა აღაპ-მოსახსენებლებში ხშირად შემონახულია უნიკალური ისტორიულ-გენეალოგიური ცნობები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის: მათში კარგად ჩანს სამთავროს მმართველი საგვარეულოს ნათესაური და პოლიტიკური კავშირები ქართლისა და იმერეთის სამეფო სახლებთან, საქართველოს სხვა გავლენიან ოჯახებთან ან სამთავროს შიდა პოლიტიკურ ძალებთან. იგივე აღაპ-მოსახსენებლები ხშირად ნათელს ჰფენენ ხშირად ბუნდოვანებით მოცულ პოლიტიკურ მოვლენებს – ააშკარავებენ საქართველოს მეფეების დიპლომატიურ მცდელობებს, მიმართულთ სამცხის განდგომილი მთავრების მშვიდობიანი გზით შემომომტკიცებისაკენ; ასევე, გვაცნობენ ჯაყელთა სამთავრო სახლთან დაპირისპირებულ ოპოზიციურ დაჯგუფებებს, მათ პოლიტიკურ ალიანსებს ქართლ-იმერეთის არისტოკრატიასთან, ცალკეული ისტორიული პირების ბიოგრაფიულ დეტალებს, სხვა წყაროებით სრულიად უცნობ პოლიტიკურ სუბიექტებსა და მოვლენებს. განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულებისაა ამ ტიპის მასალებში უხვად გაბნეული ანთროპონიმები და ტოპონიმები, რომლებიც დოკუმენტური სიზუსტით ასახავენ რეგიონის დემოგრაფიულ სურათს და ეთნიკურ სტრუქტურას. ყურადღებას იპყრობს ამ მხარეში გავრცელებული ქართული გვარ-სახელების მოდელთა მრავალფეროვნება: –ელ, -ათ, -ფხე, -არ, -ძე, -შვილ სუფიქსებზე დაბოლოებული ტოპონიმური და ანთროპონიმული ფუძეები. ამგვარი მასალა წარმოდგენას გვიქმნის იმ შიდა მიგრაციულ პროცესებზეც, რომლებიც თან ახლდა რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს.

აგიოგრაფია

ტაო-კლარჯეთიდან ორიგინილური აგიოგრაფიული მწერლობის ხუთიოდე ნიმუშია მოღწეული. ამათგან სამი („კოლაელ ყრმათა მარტვილობა“, „დავით და ტარიჭანის წამება“, „მიქელ-გობრონის წამება“) მარტვილობებს განეკუთვნება, ორი („გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“) – ცხოვრება-მოქალქეობათა ჟანრს. ამ თხზულებათა გმირების ხსენებები ლიტურგიკულ კრებულებში საკითხავების სახით ადრევე იყო შეტანილი, რის მიზანსაც მორწმუნე მრევლისათვის ადგილობრივ წმინდანთა ღვაწლის მუდმივი შეხსენება წარმოადგენდა.

ტაოკლარჯული წარმომავლობის აგიოგრაფიულ ძეგლებში ასახულია სხვადასხვა დროის მოვლენები, დაწყებული შორეული წარმართული ეპოქით, დასრულებული ავტორის თანადროული პერიოდით. დასახელებულ თხზულებათაგან ორი ანონიმურია, დანარჩენი სამის ავტორები და მოღვაწეობის დრო ზუსტადაა ცნობილი. განსხვავებულია ამ ავტორთა განსწავლულობის ხარისხი, თვალსაწიერი, გამოყენებული წყაროები და მათი შერჩევის მეთოდები.

მიუხედავად იმისა, რომ წმინდანის ღვაწლის ასახვა საზოგადოდ „აღსაბაძველად“ იყო მიჩნეული, აგიოგრაფები მაინც ერთგვარ „კადნიერებად“ აღიქვამდნენ საკუთარ განზრახვას, აღეწერათ წმინდანის ცხოვრება. მაგ., გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ „ბრძენმა და სრულმა მამებმა“, რომელთგან ველოდი წმ. გრიგოლისა და კლარჯეთის დიდ მეუდაბნოეთა ცხოვრების აღწერას, ისე „დაიძინეს“, რომ ამ მეუდაბნოეთა სასწაულებრივი საქმეები „აღუწერელობით დაშჭირდეს“ და „ჟამთა სიმრავლისაგან მ ი ე ც ნ ე ს ს ი ღ რ მ ე ს ა დ ა ვ ი წ ყ ე ბ ი ს ა ს ა ო“. მხოლოდ ამიტომ მივეცი თავს უფლება მე, „ყოველთა სულელთა უდარესმა“, ხელი მომეკიდა ამ საქმისათვისო, – ასეთია გიორგი მერჩულის ლოგიკა. ამიტომ, თავისი „კადნიერების“ გასამართლებლად, შემოაქვს „ბრძენთაგან დუმილის“ – სულიერი ჭვრეტის – მაღალი ესთეტიკური ნორმა[1], რითაც პატივს მიაგებს დუმილით გარდასულ მამებს.

ამავე მოვლენას განსხვავებულ და უფრო კონკრეტულ ახსნას უძებნის ბასილი ზარზმელი. მასაც გაცნობიერებული აქვს აგიოგრაფის შრომის მთავარი მიზანი –„... რ ა ჲ თ ა ჩ უ ე ნ ც ა ძ ა ლ ი ს ა ე ბ რ ი ვ ა ჩ ი ნ ო თ ბ ა ძ ვ ა ჲ დ ი დ ი ს ა მ ი ს მ ო ძ ღ უ რ ი ს ა დ ა მ წ ყ ე მ ს ი ს ა ჲ“. ეს განზრახვა თითქოს არავისთვის უნდა ყოფილიყო საკამათო, მაგრამ, მაინც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორს საწინააღმდეგო აზრის მქონე პირები ჰყავს მხედველობაში, სწორედ ისეთები („ვიეთნიმე“), რომლებიც, გიორგი მერჩულის მიხედვით, „დუმილით გარდახდეს“. „იტყვან ვიეთნიმე, – ამბობს ბასილი ზარზმელი, – ვითარმედ, „ჟამთა ამათ ჩუენთა არღარავის ჴელეწიფების მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ჲ პ ი რ ვ ე ლ თ ა მ ა მ ა თ ა ჲ, რამეთუ განგებითა რაჲთმე საღმრთოჲთა მიფარულ არს“[2]. ცოტა ზემოთ ავტორი ჩამოთვლის იმ დიდ მეუდაბნოეთ, „პირველ მამათ“ (ელია, იოვანე, პავლე თებელი, დიდი ანტონი, მაკარი, ეფთვიმი, საბა, გერასიმე), რომლებთან გატოლებას, განსხვავებული აზრის მქონეთა არგუმენტით, აწ

[1] რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, გვ.68.

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 320.

(„ჟამთა ამათ“) ვეღარავინ შეძლებდა. ამიტომ თავგამოდებით ამტკიცებს ბასილი ზარზმელი, რომ „მსგავს იქმნა ამათ წმიდათა ყოლად წმიდაჲ მამაჲ და მოძღუარი ნეტარი სერაპიონ[3]. ასეთივე განწყობებით არის გამსჭვალული პირველ მამათა მიმართ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ავტორი, ეს იგრძნობა მის სიტყვიერ მასალაში, შერჩეულ ეპითეტებში, თუმცა, კონკრეტულ პარალელებს იშვიათად მიმართავს. თუ არა პირველ მეუდაბნოეთა მიმბაძველებს, ვის ეკუთვნის გრიგოლ ხანცთელისა და მისი თანამოსაგრეებისათვის შერჩეული ეპითეტები, როგორებიცაა: „უ დ ა ბ ნ ო თ ა ქ ა ლ ა ქ მ ყ ო ფ ე ლ ი“, „ღ მ ე რ თ შ ე მ ო ს ი ლ ი“, ქ რ ი ს ტ ჱ ს მ ო ძ ღ უ ა რ ი“, ე კ ლ ე ს ი ი ს გ ვ რ გ ვ ნ ი“, „უ ჴ ო რ ც ო ნ ი“ და სხვ. ეს ადამიანები, მართლაც, „ახლები“ იყვნენ „პირველ“ მამებთან მიმართებით, მათგან იმემკვიდრეს ბერული ცხოვრების იდეალები და ასკეზის წესები. ბევრ მათგანს ბერის მოკრძალებული თვითშეფასება სწორედ ამიტომ არ აძლევდა უფლებას თვალი გაესწორებინა „პირველ მამათა“ სრულყოფისათვის. როგორც ჩანს, სწორედ ეს თვითშეფასება იყო მიზეზი იმისა, რომ გრიგოლ ხანცთელის შემთხვევაშიც ცნობილმა წმ. მამებმა „დუმილი“ არჩიეს. აშკარაა, რომ გიორგი მერჩულისა და ბასილი ზარზმელის მსგავსი მსჯელობა „ბრძნად მეტყველებისა“ და „დუმილის“ საკითხებზე იმჟამინდელ ბერ-მონაზონთა წიაღში აქტუალურ სადისკუსიო თემას წარმოადგენდა.

ტაოკლარჯული აგიოგრაფიული თხზულებები მკაფიოდ ავლენენ ავტორთა განსწავლულობას და ცოდნის მოცულობას – წმ. წერილის ტექსტების ზედმიწევნით ცოდნას, საიდანაც ხშირად მიმართვენ ციტაციებს ან ალუზიებს საკუთრი სათქმელის დასასაბუთებლად. ასეთივე დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ისინი წმ. მამებისა სწავლებებისადმი და ჰომილეტიკურ-პატრისტიკული მწერლობისადმი, რომლის უამრავ ნიმუშს ვხვდებით ტაოკლარჯულ კრებულებში.

ქართველი აგიოგრაფები, პირდაპირ თუ ირიბად, თითქმის ყოველთვის ეხმიანებიან თანადროული ეკლესიისათვის მწვავე დოგმატურ საკითხებსაც. მაგ., სტეფანე მტბევარის მსჯელობა ადამიანის ცოდვით დაცემაზე მიმართულია სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ[4]. პოლემიკური საკითხები მრავლადაა „მიმოფანტული“ გიორგი მერჩულის თხრობაში: აქ დაგმობილია ერისკაცის მიერ საეკლესიო სწავლების ყოველგვარი მცდელობა (ჯავახეთის კრება), წმ. წერილსა და ეკლესიის მამებზე დაყრდნობით გვხვდება მსჯელობა წმ. სამების ერთარსებისა და სამგვამოვნების დოგმატზე; განმარტებულია ეკლესიაში მწვალებელთა მიღების ლიტურგიკული წესები; თხზულების რამდენიმე ადგილას ლაპარაკია მართლმადიდებლობისგან განდრეკილ მოძღვართა შესახებაც[5].

ტაოკლარჯული აგიოგრაფიული ძეგლები შექმნილია იმ ეპოქაში, როდესაც დასრულებული იყო ხატმებრძოლობასთან დაპირისპირება, მაგრამ მათში შეფარვით მაინც იგრძნობა ხატმებრძოლობისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება. კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებულ გრიგოლ ხანცთელსა და საბას თან მოაქვთ „ ნ ა წ ი ლ ნ ი წ მ ი დ ა თ ა ნ ი და ხ ა ტ ნ ი

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 320.

[4] მ. რაფავა, დოგმატიკა და პოლემიკა, ნარკვევები, II, გვ.370.

[5] იქვე, გვ.370-371.

წ მ ი დ ა ნ ი და სხუაჲ ევლოგიაჲ ფრიადი“[6]. კიდევ უფრო მკაფიოდაა ხატთა თაყვანისცემის თემა გამოხატული „სერაპიონ ზარზმელის“ ცხოვრებაში“[7]. იქ, სადაც ლაპარაკია ძველი და ახალი აღთქმის ღმერთის იგივეობრივობაზე, შემჩნეულია კამათი პავლიკიანელთა მოძღვრებასთან[8].

ზემოაღნიშნული აგიოგრაფიული თხუზულებები თანაბრად მნიშვნელოვანია ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის, პოლიტიკური და სოციალური მოვლენების, ეთნოკულტურული პროცესების, ისტორიული გეოგრაფიის – საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკური საზღვრების, საეკლესიო გეოგრაფიის, ქართული ენის, ლიტერატურული და ესთეტიკური აზრის ისტორიისათვის.

მარტვილობები. ორი პატარა მარტვილოლოგიური ჟანრის მოთხრობა, რომელთა სათაურებია „დავითისა და ტარიჭანის მარტვილობა“ და „კოლაელ ყრმათა მარტვილობა“, შესულია სომხურიდან თარგმნილ თხზულებათა კრებულში (Ath.8). ხელნაწერი X საუკუნეში გადაუწერიათ ტაოში და აქედან, ჩვენთვის უცნობ გარემოებებში, იგი ათონზე ჩაუტანიათ. ორივე მარტვილობა სომხურ თემში მომხდარ ამბებს აღწერს, მაგრამ არც ერთს ამ თხზულებათგან არ მოეპოვება სომხური დედანი. მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ნაწილი (ა. ხახანაშვილი, ნ. მარი) მათ სომხურიდან ნათარგმნ ძეგლებად მიიჩნევს. არსებობს სხვა მოსაზრებაც – ისინი თავიდანვე ქართულ ენაზეა შექმნილი ტაოს მკვიდრ სომეხ ქალკედონიტთა წრეში (ი. აბულაძე). არაფერია ცნობილი არც ამ თხზულებათა შექმნის დროის შესახებ, მაგრამ ორივე მათგანში გამოყენებული ტერმინოლოგიისა და ენობრივი მასალის საფუძველზე მკვლევრები IX საუკუნეს ვარაუდობენ. მსგავსია თავად მარტვილობათა ფაბულაც, ორივე მათგანში ასახულია ქრისტიანობის გავრცელების ძალზე ადრეული პერიოდი, როცა წარმართული და ქრისტიანული თემები ჯერ კიდევ ერთმანეთის მეზობლად თანაცხოვრობდნენ. გარემოებათა წყალობით წარმართი ბავშვები ფარულად ქრისტიანად ინათლებიან, რის გამოც მათ სიკვდილით სჯიან – ერთ შემთხვევაში მშობლები, მეორე შემთხვევაში – ბიძა. კ. კეკელიძის ვარაუდით, ეს მარტვილობები, თუკი ისინი თავდაპირველად სომხურად იყო დაწერილი, თავად სომხებს უნდა გაენადგურებინათ, როგორც სომეხთა შორის ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლის ამსახველი არასასიამოვნო დოკუმენტები. ქართულად კი შეუნახავთ, რამდენადაც მარტვილობათა ამბავი ქართულ მიწაზე, ტაოში ხდება. ამასთანვე, „წამების“ ტექსტების საფუძველზე ამ მცირეწლოვან მარტვილთა ხსენების დღეები დაუწესებიათ და და საგალობლებიც შეუქმნიათ[9].

---

[6] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, გვ. 265.

[7] მ. რაფავა, დოგმატიკა და პოლემიკა, ნარკვევები, II,გვ.369.

[8] იქვე.

[9] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ.519.

სტეფანე მტბევარი, „გობრონის წამება“

სტეფანე მტბევარი მოღვაწეობდა IX-X საუკუნეთა მიჯნაზე. იგი იყო აშოტ კუხთან (896-918) დაახლოებული პირი და ტბეთის პირველი ეპისკოპოსი. თავის თანამედროვეთა შორის სტეფანე მტბევარი ღირსებით და სწავლულობით დიდად დაფასებული პირი ყოფილა, გიორგი მერჩულე მას იმ რამდენიმე „ღირს მამათა“ შორის მოიხსენიებს, რომელთაც ხელეწიფებოდათ გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების აღწერა[10]. შატბერდის კრებულში შეტანილი „ფსალმუნთა განმარტების“ მთარგმნელი დაჩი სწორედ მას მიმართავს რჩევისათვის[11]. სტეფანე მტბევარისათვის უთხოვია შავშეთის მთავარსა და ტბეთის ტაძრის მაშენებელს, აშოტ კუხს, აღეწერა მოწამეობრივი აღსასრული ახალგაზრდა აზნაურის, მიქელ-გობრონისა, რომელიც 914 წელს სიკვდილით დასაჯა არაბთა სარდალმა აბულ კასიმმა (იგივე იუსუფ აბუ საჯის ძე).

ამ შემოსევის დროს აბულ კასიმმა სასტიკად ააოხრა სომხეთი, სომეხთა მეფე სუმბატი სიკვდილით დასაჯა, რომლის დევნაში აღმოსავლეთ საქართველოც დალაშქრა, კახეთი და ქართლიც დაარბია და სამცხეც მოაოხრა[12]. აქ იგი ყველის ციხეს მიადგა და ალყაში მოამწყვდია ციხის მცველები, რომლებმაც მტერს 28 დღის განმვლობაში გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს[13]. ბოლოს არაბებმა ციხე აიღეს და მცველები შეიპყრეს, რომელთა შორის შეუპოვრობით გამოირჩეოდა ახალგაზრდა მიქელ-გობრონი. ნაწილი ტყვეებისა ადარნასე ქართველთა მეფეს გამოუსყიდია[14], მაგრამ მიქელ-გობრონი ასეთთა შორის ვერ მოხვედრილა, რადგან აბულ კასიმს არ სურდა მისი გაშვება. არაბთა სარდალმა რამდენჯერმე სცადა მიქელ-გობრონის გადაბირება, მაგრამ ყველა ჯერზე მტკიცე უარი მიიღო; ბოლოს, როცა დარწმუნდა ტყვის სულიერ სიმტკიცეში, იგი, ციხის სხვა მცველებთან ერთად, სიკვდილით დაასჯევინა.

სტეფანე მტბევარის მოთხრობა იწყება ვრცელი საღვთისმეტყველო ტრაქტატით, რომელიც გაჯერებულია ჟანრისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპული ფრაზეოლოგიით და ციტაციებით წმ. წერილიდან, მაგრამ მოთხრობის ისტორიული რეალიები – სომეხთა მეფის გაქცევა „მთათა ზედა აფხაზეთისასა“, შემდეგ მისი დატყვევება და დასჯა, გურგენ ერისთვთ ერისთვის მიერ ყველის ციხის ფლობა, არაბთა მიერ დამორჩილებული ხალხების გაღატაკება (დაიცალიერნა საფასეთა მათგან“), მტრის სიმრავლე, შეიარაღება და სამხედრო წესები, ციხის ალყა, მოსახლეობის გახიზვნა, შიმშილობა – ავტორს ცხოველი რეალისტური სურათებით აქვს გადმოცემული[15].

თხზულება გამსჭვალულია მოვლენათა პროვიდენციალური ხედვით, რომელიც ავტორს შესაძლებლობას აძლევს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დაამყაროს მტრისაგან ქვეყნის ნგრევასა და კაცთა უკეთურებას შორის, მაგრამ ამ ხედვის ფარგლებშივე ავტორი საოცრად ტენდენციურია, აშკარაა მისი კონფესიური მიკერძოებულობა ერთი და იმავე მოვლენის

---

[10] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 294.

[11] შატბერდის კრებული, გვ. 364.

[12] ყველის ციხის მდებარეობის შესახებ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ,91-92.

[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 177.

[14] იქვე, გვ.180.

[15] იქვე, გვ.გვ. 176-178, 180.

შეფასებისას[16]. ავტორის განმარტებით, სომეხი ხალხისა და მეფის დასჯა იმან გამოიწვია, რომ ქ რ ი ს ტ ე მ ა თ თ ვ ი ს „ ც უ დ ა დ მ ო კ უ დ ა “, რომ მათ ქვეყანაში არსად იპოვებოდა „საყდარი მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთაჲ, არცა მონასტერი მართლმადიდებელთა მორწმუნეთა მონაზონთაჲ...“[17]. ავტორის ლოგიკა სრულიად იცვლება არაბთა სისასტიკეების ჩამოთვლისას ქართველთა მიწაზე. ქართველთა ბრძოლას და გობრონის მსხვერპლს იგი ქრისტესმოყვარეობის უდიდეს მაგალითად წარმოაჩენს.

რასაკვირველია, ამგვარ ტენდენციურობას თავისი მიზეზი ჰქონდა და, როგორც ჩანს, ავტორი გამოხატავდა ტაო-კლარჯეთის სამღვდელოებასა და პოლიტიკურ წრეებში იმხანად არსებულ განწყობებს[18]. IX საუკუნის მიწურულს გაძლიერებული სომეხთა სამეფო კავკასიაში ჰეგემონობის პრეტენზიას აცხადებდა – ამ დროს დაიპყრო მან ქვემო ქართლი და აქტიურად ჩაება ქართულ სამეფო-სამთვროთა ბრძოლაში შიდა ქართლისათვის.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები, რომლებმაც ამავე ხანებში „ქართველთა მეფის“ ტიტული აღიდგინეს, სომხურ პოლიტიკას ასე იოლად ვერ ეგუებოდნენ. გარდა ამისა, აბულ კასიმის შემოსევის დროს სუმბატ სომეხთა მეფესა (891-914) და ადარნასე ქართველთა მეფეს (888-923) შორის ძველი კეთილი ურთიერთობა შეურიგებელ მტრობაში იყო გადაზრდილი, იმდენად, რომ 907 წელს არაბთა პირველი შემოსევის დროს ადარნასე სუმბატის მოწინააღმდეგე სომეხ მთავრებთან ერთად აბულ კასიმს მიემხრო[19].

ცხოვრება-მოქალქეობები. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის გამორჩეული ნიმუშია გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, შექმნილი X საუკუნეში გრიგოლის მიერვე დაარსებულ ხანცთის მონასტერში. ნაწარმოები შემოინახა XI საუკუნის იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულმა ხელნაწერმა (Jer.2), საიდანაც განხორციელდა მისი პირველი პუბლიკაცია[20]. შემდგომში ტექსტი რამდენჯერმე გამოიცა, იგი შევიდა „ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ აკადემიური გამოცემის I ტომში (1963 წ.), 1923 წელს ტექსტი ლათინურად გამოსცა ბელგიელმა აღმოსავლეთმცოდნემ პ. პეეტერსმა[21].

გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ განსაკუთრებული ლიტერატურული და წყაროთმცოდნეობითი ღირებულების ნაწარმოებია. თხზულებაში მოთხრობილი ამბები იშლება VIII-IX საუკუნეების ქართული ისტორიული სინამდვილის ფონზე, როდესაც, არაბთა ბატონობის პირობებში, ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე რამდენიმე სამეფო-სამთავრო წარმოიქმნება, მათ შორის ტაო-კლარჯეთის სამთავრო. ამავე პროცესის თანამდევი მოვლენა

[16] ივ. ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, გვ. 119; კ. კეკელიძე, ლიტერატურის ისტორია, 145.

[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.175.

[18] ივ. ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, გვ.120.

[19] საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, გვ. 82.

[20] Н.Марр, Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзийского. გვ.1-82.

[21] P.Peeters, Annal. Bolland. t. 36-37, 1917-1919, გვ. 216-309.

იყო საეკლესიო მმართველობაში მცხეთის როლის დაქვეითება, რამაც ხელი შეუწყო ბერ-მონაზონთა როლის გაძლიერებას პერიფერიულ ცენტრებში (გარეჯა, კლარჯეთი).

ცნობას „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ავტორის შესახებ თხზულების ანდერძი გვაწვდის, სადაც იგი „მერჩულედ“, ანუ საეკლესიო სამართლის მცოდნედ, მოიხსენიება. თხზულების მთავარი გმირის, გრიგოლ ხანცთელის, ცხოვრების თარიღები და თავად ნაწარმოების დაწერის დრო გამოთვლილია თხზულებაშივე მითითებული ქრონოლოგიური ცნობების საფუძველზე: გრიგოლი გარდაცვლილა ქრონიკონით 81-ე წელს (780+81=861), ხოლო მისი „ცხოვრების“ ტექსტი დაწერილა გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ (951). ბოლო ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ „ცხოვრება“ გიორგი მერჩულეს უნდა დაეწერა X საუკუნის 30-იან წლებში. 951 წელს კი, თხზულების ავტორის, გიორგი მერჩულის, ხანცთის წინამძღვარ თეოდორესა და მისი ძმის, იოანეს, საერთო ნებით და მომგებლობით, გადაუწერიათ ამ დროისათვის განახლებული, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის სასწაულებით განვრცობილ-გადამუშავებული ცხოვრების ტექსტი[22].

„ცხოვრებაში“ აირეკლა ის ისტორიული გარემოებები, რომელთა ძალითაც ქართლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსაკენ თანდათანობით ინაცვლებს პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ცენტრები. ამ დროს იწყება კლარჯეთში ახალი სამონასტრო მოძრაობა, რომელიც დიდ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას პოულობს ადგილობრივ მთავართა და მხარის ხელისუფალთა მხრიდან.

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ავტორი, გიორგი მერჩულე, თავად ხანცთის მონასტრის ბერი, ბუნებრივია, კარგად იცნობდა იმ გადმოცემებს, რომლებიც, როგორც ხანცთის კრებულის, ისე კლარჯეთის სხვა უდაბნოთა მამების ხსოვნაში ცოცხლობდა ამ მხარის უდიდესი სასულიერო მოღვაწის შესახებ. ამიტომ, როდესაც მისი „ცხოვრების“ აღწერა განუზრახავს, შეუკრებია „ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა“. გარდა ზეპირი გადმოცემებისა, მას თვალწინ ჰქონდა გრიგოლ ხანცთელის ღვაწლის მატერიალური გამოხატულებანი – გრიგოლის და მის მოწაფეთა მიერ აშენებული მონასტრები და ხელთ ჰქონდა თავად გრიგოლის მიერ შედგენილი სამონასტრო „განგება“, „საწელიწდო იადგარი“ და გრიგოლის იერუსალიმელი მოწაფის მიერ მოძღვრისადმი გამოგზავნილი ეპისტოლე. წყაროებზე დაყრდნობით შექმნა გიორგი მერჩულემ უაღრესად საინტერესო და სანდო თხზულება, რომლის ცნობები, გარდა იმისა, რომ დადასტურებას პოულობს პარალელურ წყაროებში, ხშირად თავად წარმოადგენს ერთადერთ წყაროს აღწერილი ეპოქის პოლიტიკური, საეკლესიო, კულტურული თუ სოციალური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ[23].

მწერლის მდიდარი ენა და თხრობის უზადო სტილი, ბიბლიური შედარებები და ალუზიები,

---

[22] ც. კახაბრიშვილი, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ანდერძი, გვ.298-310. ავტორის მოსაზრება ემყარება ანდერძის ტერმინოლოგიურ, სტილურ და შინაარსობრივ ანალიზს, რაც ამავე ანდერძის ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ბაგრატ ერისთავთ ერისთავი უნდა იყოს ადარნასე (II) კურაპალატისა და ქართველთა მეფის ძე ბაგრატ ერისთავთა ერისთავი (937-945 წლებში – ბაგრატ (I) ქართველთა მეფე) და არა ბაგრატ (IV) ერისთავთ ერისთავი, ადარნასე (III) კურაპალატის ძე.

[23] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 153.

პერსონაჟთა სიმრავლე, ბუნებისა და ადამიანური ცხოვრების „ბერული ჭვრეტა“, მკაფიოდ წარმოაჩენს ავტორის ნიჭიერებას, მხატვრულ გემოვნებას და ღრმა განსწავლულობას – წმ. წერილის, ღვთისმეტყველების, კანონიკის, ლიტურგიკისა და პატერიკული ლიტერატურის საუკეთესო ცოდნას.

გიორგი მერჩულე ძალზე ფართო თვალსაწიერის მწერალია, რის გამოც მის თხრობაში ძალდაუტანებლად შემოიჭრება ხოლმე ურთიერთდაშორებული თემები – ბერ-მონაზონთა ასკეტური ღვაწლი და სასწაულთქმედებები; ბაგრატიონთა დინასტიიის წარმომადგენელთა ცხოვრების ეპიზოდები, მათ შორის ინტიმური თავგადასავლებიც; სასულიერო და საერო მოღვაწეთა ნაყოფიერი თანამშრომლობის საინტერესო მაგალითები, ზოგჯერ კი ფარული წინააღმდეგობის შემთხვევებიც, რის დროსაც „გამარჯვებულ მხარედ“ ყოველთვის ბერმონაზვნობა რჩება. თხზულების ავტორი, თავად ბერი და ბერული ცხოვრების აპოლოგეტი, ყოველი თემის გაშლისას ახერხებს განსაკუთრებული ღირსებებით წარმოაჩინოს ბერ-მონაზვნები, რომელთაც „აღირჩიეს ღმრთისათვს ადგილთა გლოვისათა, მსგავსად პირველთა მათ მამათა წმიდათა, რომელთა სიგლახაკესა შინა დიდსა მყოფთა, აღაშენნეს წმიდანი უდაბნონი თვნიერ ქუეყანისა მეფეთა ბრძანებისა...“ . მერჩულე ხოტბას ასხამს „ბერულ თავისუფლებას“, მისი შეხედულებით, ბერ-მონაზვნები, მათი ასკეტური ღვაწლისა და სულიერი გამოცდილების წყალობით „ქუეყანასა ზედა არა არავისსა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან“, ამიტომაც მათ წინაშე მორჩილად იდრეკენ ქედს „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“; სწორედ ბერ-მონაზვნები შეადგენდნენ მეფეთა „სულიერ ლაშქარს“, რადგან მხოლოდ მათ ლოცვას ძალუძს დაიცვას მეფეთა „სიმტკიცენი და საჭურველნი“[24]. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ შუა საუკუნეების ადამიანის აზროვნებაში ქვეყანა და სახელმწიფო პერსონიფიცირებული იყო მეფის პიროვნებაში, ამიტომ მერჩულის ეს სიტყვები შეიძლება გავიგოთ, როგორც მოწოდება სამეფო ხელისუფლებისადმი, დაყრდნობოდნენ ბერმონაზვნობას სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტისას.

სწორედ ბერმონაზვნური ცხოვრების ჭრილში გვაცნობს ავტორი მოთხრობის მთავარი გმირის დამსახურებებს და, ზოგადად, ბერმონაზვნური ღვაწლის უპირატესობას „ყოველთა სულიერთა და ხორციელთა“ დიდებაზე. ამ შეხედულებათა სრულყოფილი განსახიერებაა მოთხრობის მთავარი გმირი, გრიგოლ ხანცთელი. მის სახეში ავტორმა თავი მოუყარა ეპოქის წარმოდგენას იდეალურ ბერზე, რომლის ავტორიტეტს, გარდა ბერ-მონაზვნებისა, უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ტაო-კლარჯეთის მმართველი დინასტიის წარმომადგენლებიც.

გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების გზას ავტორი მომავალ თაობათა მისაბაძ მაგალითად სახავს სწორედ იმიტომ, რომ მან, პირველმა, მტრისაგან თუ ეპიდემიისაგან გავერანებულ მხარეში მძლავრი ბიძგი მისცა ახალ სამონასტრო მოძრაობას, რომელსაც შედეგად დიდი აღმშენებლობა, მოსახლეობის გამრავლება და სახელმწიფოებრივი აღორძინება მოჰყვა. გრიგოლ ხანცთელის მოწოდებაზე ეკლესია-მონასტრების შენებაში დიდი ენთუზიაზმით

[24] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.გვ. 269, 274 276, 296, 298.

ებმებოდნენ ადგილობრივი აზნაურები და უმაღლესი ხელისუფლები[25], რამაც ამ ორი წოდების ურთიერთობა კონსოლიდაციის მაღალ საფეხურზე გადაიყვანა. ამიტომ თავის გმირს ავტორი, ძველ მეუდაბნოეთა მსგავსად, „უდაბნოთა ქალაქმყოფელს“, „ზეცისა კაცს და ქუეყანისა ანგელოზს“ უწოდებს. ამ თანამშრომლობას ბუნებრივად მოჰყვა ეკლესიის კულტურული როლის გაძლიერება, საეკლესიო პირთა ავტორიტეტის განუხრელი ზრდა, ქართული სამწერლობო ენის განვითარება და მისი მაინტეგრირებელი ფუნქციის უფრო მაღალი, კულტურულ-სარწმუნოებრივი ასპექტით გააზრება.

გიორგი მერჩულის მიერ დახატული გრიგოლ ხანცთელი განსაკუთრებული თვისებებით (წარმომავლობა, მიზანსწრაფულობა, უკომპრომისობა, ნების სიმტკიცე, ორგანიზებულობა, შეზავებული მის გადამდებ ენთუზიაზმთან) დაჯილდოებული ადამიანია, რამაც იგი დიდი გავლენის მქონე პიროვნებად აქცია. მის სიტყვას გადამწყვეტი ძალა ჰქონდა კონფლიქტურ ვითარებებში (ჯავახეთის კრება, ცქირისადმი დამოკიდებულება, აშოტ კურაპალატისა და ადარნასეს პირადი ცხოვრება).

ტაო-კლარჯეთის მონასტრები დიდხანს სარგებლობდნენ გრიგოლ ხანცთელის მიერ შედგენილი ტიპიკონით, რომელშიც შერწყმული ყოფილა საბაწმიდური და კონსტანტინეპოლური სამონასტრო ცხოვრების განსხვავებული ტრადიციები. ტიპიკონში ზუსტად იყო გაწერილი სამონასტრო ღვთისმსახურების – სადღეღამისო ლოცვების, გალობის, მარხვების, მიცვალებულთა ხსენების წესები, სენაკებში ცხოვრებისა და კვების რეჟიმები და სხვ., რომელთა დაცვას თავად გრიგოლი ადევნებდა თვალყურს. წესები იმდენად მკაცრი ყოფილა, რომ გრიგოლი მონასტერში მოხვედრის მსურველებს გამოსაცდელ ვადას აძლევდა და მხოლოდ მისი გასვლის შემდეგ წყვეტდა, ვინ დაეტოვებინა კრებულში[26]. სამონასტრო ღვთისმსახურების დროს გამოსაყენებლად შეუდგენია გრიგოლს მთელ წელიწადზე გაწერილი საგალობელთა კრებულიც – საწელიწდო იადგარი [27].

გრიგოლის თანამზრახველნი აღზრდილი მოწაფეები, მოძღვრის მსგავსად, ეკლესია-მონასტერთა აღმშენებლობას (საბა, თეოდორე, ქრისტეფორე), ეწეოდნენ და ძმათა კრებულის ცხოვრებას ხელმძღვანელობდნენ. ბევრი მათგანი ქართული ეკლესიისათვის თვალსაჩინო მოღვაწეობით (საბა იშხნელი, ეფრემ მაწყვერელი, გიორგი მაწყვერელი, არსენ კათალიკოსი) ან ლიტერატურული საქმიანობის მიმდევრობით გახდა ცნობილი (მაკარი ლეთეთელი).

გრიგოლ ხანცთელი სიცოცხლის ბოლო წლებში კლარჯეთის მონასტრების არქიმანდრიტად (საერთო ზედამხედველად) აირჩიეს[28]. იგი განაგებდა „ყოველთა კლარჯეთის უდაბნოთ“, გარდა ოპიზისა, რადგან გრიგოლი თავისთვის დაუმსახურებელ პატივად მიიჩნევდა მხარეში ყველაზე ძველი და საპატიო მონასტრის გამგებლობას. არქიმანდრიტის თანამდებობა ერთგვარი შემაერთებელი რგოლი იყო ანჩის ეპარქიასთან, რომელსაც საეკლესიო ადმინისტრირებით კლარჯეთის უდაბნოები ემორჩილებოდნენ[29].

---

[25] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.გვ. 260, 262, 268. 273.

[26] იქვე, გვ. გვ. 265-267.

[27] იქვე, გვ. 282.

[28] იქვე, გვ. 276.

[29] იქვე, გვ. 303.

საკმაოდ ფართოა გიორგი მერჩულის თხრობის გეოგრაფიული არეალი. თხზულება საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ არა მხოლოდ ამ მხარის საეკლესიო გეოგრაფია, არამედ ტაო-კლარჯეთის იმჟამინდელი სამთავროს საზღვრები. გრიგოლი და მისი თანმხლები პირები VIII საუკუნის 80-იან წლებში ჩადიან ქართლიდან კლარჯეთში, აქ ისინი პირველად ჩერდებიან ოპიზაში, იმხანად ერთადერთ მოქმედ მონასტერში. ამის შემდეგ აშენებენ მეზობელ ხანცთაში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას, შემდეგ გუნათლეს დედათა მონასტერს. IX საუკუნიდან უფრო მასშტაბური ხდება სამონასტრო მშენებლობები – ამ საუკუნის 30-იან 40-იან წლებში აშენდა შატბერდი, ბერთა, მიჯნაძორი, ბარეთელთა, ჯმერკი, წყაროსთავი, პარეხი, დაბა, დოლისყანა. ყველა ეს მონასტერი კლარჯეთ-შავშეთის ტერიტორიაზე თავსდება, რომლებთანაც საკმაოდ ახლო მდებარეობდა სამთავროს რეზიდენცია არტანუჯი.

გრიგოლ ხანცთელი და მისი თანამოაზრე საბა კონსტანტინოპოლში ჩადიან იქაური მონასტრების მოსახილველად. მოგზაურობის მარშრუტი, როგორც ეს კარგად ჩანს მათი უკან დაბრუნების ეპიზოდში, გადის ამიერ და იმიერტაოზე. უკანა გზაზე, უკვე აშოტ კურაპალატის საბრძანებელში შემოსულები, ადგილობრივ მცხოვრებთაგან იგებენ მეფის გარდაცვალების ამბავს, შემდეგ აგრძელებენ გზას და მიადგებიან იშხანს, აქედან კი არტანუჯში ჩადიან ბაგრატ კურაპალატთან. ამ გეოგრაფიული მარშრუტის გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ აშოტ კურაპალატის, მის შემდგომ კი ბაგრატ კურაპალატის სამფლობელოში ორივე ტაო შედიოდა (ამიერი და იმიერი, „ტაონი“) [30]. ცხადია, სხვაგვარად ვერც საბა განაახლებდა იშხნის მიტოვებულ ეკლესიას. უფრო მოგვიანებით, მესხეთისა და ქართლის საზღვარზე თეოდორე და ქრისტეფორე ააშენებენ ნეძვისა და კვირიკეთის მონასტრებს[31]. აქ მთავრობს მირიან აზნაური[32], რომლის ინტერესები გარკვეულწილად იკვეთება გუარამ მამფალის პოლიტიკურ ინტერესებთან (არსენის კათალიკოსად არჩევა). გუარამ მამფალს, „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, ჯავახეთთან ერთად, დაუჭერია თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი[33]. ამიტომ ესწრებოდა ჯავახეთის საეკლესიო კრებას ერუშნელი ეპისკოპოსიც [34], რომელიც კრებაზე გრიგოლ ხანცთლის გადაწყვეტილებას (და არა გუარამ მამფლისას) დაეთანხმა. ამ

---

[30] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ.173-174.

[31] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.279; ამ მონასტრების ლოკალიზაციის შესახებ იხ. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 14-16.

[32] მესხეთის მთავარი მირეან აზნაური ჩორჩანელთა დიდ საგვარეულოს ეკუთვნოდა. იგი იხსენიება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც“, როგორც მირიან ბაჰლაუნდის ძე. ჩორჩანელთა მთავრობა დასრულებულა IX საუკუნის ბოლო ათწლეულებში, როდესაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებმა სამცხეში თვიანთი ძალაუფლება გაავრცელეს. ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაში ადგილობრივი „უფალი“ ფარსმანი ამ დროს უკვე ბაგრატიონთა მოხელე-ერისთვი ჩანს (იხ. Г.Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, გვ. 28. აგრეთვე: დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ.185). მთავარ ჩორჩანელთა ჩადგომამ ბაგრატიონთა სამსახურში გამოიწვია ამ საგვარეულოს ტაოში გადასვლა, სადაც საგვარეულო სახელი „ჩორჩანელი“ გადაიქცა „ჩორდვანელად“ (სავარაუდოდ, სომხურენოვანი მეტყველების ზეგავლენით). X საუკუნეში „ჩორდვანელი“ საგვარეულო სახელიც არის და იმავდროულად ოჯახის მეთაურის საკუთარი სახელიც. ამ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ იოვანე-ვარაზვაჩე, თორნიკე ერისთავი, მიქაელ მოდრეკილი, ეფთვიმე ათონელი და სხვ. (იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, გვ.52-57).

[33] ქართლის ცხოვრება, I, გვ.257.

[34] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 286-288.

ეპიზოდიდან ჩანს, რომ მთავართა ქიშპი ბერმონაზვნობისათვის მეორეხარისხოვანი იყო, რადგან მათ თვალში ერისკაცთა შორის სადავო მიწები („ქვეყნები“) ერთიანი სივრცე, ერთი „ქვეყანა“ იყო, სადაც ისინი თავისუფლად ეწეოდნენ სამონასტრო აღმშენებლობას და სადაც „ქართულ ენაზე“ აღავლენდნენ ღვთისმსახურებას.

„ცხოვრების“ მიხედვით, გრიგოლ ხანცთელის საქმიანობა სამთავროს ფარგლებსაც ცდება – აფხაზთა მეფე დემეტრეს (825-861) თხოვნით ერთი მონასტერი (უბᲗ) მან დასავლეთ საქართველოშიც (უბისა?) ააშენა[35], სადაც ეს-ესაა იწყებოდა ქართულ ღვთისმსახურებაზე გადასვლა.

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ ასახელებს რამდენიმე ეპარქიას: ა ნ ჩ ა ს, ახლად აღდგენილ ი შ ხ ა ნ ს, ე რ უ შ ე თ ს ა და ა წ ყ უ რ ს. „ცხოვრების“ თანახმად, შავშეთ-კლარჯეთის უდაბნოების წინამძღვრებს ანჩელი ეპისკოპოსი ასხამდა ხელს, მაგრამ თავად ანჩელ მღვდელმთავარს კლარჯეთის უდაბნოების წინამძღვართა წერილობითი დასტურის გარეშე ქართლის კათალიკოსი არ აკურთხებდა[36].

„ცხოვრებიდან“ ცნობილია ოთხი ანჩელი ეპისკოპოსის სახელი: ც ქ ი რ ი, რომელმაც ძალით დაიპყრო ანჩის საყდარი, ზ ა ქ ა რ ი ა, რომელმაც ბაგრატ კურაპალატთან ერთად მოიარა კლარჯეთის უდაბნოები, დაფანჩულთა საგვარეულოს წარმომადგენელი ე ზ რ ა ა ნ ჩ ე ლ ი და გიორგი მერჩულის თანამედროვე მ ა კ ა რ ი ა ნ ჩ ე ლ ი.

გიორგი მერჩულემ შემოგვინახა აგრეთვე ანაქორეტი ბერების (ხ უ ე დ ი ო ს ი, მ ი ქ ე ლ პ ა რ ე ხ ე ლ ი, ი ლ ა რ ი ო ნ პ ა რ ე ხ ე ლ ი), მონასტერთა დამფუძნებელ-წინამძღვრების (ოპიზის, ხანცთის, მიძნაძორის, წყაროსთავის), სამონასტრო კრებულის წევრების, მონასტერთა მაშენებელ-კტიტორების და განმაახლებლების სახელები.

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ უმნიშვნელოვანესი წყაროა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ისტორიისათვის. გიორგი მერჩულე კარგად იცნობს ბაგრატიონთა საგვარეულო გადმოცემას მათი ბიბლიური წარმომავლობის შესახებ, რომელიც მმართველი დინასტიისათვის ძალაუფლების საკრალიზაციის მთავარ იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენდა. ნაწარმოებიდან ვეცნობით აშოტის შვილებს, ა დ ა რ ნ ა ს ე ს, ბ ა გ რ ა ტ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ს (გარდ. 876) და გ უ ა რ ა მ მ ა მ ფ ა ლ ს (გარდ. 882), მათ შვილებს: ა დ ა რ ნ ა ს ე ს ძ ე ს გ უ რ გ ე ნ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ს, ბ ა გ რ ა ტ ი ს ძ ე ს დ ა ვ ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ს, გ უ რ გ ე ნ ი ს ძ ე ს ა შ ო ტ ე რ ი ს თ ა ვ თ ე რ ი ს თ ა ვ ს. ამ პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდები უმთავრესად ბერმონაზვნობასთან ურთიერთობის ჭრილშია მოთხრობილი[37]. სამთავროს წარჩინებულთაგან „ცხოვრება“ გვაცნობს ადგილობრივ დიდაზნაურებს: გ ა ბ რ ი ე ლ დ ა ფ ა ნ ჩ უ ლ ს და მ ი რ ე ა ნ ა ზ ნ ა უ რ ს, არსენ კათალიკოსის მამას[38]. ასევე ვეცნობით აფხაზთა მ ე ფ ე დ ე მ ე ტ რ ე ს. „ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ საერო ხელისუფალთა ქმედითი დახმარების გარეშე ბერმონაზვნობა, მხოლოდ საკუთარი ძალებით, ვერ გაუმკლავდებოდა მონასტრების შენება-განახლების რთულ საქმეს და ვერც იმ კულტურულ ნაყოფს მოიმკიდა, რომელიც თან სდევდა

[35] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 268.

[36] იქვე, გვ.303.

[37] იქვე, გვ.გვ. 276-277, 288.

[38] იქვე, გვ. გვ. 258-259, 287.

სამონასტრო ცხოვრებას.

აღსანიშნავია, რომ ამ მაღალი საერო წოდების წარმომადგენლები უდიდეს პატივს მიაგებენ ბერებს და ყოყმანის გარეშე უწევენ მატერიალურ დახმარებას. მათი სახეების ჩვენებით გიორგი მერჩულე ისეთ გარემოს ხატავს, სადაც მთელი საზოგადოება მოწიწების გრძნობითაა განმსჭვალული ბერებისადმი, პატივს სცემს მათ სულიერ მისიას და პიროვნულ ღირსებებს.

სამონასტრო მშენებლობათა აღწერისას ნაწარმოებში იკვეთება ბერ-მონაზვნებსა და წარჩინებულ საერო წოდებას შორის ურთიერთობის კიდევ ერთი ასპექტი, რომელსაც ღრმა ფესვები ჰქონდა ქართულ კულტურაში გადგმული და გამოიხატებოდა „ჴორციელისა“ და „სულიერის“ გაცვლაში (“შ ე ზ ა ვ ე ბ ა ”). პრაქტიკაში ეს ნიშნავდა, რომ კტიტორთა და მათი ოჯახების გარდაცვლილი თუ ცოცხალი წევრებისათვის მონასტერს საძვალე და მათ სახელებზე სამარადჟამო მოსახსენებლები და წირვა-აღაპი უნდა დაეწესებინა. მაგ., ხანცთა და გუნათლეს ვანი გრიგოლ ხანცთელმა გაბრიელ დაფანჩულის შემწეობით ააშენა, ამიტომ დაფანჩულთა სახლის მამაკაცი წევრები ხანცთაში იკრძალებოდნენ, ხოლო ქალები – გუნათლეში. შატბერდი ბაგრატ კურაპალატის ნებართვითა და სახსრებით აშენდა, სავარაუდოდ, იქვე იქნებოდა იგი დაკრძალული და ა.შ.

ამ მოკლე მიმოხილვაში შეუძლებელია ჩაეტიოს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მრავალმხრივი მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურული და ისტორიოგრაფიული აზროვნების ისტორიისათვის. ძეგლის შესახებ, მართლია, მრავალი საინტერესო გამოკვლევა შეიქმნა, მაგრამ იგი კვლავ ამოუწურავ საზრდოს აძლევს ქართული კულტურის მკვლევართ.

ბასილი ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მსგავსად, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაც“ სამონასტრო აღმშენებლობას ასახავს, რომელიც IX საუკუნის შუა ხანებში სამცხეში, კერძოდ, ზარზმაში, მიმდინარეობდა სერაპიონ ზარზმელის მოთავეობით. სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით X საუკუნის პირველ მესამედში, მისი „ცხოვრება“ აღუწერია სერაპიონისავე ძმისწულს, ბასილის, რომელიც შემდგომ თვითონაც ზარზმის წინამძღვარი გამხდარა[39].

„ცხოვრება“ ჩვენამდე XVII საუკუნის ხელნაწერით (A-69) არის მოღწეული. ავტორისეული ტექსტი არაა უცვლელი სახით შემონახული – XI საუკუნეში მას ინტერპოლატორის ხელში გაუვლია[40], მაგრამ ტექსტის ძირითადი ავტორისეული ფენა არსებითად ხელუხლებელი

[39] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.345.

[40] ე. გაბიძაშვილი არ ეთანხმება სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ აზრს, რომ „ცხოვრების“ ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი მეტაფრასული რედაქციაა. ტექსტში შეტანილი ყოველგვარი ფრაზეოლოგიური თუ კომპოზიციური ცვლილება, მისი აზრით, მეტაფრასირებად ვერ ჩაითვლება (იხ. მისი ქართული ორიგინალური აგიოგრაფია წიგნში: ნარკვევები II, გვ. 189-190).

დარჩენილა. თხზულების თავდაპირველი ვერსიის დათარიღების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანს კამათის საგნად იყო ქცეული. მას ათარიღებენ VI-VII (მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ა. ბოგვერაძე, ნ. ვაჩნაძე, მ. ჩხარტიშვილი) ან IX-X (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი,ე. გაბიძაშვილი, ე. ჭელიძე) საუკუნეებით. დავას იწვევს მიქელ პარეხელის ფიგურა, რომელიც ტექსტში, ერთი მხრივ, სერაპიონის მოძღვრადაა მოხსენიებული, მეორე მხრივ, შიო მღვიმელის (VI ს.) მოწაფედ. მიქელ პარეხელს, როგორც გრიგოლ ხანცთელის თანამედროვეს (IX ს.), ასევე კარგად იცნობს გიორგი მერჩულეც[41]. მიქელ პარხელთან ერთად საკამათოდ იქცა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟის, გიორგი მაწყვერელის, მოღვაწეობის დროც. ძნელი დასაჯერებელია, რომ VII საუკუნეში აწყურის კათედრას (იგი დაარსდა VII საუკუნეში) ისეთი ფართო საეკლესიო და სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილი მესაჭე ჰყოლოდა, როგორიც ჩანს „ცხოვრების" გიორგი მაწყვერლი[42], ასეთი შესაძლებლობის დაშვებას ეწინააღმდეგება VII საუკუნის სოციალური რეალობები.

ბოლო ხანებში „ცხოვრების" დათარიღებასთან დაკავშირებულ დისკუსიას ნიადაგი გამოაცალა ტექსტში მიქელ პარეხელთან დაკავშირებული ენობრივი მასალის, კერძოდ, „მოწაფის" უფრო ფართო კონტექსტში განხილვამ. როგორც გაირკვა, ეს ცნება შეიძლება გამოხატავდეს როგორც უშუალო მოწაფეობას, ასევე დროში საუკუნეებით დაცილებულ სულიერ მოწაფეობასაც, რომელიმე წმინდანის მიმდევრობას. ასეთ შემთხვევებში სრულებით არაა აუცილებელი ისტორიულ დროში თანხვედრა[43].

თხზულების ავტორი ბასილი ზარზმელი, მართალია, სერაპიონ ზარზმელის ძმისწული იყო, მაგრამ არა მისი თვითმხილველი. როდესაც ბასილი ზარზმაში ჩავიდა, მას ჯერ კიდევ ცოცხლები დახვედრიან სერაპიონის თანამოსაგრენი და მისი უშუალო მოწაფენი, რომელთაც კარგად ახსოვდათ მონასტრის დაარსების ამბავიც და წმ. მამასთან დაკავშირებული სასწაულებიც. ბასილი ზარზმელი, დარწმუნებული იმაში, რომ მამათა დიდი საქმენი შთამომავლობას მისაბაძ მაგალითად უნდა გადასცემოდა, გულმოდგინედ შესდგომია ცნობების შეკრებას „ცხოვრების" აღსაწერად. ამ მიზნით მას გამოუკითხავს ზარზმის ბერები, რომელთა ნაწილი პირადად იცნობდა მონასტრის ფუძემდებელს და თანამონაწილეც ყოფილა მოთხრობილი ამბებისა. განსაკუთრებული დახმარება გაუწევია მისთვის გიორგი მაწყვერელს, ოპიზის აღზრდილსა და ბევრი ამბის შემსწრეს[44]. გიორგი მაწყვერელს გიორგი მერჩულეც იცნობს და იმ პირთა შორის ახსენებს, რომლებსაც, მისი თქმით, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების აღწერა შეეძლოთ[45]. გიორგი მაწყვერელის ნაამბობი ბასილის ტექსტში პირველ პირშია ჩართული. ასე შეაგროვა ბასილიმ მრავალი ამბავი, რომლებიც სხვადასხვა ეპიზოდის სახით მოხვდა თხზულებაში. ეს ეპიზოდები შეეხება სერაპიონის მიერ სამონასტრო

---

[41] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 280-281.

[42] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქრთული საისტორიო მწერლობა, გვ.134-135; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ.146-149.

[43] ე. ჭელიძე, როდის დაიწერა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება"? გვ. 194; თ. ჯოჯუა, სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში" დადასტურებული... (ხელნაწერი).

[44]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 340.

[45] იქვე, გვ. 294.

ადგილის ძიებას, ადგილობრივი მთავრის (გიორგი ჩორჩანელი) მიერ გაწეულ დახმარებას[46], სამშენებლო პროცესისა და ყოფის საინტერესო დეტალებს, სერაპიონის სასწაულებს და ა.შ.

თხზულება შედგენილია გარკვეული პრინციპით დალაგებული თემატიკის მიხედვით: სერაპიონის მშობლები და ბავშვობა; სერაპიონის მოგზაურობა სამონასტრო ადგილის შესარჩევად. ამ თემის გაშლისას ბასილი ზარზმელი ისტორიულ სიმართლეს არ ღალატობს და დაუფარავად აღწერს, როგორ გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ ბერები სამონასტრო ადგილების გამო გლეხობის მხრიდან[47], ასევე, ჰყვება გიორგი ჩორჩანელის დისწულებს შორის ბიძის მემკვიდრეობის გამო მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების ამბავს და გიორგი მაწყვერლის როლს ამ კონფლიქტის მოგვარებაში[48]; შემდეგ აღწერს სერაპიონის სასწაულთქმედებებს და მის გარდაცვალებას; დასასრულ, ისევ სამონასტრო მშენებლობის თემას უბრუნდება და გვაცნობს საკუთარ ვინაობას.

ავტორი გვაწვდის ცნობებს ზარზმის მონასტრის წინამძღვრების შესახებაც. სერაპიონის შემდეგ ესენი ყოფილან: გ ი ო რ გ ი, მ ი ქ ა ე ლ ი, პ ა ვ ლ ე, ამ უკანასკნელს შეუმკია ეკლესია და ზარზმაში ფერისცვალების ხატი აღუმართავს[49]. პავლეს შემდეგ წინამძღვარი გამხდარა ბ ა ს ი ლ ი, თხზულების ავტორი. მისი ცნობები ავსებს გიორგი მეჩულის ცნობებს ოპიზის შესახებ – მის მაშენებლებად დასახელებული არიან (შესაძლოა, წინამძღვრებადაც იგულისხმებიან) წმ. მამები: ა მ ო ნ ა, ა ნ დ რ ი ა, პ ე ტ რ ე, მ ა კ ა რ ი. „ცხოვრება“ მდიდარია სამცხის ისტორიულ-გეოგრაფიული ონომასტიკონით: აღწერილია მიქელ პარეხელის მიერ სამცხეში წარმოგზავნილი სერაპიონისა და მისი თანმხლები პირების მარშრუტი (ბ ე რ ა ს ჯ უ ა რ ი, უ ტ ყ ვ ი ს ა, ძ ი ნ ძ ე); დასახელებულია ადგილობრივი ფეოდალის გიორგის სამფლობელოები: ჩ ო რ ჩ ა ნ ი, ზ ა ნ ა ვ ი, სანადირო ადგილი – ც ხ რ ო ჯ ა; ხეობათა და ტბის სახელწოდებები და მრავალი სხვ.

თხზულებაში ასახულია ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს სოციალური სინამდვილე – დიდი მთავრების (გ ი ო რ გ ი ჩ ო რ ჩ ა ნ ე ლ ი, მ ი რ ი ა ნ ბ ა ჰ ლ ა უ ნ დ ი ს-ძ ე – მას აიგივებენ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ მირიან აზნაურთან) ფართო უფლებები და სიმდიდრის წყარო (“სიმრავლე ერთა და აგარაკთაჲ”), მისი სამფლობელოების საზღვრები, სანადირო მარშრუტები და სადგომები. გიორგი ჩორჩანელის ნაანდერძევ ქონებაზე სამწლიანი საოჯახო დავის გადმოცემისას ვეცნობით ეპისკოპოს გ ი ო რ გ ი მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ ს, როგორც საჯარო-სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილ საეკლესიო პირს და იმ სამართლებრივ ნორმას (სადავო მიწების ჩამორთმევა ეკლესიის სასარგებლოდ), რომლებსაც იგი მიმართვს შინაური შფოთის ჩასახშობად.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მისი მიზანდასახულობა – მონასტერთა მაშენებლების სახელების უკვდავყოფა – სრულად ეხმიანება იმ ეპოქის სულისკვეთებას, რომელმაც, გარემოებათა გამო, სამონასტრო მოძრაობას მტკიცედ დაუკავშირა ქართული ეკლესიის კულტურული აღმავლობა

[46] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.გვ.325-326, 333-335.

[47] იქვე, გვ. 324.

[48] იქვე, გვ. 339-340.

[49] იქვე, გვ. 345.

და ქართული ფეოდალური წოდების ეთნოკულტურული თვითშეგნების გაღრმავება. თავისუფალი თხრობით, ცხოვრების რეალისტური სურათების სიუხვით, სოციალური და სამართლებრივი რეალიებით, მონათხრობის სანდოობით „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროა.

აბუსერისძე ტბელი, „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“

აბუსერიძე ტბელი XIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა (1240 წ-მდე). იგი იყო მრავალმხრივ განათლებული, ფართო დიაპაზონის მწერალი და მეცნიერი – ჰიმნოგრაფი, აგიოგრაფი, კალენდარულ-მათემატიკური გამოთვლების ავტორი, ისტორია-გენეალოგიის საკითხთა მცოდნე. მისი ორიგინალური თხზულებები სხვა ავტორთა თხზულებებთან ერთად შესულია 1233 წელს მისივე რედაქტორობით შედგენილ კრებულში – A-85 (იხ. იშხანი). ამჯერად საუბარი იქნება აბუსერისძე ტბელის აგიოგრაფიულ თხზულებაზე „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“. თხზულება დაწერილია ხიხანში, აბუსერისძეების ციხესიმაგრეში, იმ დროს, როდესაც აქ წმ. გიორგის სახელობის საგვარეულო ეკლესია შენდებოდა. თხზულება მხოლოდ პირობით შეიძლება მიეკუთვნოს აგიოგრაფიულ ჟანრს, რამდენადაც იგი არ არის შედგენილი ჟანრის კანონების ზუსტი დაცვით და უმეტესწილად მოგვითხრობს აჭარელი გლეხის, ბ ო ლ ო კ - ბ ა ს ი ლ ი ს თავგადასავალს და მის მიერ წმ. გიორგის სახელობაზე ეკლესიის შენების ამბავს. თხრობაში ჩართულია წმ. გიორგის სასწაულები, რომელთა გეოგრაფიული არეალი შორს სცილდება აჭარას. წმინდანი სასწაულებრივად ეცხადება ადამიანებს და ეხმარება მათ – უპირველესად თავად ბოლოკ-ბასილს მძიმე ლოდების ეკლესიასთან მიტანაში. ერთ ყრმას, რომელიც ალავერდის წმ. გიორგის სასწაულებრივ გადაუყვანია განძიდან ალავერდში, ასევე სასწაულებრივ დაუხსნია ცხმორისელი ტყვეები და სხვ. ეს ამბები მოთხრობილია ლაკონურად, ხალხურ კილოზე, რაც მათ ზღაპრის ენასთან აახლოვებს, სიმსუბუქეს და ერთგვარ იუმორსაც ჰმატებს. თხრობის ეს სტილი, უეჭველია, მომდინარეობს ავტორის ზეპირი წყაროდან, რომელსაც იგი გვაცნობს – ესაა მისი მთხრობელი, ბოლოკ-ბასილის შვილიშვილი, ი ო ს ე ბ ი. თხზულების გამომცემელი, ლ. მუსხელიშვილი ამ ამბებს ანეგდოტების კრებულსაც უწოდებს, როგორიც მრავლად იცის შუა საუკუნეების ლიტერატურამ[50].

მიუხედავად თხრობის მიამიტური სტილისა, აბუსერისძე ტბელის ეს მოთხრობა არ არის მოკლებული ისტორიულ ღირებულებას. ბოლოკ-ბასილი ერისკაცია, ქვით ხურო, რომელიც მოსარეწად მთიანი აჭარიდან ქვემო ქართლში („სომხითში“) მიდის. მას აქვს ქვის საკაფი რკინის იარაღი, რომელიც თავად გამოუჭედავს[51]. ამ იარაღისა და ერთი ჯორის ამარა ბოლოკ-ბასილი მარტო კვეთს პიტალო კლდეებს და წმინდანის მიერ შერჩეულ ადგილას ეკლესიის ასაგებად ლოდებს ეზიდება.

თხზულებაში დაცული ტოპოგრაფიული მინიშნებების მიხედვით, აბუსერისძეთა სამკვიდრო მამული ხ ი ხ ა ნ ი სამცხე-აჭარის საზღვარზე მდებარეობდა. ამავე სახელწოდების

[50] აბუსერისძე ტბელი, გვ.2-3.

[51] იქვე, გვ.14.

ციხესიმაგრე (ხიხათა) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმაგრე ყოფილა ახალციხე-არტაანი-ბათუმის გზების შესაყარზე[52]. დაახლ. თამარის მეფობის დასაწყისში ხიხათა ციხე თურქებს ჩაუგდიათ ხელში და აბუსერისძეებს იგი ბრძოლით გამოუხსნიათ. თხზულება ეხმიანება ხვარაზმელთა შემოსევის ამბავსაც – მათი შიშით მოსახლეობა სამცხე-აჭარიდანაც გახიზნულა (ალბათ დასავლეთ საქართველოში)[53].

აბუსერისძე ტბელის „სასწაულები“ ორიგინალური ლიტერატურული ნააზრევია, სასაუბრო ენასთან დაახლოებული თხრობით, ყოფითი დეტალებით და აგიოგრაფიული კლიშეების უგულვებელყოფით იგი სრულიად განცალკევებით დგას ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში.

ქრონიკები

სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“

სუმბატ დავითის ძე, XI საუკუნის შუა წლების მოღვაწე, ავტორია ბაგრატიონთა საგვარეულო ქრონიკისა, რომელიც VI-XI საუკუნეების ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. სუმბატის ქრონიკა, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ ორ ნუსხაში (მარიამისეული და მაჩაბლისეული). ქრონიკა ისე მოულოდნელად წყდება XI საუკუნის 30-იანი წლების მოვლენებზე, რომ იგი დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამასთანავე, „უწყების“ ავტორის ცოდნა თანადროული ისტორიული რეალიების შესახებ არ იძლევა საშუალებას, რომ თხზულების დაწერის ზედა ზღვარი 1064 წელს იქით გადაიწიოს[54]. ამიტომ ფიქრობენ, რომ ქრონიკა, რადგანაც 1031 წელზე წყდება, ბოლონაკლულია[55]. ავტორი, დიდი ალბათობით, თავადაც ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი (დ. კარიჭაშვილი, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. გელაშვილი), მომსწრეა იმ რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოვლენებისა, რომლებიც თან სდევდა ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის პროცესს. ამიტომ მას მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანი აქვს – მან არათუ სამეფო დინასტიის ისტორია უნდა გადმოსცეს, არამედ უნდა დაასაბუთოს ბაგრატიონთა რჩეულობა, მათი, როგორც ღვთაებრივი ნების განმახორციელებელი საგვარეულოს უალტერნატივობა და სიკეთე მთელი ქვეყნისათვის; მათი უპირატესი უფლებები სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში. ამ მიზანდასახულობასთან არის უშუალოდ დაკავშირებული სუმბატ დავითის-ძის მიერ, ერთი მხრივ, ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმომავლობის ძველისძველი გადმოცემის „გალიტერატურულება“, მეორე მხრივ, მისი მკაფიოდ გამოვლენილი პატივისცემა ღვთაებრივი ძალაუფლების მატარებელ „ბერძენთა მეფისადმი“[56]; სუმბატ დავითის-ძის მსოფლმხედველობის ანარეკლი ჩანს მის კრიტიკულ განწყობაში აზნაურთა მიმართ, რომელთა „ბოროტთა საქმეთა“ და „ღადრობათაგან“ არაერთხელ დაზარალებულა როგორც

[52] Г. Казбек, Три месяца в турецкой Грузии, გვ.23.

[53] აბუსერისძე ტბელი, გვ.გვ. 10, 16.

[54] სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, გვ. 21-22.

[55] იქვე, გვ. 20-21.

[56] იქვე, გვ. 13

ქართველ[57], ასევე, ბერძენ მეფეთა „კეთილი“ განზრახვები.

ამ მიზანდასახულობის შესაბამისად აგებს თხრობას სუმბატ დავითის ძე, მაგრამ მისი თხრობის სტილი და ინფორმაციის მოცულობა თხზულების ყოველ ცალკეულ მონაკვეთში იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელ წყაროს ემყარება ავტორი. ქრონიკის პირველ ნაწილში სუმბატი იყენებს ბაგრატიონთა საგვარეულოში მოარულ ზეპირგადმოცემას ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველისაგან. სუმბატის ცოდნა რომ ზეპირგადმოცემაზეა დამყარებული, ამას მოწმობს ამავე გადმოცემის მეტ-ნაკლებად მსგავსი ვერსიების არსებობა ქართულ (ჯუანშერი, გიორგი მერჩულე) სომხურ (მოსე ხორენელი, იოანე დრასხანაკერტელი) და ბერძნულ-ბიზანტიურ (კონსტანტინე პორფიროგენეტი) წყაროებში. მკვლევართა უმრავლესობა ლეგენდის წარმოშობის დროს უკავშირებს აშოტ I ბაგრატიონის, ტაო-კლარჯეთის სამთავროს ფუძემდებლის, მმართველობის პერიოდს[58]. ეს მოსაზრება ემყარება ქართულ ისტორიოგრაფიაში ვარდან დიდის (XIII ს.) ცნობაზე დაფუძნებულ თვალსაზრისს, რომ ბაგრატიონთა ისტორიას ქართლში სათავეს უდებს VIII საუკუნეში სომხეთიდან დევნილი ადარნასე ბაგრატუნი, რომლის მამა „დამზახებული“ იყო კლარჯ ბაგრატიონებთან. ამ უკანასკნელის შვილი ჩანს აშოტ I ბაგრატიონი[59]. საკითხში მეტი სიცხადე შეიტანა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალ კოლექციაში აღმოჩენილმა მინაწერმა, რომელშიც ქართველ ბაგრატიონთა („კურაპალატიანთა“) დედად გამოცხადებულია ლატავრი, ერისმთავარ სტეფანოზ I-ის ასული და ერისმთავარ ადარნასე I-ის და (VII ს.)[60]. ამ მინაწერმა დაადასტურა სუმბატ დავითის ძის ლეგენდარულ მონათხრობში არსებული ქრონოლოგიური ცნობების სანდოობა და, ამასთანავე, მეტი დამაჯერებლობა შესძინა ლეგენდის პარალელურ ვერსიებში არსებულ ისტორიულ დანაშრევებს [61].

სუმბატ დავითის ძემ ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან მომდინარეობის შესახებ მოსმენილი ზეპირი გადმოცემა ჩაიწერა და შეავსო იგი ბიბლიური გენეალოგიით (ლუკას და მათეს სახარებების მიხედვით), აგრეთვე ჩაუმატა კლეოპა, მარიამ ღვთისმშობლის ქმრის, იოსების ძმა (ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიიდან“), შემდეგ გენეალოგიური შტო კლეოპას ხაზით გააგრძელა ქართლში მოსულ ძმებამდე[62]. რადგან სუმბატი ბაგრატიონთა პირველ წინაპრად (პირველ მოსულად) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გუარამს (VI ს.) მიიჩნევს, უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო ადრეული მოვლენები ბაგრატიონთა ისტორიიდან მისთვის უცნობი იყო. გუარამის ერისმთავრობის შემდგომი ამბების თხრობისას, აშოტ I კურაპალატამდე, სუმბატ დავითის-ძე ეყრდნობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკას და მასთან ერთად იმეორებს იმ უზუსტობებს, რომლებიც ამ წყაროს ახასიათებს VII-VIII საუკუნეების ქართლის ერისმთავართა ჩამოთვლისას[63], ხოლო ამავე პერიოდის კახეთ-

[57] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ.195;.

[58] Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратидах, с.14.

[59] ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ.36.

[60] ზ. ალექსიძე, უძველესი ცნობა ბაგრატიონთა დინასტიის შესახებ, გვ. 121.

[61] მ. სურგულაძე, ბაგრატიონთა წარმოშობის ბიბლიური ლეგენდა, გვ.11-14.

[62] გ. მამულია, სუმბატ დავითის-ძის ერთი წყაროს შესახებ, გვ.115-116.

[63] სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, გვ. 23-24.

ჰერეთის მოვლენათა აღწერისას იყენებს ჩვენთვის უცხო წყაროს[64], რომელიც შორეულად ჩამოჰგავს ჯუანშერის ცნობებს ადარნასე ბრმის (სომხეთიდან) ძმისწულების არჩილთან შემოხიზვნის შესახებ[65]. სუმბატის ტექსტის ამ მონაკვეთში, რომელშიც შეზავებულია მითოლოგიური და ისტორიული თხრობის ელემენტები, გუარამის ძმები ეუფლებიან ჰერეთსაც. ზოგი მკვლევარი ამ გადმოცემაში არაბობის დროინდელი ჰერეთის სამთავროს დაარსების ფაქტის ანარეკლს ხედავს[66].

ქრონიკის შემდგომი ნაწილი ყველაზე თანამიმდევრული და გამართულია, რადგან იგი ემყარება ბაგრატიონთა საგვარეულოს ქრონიკულ ჩანაწერებს და, როგორც ირკვევა, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების წარწერებს[67]. ამ ნაწილში ავტორი შედარებით მეტს ჰყვება აშოტ I კურაპალატზე: მისი მთავრობა ბარდავსა და ტფილისში, არაბებთან კონფლიქტი, შემდეგ ჩასვლა „ქუეყანად საბერძნეთისა“ - ომგადახდილ და გავერანებულ კლარჯეთ-შავშეთში, მის მიერ „ქვეყნების“ შემომტკიცება და გახელმწიფება „ნებით ბერძენთა მეფისათა“, არტანუჯის აშენება და გარდაცვალება[68]. ამის შემდეგ სუმბატი თხრობას აგრძელებს ძალზე შეკუმშული ერთგვაროვანი ფრაზებით – ყოველ ცალკეულ ისტორიულ პერსონაზე საერთო სქემის მიხედვით ჩამოთვლის მსგავს ფაქტებს: პირის მამისშვილობა, სამფლობელო, ადგილობრივი ან ბიზანტიური ტიტული, აღმშენებლობა, გარდაცვალების წელი, შთამომავლობა. სუმბატის ქრონიკის ბოლო ნაწილი, რომელშიც XI საუკუნის ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკური პერიპეტიებია მოთხრობილი, გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს „მატიანე ქართლისაჲსთან“. ამ მსგავსებამ, ბუნებრივია, გამოიწვია კამათი იმის შესახებ, სუმბატ დავითის-ძე ეყრდნობოდა „მატიანეს“, თუ „მატიანე“ – სუმბატს. ამ კამათის დროს გამოიკვეთა მესამე პოზიციის საბუთიანობა, რომელიც ვარაუდის სახით ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა, რომ სუმბატ დავითის-ძე და „მატიანის“ ავტორი ჩვენთვის უცნობ საერთო წყაროს იყენებენ[69].

სუმბატ დავითის-ძის თხზულება გამოირჩევა გენეალოგიურ და ქრონოლოგიურ ცნობათა სიუხვით, ფაქტოლოგიურ მონაცემთა სანდოობით. ყველა მისი ცნობა თანხვედრას პოულობს ეპიგრაფიკულ მასალასთან (მაგ., მცხეთის ჯვრის წარწერები), ხელნაწერთა მინაწერებსა (Sin. 48-50) და სხვა ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებთან (გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, იაჰია ანტიოქელი). „უწყებაჲ“ გამოცემულია რამდენჯერმე, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებთან ერთადაც და ცალკე (ე. თაყაიშვილი, გ. არახამია), თარგმნილია რუსულად (მ. ლორთქიფანიძე).

---

[64] იქვე, გვ.16.

[65] ჯუანშერი გვ.244.

[66] მ. სანაძე, ქართველთა ცხოვრება, III, გვ. 429.

[67] ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ.15.

[68] სუმბატ დავითის-ძე, გვ.376-377.

[69] Ш. А. Бадридзе,“Ѧартлис цховреба“ о грузино-византийских взаимоотношениях, გვ. 51-52.

მესხური დავითნის ქრონიკა

მესხური დავითნის ქრონიკა (S-947) XVI საუკუნის მეორე ნახევრის (1559-1587) სამცხე-საათაბაგოს ისტორიულ მოვლენებს გადმოგვცემს. ქრონიკა ერთვოდა ათაბაგთა ოჯახის კუთვნილ ფსალმუნს და იწერებოდა დროდადრო, ათაბაგთა ოჯახური ამბების (ოჯახის წევრთა დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება) და საათაბაგოში მომხდარი მნიშვნელოვანი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მოვლენების აღსანუსხად. ვახუშტი ბატონიშვილი იცნობდა ათაბაგთა ფსალმუნის ამ ნუსხებს (იგი ხუთ წიგნად ყოფილა გაყოფილი) და მას „მესხური დავითნის“ სახელწოდებით მოიხსენიებს. შემდგომში ხელნაწერის ქრონიკული ნაწილი, ფსალმუნთა ტექსტის გარეშე, პლატონ იოსელიანის ბიბლიოთეკაში მოხვედრილა, სადაც იგი აღმოაჩინა დიმიტრი ბაქრაძემ[70].

„ქრონიკა“ გადმოგვცემს ათაბაგთა წინააღმდეგ ადგილობრივ თავადთა 1576 წელს დაწყებული ამბოხების ამბავს, რომელსაც შალიკაშვილთა საგვარეულო მეთაურობდა. „ქრონიკაში“ აღწერილია, როგორ დაუნდობლად არბევდნენ ერთმანეთს ათაბაგთა მომხრეები და მოწინააღმდეგეები მთელი ოცი თვის განმავლობაში. საათაბაგო სახლის ფაქტობრივი გამგებელი, მუხრანელ ბაგრატიონთა ასული დედისიმედი, ქაიხოსრო II (1545-1573) ათაბაგის ქვრივი, ამაოდ ცდილობდა ირანიდან დახმარების მიღებას. ამასობაში (1578) საათაბაგოში ლალა-ფაშა შემოდის ოსმალთა უზარმაზარი ჯარით. „ქრონიკაში“ ოსმალებთან მესხების ერთი ნაწილის გმირული ბრძოლის ცალკეული ეპიზოდებიცაა ასახული და ათაბაგთა სახლის მხრიდან ლალა ფაშას გულის მოგების მცდელობებიც[71]. „ქრონიკის“ ავტორად მიჩნეულია დედისიმედი[72], რომელიც თვითმხილველი და მონაწილეა ქრონიკაში გადმოცემული ისტორიული მოვლენებისა. ამის გამო „ქრონიკის“ ცნობებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მოცემული პერიოდის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციისათვის[73]. „მესხური ქრონიკის“ ჩანაწერების სანდოობა დადასტურებულია ოსმალური და ევროპული წყაროებით[74] (ფეჩევი, ჰამერი, შვაიგერი), ისინი საინტერესო დეტალებით ავსებენ ძმების, ყვარყვარე IV ათაბაგისა და მანუჩარის სტამბულში ყოფნის ეპიზოდს, მანუჩარის მიერ ისლამის მიღებას, ყვარყვარეს დაინტერესებას გერმანელი მისიონერებით და ევანგელურ-რეფორმისტული ეკლესიით[75].

---

[70] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, XV-XVI სს. გვ. 102.

[71] იქვე, გვ. 47.

[72] თ. ჟორდანია, ქრონიკები II, გვ.527; ს. კაკაბაძე, ვინაობა მესხური ქრონიკის ავტორისა, თფილისი, 1912, გვ. 4; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, XV-XVI სს. გვ. 125-126.

[73] ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, საქართველო XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, გვ.125-129.

[74] მ. სვანიძე, სამცხე-საათბაგოს ისტორიიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 57-60.

[75] ნ. პაპუაშვილი, ძმები ათაბაგები კონსტანტინოპოლში და აუგსბურგის აღსარება, მოხსენება, წაკითხული ილია აბულაძისადმი მიძღვნის სამეცნიერო კონფერენციაზე, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017, 20 დეკემბერი.

სამართლის ძეგლები

ვაჰანის ქვაბთა განგება

ჯავახეთში, ასპინძის მახლობლად მდებარეობს ვანის, იგივე ვაჰანის ქვაბები. ესაა ქვაბული სამონასტრო კომპლექსი, რომლის ხუროთმოძღვრება თავად მეტყველებს აქ ადრეულ შუა საუკუნეებში მეუდაბნოე ბერთა არსებობაზე. ერთიან ქართულ მონარქიაში ეს ადგილიცა და მონასტერიც ფეოდალურ სამფლობელოდ იქცა – XII საუკუნეში იგი გურგენისძეთა ფეოდალური სახლის საკუთრებას წარმოადგენდა, XIII საუკუნეში - მხარგრძელთა თმოგვურ განშტოებას. ამ განშტოების წარმომადგენელს, ერისთავთ ერისთავ თმოგველ მხარგრძელს 1204-1234 წლების შუალედში მონასტრისათვის შეუდგენია სამონასტრო წესდება (ტიპიკონი)[76], რომელმაც დაზიანებული ეტრატის გრაგნილის სახით ჩვენს დრომდე მოაღწია (A-933). კტიტორი თავად განუსაზღვრავს მონასტერს მღვდელთა, მთვარდიაკონთა და მწირთა რაოდენობას, წინამძღვრის არჩევისა და გადადგომის წესებს, ადგენს სამონასტრო მსახურების დისციპლინურ ნორმებს, სნეულთა მოვლის წეს-ვალებულებებს, სტუმრების მიღება-გამასპინძლების ფორმებს, მომსახურე ბერთა გასამრჯელოს ოდენობას; უკრძალავს მონასტრის ძმებს სხვა (მონასტრის გარეთ) მოძღვრის ყოლას, ერისკაცთა მოხელეობას, მოფარდულობას (ვაჭრობას), ღვინის სმას, შფოთს და ა.შ[77].

XIV-XV საუკუნეებში მონასტერი გადასულა ღარიბასძეთა საგვარეულოს საკუთრებაში[78]. ტიპიკონის ხელნაწერზე მრავლადაა შემორჩენილი ღარიბასძეთა სააღაპე შეწირულობების ჩანაწერები. სწორედ ამ ჩანაწერებში მოხსენიებულმა ტოპონიმებმა: ვარძია, ზედა-ვარძია, ორხოფია, თმოგვი, კუმურდო, ტოლოში, ფია, მირაშხანი, ერკოტა, ჭაჭკარი და სხვ., გახადა შესაძლებელი მოცემული მონასტრის ზუსტი ლოკალიზაცია, მაშინ, როდესაც ვანის/ვაჰანის სახელწოდებით არა ერთი მონასტერია ცნობილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში[79].

---

[76] ვაჰანის ქვაბთა განგება, პირველად 1896 წ. გამოსცა თ. ჟორდანიამ კრებულში: ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, მეორედ, 1939 წ. კრიტიკულად დადგენილი ტექსტით, გამოკვლევითა და სამეცნიერო აპარატით ლ. მუსხელიშვილმა.

[77] ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ.61-91.

[78] იქვე, გვ.19.

[79] იქვე, გვ. 12.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი

XIII საუკუნის ბოლო მესამედში ისტორიული ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალი მთლიანად მოექცა სამცხე-საათაბაგოს ნახევრადდამოუკიდებელ სამთავროში. XIII- XIV საუკუნეთა მიჯნაზე საათაბაგოს მთავარმა და იმავდროულად საქართველოს სამეფოს მანდატურთუხუცესმა ბექა ჯაყელმა (1285-1308) შეადგინა კანონთა კრებული – „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე", რომელიც შემდგომ დამატებითი მუხლებით შეავსო მისმა შვილიშვილმა, საქართველოს ამირსპასალარმა და სამცხის ათაბაგმა აღბუღა ჯაყელმა (1361-1391). შემდგენლების სახელების მიხედვით, ეს სამართლის კოდექსი „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის" სახელით არის ცნობილი. ეს ძეგლი მხოლოდ ორი ხელნაწერითაა შემონახული: ერთია 1672 წელს გადაწერილი ნაკლული ხელნაწერი (Q-206) და მეორე – 1708 წლის ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი სამართლის წიგნთა კრებული (S-3683). ამ სამართლებრივი ძეგლის მოქმედების არეალში თვდაპირველად მესხეთისა და ჯავახეთის თემები შემოდიოდა, რომლებიც იმ დროისათვის საქართველოს ერთ მესამედს შეადგენდა[80], მაგრამ, რამდენადაც მასში ასახული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, ისევე, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტები, მთელ საქართველოში მსგავსი იყო, იგი XVIII საუკუნემდე პრაქტიკულად საქართველოს ყოველ კუთხეში გამოიყენებოდა[81].

„ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში" შეტანილია სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმები, საპროცესო სამართალწარმოების წესები, ასახულია კომპოზიციის სისტემის მოქმედების წესები, დასახელებულია ძეგლის თანადროული ფულადი ერთეულები. სისხლის სამართლის სფეროდან სამართლის წიგნში კოდიფიცირებულია ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცილისწამება, მუქარა, შეურაცხყოფა, ქალის მოტაცება, ცოლქმრული ღალატი, ქურდობა, სხვისი ქონების განზრახ დაზიანება და ა.შ. სამოქალაქო სამართლის სფეროდან განხილულია საკუთრების უფლება, გირავნობა, ნასყიდობა, სესხი, ჩუქება, თავდებობა, საოჯახო სამართლის საკითხები, მემკვიდრეობითობა და სხვ. ბექა-აღბუღას სამართალში არეკლილია მოცემული ეპოქის სოციალური ყოფისათის დამახასიათებელი ყველაზე ნიშანდობლივი მოვლენებიც. ყოველივე ამის გამო იგი პირველხარისხოვან საისტორიო და სამართლებრივ წყაროდ არის მიჩნეული[82].

---

[80] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. 6, 1982, გვ.108.

[81] თ. პაპუაშვილი, კანონმდებლობა, გვ. 847.

[82] ბექა-აღბუღას სამართლის წიგნები XIX საუკუნეში ითარგმნა რუსულად (Сборник законов грузинского царя Вахтага VI, 1887); ადათობრივ სამართალთან მიმართებით მათ საინტერესო ნაშრომი უძღვნა ნ. ურბნელმა (იხ. ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი), ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, ტფილისი, 1890); რუსულ თარგმანზე და ნ. ურბნელის გამოკვლევაზე დაყრდნობით ძეგლი შეისწავლა ავსტრიელმა მეცნიერმა ი. კარსტმა (იხ. Code d'Aghbougha ou recueil des lois de Béka, d'Achbougha et du statut Bagrato-Davidien / édition du code en version française par J. Karst. Strasbourg: Heitz & Cie, 1938. ძეგლის სხვადასხვა ასპექტით შესწავლის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს სამართლის ისტორიის ქართველმა მკვლევრებმა (იხ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, ამავე ავტორის გამოცემა: ქართული სამართლის ძეგლები, I, თბილისი, 1963, გვ.423-473 (ტექსტი); გვ. 621-625 (კომენტარები); ზ. რატიანი, საქართველოს სოციალური წყობა XIII-XIV საუკუნეებში: ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი მიხედვით, თბილისი, 1970.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში ასახული სამართლებრივი ინსტიტუტები

სისხლის სამართალი

	დანაშაულის კატეგორიები	მუხლები
1	მკვლელობა	1, 4, 7, 15-17, 22, 36, 38, 96-97
2	სხეულის დაზიანება	5-6, 8, 18
3	შეურაცხყოფა	18-21
4	ცილისწამება	40, 50, 86
5	სქესობრივი დანაშაული	23, 26, 41
6	ქალის მოტაცება	24, 27, 39, 41, 46-47
7	ცოლის ან ქმრის დაგდება	29, 30, 32, 46
8	გაძარცვა	12-14, 17, 19, 25, 33, 35, 37, 47, 80, 97
9	ქურდობა	62-63, 65-66, 92
10	მექრთამეობა	90
11	ღალატი	33, 40, 59
12	ადამიანის ან ნივთის თვითნებურად დაჭერა	18, 74, 80

სამოქალაქო სამართალი

	სამართლებრივი ინსტიტუტები	მუხლები
1	საკუთრების უფლება	42-44, 51-55, 58-59, 71-78, 91-92, 94, 98
2	გირავნობა	43-44, 83, 94-95
3	ნასყიდობა	45- 55-56, 64, 71, 89, 95
4	მიბარება	53-54, 87-88
5	სესხი	83, 93-95
6	ჩუქება	34, 61, 85
7	ქირავნობა	70, 79
8	თავდებობა	68-89
9	თხოვება	67
10	საოჯახო სამართალი	31, 34, 39, 48-49, 72-73
11	მემკვიდრეობა	57, 59, 81-82

საპროცესო სამართალი
(სასამართლო წყობილება და სასამართლო წარმოება)

	სამართლებრივი ინსტიტუტები	მუხლები
1	პატრონი ათაბაგი და მაწყუერელი	1, 4, 18, 22, 25, 33, 40
2	ბჭე და ბჭობა	3, 4, 20, 27, 34, 84, 88, 90, 97
3	შუაკაცი	6, 13, 39, 49, 52, 83-84, 92
4	ფიცი და მოფიცარნი	4, 27, 33, 35, 37, 62-63, 65-66, 85-86, 91, 97
5	მოწმე	16, 50, 86, 91-92
6	წერილობითი საბუთები	60, 68-72, 76

მინაწერები, მოსახსენებლები და სულთა მატიანეები

კორიდეთის ბერძნული ოთხთავის მინაწერები. კორიდეთის ბერძნული ოთხთავი[83] IX საუკუნით თარიღდება. იგი ეკუთვნოდა ს. კორიდეთის ღმრთისმშობლის ეკლესიას, რომელიც მდებარეობდა მდ. ჭოროხის აუზში, მურღულას ხეობაში (თანამედროვე თურქეთი). XIV საუკუნეში ხელნაწერი გადაუტანიათ ზემო სვანეთში წმ. კვირიკეს სახელობის ეკლესიაში (ლაგურკა). ამ დროს იგი უკვე დაშლილი ყოფილა და „შეუკაზმავთ“ ერისთავთ ერისთავ ბეშქენის ბრძანებით[84].

კორიდეთის ეკლესიაში ბერძნული ღვთისმსახურების არსებობა, რისთვისაც იყენებდნენ ბერძნულ ოთხთავს, ცხადია, განაპირობა ბერძნულენოვანი მრევლის არსებობამ. ტექსტის არშიებზე მოთავსებულია ადრინდელი ბერძნული (9 ერთეული) და უფრო გვიანდელი ქართული (24 ერთეული) მინაწერი საბუთი, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან მოცემული მხარის ტოპონიმიასა და ანთროპონიმიაზე, ზოგადად, დემოგრაფიულ ვითარებაზე, ფულის ერთეულებზე, სოციალურ ურთიერთობებსა და მოქმედ სამართლებრივ ნორმებზე.

მინაწერთა ავტორები არიან IX-X საუკუნეებში აჭარასა და მის მიმდებარე შავშეთ-კლარჯეთში მცხოვრები ბერძნები.

კორიდეთის ოთხთავის მინაწერები, დანიშნულების მიხედვით, განეკუთვნება XI-XIII საუკუნეებში ადგილობრივი არისტოკრატიის მიერ კორიდეთის ეკლესიისათვის ბოძებულ შეწირულების ან საგადასახადო შეუვალობის იურიდიულ აქტებს. ხელნაწერის სვანეთში მოხვედრის შემდეგ XIV საუკუნეში მისთვის მიუმატებიათ კიდევ ერთი იურიდიული საბუთი, რომელიც კალის ხევის მცხოვრებთა ერთობის პირობას წარმოადგენს.

ოთხთავის მინაწერები არაერთგზის არის გამოქვეყნებული. მათ პალეოგრაფიულ თავისებურებებს, დათარიღების საკითხებს, ისტორიულ და სამართლებრივ ასპექტებს სხვადასხვა დროს იკვლევდნენ მ. ბროსე, მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, ივ.

---

[83] ს. ყაუხჩიშვილი, კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის, „ჩვენი მეცნიერება“, ტფილისი, 1924. №4.

[84] სვანეთიდან ხელნაწერმა, სანამ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაიდებდა ბინას, უაღრესად რთული თავგადასავალი გამოიარა, 1853 წელს ოთხთავი ლაგურკაში აღმოაჩინა ბართოლომეიმ, რომლისაგანაც მისი არსებობის შესახებ შეიტყო ქუთაისის გუბერნატორმა გრაფმა ლევაშოვმა (გელათის სიძველეთა ცნობილმა დამტაცებელმა). 1860 წელს ხელნაწერი ადგილზე დაათვალიერა დ. ბაქრაძემ. 1869 წელს კი გრაფმა ლევაშოვმა 50 მანეთის გირაოთი ოთხთავი ლაგურკიდან წამოიღო. 1870 წელს ხელნაწერი პეტერბურგში აღმოჩნდა, სადაც მას გაეცნო მ. ბროსე. კალის მცხოვრებთა დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე ლევან დადეშქელიანმა და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძემ) რუსეთის მთავრობისაგან მოითხოვეს ხელნაწერის საქართველოში დაბრუნება. მართლაც ხელნაწერი დაუბრუნებიათ, 1901 წელს კირიონ ეპისკოპოსმა მას მიაკვლია გელათის წიგნთსაცავში, თბილისში ჩამოიტანა და საეკლესიო მუზეუმს გადასცა. აქედან იგი არაოფიციალური გზებით მოსკოვის გავლით (სადაც დამზადდა მისი ასლი) გერმანიაში გაიგზავნა, სადაც ხელნაწერი უნდა შეესწავლათ პროფ. გრეგორის და პროფ. ზოდენს. ხელნაწერის გამოცემის მიზნით 1904 წელს თბილისს ეწვია მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია პრასკოვია უვაროვა, რომელსაც ხელნაწერი ადგილზე აღარ დახვდა. ამის შემდეგ საქმეში უკვე მთავრობა ჩაერია და ოფიციალური არხებით ხელნაწერი დააბრუნეს საქართველოში და გადასცეს საეკლესიო მუზეუმს. საეკლესიო მუზეუმის გაუქმების შემდეგ ხელნაწერის გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, ხოლო მუზეუმიდან ხელნაწერთა ინსტიტიტის გამოყოფის (1958) შემდეგ კი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. იხ. კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გვ. 8-12.

ჯავახიშვილი, გრ. წერეთელი, ვ. სილოგავა და სხვ. მინაწერების სისტემატიზაცია და მათში მოხსენიებული ისტორიული პირების იდენტიფიკაციის საკითხები ვრცლადაა განხილული ვ. სილოგავას პუბლიკაციაში. მინაწერების პალეოგრაფიულ პლასტებად დაჯგუფების შედეგად მან გამოყო ეკლესიის შემწირველი საგვარეულოები და მოახდინა მინაწერებში მოხსენიებულ პირთა ნაწილის იდენტიფიკაცია. ასე დადგინდა მაგ., ბეშქენ ერისთავთ ერისთავის კუთვნილება მურვანის ფეოდალური სახლისადმი[85]. კორიდეთის ერთ-ერთ მინაწერ საბუთში (XIII ს.) დაცულია საინტერესო ინფორმაცია კორიდეთის თემის ორმაგი დაქვემდებარების შესახებ საქართველოს მეფისადმი და ტრაპიზონის იპერატორისადმი. მინაწერის ავტორი ჟან ჩიას-ძე, რომელიც საკუთარ თავს უწოდებს ამირსპასალარის ამირახორს, კორიდეთის ეკლესიას სწირავს მიწას, რომელიც ნაწყალობევი ჰქონია ორივე მეფისაგან: „დაგიწერეთ დაწერილი ესე თქუენ, ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელსა კორიდეთისა მე, ჟანმან ჩიას-ძემან, ამირსპასალარისა ამირახორმან, ჟამსა ოდეს პატრონისა ჩემისა ამირსპასალარისა წყალობითა მქონდა დურჩსა მამული ორთავე მეფეთგან: თუით დავით მეფეთ მეფისაგან და ბერძენთ მეფისა გიორგისაგან, პატრონისა ჩემისა წყალობითა“[86]. მინაწერში მოხსენიებული ბერძენთა მეფე გიორგი მკვლევართა მიერ გაიგივებულია გიორგი I კომნენოსთან (1266-1280), ხოლო მეფე დავითი - დავით ნარინთან (1259-1293)[87].

კორიდეთის სახარების ბერძნული მინაწერები გამოიკვლია და ქართულად თარგმნა გ. წერეთლმა. ბერძნულ მინაწერთა შორის აღმოჩნდა შეწირულების კერძო აქტები და მომლოცველთა მოსახსენებლები. ბერძნულ მინაწერთაგან ყველაზე ადრინდელია 965 წლის მინაწერი (მთავარმამა მიხაილის ასული იმპერატორ ფოკას ზეობის დროს კორიდეთის ეკლესიას შესწირავს მიწას)[88]. იგი მიუთითებს, რომ აჭარისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც ამ დროს კლარჯი ბაგრატიონების ხელში იყო[89], ოფიციალურად ბიზანტიის პროტექტორატსაც აღიარებდა. მომდევნო XI საუკუნიდან ოთხთავის ყველა მინაწერი ქართულია, რაც მიანიშნებს, რომ აქაურმა ბერძნულმა მოსახლეობამ ასიმილაცია განიცადა. მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეცხრე მინაწერი, რომლის ავტორია გურგენ კომესი. მინაწერის თანახმად, იგი ბიზანტიელებთან ერთად პავლიკიანებს ებრძოდა და მათგან ჩხიეთის სიმაგრე გაუთავისუფლებია. გ. წერეთელი გურგენ კომესს აიგივებს კლარჯ ბაგრატიონ გურგენთან, რომელიც ბაგრატ III-მ სხვა კლარჯ ბაგრატიონებთან ერთად დააპატიმრა და რომელიც პატიმრობაში გარდაიცვალა (1012)[90].

ათაბაგთა საოჯახო მოსახსენებლები. ასეთი მოსახსენებლები, ისევე, როგორც სხვა ფეოდალურ საგვარეულოთა მოსახსენებლები, გაფანტულია ძირითადად ლიტურგიკულ

---

[85] Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, გვ. 225; კორიდეთის საბუთები, გვ.18-19.

[86] კორიდეთის საბუთები, გვ.გვ. 24, 31.

[87] უკანასკნელ წლებში გამოითქვა მოსაზრება, რომ მინაწერის მეფე დავითში იგულისხმება დავით ლაშას ძე. ასეთ შემთხვევაში ამირსპასალარი, რომლის ამირახორადაც აცხადებს ჟან ჩიასძე თავს, უნდა იყოს ავაგ-სარგის III. ნ. ბაგაური, კორიდეთის ოთხთავის ჟან ჩიას ძის მინაწერში მოხსენიებული ამირსპასალარის იდენტიფიკაციის საკითხისათვის XIII საუკუნის 60-იანი წლები), გვ. 47-48.

[88] კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გვ.48.

[89] დ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 250.

[90] კორიდეთის საბუთები, გვ.51.

ხელნაწერებში, ზოგჯერ კანონიკური სამართლის შემცველ ხელნაწერებშიც[91]. ამ უკანასკნელებში, გარდა მეფეთა და ათაბაგთა მოსახსენებლებისა, სხვა არც ერთი საგვარეულო სახლის მოსახსენებლები არ გვხვდება. ასეთთაგანია XVI საუკუნის ის სამი ტაოკლარჯული ხელნაწერი (Q-969, S-1246, Q-642), რომლებშიც შეტანილია კონსტანტინოპოლის 843 წლის კრების ტექსტის ექვთიმე მთაწმინდელისეული თარგმანი თანდართული ბიზანტიური სინოდიკონით. სამივე ხელნაწერში მოსახსენებლების პირველი წყება ეძღვნება XI-XIII საუკუნეების ღვაწლმოსილ ქართველ მეფეებს, დედოფლებსა და ეკლესიის გამორჩეულ მოღვაწეებს. საქართველოს მოღვაწეთა ხსენებებს ასრულებს გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსაც მოსახსენებლების შემდგენნი „დასავლეთის დიდი დომესტიკოსის, სევასტოსისა და ქართველთა მასპინძლის“ ეპითეტებით ამკობენ[92]. ამათ უშუალოდ მოსდევს საკუთრივ სამცხის სამთავრო სახლის წარმომადგენელთა ხსენებები. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა მიმართ აღვლენილი დიდება არაფრით ჩამოუვარდება, ხშირად აღემატება კიდეც საქართველოს გამოჩენილ მეფეთა დიდებას. ამგვარად არიან წარმოდგენილი სამცხის მთავრები და მათი მეუღლეები ე.წ. კოპასძეთა ხელნაწერში (Q-969)[93]. დანარჩენი ორი (S-1246, Q-642) ხელნაწერის მოსახსენებლებში მეფეთა ხსენებები წყდება XIII საუკუნის პირველ ნახევარში და გრძელდება XV საუკუნიდან მეფეების - ალექსანდრე I-ის (1412-1442) და მისი ძეების – ბაგრატის (?), გიორგი VIII-ის (1446-1466), ან მხოლოდ გიორგი VIII-ის მოსახსენებლებით. გიორგი მეფის მოსახსენებელს ამ ხელნაწერებში ებმის უშუალოდ სამცხის ათაბაგთა მოსახსენებლები, რომლებიც იწყება ყვარყვარე (II) ათაბაგით. მოსახსენებელთა ამგვარი თანამიმდევრობით ხაზგასმულია ათაბაგთა სახლის გენეალოგიური ბმა სამეფო ოჯახთან, რასაც სათავე დაუდო გიორგი VIII-ის მეორე ქორწინებამ ყვარყვარე ათაბაგის ასულ თამარზე. ამ გენეალოგიური ჯაჭვის ჩვენებით მოსახსენებლების შემდგენელნი ცდილობენ დაასაბუთონ ჯაყელთა სახლის პოლიტიკური პრეტენზიების ლეგიტიმურობა.

ათაბაგთა სახლის წევრებისა და მათთან ქორწინებით დაკავშირებული დიდგვაროვანი ოჯახების წარმომადგენელთა მოსახსენებლები გვხვდება კიდევ რამდენიმე ხელნაწერში. ესენია: გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ორი ფსალმუნი (A-351, H-1717), ლოცვათა და საკითხავთა კრებული (A-1737), საბაწმინდური ტიპიკონი (A-647) და ორი ოთხთავი (Q-920, K-375).

პირველი ფსალმუნი (A-351) მდიდრულად შემკული ხელნაწერია, გადაწერილი 1494 წელს მზეჭაბუკ ჯაყელის დაკვეთით (165r, შემდგომში მზეჭაბუკ ათაბაგი 1500-1516 წწ.), გადამწერია ამბროსი (165 r). გადამწერის ანდერძში (164v-165r) მოიხსენიებიან ყვარყვარე ათაბაგის ოჯახის

[91] ძეგლისწერებში მოსახსენებლების შეტანა მომდინარეობს ბიზანტიური ტრადიციიდან. მის პირველნიმუშად მიჩნეულია კონსტანტინოპოლის 843 წლის კრებაზე შემუშავებული სინოდიკონის ტექსტი, რომელშიც დიდებით არიან მოხსენიებულნი ხატმებრძოლობის დამამარცხებელი სამოქალაქო და საეკლესიო მოღვაწეები, ხოლო შეჩვენებულნი - ხატმებრძოლობის აპოლოგეტნი. ეს ტექსტი საქართველოში გავრცელდა ექვთიმე მთწმინდელის მიერ თარგმნილი „მცირე სჯულისკანონის“ მეშვეობით (იხ. მცირე სჯულისკანონი, გვ.130-133; აგრეთვე დ. კლდიაშვილია სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, გვ. 14-15); სინოდიკონის ბიზანტიური ტიპის მიხედვით შდგენილი ქართველ მოღვაწეთა სახელების ჩამონათვალი ერთვის „დიდ სჯულისკანონზე“ დართულ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერას (იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 557-559).

[92] გრიგოლ ბაკურიანის ძის ხსენება მხოლოდ ორ ხელნაწერშია: S-1246 და Q-642. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), გვ.გვ.18, 21.

[93] იქვე, გვ. 15-16.

წევრები: გარდაცვლილთა შორის ყვარყვარეს ვაჟი ბაადური და მეუღლე დედისიმედი. ცოცხალთა შორის – პატრონი ყუარყუარე, პატრონი ქაიხოსრო და პატრონი მზეჭაბუკი. ხელნაწერი ჩვენთვის უცნობ გარემოებებში „აგარიანთა“ ხელში მოხვედრილა, რომელთაგან გამოუსყიდია თავად როსტევან ჭავჭავაძეს. როგორც ჩანს, ჭავჭავაძეებმა მიართვეს იგი კახეთის სამეფო ოჯახს, რადგან XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხელნაწერი ბაგრატ (გიორგი XII-ის ძის) ბატონიშვილის ვაჟის, დავითის საკუთრება ყოფილა. ამ უკანასკნელმა 1847 წელს ხელნაწერი გადასცა ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკას. 1855 წელს საინვენტარო ნომრით N24 ქვათახევის არქიმანდრიტ ტარასის ხელნაწერი შეუტანია მონასტრის ბიბლიოთეკის წიგნთა ნუსხაში. 1888 წელს იგი გადაუტანიათ საეკლესიო მუზეუმში (დღევანდელი A კოლექცია)[94]; XX საუკუნეში ხელნაწერი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს (1930), შემდეგ – ხელნაწერთა ინსტიტუტს (1958).

მეორე ფსალმუნის (H-1717, გადაწერილია XV საუკუნეში) ბოლო გვერდებზე (232v-233v) მოთავსებული მინაწერები ქრონოლოგიურად 1474-1515 წლებში თავსდება. ამ მინაწერთა ცნობებს, განსხვავებით იმდროინდელი სხვა ქართული ხელნაწერებისაგან, ახასიათებს მოვლენის დათარიღების ზედმიწევნითობა, რაც გამოიხატება წლის, თვის, რიცხვის, დღისა და ზოგჯერ „ჟამის“ (დღის მონაკვეთის) აღნიშვნაში. ამ წესითაა გადმოცემული ყვარყვარე II ათაბაგის ოჯახის ხუთი წევრის (ბაადური, დედისიმედი, ყვარყვარე, ქაიხოსრო, მზეჭაბუკი) გარდაცვალების თარიღები, ოთხ მათგანთან ასაკიცაა მითითებული[95]. ამრიგად, ხელნაწერში შემონახული თარიღიანი ცნობები თანამედროვის მიერ ჩაწერილ უტყუარ ინფორმაციას შეიცავს ჯაყელთა სამთავრო სახლის გენეალოგია-ქრონოლოგიის დასადგენად.

ლოცვათა და საკითხავთა კრებული (A-1737) გიორგი VIII-ისა და დედოფალ თამარის ასულის, პატრონ ქეთაონის (ყვარყვარე II ათაბაგის შვილიშვილის) საკუთრება ყოფილა. ხელნაწერი გადაუწერია ქეთაონისავე „გაზრდილ“ ნაუასძე ზებედეს[96]. ხელნაწერის სხვადასხვა ადგილას გადამწერისა თუ ქეთაონის მიერ ჩართულ სავედრებელ მინაწერებში იხსენიებიან ქეთაონის ოჯახის ცოცხალი წევრები: მეუღლე ვახუშტი და ორი შვილი; გარდაცვლილები (პაპა ყვარყვარე, ბებერა დედისიმედი, მამა მეფე გიორგი, ბიძები: ქაიხოსრო, ბაადურ, მართალიხონ, იანქო; დეიდა (?) გულბუდახ,). ამ ჩამონათვალის მიხედვით, ქრ. შარაშიძემ მინაწერების შესრულების დროდ მიიჩნია ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალებიდან (1500)[97] მზეჭაბუკის გარდაცვალებამდე არსებული (1515) 14-წლიანი შუალედი. მოსახსენებელთა მომდევნო ფენა, რომელშიც იხსენიებიან ქეთაონის მეუღლე ვახუშტი-ყოფილი ვასილიოსი, მათი ძე ამუანი, ვახუშტის და ელენე და დედა ეკატერინე, ხელნაწერში შეტანილია ყვარყვარე II-ის ერთ-

[94] ხელნაწერთა აღწერილობა A-14, გვ.70.

[95] ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), გვ.197-198.

[96] იქვე, გვ. 2006. ნაუასძე ზებედე, როგორც კუმურდოს ეპისკოპოსი, მოიხსენიება აგრეთვე ჯვრის მონასტრის აღაპებშიც. პატრონ ქეთაონის და მისი ასულის, გულქანის საფასით (400 ფლური) მას იერუსალიმში გამოუხსნია „ფრანგთაგან“ (ფრანცისკანელთაგან) წართმეული გოლგოთა. სააღაპე ჩანაწერში ქეთაონ-ყოფილი ქრისტინე გარდაცვლილად მოიხსენიება.

[97] ყვარყვარე ათაბაგის მეორე ვაჟის, იანქოს გარდაცვალების თარიღი ქრ. შარაშიძემ დაადგინა კვინკლოსური ცნობის საფუძველზე (იხ. ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), გვ.209).

ერთი ვაჟის, იანქოს (1505), გარდაცვალების შემდეგ[98]. ამავე პერიოდში ჩანან გარდაცვლილნი ქეთაონის დედა, გიორგი მეფის თანამეცხედრე თამარი და ქეთაონის ძმა - ვახტანგ-ყოფილი ვარსიმე[99]. თავად ქეთაონი, რომლის ბრძანებითა და კარნახითაა ხელნაწერში მოსახსენებლები შეტანილი, ყველაზე გვიან ჩანს გარდაცვლილი. იგი და მისი ძეები: ელისბარ და იოთამი ცოცხლები ყოფილან 1511 წელს, ამაზე მიუთითებს ქეთაონის ბრძანებით 1511 წელს ბანაში გადაწერილი ტიპიკონის (A-647) ანდერძი[100]. სიცოცხლის ბოლო წლებში ქეთაონი ქრისტინეს სახელით შემონაზვნებულა და 1514/1515 წელს გარდაცვლილა[101]. ხელნაწერ A-1737-ის მიხედვით, ქეთაონის გარდაცვალებიდან ახლო ხანებში გარდაცვლილა მისი დის, ელენეს, მეუღლე, სფირიდონ ბაენაშვილი[102].

სამცხის სამთავრო სახლის წევრთა მოსახსენებლები შეტანილია ქართულ-ბერძნულ ხელნაწერშიც, რომელიც შედგენილია ქაიხოსრო I ათაბაგის (1498-1500) სალოცველად მისივე ზეობის წლებში. ხელნაწერის ქართული ნაწილი შეიცავს სახარებისეულ საკითხავებს, სადღესასწაულო ტროპარებს და წმინდანებისადმი მიძღვნილ ლოცვებს. შინაარსობრივად განსხვავებულია ბერძნული ტექსტი - მასში შესულია XI-XII საუკუნეების ბერძენი ავტორების ნიკოლოზ კალიკლესა და თეოდოსე პროდრომოსის სამედიცინო ეპიგრამები. ხელნაწერი გამოირჩევა მინიატურათა განსაკუთრებული (385) სიუხვით. ხელნაწერის ქართული ნაწილის შემდგენელ-გადამწერია ათაბაგთა სახლის მწიგნობარი მღვდელმონაზონი აკაკი, ხოლო ბერძნულისა — საათაბაგოს ბერძნული დიასპორის წარმომადგენელი ტრაპიზონელი ბერძენი სვიმეონი[103].

ზემოხსენებულ აკაკის სახელთანაა დაკავშირებული ათაბაგთა სახლში დამზადებული კიდევ ორი ხელნაწერი. ერთია 1502 წელს გადანუსხული მინიატურებით შემკული მცირე ზომის ოთხთავი (K-375). ხელნაწერის კოლოფონში აღნიშნულია, რომ ოთხთავის გადაწერა მზეჭაბუკ ათაბაგს საგანგებოდ დაუკვეთია თავისი ძმის, ათაბაგ ქაიხოსრო I-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ოთხთავის ვრცელ ანდერძში ჩართულია ყვარყვარე II-ის ოჯახის წევრთა მოსახსენებლები თარიღების ზედმიწევნითი მითითებით[104]. ასეთივე ზუსტი თარიღებითაა შეტანილი ათაბაგთა ოჯახის წევრთა მოსახსენებლები ქეთაონის დედის, დედოფალ თამარის დაკვეთით 1504 წელს დამზადებულ უძვირფასეს ხელნაწერში (Q-920). ხელნაწერი კრებულია, მის შემდგენელ-გადამწერ აკაკის ერთად აუკინძავს არსენ იყალთოელის თარგმნილი „სათნოებათა კიბე“, ამონიოს ალექსანდრიელის ეპისტოლე კარპიანესადმი და გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ოთხთავის ტექსტი. ოთხთავის ყოველი თავის დასაწყისში, მოციქულთა გამოსახულებების შემდეგ, მოთავსებულია თავების ნუსხა და სახარების

[98] იქვე, გვ.209-210.

[99] ვახტანგ-ყოფილი ვარსიმე იყო ძე გიორგი VIII-ისა და თამარ ათაბაგის ასულისა. 1484 წ. იგი გამეფებულა არაგვის ხეობაში. მის შესახებ ცნობები დაუცავს გერგეტის სულთა მატიანეს. დაწვრილებით ამ პირის შესახებ იხ. ქრ. შარაშიძის დასახელებული ნაშრომი, გვ.გვ.232-234, 239.

[100] იქვე, გვ.211.

[101] იქვე, 214-215.

[102] იქვე, 231-214.

[103] ე. დუღაშვილი, სანკტ-პეტერბურგის კოლექციის ქართულ-ბერძნული ხელნაწერი, გვ.გვ. 86,89, 92.

[104] დ. კლდიაშვილი, ჯაყელთა კიდევ ერთი უცნობი საგვარეულო მატიანე ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან, გვ.56-57

საწელიწდო საკითხავთა საძიებელი (ზანდუკი). ხელნაწერი ჩასმულია წითელი აბრეშუმის ქსოვილით დაფარულ ხის ყდაში. ყდის ზედა და ქვედა ფრთების შიგნითა მხარეს, ფიცრის დაფებზე ამოკვეთილია 21 და 24 პაწაწინა უჯრედი წმინდა ნაწილებისათვის. ორივე ფრთის შიდა მხარეს მიმაგრებულია თხელი ფიცრის ორი მოძრავი ფირფიტა, რომელთა ოქროს საღებავით დაფერილ ზედაპირზე გამოსახულია წმინდანთა ხატები. მთლიანად ხელნაწერი მოთავსებულია მასიურ, დიდი ხელოვნებით შეჭედილ ვერცხლის ბუდეში, რომლის ცენტრში გამოსახულია სოლომონის ექვსქიმიანი ვარსკვლავი. დედოფალი თამარი თავის ანდერძში დიდებით მოიხსენიებს ათაბაგ მზეჭაბუკს, მის „ძეთა და ძისწულთა“, შემდეგ – თავის გარდაცვლილ მშობლებსა და ძმებს მათი გარდაცვალების რიგითობით და წლების, თვეებისა და დღეების მითითებით: ბაადური (1474 წ. 1 ოქტომბერი), დედისიმედი (1489 წ., 6 დეკემბერი), ყუარყუარე (1499 წ., 1 ივლისი), ქაიხოსრო (1500 წ., 3 მაისი).

სამცხის დიდგვაროვანთა მოსახსენებლები

ტაო-კლარჯეთის ხელნაწერთა შორის გვხვდება სამცხის ფეოდალური საგვარეულოების კარის ეკლესიათა კუთვნილი ხელნაწერებიც. ასეთ ხელნაწერებში განთავსებული აღაპ-მოსახსენებელთა ჩანაწერები მოცემული საგვარეულოების წარმომადგენლებს ეძღვნება, რითაც ისინი ამა თუ იმ საგვარეულოს შესახებ ძვირფას გენეალოგიურ ცნობებს გვაწვდიან. ასეთთაგანია: ალის, თისლისა და ხახულის მონასტრების სვინაქსარები.

ალის მონასტრის სვინაქსარი

სამცხეში, ფოცხოვის ხეობაში მდებარე ს. ალის წმ. გიორგის მონასტერს ეკუთვნოდა ხელნაწერები: სვინაქსარი (S-1245) და მეტაფრასი (H-1347)[105]. ხელნაწერებზე დართულ აღაპ-მოსახსენებელთა ურთიერთშედარების, ცალკეული პალეოგრაფიულ-ქრონოლოგიური შრეების გამიჯვნისა და შესწავლის შედეგად ქრ. შარაშიძემ დაადგინა, რომ ალის მონასტერი წარმოადგენდა ჯაყელ-ბოცოსძეთა განშტოების საკუთრებას. ქრონოლოგიურად პირველი ფენის აღაპების დამკვეთია ბეშქენ ბოცოს ძე, ძმა ცნობილი ივანე-მემნა ჯაყელისა, რომელიც ჯალალედინის 1226 წლის ლაშქრობის დროს თბილისის დაცვას შეეწირა, ბეშქენის მეორე ძმას – ბოცოს სამეფო კარზე ჩუხჩარეხის თანამდებობა ეპყრა. ესენი ყოფილან შვილები „დიდი“ ბოცოსი, რომელიც, თანახმად თამარის პირველი ისტორიკოსისა, სამცხის ერისთავი და სპასალარი ყოფილა[106]. იგივე ბოცო იხსენიება „კარნუქალაქელთ და შამელთ“ შორის, როცა მტრის ლაშქრით „აივსო შავშეთისა და კლარჯეთის ქვეყანა“. შემდგომ მას ვხედავთ გიორგი რუსის ბანაკში[107]. დიდი ბოცოს ამ არჩევანმა განაპირობა ჯაყელ-ბოცოსძეთა

[105] ორივე ხელნაწერის აღმოჩენა დაკავირებულია ე.თაყაიშვილის სახელთან. სვინაქსარი მას შეუძენია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, მეორე – მეტაფრასი მოიძია დავითგარეჯის წიგნთსაცავში და შესძინა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

[106] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 34.

[107] იქვე, გვ.გვ.38,49.

დამცრობა და ჯაყელ-ციხისჯვარელთა შემდგომი დაწინაურება[108]. პირველი ფენის აღაპებში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაცია ჯაყელ-ბოძოსცეთა ფეოდალური სახლის სამი თაობის გენეალოგიური შტოს აღდგენისა და მათთან დამოყვრებული აბუსერისძეებისა და ჯაყელ-ციხისჯვარელთა წარმომადგენლების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა[109].

ორივე ხელნაწერი მნიშვნელოვანი ცნობებს შეიცავს XIII-XIV საუკუნეებში ჯაყელ-ბოცოსძეთა ფეოდალური სახლის ისტორიისა და გენეალოგიის, ასევე, მათ მფლობელობაში არსებული ალის მონასტრის იურიდიული სტატუსის, სამონასტრო შემოსავლების, რეგიონის სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის, ფოცხოვის ხეობის დემოგრაფიული სურათის შესახებ.

თისლის სვინაქსარი

თისლის სვინაქსარის სახელწოდებით ცნობილი XIII-XIV საუკუნეებით დათარიღებული ეტრატის ხელნაწერი დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (Par.géor.4). ხელნაწერი შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის სვინაქსარულ მასალას. მის არშიებზე დატანილი 120-მდე მოსახსენებელი და სააღაპე ჩანაწერი XIV-XVI საუკუნეებში თავსდება, თუმცა, მათ შორის თარიღიანი მხოლოდ ორია – 1446 და 1518 წლებისა. ს. თისელი მდებარეობს ახალციხიდან 5-6 კილომეტრის დაშორებით. მის სიახლოვეს დღემდეა შემორჩენილი გუმბათიანი ეკლესია, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში თისლის მონასტერთანაა გაიგივებული. როგორც ირკვევა, სწორედ ამ მონასტრის კუთვნილება ყოფილა ზემოხსენებული სვინაქსარი. მინაწერებიდან ჩანს, რომ თისლის მონასტრის მფლობელები ყოფილან დიასამიძეები, სამცხის გავლენიანი ფეოდალები. ამავე მინაწერების ცნობით, მათი სამფლობელოები ვრცელდებოდა თორში (ყვიბისი) და ჯავახეთში (ასპინძა). მოსახსენებლები ადასტურებენ ამ საგვარეულოს ფართო ნათესაურ კონტაქტებს ქართლ-იმერეთის და საკუთრივ სამცხის ფეოდალურ არისტოკრატიასთან: XV-XVI საუკუნეებში მათთან ქორწინებით ყოფილან დაკავშირებული ქართლის ამირაჯიბები, სამცხის ათაბაგები, XVI საუკუნის მეორე ნახევარში - იმერეთის სამეფო სახლი. XVI საუკუნეში დიასამიძეები, ათაბაგთა ნების საწინააღმდეგოდ, აქტიურად უჭერდნენ მხარს ლუარსაბ I-ს, რომელმაც ერთ ხანს საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილის დაკავება შეძლო. გარდა დიასამიძეებისა, მოსახსენებლებში ვეცნობით სამცხის ფეოდალური არისტოკრატიის სხვა საგვარეულოთა (ჯაყელი, ცლესარი) წარმომადგენლებსაც[110].

---

[108] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), გვ.18.

[109] იქვე, გვ.20-22.

[110] ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ.31. ნ. ჩხიკვაძე, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების ელ. ვერსია, ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XIV საუკუნეები, გვ.171; თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, გვ.3-13.

ხახულის სვინაქსარი

აღაპ-მოსახსენებლებით მდიდარია 1210 წლით დათარიღებული ხახულის სვინაქსარიც (Q-1487). ხელნაწერი, რომელიც აგრეთვე გიორგი მთაწმინდელის რედაქციის სვინაქსარს წარმოადგენს, თავდაპირველად ხახულის მონასტრისათვის ყოფილა დამზადებული. ამას ადასტურებს მინაწერების ადრესატად ხახულის ღმრთისმშობლის მრავალგზისი მოხსენიება. ხახულიდან იგი მოხვედრილა დიარბექირის სირიულ მონასტერში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა. 1976 წელს თურქეთში მოგზაურობის დროს აქ აღმოაჩინა იგი ფრანგმა მეცნიერმა ჟ. სანდერსმა, რომელმაც ხელნაწერის ბოლო ფურცლის (409 v) ფოტო-ასლი გადასცა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს ე. მეტრეველს. ამ გვერდის შესწავლის შედეგად გაირკვა ხელნაწერის თარიღი (1210) და მისი მომგებლის, თამარის ეპოქის ცნობილი ისტორიული ფიგურის, ერისთავთ ერისთავ ზაქარია ფანასკერტელის ვინაობა. 1979 წელს კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ ხელნაწერი თურქეთიდან საქართველოში ჩამოიტანა და ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა.

ხელნაწერის მომგებლის, ზაქარია ფანასკერტელის შესახებ ცნობებს გვაწვდიან თამარის ისტორიკოსები[111]. ეს არის იგივე ზაქარია ასპანისძე, რომელმაც დაატყვევა ქვეყნის ორგული ტაოელი დიდგვაროვანის, გუზან ტაოსკარელის ცოლ-შვილი. ამ დამსახურებისათვის მიიღო მან მეფისაგან ტაოს ერისთავობა[112]. თამარის მეორე ისტორიკოსის მოწმობით, XII საუკუნის დამლევს ზაქარიას თურქთაგან დაუხსნია ტაოს ციხეები, ბანას და ხახულის თემები[113]. ამ მოვლენების შემდგომ დაუკვეთია ზაქარიას სვინაქსარი და ხახულის მონასტრისათვის შეუწირავს: „დიდებაჲ ღმერთსა. მადლი ღმერთსა. კურთხეულ არს ღმერთი. მემფლობო ორთავე ცხორებათაო, ადიდე [სული]თ და ჴორცით, რაჲთა წყალობითა აღწერა წმიდაჲ ესე სვნაქსარი, ერისთავთა ერისთავი ზაქარია ფანასკერტელი, მშობელთა მათთა შეუნდვნეს ღმერთმან, დიოფალთა დიოფალი რიანუშ ამზეგრძელოს [და შე]უნდვნეს ღმერთმან. ძენი მათნი გრიგოლ და [ლიპა]რიტ მრავალჟამიერ ყვნეს ღმერთმან. ამენ იყავნ. [.....] [ქ]ორონიკონი იყო ვკი“ 1210 წ.[114].

ცნობილი ისტორიული პირია ზაქარიას ძე გრიგოლიც. იგი იხსენიება ჯვრის მონასტრის აღაპებში. მისთვის, როგორც მონასტრისათვის უხვი შეწირულებების გამღები პირისათვის, მონასტერში ექვსი აღაპი ყოფილა გაჩენილი[115]. ხახულის ხელნაწერის ერთ-ერთი გვიანდელი მოსახსენებელი (60 v) ეძღვნება ტაოს ერთ-ერთი გავლენიანი საგვარეულოს დუკისძეთა წარმოამდგენელს“: „წმიდაო ღმერთო და ხახულისა ღმრთისა მაშობელო, შეიწყალე მას ს[ა] უკუნოსა სახელოანსა გმირ[ს]ა ფალავანსა დუკისძესა ბატონსა იასონსა, და სასუფეველი ცათა დაუმკუიდრე, სახიერო და კაცთა მოყუარეო ღმერთო! ანა“ (60 v). 1516 წლის მცხეთური

---

[111] ზაქარია ფანასკერტელისა და მისი შთამომავლების შესახებ იხ. დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), გვ, 11-12.

[112] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ.55.

[113] ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 130.

[114] თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, გვ. 55.

[115] ე.მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ.გვ.73,75,90-92.

დოკუმენტის (Ad-91)[116] მიხედვით, დუკისძენი მცხეთის სამწყსოს და მასთან ერთად ქართლის მეფეთა მხარდამჭერ მესხ თავადთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ.

ხელნაწერის რესტავრაციის დროს გამოვლინდა ხელნაწერის გასამაგრებლად ძველადვე გამოყენებული ფურცელი, რომელზეც ორ სვეტადაა ჩამოწერილი ხახულის მონასტრის მრევლის ნუსხა, რომელშიც ჩაწერილია ქართული და სომხური სახელები. უეჭველია, ეს სახელები ეკუთვნის ქალკედონიტ და გაქართველებულ სომეხთა თემის წევრებს, რომლებიც ქართველებთან ერთად შეადგენდნენ ხახულის სამწყსოს[117].

ტბეთის სულთა მატიანე

„ტბეთის სულთა მატიანის“ ხელნაწერს 1874 წელს შავშეთში, ტბეთის კათედრალური ტაძრის მონახულების დროს, მიაკვლია გიორგი ყაზბეგმა[118]. ხელნაწერი სხვა რამდენიმე დოკუმენტთან ერთად გიორგი ყაზბეგს გადაუცია დიმიტრი ბაქრაძისათვის. ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა ხელნაწერის მოკლე აღწერილობა. შემდგომში, როგორც ჩანს, დ. ბაქრაძემ იგი გაუგზავნა მარი ბროსეს, რომლის გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერი ბროსეს კოლექციასთან ერთად გადაეცა პეტერბურგის სააზიო მუზეუმს. ამჟამად ხელნაწერი ინახება რუსეთის ფედერაციის აზიის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (SPB P-10 (P-13)[119]. იგი წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ეტრატის კეფებით გადაკერებულ გრაგნილს, რომლის ცალკეული პალეოგრაფიული შრეები XII-XVII საუკუნეებს შორის თავსდება[120].

„ტბეთის სულთა მატიანე“ უაღრესად საყურადღებო ძეგლია. სააღაპე ჩანაწერები და სულთა მოსახსენებლები მასში წარმოდგენილია ტბეთის ეპარქიაში შემავალი მაჭახლის, აჭარისწყლის და ნაწილობრივ ჭოროხის ხეობის სოფლების მცხოვრებთა გვარსახელების სახით. „მატიანე“ იმ სახით, რომლითაც ის დღემდეა შემორჩენილი, სრულებით არ იცნობს მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს. შესაძლოა, ამგვარი ნაკვეთი, რომელიც ხელნაწერის თავში იქნებოდა მოქცეული, დაკარგულია, თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ „მატიანე“ იმთავითვე ასეთი იყო. მასში უხვადაა შესული ფეოდალური წოდების საშუალო რანგის (მწერალი, წინამძღვარი, მოძღვარი...) ასევე, დაბალი ფენის - (მჭედლები, ოქრომჭედლები, მშენებლები, რიგითი მეურნე გლეხობა) მოსახსენებლები და სააღაპე ჩანაწერები. ამ თვალასაზრისით, „მატიანის“ ტექსტი უნიკალურია მოცემული რეგიონის ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკის შესასწავლად[121]. „მატიანის“ 588 მოსახსენებელში დასახელებულია 348 გვარი და 21 გეოგრაფიული სახელი. უაღრესად მრავალფეროვანია

[116] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), გვ. 35.

[117] თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, გვ.59-71.

[118] Г. Казбек, Три месяца в турецкой Грузии, с.52-55.

[119] С.С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии, с.352.

[120] დაწვრილებით ძეგლის შესახებ იხ. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბილისი, 1977.

[121] ი. სიხარულიძე, მაჭახლის სულთა მატიანის ონომასტიკონისა და ტოპონიმიკისათვის, გვ. 123-131.

„მატიანეში“ წამოდგენილი გვარ-სახელების წარმოება: ყველაზე ხშირია -ძე-ზე დაბოლოებული გვარები, მას მოსდევს -ეთ-სა და -შვილ-ზე დაბოლოებულები, შემდგომ მოდის -ურ, ელ-, -ფხე (მხოლოდ ქალის გვარის შემთხვევაში), -ნა, -ია, -ტი, -ში, -აყი, -ისა, -ტყი სუფიქსებით წარმოებული გვარ-სახელები. მართალია, უშუალოდ ტოპონიმი ძეგლში მხოლოდ შვიდ შემთხვევაშია დასახელებული, მაგრამ მათი აღდგენა შესაძლებელი ხდება ტოპონიმური წარმოების გვარ-სახელების (აკრიელი, კილნათელი...) საშუალებით[122]. გვარ-სახელთა მოდელების ასეთი მრავალფეროვნება საქართველოს სხვადასხვა მხარის მცხოვრებთა შიდა მიგრაციებისა და ინტეგრაციული პროცესების საუკეთესო მოწმობაა.

საათაბაგოს მღვდელმთავართა და ხელისუფალთა დოკუმენტები

მღვდელმთავართა ფიცის წიგნები

სამცხე-საათაბაგოს მთავართა მცდელობები, სრულად გათავისუფლებულიყვნენ საქართველოს მეფეების პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან, საათაბაგოს საეკლესიო ცხოვრებაზეც პოვებდა ასახვას. XIV-XVI საუკუნეებში ათაბაგები თანმიმდევრულად ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ საათაბაგოში არსებულ მცხეთის საპატრიარქო ეკლესიის არცთუ მცირერიცხოვან ყმა-მამულს და შეესუსტებინათ საათაბაგოს ტერიტორიაზე მცხეთის გავლენა, რასაც სხვადასხვა საშუალებით აღწევდნენ კიდეც. მაგ., ალის მონასტრის სვინაქსარზე (S-1245) მოთავსებულ მინაწერებში სამხრეთ საქართველოს ორი უმნიშვნელოვანესი ეპარქიის, ანჩისა და იშხნის ეპისკოპოსები „კანონსა ქუეშე“ დაწყევით ემუქრებიან ყველას, ვინც ათაბაგ ივანეს „შენდობას დააკლებდა“. თუმცა, ამგვარი მკაცრი მუქარა იმასაც აჩვენებს, რომ სამცხის ყველა ეპისკოპოსი არ იყო თანახმა ათაბაგისათვის „შენდობა“ მიეცა[123] და ქართლის კათალიკოსს მორჩილებდა.

მცხეთასთან საეკლესიო დამოკიდებულების გასაწყვეტად ათაბაგებს ესაჭიროებოდათ მაწყვერელი ეპისკოპოსის კანონიკური უფლებების იმ ზომამდე გაფართოება, რათა მას მცხეთის გვერდის ავლით, თავად ეკურთხებინა საათაბაგოს დანარჩენი ეპისკოპოსები. ამ მოვლენის აღსაკვეთად მცხეთის ტახტი საკუთარი მეთოდებით მოქმედებდა. სწორედ ამ მეთოდებს ასახავს სამცხე-საათაბაგოს ეპისკოპოსთა ფიცის წიგნები ქართლის კათალიკოსისადმი. ჩვენამდე მოღწეულია 9 ასეთი ფიცის წიგნი, გაცემული XIV-XVI საუკუნეებში. ისინი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დოკუმენტური სიზუსტით ასახავენ თანადროულ მოვლენებს. ფიცის წიგნთა საერთო ფორმულარი, რომელიც, მცხეთაში იყო შემუშავებული, გულისხმობს შეურიგებელ ბრძოლას ყველა იმ შესაძლო კანონიკურ დარღვევასთან, რომლებსაც საათაბაგოში შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. ასეთ შესაძლო დარღვევათა შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სამცხის ეპისკოპოსთა მიერ მცხეთაში კურთხევისას დადებულ პირობათა ჩამონათვალი, რომლებიც მათ მკაცრად უნდა აღესრულებინათ. ასეთ პირობათა შორის იგულისხმებოდა შემდეგი: სამცხის

[122] თ. ენუქიძე, ტბეთის სულთა მატიანე, გვ.37-39.

[123] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), გვ. 87.

ეპისკოპოსები უნდა კურთხეულიყვნენ მხოლოდ მცხეთის კათალიკოსთაგან; სამცხის ეკლესიებში – ყველგან ღვთისმსახურების დროს უნდა წარმოთქმულიყო ლოცვა მეფეთათვის და ქართლის კათალიკოსთათვის; არ უნდა მოეხსენებინათ ანტიოქიის პატრიარქი ან ვინმე მისგან მოგზავნილი პირი; ნიშნად ერთგულებისა, ქართლის კათალიკოსისათვის ყოველწლიურად უნდა მიერთმიათ სიმბოლური ძღვენი და საფერხებელი[124]. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის ქართლის კათალიკოსი იტოვებდა უფლებას, „შეუნდობლობით" შეერისხა სამღვდელო პირი, რაც მისთვის მღვდელმსახურების უფლების ჩამორთმევას ნიშნავდა. კათალიკოსის სასჯელი, საბუთთა მოწმობით, ვრცელდებოდა მთელ სამწყსოზე, მანამ, სანამ ისევ კათალიკოსი არ მიანიჭებდა მას „შენდობას[125]".

ფიცის წიგნები ასახავენ მცხეთის ტახტის დაუცხრომელ ბრძოლას სამთავროს ეკლესიისათვის, რომელმაც XVI საუკუნის 10-იანი წლების მიწურულამდე გასტანა. ამ პერიოდში მზეჭაბუკ ათაბაგმა (Ad-503) კვლავ სცადა მაწყვერლის კანონიკური უფლებების გაფართოება[126] და ამ მიზნით კიდეც მოიპოვა ანტიოქიის პატრიარქ დოროთეოსისაგან შესაბამისი უფლება (Ad-503)[127]. მაგრამ ვერც ამ დოკუმენტმა მოუტანა საათაბაგოს მთავრებს სასურველი შედეგი. სულ მალე ჩვენთვის უცნობ გარემოებებში მზეჭაბუკ ათაბაგი იძულებული ხდება ბერად აღკვეცილიყო იაკობის სახელით (Q-969, მინაწ.). მის მომდევნო ათაბაგ ყვარყვარე III-ს (1516-1535) მსგავსი მცდელობები აღარ ჰქონია. ამ დაპირისპირებაში მცხეთაში მსხდომ კათალიკოსთა პოზიციას განამტკიცებდა საათაბაგოში მცხეთის ერთგული მრავალრიცხოვანი სამწყსოს არსებობა, რომელიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა ათაბაგობის მაძიებელთათვის. გვაქვს შემთხვევები, როდესაც „მცხეთის საკითხს" საათაბაგოს ტახტის პრეტენდენტები თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ და წინასწარ აძლევენ თანხმობას ქართლის კათალიკოსებს, რომ მათ კანონიკურ უფლებებს და საქონებელს საათაბაგოში საფრთხე არ შეექმნებოდა. მაგ., 1516 წლის სიახლოვეს შედგენილი მცხეთის კრებსითი საბუთი, რომელშიც სრულადაა აღნუსხული სამცხე-საათაბაგოში მცხეთის საქონებელი – ესაა 23 დიდი თავადური სახლი მათი ვრცელი მიწა-წყლით, მონასტრებით და ყმა-მამულით; ოშკისა და ვარძიის მონასტრები, ასევე, მათი ყმა-მამულით[128]. დოკუმენტს ხელს აწერს ათაბაგობის ერთ-ერთი პრეტენდენტი, მანუჩარ ჯაყელი. საბოლოოდ, მცხეთის საკათალიკოსო ტახტმა მაინც მოახერხა საათაბაგოში თავისი კანონიკური უფლებების და ყმა-მამულის შენარჩუნება, მაგრამ, ოსმალთა ექსპანსიას, რასაკვირველია, იგი წინ ვეღარ აღუდგებოდა. 1556 წელს, ამასიის ზავის დადებიდან ერთი წლის შემდეგ, ქართლის კათალიკოსისადმი იწერება უკანასკნელი ფიცის წიგნი. მისი ავტორია საბა მტბევარი ეპისკოპოსი.

მზეჭაბუკ ათაბაგის შეწირულების წიგნი აწყურის ღმრთისმშობლისადმი[129]. დოკუმენტი შედგენილია 1508/1509 წლების ახლო ხანებში. ვახუშტის ცნობით, მზეჭაბუკ ათაბაგმა, მას

---

[124] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), გვ.89-90.

[125] იქვე, გვ,91.

[126] იქვე, გვ.94-95.

[127] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, გვ. 40-42.

[128] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), გვ.გვ.33-35, 99.

[129] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, გვ. 34-37; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), გვ.99-100.

შემდეგ, რაც ოსმალთა მორჩილება მიიღო, გურიელს წაართვა ჭანეთი, აჭარა და გურიის დასავლეთი ნაწილი. ამ „გამარჯვებათა“ აღსანიშნავად მზეჭაბუკმა აწყურის ტაძარს შესწირა ზარზმის მონასტერი მისი აგარაკ-სოფლებითა და ყმებით. საინტერესოა დოკუმენტის ფრაზეოლოგია. მისი საღვთისმეტყველო შესავალი ზუსტად იმეორებს მცხეთის დოკუმენტების შესაბამის ტექსტს, იმ განსხვავებით, რომ საკუთრივ სვეტიცხოვლისა და მისი სიწმინდეების ნაცვლად აქ ჩასმულია აწყური. ხაზგასმულია აწყურის, როგორც სამოციქულო ტაძრის მნიშვნელობა – აქ ანდრია მოციქულის მოსვლა და მის მიერ ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის მოსვენება. ამგვარი მნიშვნელოვანი დეტალების ხაზგასმით დოკუმენტის შემდგენელი ცდილობს იმ დროისათვის გასაგებ ენაზე დაასაბუთოს აწყურის ეპარქიის გამორჩეული საკრალურობა და მასზე დაფუძნებული ავტონომიური უფლებები.

მანუჩარის პირობის წიგნი ბასილი კათლიკოსისადმი[130]**.** დოკუმენტის ავტორია მანუჩარი, ყვარყვარე II ათაბაგის უმცროსი ვაჟის, სახელად ასევე მანუჩარის ძე[131], რომელიც მზეჭაბუკ ათაბაგის გადადგომის შემდეგ სამცხის სამთავრო ტახტზე ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო. მანუჩარი პირობას უდებს ქართლის კათლიკოს ბასილის, რომ, მისი გამთავრების შემთხვევაში, მცხეთის საკათალიკოსო საყდრის ყველა კანონიკური უფლება და მამულები ისევე იქნებოდა შენარჩუნებული, როგორც ეს „ძველითგან“ იყო დაწესებული. რასაკვირველია, საბუთი, როგორც იგი ქრ. შარაშიძემ შეაფასა, მცხეთასთან წაგებული ბრძოლის უტყუარ მოწმობას წარმოადგენდა[132], მაგრამ სამთავრო ტახტი მანუჩარმა მაინც ვერ დაიკავა. იგი მიიღო მზეჭაბუკის ძმისწულმა, ქაიხოსრო (I) ათაბაგის ძემ, ყვარყვარემ, იმავე ნავ-ყვარყვარემ, რომელიც ასეთივე ერთგულების პირობას დებს ბასილი კათალიკოსის წინაშე.

ყვარყვარე III ათაბაგის (1518-1535) მიერ გაცემული დოკუმენტები

1. **პირობის წიგნი ბასილი კათალიკოსისადმი** [133]. დოკუმენტი დათარიღებულია 1518 წლით. მასში გამოსჭვივის მცხეთასთან ისეთივე შემრიგებლური პოზიცია, როგორიც მანუჩარის პირობის წიგნშია. ყვარყვარე ათაბაგი აქ ერთგარ აღიარებით ჩვენებას იძლევა თავის ბიძაზე, მზეჭაბუკზე, რომელმაც „სამცხისა ეპისკოპოსნი უკუიჭირნა“ და მცხეთას ვარძიისა და პარხლის მონასტრები მათი „შესავალი“ ყმა-მამულით ჩამოართვა. ათაბაგი პირობას დებს, რომ ამიერიდან სამთავროს ეპისკოპოსები კვლავ მცხეთიდან მიიღებდნენ კურთხევას და პარხლისა და ვარძიის მონასტრებიც „რაგუარცა ძუელად ყოფილა“, იმავე წესით მცხეთას დაუბრუნდებოდა.

2. **შეწირულების განახლების წიგნი ყვარყვარე ათაბაგისა პორტაიტის ღმრთისმშობლი-სადმი** (სეა,1461-3/138)[134]. დოკუმენტის თანახმად, პორტაიტის ღმრთისმშობლისათვის ყვარ-

[130] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, გვ. 59

[131] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), გვ.99-100

[132] იქვე, გვ.101.

[133] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, 70-71.

[134] იქვე, გვ.57.

ყვარე II-ს შეუწირავს არტაანში სოფლები: - ბებერანი და ახალშენი. ეს შეწირულება შემდეგ განუახლებიათ ქაიხოსრო და მზეჭაბუკ ათაბაგებს. ამავე შეწირულებას ამჯერად ყვარყვარე III განაახლებს. საბუთი უთარიღოა. იგი გაცემული უნდა იყოს ყვარყვარეს სამთავრო ტახტზე ასვლის ახლო (1518) ხანებში.

3. **მარილის ბაჟის შეწირულების წიგნი ყვარყვარე ათაბაგისა პორტაიტის ღმრთისმშობლისადმი.** ათონის ქართველთა მონასტრის კოლექციაში ინახება დოკუმენტი Iviron IV 115, რომლის ავტორია სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III, იგივე ნავ-ყვარყვარე[135]. დოკუმენტი გაცემულია 1532 წელს. იგი წარმოადგენს ნავ-ყვარყვარეს შეწირულების წიგნს პორტაიტის ღმრთისმშობლისადმი. შეწირულების საგანია თორთომში, ხახულის თემის საბაჟოდან მარილზე დაწესებული ბაჟის შემოსავალი. შეწირულების მიზეზის განმარტებისას ათაბაგი დაწვრილებით ჰყვება ხახულის თემის განდგომილების ამბავს, რომელიც „ზაკვით დაუჭერიათ“ ათაბაგის მოწინააღმდეგეთ, აზანშერას და იბაშერს[136]. ნავ-ყვარყვარეს მეამბოხენი ფიცით შემოურიგებია, მაგრამ ფიცი გაუტეხია და დამნაშავენი სასტიკად დაუსჯია. სწორედ ამ საკუთარი ზნეობრივი დანაშაულის გამო გადაუწყვეტია ათაბაგს პორტაიტის ღმრთისმშობლისათვის შეწირულების ბოძება. მარილის ბაჟის შეწირვის საფასურად მონასტერს ევალებოდა ყვარყვარესათვის და მისი მეუღლისათვის მუდმივად დაენთო უქრობელი კანდელი და ყოველი თვის პირველ შაბათს კარგაღებული აღაპი გადაეხადა. საბუთის საკმაოდ ვრცელი ტექსტი დაწერილია იაკობ ჯაყელისშვილის მიერ, რომელიც კარგად განსწავლული და საბუთის შედგენის წესებში გაწაფული მწიგნობარი ჩანს. საბუთის verso-ზე მოთავსებულია საბუთის ბერძნული სარეგისტრაციო ჩანაწერი ბერძნული დათრიღებით - 7040 (=1532), 5 მარტი.

4. **მესადგომე ყმის შეწირულების წიგნი ყვარყვარე ათაბაგისა პორტაიტის ღმრთისმშობლისადმი.** ნავ-ყვარყვარეს კიდევ ერთი შეწირულების საბუთი უბოძებია პორტაიტის ღმრთისმშობლისათვის (სეა, 1461-3/137). შეწირული მარილის ბაჟიდან შემოსავლის უდანაკარგოდ მიღების მიზნით საბაჟოზე „მესადგომედ“ დაუყენებია თორთომის მკვიდრი გლეხი ხოსროასშვილი. იგი გაუთავისუფლებია ყოველგვარი სხვა ბეგარა-გადასახადისაგან და დაუკისრებია მხოლოდ საბაჟოზე ათონის მონასტრიდან წარმოგზავნილი ბერის მომსახურება[137].

---

[135] 1973 წელს პარიზის „ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ინსტიტუტის“ მკვლევარმა ჟაკ ლეფორმა დოკუმენტის ფოტოპირი და მისი არქეოგრაფიული მონაცემები გამოუგზავნა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს ელენე მეტრეველს, რომელმაც საბუთის ფოტოპირი, ტექსტი და გამოკვლევა გამოაქვეყნა (იხ. მისი: ნავ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი, გვ.192-205). ამ გამოცემის საფუძველზე იგივე საბუთი მეორედ გამოქვეყნდა ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის IV ტომში, გვ.125-129.

[136] საბუთში მოხსენიებული აზანშერა და იბაშერი შალიკაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ. ამ პირთა ვინაობა გარკვეულია დ. კლდიაშვილის ნაშრომში სამხრეთ საქართველოს ხელნაწერების სულთა მატიანეების შესახებ, რომელსაც, ავტორის ნებით, ხელნაწერში გავეცანი.

[137] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. გვ.130-131.

სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთვართა ნუსხა

ამ სახელწოდებით აღინიშნება ერთადერთი დოკუმენტი სამცხე-საათაბაგოდან, რომელიც სრულად გვაცნობს ტაო-კლარჯეთისა და შემდგომ სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში არსებულ ეპარქიებსა და მათ საზღრებს. დოკუმენტი მოღწეულია XIX საუკუნის სამი პირის სახით. ამათგან ორი აღმოაჩინა დ. ბაქრაძემ. პირველს მიაკვლია საჩხერეში, ნესტორ წერეთლის ოჯახში და მეორეს – თბილისში, ვახუშტის ისტორიის ხელნაწერის დანართის სახით. კიდევ ერთი თავნაკლული პირი ჩართული აღმოჩნდა ანტონ I კათლიკოსის „მარტირიკის“ ხელნაწერში. თ. ჟორდანიას ხელთ ჰქონია საბუთის ამჟამად დაკარგული XVIII საუკუნის ნუსხა, რომელიც მან გამოაქვეყნა „ქრონიკების“ II ტომში. XIX საუკუნიდან დღემდე საბუთი რამდენჯერმე გამოიცა[138]. სამეცნიერო ლიტერატურაში დოკუმენტი დათარიღებულია XVI საუკუნის პირველი ნახევრით, თუმცა, იგი გაცილებით ძველ წყაროებს ემყარება. დოკუმენტში ჩამოთვლილია ეპარქიები, რომლებიც, მოყოლებული ვახტანგ გორგასლის დროიდან, სხვადასხვა ეპოქაში (ტაო-კლარჯეთის სამთავრო, ერთიანი ქართული მონარქია) არის დაფუძნებული. დოკუმენტში დასახელებულ ყოველ ეპარქიასთან მითითებულია გეოგრაფიული და საეკლესიო-ადმინისტრაციული საზღვრები. საბუთი, როგორც ჩანს, შედგენილია მცხეთაში, იმ დროს, როდესაც მცხეთის ტახტი ათაბაგთა მიერ წაქეზებული საეკლესიო სეპარატიზმის საწინააღმდეგოდ, თავს უყრიდა საათაბაგოში მცხეთის კანონიკური უფლებების დამამტკიცებელ ყოველგვარ საბუთს.

სიის სათავეში მოქცეულია მაწყვერელი ეპისკოპოსი, რომელიც სამცხე-საათაბაგოში რეალურად წარმოადგენდა ადგილობრივ ეპისკოპოსთა თავს. ის ერთადერთია სამთავროს ეპისკოპოსთაგან, რომელიც „გვირგვინ-ბისონიანობით“ მოიხსენიება. მაწყვერლის მაღალი ავტორიტეტი, გარდა იმისა, რომ გამყარებული იყო ათაბაგის პოლიტიკური მხარდაჭერით, დაფუძნებული იყო მის უმთავრეს სიწმინდესთან – ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის კულტთან, რომლის სახელობაზე იქნა კათედრალი აშენებული ჰერაკლე კეისრის დროს[139]. სამეფო კარზე დარბაზობისას ეპისკოპოსთა საერთო იერარქიაში მაწყვერელი რიგით მეხუთეს, ხოლო სამცხის ეპისკოპოსთაგან პირველ ადგილს იკავებდა[140]. სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთვართა ნუსხაშიც მაწყვერლის მომდევნო ეპისკოპოსები ისეთივე რიგითობით არიან ჩამოთვლილი, როგორითაც „დარბაზობის განგებაში“: კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, მტბევარი, წურწყაბელი, წყაროსთაველი, ერუშნელი, ვალაშკერტელი, ანელი, კარელი, ბანელი, დადაშნელი. დოკუმენტს ბოლოში ერთვის განმარტება, რომ ყველა ჩამოთვლილი ეპარქია ქართლის კათლიკოსის იურისდიქციას ექვემდებარება: „ამ ეპისკოპოსთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათლიკოსი არის და იმის ჴელთ არის ყოველივე“[141].

ყოველი ეპისკოპოსის დასახელებას მოსდევს მისი სამწყსო ტერიტორიის გეოგრაფიული

---

[138] დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 76-77; თ. ჟორდანია, ქრონიკები II, ტფილისი, 1897, გვ. 53; ე. თყაიშვილი, საქართველოს სიძველენი,III, გვ. 75-78; ი.დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 244-246; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 193-194.

[139] ჯუანშერი, გვ,224.

[140] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 48.

[141] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 193-194.

საზღვრების აღწერა, რისთვისაც საბუთის შემდგენელი იყენებს ენობრივად შერეულ ნომენკლატურას: ქართულს, თურქულს (გურჯი-ბოღაზი, დანდალო, ისპირი, ყარასალა) და სომხურს (ანაკერტი, ყაღზევანი, ზირიშტიანი შირაკოანი ბარასბერეთი, გაგჩევანი)[142]. საბუთი ძალზე საგულისხმო ცნობებს იძლევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გეოგრაფიისა და ეპარქიათაშორისი საზღვრების დადგენისათვის[143]. დოკუმენტიდან ცხადი ხდება, რომ XVI საუკუნის პირველი ნახევრის ავტორი (საბუთის შემდგენი) პერიფერიულ ეპარქიათა საზღვრების აღწერისას ხელმძღვანელობს ერთიანი ქართული მონარქიის პერიოდის ცოდნით, ხოლო ეპარქიათაშორისი საზღვრების მონიშვნისას, არაუგვიანეს X საუკუნის პირველი ნახევრის ვითარებით, როდესაც შეიქმნა ტბეთის, ბანას, ვალაშკერტის ეპარქიები. დოკუმენტის შედგენის დროისათვის აჭარის მიწა-წყალი გაყოფილი ჩანს იმერეთის სამეფოსა და საათაბაგოს შორის – „დანდალოს ზევითი... ქვეითი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა“[144]. ვარაუდობენ, რომ ეს ვითარება ადრეფეოდალური ეპოქის ვითარებას ასახავს, როდესაც დასავლეთ საქართველოს ეკლესია ქართლის ეკლესიასთან ჯერ კიდევ არ იყო კანონიკურად დაკავშირებული[145].

ეპარქიათა სამწყსო-ტერიტორიების სახელწოდებებისათვის მისი შემდგენელი ხშირად იყენებს მისთვის თანადროულ, უკვე XIV-XV საუკუნეებში წარმოქმნილ საფეოდალო „ქვეყნების“ სახელწოდებებს: დიასამიძის სახლი, საკავკასიძო, ხურსიძის სახლი, ბოცოთ ჴევი[146].

ტაოს ტერიტორიაზე მდებარე ეპარქიების – იშხანისა და ბანას (ამიერტაო) სასაზღვრო ადგილთა სახელწოდებანი დოკუმენტში ძირითადად ქართულია. ბანის ეპარქიის ერთ-ერთი სასაზღვრო ნიშნულის (ნარუმაკი/ნამურაკი/ნამურაკანი, იგივე ვახუშტისეული ნარიმანი) შერყვნილი ფორმის შედარებამ თანადროულ ქართულ და სომხურ ტექსტებში დამოწმებულ ტაოს ტოპონიმიასთან უჩვენა, რომ ბანის ეპარქიის სასაზღვრო სახელწოდებანი ნუსხაში არაუგვიანეს X საუკუნის წყაროდან უნდა იყოს მოხვედრილი[147]; ამავე დროს ტაოს ორივე საეპისკოპოსოს სამწყსო ტერიტორიების (ხევების) ნუსხაში ჩამოთვლილი ქართული სახელწოდებები მთლიანად ფარავს სომხური გეოგრაფიის ტაოს „გავარებს“, რაც ტაოს მოსახლეობაში ქართული ელემენტის სიჭარბეზე უნდა მიუთითებდეს მოცემულ პერიოდში.

---

[142] ზირიშტიანი, შირაკოანი, ბარასბერეთი - შედიოდა ანელი ეპისკოპოსის სამწყსოში. ზირიშტიანი იგივე ზარიშატია, ვანანდის ოლქის ერთ-ერთი სოფელი. იგივე ტერიტორია იგულისხმება ციხე-სიმაგრე არფაიკის შემოგარენში, რომელიც VII საუკუნის სომხურ წყაროებში მოიხსენიება (ე. ცაგარეიშვილი, საქართველო საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, გვ. 115-116); ეს მხარე საქართველოს სამეფოს დიდმოხელეების სამფლობელოდ იქცა XIII საუკუნის დასაწყისში, მონღოლთა ბატონობის დროს მას ეუფლებიან მანკაბერდელები, XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე იგი გადაეცა ბექა ჯაყელს, ჯაყელებმა იგი შეინარჩუნეს XIV ს. 60-80-იან წლებამდე (იხ. გ. ჭეიშვილი, ქუეყანა ანისისა, გვ. 22-24).

[143] საბუთში მოხსენიებულ ეპარქიებში შემავალი პროვინციებისა და მათი საზღვრების იდენტიფიკაციის შესახებ ვრცლად იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 164-169.

[144] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 193.

[145] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, გვ. 115, შენ.17; დ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 251.

[146] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 193-194.

[147] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 167.

შეწირულების წიგნი იოსაფათ გოგიბაშვილისა სვეტიცხოვლისადმი[148].

1559 წელს შედგენილი ამ საბუთის ავტორია სამცხის თავადი იოსაფათ გოგიბაშვილი. საბუთში დასახელებულია საინტერესო ფაქტი – იოსაფათის ძმა ვახუშტი გოგიბაშვილი დაქორწინებულა კახეთის მეფის ლეონის ასულ ქეთევანზე. საბუთის მიხედვით, ეს ქორწინება „უხუედრი და საკანონო“ საქმე იყო. როგორც ასეთი არათანაბარი ქორწინებების შემთხვევებში მიღებული იყო ხოლმე, იოსაფათ გოგიბაშვილი საკათალიკოსო საყდარს მაჭიხელში სწირავს ოცდაათ კომლ მებეგრე გლეხს და ორ ოქროს კანდელს.

გოგიბაშვილები სამცხის წარჩინებულ თავადებს მიეკუთვნებოდნენ[149]. გოგიბაშვილთა საგვარეულო სამეფო ოჯახს პირველად დაუნათესავდა XV საუკუნის ბოლოს – ვახუშტი გოგიბაშვილზე იყო დაქორწინებული გიორგი VIII-ის შვილიშვილი ქეთაონი (შემონაზვნებისას ქრისტინე). ეს ვახუშტი გარდაცვლილი ჩანს 1505-1515 წლების შუალედში[150]. სავარაუდოდ, მისი შვილიშვილი იქნებოდა მოცემული საბუთის ვახუშტი გოგიბაშვილი. საბუთი თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ იყენებდნენ ქართული სამეფო სახლები ქორწინებით ურთიერთობებს, როგორც დიპლომატიურ მექანიზმს, რათა სამცხეში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენა შეენარჩუნებინათ.

შეწირულების წიგნი ამილახორის ცოლყოფილ თამარისა აწყურის საყდრისადმი[151].

საბუთი თარიღდება 1575 წლის ახლო ხანებით. საბუთის გამცემი თამარი, სამცხელი ამილახორის ცოლყოფილი, თავის ვაჟებთან ერთად აწყურის ღვთისმშობელს სწირავს ე. წ. „სასჯულო“ გადასახადს, რომელიც მისი ოჯახისათვის მკვლელობის საქმის გამო მაწყვერელ ეპისკოპოსს დაუკისრებია. შეწირულების საგანია რამდენიმე კომლი გლეხი.

საბუთში ასახული სისხლის სამართლებრივი ნორმა გულისხმობს კომპოზიციის პრინციპს, დაწესებულს ეკლესიის სასარგებლოდ. საბუთში მოხსენიებული გვარ-სახელები (შოთასშვილები, ნაიბაშვილი, იჩქოძეები, პარკაძე), ტოპონიმები (წნისი, ახალციხე), ასახავენ სამცხელი ამილახორების ყმა-მამულის მოცულობას.

ვაჩეძორისა და ტბეთის დოკუმენტები

1938 წელს ე. თაყაიშვილმა პარიზში გამოსცა „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“, რომელშიც ექსპედიციის მიერ მოპოვებულ სხვა მასალასთან ერთად შეიტანა ექვსი დოკუმენტი, რომლებიც შემთხვევით აღმოაჩინა

---

[148] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ.240.

[149] ვახუშტი, გვ.35.

[150] ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.) გვ.209-10,

[151] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV, გვ. 294.

ადგილობრივმა მონადირემ ვაჩიძორის მონასტრის მახლობლად გამოქვაბულ მღვიმეში. ყველა საბუთი მხედრული ხელით არის ნაწერი, მათგან ხუთი ქაღალდზეა დაწერილი, ერთი – ეტრატზე. ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, ამათგან ხუთი XV საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება, მეექვსე – ეტრატზე დაწერილი ნასყიდობის წიგნი – უფრო ზოგადად, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება[152].

პირველი დოკუმენტი წარმოადგენს ვაჩეძორის მონასტრის მოძღვრისა და კრებულის სახელით დადებულ პირობას, რომლის ადრესატები არიან პატრონი ნათელი და მისი შვილები: ერისთავთ ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი ზაზა ფანასკერტელი და მისი ძმა ციცი. კრებულისავე თხოვნის საფუძველზე ამ პირებს მონასტერი გაუთავისუფლებიათ ალავის გადასახადისაგან. ამ წყალობის სანაცვლოდ კრებულს სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებზე ზაზას სახელზე დაუდგენია ექვსი წირვა. ამავე დროს მონასტერი პირობას დებს, რომ ალავისაგან გათავისუფლების უფლებას არ გაავრცელებენ რომელიმე სხვა გადასახადზე, თუკი ასეთს ერისთვთ ერისთვი მოითხოვს.

მეორე დოკუმენტი ზაზა ფანასკერტელის რწმუნებული პირის, ვინმე ანტონის წერილია ვაჩეძორის წინამძღვარ აბრამისადმი. წერილის ავტორი მოძღვარს პატრონ ზაზასაგან გაფრთხილებას გადასცემს, რომ თუ ზაზას მომდურება არ სურდა, მის უნებართვოდ ციცი (ზაზას ძმა) არ უნდა მოენახულებინა.

ამ ორ დოკუმენტში მოხსენიებული ერისთავთ ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი ზაზა ფანასკერტელი ცნობილი ისტორიული პირია. „ახალი ქართლის ცხოვრება“ მის შესახებ მოგვითხრობს, რომ ყვარყვარე ათაბაგი იმდენად ავიწროებდა მეფის (გიორგი VIII) მოხელეებსა და მის მომხრე თავადებს, რომ აიძულებდა სამთავრო დაეტოვებინათ. ამისათვის კახაბერ გურიელსაც კი „ეზრახა“ და სამხედრო დახმარების სანაცვლოდ მას ჭანეთი დაუთმოო (1463). მემატიანეს მაგალითად მოჰყავს ზაზა ფანასკერტელი, რომელიც ქართლში მისვლია გიორგი მეფეს[153]. ნაწილი მესხეთის მკვიდრი თავადებისა, რომლებმაც აღიარეს ათაბაგის პატრონობა, ძველ მამულზე რჩებოდა. როგორც პირველი დოკუმენტიდან ჩანს, ზაზა ფანასკერტელი მეფის მოხელეა – ერისთავთ ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი, იგი ინარჩუნებს ტაოში სამოხელეო და მკვიდრ მამულებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ათაბაგის მხრიდან შერისხულთაგანია. მეორე დოკუმენტის თანახმად, ზაზა ფანასკერტელსა და მის ძმას, ციცის შორის, რაღაც უთანხმოებაა, საფიქრებელია, რომ ძმების უთნხმოების მიზეზი პოლიტიკურია. ცნობილია, რომ, როდესაც ფანასკერტელთა დიდი ნაწილი თანდათანობით (XIV-XV საუკუნეები) ქართლში გადმოსახლდა, საგვარეულოს ზოგიერთი შტო ადგილზე დარჩა და შეეგუა ჯაყელთა პატრონობას. შესაძლებელია, ზაზას ძმა ციციც ასეთთა შორის იყო[154]. ფაქტია, რომ ეს საგვარეულო კვლავ იხსენიება XVI საუკუნის დასაწყისში შედგენილ მცხეთის

[152] დოკუმენტები მითითებულია ე. თაყაიშვილის დასახელებული ნაშრომის ახალი გამოცემის მიხედვით: (იხ. ე. თაყაიშვილი, თხზულებანი, I, გვ.95-101. გამოქვეყნებულია აგრეთვე ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის II ტომში: გვ.239-244).

[153] დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, გვ. 19. ციტაცია ავტორს მოჰყავს „ქართლის ცხოვრების“ ჩუბინოვის გამოცემიდან. II, გვ.154.

[154] იქვე, გვ.19.

სამწყსო თავადთა ნუსხაში[155].

ვაჩეძორის მესამე და მეოთხე (ნაკლული) დოკუმენტებიც კერძო ხასიათის წერილებია. ორივეს ადრესატი ერთია – იგია ვინმე ნიკოლოზი, როგორც ჩანს, ადრე ქრისტეს საფლავის ბერი, შემდგომ ვაჩეძორში მოსული. ნიკოლოზს, რაღაც მიზეზის გამო, დაუკითხავად მიუტოვებია ვაჩეძორი და ხავაღს გადასულა, რის გამოც წერილთა ავტორები მას თვიანთ პატივისცემას უდასტურებენ და სთხოვენ უკან დაბრუნებას. წერილები კვლავაც აჩვენებს ქართველი ბერმონაზვნობის უწყვეტ კავშირს იერუსალიმის სავანეებთან და ზოგადად, წმინდა მიწასთან.

მეხუთე და მეექვსე დოკუმენტები ნასყიდობის საბუთებია. მხოლოდ მეხუთე საბუთიდან, რომლის გამცემია ვინმე თევდორასძე ლომინა, მარტო შესავალი ნაწილია გადარჩენილი. მეექვსე საბუთის მიხედვით, ნასყიდობის გარიგების მხარეები არიან ანდრაკისძენი, როგორც ირკვევა, ვაჩეძორის მონასტრის ყმები. საბუთში მითითებულია ყიდვა-გაყიდვის საგნის – ყანის – მდებარეობა ორი სოფლის საზღვარზე, რომელთა სახელწოდებებია პარგძორი და ორისა. საინტერესოა ამ სოფლის მცხოვრებთა (საბუთის მოწმეების) ტოპონიმური მოდელის გვარ-სახელები (ჭახურელი, ტუმლელი).

1874 წელს გიორგი ყაზბეგმა „თურქეთის საქართველოში" მოგზაურობის დროს ტბეთის ეკლესიაში მიაკვლია რამდენიმე დოკუმენტს, მათ შორის „ტბეთის სულთა მატიანის" (იხ. აქვე, გვ.158-159) სახელით ცნობილ გრაგნილს, რომლებიც დიმიტრი ბაქრაძეს გადასცა. ცნობები ამ დოკუმენტთა შესახებ დიმიტრი ბაქრაძემ შეიტანა 1878 წელს გამოქვეყნებულ თავის "არქეოლოგიურ მოგზაურობაში" (Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, 1878)[156]. შემდგომში დ. ბაქრაძეს ეს დოკუმენტები გაუგზავნია მარი ბროსესათვის, რომლის გარდაცვალების შემდეგ ისინი გადაეცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმს. მათი ციფრული ვერსიები 2013 წელს მიიღო ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა[157].

ტბეთის საბუთებიდან (სულ ოთხი ერთეული) ერთი XV საუკუნით თარიღდება, სამი – XVI საუკუნით. ორი ნასყიდობის წიგნია (H 72 (H 60/5); H 70, (H 60/3)[158]; ერთი - წყალობის (C 39 (9H 60-1)[159]; ერთიც – საჩივარი (H 71 (H 60/4)[160]. ორი ეტრატზე ნაწერი საბუთი პალიმფსესტურია. ამათაგან ერთ-ერთის – მახარებელ მაღლაბაძის ნასყიდობის წიგნის (H 70, (H 60/3) ქვედა ფენაზე საკმაოდ კარგად იკითხება ასომთავრულით შესრულებული მეფეთა წიგნის

[155] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), გვ.35.

[156] ამ ნაშრომის ქართული თარგმანისათვის იხ. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 164-166.

[157] ცნობები დოკუმენტების შესახებ შეტანილია პეტერბურგში დაცული ქართული საბუთების აღწერილობაში: С.С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии, გვ. გვ. 185,196,256, 276; ამავე ავტორს ეკუთვნის მათი რუსული თარგმანი: С.С. Какабадзе, Грузинские документы IX-XV вв. в собрании Ленинградского отделения Института Востоковедения, გვ.გვ. 164-166, 166-169, 169-171, 196-197. ამ რუსულენოვანი თარგმანებიდან გადმოთარგმნილი ვერსია გამოაქვეყნა ბათუმის უნივერიტეტის პროფესორმა რ. სურმანიძემ ნაშრომში „გიორგი ყაზბეგის მოგზაურობისას ტბეთში ნაპოვნი დოკუმენტები". ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ხსენებული დოკუმენტების „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში" შეტანის მიზნით პეტერბურგიდან მოიპოვა საბუთების ციფრული ვერსიები.

[158] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი III, გვ.326-327; IV, 461-462.

[159] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IV,205-206.

[160] იქვე, გვ.203-204.

ფრაგმენტი, რომელიც ლექსიკურ-სტილური ნიშნებით ბიბლიის ქართულ თარგმანთა ე.წ. მოკლე რედაქციას მიეკუთვნება. პალიმფსესტზე მხედრული ხელით გადაწერილი საბუთი გრაფემათა პალეოგრაფიული ნიშნებით XVI საუკუნისა ჩანს.

მეორე პალიმფსესტური საბუთი (H 71 (H 60/4), ვინმე გიორგი ქაფშაძის ნუსხურად ნაწერი საჩივარი, მხედრულ ტექსტზეა გადაწერილი, რაც ამტკიცებს, რომ ქვედა ფენაც საბუთი უნდა ყოფილიყო. ქაფშაძის საბუთში ლაპარაკია მომჩივანის ფულად დანაკარგებზე, რის გამოც შეუდგენია საჩივარი. ტექსტში იხსენიება ფულის ერთეულები: თანგა, თეთრი/ჩითხური თეთრი, აგრეთვე ფულის ეკვივალენტად გამოყენებული საქონელი: ბატკნის ტყავი, ფარდაგი, ბამბა, მოგვი,პაპუცი, პაჭიჭი, ცული, ქვაბი.

წყალობის საბუთი (C 39 (9H 60-1), შესრულებული ქაღალდზე მსხვილი, არამწიგნობრული ხელით, შედგენილი ჩანს XVI საუკუნის შუა ხანებში. მისი გამცემია გამაჰმადანებული ქართველი მაჰმად-ბეგი. ქართული იურიდიული ნორმის შესაბამისად, მასთან ერთად საბუთის გამცემებად მოიხსენიებიან მაჰმად-ბეგის შვილი ფარათ-ბეგი და მეუღლე, ქრისტიანული სახელით მარიამი. საბუთში მოხსენიებული სხვა ყველა სახელი, ისევე, როგორც საბუთის დიპლომატიკური სტრუქტურა და სპეციფიკური ფრაზეოლოგია, მთლიანად ქართულია, რაც უჩვენებს, რომ სამამულე სისტემა და სამართლებრივი ინსტიტუტები ამ მხარეში ჯერ ხელუხლებლად იყო შენარჩუნებული. სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად საბუთის დათარიღებას.

ზემოხსენებულ ნასყიდობის წიგნებში გაყიდვის ობიექტი მიწის ნაკვეთებია. XV საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ საბუთში (H 72 (H 60/5), რომელიც შარბისძეთა და ქაფშასძეთა შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას წარმოადგენს, ლაპარაკია ლოსიური მიწის გაყიდვაზე, რომლის საფასურითაც გამყიდველ მხარეს სომეხთან დაწინდული სხვა მიწა უნდა გამოეხსნა. საბუთის საღვთისმეტყველო შესავალი თავისებურია იმ მხრივ, რომ აქ უჩვეულოდ ბევრი საკულტო ადგილი მოიხსენიება, რომელთაგან ნაწილი შავშეთ-კლარჯეთის საზღვრებში თავსდება, ნაწილი კი მთლიანად სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიულ არეალს მოიცავს. ჩამონათვალი საინტერესოა ამ მხარეში წმინდანთა კულტის გავრცელების თვალსაზრისითაც – ჩამოთვლილი ეკლესიების დიდი ნაწილი (ვანი, შავათის ნისლა, ტბა, ზღუდერი, ქაშუეთი, წეფთი[161], ჩიხორი[162]) წმ. გიორგის სახელობისაა; დანარჩენი: აგარა, აწყური, ვარძია, ოღორო – წმ. ღვთისმშობლისა; ცხრა ნაწილთა სახელზეა სინიქოტის ეკლესია. ჩამონათვალი ბოლოვდება წმ. კურიკე და ივლიტას სახელებით, მაგრამ ადგილის მითითების გარეშე. ჩვეულებრივ, საბუთთა საღვთისმეტყველო შესავლებში ბოლო წმინდანის მოხსენიება ადგილობრივ ეკლესიაზე მიუთითებს, იგულისხმება, რომ იურიდიული მხარეები სწორედ ამ ბოლო წმინდანის სახელობის ეკლესიის ყმები არიან. მოცემული საბუთის შემთხვევაშიც საფიქრებელია, რომ მისი ავტორიცა და ადრესატიც წმ. კვირიკე და ივლიტას ყმები იყვნენ და მათი საბუთი რაღაც შემთხვევითობის წყალობით აღმოჩნდა ტბეთის საბუთთა შორის. აქ

[161] წეფთის ციხე „შავშეთის თავს“ იხსენიება XI ს-ის მოვლენებთან დაკავშირებით „მატიანე ქართლისაჲში“ და სუმბატ დავითის-ძესთან. მას აფარებდა თავს გურგენ მეფეთა მეფე, ჩანჩახ ფალელმა წეფთის ციხე გადასცა ბიზანტიელებს (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. გვ. 277, გვ.385).

[162] ჩიხორი ლოკალიზდება იმერხევში (იხ. ტ. ფუტკარაძე, იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, გვ.20).

მოხსენიებულ წმ. კურიკე და ივლიტას საბუთის გამომცემელი ს. კაკაბაძე აიგივებს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ კვირიკე-წმიდასთან, რომელიც ტბეთიდან ძალზე დაშორებულია, ნ. სურმანიძე – ნიგალის ხევის სოფ. გეულის კვირიკეთთან[163], რაც, შესაძლოა, უფრო ახლოს იყოს სინამდვილესთან. ჩამონათვალი საინტერესოა საქართველოს სხვა კუთხეებთან ასოცირებული საკულტო ადგილების დუბლირების თვალსაზრისითაც (ილორი, გორგოთა (resp. გოლგოთა), ვანი, აგარა, ქაშუეთი – იგი მოწმობს შიდა მიგრაციული ნაკადების მრავალჯერადობას.

მეორე ნასყიდობის საბუთი (H 70, (H 60/3), დადებული მახარებელ მაღლაბაძესა და პაპინა სომეხიძეს შორის ადასტურებს, რომ ნასყიდობის აქტი შემდგარა ტბის წმ. გიორგის ყმებს შორის.

ტაოსა და შავშეთის ზემოხსენებულ დოკუმენტებში ასახული სოციალური სისტემა, სამართლებრივი ინსტიტუტები და ტერმინოლოგია სრულად შეესაბამება XV-XVI საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ ვითარებას და სახელმწიფო წყობას. ისინი მკაფიოდ მეტყველებენ ქართული ეთნოსის პრიმატზე რეგიონში და ქართული კულტურული გარემოს სიმძლავრეზე. ასეთი გარემო ჩანს ტაოშიც, სადაც, მიუხედავად აქაური სომხური ტოპონიმების (ვაჩეძორი, პარგძორი, ხავაღი) სიძველისა, აშკარად ქართველი მრევლი ცხოვრობს, რომლისთვისაც ქართული ენა ერთადერთი საღვთისმსახურო, საქმიანი და საკომუნიკაციო ენაა. კიდევ უფრო ცხადია სურათი ტბეთის საბუთებში. აქაურ ანთროპონიმებში, ტოპონიმებსა თუ მიკროტოპონიმებში გამოყენებული ფუძე-სიტყვები და აფიქსები საერთო ქართული ენობრივი ფონდის კუთვნილებაა. ამ გარემოში სრულიად ასიმილირებული ჩანს სომხური ელემენტიც (მაგ., სომეხიძეები: პაპინა, გაბრიელ და აღდგომელი[164]; ისინი ეწევიან თავისუფალ ეკონომიკურ საქმიანობას: „...მამული სრულობით სომეხსა წინდულათ ჩაჰქონდა...“[165]), რომლისთვისაც ქართული ენა ასევე მშობლიური ჩანს. ამ გარემოში მცირედ, მაგრამ უკვე ჩნდება ოსმალური კომპონენტი გამაჰმადიანებულ ქართველთა სახელებისა თუ ფისკალური ტერმინების სახით, რომლის დანერგვას ამ მხარეში ოსმალური სახელმწიფო ადმინისტრაციული სისტემის ხანგრძლივი მუშაობა (XVII-XVIII საუკუნეები) დასჭირდა, მაგრამ ქართული ენის კვალი ადგილობრივმა ონომასტიკონმა დღემდე შემოინახა.

---

[163] რ. სურმანიძე, გიორგი ყაზბეგის მოგზაურობისას ტბეთში მოპოვებული დოკუმენტები, ნაშრომში იდენტიფიცირებულია შარბისძეთა საბუთში მოხსენიებული ტოპონიმები და ანთროპონიმები შავშეთ-კლარჯეთის, ნიგალისხევისა და იმერხევის დღემდე შემონახულ ონომასტიკონთან. გვ.გვ. 12-13, 17-20.

[164] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ.462.

[165] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, გვ.327.

ტექსტები

წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება მცირე მოცულობის ტექსტები, რომლებიც შერჩეულია IX-X საუკუნეების ტაოკლარჯული ხელნაწერების ლიტერატურული მასალიდან, ანდერძ-მინაწერებიდან და XV-XVI საუკუნეების სამცხე-საათაბაგოს სამართლებრივი დოკუმენტებიდან. წარმოდგენილი ლიტერატურული ნიმუშები ჟანრობრივად ურთიერთისაგან განსხვავებულია (ასკეტიკა, აპოკრიფი, ჰომილეტიკა, ჰიმნოგრაფია, ისტორიოგრაფია, ეგზეგეტიკა). ისინი მკითხველს დაეხმარება იმ ლიტერატურული რეპერტუარის გაცნობაში, რომლითაც საზრდოობდა ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობა და განათლებული საერო წოდება.

ლიტერატურული მასალის შემდეგ მკითხველს მიეწოდება ტაოკლარჯული ხელნაწერებიდან ამოკრეფილი თანადროული ანდერძები, რომელთა გაცნობა საუკეთესო საშუალებაა იმ ადამიანების კულტურული ტიპის შესაცნობად, რომელთა შრომით იქმნებოდა ხელნაწერი წიგნები. ანდერძები საუკეთესოდ გადმოსცემენ ქრისტიანულ მსოფლაღქმაზე დაფუძნებულ ეპოქალურ წარმოდგენებს სამყაროს იერარქიულ წესრიგზე, უკიდურეს მოწიწებას ამქვეყნიურ ხელმწიფეთა და მთავართა მიმართ, წიგნების შემქნელი ბერმონაზვნების უაღრესად მოკრძალებულ თვითშეფასებას და იმ ფსიქორელიგიურ ატმოსფეროს, რომელიც წიგნების შემქმნელთ ეხმარებოდა საკუთარი საქმიანობა აღექვათ, როგორც საკრალური აქტი, რაოდენ რთული და დროში გაწელილიც არ უნდა ყოფილიყო მათი შრომა. ანდერძების ტექსტებიდან ჩანს, როგორი დიდი მონდომებისა და მატერიალური დანახარჯების შედეგად იქმნებოდა ყოველი ხელნაწერი, როგორ უკავშირებდნენ ხელნაწერთა შექმნას მისი დამკვეთებიც და უშუალოდ შემსრულებლებიც სულის ხსნის იდეას. ამგვარ თემატურ ჩარჩოებშია მოქცეული ანდერძებში გადმოცემული კონკრეტული ცნობები ცალკეული ისტორიული პირების, ფაქტებისა თუ ლიტერატურული მოვლენების შესახებ, რითაც ანდერძები ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მეცნიერებას ფაქტოლოგიური ბაზის დადგენაში.

სულ ბოლოს შეტანილია სამცხე-საათაბაგოს ისტორიული ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები, რომლებიც მკითხველს გაარკვევს ჯაყელ ათაბაგთა პოლიტიკურ მისწრაფებებში, საეკლესიო პოლიტიკასა და ქართლის კათალიკოსთა მიერ მათ წინააღმდეგ გამოყენებულ მეთოდებში.

ტექსტები წარმოდგენილია გამარტივებული წესით: ქარაგმების გახსნით და შემოკლებული არქეოგრაფიული აღწრილობებით.

იოანე მოსხი, ლიმონარი

ასკეტიკურ თხზულებათა ავტორი, იოანე მოსხი, ცხოვრობდა VI საუკუნის მეორე ნახევარსა და VII საუკუნის პირველ მეოთხედში. სხვადასხვა დროს იგი მოღვაწეობდა სირიის, პალესტინის, ეგვიპტის მონასტრებში, უმოგზაურია კვიპროსსა და რომში. მისი „ლიმონარი“ (ქართულად: ბაღი, სამოთხე) წარმოადგენს მცირე ფორმის თხრობებს, ადრეული ტიპის ნოველებს, რომლებშიც გადმოცემულია სულიერი მამების სათნოებათა და სულისმარგებელ საქმეთა შესახებ. ამგვარი კრებულები „მამათა ცხოვრების“ ან „მამათა სწავლანის“ სახლწოდებით (ბერძნ. პატერიკები) ბერმონაზვნების სასენაკე ლიტერატურას შეადგენდნენ. წინამდებარე ტექსტი შესულია 977 წელს ოშკში გადაწერილ და შემდგომ ათონზე გაგზავნილ

ნუსხაში (Ath. 9)[1].

...მჱ. გვთხრობდა ამბა სტეფანე, რომელი იყო ლავრისაგან წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსა, რომელ იყო იგი მოსილ ძაძითა ივლიანოს დაყუდებულისათვს, რომელი იყო მესუეტე, ვითარმედ: გამოჩნდა ლომი ერთი ქუეყანასა მათსა და მრავალნი სულნი უცხონი და მის ქუეყანისანი მოწყვდნა. და დიდსა შინა მწუხარებასა იყუნეს ყოველნი მის ქუეყანისანი მჴეცისა მისგან ბოროტისა. და დღესა შინა ერთსა ჰრქუა ბერმან მოწაფესა თვსსა: „წარვედ, შვილო, დასავლით კერძო, ვითარ ორ მილიონ, და ჰპოვო მუნ ძმაჲ ერთი მჯდომარჱ და არქუ მას: „გეტყვს შენ გლახაკი ივლიანოს სახელითა იესუ ქრისტჱს, ძისა ღმრთისაჲთა, წარვედ ამიერ ადგილით და ნუღარა იყოფვი აქა და ჟამ ერთცა“. მაშინ წარვიდა ძმაჲ იგი, ვითარცა უბრძანა მოძღუარმან მისმან. და პოვა ლომი იგი საშინელი მწოლარჱ და ჰრქუა მას სიტყუაჲ იგი ბერისაჲ. ხოლო მას, ვითრცა ესმა, მუნთქუესვე ივლტოდა მიერ, ვითარცა დევნული.

მთ. გვთხრობდა ჩუენ ამბა პეტრე, ხუცესი ლავრისა წმიდისა საბაჲსი, ამბა თალელჱსთვს, რომელი იყო კილიკიელი, ვითარმედ სამეოცი წელი დაეყო მონაზონებასა და ყოლადვე არა დასცხრებოდა ტირილისაგან. და რამეთუ იტყვნ, ვითარმედ: „მცირედი ესე ჟამი მოუცემიეს ჩუენდა ღმერთსა სინანულისათვს და მოსწრაფებაჲ გვღირს, რაჲთა არა დავიჭიროთ და მერმე უდებად ვინანდეთ“.

ნ. გვთხრობდეს ამბა ლავრენტი კილიკიელისათვს, ვითარმედ მეჟამეთგანი იყო წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიაჲსათაჲ, რომელ არს ნიაჲ, სპოდიონელთაგანი. და დაყო ორმეოცი წელი და ეკლესიით არა გამოვიდა სადამე, არამედ ფრიად მჴურვალე იყო იგი სათნოებითა მოგებისათვს. და ოდეს გლახაკი მოვიდის მისა ქველის საქმისა თხოვად, უკუეთუ მწუხარეჲ არნ, ჴელთა მისცის ქველის საქმარი იგი; და რომელი იხედავნ, ქუე დაუდვის სუეტისა ძირსა, გინა სკამსა ზედა, გინა საკურთხეველად აღსავალსა, რომელსა-იგი მისცემნ და ჰრქვს: „აღიღე და ვიდოდე“. და ჰკითხა ამისთვს ბერმან ვინმე: „რაჲსა ჴელთა არა მისცი ევლოგიაჲ გლახაკსა? ხოლო მან ჰრქუა, რამეთუ: „ესე ევლოგიაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ არს და მე მისგან მომაქუს, და გლახაკსაცა იგივე მისცემს, ჩემი არარაჲ არს, და ამისთვს ეგრეთ ვყვი, რაჲთა არა ეთქუა, თუ რასმე მივსცემ გლახაკსა“.

ნდ. გვთხრობდა მოწაფეჱ ამბა თევდოსი დაყუდებულისაჲ, ვითარმედ: დაყო მან სენაკსა შინა დაყუდებით ორმეოცდაათხუთმეტი წელი. და სიტყუაჲ არაოდეს მიეგო კაცისა. და იმარხავნ იგი ორ-ორით. და ჟამსა პირისა ჴსნისასა ასოჲ ერთი დაუსვს მოწაფესა თვსსა, და მან მიართვს საზრდელი. და ამისთვს აუწყეს ამბა აბრამის, მამასახლისსა წმიდისა ნიაჲ სასა, ვითრმედ არა აქუს მას სამოსელი საზამთროჲ. და იყიდა მან ბურნუსი ერთი და წარსცა მას, რაჲთა შეიმოსოს. და რომელთა მოიღეს, პოვეს იგი მძინარეჱ, რამეთუ სავრძელთა ზედა მიიძინის მან. და დაუდვეს იგი მას გუერდით და წარვიდეს. და ვითარცა განიღვძა, შეიმოსა იგი და მუნთქუესვე მოვიდეს სპარსნი და განსძარცუეს იგი და წარვიდეს, კერძოვე სენაკსა. ითარცა შეიმოსა იგი და მუნთქუესვე მოვიდეს სპარსნი და განსძარცუეს იგი და წარვიდეს. ხოლო იგი არცა შეწუხნა და არცა სიტყუა-უგო მათ.

ნვ. ვჰკითხეთ ჩუენ ამასვე ამბა პალადიოსს, ვითარმედ: „გუაუწყე ჩუენ, ვითარ მოხუედ შენ დასაბამსა მონაზონებად“. ხოლო ბერმან მრქუა ჩუენ: „მე სიყრმესა ჩემსა ვიყავ ქუეყანასა ჩემსა თესალონიკეს. და იყო მუნ ზღუდესა ქალაქისასა გარე დაყუდებული ერთი, რომელსა სახელი ერქუა ამბა დავით. ესე კაცი იყო წმიდაჲ და სათნოჲ ღმრთისაჲ და მოწყალჱ, და დაეყო დაყუდებასა შინა ვითარ ორმეოცდაათი წელი. და ერისაგანნი სცვიდეს ქალაქსა მას ბარბაროსთაგან. და მცველნი იგი ვიდოდეს ღამე ზღუდესა ზედა. და იხილეს

[1] ხელნაწერის შესახებ იხ. აქვე, გვ.53

ცეცხლი დიდძალი ყოვლით კერძოვე სენაკსა შინა დაყუდებულისასა და განკვრდეს, და ჰგონებდეს, ვითარმედ ბარბაროსთა აღუდვეს ცეცხლი იგი, რაჲთა დაწუან ბერი იგი. ვითარცა განთენა, მოვიდეს და პოვეს სენაკი მისი გებულად და ბერი იგი მშვდობით. და მეორესა ღამესა კუალად იხილეს ცეცხლი იგი და დაუკვრდა ფრიად. და დაადგრა ნათელი იგი სენაკსა მას ვიდრე აღსრულებადმდე ბერისა მის. და მრავალნი კაცთაგანნი ზღუდესა ზედა ღამესა ათევედ, რაჲთა იხილონ ნათელი იგი. და მე, ოდეს ვიხილე ნათელი იგი, გულისხმა-ვყავ და ვთქუ გონებასა ჩემსა, ვითარმედ: „უკუეთუ ამას ქუეყანასა ესევითარსა მადლსა მიანიჭებს ღმერთი მონათა მისთა სათნოთა, რავდენ უფროჲს საუკუნოსა მას განაბრწყინვნეს უფროჲს მზისთუალისა“? და დაუტევე ქუეყანაჲ ჩემი და მოვედ აქა და მონაზონ ვიქმენ. და ესე არს მიზეზი მონაზონებისა ჩემისაჲ.

ოთ. ვითარცა აღვედით ჩუენ თებაიდას, ქალაქსა ანტონიას, ვპოვეთ კაცი ბრძენი, რომლისა სახელი ფობაროს. ამან მითხრა სარგებელისა ჩუენისათვს და მრქუა, ვითარმედ: „იყო ვინმე ავაზაკი ერთი ადგილთა არმობოლისათა, რომლისა სახელი დავით, და მრავალთ ბოროტთა იქმოდა და ურიცხუნი სისხლნი დაეთხინეს და ფრიადნი მონაგებნი წარეხუნეს კაცთაგან, რომელი სხუასა კაცთაგანსა არავის უქმნიეს ბოროტი სწორად მისა. და ვითარცა იყო იგი ერთსა მთათაგანსა, და მის თანა უმრავლჱს ოცდაათისა კაცისა ავაზაკისა, და ესე იყო წინამძღუარ მათ ყოველთა, და ავნებდეს ყოველთა კაცთა. და ვერვინ შემძლებელ იქმნა ჴელმწიფეთგანი შეპყრობად მათა. და მრავალნი ჟამნი დაეყუნეს ამას შინა. და დღესა შინა ერთსა მოიქცა გონებასა თვსსა და გულისხმა-ყო წარწყმედილობაჲ თვსი, და ლმობიერ იქმნა მას ზედა და მცირედ განჴურდა სულითა, და მუნთქუესვე დაუტევნა მოყუასნი იგი მისნი და მარტოჲ წარვიდა და მივიდა ერთსა მონასტერთაგანსა. და ვითარცა ჰრეკა კარსა მონასტრისასა, გამოვიდა მისა მეკარჱ და ჰრქუა მას: „რაჲ გნებავს“? მიუგო მას ავაზაკთ-მთავარმან მან: „მნებავს მე, რაჲთა მონაზონ ვიქმნე“. და შევიდა მეკარჱ იგი და აუწყა მისთვს მამასახლისსა. და გამოვიდა მისა მამასახლისი და იხილა იგი.

და ვითარცა გულისხმა-ყო, რამეთუ მოხუცებულ არს იგი, მიუგო და ჰრქუა მას: „ვერ შემძლებელ ხარ შენ აქა დამკვდრებად და მონაზონებად ჩუენ თანა, რამეთუ ძმანი ესე ფრიად შურებიან და ძლიერად იმარხვენ და გარდარეულად იღვძებენ და ილოცვენ, და სხუათა წესთა მონაზონებისათა იპყრობენ, რომელთა შენ ვერ შემძლებელ ხარ და თავს-დებად მონასტრისა კანონსა“. მაშინ იწყო ვედრებად ავაზაკთ-მთავარმან და ჰრქუა მამასახლისსა: „ნუ, წმიდაო მამაო, ნუ უგულებელს-მყოფ მე, რამეთუ შემძლებელ ვარ თავს-დებად ყოველსა წესსა მონასტრისასა და მონაზონებისასა ღმრთისა შეწევნითა, და არარას ბრძანებასა თქუენსა ურჩ ვექმნე მე, უფალსა თუ უნდეს, გარნა შე-ხოლო-მრთე რიცხუსა სამწყსოსა შენთასა“. ჰრქუა მას მამასახლისმან: „ვერ შემძლებელ ხარ აქა ყოფასა, და წარვედ გზასა შენსა მშვდობით და ნუ მრავალსა იტყვ, რამეთუ არა ეგების ყოფაჲ შენი ჩუენ თანა“. მიუგო და ჰრქუა ავაზაკთ-მთვარმან მას: „ნუუკუე ვერ მიცნობ მე? მე ვარ დავით ავაზაკთ-მთავარი და ამისთვს მოსრულ ვარ აქა, რაჲთა ვსტიროდი ცოდვათა ჩემთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა. და უკუეთუ არა შემიწყნაროთ, აჰა, ესერა ჭეშმარიტსა გეტყვ და გრწმენინ ჩემი, რამეთუ გეფუცები მას, რომელი მყოფ არს ცათა შინა, ვითარმედ უკუნ ვიქცე მე მოყუასთა ჩემთა თანა და მოვიყვანნე იგინი აქა და მოგსრნე თქუენ ყოველნი მახვლითა და დავარღვო მონასტერი ესე და შენ ზედა იყოს ცოდვაჲ ესე“.

მაშინ, ვითარცა ესმა ესე მამასახლისსა, შეიყუანა იგი შინაგან მონასტერსა. და აღპარსა იგი და შეჰმოსა მას წმიდაჲ სქემაჲ მონაზონებისაჲ. და იწყო მან მოღუაწებად მარხვითა და ლოცვითა, მორჩილებითა და სიმდაბლითა და ყოვლითა სათნოვებითა. უზეშთაეს ექმნა ყოველთა მკვდრთა მონასტრისათა მონაზონებითა, რამეთუ იყო მონასტერსა მას შინა ვითარ

სამეოცდაათი სული, და ყოველთა მათ ჰმსახურებდა მოუწყინებელად. და ექმნა მათ ყოველთა სახე კეთილის სათნოვებითა.

და დღეთა შინა ერთსა, მჯდომარე რაჲ იყო იგი სენაკსა შინა თვსსა და ფსალმუნებდა, მოვიდა მისა ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა მას: „დ ა ვ ი თ, დ ა ვ ი თ, შეგინდვნა ღმერთმან ყოველნი ცოდვანი შენნი, და ამიერითგან სასწაულთა მრავალთა იქმოდი“. მიუგო მან და ჰრქუა ანგელოზსა მას: „არა მრწამს ესე შენგან, ვითრმცა შემინდვნა ღმერთმან შეცოდებანი ჩემნი, რომელნი უმრავლჱს ქვშისა ზღვსა არიან, ვითარმცა მცირესა ამას ჟამსა მომეტევნეს მე ყოველნი“. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: „უკუეთუ ზ ა ქ ა რ ი ა მღდელისაგან ურწმუნოვებაჲ იგი არა თავს-ვიდევ სიტყუათა ჩემთაჲ ძისა მისისათვს და შევკარ ენაჲ მისი და ვსწავლე იგი დუმილითა, ვინაჲთგან არა ჰრწმენა სიტყუათა ჩემთაჲ, შენ განგიტეოა? ამიერითგან იყავ შენცა დადუმებულ და ვერ შემძლებელ სიტყუად დღეთა ცხორებისა შენისათა“.

მაშინ დ ა ვ ი თ თაყუანის-სცა მას პირსა ზედა თვსსა და ჰრქუა: „ოდეს სოფელსა შინა ვიყავ და ვიქმოდე უჯეროთა საქმეთა და სისხლთა დავსთხევდი, მაშინ ვზრახევდი სავნებელთა სიტყუათა, ხოლო აწ, რაჟამს მნებავს მე მსახურებაჲ ღმრთისაჲ და გალობისა შეწირვაჲ ენითა ჩემითა, მაშინ შევკრავ, რაჲთა არა ვზრახვიდე“.

მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა, რამეთუ: „იყო შენ ლოცვასა და გალობასა ღმრთისასა ჴსნილ და მეტყუელ, ხოლო კაცთა საზრახავისაგან დადუმებულ“.

და ეგრჱცა იქმნა. და ესრჱთ მრავალნი სასწაულთა საქმენი აღასრულნა ღმერთმან მის მიერ. და ფსალმუნებდა და გალობდა ეკლესიასა შინა. ხოლო კაცისა სიტყასა, დიდსა დიდსა გინა მცირესა, ვერ შემძლებელ იყო სიტყად.

და რომელმან გვთხრა ესე ჩუენ, ამას ეხილვა იგი ესრჱთ მდუმარე.

გამოცემა: იოანე მოსხი, ლიმონარი, გვ.გვ. 29, 32, 60-62.

იოსებ არიმათიელი, თხრობაჲ აღშენებისათვს ეკლესიისა, რომელი-იგი არს ლუდიას შინა ქალაქსა, წმიდისა დედოფლისა ჩუენისა მარიამ ღმრთისმშობელისა

იოსებ არიმათიელის წარმოდგენილი აპოკრიფი შეტანილია კლარჯულ მრავალთავში (A-144 და Ath.9-ში). იგი მოგვითხრობს ქრისტეს მოწაფეთა მიერ მცირე აზიის ქალაქ ლუდიაში (ისტ. ლიდია) პირველი ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობისა და პავლე მოციქულის მოქცევის ამბავს.

მეცხრამეტესა წელსა ტ ი ბ ე რ ი ი ს კეისრისა ჰ რ ო მ თ ა მეფისასა და კუალად მეათხუთმეტესა წელსა ჰ ე რ ო დ ე ს ა ძისა ე რ ო დ ე ს ა გ ა ლ ი ლ ე ვ ე ლ თ ა მეფისა და ჴელმწიფობასა პ ი ლ ა ტ ე პ ო ნ ტ ი ე ლ ი ს ა ჰ ურ ი ა თ ა ზედა და მთავრობასა რ ო ფ ჱ ს ს ა და ბ ა ლ ი ა ნ ო ს ი ს ს ა, წელსა მეოთხესა მეორისა ბ ა ლ ი ა ნ ო ს ი ს ს ა, მღდელთმოძღურობასა ა ნ ა ჲ ს ა და კ ა ი ა ფ ა ჲ ს ა ჰურიათა ზედა დაწერა ი ო ს ე ბ ა რ ი მ ა თ ი ე ლ მ ა ნ ჰამბავი ესე და აუწყა მორწმუნეთა უფლისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ჱ ს თ ა დასამტკიცებელად მათა და გამოაცხადებს ჭეშმარიტად უფლისა აღდგომასა.

თქუა ი ო ს ე ფ, ვითარმედ: შემდგომად აღ-რაჲ-დგა უფალი ჩუენი ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე მკუდრრეთით, გამომეცხადა მე, ი ო ს ე ბ ს, პირველად, რაჟამს ვიყავ საპყრობილესა შინა, რამეთუ მღდელთმოძღუართა ერისათა და მწიგნობართა შემაგდეს მე სახლსა შინა საპყრობილისასა ამის ჯერისათვს, ვითარმედ მივედ პ ი ლ ა ტ ჱ ს ჴელმწიფისა თანა და მოვითხოვე გუამი ი ე ს უ ჲ ს ი.

ხოლო კრებული მოწაფეთაჲ, რაჟამითგან მიეცა უფალი, დაიმალნეს დღეთ რავდენთამე. ხოლო მე, რამეთუ პ ი ლ ა ტ ე ს მოყუარე ვიყავ და კადნიერ ვიქმენ მას ზედა და მივემთხვე საწადელსა საქმისა ჩემისასა, ჩემ თანა წარვიყვანე ნ ი კ ო დ ე მ ო ს, რომელი-იგი მოწაფჱ̃ვე იყო ჩემ სახედ ქ რ ი ს ტ ჱ̃ ს ი და გარდამოვიყვანეთ იგი ჴელითა ჩუენითა ძელისაგან. და აღვიღეთ შიშით და შევმურეთ იგი სულნელებითა და სამოსლითა ახლითა და დავდევით ახალსა შინა საფლავსა, გამოკუეთილსა კლდისაგან, რომელსა შინა იყო. და მისი არს ჴელმწიფებაჲ აღდგომისაჲ, ვითარცა-იგი ჰრქუა ჰურიათა, ვითარმედ: დაჰჴსენით ტაძარი ესე და მე აღვადგინო იგი მესამესა დღესა.

და მან სიკუდილი დათრგუნა და ბჭენი ჯოჯოხეთისანი და რვალისანი განტეხნა და შემუსრნა მოქლონნი რკინისანი და აღდგა და მრავალნი მკუდართაგანნი მის თანა აღადგინა. და მე, ი ო ს ე ფ, შევემთხვე მათ და სხუათაცა მრავალთა იხილნეს იგინი და მითხრეს ჩუენ ბჭეთათჳს და მოქლონთა და მუცლისათჳს ჯოჯოხეთისა, რომელი-იგი შემჭამელი არს ყოველთაჲ. და არა უწყოდე მე და მე ვიყავ საპყრობილესა შინა ადგილსა, რომელსაცა შინა ვიყავ, ვიდრემდის შემომიჴდა ჩემ ზედა უფალი, შემიტკბო და მრქუა მე: „გიხაროდენ ი ო ს ე ფ! ჰოი, მტკიცეო სარწმუნოებითა უფროჲს პ ე ტ რ ჱ̃ ს ა, რამეთუ პ ე ტ რ ე ჰ უ რ ი ა თ ა შიშისათჳს ღამესა შინა ერთსა უვარ-მყო მე სამგზის, ხოლო შენ შეურაცხ-ჰყავ შიში და გულის სიტყჳთა კადნიერ იქმენ. მინდობილი შეხუედ პ ი ლ ა ტ ე ს ა და გამოითხოვე გუამი ჩემი და დასდევ იგი საფლავსა შინა შენსა ახალსა. გრწმენინ ჩემი, საყუარელო ჩემო ი ო ს ე ფ, ვითარმედ ყოველნი ძალნი ანგელოზთანი და ყოველნი კრებულნი ზეცისანი ჰნატრიან სარწმუნოებასა შენსა მტკიცესა. და ამისთჳს გამოგეცხადე უპირატეს ყოველთა მოწაფეთასა, რაჲთა გამოგიყვანო ამიერ ადგილისაგან, რაჲთა განვამტკიცო და განვაძლიერო სარწმუნოებაჲ შენი და გული შენი, და რაჲთა არა ურწმუნო იყო აღდგომისა ჩემისათჳს. და აწ წარვედ თჳსსა სოფელსა ა რ ი მ ა თ ი ა დ და იყოფვოდე მუნ, ვიდრემდის მოვიდე მე შენდა და გაუწყო, რაჲ-იგი ჯერ-იყოს შენდა, რაჲთა ჰყო“.

და ვითარ მეტყოდა მე უფალი ამას, იყო ძრვაჲ და ამაღლდა სახლი იგი, რომელსა შინა ვიყავ. და გამოვედით მიერ ორნივე და წამოვიდა ჩემ თანა უფალი წმიდად გ ო ლ გ ო თ ა დ, სადაცა-იგი ჯუარი პატიოსანი იყო და დადგა მუნ და მრქუა: „აჰა ესერა, მე წარვალ მოწაფეთა თანა გ ა ლ ი ლ ე ა ს და უჩუენნე მათ ჴელნი ჩემნი და გუერდი ჩემი და განვანათლნე გონებანი მათნი, რამეთუ ყოველნივე ურწმუნო არიან ჩემდა მომართ“. და შემდგომად სიტყჳსა ამის მიეფარა და უჩინო იქმნა ჩემგან.

ხოლო მე წარვედ წმიდასა გ ო ლ გ ო თ ა ს ა, ვინაჲცა დანერგულ იყო ჯუარი ქ რ ი ს ტ ჱ̃ ს ი და აღმოვიკითხე სისხლი პატიოსანი თავის სახუეველითა და ზეწრითა, რომელი-იგი გამოსრულ-იყო წმიდისა გუერდისა მისისაგან, და მაშინღა წარვედ სოფლად ჩემდა შიშითა და სიხარულითა დიდითა. ხოლო რაჟამს მიხილეს სიხარულითა ჩემითა, განიხარეს სიხარულითა უზეშთაესითა. და მაშინ უთხრობდი მათ ყოველსავე და ადიდებდეს ჩემ თანა უფალსა.

და შემდგომად წმიდათა მოწაფეთა გამოცხადებისა ქ რ ი ს ტ ე ს ა ი ე რ უ ს ა ლ ჱ̃ მ ს, და განიხილა თ ო მ ა და ჰ რ წ მ ე ნ ა, ვითარმედ მოძღუარი აღდგომილ არს. არა უწყოდე და მე ვჯედი რაჲ სახლსა შინა ჩემსა ს ე ლ ე ვ კ ი ო ს ნ ი კ ა ნ ო რ ე ს თანა და ჰ ა ბ ი ბ ო ჲ ს თანა, ძისა გ ა მ ა ლ ი ე ლ ი ს ა, და ნ ი კ ო დ ე მ ო ჲ ს და ბ ა ლ ა დ ი ო ს ი ს და ე რ ე ო ჲ ს ი ს თნა და ესენი მოსრულ იყვნეს ნუგეშინისცემად ჩემდა მწუხარებისა მისთჳს, რომელ შემემთხვა მე მღდელთმოძღუართგან და მწიგნობართა ერისათა მიზეზისა მისთჳს, რომელ-იგი გამოვითხოვე გუამი უფლისა ჩუენისაჲ.

და ვითარ ესრეთ ვიყვენით ჩუენ, მყის გამობრწყინდა სახლსა შინა, რომელსა ვიყვენით, ნათელი და ვზრახევდით აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა. და დადგა ჩუენ შორის და თქუა:

„მშვდობით თქუენ, ყოველთა“! და დავვარდით პირთა ჩუენთა ზედა და თაყუანის-ვეცით და გუაკურთხნა. და ვადიდეთ ღმერთი, მამაჲ საუკუნჱ, რომელმან ძისა თჳსისა მიერ წმიდისა გჳჴსნა. და შეიპყრნა გულნი ჩუენნი შიშმან და ვერ შეუძლეთ ზე აღდგომად და მიხედვად ნათელსა მას გამოუთქუმელსა, რომელი იყო უფლისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ჱ ს თანა. მაშინ დამდვა ჴელი თჳსი ყოველთა ზედა თჳთეულსა ჩუენგანთა და აღმადგინნა ჩუენ და გუეტყოდა ესრჱთ: „რაჲსთჳს დაეცნეს გულნი თქუენნი და ფრიად შეურვებულ იქმნენით? რაჲსათჳს დაივიწყეთ, რამეთუ მამამან მომავლინა? არა შემძლებელ არსა ყოფად საქმეთა დიდებულთა საკჳრველთა საცხორებელად მათთჳს, რომელთა ჰრწმენეს ჩემდა მომართ ყოვლითა გულითა მათითა? რაჲსათჳს ესრეთ შეცბუნდით? რაჲსათჳს დაჴსნილ იქმნენით ესრჱთ, ოდეს აღთქუმულ არს თქუენდა, რაჲთა იყჳნეთ შვილ ნათლისა? ითხოვეთ მამისა ჩემისაგან, რომელი-იგი არს ცათა შინა, რაჲთა აღგავსნეს თქუენ სულითა წმიდითა და მიგანიჭოს თქუენ, რაჲთა იყჳნეთ თქუენ ჩემ თანა მიუკუნისამდე“.

მიუგეთ და ვეტყოდეთ: „უფალო, რაჲ არს სული წმიდაჲ და რაჲ არს ძალი მისი“? რამეთუ მრქუა ჩუენ: „ვითხოვოთ სული წმიდაჲ“. მრქუა ჩუენ: „ამენ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ვერ იქმნეთ შვილ ნათლისა, გარნა სულითა წმიდითა“. მიუგო ნ ი კ ო დ ე მ ო ს და ჰრქუა მას: „უფალო, მომეც ჩუენ იგი, რამეთუ მრქუ მე პირველვე, ვითარმედ: „უკუეთუ არა იშვეს კაცი წყლისაგან და სულისა წმიდისა, ვერ შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა“.

მაშინ შთაგუბერა ჩუენ უფალმან ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე და თქუა: „მიიღეთ სული წმიდაჲ“. და აღვივსენით ყოველნივე სულითა წმიდითა. და იყო სიხარული ჩუენ შორის ნიჭითა სულითა წმიდისაჲთა.

და შემდგომად მიღებისა სულისა წმიდისა, მრქუა მე, ი ო ს ე ფ ს: „მივედ ქალაქად ლ უ დ ი ს ა და ქადაგენ მას შინა სახარებაჲ და სიხარული აღდგომისა ჩემისაჲ და განამტკიცენ, რომელთამე მათგან შეიწყნარეს ჩემგან ნათლისღებაჲ ს ე ლ ო მ ს სინანულისაჲ მისატევებელად ცოდვათა, ადგომაჲ ჩემი ქალაქსა მას შინა. და გარემოჲს მისსა არიან კაცნი მრავალნი“. და ვარქუ მე უფალსა ჩემსა, ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე ს ა: „უფალო, ესე ქალაქი სავსე არს ფარისეველთაგან და მწიგნობართაგან, რამეთუ სულსა იღებენ მოკლვასა და აშინებენ სიქადულითა ჩუენდა მომართ მოწაფეთა შენთა და განიზრახვენ და იგონებენ, და გული უთქუამს მათ განბნევად ჩუენ[და]“. მაშინ ვარქუ მე: „სადა მივიდე და ვინაჲ დავადგრე? რამეთუ ყოველთა დღეთა შეკრბებიან და კრებასა ჰყოფენ შესაკრებელთა შინა, რომელ არიან მუნ. და კუალად მუნ კაცი არს სასტიკი ტ ა რ ს ე ლ ი, სახელი მისი ს ა ვ ლ ე, და აღძრავს ესე ქალაქი და შფოთებს მესამით დღითგან, ვითარ-იგი მითხრეს, და იგი ეძიებს მოწაფეთა შენთა, რაჲთა ბოროტი უყოს მათ“. მომიგო უფალმან და მრქუა მე: „ამენ გეტყჳ შენ, ვითარმედ იხილო ს ა ვ ლ ე ეგე, რომელ აწ მდევარ არს, არა შემდგომად მრავალთა დღეთა და იქმნეს მახარებელ და მორწმუნე ეკლესიისა, რომელი აწ მტყუენველ არს და მდევარ მისა არს, რამეთუ პირველ დაბადებისა მისისა საშოსა შინა დედისასა გამომირჩევია, რაჲთა იყოს მოწამე ადგომისა ჩემისა ყოველთა წარმართთა შორის. ხოლო შენ აწ თანა-იპყარ ნ ი კ ო დ ე მ ო ს და მივედ ლ უ დ ს, ვითარ-იგი გიბრძანე და გარდაჰვედ სახლსა შინა ნ ი კ ო დ ე მ ო ს ი ს ს ა, ერთგულისა მოწაფისა ჩემისა, მახლობელად შესაკრებელსა, რომელსა ჰრქჳან ბ ე თ ე ლ ო ე, რომელ არს თარგმანებით – სახლი ღმრთისაჲ“.

ვარქუ მე უფალსა ჩემსა ი ე ს უ ს: „უფალო ჩემო, შენ უწყი ყოველი, ვითარმედ ყოველნი მოქალაქენი მუნ შეკრბებიან ყოველთა ჟამთა, რამეთუ იგი შესაკრებელი არს პირველი ყოველთა საკრებულოთა, რომელი-იგი არს ქალაქსა მას შინა“. მრქუა მე უფალმან: გრწმენინ ჩემი, საყუარელო ჩემო ი ო ს ე ფ, რამეთუ იგი ადგილი იქმნეს ადგილი ათქუმისაჲ და სახარებისაჲ. ხოლო აწ შენ წარვედ სიხარულით, ვიდრემდის მოგივლინო ფ ი ლ ი პ ე“. და

ვითარ იტყოდაღა ამას, მიგუეფარა და უჩინო იქმნა ჩუენგან.

მაშინ ვარქუ ს ე ლ ე ვ კ ო ს ს და ნ ი კ ა ნ ო რ ი ს და მოყუასთა მისთა: „წარვედით, ძმანო ჩემნო, მშვდობით. ღმერთი იყავნ თქუენ თანა მაცხოვრად და უთხართ მოციქულთა, რომელნი არიან ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ ს შინა, საკვრველებანი ესე ღმრთისანი და დიდებულებაჲ მისი, რომელნი ქმნნა და რომელნი გასმიან ყურთა თქუენთა და იხილეთ თუალითა თქუენითა და აღდეგით, რაჲთა მივსცეთ დიდებაჲ სიხარულით დიდებულსა უფალსა, ღმერთსა ჩუენსა“.

და ვითრცა ილოცეს ლოცვაჲ გრძელად და შეიტკბნეს ურთიერთას და ჰმადლობდეს უფალსა. და წარვიდეს ნ ი კ ა ნ ო რ ი და მოყუასნი მისნი სიხარულით და ჰმადლობდეს ღმერთსა ყოველსა მას ზედა, რომელიცა ესმა და იხილეს. და უთხრობდეს ყოფილსა ამას ყოველთა წმიდათა, რომელნი იყვნეს ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ ს , და აღივსნეს ყოველნივე სიხარულითა დიდითა.

ხოლო ს ე ლ ე ვ კ ო ს მრქუა მე: „ცხოველ არს ქ რ ი ს ტ ჱ ღმერთი, ვითარმედ აწ მოვიდე მე შენ თანა ლ უ დ ა დ“. მაშინ მშვდობაჲ დაუტევეთ ძმათა და წარვედით ქალაქად ლ უ დ ა დ და მშვდობაჲ მოჰკითხეთ ძმათა, რომელნი მუნ იყვნეს. და ვახარეთ ადგომაჲ უფლისაჲ, და აღემატებოდეს ყოველთა დღეთა და გამტკიცნებოდეს სარწმუნოებითა უფლისა მიმართ და ჰრწმენა ურიცხუთა მრავალთა და დადგრომილ იყვნეს მარხვასა და ლოცვასა მარადის.

ხოლო შემდგომად დღეთა, გარდასვლისა ზატიკობისასა, მოვიდა ჩემდა ფ ი ლ ი პ ე უწყებითა უფლისა მიერ და ნათელ-სცა დღესა შინა ერთსა ხუთასსა კაცსა მორწმუნეთა ქ რ ი ს ტ ე ს მიერ. და შემდგომად ნათლისღებისა მათისა გამოეცხადა მათ უფალი, რამეთუ ყოველნი იგი შეკრებულ უყვნეს სახლსა შინა ნ ი კ ო დ ე მ ო ს ი ს ა. და ვითარ დაადგრა ფ ი ლ ი პ ე ჩვენ თანა შვდ დღე, ინება, რაჲთა წარვიდეს კ ე ს ა რ ი ა დ. და ვითარცა ცნეს ძმათა, მწუხარე იქმნნეს ამისთვს და ევედრებოდეს მას, რაჲთა დაადგრეს მათ თანა. ხოლო მან არა ინება და ჰრქუა მათ: „კმა არს ქალაქისა ამისთვს და გარემოთა მისთა ი ო ს ე ფ და ს ე ლ ე ვ კ ო ს და ნ ი კ ო დ ე მ ო ს, რამეთუ მათცა მიუღებია ნიჭი, ვითრცა-ესე ჩუენ, დარწმუნებულ არიან სახარებასა ხარებად სასუფეველისათვს“.

და წარვიდა ფ ი ლ ი პ ე ქალაქად თვსას. ხოლო ძმანი ყოველთა დღეთა შინა შეკრბებოდეს ლოცვასა და ზიარებასა საიდუმლოსა უფლისა ჩუენისასა და მადლსა. ხოლო მწუხარე იყვნეს ურვითა და არა უწყოდეს, თუ ვინაჲ აღაშენონ ტაძარი უფლისათვს. და არა ერთზრახვა იყვნეს ამის ჯერისათვს და წარავლინეს ს ე ლ ე ვ კ ო ს პ ე ტ რ ჱ ს ა ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ ს , რაჲთა მოვიდეს იგი და უბრძანოს მათ, თუ რომელსა ადგილსა აღაშენონ ეკლესიაჲ – სახლი ღმრთისაჲ.

და ვითარცა მოვიდა წმიდაჲ პ ე ტ რ ე და იხილა კრებული ურიცხვ მრავალი მორწმუნეთგანი, ადიდებდა ღმერთსა და განიხარა ფრიად და იტყოდეს ძმანი, რაჲთა ევედროს ღმერთსა, რომელ აუწყოს მათთვს, რომელსა ადგილსა აღაშენონ ადგილი სიწმიდისა მისისაჲ. მაშინ აღდგა წმიდაჲ პ ე ტ რ ე შორის ძმათა ლოცვისა ყოფად და თქუა: „უფალო, შენ, რომელმან მოუწოდე კრებულსა ამას მრავალსა წოდებითა შენითა, მაუწყე ჩუენ, რომელსა შინა ადგილსა არს ნებაჲ შენი, რაჲთა აღეშენოს მას შინა ეკლესიაჲ შენი“. და თქუა ესე, გუესმა ყოველთავე ჴმაჲ, იტყოდა რაჲ: „ბ ე თ ე ლ ო ე ს იყოს ადგილი სიწმიდისა ჩემისაჲ, სახლსა თანა ნ ი კ ო დ ე მ ო ს, მოწაფისა ჩემისასა ერთგულისა“. და ვითარცა ესმა ესე ნ ი კ ო დ ე მ ო ს ს, თქუა: „გმადლობ შენ, უფალო, ა დ ო ნ ა ე ლ ო ჲ ს ა ბ ა ო თ“ – ესე იგი არს: უფალო, ღმერთო ძალთაო, რომელმან გამოარჩიე საყოფელი მონისა შენისა, რაჲთა იყოს ადგილი სიწმიდისა შენისაჲ. მაშინ მოვიდა ნ ი კ ო დ ე მ ო ს მღდელთმოძღუართა და მწიგნობართა თანა ჰ უ რ ი ა თ ა ს ა და კაცთა პირველთა ქალაქისათა ლ უ დ ს შინა და ჰრქუა მათ: „ჰოჲ მსახურნო უფლისა ს ა ბ ა ო თ ი ს ნ ო, თქუენ ხართ მოძღუარნი ისრაჱლისანი და თესლი წმიდაჲ, ნათესავი აღთქუმისა ღმრთისაჲ. თქუენ უწყით, რამეთუ ადგილი

სამსახურებელი და სალოცველი ამას ქალაქსა შინა ბ ე თ ე ლ ო ე არს და იგი იწრო არს ფრიად და და ჯერ-არს თქუენდა, რაჲთა განავრცოთ და განაშუენოთ უფროჲს ყოველთა შესაკრებელთა. და აჰა ესერა, მე თქუენ წინაშე ვარ, შევსწირავ ღმრთისა ამას ტაძარსა წმიდასა. სახლი ესე ჩემი მცირჱ, რაჲთა ემატოს სივრცესა მისსა და განდიდნეს და მე უურავ-გყვნე თქუენ საჴმრისა მისისათჳს და ზრუნვისა აღშენებისა და ყოვლისა საჴმრისა, რაჲთა უჴმდეს ტაძარსა“. და შეჯერებულ იქმნეს მღდელთმოძღუარნი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი მათნი და ნება სცეს ნ ი კ ო დ ე მ ო ს ს ამას ზედა.

და წარვიდა მაშინ ნ ი კ ო დ ე მ ო ს ძმათა თანა სიხარულითა და უთხრობდა მათ მადლსა ღმრთისასა. და ვითარცა ესმა ესე ძმათა, განიხარეს და ადიდეს ღმერთი. და აღიღეს პ ე ტ რ ე და ნ ი კ ო დ ე მ ო ს და ძმათა ცულები და დაარღვეს სახლი ნ ი კ ო დ ე მ ო ჲ ს ი შესაკრებლითურთ ბ ე თ ე ლ ო ჲ, და შემდგომად დარღუევისა მის ყოვლისა, აღდგა წმიდაჲ პ ე ტ რ ე და ილოცა. აღიღო საზომი და განზომა სიგრძჱ ტაძრისაჲ და ნებითა ღმრთისაჲთა იწყო მოსწრაფედ შენებად ტაძრისა. და განიხარეს პ ე ტ რ ე და ნ ი კ ო დ ე მ ო ს და ძმათა ამისთჳს.

და ჰრქუა მათ პ ე ტ რ ე: „ვჰმადლობ ღმერთსა, მამასა უფლისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ჱ ს ს ა, რამეთუ ესე პირველი ეკლესიაჲ არს, რომლისაჲ ჴელითა ჩემითა დავდევ საძირკუელი ამის ეკლესიისაჲ. ეწოდოს მეორჱ შემდგომად ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ ი ს ა ეკლესიისა“. მაშინ პ ე ტ რ ე და ნ ი კ ო დ ე მ ო ს გამაჩინეს მე, ი ო ს ე ფ, შენებასა ზედა ტაძრისასა და ზრუნვად საქმისა მისისათჳს, და იგინი წარვიდეს ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ დ.

ხოლო ს ა ვ ლ ე მას ჟამსა სულსა იღებდა და აღსძრვიდა ერსა სიქადულით შინებად და მოკლვად მოწაფეთა უფლისათა. და მივიდა მღდელთმოძღურისასა და ითხოვა მისგან წიგნები და ბრძანებაჲ დ ა მ ა ს ა კ ო დ, რაჲთა შეიკრძალნეს ყოველნი, რომელნი იპოვნენ მორწმუნეთაგანნი ადგომისა და მახარებელ ი ე ს უ ჲ ს თ ჳ ს, რაჲთა შეკრნეს და წარმოიყვანნეს ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ დ.

და ვითარ იყოღა სლვასა შინა თჳსსა მიახლებულ ოდენ დ ა მ ა ს კ ე დ, გამოუბრწყინდა მას მყის შინა ნათელი ზეცით და დაეცა ქუეყანასა ზედა. და ესმა ჴმაჲ, რომელი ეტყოდა მას: „ს ა ვ ლ ე, ს ა ვ ლ ე, რაჲსათჳს მდევნი მე“? ჰრქუა მას: „ვინ ხარ შენ, უფალო“? რქუა მას: „მე ვარ ი ე ს უ, რომელსა შენ მდევნი, არამედ აღდეგ და მივედ დ ა მ ა ს კ ე დ და გრქუა შენ მუნ, რაჲცა ჯერ-იყოს შენდა ყოფად“. და წარვიდა მაშინ და ნათელ-იღო ა ნ ა ნ ი ა ს მიერ, ვითარცა-იგი უფალმან წინაჲსწარ მაუწყა და გამომიცხადა მე.

ხოლო პ ე ტ რ ე მოვლნა ს ა მ ა რ ი ტ ე ლ ნ ი და მოვიდა ჩუენდა ძმათა მოკითხვად და ხილვად შენებისა ტაძრისასა, ხოლო ღმერთი იქმოდა ჴელითა წმიდისა პ ე ტ რ ე ს ი თ ა სასწაულთა არამცირედთა, ვიდრემდის აღ-ცა-იკიდებდეს სნეულებსა სარეცლებითა და მოჰგურიდეს მას და ჰკურნებდა მათ. და ჰრწმენა მათ სახელი უფლისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ჱ ს ი და ნათელს-იღებდეს სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

და იყო ქალაქსა შინა ლ უ დ ი ს ს ა კაცი, მსახური ღმრთისაჲ, და იმარხვიდა შჯულსა მამათასა მტკიცედ და სახელი მისი ე ნ ი ა ს, და ყოველნი მკვდრნი ლ უ დ ი ს ა ნ ი წამებდეს სიმართლესა მისსა. და ესე დავრდომილ იყო რვით წლითგან, ქუე ჯდომით ცურვიდა და მდებარჱ იყო სარეცელსა ზედა. ხოლო სახლი მისი იყო აღმოსავალით კერძო სახლსა ნ ი კ ო დ ე მ ო ს ი ს ს ა, რომელი-იგი შეიწირა წმიდათა. და იხილნა საკვრველებანი დიდნი, რომელთა იქმოდა ღმერთი ჴელითა წმიდისა პ ე ტ რ ჱ ს ი თ. ღაღად-ყო შვილთა მიმართ თჳსთა ჴმით მაღლითა და თქუა: „აღმიღეთ მე და მიმიღეთ ს ი მ ო ნ-პ ე ტ რ ე ს ა, რაჲთა მივემთხჳო მეცა კურნებასა მრავალთა თანა“. მაშინ აღიღეს სარეცლითურთ და მოიღეს ადგილსა მას, რომელსა იყო წმიდაჲ პ ე ტ რ ჱ. და ვითარცა იხილა, ჰრქუა: „ბრძანე, მამაო პ ე ტ რ ე, და

დასხენ ჴელნი შენნი ჩემ ზედა, რაჲთა განვიკურნო და იდიდოს სახელი იესუჲსი ჩემ შორისცა“. კუალად, ვითარცა იხილა წმიდამან პ ე ტ რ ე ესევითრი სარწმუნოებაჲ მისი, ჰრქუა მას: „ჰოჲ ე ნ ი ა ს, განგკურნოს შენ უფალმან ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე, აღდეგ და განჰმარტე თავი შენი“! და მსწრაფლ აღდგა და იხილეს ყოველთა მკჳდრთა ლ უ დ ი ს ა თ ა. და კუალად სარონაცა და ყოველნი იგი მოიქცეს უფლისა და ნათელ-იღეს წმიდისა პ ე ტ რ ე ს მიერ. და მაშინ ე ნ ი ა განყიდა ყოველი მონაგები თჳსი და შეწირა მათა, რომელნი-იგი შურებოდეს ეკლესიისა შენებასა. და ეგრევე ყოველნი წმიდანი იყჳნეს, თითოეულმან მათგანმან მოიღის ძალისაებრ თჳსისა, რომელსა შემძლებელ არნ და მისცემდეს შენებისათჳს ეკლესიისა. განაჩინა იგი ჩემ თანა და ბ ა ლ ა დ ი ო ს ც ა მსახურებასა ზედა ეკლესიისა შენებასა.

და შემდგომად ამისა წმიდაჲ პ ა ვ ლ ე ვიდოდა ქალაქებსა შინა და მოვიდა ჩუენდა და დაყჳნა ჩუენ თანა დღენი მრავალნი. შურებოდა ჩუენ თანა შენებასა ეკლესიისასა, მერმე მშჳდობაჲ დაგჳტევა და წარვიდა სიხარულით ა ნ ტ ი ო ქ ი ა დ ქალაქად.

და შეწევნითა ღმრთისაჲთა სრულ იქმნა შენებაჲ [....] სირცხჳლეულ იქმნეს. ხოლო კრებული ჩუენ ქრისტეანეთაჲ სიხარულითა დიდითა ვდღესასწაულობდით და ვადიდებდით მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

გამოცემა: თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, გვ. 294-300.

იოვანე ბოლნელი, „ბ კჳრიაკესა, დღესა ყველითა აღებასა. სახარებაჲ მათესი, თარგმანებაჲ სახარებისაჲ: „ეკრძალენით ქველის საქმესა“

X საუკუნის ქართველი ავტორის იოვანე ბოლნელი ავტორია რამდენიმე ჰომილიისა, რომლებიც შეტანილია კლარჯულ მრავალთავში (A-144). წარმოდგენილი ჰომილია განკუთვნილია ყველიერის კვირას წარმოსათქმელად. ტექსტი აგებულია მათეს სახარების 26-ე თავის განმარტებებზე.

„...უკუეთუ მიუტევნეთ კაცთა, მოგჳტევნეს ჩუენცა შეცოდებანი ჩუენნი ღმერთმა“. აწ რაჲ ყენებაჲ არს ჩუენდა, საყუარელნო, არა მიტევებად შეცოდებათა ძმათა ჩუენთა? უკუეთუ კუალად არა მიუტევნეთ შეცოდებანი მათნი ძმათა მათ ჩუენთა, ისმინე მეორეცა იგი თქუმული პირისაგან უფლისა, რასა-იგი იტყჳს: „არცაღა მამამან თქუენმან ზეცათამან მოგიტევნეს შეცოდებანი თქუენნი“! [უკუეთუ მიუტევნ]ეთ შეცოდებანი ძმათა ჩუენთანი, და უფალმან ჩუენცა მოგჳტევნეს შეცოდებანი ჩუენნი.

და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფვით, ვითარცა-იგი ორგულნი და ფარისეველნი, მწუხარჱ, რამეთუ განირყუნიან პირნი მათნი მრავალფერითა წამლითა და აჩუენიან მწუხარებაჲ პირისა მათისაჲ კაცთა. მართლიად გეტყჳ თქუენ: იგი არს სასყიდელი მათი! „ხოლო შენ, რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და განიბანე პირი შენი, განიშოვრე მწუხარებაჲ, განიფრთხვე და შეიმოსე სიხარული და უჩუენე სიწმიდჱ გონებისა შენისაჲ მამასა შენსა, რომელ არს ცათა შინა და ხედავს დაფარულთა გულისა შენისათა, და მან მოგაგოს შენ ცხადად ყოველივე“.

„და ქუეყანასა ზედა რაჲსა იუნჯებთ... სადა-იგი მღილმან და მჭამელმან განრყუნის და მპარავთაცა განიპარიან იგი“. და უკუეთუ იყჳნენ საფასენი თქუენნი ცათა შინა, მუნცა იყჳნედ გულნი თქუენნი.

„სანთელი გუამისაჲ არს თუალი; ნუმცა არს თუალი შენი ბოროტ, ნუ იხედავ ამაოდ, არამედ მოაქციენ თუალნი შენნი, რაჲთა არა იხილონ ამაოებაჲ და ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს“. რაჲ შესაძინელ არს შენდა ბრწყინვალებაჲ იგი მზისაჲ, ანუ მთოვარისაჲ, გინათუ ვარსკულავთაჲ? „არამედ ეგრეთ ნათობდინ ნათელი იგი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და

ადიდებდენ მამასა თქუენსა, რომელ არს ცათა შინა“.

„ვერვის ჴელეწიფების ორთა უფალთა მონებად“. ნანდვლვე ჭეშმარიტად ვერვინ ჰმონოს უფალთა, „ნუუკუე ერთი იგი შეიყუაროს და ერთი იგი მოიძულოს, ანუ ერთისაჲ მის ისმინოს და ერთი იგი შეურაცხყოს. ვერვის ჴელეწიფების მონებად ღმრთისა და მამონაჲსა“.

ამისთჳსცა გუასწავებდა და გუეტყოდა: „ნუ ჰზრუნავთ თავთა თქუენთათჳს, ნუცა ეძიებთ ჴორციელებრსა რასმე სახესა, რაჲ ვჭამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ ჴორცთა თქუენთათჳს რაჲ შევიმოსოთ“. იტყჳს ამისთჳს წმიდაჲ მოციქული: „უკუეთუ ვჭამოთ, არარაჲ გუემატოს .... მას ძოწეულსა ფერად-ფერადსა“.

„რაჲსათჳს არა მიჰხედენით მფრინველთა მათ ცისათა? რამეთუ არა სთესვენ და არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯესა მათსა, და მამაჲ იგი ზეცათჲ ზრდის მათ“. ხოლო უმჯობეს ვარ მათსა, საყუარელნო, რომელთათჳსცა-იგი დასთხია უბიწოჲ სისხლი თჳისი ჯუარსა ზედა. ოდესღა ესევითარი მზრუნველი გჳვის ჩუენ ცათა შინა, თქუენ რაჲსა ჰზრუნავთ, რამეთუ მან თავადმან თქუა: „ვინ-მე უკუე იყოს თქუენგანი კაცი, რომელი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ ოდენ“? არამედ „მიუტეოთ უფალსა გულისსიტყუაჲ ჩუენი და მან გამოგუზარდნეს ჩუენ“ და „სამოსლისა თქუენისათჳს რაჲსა ჰზრუნავთ? მიჰხედენით შროშანთა [ველისათა, ვითარ-იგი აღორძნდის! არა შურებინ, არცა სთავნ“].

ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ „ყოვლადვე ბრძენმან მანცა სოლომონ არა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი“. ვითარცა იგივე წმიდაჲ მოციქული ეწამების და იტყჳს: „არარაჲ შემოვიღეთ სოფელსა ამას შინა. ჩანს, რამეთუ არცა გან-რაჲ-ღებად გჳც“. „უწყითა, უკუეთუ თივაჲ იგი ველისაჲ, რომელი დღეს არნ და ხვალე თორნესა შთააგზნიან“? რამეთუ ყოველი დიდებაჲ ამის სოფლისაჲ ღმერთმან ესრეთ შეამკვის, ვითარცა-იგი უწამებიეს სადა ვისმე, და იტყჳს თუ: „კაცისანი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი, და ვითარცა ყუავილი ველისაჲ ეგრე ყუავიან“, ჰბეროს მას ქარმან და არცაღა აჩნდეს ყოვლადვე ადგილი მისი.

ოდესღა ესე ესრეთ არს, საყუარელნო, რაჲსა ჰზრუნავთ და იტყჳთ: „რაჲ ვჭამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ? [რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი] ეძიებენ“. ხოლო ჩუენდა არა ჯერ-არს ძიებად, რასა-იგი ეძიებენ. არცა ჯერ-არს ჩუენდა ზრუნვად და არცაღა ჯერ-არს ჩუენდა თხოვად, რასა იგინი ითხოვენ; არამედ ვითარცა იტყჳს: „უწყის მამამან თქუენმან ზეცათამან რაჲ-იგი გიჴმს თქუენ ყოველი“, ვიდრე თხოვადმდე თქუენდა, რომელი განიკითხავს გულსა და თირკუმელთა. „ხოლო თქუენ ღაღადებდით და ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და წყალობასა მისსა. და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“. რაჲმემცა იყო უფროჲსი ამისსა შესაძინელი... ვნებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი მო-ვე-ახლებულ არს. ხოლო ჩუენ, საყუარელნო, განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ლოცვითა, მარხვითა და ვედრებითა. და ყოველნი მივიწინეთ დღესა მას უფლისასა და ყოველნი ერთობით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

გამოცემა: კლარჯული მრავალთავი, გვ. 203-204.

(მიქაელ მოდრეკილის იადგარიდან (S-425, 979-988 წწ.)

იოანე მინჩხი, გალობანი გიორგისნი

სპადუქნი (მორთულნი)

თვთ-ძლისპირნი

„ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გ ი ო რ გ ი მ ე ფ ე ს ა, დიდისა, ვედრებითა აღუწერებიან მ ი ნ ჩ ხ ი ს ა დ ა.
რომელთა თავნი იტყვან: „წმიდაო გ ე ო რ გ ი, შეეწიენ გ ე ო რ გ ი მ ე ფ ე ს ა წინაშე მეუფათა მეუფისა და ადიდე“.

(იგულისხმება აფხაზთა მეფე გიორგი II (922-957).

გალობაჲ II

მოეც სინათლე
    გონებასა ჩემსა, ტკბილო ი ე ს უ,
    და გულსა ცნობაჲ გონიერად გამგონე,
    ბრმათა განმაბრძნობელო უფალო,
    რომელმან მოეც სიტყუაჲ უსმსა, შობითგან უტყუსა,
    იგივე მადლი, სახიერ, მომეც უღირსსა ამას,
    რათა აღმოვთქუა ქებაჲ
შენისა მ ო წ ა მ ი ს ა გ ი ო რ გ ი ს ი.

*

ვითარცა ვარდი
სურნელი ფერითა შუენიერითა
გამოშჩნდი ეკალთაგან უნაყოფოთა,
და ვითარცა სანთელი აღენთე
შორის ბნელსა ნათესავთა მათ უგულისჴმოთა,
    დიდებულო მოწამეო,
სძაგებდ განცხადებულად
კერპთა მათთა მტყუართა,
    ამისთჳს აღემზადნეს მოკლვად შენდა.

გალობაჲ III

განიმსტურენ სიბრძნით გზანი საუკუნოჲსა ცხორებისანი,
    და გულისჴმა ყავ საზღუარი
    ცუდისა ამის საწუთროჲსაჲ.
    რამეთუ ყოვლით კერძოით ამაო არს,
    და სიხარულით შეეყავ
წმიდათა გზასა, გ ი ო რ გ ი,
    და განეშორე გზათა სიცრუვისათა.

*

ისარნი იგი ძლიერისა ლესულნი
განაწონა დღეს
გულსა მგლისასა წმიდამან,
და ვითარცა მონადირემან
ქ რ ი ს ტ ე ჲს მ ა ნ, დასცა მჴეცი იგი მძჳნვარე,
და იხარებენ ცხოვარნი
პირმეტყუელნი, და გალობენ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, ძლიერო ქ რ ი ს ტ ე!

გალობაჲ IV

ევლტოდა საწუთროჲსა
საცთურთა ბნელთა ნივთიერთა,
რამეთუ განათლდა
უნივთოჲთა მით ნათლითა --
ი ე ს უ ჲ ს ი თ ა – გ ი ო რ გ ი,
საშუებელნი მოიძაგნა მან
და შუებად შეჰრაცხნა გუემანი მჴნემან მან,
ამისთჳს დაადგრა მის თანა
საღმრთოჲ სული საკჳრველთ-მოქმედი,
და მის მიერ ზარ-სცემდა უღმრთოთა.

*

ეკუეთნეს ქარნი იგი
საშინელნი განსაცდელთანი –
გოდოლსა სულისა
წმიდისა აღშჱნებულსა,
წმიდასა მას მოწამესა
და ზღუდესა მორწმუნეთასა,
ხოლო ვერ შეარყიეს სიმტკიცჱ მისი,
რამეთუ დამყარებულ იყო
არა ქჳშასა ზედა, არამედ
კლდესა ზედა ქ რ ი ს ტ ე ჲ ს მცნებათასა“.

მიქაელ მოდრეკილი, გალობანი აღვსებისა VII ჴმისა

სპადუქნი (მორთულნი)

გალობაჲ VII

„მაღალსა ღმერთსა“ – ამათ ზედა.

ავაზაკთა შორის ჯუარს-ეცუ, მჴსნელო,
და დაისაჯე ძელითა
მართლ-მსაჯული ყოველთა დაბადებულთაჲ
მოჰკუედ ბუნებითა მოკუდავითა, მაცხოვარ,
ჰგიე, უხრწნელო, შეუხებლად
საღმრთოჲთა მით ბუნებითა,
რამეთუ დაჰმარხენი
თჳთებანი
შეურწყუემელთა მათ
ბუნებათანი, სახიერ,
და გიცანთ მხოლოჲ ორითა ბუნებითა.

*

რაჲ არს უცხოჲ ესე სასწაული
და ხილვაჲ განსაკრთომელი?
ჰოჲ სიმდაბლეჲ მაღლისაჲ, მიუწდომელი,
რამეთუ შემმოსელი ცათაჲ ღრუბლითა,
გარე-შეუწერელი ღმერთი,
შეიხვა სუდარითა;
ცათა დაუტევნელი
შეიცვა დღეს
ჴორცითა საფლავმან,
და მკუდართა თანა იხილვა
უკუდავი ღმერთი მხოლოჲ დაუსაბამოჲ!

გალობაჲ VIII

„დიდებითა მით“ – ამათ ზედა.

— „ი ო ს ე ფ რჩეულო, მითხარ ჩუენ
ვინ არს ესე ჯუარ-ცუმულ ჴორცითა,
რომელი გარდამოჰჴსენ ძელით?“
„მაუწყე ჩვენი, ნ ი კ ო დ ე მ ო ს ქებულო,
ვინ შეჰმურე წესითა მკუდართაჲთა,
შეხვე ტილოჲ და სუდარითა,
და დასდევ საფლავსა შინა?“

— „ესე არს —
ქ რ ი ს ტ ე ღმერთი დაუსაბამოჲ,
რომელმან ივნო და მოკუდა ჴორცითა
სოფლისა ცხოვრებისათჳს,
ამან სიკუდილი მოკლას და აღდგეს მკუდრეთით!“

*

ყოველთა მეუფეო, ქ რ ი ს ტ ჱ,
მაღალო ღმერთო, უხილავო,
დაბადებულთა შემოქმედო,
მოიხილე აწ მაღლით წმიდით შენით
ჩვენ უღირსთა მონათა შენთა ზედა,
და აღმავსენ მადლითა საღმრთოითა
აღდგომასა შენისაჲთა!
მოჰმადლე
ძლევაჲ მეფესა მორწმუნესა
მტერთა ურწმუნოთა წინააღმდეგომთაჲ.
და წარუმართე, სახიერ,
აწ ფერჴთა ჩუენთა გზასა მშჳდობისასა“.

მიქაელ მოდრეკილი, გალობანი აღვსებანი

I ჯმისა

სპადუქნი უცხონი, ურთიერთას შეყოფილნი და განყოფილნი შეტყუებით, მსგავსი მსგავსებითა და თითოეული განთჳსებითა. ქართულნი.
გალობაჲ V „ი ო ნ ა მენავეთ“—ამათ ზედა.

ცხორებისა მომცემელი
სამარესა ახალსა დაგდვეს შენ,
მაცხოვარ!
და ლოდსა შენსა დასითურთ დაჰბეჭდეს
უშჯულოთა მათ მღდელთმოძღუართა,
რამეთუ ნეფსით მოჰკუდი ჴორცითა, უკუდავო,
და მოკუდავი უკუდავ ჰყავ, მჴსნელო,
გეუფლა შენ წყუდიადი ბნელი, –
ბუნებითა მით
ადამისითა,
შეუხებელსა თჳთ-მნათობსა.

*

სულიერითა ჴმითა
და საღმრთოჲთა სახიობათა ვიტყჳთ
ქ რ ი ს ტ ე ს ა
ერთობითა ჩვენ ყოველნი მორწმუნენი,
უვნებელსა ბუნებითა მით
უსხეულოჲთა, საღმრთოჲთა, ხოლო ვნებულად –
ა დ ა მ ი ს ჴორცითა ვნებადითა,
და ესრეჲთ ვიცნობთ მხოლოსა მას
ორად ბუნებად,
შეურევნელად,
ღმრთეებითა და კაცებითა.

გალობაჲ VI

„ქრისტემან ღმერთმან“ –

მჴედრისა მიერ რაჟამს განეღო
საღმრთოჲ გუერდი შენი, ქ რ ი ს ტ ე,
გარდასწუთეს წუეთნი
სისხლისა და წყლისანი,
და შეწუეს ჯოჯოხეთი
საფუძველითურთ.
ხოლო რაჟამს გიხილა შენ ქუესკნელმან
სამარესა დადებული,
შეძრუწნდა და ზარ-განჴდილმან განუტევნა
სულნი საუკუნითგანნი
მძინარენი,
ა დ ა მ ი ს ა ურჩებითა მომწყდარნი.

*

და ელვისა მსგავსი ანგელოზი
რაჟამს იხილეს მცველთა მათ,
მცხინვარებისაგან
დაცვვეს ქუეყანასა
ზარ-განჴდილნი შიშითა;
ხოლო დედათა,
გლოვისა წილ, სიხარული აუწყა,
ღაღადებითა ეტყოდა მათ:
„გიხაროდენ, ქრისტე აღდგა, ვითარცა თქუა,
ღირსნო! არამედ წარვედით
და ახარეთ
მოწაფეთა მისთა აღდგომაჲ ღმრთისაჲ“.

მიქაელ მოდრეკილი, გალობანი აღვსებისანი

IV ᲬᲛᲘᲡᲐ

ᲗᲕᲗᲫᲚᲘᲡᲞᲘᲠᲜᲘ

გალობა IV

დაუსაბამოჲსაგან მამისა
ქ რ ი ს ტ ე, ძეჲ და სიტყუაჲ დაუსაბამოჲ
უპირატეს ჟამთა ყოფილი,
მხოლოჲ მხოლოჲსაგან უდედოდ შობილი,
აღსასრულსა ჟამთასა ჩუენთჳს განკაცებული,
ჯუარითა ნეფსით თჳსით ვნებული,
მტერთა თჳსთაგან გუემული, ვითარცა კრავი დაკლული,
ᲕᲝᲠᲪᲘᲗᲐ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲓ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ,
სამ დღე საფლავსა დადებული,
ბეჭდითა დაბეჭდული,
დაკრძალული და მცველთა მიერ დაცვული,
ცხოველთა და ცხოვრების მომცემელი,
აღდგა საფლავით, ვითარცა ღმერთ არს.

*

ერნი ნათლისანი გარემოჲს დგეს
ნათლითა შემოსილსა მას საფლავსა,
რომლისაგან აღმოგვბრწყინდა
ქ რ ი ს ტ ე , დაუსაბამოჲ იგი ნათელი!
მენელსაცხებლეთა მოუსპეს მწუხარებაჲ,
და განუქარვეს მგლოვარებაჲ,
რაჟამს აუწყეს ქ რ ი ს ტ ე ს აღდგომისა სახარებაჲ!
ეტყოდეს მაგდანელსა: „გიხაროდენ!
აღდგომილ არს ქ რ ი ს ტ ე საფლავით,
ისწავეთ აწ სიმტკიცეი —
სიტყუათა, წამებითა საქმეთაჲთა
იხილენით ტილონი და სუდარი
სასწაულნი აღდგომისანი“.

გალობაჲ V

მოქცევმან ცოდვისამან
და უფსკრულმან უშჯულოვებისამან
დამნთქა სიღრმესა საცთურთასა
ნავითა უდებებისაჲთა!
ეკუეთნეს სულსა ჩემსა
ღელვანი მტერისა განსაცდელთანი,

შთანთქა უწყალოდ მჴეცმან სულთა მომსრველმან
და აწ
შენდა მოვილტი, ქ რ ი ს ტ ე, ცხოვრებისა სასოო,—
მოყავ ჴელი შეწევნისაჲ,
მიჴსენ ვითარ იონა ვეშაპისაგან,
და პ ე ტ რ ე დანთქმისაგან....

გალობაჲ VIII

გონებაჲ კაცთა მეტყუელთაჲ მოუძლურდა,
და სიბრძნე სოფლისა ბრძენთაჲ დაინთქა
უფსკრულსა მიუწდომელობისასა,
ორ-კერძოჲსა მისთჳს შობისა შენისა,
– ღმრთისა სიბრძნეო! –
რამეთუ იძლინეს ბუნებანი,
და განცვბრდეს მეტყუელებანი!
ღმრთეებრ შობაჲ შენი უცნაურ და გამოუკულეველ,
და განკაცებაჲ უცხო და მიუწდომელ,
შენ იშევ ჴორცითა დედისაგან,
შობილი ღმრთეებით მამისაგან;
შესცვალენ ბუნებანი,
განაკჳრვენ მთავრობანი,—
რაჟამს აჩუენენ საკჳრველებანი,
დაჰმარხენ ორთა ბუნებათა თჳთებანი,
და აღძრენ მეტყუელებანი
დიდებად ღმრთეებისა შენისა.

*

მი-რაჲ-ხუედ შემუსვრად შენ ჴოჴოხეთისა,
ქ რ ი ს ტ ე უძლეველი, ღმერთი ყოველთაჲ,
ცხადად ამხილე მძლავრსა უძლურებაჲ,
რაჟამს მაცთურსა მოუსპე ძლიერებაჲ,
და წყუდიადისაჲ
განაქარვე მეუფებაჲ, მჴსნელო!
მაშინ სიკუდილი გლოით ჴმობდა:
განქარდა სუფევაჲ ჩემი, რამეთუ მოვიდა
მეუფეჲ მეუფეთაჲ, მაღალთა მფლობელი,
რომელ შევიწყნარე უმეცრებით,
რომელმან ღმრთეებით მომაკუდინა,
და საუკუნითგანნი
მკუდარნი ჴელმწიფეს მიმიხუნა“!!
ესე არს იესუ, ღმერთი უძლეველი,
რომელი ჴუარს -ეცუა, მოკუდა და დაეფლა,
მოგუანიჭა უკუდავებაჲ
და ბნელისა მყოფთა განათლებაჲ“!.

მიქაელ მოდრეკილი, საგალობელი აღვსებისა

VII ᲬᲛᲘᲡᲐ

ᲡᲢᲘᲥᲐᲠᲝᲜᲘ „ᲣᲤᲐᲚᲝ ᲦᲐᲦᲐᲓᲧᲐᲕᲡᲐ“

მხოლოდ შობილი ძეჲ და სიტყვაჲ მამისაჲ
ბუნებით უვნებელი, შეუხებელი,
მოხუედ ვნებად ჴორცითა
უჴორცოთა მფლობელი;
შესწირე თავი თჳსი მსხუერპლად მამისა,
ბუნებაჲ, რომელ ჩუენგან
მიიღე უცოდველო,
და აღასრულე, მჴსნელო,
ყოველი მოღუაწებაჲ
ჴსნისა ჩუენისაჲ,
ჯუარითა მოჰჴუედ ნეფსით
უკუდავი ღმრთეებაჲ
მაცხოვრად მოკუდავთა
ლახურითა განიგმირე,
სულითა უბიწოჲ შეჰვედრე
ჴელთა მამისათა.
ცხოვრების მომცემელო!
მხოლოდ შობილი ძეჲ და სიტყუაჲ მამისაჲ,
ცხოველი და ცხოვრებისა მომცემელი,
იხილე მკუდრად უსულოდ
ბუნებითა ჴორცთაჲთა;
ბუნებით შეუხებელ, დაუსაბამოჲ,
უხილავი და გარე-
შეუწერელი ღმერთი
შეიხვე ტილოსა;
არსებით შეუცავო,
შეგიცვა შენ
ცათა დაუტევნელი
კნინმან მან საფლავმან.
შთაჰჴედ ქუესკნელსა
მის სიღრმესა, მაღალთა
საყდართაჲ მჯდომარეჲ ღმერთი,
და ბნელსა მყოფთა
ნათლად აღმოუწოდე

*

მხოლოდ შობილი ძეჲ და სიტყუაი მამისაჲ,
ჯუარს დამსჭუალული, ნეფსით თჳსით ვნებული,
ურწმუნოთა გუემული,
ყურიმლის ცემად მოსრული,
საფლავსა დადებული და დაბეჭდული
სიკუდილის დამსჯელი
და ბნელისა დამჴსნელი,
ღმერთი შეუწერელი,
არსებით დაუქცეველი
და უვნებელი
ყოვლად შეუხებელი
დაუბადებელი,
დაუსრულებელი,
ცხოვრების მომცემელი,
ქ რ ი ს ტ ე აღდგომილ არს მკუდრეთით და
ცხოველ არს იგი
აწ და უკუნისამდე.

სტეფანე სანანოჲს-ძე ჭყონდიდელი, გალობანი ნათელთანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი

გალობაჲ I

„ზღჳსა მის მეწამულისა“ –ამათ ზედა
ი ე ს უ ღმერთისა სიტყუაო,
მასწავე ჩუენ სიტყუაჲ სიბრძნისაჲ
ქებად ნათლისღებასა წმიდისა
შენსა, და ღირსად გალობად
უძლეველთა ღუაწლთა მოწამისა
ჰ ა ბ ო, კეთილად
მოღუაწისათა.

რომელიცა განშიშულდა დღეს
ი ო რ დ ა ნ ე ს შინა ჴორცითა,
სანატრელმან მან მოწამემან
ჰ ა ბ ო მისთვის განიძარცუა
ძუელი კაცი საქმითურთ მისით,
და შეიმოსა
ძალი ქ რ ი ს ტ ე ჲს ი .
ყოველნი თესლნი მოვედით
მკჳდრთა თანა ქ ა რ თ ლ ი ს ა თ ა დღეს,

და იხილეთ ღუაწლისა მძლე ჰ ა ბ ო,
    განშუენებული ბრწყინვალედ
    სისხლითა წამებისაითა
    ღირსად გალობით
    მას უგალობდეთ.

გალობაჲ I ა

„ისმენდინ ქუეყანათა“ – ამათ ზედა

    შეჰმუსრე, მაცხოვარ,
ი ო რ დ ა ნ ე ს თავები ვეშაპისაჲ,
    დამალული წყალთ-შინა პირველითგან,
    რამეთუ ჴმაჲ საღმრთოთა მქადაგებელთაჲ
    აღასრულე განგებით, ღმრთისა სიტყუაო,
    რაჟამს მონისაგან
    ნათელს იღე, მჴსნელო,
და განანათლე სოფელი.

    მაცხოვარისა თანა
ნათელს იღე ღუაწლისა მძლეო ჰ ა ბ ო,
    რაჟამს შთაჰჴედ ემბაზსა ღუაწლისასა,
ვითარცა მჴსნელი ჩუენი ი ო რ დ ა ნ ე ს ა,
    და სისხლისა მის დათხევითა განჰბანე
    გუამი შენი, რაჟამს
    დაიკალ უწყალოდ
    მახჴლითა მტერთაჲთა.

    სისხლთა დათხევითა
    მეწამულ ჰყავ ღუაწლი, ჰოჲ სანატრელო,
ყოვლად ქებულო მოწამეო ჰ ა ბ ო,
და შეამკვე ვითარცა ძოწეულითა
    ეკლესიაჲ წარმართთაჲ და შეჰკრიბენი
    მას შინა ყოველნი
მგალობლად ღუაწლთა მათ
შენთა, ქ რ ი ს ტ ე ჲ ს მოწამეო.

    არცხჴნე, ნეტარო,
    ნაშობთა მათ მჴევლისათა უღმრთოთა,
    და დაუყვენ პირნი მათნი მგმობარნი
    საღმრთოჲთა მით სიბძნითა ზეგარდამოჲთა,
    რაჟამს ჰქადაგე სამებაჲ ერთ-ღმრთეებაჲ,
და განსწმიდე ქ ა რ თ ლ ი
სისხლისა შენისა
    დათხევითა, მოწამეო.

გალობაჲ IV

„შენ, უფალო, ნათელი ხარ“ – ამათ ზედა.

შენ, უფალო, ი ო რ დ ა ნ ე ს განაქიქე მაცთური
შენვე განამტკიცე გული
მოწამისა ჰ ა ბ ო ჲს ი ,
რომელმაცა აღგიარა.
პყრობილ იქენ
ძვრისმოქმედებრ, ჰ ა ბ ო სანატრელო,
არამედ გამოიჴსნიდი
სულთა მიმძლავრებულთა
მტერისაგან ბოროტისა.
ნათლისღებაჲ
სამი მოიგე, მჴნეო მოწამეო,
წყლითა, სულითა და სისხლითა
და შემდგომად ცეცხლითა
გამობრწყინდა ღუაწლი შენი.

გალობაჲ V

„ღაღადებდა წინაწარმეტყუელი“-ამათ ზედა

ღაღადებდა
კადნიერად სანატრელი ჰ ა ბ ო და ეტყოდა
უშჯულოთა
ი ს მ ა ი ტ ე ლ თ ა: განმეშორენით მე, ϑ უკეთურნო,
და გამოვიძინე
ღმრთისა მცნებანი!
განშიშულდი შენ
სათნოებათა მოგებითა, ღირსო, და ჰყუაოდე
გჳრგჳნითა მოღუაწებისაჲ
მოღუაწებისაჲ სრულითა, და ესრეთ ჴმა ჰყავ, მჴნეო:
სასო ჩემდა არს ქ რ ი ს ტ ე ღმერთი!
ღუაწლს სრულსა
მჴნედ გამოჩნდა მოწამე ჰაბო და აღავსო მ ან
ეკლესიაჲ
ნელსაცხებელთა სულნელებითა, და წმიდა ყო ერი-
მადლითა საღმრთოჲთა
გამორჩეული!

გალობაჲ VIII

„შობაჲ შენი უხრწნელი“-ამათ ზედა.

ჴმითა მამისაჲთა წყალთა მათ ზედა,
და განბანითა ძისაჲთა მათ შინა,
და სულისა წმიდისა
სახედ ტრედისა გარდამოსლვითა მათ ზედა,
განწმიდნეს წყალნი
და გუექმნეს აწ ჩუენ მეორედ მშობელ.
განჰბრწყინდი შენ სულითა, ჰ მჴნეო,
აღანთენი სანთელნი და ჰგალობდი
ვითარცა შემწირველი
საკუერთხითა უბიწოთაჲ მღდელი მგალობელი,
თავსა თჳსსა
სიხარულითა მოგზაურ ექმენ.
დ ა ვ ი თ ი ს ჴმასა ღაღადებდი, ჰ ა ბ ო,
და ნეტარისა მის ავაზაკისა
თანა ჰჴმობდი ძლიერად
„მომიჴსენე, მაცხოვარო, სასუფეველსა!“
აწ მეოხ გუეყავ
მადიდებელთა შენთა, წმიდაო!
განწყობილსა შორის ანგელოზთასა
და დასსა წმიდათა მოწამეთასა
განჰბრწყინვებული იხარებ,
სანატრელო, ჰ ა ბ ო, აწ ევედრე ქ რ ი ს ტ ე ს ა,
რაჲთა ძლევაჲ
მაღლით მოჰმადლოს, მეფესა ჩუენსა.“

კურდანაჲ–კჳრიკე, საგალობელი აღვსებისა

სტიქარონი „უფალო ღაღდყავსა“
(თჳ-ძლისპირი)
[თავნი იტყჳან: „კ ო რ დ ა ნ ა ი“]

Კაცთათჳს ზეცით ქუეყანად
გარდამოჰჴედ, კაცთ-მოყუარე,
მოქცევად შეცთომილთა,
შეკრებად განბნეულთა.
განკურნებად უძლურთა,
ძიებად ა დ ა მ ი ს ა,
და ცხოვრებად ყოველისა სოფლისა.

Ორით ბუნებით სრულითა,
ღმრთეებით და კაცებითა,
გამოჰბრწყინდა ქალწულისგან

უფალი უფლებათაჲ,
მფლობელი ცხოვრებისაჲ,
რათა აცხოვნო კაცი,
რომელიცა შეჰქმენ შენ ხატად შენდა.

რომელმან ცას აღვრ ასხნა
და სიკუდილი მოაკუდინა,
რომელმან ბეჭდის საყოფელი
იგი საშჯელისა ჩუენისაჲ
ჯუარსა შემშჭუალა, ძლიერმან,
და ძუელი შჯული ცვალა,
და პირველსა მას სამკვდრებელსა ღირს მყვნა.

დაფლვითა შენითა, ქ რ ი ს ტ ე,
აღდგეს მკუდარნი საფლავთაგან,
დაბეჭდვითა შენითა
ყოველნი გუამნი წმიდათანი
გამოვიდეს სამარისაგან —
დიდებად შენდა, მჴსნელო,
რათა წამონ მათ ძლიერებაჲ შენი.

აუწყა ანგელოზმან მან
დედათა აღდგომაჲ, ქ რ ი ს ტ ე,
წარავლინნა ხარებად
და მითხრობად მოციქულთა
აღდგომასა შენსა, რათა
წარვიდენ გ ა ლ ი ლ ე ს
და მუნ გიხილონ უფალი და მოძღუარი.

ნათელი უკუდავებისაჲ
მიეფინა ბნელსა მყოფთა,
განათლებულთა ჴმა ყვეს:
„მოიწია მჴსნელი ჩუენი!
რომელი ასდეგ მკუდრეთით
ღმრთეებისა ძალითა,
ცხოვრების მომცემელო, დიდებაჲ შენდა!“

აღსლვასა შენსა მამისა
ამცნებდი რაჲ მოციქულთა:
„აღვალ მე მამისადა,
ყოველთა შემოქმედისა,
დაადგერით სიონს შინა,
ვითარმედ შეიმოსოთ
მაღლით გამო ძალი საღმრთოჲ საკჴრველად“.
იხარებს, ᲗᲣ ᲣᲑᲘᲬᲝᲝ,

კრებაჲ წინაჲსწარმეტყუელთაჲ
და მოციქულთა გუნდნი,
რამეთუ შემოქმედი
შენგან იშვა, მეუფეჲ! მას ევედრე, წმიდაო,
ცხოვრებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა.

რატი ორბელი, საგალობელი ტიტე მოციქულისანი

თავნი იტყჳან: „რ ა ტ ი “

გალობანი სულისანი
რომელი ცად მესამედ
მოიწია და ესმა მას
უსმენელი სიტყუაჲ,
მას დაემოწაფა ტ ი ტ ჱ,
და ისწავე მისგან გზაჲ ჭეშმარიტი

აღივსე შენ სიბრძნითა
სულისა მიერ წმიდითა
და ერთგულ მოწაფე
იქმენ პ ა ვ ლ ე მოციქულის,
და მას თანა ჰქადაგე სახარებაჲ.
ტ ი ტ ჱ, ქ რ ი ს ტ ჱს ქადაგო,
მჴურვალჱ იყავ შურითა
საღმრთოჲთა, ვითარცა
მოძღუარი შენი და დასწჳ
სწავლისა ცეცხლითა კერპთა საცთური“.

გალობანი სულისანი

გალობაჲ I

ცხორებაჲ ესე წარვალს და განილევის,
შუენიერებაჲ და დიდებაჲ დაჭნების,
ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების,
რასა ცუდად ვმაღლოით, ოდეს ყოველნი
მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი!

გალობაჲ II

მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა,
სადა არს შური, საოცრებაჲ და ჴდომაჲ,
სადა არს ძჳრის ჴსენებაჲ და ზუაობაჲ
და ჴორცთა გულითქუმანი. აჰა ესერა,
მიწა, ნაცარ და თიჴა ქმნილ არს ყოველი“.

გამოცემა: პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 08-099:

იპოლიტე რომაელი. ქრონიკონი

III საუკუნის ბერძენი ავტორის, იპოლიტე რომაელის, ქრონიკონი შეიცავს ქვეყნიერების ისტორიას შესაქმიდან ავტორის მოღვაწეობის დრომდე. თხზულების ბერძნული ორიგინალი დაკარგულია. შემონახულია მისი რამდენიმე ფრაგმენტი ლათინური, სომხური და ქართული თარგმანების სახით. ქართული თარგმანი შეტანილია შატბერდის კრებულში (S-1141). ქართულ ტექსტში „ქრონიკონში“ შეტანილი რომის იმპერატორების ქრონოლოგია გაგრძელებულია X საუკუნის 60-იან წლებამდე.

ადამ ცხოვნდა ს~ლ წელ და შვა სჱთ; სეით ცხოვნდა ს~ე წელ და შვა ენუს; ენუს ცხოვნდა რ~ჟ წელ და შვა კაინან; კაინან ცხოვნდა რ~ო წელ და შვა მალელელ. მალელელ ცხოვნდა რ~ჲე წელ და შვა იარჱდ; იარჱდ ცხოვნდა რჲბ წელ და შვა ენუქი; ენუქ ცხოვნდა რ~ჲე წელ და შვა მათუსალა; მათუსალა ცხოვნდა რპ~ზ წელ და შვა ლამექ; ლამექ ცხოვნდა რპ~ჱ წელ და შვა ნოვე; ნოვე ცხოვნდა ფ~ წელ და შვა სჱმ; სემ ცხოვნდა რ~ წელ.

და იყო წყლით-რღუნაჲ ქუეყანასა ზედა მ~ დღე, მ~ ღამე. ყოვლად შეკრბებიან წელნი ადამითგან წყლით-რღუნამდე ცს~მბ. სემ წელ შემდგომად წყლით-რღუნისა ბ~სა წელსა შვა არფაქსად; არფაქსად ცხოვნდა რ~ლე წელ და შვა სალა; სალა ცხოვნდა რ~ლ წელ და შვა ებერ; ებერ ცხოვნდა რ~ლდ წელ და შვა ფალეგ; ფალეგ ცხოვნდა რ~ლ წელ და შვა რაგავ; რაგავ ცხოვნდა რ~ლე წელ და შვა სერუქ; სერუქ ცხოვნდა რ~ლ წელ და შვა ნაქორ; ნაქორ ცხოვნდა ო~თ წელ და შვა თარა; თარა ცხოვნდა ო~ წელ და შვა აბრაჰამ. აბრაჰამ ცხოვნდა ო~ე წელ და იყო აღთქუმაჲ ღმრთისაჲ მისა მიმართ.

ყოვლად შეკრბებიან წელნი წყლით-რღუნითგან ვიდრე ო~ე წლადმდე აბრაჰამისა ჩ~იე. და აბრაჰამ შემდგომად აღთქუმისა ღმრთისაჲსა ცხოვნდა კ~ე წელ და შვა ისაკ; ისაკ ცხოვნდა ჲ~ წელ და შვა იაკობ; იაკობ ცხოვნდა პ~ზ წელ და შვა ლევი; ლევი ცხოვნდა მ~ე წელ და შვა კაათ; კაათ ცხოვნდა ი~ე წელ და შვა ამრამ; ამრამ ცხოვნდა ო~ წელ და შვა მოსე; მოსე ცხოვნდა პ~ წელ და გამოიყვანნა ძენი ისრაჱლისანი ეგვტით უდაბნოდ.

ყოვლად შეკრბებიან წელნი ო~ე წლითგან აბრაჰამით ვიდრე ძეთა ისრაჱლისათა ეგვტით გამოსვლადმდე ვ~ლ წელ.

მოსე ძეთა თანა ისრაჱლისათა დაყო უდაბნოს, ცხოვნდა-ღა მ~ წელ სხუა და მოსცა მათ შჯული. ისუ ძემან ნავჱსმან დაუმკვიდრა ჱმათ ქუეყანაჲ იგი აღთქუმისაჲ და ცხოვნდა მათ თანა კ~ე წელ.

ყოვლად წელნი გამოსვლითგან ძეთა ისრაჱლისათა ეგვპტით, ვიდრე წილით განყოფადმდე ქუეყანისა მის აღთქუმისა ჲ~ე, და ვინაჲთგან იყო აღთქუმაჲ ღმრთისაჲ აბრაჰამის მიმართ წელნი ვ~ჟე. წყლით-რღუნითგან ჩფ~ი წელნი; ადამითგან ძგ~ობ წელნი.

მსაჯულნი ისრაჱლისანი

მოხუცებულთა – ლ~ წელ; ქ უ ს ა რ ს ა თ ო მ მეფჱ ა ს უ რ ე თ ი ს ა ჲ – ძჱ კ ი ნ ე ზ ი ს ი – მ~ წელ; ე გ ლ ო მ მეფჱ მ ო ა ბ ი ს ი ს ა ჲ – ი~ჱ წე; აოდ –პ~წელ; ი ა ბ ი ს მეფჱ ქ ა ნ ა ნ ი ს ა ჲ – კ~ წელ; დ ე ბ ო რ ა და ბ ა რ ა კ – მ~ წელ; მ ა დ ი ა მ ე ლ თ ა – ზ~ წელ; გ ე დ ე ო ნ მ~წელ; ა ბ ი მ ე ლ ე ქ – გ~ წელ; ი ა ი რ – კ~ბ წელ; თ უ ლ ა კ~ წელ; ი ა ი რ კ~ბ წელ; ა მ ო ნ ი ტ ე ლ თ ა – ი~ჱ წელ; ი ე ფ თ ა ვ – ვ~ წელ; ე ს ე ბ ო ნ - ზ~ წელ; ა ლ ლ ო ნ – ი~ წელ; კ ა ბ დ ო ნ –კ~ წელ; უცხო თესლთა – მ~ წელ; ს ა ფ ს ო ნ – კ~ წელ; ს ა მ ე გ ა რ – ა~ წელ; ა ნ ა რ ქ ი ა ს და ს ა მ ე რ მსაჯულთა – მ~ წელ; ი რ ი ნ ი ს და ს ა მ ა ნ ი ა მსაჯულთა – ლ~ წელ.

ყოვლად შეკრბებიან მსაჯულთა ი ს რ ა ჱ ლ ი ს ა თ ა წელნი დ~კ; და მღდელთა და მსაჯულთანი ჱ ლ ი ს ნ ი და ს ა მ ო ვ ე ლ ი ს ნ ი ჟ ~წელნი.

ყოვლად შეკრბებიან მსაჯულთა წელნი ქ~ი წელ.

მეფენი იუდაჲსნი იერუსალჱმს

საულ – ლ~ წელ. მ~ წელ ყოვლად მეფობდა ს ა უ ლ , არამედ თ~ წელ მისსა მეფობასა ს ა მ ო ვ ე ლ ვ ე შჯიდა-ღა; დ ა ვ ი თ – ლ~ე წელ და ვ~ თუე; მ~ წელ ყოვლად მეფობდა დ ა ვ ი თ, არამედ ე~ წელ ს ა უ ლ ი ს მეფობასა მეფობდა და წინაჲსწარმეტყუელებდეს გ ა დ, ნ ა თ ა ნ, დ ა ვ ი თ და ა ს ა ფ; ს ო ლ ო მ ო ნ – მ~ წელ. და ტაძარსა ღმრთისასა აშენებდა და აღასრულა მე-ი~ბ-სა წელსა მეფობისა მისისასა; და წინაჲსწარმეტყუელებდეს ნ ა თ ა ნ და ა ქ ი ა ს ა ლ ო ნ ი ტ ე ლ ი , ს ე მ ე ა ს , ა დ დ ო ; რ ო ბ ო ა მ – ი~ჱ წელ; ა ბ ი ა – გ~ წელ; ასა – მ~ და ა~ წელ; ი ო ს ა ფ ა ტ – კ~ე წელ; და წინაჲსწარმეტყუელებდეს მ ი ქ ე ა, ე ლ ი ა, ე ლ ი ს ე, ა ბ დ ი ა, ი ო ვ ე ლ, ო ზ ი ე ლ, ე ლ ი ა ზ ა რ, ა ზ ა რ ი ა. ი ო რ ა მ – ჱ წელ; ო ქ ო ზ ი ა ა~ წელ; გ ო დ ო ლ ი ა, დედაჲ მისი ზ~ წელ; ი ო ვ ა ს – მ~წელ; ა მ ა ს ი ა – კ~თ წელ; ა ზ ა რ ი ა, რომელსაცა ო ზ ი ა ც ა ერქუა, რომელი განკეთრდა – ნ~ბ წელ. და წინაჲსწარმეტყუელებდეს ო ს ე, ა მ ო ს, ე ს ა ი ა, ი ო ნ ა ს; ი ო ვ ა თ ა მ – ი~ვ წელ; ა ქ ა ზ – ი~ვ წელ; ე ზ ე კ ი ა – კ~თ წელ. მეექუსესა წელსა მეფობისა მისისასა ჰ რ ო მ ჱ აღიშენა ჰ რ ო მ ი ლ ე ჱ ს მიერ მეფისა; და ი~-სა წელსა მეფობისა მისისასა ს ა ლ მ ა ნ ა ს ა რ მეფჱ ა ს უ რ ე თ ი ს ა ჲ ზედა-მოუჴდა ი ს რ ა ჱ ლ ს ა და წარტყუენა ო ს ე მეფჱ ი ს რ ა ჱ ლ ი ს ა ჲ ათსა თანა ნათესავსა. და ტყუენვასა მას წარტყუენა ტ ო ბ ი, კაცი მართალი; და მე-ი~დ-სა წელსა მეფობისა მისისასა დასნეულდა ე ზ ე კ ი ა მეფჱ. ე ს ა ი ა წინაჲსწარმეტყუელმან სიკუდილისა მისისათვს პ რ ო რ ჱ გ ო რ ე ვ ს ე ცრემლოოდა მწარედ. შეიწყალა ღმერთმან და შესძინა ცხორებაჲ ი~ე წელი. სასწაული მისცა მას ე ს ა ი ა ჲ ს მიერ წინაჲსწარმეტყუელისა – ეპანოდონ – მზისაჲ კუალად იქცა ათთა მენაკთა.

მ ა ნ ა ს ე –ნ~ე წელ; ა მ ო ს – ბ წელ; ო ს ი ა – ლ~ა წელ, წინაჲსწარმეტყუელებდეს ი ე რ ე მ ი ა, ს ო ფ ო ნ ი ა ს, ო ლ დ ა დ, ბ ა რ უ ქ; ი ო ა ქ ა ს – გ~ თთუე. ფარაო ნ ე ქ ა ო შეიპყრა ი ო ა ქ ა ს და წარტყუენა ე გ ვ პ ტ ე დ, ი ო ვ ა კ ი მ, რომლისა [სახელი] ე ლ ი ა კ ი მ ც ა – ი~ა წელ.

წინაჲსწარმეტყუელებდა უ რ ი ა ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ ი ს ა თ ვ ს და ივლტოდა ე გ ვ პ ტ ე დ.

ი ო ვ ა კ ი მ წარავლინა მისთვს და მოკლა იგი. ი ო ვ ა კ ი მ , რომლისა სახელი ი ე ქ ო ნ ი ა – გ˜ თთუე და ი˜ დღე, ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ მეფემან ბ ა ბ ი ლ ო ვ ნ ი ს ა მ ა ნ შეიპყრა და წარტყუენა ი ო ვ ა კ ი მ ი˜ჱ წლისაჲ ბ ა ბ ი ლ ო ვ ნ ა დ და ყოველნი ძლიერნი და ჴელოვანნი ი ე რ უ ს ა ლ ჱმ ი ს ა ნ ი ჯ˜-ოდენ. ტყუენვასა მას წარტყუენა დ ა ნ ი ე ლ, ა ნ ა ნ ი ა, ა ზ ა რ ი ა, მ ი ს ა ე ლ ჭურჭერსა თანა ტაძრისასა და ქალაქისასა და საფასჱ იგი შეიღო ბ ა ბ ი ლ ო ვ ნ დ; და მეფედ დაადგინა ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ ს მ ა ტ თ ა ნ ი ა ი ო ვ ა კ ი მ ი ს წილ, მამის ძმაჲ მისი, ს ე დ ე კ ი ა სახელი უწოდა.

შეკრბებიან ყოველნი წელნი ტყუენვითგან ო ს ჱ ს ი თ გ ა ნ მეფისა ი ს რ ა ჱ ლ ი ს ა ჲთ და ს ა მ ა რ ი ა ჲ ს ი თ, რომელი წარტყუენა ს ა ლ მ ა ნ ა ს ა რ, ვიდრე წარტყუენვადმდე ი ო ვ ა კ ი მ ი ს ა, მეფისა ი უ დ ა ჲ ს ა ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ ი ს მიერ, წელნი რ˜კბ.

ყოვლად შეკრბებიან წელნი მეფეთა ი უ დ ა ჲ ს თ ა ნ ი, რომელნი მეფობდეს ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ ს , ს ა უ ლ ი ს ი თ გ ა ნ ი ო ვ ა კ ი მ ი ს ა მ დ ე წელნი ფ˜ჲდ და გამოსლვითგან ძეთა ი ს რ ა ჱ ლ ი ს ა თ ა ე გ ვ პ ტ ი თ – წელნი ჩფ˜ჟე წყლით-რღუნითგან – წელნი ჩ˜ქი; ა დ ა მ ი თ გ ა ნ წელნი წ˜ყობ.

რიცხუნი წელთანი, რაოდენნი დაყვნეს ძეთა ისრაჱლისათა ბაბილოვნს ტყუევობასა, მსგავსად სიტჳსა მის იერემია წინაჲსწარმეტყუელისა:

ს ე დ ე კ ი ა – ი˜ა წელ. მეორესა წელსა ს ე დ ე კ ი ა ჲ ს ს ა ჩუენებაჲ იხილა ნ ა ბ უ - ქ ო ნ დ ო ნ ო ს ო რ და ზრახვაჲ იგი ჰკითხა ქ ა ლ დ ე ვ ე ლ თ ა და ბ ა ბ ი ლ ო ვ ნ ი ს ა ბრძენთა. ღმერთმან გამოუცხადა დ ა ნ ი ე ლ ს ჩუენებაჲ იგი და აუწყა მეფესა. ნ ა ბ უ ქ ო - ნ დ ო ნ ო ს ო რ შემდგომად ს ე დ ე კ ი ა ჲ ს ა ცხოვნდა მეფედ კ˜დ წელ. მ ა რ უ დ ა ქ ძჱ მისი – იბ წელ, ბ ა ლ ტ ა ს ა რ , ძმაჲ მისი – დ˜ წელ. სერი უყო მთავართა მისთა და ხარჯთა მისთა. და გამოიღო ჭურჭერი იგი, რომელი მოიღო ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ ი ე რ უ ს ა ლ ჱ - მ ი თ სახლისაგან ღმრთისაჲსა და სუმიდა ღვნოსა მით. მას ჟამსა გამოუჩნდა ჴელი კაცისაჲ თითითურთ და წერდა კედელსა, რომელი განუმარტა დ ა ნ ი ე ლ . დ ა რ ი ო ს ხ უ ჟ ი კ ი – ი˜ზ წელ. ა˜-სა წელსა მისსა მეფობასა დ ა ნ ი ე ლ ჯურღმულსა მას ლომთასა. მეფესა არა უნდა, არამედ იიძულეს იგი მისთვს დაწესებულსა მისთვს.

კ ვ რ ო ს სპარსი მეფობდა შემდგომად დ ა რ ი ო ს ი ს ა . ა˜ წელსა კ ვ რ ო ს ი ს ს ა აღი- ვსნეს ტყუევობისა ო˜ნი წელნი მსგავსად სიტყვსა მის ი ე რ ე მ ი ა წინაჲწარმეტყუელისა. და გამოავლინნა კ ვ რ ო ს მეფემან ძენი ი ს რ ა ჱ ლ ი ს ა ნ ი ბ ა ბ ი ლ ო ვ ნ ა დ ი ე რ უ ს ა - ლ ჱ მ დ ი ე ს უ ჲ ს თანა ი ო ს ჱ დ ე კ ი ს ა , მღდელისა მის დიდისა, და ზ ო რ ო ბ ა ბ ე ლ ს ა ლ ა თ ი ე ლ ი ძეთა თანა ი ს რ ა ჱ ლ ი ს ა თ ა აღმოვიდა. კ ვ რ ო ს მეფემან ს პ ა რ ს - თ ა მ ა ნ მოსცა ჭურჭერი იგი ტაძრისა ღმრთისაჲ ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ დ ოქროჲსაჲ და ვეცხლი- საჲ, რომელი წარიღო ნ ა ბ უ ქ ო ნ დ ო ნ ო ს ო რ მეფემან.

წინაჲსწარმეტყუელებდეს დ ა ნ ი ე ლ და ე ზ ე კ ი ე ლ. ყოვლად შეკრბებიან ჟამნი წარტყუენვითგან ი ო ვ ა კ ი მ ი ს მეფისა ი უ დ ა ჲ ს ი თ ვიდრე პირველად წლადმდე კ ვ რ ო ს მეფისა ს პ ა რ ს თ ა ჲ ს ა ტყუეობისა წელნი ო˜; ს ა უ ლ ი ს ი თ გ ა ნ, მეფისა ი ს რ ა ჱ ლ ი ს ა, წელნი ფ˜ჲ; გამოსვლითგან ძეთა ი ს რ ა ჱ ლ ი ს ა თ ა ე გ ვ პ ტ ი თ წელნი

ჩს~ლე; აღთქუმითგან ღმრთისაჲთ ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს მიმართ – წელნი წელნი ჩქჲ~ე; წყლით-
რღუნითგან წელნი ც~ქპ; ა დ ა მ ი თ გ ა ნ – წელნი წშმბ.

მეფენი სპარსთნი

კ ვ რ ო ს შემდგომად აღმოსვლისა ძეთა ი ს რ ა ჱ ლ ი ს ა თ ა ე რ უ ს ა ლ ჱ მ ა დ –
ლ~ წელ; კ ა მ ბ უ ს, ძემან კ ვ რ ო ს ი ს მ ა ნ, რომელი ითქუა უ ლ ე ქ თ ი ს მეორე
ნ ა ბ უ ქ ო ნ დ ო ნ ო ს ო რ – თ~წელ. მე-დ~-სა წელსა მეფობასა მისსა ჰ უ რ ი ა ნ ი განდგეს.
წარავლინა ჰ ო ლ ო ნ ფ ე რ ნ ე ერისთავი დიდძალითა ერითა ჰ უ რ ი ა თ ა თ ვ ს გარე-
მოცვად, წარმოვიდა ჰ ო ლ ო ნ ფ ე რ ნ ე დიდითა ძლიერებითა, გარე-შეიცვა ქალაქი
ჰ ე ბ რ ა ე ლ თ ა ჲ, რომლისა სახელი ბ ე ტ უ ლ უ ა.

იყო ვინმე დედაკაცი ქურივი, რომლისა სახელი ი უ დ ი თ, მას ქალაქსა შინა. იგი
გარდამოვიდა ჰ ო ლ ო ნ ფ ე რ ნ ე ს ა კარვად მისა და დაყო დღჱ გ~. დ~-სა დღესა ეძინა
მას თვსსა ზედა სასუენებელსა, ღამე ილოცვიდა და ზღუდე-ყო ღმრთისა შეწევნაჲ და თავი
მოჰკუეთა მას და ესრჱთ ს პ ა რ ს თ ა იგი ძლიერებაჲ განიბნია.

მოგუთა – ზ~ თთუე. დ ა რ ი ო ს ვ ა ხ ტ ა შ პ ე ა ნ ი – ლ~ვ წელ, და ვ~-სა წელსა
მეფობასა მისსა ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ ს ტაძარი იგი აღესრულა. ხოლო იშენებოდა მ~ვ წელ;
წინაჲსწარმეტყუელებდეს ა ნ გ ე ო ზ და ზ ა ქ ა რ ი ა.

ქ ს ე რ ქ ს ე ს დ ი დ ი – ი~თ წელ და ვ~ თუე, მე-დ~-სა წელსა მეფობისსა მისსა
ე გ ვ პ ტ ე ს ა ჴელყო, და მისა შემდგომად ა თ ე ნ ე ლ ნ ი განხერხნა.

ა რ ტ ვ ა ნ – ზ~ თთუე; ა რ ტ ა ხ შ ე ს ჴ ე ლ გ რ ძ ე ლ ი – მ~ა წელ; მე-კ~-სა წელსა
მეფობისა მისისასა ნ ე ე მ ი ა პირის მწდჱ თვსი გამოითხოვა შჱნებად ი ე რ უ ს ა ლ ჱ მ ი ს ა
და ებრძანა აღსლვად ჰ უ რ ი ა ს ტ ნ ა დ, და აღაშენნა ზღუდენი ქალაქისანი. სივრცჱ მას შინა
განმზადნა მსგავსად ხილვისა დ ა ნ ი ე ლ წინაჲსწარმეტყუელისა; და ეზ რ ა ჲს გ ა ნ ისწავა
შჯული; და ე ს თ ე რ ი ს და მ ა რ დ უ ქ ჱ ს მიერ ჰ ა მ ა ნ ი მოკლეს სპარსეთს.

ქ ს ე რ ქ ს ჱ მეორჱ – ბ~ თთუე, ზ~ თუე; დ ა რ ე, ცოლისგერი ნ ო ი თ ო ს ი – ი~თ
წელ. ა რ ტ ა ხ შ ე ს მოჴსენემან – მ~ბ წელ; ა რ ტ ა ქ ს ა ქ ს ე კ ე უ ქ ა ჲ ს ი – მ~ბ წელ;
ა რ ს ე ს ო ქ ე – დ~ წელ; დ ა რ ი ო ს – ვ~ წელ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ მ ა ნ მოკლა მეფე დ ა რ ი ო ს და დასცა ძლიერება
ს პ ა რ ს თ ა ჲ.

ყოვლად შეკრბებიან წელნი კ ვ რ ო ს მეფისაჲთგან ს პ ა რ ს თ ა ჲ ს ა ვიდრე
დ ა რ ი ო ს მეფისამდე წელნი ს~ლ; ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე შემდგომად დ ა რ ი ო ს ი ს
მოკლვისა მეფობდა მტკიცე კ~ვ წელ და ზ~ თთუე.

მეფენი პტოლემეანნი ეგვპტელთანი

პ ტ ო ლ ე მ ე ო ს ლ ა ვ გ ო ს ე ა ნ ი – მ~ბ წელ. ამან პ ტ ო ლ ე მ ე ო ს განაწესნა
და გამოათრგმანნა ო~-თა მათ შჯულისა მოწაფეთა სიბრძნენი ჰ უ რ ი ა თ ა ნ ი შჯული
და ყოველი ე ბ რ ა ე ლ თ ა წიგნნი ბ ე რ ძ ე ნ თ ა ენასა; და მე-ი~ჱ-სა წელსა მეფობისა

მისისასა სელევკოს ნიკატორისმან ანტიოქიაჲ აღაშენა. პტოლემეოს ძმათმოყუარემან – ლ~ზ წელ, მე-ჱ-სა წელსა მეფობისა მისისასა სოსტრახას, დექსიფანონ, კნიდიონ აღჰმართეს ალექსანდრიას გოდოლი, რომელსა ჰრქჳან ფორონ. კ~ა წელსა მეფობისა მისსა ჰრომეს ვეცხლისა დიდებაჲ წარჰკუეთა.

პტოლემეოს ევერგეტეს – კ~ე წელ; პტოლემეოს ფილოპატოს – ი~ზ წელ; პტოლემეოს ეპიფანის – კ~წ წელ; პტოლემეოს ფილომიტოს – ი~ა წელ; პტოლემეოს ევერგეტეს – კ~გ წელ; პტოლემეოს ოსოტერ – კ~ზ წელ; პტოლემეოს ალექსანდროს – ი~ჱ წელ; პტოლემეოს მეორემან – ი~ჱ წელ; პტოლემეოს დვონისის – ი~თ წელ; პტოლემეოს ასულმან კლეოპატრა – კ~ბ წელ. ყოვლად შეკრბებიან წელნი პტოლემეანთა მეგვპტელთანი ს~ჟდ, თარგ. (?) სნ~თ.

ოცდამეოთხესა წელსა მეფობასა კლეოპატრაჲსსა ივლიოს კეისარი მოვიდა ჰრომედ და შეკრბეს კეისარნი. და წელთა ჰრომთა მეფეთა რაცხდეს. პირველად ჱ~ წელსა მეფობასა კლეოპატრაჲსსა ივლიოს კეისარი აღიღო პროტელთაგან. და კასიონ მეფობდა გ~ წელ და ზ~ თთუე და ი~ დღე. ი~ჱ წელსა ჰრომთა მეფობასა – ი~ე, აგვსტოს, რომელი ჰრომს მეფობდა, კლეოპატრა მოკლა და აღიღო პტოლემეანთა მეფობაჲ და ამისა შემდგომად მეფობდა სხუათა წელთა კ~ვ-თა. მ~ე-წლისა ჰრომთა მეფობისა, ესე არს მ-ბ წელი მეფობისა აგვსტეს კეისრისაჲ, განკაცნა მაცხოვარი ჩუენი იესუ ქრისტე, იშვა და ჴორციელ იქმნა წმიდისაგან ქალწულისა მარიამისა და სულისაგან წმიდისა.

ყოვლად შეკრბებიან წელნი ქრისტჱს მოსვლადმდე ესრე: პტოლემეანთა მეფობითგან აგვსტესნი წელნი კ~ვ, კვროსითგან, რომელმან აღავლინნა ძენი ისრაჱლისანი ბაბილოვნით იერუსალჱმდ, წელნი ფ~ნვ, საულისითგან მეფისა ისრაჱლისაჲთ ჩ~რივ; გამოსლვითგან ძეთა ისრაჱლისა თაჲთ ეგვპტით წელნი ჩ~ღჟა; და აღთქუმითგან ღმრთისაჲთ აბრაჰამის მიმართ წელნი ც~სკ; წყლით-რღუნითგან ძ~სკვ; ადამითგან წელნი ჭვ~ჟჱ.

ინდიკტიონი და ვპატანი მ~ე წლითგან ჰრომთა მეფობით ესე არს. მ~ბ-სა წელსა აგვსტეს კეისრისასა განკაცნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. ა~ ინდიოკტიონსა შაბუ და შეტერუა მათ ვპატიონთა მაცხოვარი და უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იშვა და ჴორციელ იქმნა წმიდისაგან ქალწულისა და ღმრთისმშობელისა მარიამისა და სულისაგან წმიდისა. ინდიკტიონი აღვალს ი~ე წლადმდე და მერმე თავითვე მოიქცევის.

კეისარნი ჰრომისანი

იქმნა შემდგომად ამისა მეფედ გერი მისი ტიბერიოს. ამისსა მე-ი~ჱ-სა წელსა იყო ვნებაჲ უფლისაჲ; გაიოს – დ~ წელ; კლავდიოს –ი~ე წელ; ნერონ – ი~დ წელ; ბალბოს, ათონ, ბატოლოს — სამნივე – ა~წელ და ა~ თთუე; ვესპასიანოს – ი~ წელ; ტიტოს, ძჱ მისი – გ~ წელ; დუმენტიანოს, ძმაჲ მისი – ი~ე წელ; ნეროვას – ა~ წელ; ტრაიანოს – კ~ წელ; ანდრიანოს განრღუეული – კ~ა წელ;

ანტონინოს ევსებიოს მორწმუნჱ – კ~ბ წელ; მარკოს ავრელიანოს ლუკიოსითურთ, ძმით მისით – ი~თ წელ; კომოდოს – ი~ბ წელ; პერტინაკს – ვ~ თუე; სევეროს – ი~ჱ წელ; ანტონინოს – ზ~ წელ; მაკრინოს – ა~ წელ; ალექსანდროს – ი~თ წელ; დედაჲ ამის მეფისაჲ მამია მორწმუნე იყო ფრიად და მცველ ეკლესიათა; მაქსიმიანოს – გ~ წელ; პოპინიოს და ბალბოს – გ~ თუე; კორდიანოს – ვ~ წელ; ფილიპე– ზ~ წელ; ამას ყოვლითა გულითა მისითა ჰრწმენა ქრისტჱ; დეკიოზ – თ~ წელ; და დაიკლა იგი ვიეთგანმე ძითურთ. გალოს და ბულინიოს – გ~ წელ; ვალერიანოს და გალინოს – ი~ე წელ; კლავდიოს – ბ~ წელ; ავლერიანოს – ვ~ წელ; კარინოს და ძჱ ნუმერიანოს – ბ~ წელ; დეოკლეტიანე და მაქსიმიანე – კ~თ წელ; მაქსიმიანოს ღალერიანოს და მაქსიმოს, ძჱ არკულოსისი – თ~ წელ; ამათსავე მეფობასა მეფობდა ბარტანიასა ზედა კოსტა, მამაჲ დიდებულისა კოსტანტინესი.

კოსტანტინე მეფემან დიდებულმან მე-ზ~-სა წელსა მეფობისა მისისასა მოკლა უშჯულოჲ მეფჱ მაქსიმიანე და დაიპყრა მეფობაჲ. და აღესრულა კოსტანტინე დიდი ჲ~ე წლისაჲ, და დაყო მეფობასა შინა ლ~ბ წელი. მე-ი~თ-სა წელსა მეფობისა მისისასა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეასაჲ. და ი~თ-სა წელსა იკურთხნეს წმიდანი ეკლესიანი იერუსალჱმისანი ჴელითა წმიდისა ათანასი ალექსანდრიელისაჲთა.

ყოვლად შეკრბებიან წელნი ქრისტჱს მოსვლითგან ჯუართა პოვნადმდე ტ~კვ.

აგვსტჱს კეისრისაჲთგან ვიდრე კოსტანტინესადმე ლ~ე მეფენი იცვალნეს ბერძენთა ზედა. და იაკობ, ძმისა უფლისაჲთგან ვიდრე კვრილჱ სამდე კ~ე-ვე იცვალნეს ებისკოპოსნი იერუსალჱმსა ზედა.

კოსტანტინე, ძჱ დიდებულისა კოსტანტინესი და კოსტოს, ძმაჲ მისი – გ~ წელ; კოსტანტინოს, ძმაჲ მათი თვითმპყრობელი – კ~ე წელ; ივლიანე ღმრთისშემაწუხებელი – ბ~ წელ; ივბინიანოს – ვ~ წელ; ვალენტიანოს – ი~ა წელ; ენუს – ი~ბ დღე; ბალენ – ი~ა წელ; ღრატიანოს – ი~ა წელ; თევდოსი დიდი ი~ე წელ; არკადი – კ~გ წელ; ონორი – ი~გ წელ; თევდოსი მცირჱ – მ~ბ წელ; მარკიანე – ვ~ წელ; ლეონ – კ~ წელ; ზენონ – მ~ბ წელ; მარკიანე – ვ~ წელ; ლეონ – კ~ წელ; ლეონტი – ა~ წელ; ზენონ – ი~ვ წელ; ანასტას კ~ზ წელ; ისტვნიანე – კ~თ წელ; ივსტვნა – თ~ წელ; ტიბერის – კ~ა წელ; მავრიკ – ი~დ წელ; ფოკა – ჱ~ წელ; ჰერაკლე –~ა წელ; კოსტანტინე და კოსტანტიანოს – ი~დ წელ; კოსტანდინ – კ~ჱ წელ; კოსტანტინიანოს – კ~ბ წელ; ლეონტი – გ~ წელ; აფსიმაროს – ზ~ წელ; ფილიკოს – ა~ წელ; ანასტას – გ~ წელ; თევდოსიოს ა~ წელ; ლეონ და კოსტანტინე, ძჱ მისი – მ~ე; ლეონ და კოსტინე და დედაჲ მათი ერინე – კ~ვ; ნიკიფორე – თ~; მიქაელ – ბ~; ლეონ – ჱ; მიქაელ – იზ; თეოფილე – კ~გ; მიქაელ და თეოდორა – დედაჲ მისი – ლ~გ; ბასილი მეფე – კ~; ლეონ, ძე მისი ალექსანდროს; რომანოზ; კოსტანტი; რომანოზ; ნიკიფორე კივრიჯან.

გამოცემა: შატბერდის კრებული, გვ. 196–202.

ბასილი კესარიელი, მჴეცთათჳს

ეგზეგეტური თხზულება „მჴეცთათჳს“ (ბერძნ. ფისიოლოგოს – სახისმეტყველი), რომელიც მიეწერება ქრისტიანული ეკლესიის დიდ მოღვაწესა და მწერალს, ბასილი კესარიელს (IV ს.), დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველ სამყაროში. სიმბოლურ-სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის განმარტებებთან ერთად იგი შეიცავს ძველ, „მეცნიერებამდელ“ საბუნებისმეტყველო ცოდნას ბიბლიაში მოხსენიებულ ცხოველთა თვისებების შესახებ. თზულება შესულია შატბერდის კრებულში (S-1141).

ა. არს, რომელი იწოდების მსუენი მზარისაჲ.

ვითარცა სახისმეტყუელმან თქუა: რაჟამს დამდედნის და მოაკლდის ორთავე თუალთა მისთა და დაბრმის და ვერ იხილის ნათელი მზისთუალისაჲ, რაჲმე ზაკუვაჲ იძმაცვს, რაჲთამცა შუენიერ-იქმნა თავი თჳსი: მივიდის ძიებად ზღუდისა, რომელი აღმოსავალსა ჰმართებნ და შეჴდის ნაპრალსა მის ზღუდისასა, რომელი მზის აღმოსავალსა ჰხედავნ. და გამობრწყინებასა მზისასა აღეხუნიან თუალნი მისნი და განჭაპუკნის.

ეგრეცა შენ, კაცო, ძუელი იგი თუ ქმნულებაჲ გაქუნდეს სამოსლად, ეკრძალე, ნუუკუე დაგიბრმენ თუალნი გულისა შენისანი. და-თუ-გიბრმენ, იძიე ადგილი საგონებელი, ვინაჲ გამობრწყინდეს შენ ზედა ახალი მჴსნელი ჩუენი ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე, რომელსა ეწოდების მზჱ აღმოსავალი წინაჲსწარმეტყუელისაგან. მზისთუალმან მან სიმართლისამან აღგიხლნეს ორნივე თუალნი შენნი, ძუელისა მის წილ გეყოს შენ ახალი სამოსელი.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან ქმნულებაჲ სახისაჲ ურთიერთას თესლთაჲ.

ბ. ვიწყო ლ ო მ ი ს ა თ ჳს , რამეთუ შარავანდედ არს ყოველთა მჴეცთა ზედა და ყოველთა პირუტყუთა.

ი ა კ ო ბ რაჟამს აკურთხევდა ი უ დ ა ს, ჰრქუა ესრჱთ: „ლეკუ ლ ო მ ი ს ა, ი უ დ ა, მორჩად აღმოცენებულ, შვილო ჩემო!“ და სხუანი იგი თითოვეულად აკურთხნა.

სახისმეტყუელმან თქუა: სამი სახჱ არს ლომისაჲ. პირველი სახჱ: რაჟამს ვალნ იგი, გინა თუ ზუაობნ, სული ეცის მონადირეთაჲ და კუდითა თჳსითა კუალსა მას შეჰრყუნინ, ნუუკუე იკულევდენ მონადირენი და პოვონ იგი სადგურსა თჳსსა და შეიპყრან იგი.

შენ, რომელი გფარავს გულსმოდგინედ გამოუჩინებელი ლომი ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე, რომელმან სძლო სოფელსა, ნათესავით ი უ დ ა ჲ ს ი თ გამობრწყინდა, ძირით ი ე ს ე ს ი თ, რომელი მოვიდა სამარადისოჲსა მამისაგან. გამობრწყინდა და დაეფარა გამოუჩინებელად საგონებელი კუალი, რომელ არს ღმრთეებაჲ; ანგელოზთა თანა ანგელოზ ჩან; საყდართა თანა საყდარ ჩან, მთავრობათა თანა მთავარ ჩანნ ვიდრე ჟამადმდე მოსლვისა მისისა, რამეთუ გარდამოჴდა საშოდ მ ა რ ი ა მ ი ს ა, რაჲთა იჴსნნეს შეცთომილნი ნათესავნი კაცთანი, „და სიტყუაჲ იგი ჴორციელ-იქმნა და დაემკვდრა ჩუენ თანა“, უცნაურად გარდამოჴდა ზესკნელ ძალთაჲ, რამეთუ გარდამოჴდა ქუეყანად და თქუეს: „ვინ არს ეგე, მეუფჱ დიდებისაჲ“? მაშინ თქუა სულმან პირითა დ ა ვ ი თ წინაჲსწარმეტყუელისაჲთა: „ესე არს მეუფჱ დიდებისაჲ“.

მეორჱ სახჱ ლომისაჲ: რაჟამს სძინავნ, მღვძარე არიედ თუალნი მისნი, რამეთუ ზე

უხილვედ.

ვითარცა კურთხევასა მგალობელთასა თქუა: „მე მძინავს და სული ჩემი მღვძარე არს“.

უკუეთუ გუამსა მას ტაძარსა ეძინა ოდესმე, ხოლო ღმრთეებაჲ იგი მღვძარე არს მარადის. მარჯულ მამისა არს მღვძარე და უძილ, ვითარ „არა დაიძინის მცველმან ისრაჱლისამან“.

მესამჱ სახჱ ლომისაჲ: რაჟამს შვნის ძუმან ლომმან ლეკუნი, მკუდარნი სხნის, და ზინ და სცავნ ლეკუთა მათ, ვიდრე მოსლვადმდე მამისა მის დღესა მესამესა, ჰბერის შუბლსა და აღადგინნის ლეკუნი იგი.

ეგრეცა ყოვლისა მპყრობელმან ღმერთმან, მამამან ყოველთამან აღადგინა მკუდრეთით დღესა მესამესა ძჱ იგი პირმშოჲ, ყოველთა დაბადებულთაჲ უფალი ჩუენი ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე, უკუე კეთილად სამე თქუა ი ა კ ო ბ მ ა ნ, ვითარმედ: „ლეკო ლომისაო, აწ უკუე ვინ განაღვძოს იგი?“

კეთილად თქუა სახისმეტყუელმან ლომისა მისთჳს და ლეკჳს და ლომისაჲსა.

ბ. ახოვნებისათჳს, რომელმან აღიღი თავადი სიმჴნჱ.

არს მჴეცი, რომელი იწოდების ა ვ თ ო ლ ო ფ ო ს. მძჳნარე და სასტიკ არს მჴეცი იგი, რამეთუ მონადირეთაგან ვერ ეგების ჴელთ-დებად იგი. რქანი მისნი გრძელ არიან და ხერხის სახედ, რამეთუ ხენი დიდნი და მაღალნი განხერხნის და რაჟამს სწყურინ, მივიდის ფ ი ს ო ნ დ მდინარედ და სჳს წყალი. და არიან რაჲმე პრაკნი რტო-წულილნი, რომელნი იწოდებიან პრაკ-მაღალნი. და იწყის მღერად და ჰბრძავნ პრაკთა მათ. და შეეკიდნიან რტონი მისნი პრაკთა მათ და რტოთა მისთა. შეიპყრიან და შეიმტკიციან რტოთა მათ პრაკთასა. და ყჳრი[ლ] იწყეს, რამეთუ განრინებაჲ ჰნებავნ და ვერ ჴელეწიფებიან, რამეთუ შეხუეუელ და შებრატნილ არიან, და დგან. ისმინიან ყჳრილი მონადირეთა მათ, მოვიდიან და მოკლიან იგი.

და შენ, წესიერი ახოვანი, ვიდრე მოსავ, იყავ შენ ორთავე რქათა შენთა და განჰხერხენ რტონი იგი – სიტყუანი, ვეცხლისმოყუარებაჲ და გულისთქუმაჲ მჴდომისაჲ, თხლჱ სოფლისაჲ, შურდული ეშმაკისაჲ. და იხარებდენ ანგელოზნი და ძალნი. და ორნი რქანი შენნი ორნი მცნებანი არიან.

ხოლო ეკრძალე, ნუუკუე შენცა ემღერდე და ჰბრძოდი პრაკთა მათ და მცირესა მიზეზსა, ანუ სამოსელსა ანუ სხუასა რასმე კეთილსა შეიბრატნო და შეიხვო მახესა მისსა და გპოვოს შენ ბოროტმან მონადირემან ეშმაკმან.

დ. ღჳნითა ანუ დედაკაცითა თუ მისდრკე, ბრძენო კაცო.

არიან ქ ვ ა ნ ი ვ ე ლ თ ა ნ ი დედალ-მამალნი. ვიდრე ეშოვრნიან ურთიერთას, არასადა აღედვის ცეცხლი, და თუ შეეხის მამალი დედალსა მას, ცეცხლი აღატყდის და შეწჳს არჱ მრავალი და ველი.

უმჴნე, რომელნი ახოვნებისა იყჳნეს, ს ა მ ს ო ნ და ი ო ს ე ბ, კაცნი მართალნი, განსაცდელსა შეჴდეს დედათათჳს.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან გონიერთათჳს, რაჲთა განერნენ.

Ე. არს მჴეცი ზღუასა შინა, რომელსა სახელი ჰრქჳქნ ხ ე რ ხ . ფრთენი მისნი გრძელ არიან. რაჟამს იხილნის ნავნი ეზობმულნი, ემსავსინ მათ და აღიპყრნის ფრთენი მისნი მსგავსად ეზოთა მათ ნავისათა და უჴდებიან ნავთა, ვითარ უტევან ორმეოც. და ვითარცა დაშურის, დაიყვნის ფრთენი და თჳსავე შეიკრიბნის დაშურომისაგან. და ღელვათა აღიღიან და მიიღიან თჳსსავე მას ადგილსა წინანდელსა, სადაცა იგი პირველად არნ.

ზღუაჲ იგი სოფლის სახჱ არს, ნავნი – წმიდათა წინაჲსწარმეტყუელთა, რომელნი, ვითარცა ნავნი, განჴდეს სოფელსა ჴდომისა ძლით მის მჴეცისაჲსა. და ხერხმან მისმან ვერ დაუთმო ნავთა მათთა, – რომელნი-იგი ჟამ ერთ მჴნდიან და ვერ დაუთმიან წმიდათა თანა მყოვარ თმენად შედგომილსა საქმესა კეთილსა, და ვერ დაუთმიან აღებად სიმჴნჱ ვეცხლისმოყუარებითა, ანუ თავჴედებითა, ანუ სიძვითა, ანუ მრუშებითა, ანუ სხჳსა რაჲმე კეთილისათჳს, რომელნი ვითარცა ღელვანი ზღჳსანი მიიყვანებენ ჯოჯოხეთა.

3. არს მფრინველი, რომელსა სახელი ჰრქჳან ქ ა ლ ა ნ დ რ ო ს , რომელი-იგი მეორესა შჯულსა მოსჱსსა იჴსენების.

სახისმეტყუელმან თქუა: ვითარ მებრიად სპეტაკ არს და რაჲთურთით სიშავე არა არს მის თანა! და ნაკრტენი მუცლისა მისისაჲ ჰკურნებს თუალთა დადგომილთა. და შარავანდედთა თანა და სამეუფოს იპოვებიან ქალანდრი იგი.

თუ სნეული ვინმე არნ და სნეულებაჲ იგი მის კაცისაჲ სასიკუდინებელი სენი არნ, ვითარცა იხილის სნეულმან მან, მიიქციის პირი მისგან; ქალანდრი იგი იციან ყოველთა, თუ მაკუდინებელ არნ; თუ მაცხოვნებელ – სნეულმან მან შეჰკერტნის და ჰხედავნ ქალანდრსა მას. და ქალანდრმან მან შთანთქის სალმობაჲ სნეულისაჲ მის და დაუცხრის სალმობაჲ იგი და განერის კაცი იგი.

ქალანდრი იგი ერთბამად სახედ შუენიერსა მაცხოვარსა ემსგავსების, რამეთუ ყოვლად სპეტაკ არს უფალი ჩუენი ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე და სიშავჱ არა არს მის თანა, ვითარცა-იგი მან მხოლომან თქუა: „მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ და ჩემ თანა არარაჲ პოვოს მან თჳსი“, რამეთუ მოვიდა წმიდათაგან ცათა. ჰ უ რ ი ა თ ა განიშოვრეს სულთა მათთაგან ღმრთეებაჲ მისი. მოვიდა წარმართთა და აღამცირა სნეულებაჲ და სალმობაჲ ჩუენი და აღმაღლდა ჯუარად, ვინაჲცა აღჴდა მაღალთა და წარმოტყუენა ტყუჱ. თჳსთა მოვიდა და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან ქალანდრისა მისთჳს. ხოლო სთქუათ: „ქალანდრი ბილწი მფრინველი არს, ვითარ ემსგავსების ქრისტესა“? გუელი იგი სამე ბილწი არს, ვითარცა წამა ი ო ვ ა ნ ე და თქუა: „ვითარცა მ ო ს ე აღამაღლა გუელი იგი უდაბნოსა, ეგრეცა აღმაღლებაჲ ჯერ-არს ძისა კაცისაჲ. ხოლო არს რაჲმე გუელისაჲ მის კეთილი – სიბრძნჱ; და ლომისაჲ მის, რამეთუ ძლიერ არს; და ცხოვრისაჲ მის, რამეთუ მშჳდ არს. და მრჩობლ არს ყოველი დაბადებული, იყოღა-თუ სხუაჲ რაჲ, სიჯერკულჱ ეგონოსვე, არამედ კეთილიცა იპოვის.

8. კეთილად თქუა დ ა ვ ი თ მ ა ნ : „ვემსგავსე მე ვარხუსა მას უდაბნოჲსასა და ვიყავ მე ვითარცა ბუვი ნატამნევსა“.

სახისმეტყველმან თქუა ვარხვსა მფრინველისათვს, ვითარმედ ჯეკმა მართვს მოყუარჱ არს. რაჟამს მართუენი გამოიჴადნის და კნინ აღორძნდიან, დათრგუნნიან და მოკლნიან მართუენი თვსნი. და უკუანაჲსკნელ სიყუარულითა იგლოვდიან. მესამესა დღესა ინანიედ, თუ რაჲსა მოვწყვდენით მართუენი თვსნი. დღესა მესამესა მოვიდის დედაჲ მათი, განუპნის გუერდნი იგი მათნი და სისხლი იგი მათი, რომელი გარდამოსწუთინ ზედა მკუდარსა მას ჴორცსა მართუეთა თვსთასა, აღადგინნის იგინი მკუდრეთით.

ეგრეცა უფალმან ღმერთმან თქუა პირითა ესაია წინაჲსწარმეტყუელისაჲთა: „შვილ ვისხენ და აღვიზარდენ, და მათ მე შეურაცხ-მყვეს“.

შემოქმედმან გვსხნა ჩუენ და ჩუენ შეურაცხ-ვყავთ იგი. რაჲთა უკუე შეურაცხ-ვყავთ? რამეთუ თავყუანის-ვსცემდით დაბადებულთა და არა დამბადებელსა. მოვიდა და აღჴდა სიმაღლესა ჯუარისასა და ლახურითა წყლეს გუერდი მისი; და დააწთო სისხლი და წყალი მჴსნელი საუკუნოჲ.

სისხლი იგი, რომელ თქუა: „მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა“ და წყალი იგი – ნათლისღებაჲ მჴსნელად მონანულთა.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან ვარხვსა მფრინველისაჲ.

ჱ. ბ უ ვ ი ს ა თ ვ ს თქუა: ღამის მოყუარჱ არს, ვიდრე დღისაჲ.

და უფალმან ჩუენმან ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ემან შეგვყუარნა ჩუენ, რომელნი ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა ვიყვენით ერი წარმართთაჲ უფროჲს ვიდრე ჰ უ რ ი ა თ ა ჲ, რომელთა შვილებაჲ ზედა ედვა და საზეპურობაჲ.

მიერვე თქუა მაცხოვარმან: „ნუ გეშინინ თქუენ, სამწყსოო მცირეო, რამეთუ უნდა ღმერთსა მოცემად თქუენდა სასუფეველი ცათაჲ!“

ხოლო თქუენ მარქუთ მე, ვითარმედ: ბუვი ბილწი მფრინველი არს შჯულისაგან, ვითარ ვამსგავსოთ ქ რ ი ს ტ ე ს ა?

მგონიეს, მჴნელისა მისთვს თქუა პ ა ვ ლ ე მ ა ნ, ვითარმედ: „რომელმან-იგი არა იცოდა ცოდვაჲ, ჩუენთვს ცოდვილ იქმნა იგი“ და „მოიდრიკა გუამი მისი, რაჲთა ჩუენ აღვმაღლდეთ“. „ყოველთა თანა ყოვლითა იყო, რაჲთა ყოველნი აცხოვნნეს“.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან ბუვისათვს.

თ. მერმე თქუა დ ა ვ ი თ მ ა ნ: „განახლდეს, ვითარცა ო რ ბ ი ს ა, სიჭაბუკჱ შენი“.

სახისმეტყუელმან თქუა ორბისათვს: რაჟამს დამდედნის და დაუმძიმდიან ფრთენი მისნი და განუქშუნიან თუალნი, და ეძიებნ წყაროსა წყალთასა და აღფრინდის მიქცეულად მაღალსა ქარსა მძაფრსა მზისთუალსა წყაროდმდი და განახურვნის ფრთენი და თუალნი შეპიშუებული და შთაჴდის წყაროსა და იბანის სამჯერ და განჭაპუკნის.

და თუ შენცა გაქუნდეს სამოსელი ძუელისა კაცისაჲ და მოგაკლდეს თუალ[თა], იძიე საგონებელი წყაროჲ, მცნებაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, რომელმან-იგი თქუა: „მე დამიტევეს წყაროჲ წყლისა ცხოველისაჲ“, და აღფრინდე სიმაღლესა მზისთუალისასა, მართლისა მის იესუ ქ რ ი ს ტ ჱს ა. და მან დაგიწუას ძუელი იგი სამოსელი, რომელ შეიმოსე ეშმაკისაგან, რომელ ორთა მათ მოხუცებულთა ესმა: „დაძუელებულნო დღითა ბოროტითა! და ნათელ-იღო

შენ სამჯერ მყოვარ წყაროჲსაგან სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და განიძარცო ძველი იგი კაცი საქმითურთ მისით და შეიმოსოთ ახალი, რომელ ღმერთი დამყარებულ არს, ვინაჲცა დავითმან თქუა: „განახლდინ, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკჱ შენი!“

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყველმან ორბისათჳს.

ი. უფალმან ჩუენმან ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ თქუა: „მიფლიეს გუამი ჩემი დადებად, მიფლიეს მერმე აღებად იგი“. ჰ ო ს ი ა ნ ი კრთებოდეს სიტყუას მას.

არს მფ[რ]ინველი რაჲმე ჰ ი ნ დ ო ჲ. სახელი ჰრქჳან მას ფ ი ნ ი ქ ს. მეხუთასით წლით მოვიდის ხეთა ლ ი ბ ა ნ ი ს ა თ ა და აღივსნის ფრთენი თჳსნი საკუმეველითა. და მოვიდის არეგდ ქალაქად თთუესა მიჰრაკნისასა გინათუ ვარდობისასა და აუწყის ქურუმსა მას ბაგინისასა. და ქურუმმან მან, ვითარ გულისხმა-ყჳის, შევიდის ბაგინად და აღავსის ბაგინი იგი ნასხლევითა, გინათუ შეშითა. და წარვიდის მფრინველი იგი არეგდ ქალაქად სავსჱ საკუმეველითა და შეჴდის ბაგინად და თჳთ ცეცხლი აღანთის და თავი შეიწჳს. ხვალისაგან შევიდის ქურუმი იგი და ეძიებნ ბაგინსა მას ზედა და პოვის მატლი ერთი ნაცარსა მას შინა. და მეორესა დღესა ფრთენი შეისხნის და იქმნის მართუე მფრინველის. და იქმნის ვითარცა პირველი იგი და იჯმნის ქურუმისა მისგან. აღფრინდის და წარვიდის და ძველსავე ადგილსა მივიდის.

ხოლო თუ მფრინველსა უფლიეს მოკლვად გუამისა თჳსისა და ცხორებად, უგუნურნო, თქუენ რაჲსა ჰკრთებით სიტყუასა უფლისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ჱ ს ს ა, რომელმან-იგი თქუა: „მიფლიეს გუამი ჩემისა დადებად და მიფლიეს აღებად იგი“.

ფინიქსი სახედ მაცხოვრისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ჱ ს ა მოაქუს, რამეთუ ცით გამოვიდა და მოიხუნა ორნივე ფრთენი სულითა სულნელებისაჲთა, სიმჴნითა და ნიჭითა ცათაჲთა. რამეთუ ჩუენ გალობითა აღვამაღლენით ჴელნი ჩუენნი და აღვავლინოთ სულნელებაჲ საქმითა კეთილითა, სიმჴნითა და წესიერებითა.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყველმან ფჴნიქს მფრინველისათჳს.

იბ. წიგნი იტყჳს: „რომელმან ძჳრი თქუას მამისათჳს გინათუ დედისა თჳსისათჳს, სიკუდილით მოკუედინ“, რომელნი შეურაცხ-ჰყოფენ და რომელნი მამა-დედათა აგინებენ.

არს მფრინველი რაჲმე, რომელსა სახელი ეწოდების ო ფ ო ფ ი. სახისმეტყველმან თქუა: რაჟამს იხილიან მართუეთა დედაჲ ანუ მამაჲ დამდედებული და თუალთაგან მოკლებული, მართუეთა მათ დაჰკრტნნიან ძველნი ფრთენი და აღლოშნნიან თუალნი მათნი და განატფნიან იგი[ნი] ფრთითა თჳსითა, განაახლნიან და განაჭაპუკნიან იგინი, და ჰრქჳან მამა-დედათა თჳსთა: ვითარცა თქუენ ჩუენთჳს კუერცხისა დადებითა და მართჳსა გამოჴდითა დაშუერით და განგუზარდენით, ეგრეცა ჩუენ მას სესხსა მიგაგებთ.

ესოდენ არა არიან კაცნი, რაოდენ პირუტყუნი, და მათ მეტყუელთა არა შეიწყნარნიან თჳსნი მამა-[დე]დანი?

კეთილად თქუა სახისმეტყველმან.

ІѲ. к а н ჯ р и с а თ ვ ს и ო ბ ц а თქუა: „ვინ განუტევა კანჯარი თავისუფლად?“

სახისმეტყუელმან თქუა კანჯრისათვს: კატაბანი მერემაკჱ არს. რაჟამს შვიან ხუადი კიცვ, მამამან დაუცოხნნის საურველნი და უქმ-ქმნის, რაჲთა არა თესლი და ნათესავი მათი განმრავლდეს.

წინანდელთა მათ მამათა ძირი თესლისაჲ განამრავლიან აღორძინებად, ხოლო შემდგომთა ამათ ნათესავთა საგონებელნი ყრმანი თმენად წუართნიან; ზეცისა ცხორებასა მიჰხედის, რაჲთა აღორძნდეს, ვითარცა იტყვს წიგნი: „გიხაროდენ ბერწო, რომელმან არა ჰშევ, ღაღადებდ და ჴმობდ, რომელსა არა გელმოდა; რამეთუ მრავალ შვილ ესხნეს ბერწსა მას, ვიდრე არა ამას, რომელსა ესუა ქმარი“.

ძუელნი იგი მცნებანი თესლსა განამრავლებდეს, ხოლო ახალი ესე თმენასა წურთის.

[ІѲ]. კეთილად ჰრქუა и о в а н е ფარისეველთა: „ნაშობნო ასპიტთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ რისხვისაჲ, რომელი მოსლვად არს?“

სახისმეტყუელმან თქუა а с п и т и с а ჲ: რაჟამს მამალი შეეხის დედალსა, პირით მაკნდის. და დედალმან, რაჟამს შთანთქის თესლი იგი, საურველნი მოჰკუეთნის მამალსა მას და განაშოვრნის. რაჟამს ჰგონიენ მამალსა მას, თუ შეეხო დედალსა მას, მუნქუესვე მოკუდის მამალი იგი, სიკუდილის წინა მრავალჯერ მივიდის-მოვიდის დედლისა მის და რამეთუ ვერ დაუთმის, შეეხის დედალსა მას და მოკუდის.

ხოლო დედალსა მას, რამეთუ არა ადგნ მუცელი, რაჲთამცა მართუენი იტვრთნა, რაჟამს აღორძნდიან ლეკუნი იგი, განჴურიტნიან გუერდნი დედისა თვსისანი და გამოჴდიან და მოკლიან დედაჲ იგი თვსი და ესრეთ მამა-დედისა მჭამელ არიან.

კეთილად ამსავსნა ფარისეველნი ასპიტთა: ვითარცა-სახედ ასპიტმან მამა-დედაჲ მოკლის, ეგრეცა ფარისეველთა – მამაჲ საგონებელი, მამაჲ და დედაჲ თვსი, მაცხოვარი ჩუენი იესუ ქრისტჱ და ეკლესიაჲ. რაჲთა აღესრულოს სივლტოლაჲ რისხვისაჲ მის, რომელი მოსლვად არს? ხოლო მამაჲ იგი მათი და დედაჲ მათი ცხოველ არიან უკუნისამდე და იგინი მოწყდეს საუკუნოდ.

ІѲ. უფალმან ჩუენმან и е с у ქ р и с ტ ე მ а ნ თქუა სახარებასა შინა: „იყვენით თქუენ მეცნიერ ვითარცა გუელნი, და უცოდველ ვითარცა ტრედნი“.

სახისმეტყუელმან თქუა: სამი სახჱ არს г у е л и с а ჲ. პირველი სახჱ: რაჟამს დაბერდის და თუალთა მოაკლდის, და ჰნება[ვ]ნ განჭაპუკებაჲ, მარხვად დგის და მჴნდის, და იმარხის გუელმან მან ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, ვიდრე ტყავი განევლთის და განუთხნის. იძიის ნაპრალი და პოვის კლდისაჲ იწროჲ და შეჴდის იწროდ და და აგდის ტყავი იგი მისი ძუელი და განჭაპუკნის.

ისმინეთ, რომელმან-იგი თქუა: „იწრაფეთ შესლვად იწროსა მას კარსა და ძნელსა, რომელნი მიავლინებენ ცხორებად საუკუნოდ“.

მეორჱ სახჱ გუელისაჲ: რაჟამს მივიდის მდინარედ სუმად, არა მიიღის გესლი იგი მისი მის თანა, არამედ მუნ ქუაბსა ანუ ჴურელსა დად[ვის].

ეგრეცა ჩუენდა ღირს, რაჟამს შევკრბეთ ეკლესიად სმენად და სუმად წყლისა ცხოველსა სამარადისოჲსა, და სმენად საღმრთოჲ სიტყუაჲ ეკლესიასა შინა, და არცაღა ჯერ-არს ჩუენ თანა მიღებად გესლი იგი ქუეყანისაჲ ამის, ბილწად სავსჱ, თხლჱ შეზავებული, გულის-თქუმაჲ და ზრახვაჲ უკეთურებისაჲ.

მესამჱ სახჱ გუელისაჲ: რაჟამს იხილის შიშუელი, ეტრფიალის, და თუ იხილის შემოსილი, ზედა მიუჴდის.

და ჩუენ ესე გამოუჩინებელად გულისხმა-ვყოთ. მამაჲ ჩუენი ა დ ა მ ი ვიდრე შიშუელ იყო სამოთხესა შინა, მუნ ვერ ჰკადრა ზედა-მისლვად ბოროტმან ეშმაკმან.

ᲘᲔ. ს ო ლ ო მ ო ნ ი იტყჴს იგავსა: „მიგუალე ჯ ი ნ ჭ ვ ლ ი ს ა და ჰბაძევდ, ჰოჲ მედგარო!“

სახისმეტყუელმან თქუა: სამი სახეჱ არს ჯინჭველისაჲ. პირველი სახჱ: რაჟამს დასკუდვილად ვლენედ გზასა, ურთიერთას თითო(ვ)ეულად თჳსი მარცუალი მიაქუნ პირითა, და ცუდთა მათ, რომელთა არა აქუნ, არა ჰრქჳან ტჳრთოსანთა მათ, ვითარმედ: „გუეცით ჩუენცა!“, არცაღა ძლით მოუხუნიან მათგან, და არცაღა ჰშურნ, ვითარმედ იგინი მალედ შეიკრებენ უნჯსა.

ესე ბრძენთა მათ ქალწულთა სახჱ არს. ხოლო ვაჲ უგუნურთა მათ ქალწულთა, რომელნი არასადა განმართლდენ.

მეორჱ სახჱ ჯინჭვლისაჲ: რაჟამს შეიღის მარცუალი სადგურსა თჳსსა, შუვა ოდენ განკუეთის, ნუუკუე ზამთარ იყოს, ანუ ტფილ და აღმოჯეჯლდენ მარცუალნი იგი და სიყმილითა მოწყდენ.

ეგრეცა შენ მცნებანი იმარხენ და განაშოვრე სული შენი ბოროტისაგან საქმისა, ეკრძალე. ნუ სიღრმემან მეცნიერებისამან მოგკლას, ვითარცა პავლე [იტყჴს:] „წიგნმან მოკლის, ხოლო სულმან აცხოვნის“. მერმე თქუა: „მცნებამან სულისამან განგააზნაურა შენ“ და თუ: „მცნებანი სულიერ არიან, მარტოდ მცნებასა უსულოდ სდევენ ჰ უ რ ი ა ნ ი, სულთაგან მკუდარნი“.

მესამჱ სახჱ ჯინჭვლისაჲ: მრავალჯერ, რაჟამს მივიდის ყანობირად და აღჴდის თავსა ჴუვილისასა დამუსრვად მარცულისა, ვიდრე აღსლვადმდე მის თავისა ისუნებნ: იფქლისაჲ-ძი არს, ანუ ქრთლისაჲ. თუ ქრთლისაჲ არნ, ივლტინ მიერ და იფქლისასა მას მივიდის, რამეთუ ქრთილი იგი პირუტყუთა საჭმელ არს, ვითარცა ი ო ბ მ ა ნ თქუა: „იფქლისა ჩემისა წილ აღმომიცენდინ მე ქრთილი“. და თქუენ ივლტოდეთ ქ ა ლ დ ე ვ ე ლ თ ა გ ა ნ, რომელთა პირუტყუქმნეს თავი თჳსი და ყოვლითა უცხოჲთა სწავლითა.

ᲘᲗ. ე ს ა ი ა წ ი ნ ა ჲ ს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ მ ა ნ თქუა: „მუნ ზღჳს-ქალნი და დევნი როკვიდენ და გრძღაბნი დაემკჳდრნენ“.

სახისმეტყუელმან თქუა ზ ღ ვს -ქ ა ლ თ ა ჲ, ვითარმედ სიკუდილისა შემამთხუ[ე]ველ არიან კაცისა. ზღუასა შინა არიან და სახიობენ სახიობასა ჴმითა ტკბილითა. და მენავენი, რომელნი ადგილთა მათ ნავითა თანა-წარჰვლენან, ვითარცა ისმინ ნოვაგი იგი სახიობისაჲ, ეგოდენ ესმინებინ და სთნავნ, ვიდრემდის შესულბიან და განსცთიან, და შთაცჳვიან ზღუასა და წარწყმდიან. და ხატი მათ ზღჳს-ქალთაჲ ვიდრე უპედმდე კაცისაჲ არს, ზოგი ხატი მათი – მფრინველთაჲ.

ეგრეცა ვირ-კუროთაჲ: კერძოჲ – ვირთაჲ, კერძოჲ – კუროთაჲ.

ეგრეცა ყოველი „კაცი ორგული ერესიოტ არს ყოველთა გზათა მისთა“, ვითარცა აქა იპოვნიან გუეცნი – ეკლესიასა შინა შეკრებად შეკრბიან და ცოდვასა ვერ განეშოვრნიან.

ვითარცა თქუა წიგნმან: „აქუნ ხატი იგი ღმრთისმსახურებისაჲ და ძალისაგან განდგომილ არიან“. რამეთუ რაჟამს შევიდიან ეკლესიად, კრძალვის სახედ ეჩუენნიან. და რაჟამს კრებულნი იგი განეტევნიან, პირუტყუთა სახე იქმნიან. ეგრეცა ზღვს-ქალთაჲ და ვირ-კუროთაჲ სახჱ ედვას თავთა მათთა. შჯულისა გარდამავლნი მტყუვარნი და მწვალებელნი, რომელნი „სახეტკბილებითა შეიტყუვებენ სულთა დაუმტკიცებელთა“.

ვითარცა პ ა ვ ლ ე მ ა ნ თქუა ნეტარმან: „განრყუნნიან გონებანი ტკბილნი სიტყუათა ბოროტთა“.

ᲘᲨ. არს რომელიმე იძრვისი, რომელი იწოდების გ რ ძ ღ ა ბ ი . მომრგუალე არს, ბირთვს სახე ხატითა. ზურგი მისი შეჭურვილ არს ეკლითა. და ეკალი მისი ჰგავს ზღვსა გრძღაბსა. სახისმეტყუელმან თქუა გრძღაბისათჳს: რაჟამს აღჳდის ვენაჳსა, ტევანნი დამომარცულნის და მოკუფხლნის და ქუე გარდმოაბნიის და გარდამოჳდის, შეაკოლტის ერთად და ინგორის მარცუალსა მას ზედა და აღეკრის მარცუალი იგი ეკალსა მას მისსა და მიართჳს მართუეთა თჳსთა და დაუტევის კერტი იგი ტევნისაჲ მის ცუდი.

აწ შენ, ახოვანო, რომელი სდგა მცველად და მყუდლად საგონებელსა საყურძენსა, რომლისა დამწიფებულ და მოწევნულ არს მარცუალი საგონებელი ჭეშმარიტი საწნეხლად და შეკრებად საუნჯეთა შარავანდედისა მის მისლვად და მიწევნად დალიჭსა მას ქ რ ი ს ტ ჱ ს ს ა წმიდისა, მიწევნად ცხორებასა მას საუკუნესა, ვითარ უფლობ აღსლვად გრძღაბსა ადგილსა შენსა განრყუნად, შუენიერი სიმჴნჱ შენი განბნევად? და საგუმერელითა სასიკუდინოჲთა დაგჩხუეპოს შენ მჴდომმან მან ძალთამან და იავარ-ყჳნეს სიმჴნენი შენნი.

უკუე მარჯუედ სამე და მსგავსად იტყოდა სახისმეტყუელი სახესა პირუტყუთასა, რომელი საღმრთოთა წიგნთა იჴსენების.

ᲘᲩ. მ ე ლ ი ს ა თ ჳ ს თქუა სახისმეტყუელმან: ყოვლად გუეც არს და ვერაგ პირუტყჳ იგი: რაჟამს ჰმში[ი]ნ და არა პოვის ნადირი ჭამად, მივიდის, პოვის ტბური თიჴოვანი, ანუ თუ სადა ბზჱ ძენ, ინგორის, ანუ თუ უყსა და ბზესა ზედა ინგორის და ზე-უკუნ-წვის, ხოლო ისტუანავნ, სული ყმიდნის და განსიკუნის ყოვლად. და ჰგონებედ მფრინველნი, თუ მომკუდარ არს, გარდამოჴდიან ჭამად მისა. და ესრჱთ ტყუვილით მოიტაცნის იგინი, და დაჰყარის ნაწლევი მფრინველთაჲ მათ, და ძჳრ-ძჳრად მოწყჳდნის იგინი.

ეგრეცა ეშმაკი ყოვლად მცირჱ არს და მანქანებანი მისნი დიდ არიან. ვის უნებნ გემოჲს-ხილვად ჴორცთა მისთაგან, იგი მოკუდის. ჴორცნი მჴდომისანი მრუშება არიან, ვეცხლისმოყუარებაჲ. ჰ ე რ ო დ ე მელად იწოდა და მწიგნობარსა მას ჰრქუა მაცხოვარმან: „მელთა ჴურელი უჩს“.

კურთხევასა საგალობელსა წერილ არს: „შეიპყრენით მელნი მცბიერნი, განმრყუნელნი საყურძნისა ჩემისანი. და დ ა ვ ი თ მ ა ნ თქუა: „ნაწილად მელთა იყჳნენ იგინი.

უკუე კეთილად სამე [თქუა] სახისმეტყუელმან მელისაჲ.

ით. წინაჲსწარმეტყველი წინაჲსწარმეტყველებს: „უფალო, თუ ვიყო ვითარცა ლომი სახლსა იუდაჲსსა და ვითარცა პ ა ნ ფ ი ლ ი სახლსა ე ფ რ ე მ ი ს ს ა და ვიყო ვითარცა ა ვ ა ზ ნ ი“.

სახისმეტყველმან თქუა ეგევითარი სახჱ: „ყოველთა პირუტყუთა საყუარელ არს მჴეცი იგი. ხოლო მარტოდ გუელის მოძულე არს და ყოვლად ჭრელ, ვითარცა ყუავილგანრეული სამოსელი ი ო ს ე ფ ი ს ი“.

შუენიერად შემკულ, ვითარცა დედოფალი ბღუარისაჲ, რომელ-იგი თქუა დ ა ვ ი თ მ ა ნ: „დადგეს დედოფალი მარჯუენით შენსა, სამოსლითა ფესუედითა შემკულ არს პირად-პირადად“.

ავაზნი მშჳდ არს ჯეკმა და ყუდრო მჴეცი იგი. რაჟამს ჭამის საჭმელი, განძღის და დაწვის სადგურსა თჳსსა. შემდგომად სამისა დღისა აღდგის ძილისაგან.

ეგრეცა უფალი ჩუენი მესამესა დღესა აღდგა მკუდრეთით.

და ავაზნი იგი, აღ-რაჲ-დგის ძილისაგან სადგურით თჳსით მესამესა დღესა, ყჳრილ-ყჳის ჴმითა ღაღადებისაჲთა. და ყჳრილსა მას მისსა გამოსცის სული საკუმეველთაჲ პირსა მისსა. და რომელნი-იგი შორს მჴეცნი იყჳნიან, გინათუ ახლოს, მისდევდიან ღაღადებასა მისსა, ვინაჲცა-იგი სული მოეცეს.

ეგრეცა უფალი ჩუენი მაცხოვარი ი ე ს უ აღდგა მკუდრეთით და სული სულნელებისაჲ, გუეცა ჩუენ შორიელთა და მახლობელთა; ყო მშჳდობაჲ ცასა და ქუეყანასა, ვითარცა პ ა ვ ლ ე მ ა ნ თქუა, მრავალსულნელ და ყუავილ არს სიბრძნჱ უფლისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ჱ ს ი , რომელ არს ქალწულ[ებაჲ], და მოწყალებაჲ და თმენაჲ, და სარწმუნოვებაჲ, და სიმჴნჱ, ერთობაჲ და მშჳდობაჲ და სულგრძელებაჲ, ვითარცა ავაზნის მჴეცისაჲ“.

თქუა სახისმეტყველმან, რამეთუ ყოვლად ყუავილოვან არს, რამეთუ არარაჲ საშჯელი უც პირუტყუთა და მფრინველთა თანა. თქუეს ესე საღმრთოთა წიგნთა.

ჵ. კეთილად თქუა პ ა ვ ლ ე მოციქულმან: „არარაჲთ უმეცარ ვართ ზრახვათა მისთა“ და სხუასცა თქუა.

სახისმეტყველმან თქუა: „არს მჴეცი ზღუასა შინა, რომელი იწოდების ვ ა ჰ ა ნ ა კ რ ა ჲ – კ უ ვ ი ზ ღ ვ ს ა ჲ. ვეშაპ-თევზის მსგავს არს, და ფერითა – მქჳშასა ჭალაკისასა.

ჴმაჲ ბოროტ არს მჴეცისაჲ მის და უცებით მენავენი შეიტყუვნის. მივიდიან, ნავნი ვითარცა ჭალაკსა ზედა დააბნიან, მანან[ი] დაასვნიან და ალისნი შთაუტევნიან. და რაჟამს ცეცხლი აღაგზნიან მას ზედა, რაჲთამცა განტფეს, ადგილი იგი ქუე დაჴდის ქუესკნელად და შთაინთქნიან ნავნი იგი, რომელნი მუნ დაებნიან.

და უკუეთუ შენ სასოვებაჲ შენი დამოჰკიდო ეშმაკსა, დაგანთქას შენ გეჰენიასა ცეცხლისასა.

და სხუაჲ სამარადისოჲ სახჱ აც: რაჟამს ჰმშიინ, აღაღის პირი თჳსი და სული სულნელებისაჲ საკუმეველთაჲ გამოჴდის პირისაგან მისისა და ეცის სული იგი ნელი თევზთა და მისდევედ და შთაიბნიან პირსა ვეშაპ-თევზისასა მის. და რაჟამს აღივსის პირი მისი, მაშინ შეიმტკიცნის ნიჩურნი თჳსნი და შთანთქნის წულილნი იგი თევზნი. და გულისხმა-ყავთ – ურწმუნონი იგი, ხოლო მდიდარნი დიდ-დიდნი თევზნი არა იპოვებიედ კეიტ-ვეშაპსა თევზსა,

რამეთუ აღსრულებულ არ[ია]ნ, ვითარცა პ ა ვ ლ ე თქუა: „არარაჲთ უმეცარ ვართ ზრახვათა მისთა. და სხუასცა თქუა: „ვალს ყოველსა გზასა არაკეთილსა“. ი ო ბ აღსრულებული თევზი იყო. მ ო ს ე და ი ე რ ე მ ი ა, ე ზ ე კ ი ე ლ და დ ა ნ ი ე ლ და ყოველნი იგი გუ[ნ]დნი მართალნი და მებრ ხოლო წმიდანი ივლტოდეს დიდისაგან ვეშაპისა: დედაკაცისა – ი ო ს ე ფ – ცოლისაგან მ ა ტ ა კ ა რ ა ნ ი ს ა ფარაოჲსისა, ს უ ს ა ნ ა – ორთაგან მოხუცებულთა უკეთურთა; თ ე კ ლ ა თ ე მ ე რ ო ს ი ს გ ა ნ განერა, ე ს თ ე რ ა რ ტ ა ხ შ ჱ ს გ ა ნ განერა, ი უ დ ი თ ჰ ო ლ ო მ ფ ე რ ნ ე ს გ ა ნ განერა, ი ო ნ ა ვეშაპ-კეტისგან განერა. და ს ა რ ა, ასული ჰ რ ა გ უ ე ლ ი ს ი, ა მ ო დ ი ს გ ა ნ განერა, ნეტრეული ი ო ბ ი დიდისაგან მჴდომისა განერა.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან ვაჰანაკრა მძვნვარისათჳს.

[ᲙᲐ]. ი ე რ ე მ ი ა თქუა: „ჴმა-ყო კ ა კ ა ბ მ ა ნ შეკრებად, რომელნი არარაჲ ეყვ[ნ]იან მართუენი (114r) და ქმნამცა თჳსა სიმდიდრჱ, ხოლო შუვადღესა დაუტევონ იგი და უკუანაჲსკნელ უგუნურ იქმნეს.

სახისმეტყუელმან თქუა კაკბისაჲ, ვითარმედ სხჳსა კუერცხთა აცხობნ და მართუენი გამოიჴადნის. რამეთუ უცხონი კუერცხნი მოიპარნის და თჳსა ბუდედ მიიხუნის და შეაცხჳნის და მართუენი გამოიჴადნის და ვერ დაუთმიან მართუეთა მათ.

და შეკრიბის ვითარცა ქარქუეტი რაჲ და დაუტევის განჴმობად და მით ქარქუეტითა დაითმინის ცხორებად და რაჟამს აღორძნდიან მართუენი იგი, აღფრინდიან ურთიერთას თითოვეულად თჳსა თესლად, მივიდიან თჳსთა მშობელთა და იგი, ვითარცა უგუნური, დაუტევიან.

ეგრეცა ეშმაკმან მიიტაცნის ნათესავნი კაცთანი გულბრმობითა და საცთურითა და ვითარცა ზომად გუამსა გონებისასა მოიწინიან, მიერითგან თჳსი იცნის მშობელი ცნობად, ქ რ ი ს ტ ე ს ა და ეკლესიათა. და ეშმაკი იგი დაშთის ვითარცა უგუნური.

დღეს თუ მომრუშე იყო და მეძავ და ხვალე მშჳდ და მართალ იქმნე, ევლტოდე და განეშოვრე უშჯულოსა მას კაკაბსა და მოვედ შენისა მის მშობელისა ღმრთისა შჯულსა და სწავლასა წმიდათა წინაჲსწარმეტყუელთა და მოციქულთასა, მართალთა და მჴნეთასა.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან კაკბისათჳს.

[ᲙᲑ]. კეთილად თქუა უფალმან ჩუენმან ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ სახარებასა: „ვაჲ, რომელნი მიდგომილ იყვნენ, და რომელთა აქუნდენ ყრმანი ჩჩვლნი ძუძუჲს მწოვარნი მათ დღეთა შინა“, დ ა ვ ი თ მ ა ნ თქუა: „აჰა ესერა, უშჯულო[ე]ბასა მიუ[დ]გა და ცოდვასა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“.

სახისმეტყუელმან თქუა ო რ ბ ი ს ა თ ჳს , რამეთუ მაღალთა, ძნელთა დაიმკჳდრის კლდეთა და თავსა მთათასა. და რაჟამს იმამლის, მივიდის ჰ ი ნ დ ო ე თ ა. და მოიღის ანთრაკი იგი ნიგუზის-სახჱ მრგუალი პატიოსანი. და რაჟამს შეძრის, ანთრაკი იგი იმღერინ და ვითარცა ეჭუანი ოხრინ და ჴმობნ, და სალმობა არა მოუჴდის მას ორბსა, დაჯდის და შვის ჴსნილად.

ეგრეცა შენ, კაცო, მი-თუ-უდგენ სულნი შენნი ბოროტსა სალმობასა, იძიე გუამისა შენისათჳს საგონებელი ადვილად საშობელი ანთრაკი, რომელსა სხუაჲ ანთრაკი ვერ

ესწორების, ანთრაკი გამოუჩინებელი და ადვილად საშობელი. ანთრაკი არს ღმრთისმშობელი მ ა რ ი ა მ, რომელსა აქუნდა ჭეშმარიტი პატიოსანი ანთრაკი, მაცხოვარი ჩუენი ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე, ვითარცა თქუა დ ა ვ ი თ: „ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა, თავ კიდეთა“.

შეიწყნარეთ „ლოდი იგი, რომელი გამოსთქდა თჳნიერ ჴელისა კაცთაჲსა“. თუ გრწმენეს, ვითარმედ მ ა რ ი ა მ ი ს გ ა ნ იშვა მჴსნელად ცოდვილთათჳს, გაქუნდეს სასოვებაჲ კეთილი, ხოლო პირველად საგრაგნელთა შეიხურა ჴსნად ცოდვილთა.

ყოველსა ჟამსა განიხრწენინ და განეშორენ უჩინოთაგან სულთა შენთა სიძვაჲ, მრუშებაჲ, თავჴედებაჲ, ვეცხლისმოყუარებაჲ და რაჟამს დაითმინო ყოვლისაგან, მას ჟამსა მიუდგე სიტყუასა ზეცისასა, ვითარცა ე ს ა ი ა წ ი ნ ა ჲს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ მ ა ნ თქუა: „სასტიკებითა და შიშითა შენითა მიუდეგით და ვშევით სული მაცხოვარებისა შენისაჲ”. ძუელთა მათ მცნებათა აქუნდა შინაგანი ზრახვაჲ, რომელი გამოაჩინებს გამოუჩინებელსა ჩუენსა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე ს ა, რამეთუ დაეფარა მჴსნელი ჩუენი ცრუთა ე ბ რ ა ე ლ თ ა გ ა ნ და გამოგჳჩნდა ჩუენ, რომელნი ვსხედით ოდესმე ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან ორბისათჳს.

ქვითა მოკლა დ ა ვ ი თ გ ო ლ ი ა დ ი; ორნი ქვანი შემწე-ეყვნეს მას, და ა ჰ რ ო ნ – მ ო ს ე ს ა, რაჟამს მოსრვიდა ა მ ა ლ ე კ ს ა.

ორბისა არცა სადგურ არნ, არცა ბუდე.

ეგრეცა ჩუენ, მრავალთა ღმერთთა მაშინ სადამე ვჰმონებდით და უცბებასა შინა ვიყვენით და მრავალსა ჭირსა კერპთმსახურებ[ის]ასა. ხოლო ვინაჲთგან მოვიდა და მოიწია ჩუენ ზედა მადლი იგი უფლისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ჱ ს ი შეწყნარებად მცნებაჲ მისი, რაჲთა ვცხოვნდეთ მის მიერ.

კგ. ე ლ ი ფ ა ს თ ე მ ა ნ ე ლ მ ა ნ თქუა: „ლ ო მ ჯ ი ნ ჭ ვ ე ლ ი მოისპო, რამეთუ არა იპოვა მისა საჭმელი“.

სახისმეტყუელმან თქუა ლომჯინჭველისაჲ, რამეთუ მამისაჲ მის პირი ლომისაჲ არს, და დედისაჲ – ჯინჭვლისაჲ. მამაჲ იგი მძორის მჭამელ არს, და დედაჲ – თივის მჭამელ.

რაჟამს ჯინჭველლომმან გამოჴდის, ორთაგანვე მკჳდრი: ზოგი ლომისაჲ არნ ხატი და ზოგი ჯინჭვლისაჲ. ვერ მძორი ჭამის მამისა მის მკჳდრობისათჳს, და ვერცა მარცუალი – დედისათჳს. და მოკუდის, რამეთუ საჭმელი არა არნ მისა.

ეგრეცა ყოველი „კაცი ორგული განლიგებულ არნ ყოველთა გზათა მისთა“.

არა ჯერ-არს სლვად ორთა გზათა და არცა ორგულ-ყოფად და არცაღა ორ-გონება, არა კეთილ არს, თუ არცა ესრე იყოს, არცა ეგრე.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან ლომჯინჭველისათჳს.

კდ. შჯულსა წერილ არს: „ნუ შჭამთ ვრცინსა, ნუცა რაჲ-იგი მსგავსი მისი არს“.

სახისმეტყუელმან თქუა ვ რ ც ი ნ ი ს ა თ ჳ ს , ვითარმედ ეგევითარი სახჱ და წესი არნ მისი: თესლი მამლისაჲ პირით მიიღის დედალმან მან, მიუდგის და ყურით შვის. თუ ეგრე არს, უკუე ბოროტად შვის.

აწცა არიან, რომელნი ყურითა ეკლესიასა შინა სიტყუასა მას ცხორებისასა ისმენენ და პურსა მას ზესკნელსა ჭამენ და სასუმელსა მას სულიერსა სუმენ. და რაჟამს გარე გამოვიდიან, განაგდიან სიტყუაჲ იგი ყურით, ვითარცა დავითმან თქუა: არა ესმინ ჴმაჲ მსახრვალისა ჴელოვნისაჲ.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან ვრცინისათჳს და რომელნი მსგავსნი არიან ვრცინისანი.

კე. სახისმეტყუელმან თქუა მ ა რ ტ ო რ ქ ი ს ა ჲ: ეგევითარი მკჳდრობაჲ და სახჱ აქუს: მცირჱ არს და მსგავს არს თიკნისა. და დიდად სასტიკ არს მჴეცი იგი. და რქაჲ ერთი ადგს თავსა მისსა ზედა. მონადირეთა ვერ შეიპყრიან იგი. ქალწული წმიდაჲ მიიყვანიან და დაუსვან მას და იგი მივიდის და შთაუჴდის უბეთა მის ქალწულისათა. ქალწულმან მან განატფის მჴეცი იგი და განმზადებულად მოიყვანის შესაკრებელსა შარავანდედისასა.

ერთ ხოლო თქუას მის მარტორქისაჲ, ისმინეთ, რომელ-იგი თქუა სახარებასა, „რამეთუ აღგჳდგინა რქაჲ ცხორებისაჲ შორის დ ა ვ ი თ ი ს, მონისა თჳსისასა“. ვითარცა ანგელოზთა – ძალთა ცისათა ვერ შეუძლეს შეპყრობად იგი, „ყოველთა ყოვლითა იყო“, ვიდრემდე მოვიდა საშოდ მ ა რ ი ა მ ი ს ქალწულისა, ღმრთისმშობელისა „და სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ თანა“.

კვ. არს ნადირი კ ა ს პ ო რ ი ო ს, თ ა ჴ ვ ჴ მ ე ლ ი ს ა ჲ; მდაბალ, ფრიად ყუდრო არს ნადირი იგი. და საურველნი მისნი საკურნებელად წამლად არნ. და იპოვის სახლსა შარავანდედთასა. მონადირჱ რაჟამს სდევნ ჭალაკთა, თაჴუმან მან მოიკუეთნის საურველნი იგი და მიუთხინის მონადირესა მას. და სხუაჲ თუ მონადირჱ სდევნ, უჩუენის ადგილი იგი. და მონადირემან მან, ოდეს იხილის, თუ არა ჰქონედ საურველნი იგი, დაუტევის და წარვიდის მისგან.

ეგრეცა შენ, მჴნეო და ახოვანო, მოიკუეთე და განაგდე შენგან ყოველივე ცოდვაჲ და გულის-თქუმაჲ ამის სოფლისაჲ და არა შეგეხოს შენ მონადირჱ ბოროტი ეშმაკი, რამეთუ შენ თანა არს ვერცხლისმოყუარებაჲ, მრუშებაჲ, სიძვაჲ. მოიკუეთე იგი და მიუგდე ეშმაკსა, ვითარცა წერილ არს პ ა ვ ლ ე ს ა: „მიაგებდით ურთიერთას თანა-ნადებსა: საშინელსა – შიში, მოხარკესა – ხარკი, პატიოსანსა – პატივი“. პირველ სასოვებაჲ მოიკუეთოთ და მიუგდოთ ეშმაკსა და მაშინღა შეუდგეთ ღმერთსა ცხოველსა.

ვერცხლი და ოქროჲ არა აქუნდა პ ე ტ რ ე ს და იოვანეს, რომელთა მკელობელი იგი აღადგინეს შუენიერსა მას ბჭესა ტაძრისასა ქ რ ი ს ტ ჱ ს თ ჳ ს, რომელმან ჰრქუა მათ: „ნუ მიიღებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან თაჴვსათჳს.

კზ. შჯულსა წერილ არს: „ნუ შჭამთ ა ფ თ რ ი ს ა ს ა და რომელი მსგავს მისა არს“.

სახისმეტყუელმან თქუა აფთრისაჲ, ვითარმედ: „მამალ და დედალ არს; სადამე მამალ იქმნის, სადამე – დედალ, ბილწ მჴეცი არს, რამეთუ იცვალების”.

რამეთუ ი ე რ ე მ ი ა წ ი ნ ა ჲ ს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ მ ა ნ თქუა: „ნუუკუე ქუაბნი აფთართანი

ჰყვნე სამკვდრებელად ჩემდა?“ ეგრეცა ყოველი „კაცი ორგული განლიგებული ყოველთა გზათა მისთა“ აფთრის მსგავს არს, და აწცა მრავალნი არიან ხატად მათა: ჟამ ერთ შეჴდიან ეკლესიად და ვითარცა გამოვიდიან ეკლესიით გარე ერისაგან, დედათა სახჱ აქუნ.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან აფთრისათჳს.

კჱ. არს სხუაჲ მჴეცი ნილოს მდინარესა, მ წ ა ვ ი ს მსგავს არს და მტერ არს კ ო რ კ ო დ ი ნ ო ს მძჳნვარისა, რომელი-იგი ხატად მსუენის მსგავს არს, რომელთამე თქჳან ხჳთქი ზღჳსაჲ.

და რაჟამს დაიძინის კორკოდინოს ხჳთქმან, პირი ზე უმტკმიედ. და ვითარცა პოვის იგი მძინარჱ, წარვიდის იგი, მოვიდის და შეისუარნის ჴორცნი მისნი მწჳრითა. და ვითარცა შეიშრვის მწჳრჱ იგი, შეუჴდის პირსა მის კორკოდინოს მჴეცისასა და ყოველი ნაწლევი შეუჭამის.

ეგრეცა უჩინომან ეშმაკმან, რომელმან ვითარცა ჯოჯოხეთმან მიიტაცა ა დ ა მ ი და მოკლა, ეგრეცა მაცხოვარმან ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ მიწისა ჴორცნი შეისხნა და შთაჴდა ჯოჯოხეთა, და მოუხ[უ]ნა, გამოიყვან[ნ]ა პირველნი იგი აღსრულებულნი. ხარებამან აღდგომისამან განამართლნეს და განჰჴსნეს ფლობილებაჲ სიკუდილისაჲ, შემუსრნეს საბრძოლნი ეშმაკისანი.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან: მწავ[ი] ძამლი მდინარისაჲ არს.

კთ. არს მჴეცი, რომელსა სახელი ჰრქჳან ი ქ ნ ა მ ო ნ, რომელი ითარგმნების ვ ი კ ტ ო ლ . და დიდად მტერ არს იგი და თუ ჯეკმა სასტიკ ვეშაპი პოვის, ვითარცა სახისმეტყუელმან თქუა, მივიდის, შეიგოზის თავი თჳსი თიჴითა და მიუჴდის მარტოდ და ჰბრძავნ ვეშაპსა მას და კუდითა ნიჩურთა იფარავნ.

ეგრეცა მჴსმელმან ჩუენმან ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ აღიღო მიწაჲ ქუეყანით შობილ მკვდრი. ესე თჳთ ჩას (?) ჴორცნი, რომელ შეიმოსნა მ ა რ ი ა მ ი ს გ ა ნ ქალწულისა, რაჲთა მოკლას ვეშაპი იგი უჩინოჲ ფარაო, რომელი ზის მდინარესა ზედა ეგჳპტისასა, რომელ არს ეშმაკი.

მიექცა წყობად ღმერთსა და ჰრქუა მაცხოვარსა: „ღმერთი სამე ხარი შენ და ვერ დაგითმო შენ“. ამისთჳს „დიდი იგი უფროჲს ყოვლისა“ და მცირედ ყოველთა ეყო, რაჲთა ყოველნი აცხოვნნეს.

ლ. არს რაჲმე ნერგი, რომელსა სახელი ჰრქჳან პ ი რ ი დ ე ქ ს ი ო ნ, რომელი გამოითარგმანების კ ჳშ ტ ო ბ ი ნ ი ხ ჱ და იპოვების იგი სოფელსა ჰ ი ნ დ ო ე თ ი ს ა ს ა. და ხილი მისი ტკბილ არს უფროჲს ყოველთა სიტკბოვებათა. და ტრედნი მივიდიან და დასხდიან ხესა მას ზედა ჭამად ხილისა მის. და ჰმტერავს ხესა მას ზედა გუელი დიდი, რამეთუ აჩრდილსაცა მის ხისასა ივლტინ გუელი იგი. ვიდრე მას ხესა ზედა დამკვდრებულ არიედ ტრედნი იგი, ვერ შეეხის გუელი იგი ტრედთა მათ და ვერცაღა აჩრდილსა მისსა მიეახლის. და თუ მზის დასავალით კერძო არნ აჩრდილი იგი, გუელი იგი მზის აღმოსავალად მიივლტინ, და თუ განეყენნიან ტრედნი იგი ხესა მას, ანუ თუ აჩრდილსა მის ხისასა, მიემთხჳის გუელი იგი, მოკლნის და შეჭამნის იგინი.

ხოლო ხჱ იგი ყოვლად ბუნებასა ღმრთისა მამისასა და შემოქმედსა ყოვლისასა ემსაგსების, და ხილი იგი – ძესა მისსა, უფალსა ჩუენსა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე ს ა, და აჩრდილი იგი მის ხისაჲ – სულსა წმიდასა. ვითარცა გ ა ბ რ ი ე ლ ჰრქუა მ ა რ ი ა მ ს: „სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ“. ტრედნი იგი არიან, რომელთა შეიწყნარიან სიბრძნჱ და სწავლაჲ სულისა წმიდისაჲ, ვითარცა თქუა ევანგელემან: „მსგავსად ჴორცთა ტრედისათა გარდამოვიდოდა მის ზედა სული წმიდაჲ“.

ეკრძალე, ჰოჲ კაცო, შემდგომად და აღებად სული წმიდაჲ საგონებელი, გინა ცისა გამოუჩინებელი ტრედი, რომელი ცით გარდამოჴდა მსგავსად ტრედისა და განისუენა მის ზედა, მისავე სახედ შენ ზედა განისუენოს. და თუ არა ვინმე ემსგავსოს ტრედსა ყოვლითა უმანკოვებითა, უცხო-იქმნეს ღმრთეებისაგან მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. და თუ გპოვოს შენ ცალიერად ვეშაპმან მან ეშმაკმან, მოგკლას შენ.

ვითარცა მუნ ვერ შეეხის ვეშაპი იგი ხესა მას და ვერცაღა ნაყოფსა მის ხისასა, ეგრეცა შენ, ჰოჲ კაცო, თუ გაქუნდეს ზეცათაჲ სული წმიდაჲ, ეშმაკი ვერ შეგეხოს შენ.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან კჳშტობნისა მისთჳს.

ლა. კეთილად თქუა ი ე რ ე მ ი ა წ ი ნ ა ჲს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ მ ა ნ: „დავჴედი მე, ვითარცა ყ ო რ ა ნ ი მარტოჲ უდაბნოსა“.

სახისმეტყუელმან თქუა ყ ო რ ნ ი ს ა ჲ, ვითარმედ [მისა] ერთ ხოლო მამალი არნ. და თუ მოკუდის მამალი იგი, დედალი იგი სხუასა მამალსა არა შეეხის.

ერმან ჰ უ რ ი ა თ ა მ ა ნ, რომელი-იგი ქუეყანასა მას ჰ უ რ ი ა თ ა ს ა იყო, მოკლეს სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ, ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე, მაცხოვარი მამაჲ თჳსი.

არა იყო ამიერითგან ქ რ ი ს ტ ე მამა, ვითარცა თქუა პ ა ვ ლ ე: „განგათხოვენ თქუენ, ვითარცა ქალწული წმიდაჲ წარდგინებად ქ რ ი ს ტ ე ს ა“. და მათ დაუტევეს მამაჲ იგი მათი ქ რ ი ს ტ ე და „ისიძვეს შეშითა და ქვითა“.

და თუ გაქუნდეს მარადის გონებაჲ და სიბრძნისა სიტყუაჲ და სულისა წმიდისაჲ, არა შემავალ არს შენდა მეძავი ეშმაკი.

და თუ აღმოჴდეს სიტყუაჲ უშუერი და სიკიცხევაჲ ამავოჲ პირისაგან და გონებათა ჩუენთაგან, შევიდეს მკჳდრად მჴდომი.

და აწ წრაფაჲ სულისა მიმართ წმიდისა გუაქუნდინ და ლოცვისა შეწირვაჲ, ვითარ „არა ჰრულინ, არცა დაიძინის მცველმან ისრაჱლისამან“ და არა შევიდენ მპარავნი საგონებელსა და გამოუჩინებელსა სახლსა შენსა.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან ყორნისაჲ.

ლბ. „კურთხევასა კურთხევათასა“ თქუა: „ჴმაჲ გ უ რ ი ტ ი ს ა ჲ სასმენელ იყო“.

სახისმეტყუელმან თქუა გ უ რ ი ტ ი ს ა ჲ, ვითარმედ: განემარტის და წარვიდის მარტოჲ უდაბნოდ და დაემკჳდრის. მარტოჲ ცხორებასა ჩუეულ არს და შორის მრავალთა მამალთა არა ჰნებავნ ყოფაჲ.

ეგრეცა მაცხოვარი ჩუენი ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე მარტოჲ თავით თჳსით აღვიდა მთასა

თ ა ბ ო რ ს ა, „და ეჩუენნეს მას მ ო ს ე და ე ლ ი ა“, და ქადაგებაჲ ზესკნელ იყო ღრუბლით: „ეგე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მთნდა, მაგისი ისმინეთ“.

გურიტსა მარტოდ სლვაჲ უყუარს. და თქუენ, შუენიერნო ჭაპუკნო, რომელთა ქ რ ი ს ტ ე შეგიმოსიეს, შეიყუარეთ შორიელად და მახლობელად მარტოდ მკვდრ-ყოფაჲ.

ლგ. ე ს ა ი ა ს ა წერილ არს ე ზ ე კ ი ა ჲ ს თ ვ ს, რამეთუ თქუა: „ვითარცა მერცხალი, ეგრე ვჭრჭინევდ, და ვითარცა ტრედი, ეგრე ვღუმინევდ“. მერმე თქუა: „გურიტმან და მერცხალმან და მართუეთა ველურთა იცნეს ჟამი თჳსი“.

მერცხლისათვის თქუა სახისმეტყუელმან: პირველ ერთ შჳს და სხუაჲ არღარა შჳს.

ეგრეცა მაცხოვარი ჩუენი, ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე – ერთჯერ მიუდგა და შვა, ერთჯერ ჯუარს ეცუა და ერთ აღდგა მკუდრეთით.

„ერთ არს ღმერთ, ერთ – სარწმუნოვება, ერთ – ნათლისღება, ერთ – მამაჲ ყოველთაჲ ღმერთი“.

უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან მერცხლისაჲ.

ლდ. დ ა ვ ი თ მ ა ნ ღაღადებით თქუა: „ვითაცა სურინ ი რ ე მ ს ა წყაროთა მიმართ წყალთაჲსა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“.

სახისმეტყუელმან თქუა ი რ ე მ ი ს ა ჲ, ვითარმედ: ჯეკმა მტერ არს გუელისა. და რაჟამს იხილის, და ივლტინ გუელი და შთაჴდის ჴურელად, მივიდის ირემი იგი და აღივსნის ფერდნი თჳსნი წყლითა წყაროჲსაჲთა და მივიდის ჴურელად, სადა-იგი გუელი დამალულ არნ და დაასხის წყალი იგი და აღავსის ჴურელი იგი, ვიდრემდე გამოჴდის გუელი იგი და დათრგუენის ფერჴითა და მოკლის.

ეგრეცა მაცხოვარმან ჩუენმან ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ მოკლა დიდი და ვეშაპი ეშმაკი წყლითა ცისაჲთა, რომელი აქუნდა ღმრთეებისა სიბრძნისაგან, რომელსა წყალსა ვერ დაუდგნეს ვეშაპთა ეშმაკთა.

ღმერთმან მომეცინ მე სიბრძნჱ, რაჲთა აღვაღო პირი ჩემი და აღმოვთქუა ქებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

გამოცემა: შატბერდის კრებული, გვ. 175-190.

ტაოკლარჯულ ხელნაწერთა ანდერძები

ადიშის ოთხთავი, 897 წ. M- 478 (ძვ.M- 22)

388 ფრ. ეტრატი, ტყავგადაკრული ხის ძველი ყდა, რომლის წინა ფრთაზე შერჩენილია ხელნაწერის თანადროული ყდის ფრაგმენტი – ტოლმკლავიანი და კიდეებწაწვეტებული ვერცხლის ჯვრით; ხელი ასომთვრული; ყავისფერი მელანი, ხელნაწერის მომგებელია სოფრონი, გადამწერი – მიქაელ დიაკონი; გადაწერის ადგილი – შატბერდი. ხელნაწერი დათრიღებულია სამი სათვალავით, სამივე იძლევა 897 წელს (კ. კეკელიძე).

გადამწერისა და შემმოსველის ანდერძი, წვრილი ასომთავრული (387 v):

„დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა ხფ˜[ა] (897), ქორონიკონსა რი˜ზ (897), შობითგან უფლისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე ს ი თ ა წელთა ჩ˜ა (1001-104=897). ქრისტე მეუფეო, შეგვწყალენ ყოველნი ერთობით, ამენ“.

მწერალი ამისი მ ი ქ ა ე ლ ლოცვასა მომიჴსენეთ და შემინდვეთ სიუცბე ჩემი. და მმოსელიცა მ ი ქ ა ე ლ დ ი ა კ ო ნ ი მომიჴსენეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა. უფალო, მფარველ გუექმენ ყოველთა ერთობით, ამენ“.

მომგებლის ანდერძი, წვრილი ასომთავრული, 387 v:

„სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა ი ო ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ცე მ ე ლ ი ს ა ჲ, ღირს ვიქმენ მე, გლახაკი ს ო ფ რ ო ნ, აღსრულებად წმიდასა ამას წიგნსა სახარებასა ოთხთავსა ფრიადითა მოღუაწებითა სულიერად ძმათა ჩემთაჲთა; სალოცველად ყოვლისა ამის კრებულისათჳს და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ჴორციელად, და სალოცველად მეფეთა ჩუენთა: ღმრთივ დიდებულისა ა დ ა რ ნ ე ს ე კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა და ღმრთივბოძთა ნაშობთა მათთა: დ ა ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა და მეუღლეთა და ნაშობთა მათთათჳს. და სალოცველად სულთა გარდაცვალებულთათჳს: სულისა მ ა მ ი ს ა გ რ ი გ ო ლ ი ს ა, სულისა მ ა მ ი ს ა გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა და ყოველთა ძმათა ჩუენთა გარდაცვალებულთათჳს და სულთა მეფეთა ჩუენთათჳს: ა რ ს ე ნ ი ს ა, დ ა ვ ი თ ი ს ა, ა შ ო ტ ი ს ა და ყოველთა თჳსთა გარდაცვალებულთათჳს. ვინცა ღირს იქმნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა, მოგჳჴსენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ჩუენცა ყოველნი, რომელნი წერილ არიან, რაჲთა თქუენცა მოგანიჭოს ღმერთმან კეთილი საუკუნეთაჲ, ყოველნი ერთობით ღირს-მცა ვართ სასუფეველსა ცათასა ქრისტეს ღმრთისა უფლისა ჩუენისა მიერ, ამენ“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 70

გამოცემები: Адишское евангелие, გვ. 13-16;198,199; ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 014-015; სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ.47-48.

ადიშის ოთხთავი 897 წლისა, გვ. 7.

ჯრუჭის (I) ოთხთავი, 936 წ. H-1660

297 ფრ. ეტრატი, ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; ხელი ასომთავრული, ყავისფერი მელანი, სათაურები და ინიციალები – წითელი მელნით; მომგებელი გრიგოლ მირდატის ძე, გადამწერი: გაბრიელ მღვდელი, გადაწერის ადგილი: შატბერდი. ხელნაწერი დათარიღებულია ორი სათვალავით – დასაბამითგანით (ხფმ=6540) და ქორონიკონით (რნვ=156). ორივე სათვალავი გვაძლევს 936 წელს.

მომგებლის ანდერძი, მთავრული (291r):

„სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ი ო ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ცე მ ე ლ ი ს ა ჲ თ ა და წმიდათა მახარებელთაჲთა და მოციქულთაჲთა და წმიდათა წინაწარმეტყუელთაჲთა, წმიდათა მღდელთმოძღუართაჲთა და ყოველთა მამათაჲთა და ყოველთა წმიდათა ნებისმყოფელთა მისთაჲთა, ღირს ვიქმენ მე, გ რ ი გ ო ლ , დაწერად წმიდაჲ სახარებაჲ ჴელითა გ ა ბ რ ი ე ლ , მღდელთა ნარჩევისაჲთა, თავად მეფისა ჩემ[ი]სა ს უ მ ბ ა ტ [ი] ს სალოცველად, და შემდგომად მშობელთა ჩემთა: მ ი რ დ ა ტ ი ს თ ვ ს , თ ა გ უ ნ ა ჲ ს თ ვ ს და ძმათა და დათა ჩემთათვს, და ჩემთა ცოდვათა და თანაცხორებულისა ჩემისათა, საჴსრად და მკუდართა საჴსენებლად, ჲ ლ ა რ ი ო ნ ი ს თ ვ ს და დ ა შ ე ლ ი ს თ ვ ს .

აწ, ვინცა იკითხვიდეთ წმიდასა ამას სახარებასა, ნუმცა დავიწყებულ ვართ ლოცვასა წმიდასა თქუენსა ცოცხალნი და მკუდარნი, რაჲთა თქუენცა უფალმან მადლი მოგანიჭოს. ამენ“.

გადამწერის ანდერძი, მთავრული (291r):

„დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შ ა ტ ბ ე რ დ ს ჴელითა უცბად მჩრეკალისა გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ი თ ა , თანა-შეწევნითა და მოღუაწებითა გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ი თ ა და გ ე ო რ გ ი ს ი თ ა , რამეთუ დიდი გულსმოდგინებაჲ მაჩუენეს ამის წმიდისა სახარებისა დაწერასა, ჴსენებულმცა არიან კეთილსა შინა, ამენ. დასაბამითგან წელნი იყვნეს ხფმ, ქორონიკონი იყო რნვ“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 71

გამოცემები: ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 021.

ხელნაწერთა აღწერილობა H-IV, გვ.81-82.

პარხლის ოთხთავი, 973 წ. A-1453

259 ფრ. ეტრატი, ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ხელი მრგვლოვანი ასომთვრული, საკითხავთა საძიებელი – ნუსხური; ყავისფერი მელანი; გადამწერი იოვანე ბერა, საძიებლის შემდგენი – ნიკოლოზ მთვარდიაკონი, გადაწერის ადგილი – შატბერდი. ხელნაწერი დათარიღებულია დასაბამითგანით (ხფოზ=6577) და ქრონიკონით (რჟგ=193). ორივე დათარიღება გვაძლებს 973 წელს.

გადამწერის ანდერძი, ნუსხური (237 r-v):

„სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა

ცხოველმყოფელისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა წინაწარმეტყუელისა ი ო ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ს ა ჲ თ ა, მეოხებითა და შეწევნითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთაჲთა და წმიდათა წინასწარმეტყუჱლთაჲთა, მეოხებითა წმიდათა მახარებელთაჲთა: მ ა თ ჱ, მ ა რ კ ო ზ, ლ უ კ ა დ ა ი ო ვ ა ნ ე ს ი თ ა; მეოხებითა წმიდათა მოწამეთაჲთა და ღირსთა მღდელთმოძღუართაჲთა და ნეტართა მამათაჲთა, ღირს ვიქმენ მე, გლახაკი ი ო ვ ა ნ ე, ნართაულად ბ ე რ ა ი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა, მოღუაწებითა სულისა წმიდისაჲთა და შეწევნითა ღმერთშემოსილთა კაცთაჲთა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოძღურებელად თავისა ჩემისა, და სალოცველად სულისა მშობელთა ჩემთასა და ყოველთა თჳსთა ჩუჱნთათჳს, სულიერთა და ჴორციელთა; და სალოცველად მეფეთა ჩუჱნთათჳს, ღმრთივ დიდებულისა ბ ა გ რ ა ტ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს ა, დ ა ვ ი თ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი ს ა, ს უ მ ბ ა ტ ე რ ი ს თ ა ვ თ ა ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა და ღმრთივ მონიჭებულთა ძეთა მათთათჳს, ქრისტემან ყოველნი ადიდენინ მოწყალებითა მისითა ჟამთა, უკუნისამდე.

აწ, ვინცა ღირს იქმნნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა, მოიჴსენეთ სული ცოდვილი წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა. და ყოველთა ერთობით მოგუანიჭენინ ღმერთმან კეთილნი საუკუნენი, და ყოველნი ღირსმცა ვართ სასუფეველსა ცათა და სანატრელისა მის ჴმისა სმენად ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა. მისა დიდებაჲ ეკლესიასა შინა, მამისა თანა სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა, ამენ.

დაიწერა დასაბამითგანთა წელთა ხფოზ, ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული რჟგ“.

გადამწერის ანდერძი ოდნავ განსხვავებული ნუსხურით (238r):

„წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებლად ღმრთივ გჳრგჳნოსნისა მეფეთა მეფისა, ადიდენინ ღმერთმან, ღმრთივ დამყარებულისა დ ა ვ ი თ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი ს ა, მამობასა სარწმუნოჲსა მწყემსისა და კეთილად მო[ღ]უაწისა წმიდისა მ ა მ ი ს ა ე ფ თ ი მ ე ს ა. ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ შეაწიენ ესე წმიდანი მახარებელნი მათ და ყოველსა კრებულსა პარხლისასა, ჟამთა უკუნისამდე, ცოცხალთა და მიცვალებულთა, ცხორებასა მას საუკუნესა ამენ.

აწ, ვინცა-ვინ რაჲთაცა მიზეზითა გამოაჴუას წმიდასა ნათლისმცემელსა ანუ გაძღუანოს, გინა გაყიდოს და ჩუენი სასყიდელი და გულსმოდგინებაჲ დაამჴუას, გა-მცა-ურისხდების თავადი ღმერთი და ნაწილიმცა მისი ი უ დ ა ს თანა არს ი ს კ ა რ ი ო ტ ე ლ ს ა, და წმიდისა ი ო ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ს ა მკლველთამცა თანა დაიშჯების. და ესე წმიდანი მახარებელნი არიან მოსაჯულნი მისნი დღესა მას აღდგომისასა საშინელსა, ოდეს ყოველი დაბადებული წარმოდგეს განკითხვად წინაშე საყდართა დაუსაბამოჲსა ძისა ღმრთისათა, თუალუხუავად მსაჯულისათა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისადმდე, ამენ.

და ამავე პირსა ზედა მეფეთა სიმტკიცე დაწერონ, ადიდენინ ღმერთმან.

მე, ი ვ ა ნ ე - ბ ე რ ა მ ა ნ, მწერალმან შატბერდელმან, შ ა ტ ბ ე რ დ ს დაწერე და პ ა რ ხ ა ლ ს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა. ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 103-104

გამოცემა: ხელნაწერთა აღწერილობა A- V, გვ. 1-3.

შატბერდის კრებული, 973-976 წწ. S -1141

287 ფრ. ეტრატი, ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა. ასომთვრული (1v-126r); ნუსხური (126v-286v). შავი მელანი, სათაურები სინგურით, გადამწერი: იოვანე ბარა, ადგილი: შატბერდი.

კრებულის შემდგენელის და გადამწერის იოვანე ბერას ანდერძი, ნუსხური (285v):

„ქ. სახელისა წმიდისა სამებისაჲსა მქადაგებელნო, ზეგარდამო ქებულნო და დიდებულნო წმიდანო მოძღუარნო, ნეტარნო გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ე ბ ი ს კ ო პ ო ს ო და ღირსო ე პ ი ფ ა ნ ე კ ვ პ რ ე ლ - მ ა მ ა დ მ თ ა ვ ა რ ო და განთქუმულო წმიდაო ბ ა ს ი ლ ი, წყემსო ყოველთა მორწმუნეთაო და დიდებულო ი პ ო ლ ი ტ ჱ, წინაწარმეტყუელნო, გამოუთქუმელითა მადლითა მეცნიერად მეტყუელნო, დიდად განსაკვრვებელნო კაცნო, პოვნილნო გულითა უფლისად, წოდებულნო მონად ქ რ ი ს ტ ე ს ა, სამკვდრებელნო სულისა წმიდისანო, რომელმანცა გამოუჩინებელნი და დაფარულნი სიბრძნისანი გამომიცხადნა და სული წრფელი განახლდა გუამთა თქუენთა.

და დაუწერენით ეკლესიასა ქ რ ი ს ტ ე ს ს ა პირად-პირადთა წიგნთა თარგმანებანი და შესხმანი წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღმრთისმშობლისანი, და ჩუენ გუაუწყეთ წესი აწინდელისა ქცევისაჲ ღმრთისმსახურებით და მოსაგებელი ნეტარისა მის საუკუნოჲსა სასოვებით ცხორებისაჲ.

ვითარცა ხილული, დაუმტკიცეთ გულისხმის-მყოფელთა, ვითარცა თქუა დ ა ნ ი ე ლ საკვრველმან წინაჲწარმეტყუელმან. მაშინ გამობრწყინდენ გულისხმის-მყოფელნი იგი, ვათარცა მბრწყინვალებაჲ სამყაროჲსაჲ და რომელთა კეთილად ჴელ-ყვეს დაუნჯებაჲ ზეცისა სიმდიდრეთაჲ წარგებითა ქუეყანისა მონაგებთაჲთა და ქველის საქმისა მათისა ახოვანებაჲ, ვითარცა ნესტჳ ოხრის წინაშე ღმრთისა, და კაცთა ყოველთა აიძულებს მიბაძვებად მათა, დაღაცათუ გლახაკ ვინმე იყოს, ვითარცა წერილ არს: „მედგარო, ემსგავსე ჯინჭველსა და შებმა-უყავ უფროჲს ძალისა შენისა“, რამეთუ ღმერთი არს მომცემელი ძალისაჲ.

ამისთჳს მეცა არა დავფარჱ სწრაფაჲ სულისა ჩემისაჲ მიზეზითა ნაკლულევანებისაჲთა და შეუდეგ კეთილსა გულსმოდგინებასა მე, ცოდვილი და უნარჩევესი ყოველთა მოწესეთაჲ, ი ო ვ ა ნ ე ბ ე რ ა ჲ და გავასრულე წმიდაჲ ესე წიგნი კაცისა შესაქმჱ და მეორედ – წიგნი თ უ ა ლ თ ა ჲ და ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ი და ი პ ო ლ ი ტ ე და ქ ა რ თ ლ ი ს ა მ ო ქ ც ე ვ ა ჲ და ცხორებაჲ ნეტარისა მის და დიდებულისა მღდელთმოძღურისაჲ ი ა კ ო ბ ნ ი ს ი ბ ი ნ ე ლ ი ს ა ჲ და თარგმანებაჲ ზოგთარე ფსალმუნთა დავითისთაჲ.

მოღუაწებითა და თანადგომითა დედის ძმისა ჩემისა მ ი ქ ა ე ლ ი ს ა და ძმისა ჩემისა დ ა ვ ი თ ი ს ა თ ა და სხუაჲ არაჲ არავის ჰრთავს თჳნიერ სიგლახაკისა ჩემისა. და შევსწირე შ ა ტ ბ ე რ დ ს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, რომელსაცა შინა აღვიზარდე ... სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და მშობე[ლთა ჩემთა] და სალოცველად მეფეთა: [...] ბ ა გ რ ა ტ მ ე ფ ი ს ა და ყოველთა შვილთა მათთათჳს. და გევედრები ყოველთა, ვინცა იმსახურებდეთ წმიდასა ამას...“

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 73-74

გამოცემები: ხელნაწერთა აღწერილობა S-II, გვ. 38; შატბერდის კრებული, გვ. 20-21.

ოშკის ბიბლია 978 წ. Ath.1

954 ფრ. ნუსხური, ყავისფერი მელანი; სათაურები მრგვლოვანითა და სინგურით; დამკვეთი და მომგებელი: იოვანე თორნიკ-ყოფილი სვინგელოზი; გადამწერები: მიქაელი, სტეფანე და გიორგი გელასის ძე; გადაწერის ადგილი: ოშკის ლავრა; დაცულობის ადგილი – ათონის იბერთა მონასტერი.

გადამწერის და შემმოსველის ანდერძი, სტეფანეს ხელით, ნუსხური, 422v-423r:

„დაიწერა წმიდაჲ ეს წიგნი ჴელითა სამთა მწერალთაჲ: მ ი ქ ა ე ლ ი ს ი თ ა , გ ე ო რ გ ი - ს ი თ ა დ ა ს ტ ე ფ ა ნ ე ს ი თ ა . ჩუენთჳსცა ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმთისანო, ამენ! ოდეს ესე წიგნი დაიწერა, ქორონიკონი იყო რჟსჿ. შეიმოსა ჴელითა გლახაკისა ს ტ ე ფ ა ნ ე ს ი თ ა . ლოცვასა მომიჴსენეთ, წმიდანო ღმრთისანო, მთაწმიდელნო. გულსმოდგინებაჲ ფრიად მაქუ-ნდა, გინა წერაჲ და მოსაჲ ესთენ ვიცოდე.“

2. მომგებლის ანდერძი, სტეფანეს ხელით, ნუსხურით, 421v-422r:

„ქ. რომლისა თანაშემწენი ვართ და ღმრთისა თანამსახურნი და ღმრთისა აღშჿნებულნი საფუძველსა ზედა მოციქულთა და წინაწარმეტყუელთა, ვითარცა თქუა მოციქულმან: აღსაარებად გჳპყრიეს ღმრთისმსახურებისა იგი საიდუმლოჲ, რომელი მოგუეთხრა სამთა მათგან გუნდთა სამების მქადაგებელთა, რომელთა მიერ შეუძრველად დამტკიებულ არს ეკლესიაჲ მოციქულთა მიერ და წინაწარმეტყუელთა და მოძღუართა. და ესრჿთ აღივსო ესე. სულითა ძლიერითა მიდგომილი მოუკლებელად შობს ზეგარდამო მეორედ წყლისა მიერ და სულისა სიმრავლჿსა მორწმუნეთასა, რომლისა მიერ ისწავების ზეცისა ალთა მრავალფერი იგი სიბრძნჿ ღმრთისაჲ, საიდუმლოჲ იგი გამოუთქუმელი, ცნობაჲ წმიდისა ერთარსებისაჲ, დასაბამი ყოვლისა მეცნიერებისაჲ.

რომლისთჳსათჳს ახლად შობილთა არ გჳღებიეს კერტი იგი გონიერებისაჲ და დღითი-დღედ ვწოვთ სიტკბოებისასა მას სძესა და ესრჿთ აღორძინებულნი არარას სამებასა წმიდასა დავაკლებთ, არცა უმრწემესობით ვიტყჳთ.

არამედ ერთი მამაჲ გურწამს, დაუსაბამოჲ ღმერთი სრული, მშობელი ერთისა მის ძისაჲ, და ერთი იგი ძჿ უძმოჲ და უმოყუსოჲ, არამედ იგი ხოლო, მხოლოჲ უბით მამისაჲთ სწორი მამისაჲ, ბუნებით, დაუსაბამოებით და შემოქმედებით, და ერთი სული, რომელი მამისაგან გამოვალს და შორის მამისა და ძისა იდიდების, სწორი ღმრთეებითა, დაუსაბამოვებითა და შემოქმედებითა. ამისთჳსცა ერთ ღმერთ წმიდაჲ სამებაჲ გარდაუქცეველ სამგუამოვნად ცნობილი ერთღმრთეებად გამოჩინებული. ესე მოგჳთხრა სჳნოდოსმან მან ნ ი კ ე ა ს , რომელნი თჳთ ჴელმწიფემან სულისა წმიდისამან შეკრიბნა მწიგნობარნი იგი დამოწაფებულნი სასუფეველსა, რომელთა გამოიღეს ძუელი და ახალი საუნჯჿ.

და ესრეთ სულითა ძლიერითა აღმახეს და საანმჯნო ყვეს მართალი სარწმუნოებაჲ, ვიდრემდის აღავსნეს მაღნარნი ჴმითა მათითა. და მიერ დადარანებულნი იგი სულნი მზირად სულსა უმანკოთასა რომელნიმე მოინადირნეს და რომელნიმე განდევნეს და ეკლესიაჲ აღავსეს სიმრავლითა მორწმუნეთაჲთა.

გურწამს და აღვიარებთ წმიდასა ქალწულსა ღმრთისმშობელსა, ვითარცა იტყჳს დ ი დ ი გ რ ი გ ო ლ ი : „ვინ არა აღიაროს მ ა რ ი ა მ ღმრთისმშობელად, განშორებულ არს იგი ღმრთისაგან“; და კუალად იტყჳს: „აჰა, ყრმაჲ ღმერთ არს და ვითარ არა ღმრთისმშობელ

არს მშობელი მისი“. ხოლო მისგან მიხუმულნი იგი საუფლონი ჴორცნი ძესა მას დაუსაბამოსა აქუნან სრულ ყოვლითა ბუნებითა კაცობრივითა, თჳნიერ ხოლო ცოდვისა პირველ ჯუარცუმამდე მძიმე და საჭირველ და მიმშუე ყოვლისა განხრწნადისა, ვითარცა ესე ჩუენ, თჳნიერ ხოლო ცოდვისა.

ხოლო შემდგომად აღდგომისა უხრწნელ და უკუდავ და ყოვლად უჴნებელ. ამისთჳსცა ერთი ქ რ ი ს ტ ე , ერთი ძჱ, ერთი უფალი ერთითა გუამითა და ორითა თჳსობითა აღუვარებიეს წმიდასა ეკლესიასა და ესრეთ ასწავებს ყოველთა ნაშობთა თჳსთა.

და ვითარცა ზღუაჲ შეიკრებს ძლიერებასა მდინარეთასა და არა გარდამოეცემის, ეგრეთვე ეკლესიაჲ დღითიდღე – სწავლასა წმიდათა მოძღუართასა და იგი აღსავსე წესსავე ზედა ჰგიეს და მარადის ქადაგებს და იტყჳს: იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ რომელი ეგოს ცხოვრებად საუკუნოდ, რომლისათჳსცა მე, ი ო ვ ა ნ ე თ ო რ ნ ი კ -ყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩ ო რ დ ვ ა ნ ე ლ ი ს ა მ ა ნ , მოვიგე წმიდაჲ ესე წ ი გ ნ ი მ ე ფ ე თ ა ჲ სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათჳს და მოსაჴსენებელად სულსა ყოველთა მიცვალებულთა ჩემთასა. აწ, წმიდანო ღმრთისანო, ვინცა იმსახურებდეთ წმიდასა ამას წიგნსა, ჴსენებულმცა ვარ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, რაჲთა უფალმან თქუენცა სასყიდელი ზეცისაჲ მოგანიჭოს. კურთხეულ არს მწერალი, ქებულ არს მკითხველი, მადლი მსმენელთა, ამენ“!

მთავრულით, სტეფანეს ხელით (213 v):

„დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლ ა ვ რ ა ს ა შინა დიდსა ო შ კ ს , საყოფელსა წმიდისა ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ა ს ა , სალოცველად სულკურთხეულისა თ ო რ ნ ი კ ს ვ ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა თ ვ ს და შვილთა მისთა. მოწყალეო ღმერთო, უხუად მოანიჭე წყალობაჲ შენი სულსა მათსა“.

4. ნუსხურით, 213v:

„ქ. საყუარელნო, გულსმოდგინებაჲ ფრიად მაქუნდა, გა[რ]ნა წერაჲცა ესთენ ვიცოდე, ღმრთისათჳს, შემინდეთ. ოდეს ამას წიგნსა ვწერდი, გონებითა ვერდაწყნარებით ვიყავ [შრომისათჳს, და ლოცვა ყავთ. დაკლებისათჳს შემინდვეთ. ქ რ ი ს ტ ე , მიწევნე ორთავე სუფევათა შინა მ ი ქ ე ლ ძ ე ვ ა რ ა ზ ვ ა ჩ ე ს ი . დიდი სიტკბოებაჲ მიჩუენეს ამის წიგნისა შრომასა. ბრძენისა კაცისა ყოველი სოფელი ყოვლისათჳს, ხოლო უგუნურისა – არცა ერთი დანგი.

წმიდანო მამანო მთაწმიდელნო, გლახაკი ამის მშრომელი ლოცვასა შინა მომიჴსენეთ“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 100

გამოცემები: ა. შანიძე, წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. 1 და 2; ბ. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის გამოც.; ბიბლია. ძველი აღთქმა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ბიბლიოგრაფია: R.P.Blake, Catalogue des manuscrits georgiens de la Laure d’Iviron au Mont Athos, №.3; Actes d’ Iviron, I. კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, გვ. 142-144; ე. მეტრეველი, ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის, გვ.5-57; 10; ც. ქურციკიძე,. ქართული ბიბლია; ნ. ჩხიკვაძე, ოშკი –X საუკუნის სკრიპტორიუმი ტაოში, გვ. 412-421; ტაო-კლარჯეთი. ხელნაწერი მემკვიდრეობა, გვ.9.

გიორგი ალექსანდრიელი, „ცხოვრება იოვანე ოქროპირისა“; კოზმან მეჭურჭლე, „აღმოყვანებისათვს ნაწილთა იოვანე ოქროპირისათა“, 979-980 წწ. Ath3

141ფრ. ეტრატი; ნუსხური, საზედაო ასოები და სათაურები მთავრულით; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; დამკვეთი და მომგებელი: იოვანე-თორნიკ სვინგელოზი; გადამწერი: იოვანე ჩირაჲ; გადაწერის ადგილი: ოშკის ლავრა, დაცულობის ადგილი: ათონის ივირონის მონასტერი.

გადამწერის ანდერძი, ნუსხური (141r-v):

„დიდებაჲ შენდა, სამებაო, რომელმან ღირს-მყავ გლახაკი ესე აღსრულებად საქმისა ამის კეთილისა, რომლისათვსცა წადიერ ვიყავი მსახურებისათვს ღმრთივდიდებულთა უფალთა და წმიდათა მამათასა: პირველად ი ო ვ ა ნ ე - თ ო რ ნ ი კ ს ი ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა თ ვ ს დ ა ვ ა რ ა ზ ვ ა ჩ ე ს - ი ო ვ ა ნ ე ს თ ვ ს და შვილთა მათთვს ერთობით, ადიდენინ ღმერთმან და შეიწყალენ წმიდა ო ქ რ ო პ ი რ ი , რომლისა მსგავნი არიან.

და აღვწერე წმიდაჲ ესე წიგნი-ცხორებაჲ წმიდისა ი ო ვ ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ჲ და ნაწილთა უკმოყვანებაჲ. რომელი კნინსა ბუნებასა ჩემსა შეეძლო, არა დამიკლია. და დავასრულე ნებითა ღმრთისაჲთა და მადლითა წ მ ი დ ა ჲ ს ა ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ჲ თ ა. ღმერთმან უბედნიერენ თ ო რ ნ ი კ ს ი ნ გ ე ლ ო ს ს ა დ ა წ მ ი დ ა ს ა ო ქ რ ო პ ი რ ს ა თანადაუსაყდრენ, ი ო ვ ა ნ ე - თ ო რ ნ ი კ ს დ ა ი ო ვ ა ნ ე - ვ ა რ ა ზ ვ ა ჩ ე ს და შვილთა მათთა ორთავე ცხორებათა მეოს ეყავ, წ მ ი დ ა ო ო ქ რ ო პ ი რ ო!

დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლ ა ვ რ ა ს ა შინა ო შ კ ს , საყოფელსა წ(მიდა)ჲსა და დიდებულისა ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ს ა ს ა , წინამძღურობასა წმიდისა მ ა მ ი ს ა ს ა ბ ა ჲ ს ს ა, ღმერთმან ადიდენ და ცოდვანი შეუნდვენ, ჴელითა ჩემ გლახაკისა, საწყალობელისა ი ო ვ ა ნ ე ჩ ი რ ა ჲ ს ი თ ა. ღმერთმან დაგაჯეროს, ვინ იკითხვიდეთ. ჴსენებულმცა ვარ წმიდათა ლოცვათა თქუენთა, რაჲთა თქუენცა უფალმან მადლი მოგანიჭოს, ამენ. ხოლო რომელი სიუცბით დამეკლოს, ღმერთმან დაგაჯეროს, შენდობა ყავთ, რაჲთა ღმერთმან თქუენცა შეგინდოს. კურთხევაჲ მამისაჲ მწერალსა ზედა, წყალობაჲ ძისაჲ მკითხველსა ზედა, მადლი სულისა წმიდისაჲ მსმენელსა ზედა, ამენ“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 101

გამოცემები: ივირონის აქტები, 1985: 5,8,№1,23,№5; ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, გვ. 29; რ. გვარამია, „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანები, გვ.025.

ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული. 977 წ. Ath 9 (69)

377 ფრ. ეტრატი; ტილოგადაკრული ხის ყდა, ასომთავრული, შავი მელანი, სათაური და საზედაო ასოები სინგურით; ხელნაწერის მომგებლები: იოანე-თორნიკე და იოანე ვარაზვაჩე, დამწერი: მიქაელ მოდრეკილის დისწული დავითი. ხელნაწერი დათარიღებულია ქრონიკონით რნვ (156).

მომგებლის ანდერძი, წვრილი ნუსხური (375r-377v):

„რომელი-იგი არსი არსებითა და გამოუთქუმელი ღმრთეებითა და მიუწდომელი

ბუნებითა და მიუთხრობელი არსებითა და უხილავი არსთა მიერ, უცვალებელი ღმერთი, არა დასაბამიერი და არცა დასრულებადი, განუზომელი, მარადის ნათელი, ნათლისა მშობელი, რამეთუ ესე უსიაჲ ღმრთეებისაჲ შეჰკრებს სამგუამოვნებასა მამისასა და ძისასა და სულისა წმიდისასა. და ესრეთ აღირაცხების შეკრებულად შეურწყუმელი და განუყოფელი და არაჲ დაკლებულ არს ყოვლადვე ძე მამისაგან და არცა სული წმიდაჲ ძისაგან, არამედ სწორ არიან არსებითა, დაუსაბამოებითა, შემოქმედებითა, განგებითა, ძლიერებითა და მოწყალებითა – სამელვარე და ერთბრწყინვალე, უჟამო, დაუტევნელ, უხილავ, უცვალებელ, ერთარს, განუყოფელ. და აღირაცხების სამად განუშორებელად, რომელთა შორის ვერ განჰვლის არცაღა თუ რაშპი, არამედ გონებითა ოდენ განიყოფვის განუყოფელი იგი. მდიდარი არს არა მოგებით, ნებიერი არს არა გულისთქუმით, შემოქმედი არს არა შრომით, განმგებელი არა განზრახვის მომპოვნებელი; არა ჟამს ცემს ოდენ და არცა შეიცავს მას, ვითარცა არცა მიეხების სადა, არცა შეიპყრობს მას, რაოდენ თჳთ იძრვის ძრვითა თჳსითა თავით თჳსით ძლიერ, დაღაცათუ მიიწევის პირველსა მიზეზსა ყოველი, რომელი მისი არს, მიუწდომელი და უხილავ და გამოუთქუმელ არს დაბადებულთაგან მისთა.

გარნა რაჲთა ესე ოდენ უწყოდეთ, რამეთუ მამაჲ არა ძე არს, გინა სული და ძჱ არა მამაჲ არს, ანუ თუ სული და სული წმიდაჲ არცა მამაჲ არს, არცა ძჱ. სამსაკუთრებითა თჳთებისა თჳსისაჲთა და ერთსათანადოჲთა მით ღმრთეებისა გონებითა, ოდესღა ინება და ვითარცა უნდა, არარაჲსგან დაჰბადნა დაბადებულნი თჳსნი: პირველად – უასონი იგი ძალნი, მაქებელად და მაკურთხეველად სახელისა მისა და მეორედ – კაცთა ნათესავი, რომლისაჲ არს შეზავებაჲ საკურველ, რამეთუ მოსცა მას არსებაჲ დასაბამიერი და არადასასრულებადი სული უკუდავი და მით ჯერითა მიგჳახლნა ჩუენ ანგელოზთასა მას ბუნებასა ერთკერძოჲ იგი ჩუენი, მსგავსი ცხოველთა მათ განქარვებათაჲ. და არა არს კაცი არცა ანგელოზ, არცა პირუტყუ, არამედ შორის მათსა. სხუაჲ, დაბადებული ორთაგან ერთი – სულისაგან და ჴორ[ც]თა, დაადგინა ადგილსა ბრძოლისასა და ძლევისასა და ჴელმწიფებაჲ მისცა მას თავისუფლებისაჲ და შეაყენა იგი წამსა სასწორისასა ბუნებისა მისისასა, რომელი-იგი უცნებითა მტერისაჲთა მიეცა სიკუდილსა და ჴრწნილებასა და თავისუფლად დაბადებული იგი მონა იქმნა ცოდვისა. ამისთჳსცა ყოველი შრომაჲ წმიდათა შეამთხჳა. არამედ სახიერებამან ღმრთისამან არა უგულებელს-ყო ხატად თჳსა დაბადებული და ჩუენისა ჴსნისათჳს ნებითა მამისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა გარდამოჴდა საშოსა ქალწულისასა ძჱ დაუსაბამოჲ და იშვა მისგან სრული ღმრთეებითა და სრული კაცებითა.

ხოლო იყო შობაჲ იგი მისი საკჳრველ, რამეთუ შეუცავი იგი და დაუტევნელი საშოსა დედაკაცისასა დაეტეოდა და იშვებოდა გონებითა დამბადებელი, ვითარცა დაბადებული ბუნებაჲ და კუალთა მათ შობიერებისათა არა იჩინებდა, რამეთუ შობასა მას სული წმიდაჲ მოჰმადლებდა და ჭეშმარიტებაჲ ჴორცთა მათგან ქალწულისთა მიიღო. და იშვა მისგან ღმერთი და კაცი, ერთითა გუამითა და ორითა ბუნებითა, ერთითა არსებითა და ორითა ნებითა და ორითა საქმითა, რამეთუ თანაშეაყო ბუნებაჲ ჩუენი დაბადებული დამბადებელსა, განხრწნადი – უხრწნელსა. და შემო[კ]ლებულად ვთქუათ, რამეთუ ყოველივე გონებაჲ ღმრთეებისა მის აქუნდა და აქუს და ყოველნი თანაწარსავალნი კაცობრივნი კაცობრივითა ბუნებითა აღასრულნა თჳნიერ ცოდვისა, რაჲთა იჴსნეს წარწყმედული და აღიყვანოს ხატად თჳსა დაბადებული ვნებითა მით და აღდგომითა, რომლითაცა იქმნა პირმშო მკუდართა

აღდგომასა და უხრწნელებასა, და ყოველსა მას ადამეანთა გონებასა იზიარებს თვსსა ღმრთეებასა, რამეთუ საჭირველისა მისგან სამოთხისა შეჰყავს მ ე ო რ ე ს ა მას ა დ ა მ ს პირველი დიდებასა მას და სუფევასა თანა ღმრთისასა. ამან მ ე ო რ ე მ ა ნ ა დ ა მ, შობილმან დედაკაცისაგან, ყოველსა სოფელსა წარავლინნა თვსნი მოციქულნი, რაჲთა ყოველნი გუაცხოვნნენ, რომელთა დაგვწერეს წმიდაჲ სახარებაჲ განმანათლებელად ყოვლისა სოფლისა; და შემდგომად მათსა – წმიდანი მღდელთმოძღუარნი და მოწამენი და წმიდანი მამანი მეუდაბნოენი, რომელთა ღუაწლითა მათითა კეთილითა ეშმაკსა არცხვნეს და ყოველი სოფელი აცხოვნეს და თითოეულმან მათგანმან მიუპყრეს ღმერთსა ტალანტი წმიდათა შრომათა მათთაჲ.

ხოლო ჩუენ, ცოდვილთა და ყოვლად მორწმუნეთა უსაწყალობელთასა, სახელით ი ო ვ ა ნ ე თ ო რ ნ ი კ - ყ ო ფ ი ლ მ ა ნ და ძმამან ჩემმან ი ო ვ ა ნ ე ვ ა რ ა ზ ვ ა ჩ ე, რომელთა წმიდაჲ ესე წიგნი მოვიგეთ, რომელსა ეწოდების სამოთხჱ, რომლისაგან გაჰკრთებიან წუეთნი თქუმულთა საღმრთოთანი და ამის მიერ ირწყვიან გონებანი მორწმუნეთანი, რაჲთა ჩუენცა დაგუწუთნეს ნაბერწყალი წყალობისა მისისაჲ და ამის მიერ ვპოვოთ წამალი უნდოთა ქცევათა ჩუენთაჲ. ხოლო რაჟამს მოვიჴსენით მოთმინებაჲ იგი მათი და ვიხილენით თავნი ჩუენნი ცარიელად წმიდათა მათგან შრომათა მათთა, ცრემლითა და მწუხარებითა აღვივსენით, რამეთუ ხატი ესე ღმრთისმსახურებისა გუმოსიეს და ძალსა მისსა ვერ მივსწუთებით. ფრიად მეშინის, რამეთუ აღესრულოს ჩუენ ზედა სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ, ვითარმედ: „რომელთათვს ქ რ ი ს ტ ე ცუდად მოკუდა...“ , არამედ, ღმერთო დიდო და გამოუთქუმელო, მოიხილენ ჩუენ ზედა წყალობით და მოგვტევენ ცოდვანი ჩუენნი, ვითარცა უძღებსა შვილსა, რომელმან განაბნია სიმდიდრე შენი არა წოდებასა შინა, ვითარ შეჰმოსე პირველი იგი სამოსელი და მიეც ბეჭედი ჴელსა მისსა, ჯერ-იჩინე ჩუენიცა შეწყნარებაჲ და განკურნე წყლულებაჲ ჩუენი, ვითარცა რომელი-იგი შევარდა ჴელთა ავაზაკთასა და და იწყლა. გინდინ, მკურალო, პანდუქთიონსა, მწყდართ შესავედრებელსა, მიყვანებაჲ ჩუენი ადამეანსა განახლებასა. მ ე ო რ ე ო ა დ ა მ, მისვე ადამეანისა ქალწულისა შობილო, სოფლისა ცოდვათა ამჴუმელო, და ნუ დამშჯი ჩუენ, მდიდრსა მას თანა მცირედ განსუენებულსა და მერმე დაუსრულებელად ტანჯულსა. არამედ შე-მცა-იწყნარების კნინი ესე სიგლახაკჱ ჩუენი ლ ა ზ ა რ ჱ ს თანა დავრდომილსა, გინა აღდგომილსა მახლობელად წიაღთა ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს თ ა, რაჲთა ვთქუა განყრმობილმან: „განახლებითა შენმიერითა, მხიარულებითა დღესასწაულსა, ოსანა, მაცხოვნე მე“! ვინ მისცეს თუალთა ჩემთა ცრემლნი, სახენი ი ო რ დ ა ნ ი ს ა ნ ი, მეორედ განმანათლებელნი, რაჲთამცა დავაპკურენ უხრწნელთა ფერჴთათვს მისვე სიტყჴსა დაუსაბამოჲსათა და მესმამცა ჴმაჲ იგი სანატრელი, სავსე სიხარულითა, ვითარმედ: „მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი მრავალნი“. და იქმნამცა სახელი მისი წარმოცარიელებულ ზედა თავსა ჩემსა და მერმე განბანილ წიდისაგან. ქორი ესე ჩემი განმგებელი საიდუმლოსაჲ, ზიარ და ღირს-მყავ ვნებითა ვნებათა განმაცხოველებელთა შემშჭუალული მისვე მოწყლულისა სიყუარულსა, ქუესკნელით გამოჴსნილი. და რაჲთა ჰრცხუენეს ჩემ ზედა ბ ა ბ ი ლ ო ვ ნ ს ა სახესა მას ჯოჯოხეთისასა განრინებითა ჩემითა შორის კბილთა მისთა დღესა მას მიუდრეკელსა, ნათელსა მას დაუსაბამოჲსასა შიშით წარდგომილმან, სასმენელნი განუმზადნე ჴმასა მას კუთხევისასა. ამიერ კერძო მთხრობელისა მის მარჯუენესა მაღლისასა წადიერად მოველოდით.

მეოხებითა წმიდათა ღმრთისმშობელისაჲთა და მადლითა საუფლოჲსა ძელისაჲთა და მეოჴებითა წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისაჲთა და წმიდათა მოციქულთაჲთა, მადლითა წმიდათა მღდელმოძღუართაჲთა, წ მ ი დ ი ს ა ი ო ვ ა ნ ე ს ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ჲ თ ა დ ა წ მ ი დ ი ს ა ბ ა ს ი ლ ი ს ა ჲ თ ა და წმიდისა და მნათობისა მ ა მ ი ს ა ე ფ რ ე მ ი ს ი თ ა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ქ რ ი ს ტ ე ს ა, რომელთა კეთილად გამოიძიეს ნათელი მერმისაჲ მის საუკუნოჲსაჲ და წესი აწინდელი ამის ქცევისაჲ და ვითარცა ხილული დაუმტკიცეს გულსა მორწმუნეთასა ამის საუკუნოჲსა სასოვებისა მოლოდებისათჳს; მე, ი ო ვ ა ნ ე თ ო რ ნ ი კ-ყ ო ფ ი ლ მ ა ნ, და ძმამან ჩემმან, ი ო ვ ა ნ ე ვ ა რ ა ზ ვ ა ჩ ე, ძეთა სულკურთხეულისა ჩ ო რ დ ვ ა ნ ე ლ ი ს ა თ ა, მოვიგეთ და დავწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ ს ა მ ო თ ხ ჱ, რომელსა შინა იპოვებიან მრავალფერნი მადლნი, მკურნალნი სულისანი, სალოცველად და სადიდებელად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა ა ღ მ ო ს ა ვ ა ლ ი ს ა კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა დ ა ვ ი თ ი ს თ ვ ს, რაჲთა სათნოდ ღმრთისა ქცევათა მისთათჳს დაუმკვდროს მეუფემან სუფევაჲ დაუსრულებელი, რამეთუ მართლმადიდებლობისა თუალი არს და მსგავსად შემოქმედისა თჳსისა, სიმდაბლისა წესსა შინა დაუკლებელად იქცევის და საღმრთოჲსა სიყუარულისა ჯაჭვთა აღჭურვილი და მოწყალებაჲ ქ რ ი ს ტ ე ს სახედ შეუმოსიეს, რამეთუ სული წმიდაჲ თანამზრახვალად აქუს, რომელი ორძის გონებასა შინა მისსა, ვითარცა თავი აგებულებასა ზედა ნივთიერსა; და მათსა შემდგომად სალოცველად თავთა ჩუენთა – პირველად იოვანე თორნიკ-ყოფილისათჳს და აწ, წმიდათა მეფეთა მიერ ი ო ვ ა ნ ე ს ვ ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა თ ვ ს, რომელმანცა სიყუარულისათჳს ღმრთისა დაუტევა დიდებაჲ ქუეყანისაჲ და პოვა ზეცისაჲ, რამეთუ ღმრთისა მიერ ზეგარდამო დიდებასა შინა მათსა და პატივსა წმიდათა მეფეთა მიერ მწრაფლ შეიცვალა ხატი ერისა კაცობისაჲ და შეიმოსა სახჱ მეუდაბნოვეთაჲ. არამედ, ამასცა სახესა შინა დიდად და ერთგულებით ჰმსახურა ძელსა ცხოვრებისასა და წმიდათა მეფეთა. რაჟამს-იგი გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა კაცი განლაღებული და მჴდომად აღუდგა წმიდათა მეფეთა, ამან ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოვლით კერძოვე უძლეველისა დ ა ვ ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა. და ბრძანებითა ამათითა დაამჴუა განზრაჴვაჲ მისი და განამტკიცნა წმიდანი მეფენი. ღმერთმან დაიცევინ სულით და ჴორცით!

და მერმე ი ო ვ ა ნ ე ვ ა რ ა ზ ვ ა ჩ ჱ ს თ ვ ს და მეუღლისა მისისა და შვილთა მისთა: მ ი ქ ა ე ლ ი ს ა და ჩ ო რ დ ვ ა ნ ე ლ ზ ო რ ა ვ ა რ ი ს ა და ჩ ო რ ო ლ ო დ ი ს ა თ ვ ს და თ ო რ ნ ი კ ი ს ა თ ვ ს. და ძმისწულთა ჩემთა: ჩ ო რ დ ვ ა ნ ე ლ პ ა ტ რ ი კ ი ს ა თ ვ ს და ბ ა გ რ ა ტ პ ა ტ რ ი კ ი ს ა თ ვ ს; და სალოცველად სულსა ბ ა გ რ ა ტ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი ს ა ს ა და მშობელთა ჩემთა: ჩ ო რ დ ვ ა ნ ე ლ ი ს ა თ ვ ს და მ ა რ ი ა მ ი ს თ ვ ს და ძმათა ჩემთა: ბ ა გ რ ა ტ ი ს ა თ ვ ს და ა რ შ უ შ ა ჲ ს თ ვ ს და ა ბ უ ჰ ა რ ა ბ ი ს თ ვ ს და მამის ძმათა ა ბ ურ ჰ ა ბ ი ს თ ვ ს და ა რ შ უ შ ა ჲ ს თ ვ ს, და ყოველთა სახლისა ჩემისა მიცვალებულთათჳს.

აწ, გევედრები ყოველთა ქ რ ი ს ტ ე ს მორწმუნეთა, რომელნი ღირს იქმნნეთ აღმოკითხვად წმიდასა ამა წიგნსა, გინა თუ სმენად, და ირწყვოდით მადლისაგან საღმრთოჲსა, ყავთ სიყუარული ქ რ ი ს ტ ე ს თ ვ ს და მოგჴსენენით წმიდათა პირითა თქუენითა აღჴოცაჲ

ბრალთა ჩუენთაჲ, რაჲთა თქუენითურთ ღირს-გუყუნეს ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ მიმთხუევად სასუფეველსა მისა, რომელსა შუენის დიდებაჲ და თაყუანისცემაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლ ა ვ რ ა ს ა ო შ კ ს, საყოფელსა წმიდისა ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ს ა ს ა, მ ა მ ო ბ ა ს ა ს ა ბ ა ჲ ს ა, ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ აკურთხენ! ჴელითა ს ტ ე ფ ა ნ ე დ ე კ ა ნ ო ზ ი ს ა ჲ თ ა, და მისითავე ჴელითა შეიმოსა. ღმერთმან აკურთხენ! ქორონიკონი იყო რჟზ.

ესე ანდერძი მე, უღირსმან დ ა ვ ი თ, დისწულმან ღმერთშემოსილისა მ ა მ ი ს ა მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი ს ა მ ა ნ, დავწერე. თუ რაჲ სიუცბითა დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს და ლოცვა ყავთ“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 100

გამოცემები: ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, გვ. 45-47.

მიქაელ მოდრეკილის იადგარი, 978-988 წწ. S-425

272 ფრ. ეტრატი, უყდო, დაშლილი, ხელი - გამორჩეული სილამაზის ნუსხური, სათაურები მთავრულით. შავი მელანი. ნაკლული თვში, შუაში და ბოლოში. გადამწერები: მიქაელ, ეფთვიმე და ანონიმი.

კრებულის შემდგენელის და გადამწერის ანდერძი, ასომთავრული, 24rv:

„დიდებაჲ შენდა ქ რ ი ს ტ ე, დაესრულნეს შეწევნითა შენითა ძლისპირნი სრულნი ყოვლითა განგებითა სადიდებელად სახელისა შენისა წმიდისა, რომელი კურთხეულ არს საუკუნითგან და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ქ. მფლობელო ორთავე სუფევათაო, მეოხებითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა უმეტეს ადიდე შენ მიერ ღირსად გჳრგჳნოსანი, უძლეველი მეფეთა მეფჱ დ ა ვ ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი და დასცენ ყოველნი მტერნი და წინა-აღმდგომნი მეფობისა მათისანი ქუეშე ფერჴთა მათთა უძლეველითა ძალითა კლავისა შენისაჲთა, ამენ იყავნ.

შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელი-იგი არს მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ, მე, გლახაკმან, ძმისწულმან ღმერთშემოსილისა მ ა მ ი ს ა დ ა ვ ი თ ი ს მ ა ნ, ვიღუაწე და ყოვლით კერძო შრომაჲ ვაჩუენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა; და გულს-მოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ჲ თ ა მეხურნი ბერძულნი და ქართულნი, და სრულნი ყოვლითა განგებითა დავწერენ წმიდასა ამას შინა წიგნისა ყოვლითა განმარტებითა და ჭეშმარიტებითა. და ესრჱთ განვაწესე თავით თჳსით, და უმჯობეს ვყავ უმეცრებითა სიგლახაკისა ჩემისაჲთა, რამეთუ ყოველსა ჴმასა პირველ „უფალო-ღაღადყავისა“ ძლისპირნი დავწერენ და შემდგომად გალობათანი, თჳნიერ ქარაგმითა; და ყოვლითურთ სრულ იქმნა მუშაკობაჲ ესე საღმრთოჲ ძალითა და შეწევნითა დიდად სახიერისა მხოლოჲსა ღმრთისაჲთა, რომელი კურთხეულ არს აწ და მერმეთა მათ საუკუნეთა, ამენ“.

გადამწერის ანდერძი 56 r:

„ ქ რ ი ს ტ ე ღმერთო, დიდებაჲ შენდა. დაესრულა თთუჱ დეკემბერი. უფალო, ადიდე უძლეველი მეფჱ დ ა ვ ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი, ამენ. უფალო, წყალობით მოიჴსენე სული

უღირსთა მონათა შენთაჲ დ ა ვ ი თ ი ს ი და გლახაკისა მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი ს ა ჲ“.

ასომთვრული ანდერძი, 262 v:

„შეწევნითა დიდად სახიერისა ღმრთისაჲთა მე, გლახაკმან და ფრიად უდებებით ცხოვრებულმან, ღელვათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისაჲთა დაღონებულმან, მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ მ ა ნ, ვიღუაწე და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩუენე და შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ჲ თ ა: მ ე ხ უ რ ნ ი, ბ ე რ ძ უ ლ ნ ი და ქ ა რ თ უ ლ ნ ი, სრულნი ყოვლითა განგებითა, წესისაებრ საეკლესიოჲსა: უფალო ღაღატყვითა, ოხითა, მოიხილითა და აქებდიდთითა, ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთ. იხილე მღდელო, ღმერთშემოსილო, კნინაკი ესე ნამუშაკევი უნდოთა ჴელთა ჩემთაჲ, რაჟამს უშრომელად აღმოივსო საღმრთოჲსა ამისგან წყაროჲსა. მოიჴსენე საწყალობელი სული ჩემი ქ რ ი ს ტ ე ს სიყუარულისათჳს, რაჲთა თქუენცა ჰპოოთ მადლი მოწყალებისაჲ და სასყიდელი სიყუარულისაჲ. რომელი იკითხვიდეთ, ისწავებდეთ, გინათუ ისმენდეთ სიტყუათა ამათ ღმრთივ სულიერთა საგალობელთა უფლისათა, რომელი კურთხეულ არს, უკუნითი უკუნისამდე, იყავნ“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 75-76

გამოცემა: ხელნაწერთა აღწერილობა S-I, გვ.გვ. 544-545, 566-567.

პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ.764-765.

აგიოგრაფიული კრებული. 1003 წ. Ath. 28 (ცაგ. N 53)

ეტრატი, დაშლილი, ხელი ნუსხური, ყდაში ჩაუსვამს 1823 წელს ათონზე მოღვაწე ბერს, ვენედიქტე ქიოტიშვილს.

გადამწერის ანდერძი ზანდუკის შემდეგ, ნუსხური (1v):

„უფალო ი ე ს ჳ ქ რ ი ს ტ ე, [რომელი ...] ხარ ღმერთი მხოლოჲ, უხილავი, უცვალებელი. მეოხებითა წმიდათა შენთაჲ ადიდე შენ მიერ გჳრგჳნოსანი, ძლიერი და უძლეველი ბ ა გ რ ა ტ ა ფ ხ ა ზ თ ა და ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ Ე და კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი და დაჰსცენ ყოველნი მტრნი მისნი, ქუეშე ფერჴთა მისთა, ხილულნი და უხილავნი, რომელნი [აღაწერინა] წიგნი ესე წმიდათა მოწამეთაჲ, შესამკობელად და განმანათლებლად წმიდათა ეკლესიათა და მეოხად და სასოდ და მფარველად და ზღუდედ ყოველთა ქრისტეანეთა. მეოხამცა არიან მისა ყოველნი წმიდანი, რომელი წიგნსა ამას [შინა] წერილ არიან“. „ესე წიგნი დაიწერა ქრორონიკონსა სკგ ოჴრებასა [კ ა ხ ე თ ი] ს ა ს ა, შ ა ო რ ს, საყოფელსა წმიდ)ისა ღმრთ)ისმშობლისასა.....“.

გადამწერის ანდერძი, ნუსხური: 87v:

„უფალო იესჳ ქრისტე, მოწყალებთა შენითა და მეოხებითა წმიდისა დ[ე]მეტრისითა ადიდე მამაჲ ზენონ, შაორელი მამასახლისი, ამენ“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 97

გამოცემა: ვ. სილოგავა, ათონის ქართული სიძველეებიდან, გვ.20.

მესტიის ოთხთვი 1033 წ. M1 (კ-70)

311 ფრ. ეტრატი, ტყავგადაკრული ვერცხლის ბურთულებით შემკული ხის ყდა; შავი მელანი; ძირითადი ტექსტი ნაწერია ასომთვრულით, მომგებლისა და გადამწერის ანდერძები, სასწაულების საძიებელი – ნუსხურით. შემკულია მახარებელთა მინიატურებით.

მომგებლის ანდერძი, ნუსხური, 299v:

„დიდებაჲ ღმერთსა, დაესრულა წმიდაჲ ესე წიგნი სახარებისაჲ. უფალო ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე , მოწყალებითა შენითა შეიწყალე და ადიდე სულიერად მონაჲ შენი, მომგებელი წმიდისა ამის წიგნისაჲ ი ლ ა რ ი ო ნ ი შ ხ ნ ე ლ ი , ამენ იყავნ“.

მომგებლის ანდერძი, ნუსხური, 309rv-310r:

„[...]... რომლისათვსცა მე, საწყალობელმან და ყოველთა შორის მკუიდრთა სოფლისა-თა ნაკლულევანმან და უნანელმან, გლახაკმან ი ლ ა რ ი ო ნ, ძემან მ ა ს უ რ ი ს მ ა ნ, იშხნელ ეპისკოპოზმან, მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი და აღვაწერიე ფასითა სრულებითა, რამეთუ ფრი-ადი წადიერებით სურვილი და სიყუარული მაქუნდა ამისა მიმართ. და შევიყუარენ თხრობანი ესე, და ესეცა, მსგავსად ძალისა ჩემისა, რომელი პატიჟთა მათ ზემოჴსენებულთა დაჴსნასა გუ-აუწყებს, და კეთილთა მათ მჴსნელისა ჩუენისა მიერ ყოფილთა, გუახარებს. და შე-რაჲ-ვიყუ-არე, ვიღუაწე მოგებად და აღვწერე ლავრასა შინა კურთხეულისა წმიდისა წ ი ნ ა მ ო რ ბ ე-დ ი ს ა ი ო ვ ა ნ ე ს ა ო შ კ ს , ჴელითა გლახაკისა გ ა ბ რ ი ე ლ გ ი ო რ გ ი ს ძ მ ი ს წ უ-ლ ი ს ა ჲ თ ა. ქორონიკონსა სნგ-სა, სალოცველად და სადიდებელად ღმრთივმორწმუნეთა მეფეთა ჩუენთა: ბ ა გ რ ა ტ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა და დედისა მათისა მ ა რ ი ა მ დ ე დ ო-ფ ა ლ თ ა დ ე დ ო ფ ლ ი ს ა, ადიდენ ღმერთმან. სალოცველად და სალხინებელად საწყა-ლობელისა სულისა ჩემისა და სა[ლოცველად ს]უ[ლისა] თჴსთა ჩემთა, ცოცხალთა და მიც[ვა]ლებულთაჲსა, და სალოცველად ძმისა ჩემისა ი ო ვ ა ნ ე ს ა და შვილთა მისთა, მ ა ს უ რ ი ს და გ ი ო რ გ ი ს თ ვ ს .

აწ, გევედრები ყოველთავე, რომელნი იმსახურებდეთ წმიდასა ამას წიგნსა, ჴსენებულ-მცა ვარ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, ამენ.

აწ, რაჲსაცა-ვის მიზეზისა გზითა, წმიდა)ჲ ესე წიგნი ვისთანაცა მოიწიოს და შემოგივრდნეს და ჩემდადვე არა მოიწიოს, და გამომაჴუას, განა თუ მე თვით დაუტეო ვის, და მივსცე სალოცველად ჩემდა და მას გამოაჴუას, კრულ-მცა არს სიტყუითა დაუსაბამოჲსა ღმრთისაჲთა, ექუსთა კრებათა მადლითა, ე˜(=ხუთთა) პატრიაქთა ჯუარითა, წმიდათა მოციქულთა მადლითა, ი ო ვ ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა ჯუარითა. და ვინცა-ვინ ესე ჩემი დაწერილი საქმით აღასრულოს, ჯუარ აქუს ღმრთისაგან და ჩემ გლახაკისაგან.

აწ, გევედრებით ყოველთა, რომელი შემდგომითი შემდგომად ღირს იქმნეთ და გულისჴმა-ყავთ პოვნად სარგებელისა ნამუშაკევისა ამისგან ჩუენისა, რამეთუ მეშინის, ნუუკუე და არღარა საძიებელ იყოს ამიერითგან დიდი ესე საიდუმლოჲ ჴსნისაჲ, ვინაჲთგან აწვე, უწყიეს წინაწარმეტყუელებადთა აღსრულებად; და მიდრეკილ არს დღე და შეურაცხიეს ოქრუჲ, სიწმიდე, წინაშე მდებარე არს ძაღლთა და მარგალიტი დაითრგუნვის ღორთა მიერ; გარნა ოქრუჲ ოქრუჲ არს და მარგალიტი ღორთა მიერღა თუ დაითრგუნვის? იხილეთ განყოვლებაჲ შორის მარგალიტისა და ღორთა, ყავთ ჴსენებაჲ ჩუენი კეთილი და მიითუალეთ

გულმოდგინებაჲ, რაჲთა თქუენ და ჩუენ ნაყოფიერ ვიპოვნოთ უფალსა ჩუენისა ი ე ს ჳ ქ რ ი ს ტ ე ს ა მას, გამოჩინებასა მისსა. დიდებაჲ თანა სამარადისოჲთა მიმართ, ერთარსებითა სულისა წმიდისაჲთა, უკუნითი უკუნისადმდე, ამენ“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 91

გამოცემები: ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში გვ. 279-282; სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 41-42.

პარხლის მრავალთავი XI ს. A-95

655 ფრ. ეტრატი, უყდო, დაშლილი, ნაკლული, ხელი ნუსხური, მელანი შავი, სათაურები და საზედაო ასოები – სინგურით.

ანდერძი გადამწერისა, ნუსხური, 590v-591r:

„კურთხეულნო ერნო, მომავალნო, რომელნი ჩუენსა შემდგომად ყოფად ხართ, პირველ ოდეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრე მედვა გულსა, ვითა დ ე დ ა თ ა წ ა მ ე ბ ა ჲ და ც ხ ო რ ე ბ ა ჲ ოდენ დავწერო და მით გავასრულო. და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ვძებნე დედაჲ და ესთენ ვიპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ მერმე. ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი პ ა რ ხ ა ლ ს არა ეწერა, ი შ ხ ნ ი თ მოვიღე და მით გავასრულე. და ესე ცხორებანი დედათა და ღმრთის მოყუარეთა მამათანი მიწყებით ამას ქუემოსა კერძოსა მოვაქციენ, თუცა პირველ გამეგონა, თავსა ზედა მ ა მ ა თ ა მ ო წ ა მ ე თ ა ჲ ჴამდა, განა დ ე დ ა თ ა წ ა მ ე ბ ი თ ა [და] ც ხ ო რ ე ბ ი თ ა ოდენ ვლამოდე გასრულებასა და ამას შინა მოვსცე. შემინდვეთ ჭირნი კულა დიდნი მინახვან. ღმერთმან დაგაჯეროს. სული გ ა ბ რ ი ე ლ პ ა ტ ა რ ა ი ს ა მოიჴსენეთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა.

გ ა ბ რ ი ე ლ ლ ა ს კ ა ვ ე ლ ი და გ ა ბ რ ი ე ლ ხ ო რ გ ა ი დიად დამიდგეს თანა, ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი. ოდეს მიმჭირდის, მათ მივჰმართი, პურაჲ მციან. ი ო ვ ა ნ ე გ ა ც უ ე თ ი ლ მ ა ნ კუტალითა ღჳნოჲ მომართუა“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 105

გამოცემა: მ. ჯანაშვილი 1900: გვ. 135-136; ხელნაწერთა აღწერილობა A- I_1, გვ. 389.

ბასილი დიდი, თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ, 1035 წ. A-135

257 გვ. ეტრატი, ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ხელი ნუსხური, გადამწერები: საბა, მიქაელი, გაბრიელი და ივანე. ხელი ნუსხური, მელანი შავი, სათაურები სინგურით. გადამწერები: დავით ჯიბისძე, საბა, მიქაელი, გაბრიელი და ივანე; გადაწერის ადგილი შატბერდი; დამკვეთი – ეზრა მამამთავარი.

გადამწერის ანდერძი (255r-256v):

„ფრიადი კეთილი კაცთმოყუარისაგან კაცთა და მონიჭებული პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაჲ არს: მზჱ და მთოვარე ჴორცთა ჩუენთა საჴმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩუენთა განმანათლებელად მოგუმადლნა, რომლისათჳსცა წმიდაჲ ფსალმუნი დ ა ვ ი თ ი ს ი თავი არს და პირი ყოველთა წიგნთაჲ, შემამკობელი ყოველთა მორწმუნეთაჲ,

რომელსა გალობდა დ ა ვ ი თ ათძალითა მით ფსალმუნისაჲთა და წინასწარმეტყუელებით მოასწავებდა მოსლვასა ძისა ღმრთისასა ქუეყნად და განჴორციელებასა წმიდისაგან ქალწულისა, „ვითარცა იტყჳს: „გარდამოჴდეს, ვითარცა წჳმაჲ საწმისსა ზედა და ვითარცა ცუარი რაჲ ცურინ ქუეყანასა ზედა“, და შემდგომი ამისი.

და კუალად თქუა: წმიდა ყო საყოფელი თჳსი მაღალმან, ღმერთი მის შორის და არა შეიძრას უკუნისამდე. ღმერთი იშვა ქალწულისაგან და ქალწული ქალწულებისაგან არა შეიძრა. დ ა ვ ი თ მ ე ფ ე და წინაჲწარმეტყუელი და ყოველთა წინაჲწარმეტყუელთასა უმეტესად ადიდა, რამეთუ ნათესავისა და შჳილისა მისისაგან სათნო იყო განჴორციელებაჲ, ვითარცა იტყჳს: ეფუცა უფალი დ ა ვ ი თ ს და არა ეცრუა მას: „ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა იგი საყდართა შენთა“, ვითარცა იგი ჰრქუა ხარებასა მას გ ა ბ რ ი ე ლ ქ ა ლ წ უ ლ ი ს ა: „სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ. ამისთჳსცა შობილსა მას შენსა ეწოდოს წმიდა და ძე მაღლის“. და მოსცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დ ა ვ ი თ ის, მამის მისისაჲ, და მეუფებდეს სახლსა ზედა ი ა კ ო ბ ი ს ს ა საუკუნოდ და სუფევისა მისისაჲ არა არს დასასრულ.

და კუალად თჳთ თავადი ეწამა დ ა ვ ი თ ს: ვპოვე დავით მონაჲ ჩემი, და საცხებელი წმიდაჲ ჩემი ვსცხე მას, რომლისათჳსცა სულისა წმიდისა წუევნითა იტყოდა გალობასა ამას – სულიერსა შესხმასა ღმრთისასა და განშუენებასა ყოველთა წიგნთასა, რომელ არს მოძღუარი ყოველთა მოძღუართაჲ და მასწავლელი ყოველთა ახალ მოსწავლეთაჲ, რომლისა სწავლად მეფეთაცა გული უთქუამს და წადიერებით და სარწმუნოებით უპყრია საწურთელად თავისა თჳსისა, რაჲთა წურთითა მისითა სათნო ეყჳნენ ღმერთსა.

ამისთჳსცა მე, დ ა ვ ი თ ჯ ი ბ ი ს ძ ე მ ა ნ, ტჳრთმძიმემან ცოდვითა და უდებმან სინანულითა, დავწერე ესე წიგნი ბრძანებითა ე ზ რ ა მ ა მ ა დ მ თ ა ვ რ ი ს ა, შემოქმედისა და მწყალობელისა ჩემისაჲთა, რომლისა დამეკადრა და მერწმუნა საწყალობელი სული ჩემი.

დავწერე ჴელითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა: ს ა ბ ა ს ი თ ა, მ ი ქ ა ე ლ ი ს ა თ ა და გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ი თ ა და გავასრულე ჴელითა ჩემითა, და დავდევ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შ ა ტ ბ ე რ დ ს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, სამოძღურებელად მორ-წმუნეთა, სალხინებლად ცოდვათა ჩემთა და სალხინებლად საწყალობელისა სულისა ჩემისა და სადიდებლად ე ზ რ ა მ ა მ ა დ მ თ ა ვ რ ი ს ა და მ ა მ ი ს ა ე ფ რ ე მ ი ს თ ვ ს და მი-ცვალებულთა პირველთა მოძღუართა თ ე ო დ ო რ ე ს და ს ვ მ ე ო ნ ი ს თ ვ ს და მშო-ბელთა ჩემთა ი ვ ა ნ ე ს თ ვ ს და შუშანისთჳს, სულიერთა ძმათა და ჩემთანა აღსარებულთა ყოველთათჳს, ჴორციელთა და-ძმათა ჩემთა გ ა ბ რ ი ე ლ ი ს და მ ა რ ი ა მ ი ს თ ვ ს, შ ა ტ ბ ე რ დ ი ს ა და ხ ა ნ ძ თ ი ს ა ცოცხალთა და მიცვალებულთა და ყოველთა თჳსთა ჩემთათჳს.

აწ, გევედრები ყოველთა მომავალთა ნათესავთა, რომელნი მოხუალთ გამოსაცდელად საწუთოსა ამას და აჩრდილებრ წარმავალსა ცხორებასა, რაჟამს მოგეცეს ფლობაჲ ყოფად ხილულსა ამას მზესა ქუეშე, და ჩუენ მტუერი და ნაცარქმნილ ვიყჳნეთ, მოგჳჴსენენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა, რომელნი-ესე ამას წიგნსა ჴსენებულ ვართ და შთაწერილ. მოკლედ მოვლენან ჟამნი დაუსრულებელნი და ჩუენ არღარა ჴელგუეწიფებოდის აღმოკითხვად, ვითარცა ჩუენსა პირველთა წარსულთა მამათა და ძმათა.

და ესე ჭეშმარიტად უწყი და ვერ დავარწმუნე სინანული განლიგებულსა გულსა ჩემსა, და სძლია მარცხენითმან სასწორმან და დღითიდღედ დამძიმებდის. ამისთჳსცა კუალადცა გევედრები, მითხოვეთ ლხინებაჲ მისგან, რომელმან ჰრქუა განღრუეულსა მას; აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდეო. და მიჰმადლა მეძავსა მას – მიგიტევნენ მრავალნი ცოდვანი შენნიო. მან ასმინა ჴმაჲ სანატრელი ავაზაკსა, ვითარმედ: „დღეს სამოთხეს ჩემთანა იყოო“, რომლისა არს დიდებაჲ და არა არს დასასრული სუფევისა მისისაჲ მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ამის წიგნისა ეტრატი კ ა ტ ა ჲ ს საფასოჲთა ვიყიდე. ლოცვასა გვედია, ღმერთმან დაგაჯეროს.

ვინ ესე წიგნი ამას ეკლესიასა გამოაჴუას, წმიდამცა ღმრთისმშობელი არს მოსაჯული მისი, და არსმცა ცოდვათა ჩემთა მზღველი წინაშე ღმრთისა.

დაიწერა ქრონიკოსსა სნე“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 77-78

გამოცემები: ხელნაწერთა აღწერილობა, A-1_2, გვ. 157-158; ე. მეტრეველი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის, გვ. 98.

იოანე ოქროპირი, „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“, XI ს. A-136

394 ფრ. ეტრატი, დაშლილი, ნუსხური, ფიცრის ტყავგადაკრული ყდა, გადარჩენილია მხოლოდ ზედა ფრთა, სათურები სინგურით, გადამწერი ეგნატი ხუცესმონაზონი, ადგილი – წყაროსთვი.

გადამწერის ანდერძი (392rv):

„მადლითა და მოწყალებითა ღმრთისაჲთა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, სამების ერთარსებისა და ერთღმრთეებისაჲთა, რომლისა დიდებითა სავსე არიან ცანი და ქუეყანაჲ, რომლისა მშჳდობაჲ აღემატების ბუნებასა ყოველთა დაბადებულთასა, რომელმან არარაჲსაგან ყოველნი არსებად მოიყვანნა: უხილავნი და ხილულნი, უძრავნი და მოძრავნი უპყრიან, ჰმართებს და განაგებს ყოველთა ცხორებასა საღმრთოჲსა ძალისა წამის-ყოფითა.

და ამისა მიმართ მეოხებითა ყოვლად წმიდისა და უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა და წმიდათა ზეცისა უჴორცოთა ძალთაჲთა, და ყოველთა საკუნითგანთა წმიდათაჲთა, რომელნი სათნო ეყვნეს უფალსა ჩუენსა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე ს ა, ღირს ვიქმენ მე, უღირსი ე გ ნ ა ტ ი, სახელით ოდენ ხ უ ც ე ს მ ო ნ ა ზ ო ნ ი, ხოლო საქმითა და გონებითა უდები, აღწერად წმიდასა ამას წიგნსა თარგმანებასა წმიდისა სახარებისასა, განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა, ღმრთივ-აღშენებულსა უდაბნოსა შინა წ ყ ა რ ო ჲ ს თ ა ვ ს, სენაკსა შინა ნეტარისა ბერისა ე ფ თ ჳ მ ე ს ს ა, რომლისაცა ფერჴთა თანა აღზრდილ ვიყავ. და შევწირე ეკლესიასა წ ყ ა რ ო ჲ ს თ ა ვ ი ს ა ს ა, აღსადგომელსა მჴსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე ს ა, სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ-გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩუენთა, სულითა განათლებულისა კურთხეულისა დ ე დ ო ფ ლ ი ს ა მ ა რ ი ა მ ი ს ა და ძმისა მათისა გ ი ო რ გ ი მ ე ფ ე თ ა მ ე ფ ი ს ა და კ ე ს ა რ ო ს ი ს ა და ძისა მათისა

დ ა ვ ი თ მ ე ფ ი ს ა და ს ე ვ ა ს ტ ო ს ი ს ა, და სანატრელისა დედისა მათისა ე ლ ე ნ ე დ ე დ ო ფ ლ ი ს ა; და გამზრდელისა ჩემისა მ ა მ ი ს ა ე ფ თ ვ მ ე ს ა და ყოველთა მამათა წყაროჲასთაველთა, და მშობელთა და ძმათა ჩემთა სულიერთა და ჴორციელთა, რომელნი შემწე და მოღუაწე მექმნეს, სიტყვთ და საქმით სულიერსა ამას შრომასა და საწყალობელისა სულისა ჩემისათჳს. და გავაწესე სალოცავი: ოდეს წიგნის კითხვაჲ დაიწყებოდის, დეკანოზი და ძმანი ყოველნი იტყოდინ: ე გ ნ ე ა ტ ი ხ უ ც ე ს ს ა და მშობელთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან, ყოველთა წიგნისა შემომწირველთა შეუნდვენ ღმერთმან.

ხოლო გევედრები ცრემლით ყოველთა, წმიდანო ღმრთისანო, რომელნი წაიკითხვიდეთ წმიდასა ამას და სულთა განმანათლებელსა წიგნსა ანუ ისმენდეთ, გინა სწერდეთ, მოგჳსენენით წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ზემოწერილნი ესე ყოველნი, და მოძღუარი გ ა ბ რ ი ე ლ რ კ ი ნ ა ე ლ ი, კეთილსა მასწავლებელი ჩემი და სულიერი ძმაჲ ჩემი. იგი, რომელმან ამა შრომასა შინა მმსახურა, და უფროჲსღა მე, საწყალობელი ე გ ნ ა ტ ი, რომელი უდებებით წარვაგე ცხორებაჲ ჩემი, რაჲთა წმიდათა ლოცვითა თქუენითა მიჴსნას ღმერთმან საშჯელთა მათგან გრძელთა და პატიჟთა ძნელთა, რამეთუ... და იქმნეთ თქუენცა, ვითარ ესე აწ მე ვარ, რამეთუ ჴელი ესე უღირსი, რომელი ამას წერდა, მატლთა შეუჭამია და მიწასა აღწეულ არს. ხოლო სულსა უკუდავნი იგი მატლნი დაუსრულებლად შჭამენ, ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყველი, ვითარმედ: „მატლი მათი არა მოკუდების და ცეცხლი არა დაშრტების“, ესე იგი არს უკუნითი უკუნისამდე ტანჯვაჲ ცეცხლსა შინა.

ხოლო თქუენ ნათელმან უკუდავმან შეგიწყნარნეს, რაჟამს წმიდათა ამათ სწავლათა აღსრულებათა ნაყოფი ღირსი მიუპყრა მეუფესა, და გჳპოვნიამცა წყალობაჲ ყოველთა დღესა მას საშინელსა ქ რ ი ს ტ ე ს ი ე ს ჩ ს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, სუფევაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სული წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წმიდანო ღმრთისანო, გევედრები ყოველთა მომავალთა, წარსრული ესე, რაჲთა ესე სალოცავი არავინ შეცვალოს, არცა უდებ ყოს. უწყის სიწმიდემან თქუენმან, თუ რაოდენი წიგნნი შემიძენიან ამის ეკლესიისადა, საურავითა და წყენითა ზედაჲს-ზედა, ვიდრე ჩვენთანაღა იყო ნ ე ტ ა რ ი ი გ ი ბ ე რ ი. მაშინ და აწ, შემდგომად მიცვალებისა მისისა საგალობელნი ყოველნი სრულიად, რომელ მადლითა ღმრთისაჲთა არღარაჲ გუაკლს, რამეთუ პირველ ახალნი წიგნი ერთაჲცა არა იყო.

და ვინცა ესე წიგნი რაჲთა საქმითა და მიზეზითა იკადროს და წ ყ ა რ ო ჲ ს თ ა ვ ი ს ა ეკლესიასა გამოაჴუას, შეცაჩუენებულა ნ ი ს ტ ო რ ს და ო რ ი გ ე ნ ე ს თანა და ი უ დ ა ს, რომელმან უფალი და მოძღუარი თვისი განყიდა“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 81-83

გამოცემა: ხელნაწერთა აღწერილობა A -1₂, გვ. 159-160.

საწელიწდო საწინასწარმეტყველო, 1085 წ. H-1350 (შეერთებულია A-192-თან)

77 ფრ. ეტრატი, უყდო, დაშლილი, მისი შუა ნაწილი, პირველი ექვსი რვეულის შემდგომ აღმოჩნდა სხვა ხელნაწერში (A-192, ბოლო ორი ფურცლის გამოკლებით). ნუსხური, საზედაო

ასოები და სათურები სინგურით. მთარგმნელი გიორგი მთაწმინდელი, დამკვეთი ეგნატი ხუცესმონაზონი, გადამწერი – მოსე ხუცესი. ხელნაწერი დათარიღებულია ქრონიკონით: ტ (300) და ე (5).

მომგებლის ანდერძი (77r-v):

„დიდებაჲ ღმერთსა, სამებით დიდებულსა. დაესრულა საწელიწდოჲ საწინასჲსწარმეტყველოჲ წესსა ზეა ბერძულსა, ახალ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ, სრული ყოვლითურთ და უნაკლოჲ.

მე, სულითა საწყალობელმან ეგნატი, დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი საწინაჲსწარმეტყველოჲ დიდებულისა ლავრისა შატბერდისათჳს, სალოცველად ღმრთივ გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩუენთა, გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა. საუკუნომცა არს კეთილი საჴსენებელი მეფობისა მათისაჲ; და კუალად სალოცველად ძმათა ჩემთა: იოანე ჭყონდიდელ მთავარებისკოპოსისა და სინგელოზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართაუხუცესისა. და ჩემ ცოდვილისაცა ეგნატისთჳს ლოცვა ყავთ. ღმერთმან დაგაჯეროს. ქრონიკონი იყო ტ და ე. დაიწერა მოსე ხუცისა ხანცთელისა ჴელითა“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 79

გამოცემა: ხელნაწერთა აღწერილობა H-III, გვ 306.

ბერთის (II) სახარება, XII ს. Q-906.

342 ფრ. ეტრატი, ტყავგადაკრულ ხის ყუაზე მომაგრებულ ყდის ორივე ფრთაზე გადაკრული მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტები მოჭედილია ბეშქენ ოპიზარის ხელით. ხელი ნუსხური, სათაურები და საზედაო ასოები – მთავრულით.

მომგებლის შეწირულების ანდერძი (340r-341r):

„სახელითა ღმრ)თისაჲთა), სამებით ცნობილისა და ერთარსებით თაყ[უ]ანისცემულისაჲთა, ესე დაწერილი მე, ი(ოვან)ე ოპიზის მოძღუარმან, დავწერე, გაზრდილმან და დისწულმან ბერისა იოვანე მთავარაჲსძისამან, უნარჩევესმან ყოველთა მონაზონთამან და უცოდვილესმან ყოველთა კაცთამან. ვინაჲთგან დამაბრმობელსა ჩემსა დ[ემე]ტრე მთავარმოწამესა სასოებაჲ და სიყუარული უმეტეს ყოველთა მონასტერთასა ბერთისა მიმართ დაედვა, და ჩ[ა]ნანცა მისნი ნაქმარნი, მეც მივხედე მისთა ნაქმართა და დავდევ სასოებაჲ წმიდათა უზესთაესისა ყოვლად წმიდისა ბერთისა ღმრთისმშობლისა მიმართ, და მუნ შინა დამკჳდრებულთა ღმერთშემოსილთა წმიდათა მამათა: სულკურთხეულსა ბერსა მთავარაჲსძესა სახარებაჲ ებოძა ძმისა ჩემისა სიმონისდა და მან მე დამიტევა. მე ვიშუენ ხატნი წმიდათა მახარებელთანი და ჩაუსუჭნენ ოთხთავე თავთა შინა.

მოვაჴსენე პირველად ესე სახარებაჲ დედასა ღმრთისასა და ბერთასა. და მასვე ბერსა ებოძა ჯუარი ოქროჲსაჲ ჭეშმარიტითა ნაწილითა, – მოვაჴსენე იგიცა. ვენაჴი მეყიდა ბერთისაგანვე სამეოცდაათ ბოტინატად და დიდი ჭირი მენახა ვენაჴისა აშენებასა და ზედა სახლისა აგებასა – მოვაჴსენე იგი ვენაჴიცა. და კუალად მოვიგონე, რომელ უმიწოჲ

საუკუნოჲ აღაპი არა დამტკიცდებოდა, მოვაჴსენე თორმეტი ბოტინატი და მათ მიბოძეს წისქულის-ჴევისა აგარაჲ, კარსა ზედა, ნაფუზრითა და სამსთჳსა ყანებითა. მსგავსი ჩემისა გულსმოდგინებისაჲ და სასოებისა. და სიყუარულისათჳს გამიკუჱთეს აღაპი: დღესასწაული დიდებული, მიგებებაჲ უფლისა ჩუ)ნისა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე ს ი , რომელ არს ლამპრობაჲ.

ჰოი, ყოვლად წმიდაო დედოფალო ღმრთისმშობელო! შეიწირე მცირედი ესე შესაწირავი, გარნა მდიდარი სარწმუნოებითა წიგნი ძისა შენისაჲ ქუჱყანასა ზედა ქცევისაჲ!

და ჯუარი, რომელსა ზედა განიპყრნა ჴელნი ჴსნისათჳს ჩუენისა და მიწანი ესე, რომელნი მომეგნეს მე, მიწასა და ნაცარსა. და გჳოხონ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენ ყოველთაჲსა დღესა მას საშინელსა განკითხვისასა, მე, ცოდვილი ესე, და ძმანი ჩემნი ს ჳ მ ო ნ, ბ ა ს ი ლ ი და ნ ი კ ო ლ ო ზ, და ნუ მოიჴსენებ ცოდვათა ჩუენთა. არამედ გუასმინე ჴმაჲ იგი სანატრელი.

და თქუენ, ღმერთშემოსილნო წმიდანო მამანო, მკჳდრნო ბ ე რ თ ი ს ა ნ ო, აწ მყოფნო და კუალად მომავალნო, ნუმცა დავიწყებულ ვიქნებით წმიდათა ლოცვათა თქვენთა! და ევედრნეთ ჩუნთჳს ღმერთსა. მოძღუარსა ი ო ვ ა ნ ე ს, ს ი მ ო ნ ს, ბ ა ს ი ლ ს ა და ნ ი კ ო ლ ო ზ ს შეუნდნეს ღმერთმან!

და რომელმან წინამძღუარმან, ანუ საქმისმოქმედმან კაცმან, რამანცა გუარმან ბ ე რ თ ა ს შინა მყოფმან, ჩუენი საქმე უდებ ქნას, ანუ ლოცვასა დაგუაკლებდეს, ანუ აღაპსა არა გარდაიჴდიდეს ყოვლითურთ უნაკლოსა, კეთილითა უხუჱებითა, ხუცესთა საწირავისა მიცემითა, ჩუენ ოთხთავე ძმათათჳს, ღმერთმან გასცეს პასუხი. ამისთჳს უფრო, რომელ ძალითა ღთისაჲთა, ყოველივე მეტნეულად იქმნების.

და რომელმან ამის შეწირულისა გამოხუებაჲ ინებოს, რამანცა გუარმან ქრისტეანმან კაცმან სახარებისა, ჯუარისა, ვენაჴისა, აგარაჲსა და ყანათჲ, და ესე თქუას, თუ: „ეკლესიისაჲთა გარდაიჴდებოდის და ესე ჩუენ ვიჴმაროთ!“ და აღაპსა მობეგრვით გარდაიჴდიდეს, ანუ სრულიად გარდააგდებდეს, კრული იყოს კაცი იგი ცათა შინა და ქუჱყანასა ზედა. პირველად დაუსაბამოჲსა ღმრთისა პირითა, ყოვლად წმიდისა ღთისმშობელისა მადლითამცა კრული არს; წმიდათა ზეცისა ძალთა, მთავარანგელოზთა და ანგელოზთა მადლითამცა კრულია, წმიდისა ძელისა ცხოველსმყოფელისა და ძალითამცა კრულია, წმიდისა ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს დ მ ც ე მ ე ლ ი ს ა მადლითამცა კრულია, წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა მადლითამცა კრულია; წმიდათა წინასწარმეტყუჱლთა, წმიდათა მღდელმოძღუართა, ახოანთა მოწამეთა და ნეტართა მამათა მადლითამცა კრულია, და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუჱყანისათაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე ს ა. ამათ ყოველთა წმიდათა მადლითმცა კრულია. და და-მცა-ისჯების ნ ი ს ტ ო რ ს და ო რ ო გ ი ნ ე ს თანა და მგმობართა თანა წმიდისა ღმრთისა მშობლისათა. და დაეცემის მის ზედა ცეცხლი მეგჳპტური და მო-მცა-უღებიეს კეთრი გ ე ე ზ ი ს ი, შიშთვილი ი უ დ ა ჲ ს ი, განღებაჲ ქუჱყანისაჲ დ ა თ ა ნ და ა ბ ი რ ო ნ ი ს ი; და და-ცა-ისჯების ყოველთა ღმრთისა მგმობართა და უარისმქნელთა თანა. და რომელმან ესე საქმე კეთილად იღუაწოს და გულსმოდგინედ, მივედინ კურთხევაჲ უფლისაჲ მის ზედა.

ხოლო თქუენ, წმიდანო მამანო ბერთელნო, აწ მყოფნო და კუალად მომავალნო! მომადლებისათჳს ღმრთისა, გულსმოდგინებით მოისმინეთ ესე ჩემი მოჴსენებული

და იღუაწეთ სული ჩემი და ჩემთა ძმათაჲ! და ამასცა გევედრები, რათა დიდებულსა დღესასწაულსა ჯუარისა ამღლებასა, ამას ჩემეულსა ჯუარსა აღამაღლებდეთ, რომელ ესე ჯუარი ამას უდაბნოსა არა გამოეჴუას და ჩუენცა დაგულოცვიდეთ. კუალადცა გევედრები, რომელ ვნებისა კჳრ[ი]ა[კ]ესა ესე ჩემეული სახარებაჲ წაიკითხეოდის, და რაჲ საკითხავი გასრულდებოდის, ჩუე)ნ დაგულოცვიდეთ.

და მოწამე არს ამას, ჩემსა დაწერილსა, თავად ღმერთი, წმიდაჲ ღმრთისმშობელი, წმიდაჲ ი ო ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი და ყოველნი წმიდანი ზეცისა და ქუჱყანისანი; წინამძღუარი მ ი ქ ა ე ლ , მ ო ძ ღ უ ა რ ი ო ქ რ ო პ ი რ ი, დ ე კ ა ნ ო ზ ი ს ტ ე ფ ა ნ ე და ყოველი ერი ბ ე რ თ ი ს ა ჲ, დიდი და მცირე.

დეკანოზო! გევედრები, რომელ ესე სახარებაჲ დიაკონთა სათრეველად არა შეჰქნა და უეკლესიოდ ღამესა არასადა გაარებდე. და უკუეთუ ვინმე სენაკსა შინა დაიდვას, ესემცა წმიდანი მახარებელნი მრისხანენი არიან მისნი. დიდებაჲ ღმერთსა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 83-86

გამოცემა: ხელნაწერთა აღწერილობა, Q-II, გვ. 319-320.

წყაროთავის სახარება, 1195 წ. Q-907

277 ფრ. ეტრატი, ყდა მოცილებულია, დარჩენილი ყდის ტყავის ყუა, შემკული ვერცხლის ღილებით. ხელნაწერი დაშლილია რვეულებად. ყდის ორივე ფრთაზე დაკრული მოოქროვილი ვერცხლი მოჭედილია ბექა ოპიზარის მიერ, რაზედაც იუწყება ჭედური წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექაჲ ოპიზარი“. ნუსხური, მომგებელი იოვანე მტბევარი, გადამწერები: მნათე იოვანე ფუკარალაისძე და გიორგი სეთაჲსძე.

მომგებლის ანდერძი (273r):

„სახელითა ღმრთისაჲთა, სამებით ცნობილისა და ერთარსად თაყუანისცემულისაჲთა; მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, ძალითა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისაჲთა, ფარვითა წმიდათა ზეცისა ძალთაჲთა; მადლითა და შეწევნითა წმიდისა ი ო ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ს ა ჲ თ ა; შეწევნითა და მეოხებითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთაჲთა; მადლითა და მეოხებითა სასოჲსა და შესავედრებელისა ჩუენისა მამისა-მამათაჲსა წ მ ი დ ი ს ა ს ა ბ ა ჲ ს ი თ ა და ყოველთა წმიდათა ღმრთისა ნებისმყოფელთაჲთა. ღირს ვიქმენ მე, არაღირსი და სულითა საწყალობელი ი ო ვ ა ნ ე ს ა ფ ა რ ე ლ - მ ტ ბ ე ვ ა რ ი და წმიდაჲ ესე ოთხთავი დავაწერიე და მოვაჭედიე ყოვლად სრულებით: თვალითა და მარგალიტითა, ხატითა და ზანდუკითა, კანონითა და ქრონიკონითა სრულითა და დავდევ წ ყ ა რ ო ჲ ს თ ა ვ ს ხატსა ღმრთეებისა წინაშე, სადიდებელად და სალოცველად ღმრთივ-გჳრგჳნოსანთა მეფჱთა ჩუენთა – თ ა მ ა რ ი ს და დ ა ვ ი თ ი ს თ ჳ ს, საჴსრად და სალოცველად საწყალობელისა სულისა ჩემისა, მოსაჴსენებლად მშობელთა და ძმათა ჩემთათჳს, ცოცხალთა და გარდაცვალებულთა. და ოთხთავსავე თანა მოვაჴსენე ერთი ხატი ყ[ოვლა]დ წმიდისაჲ, თეთროანად დახატული, ზარხუდ მოჭედილი. აწ, ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან რაჲსაცა მიზეზისა მოღებითა გამოაჴუნეს მონასტერსა წ ყ ა რ ო ჲ ს თ ა ვ ს ა, გამო-მცა-ჴუებულ არს წესისაგან ქრისტეანეთაჲსა და ყოველმთაცა ღმრთისა უარისმქნელთა და ი უ დ ა ი ს კ ა რ ი ო ტ ე ლ ს ა თანა არს ნაწილი და მკჳდრობაჲ მისი; და კრულმცა არს

ღმრთისა დაუსაბამოჲსა სიტყჳსა პირითა გაუჴსნელად მკუდარი და ცოცხალი. და ყოველთა წმიდათა მადლითა აქა და საუკუნესა და ბრალთა ჩემთათჳს ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

და, თქუენ, წმიდანო და ღმერთშემოსილნო მამანო წყაროჲსთაველნო, შესაწირავი ესე ჩემი სასოებით მიითუალეთ, შეინახეთ და კრძალულებით იჴმარებდით მცნებისათჳს უფლისა, და მე წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ნუ დამივიწყებთ, რათა ღმერთმან თქუენცა სასყიდელი მოგანიჭოს.

ამას ოთხთავსა ზედა არს ორასისა დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქროჲ, თვლები და მარგალიტი; და ოქრომჭედლისა ჴელთფასი კ˜გ (23). და ვინცა ცუარი ანუ ღილოკილოჲ დააკლოს, და შეუცვალოს რაჲ ამას ნაჭედსა, კრულმცა არს მკუდარი და ცოცხალი გაუჴსნელად“.

გადამწერის ანდერძი (180r):

„უფალო ღმერთო! შეიწყალე სული გლახ ი ო ვ ა ნ ე ფ უ კ ა რ ა ლ ი ს ძ ი ს ა ჲ. და ვინცა აღმოიკითხვიდეთ ამას ლ უ კ ა ჲ ს თვსა, ნუ დამწყევთ ღმრთისათჳს, დღითა მოხუცებულ ვიყავ, ოდეს ესე დავწერე და თუალთა სინათლეცა მომკლებია. ღმერთმან გარწმუნოს, სულისა ჩემისათჳს ლოცვა ყავთ. სასყიდლით წერაჲ დასტურა არა მიშლის ლოცვასა“.

გადამწერის ანდერძი (272r):

„დაიწერა და გასრულდა ჴელითა ორთა მწერალთაჲთა: ი ო ვ ა ნ ე ს ფ უ კ ა რ ა ლ ი ს-ძ ი ს ა მ ნ ა თ ი ს ა ჲ თ ა და გ ი ო რ გ ი ს ე თ ა ჲ ს ძ ი ს ა ჲ თ ა. აწ, ვინცა იმსახურებდეთ, ნუ დაგუწყევთ ღმრთისათჳს, არამედ თქუთ: „უფალო! შეუნდვენ ცოდვანი მათნი, ამინ! ქრონი-კონი იყო ვე“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 83

გამოცემა: ხელნაწერთა აღწერილობა Q-II, გვ.324-326.

ტბეთის სახარება, XII ს. Q-929

321 ფრ. ეტრატი, ძლიერ დაზიანებულია ხელნაწერის ფურცლები და ხის ყდა, რომელზედაც შერჩენილია ვერცხლის ფირფიტის ნაწილები მოჭედილობის ფრაგმენტებით. ხელი ნუსხური, მომგებელი პავლე მტბევარი, გადამწერი იოვანე ფუკარალისძე.

მომგებლის ანდერძი, ძლიერ დაზიანებული (289 r):

„სახელითა ....უფლისათა ...თა წმიდათ ზეცისა[თა], [...] მადლითა წმიდისა [ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი] ს მ ც ე მ ე ლ ი ს ა ჲ თ ა; შეწევნითა და წარმართებითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა, პ ე ტ რ ე ს და პ ა ვ ლ ე ს ა თ ა და ყოველთა წმიდათა ღმრთისა ნებისმყოფელთაჲთა, ღირს ვიქმენ არაღირსი, სულითა საწყალობელი პ ა ვ ლ ე ჯ(უა) არის მყ˜ვნი (?), ღმრთისა მოწყალებითა და სახიერებათა მიერ საყდარსა ტ ბ ე თ ი ს ა ს ა დაპყრობად, გამზრდელისა ჩუენისა ღმრთივ-გჳრგჳნოსნისა მეფეთ მეფისა დ ი მ ი ტ რ ი ს მიერ, რომელი მკჳდრმცა არს მარჯუჱნითა [ქ რ ი ს ტ ე ს] დასაყდრებული. და მიანიჭა ღმერთმან ძესა მათსა გ ი ო რ გ ი ს მეფობაჲ, ლომთა უმჴვნესსა და არწივთა უმალესსა და მისცა ღმერთმან ურიცხჳ ძლევაჲ და გამარჯუჱბაჲ ყოველთა წინააღდგომთა მისთა ზედა მეხუთესა წელსა აი... ვ ... თგან....ტყ[ვი]თ[ა]...ა ნ ი ს ი ს ა ს ა ....[ა]თასითა [სწ...] ... და ეზომ [...]თა იყოს მის ..... [რ(ომე)ლ], მსგავსად [...]ისა და გ ე დ ე ო ნ ი ს ა, მცირითა ერითა სძლო ურიცხუსა

მას სიმრავლესა ბარბაროზთასა და მოკლვით და ტყუ[illegible]ობით მოსწყვდეს ოცდაათექუსმეტი ჩ კაცი. დაუტევეს საჭურჭლე: ურიცხვ კარვები, ცხენი, აბჯარი და ყოველი [ს]აქონები მათი; დაიპყრეს თავადი ამირები; ს უ ქ მ [ა] ნ ი ს - ძ ე ძლივ წარვიდეს, დაკოდილ-ჩამოგდებული. ღმერთმან უმეტესი ძლევაჲ და წარმართებაჲ მისცეს მეფობ[ა]სა მათსა და კურთხევაჲ საუკუნოჲ და დიდებისა ...ბისა თვსისა იზიარებს, ამინ.

საყდარსა ტბეთისასა ... იკ... ნი წიგნი მრავალნი და ... წ[იგ]ნი ... თა ამა მ[გ]...ანისა კითხვაჲ საჭირო იყო და დიდაჲდ იჭრვოდეს. დავაწერიე ესე ოთხთავი სრული და უნაკლოჲ კარგითა და მართლითა ზანდუკითა და კანონითა, სალოცველად ღმრთივ-გვრგვნოსანთა მეფეთა: დ ი - მ ი ტ რ ი , გამზრდელისა ჩემისა და გ ი ო რ გ ი , ძისა მათისა, და საკსრად საწყალობელისა სულისა ჩემისა, და [სალოცველად] სულთა ჩემ[თა დედა-მამათა] და ძმათა ჩემთა: გ [ი ო რ - გ [ი , თ [ე ვ დ ო რ] ე , კ [ვ რ ი კ] ე ს ა , დათა ჩემთა: ცხ [ო] რ [ე] ბ [ა] ი , გ უ რ ა - ნ დ უ ხ ტ და ნ ო ნ ა ჲ ს ი ; დისწულთა ჩემთა: [ნ ი კ ო ლ ო ზ], ქ უ თ ა თ ე ლ მ (თ - ვ ა რ) ე (პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა) და ა რ ს ე ნ ი , ქ უ თ ა თ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ი ს ი - ს ა , ი (ო ა ნ) ე ა ნ ჩ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ი ს ი ს ა , ა ნ ტ ო ნ ი , ო პ ი ზ ი ს ა წ ი - ნ ა მ ძ ღ უ რ ი ს ა , ა რ ს ე ნ ი , დ ი მ ი ტ რ ი ს მ ე ფ ი ს ა მ წ ი რ ვ ე ლ ი ს ა და ყოველთა თვსთა და ნათესავთა ჩემთათვს, დავდევ საყდარსა ტ ბ ე თ ი ს ა ს ა წმიდათა მ[ათ] [ყოვ]ელთა წ[ინა]შე ესე ოთხთავი, ზატიკნი, იბიკონი...

...ნი და სტიქარონი [და დავა]სუ[illegible]ნე ხატი დია შ[ინ]ა...“

ყდის მოჭედილობის წარწერა:

„ქ. რომელთაჲ ბრძ[ა]ნა მოძღ[უ]არმ[ან] თქ[უ[illegible]]ნმ[ა]ნ დასხდომ[ა]ი საყდ[ა]რთა ზედა დღ[ე]სა განკ[ი]თხვ[ი]სასა, მაშინ მეოხ მექმენით სულ[ი]თა საწყალობელსა, ი [ო ვ ა ნ] ე მ ტ ბ ე ვ ა რ ს ა ს ა ფ ა რ ე ლ ს ა, ამინ“.

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 96

გამოცემა: ხელნაწერთა აღწერილობა Q-II, გვ.355-356.

ფსალმუნი XV-XVI სს. H-1717

233 ფრ. ეტრატი, უყდო, ხელი ნუსხური, მელანი მუქი ყავისფერი, საზედაო ასოები – სინგურით.

სულთა მოსახსენებლები (232v-233v):

„წელთა დასაბამითგანთა ექუსიათას ცხრაას ოთხმოცდაორსა, ოკდონბერსა ათსა, მწუხრი კვრიაკისა, რომელ ორშაბათად განთენდებოდა, ძმაჲ მათი მჴნე, ახოვანი, ღმრთის მოყუარე ბ ა ა დ უ რ ამიერ სოფლით მიიცვალა და ღმრ)თისაჲ მივიდა წლისა ოცდა ერთისა.

წელთა დასაბამითგანთა ექუსიათას ცხრაას ოთხმოც და ჩვდმეტსა, დეკენბერსა თურამეტსა, დღესა პარასკევსა, დედაჲ მათი ღმრთთისმოყუარე, ობოლთა და გლახაკთა შემწყალე, მსგავსი წმიდათა დედათა, პ ა ტ რ ო ნ ი დ ე დ ი ს ი მ ე დ ი განვიდა წარმავალისა ამისგან და მივიდა საუკუნეთა მათ წარუვალთა, წლისა ორმოცდათოთხმეტისა.

წელთა დასაბამითგანთა შვდიათას და ექუსსა, ივლისსა ერთსა, დღესა კვრიაკესა, მიმწუხრი, მამა მათი მჴნე, ღმრთისმოყუარე, სახელგანთქმული, საღმრთოჲთა და საკაცობოთა

ყოვლითა ზნითა შემკუ[ლი], პ ა ტ რ ო ნ ი ყ უ ა რ ყ უ ა რ ე ამიერ სოფლით გარდაიცვალა და წარვიდა სავანეთა მათ საუკუნეთა, წლისა ოთხმოც და ორისა. დღე აკლდა ორმოცდა თხუთმეტი, რომლისა საუკუნოჲ იყავნ ჴსენებაჲ მათი.

წელთა დასაბამითგანთა შჳდიათას და რვასა, მაისსა ექუსსა, დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა მეექუსესა დღისასა, პირმშოჲ ძმა მათი ღმრთისმოყუარე, მჴნე, უძლეველი, მჴედარი განთქმული, ახოვანი ბრძოლითა ბრძოლათა შინა, ყოვლითურთ და ყოვლადვე უმჯობესი ყოველთა კაცთა ამ ჟამისათა, სრული საღთოჲთაცა შინა და საკაცობათა, პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ ქ ა ი ხ ო ს რ ო განვლოჲ მდენი ესე და წარმავალი საწუთოჲ და ღმრთისაჲ მივიდა, რომლისაცა ტრფიალ იყო და სუროდა, წლისა ორმოც და ცამეტისა, რომლისა საუკუნოჲმცა არს ჴსენებაჲ მათი.

წელთა დასაბამითგანთა შვიდიათას ოცდასამსა, [ი]ვნისსა ხუთსა, დღესა სამშაბათსა, ჟამსა მზის [ა]მოსლვისას, ძმაჲ მათი, ღმრ)თის მოყუარე, მჴნე, უძ[ლეველი] ...“

კომენტარი იხ. აქვე, გვ. 153

გამოცემები: ხელნაწერთა აღწერილობა H-IV, გვ. 150, ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), გვ.258- 259.

ოთხთავის ანდერძი, ფრაგმენტი XVI-XVII სს. H-1697

2 ფრ. ქაღალდი, ნუსხური. გადამწერ რომანოზის ანდერძი (2 r):

„... დიდებაჲ ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, სრულ იქმნნეს წმიდანი ესე ოთხთავ[ნ]ი სულითა განმანათლებელი ბრძანებითა ღმრთისათა. იყო კაცი ვინმე მოშიში უფლისაჲ, რომელსა სახელი ერქუა ა ვ ქ ს ე ნ ტ ი, და ესე ღუაწლსა და სამსაჲხურსა შინა ღმრთისასა. და თავისა საბურველი მოიჴ[ა]და და ფერჴთა განიხადა და არაოდეს იხილა გემოჲ ჴორცისაჲ და არცა ჭამა წუველა, და სიცხე ზაფხულისა და სიცივე ზამთრისა – ყოველივე მოითმინა. და ვითარცა გულის ჴამაჲ-ყო შიშ უფლისაჲ, მსწრაფლ იწყო შენებად და მრავლითა ღონისძიებითა აღაშენა წმიდა ეკლესიაჲ წ მ ი დ ი ს ა ჲ გ ი ო რ გ ი ს ა თემსა მას ბ ა ნ ი ს ა ს ა, რომელსა ქ ა რ გ ლ უ ხ ი ეწოდების, და მრავალნი ნაწილნი დაასუენნა. ჟამსა მას იჯდა ბატონად უსჯულო სანჯახი, რომლისა სახელი ერქუაჲ თათრულისა ენითა ბაადინ-ბეგ. ესმა რა აღშენებაჲ ტაძრისა მის, მოიყუანეს კაცი იგი ღმრთისაჲ და დილე[გ]სა შინა შთააგდეს, და ევედრებოდა ბერი იგი ღმერთსა და წ მ ი დ ა ს ა გ ი ო რ გ ი ს და მიერ დღეთაგან მისდა სას[თ]უნალად იყო შიშულად ქვა და ტანისამოსად და საგებელად ერთი ჩოჴა. და ყოველივე სიხარულ[ით] მოითმინაჲ. და ღამესა ერთსა ძილსა შინა ჩუᲭნებაჲ რამე იხილა ბატონმან მის დილეგისამან. და აღმოიყვანეს ბერი იგი და წ მ ი დ ა ს ა გ ი ო რ გ ი ს შესაწირავიცა შესწირეს, და მრავალნი სასწაულნი ქმნის წ მ ი დ ა მ ა ნ გ ი ო რ გ ი. და მას უკუნითი ოთხთავი ესე იყიდა და წ მ ი დ ა ს ა გ ი ო რ გ ი ს შესწირა. და წყარო გრილი გამოადინა სულისა მისისაჲ საჴსრად. საუკუნოსმცა არს ჴსენებაჲ და კურთევაჲ ავქსენტისი, ამენ, კჴრიელეისონ“.

გამოცემა: ხელნაწერთა აღწერილობა H-IV, გვ 121-122.

ფიცის წიგნი ანჩელ ქერობინ აბელისძისა დავით კათალიკოსისადმი

[1453-1459 წწ.] Ad-512

დედანი, ქაღალდი, შავი მელანი, მხედრული ხელი; საბუთი გაცემულია დავით IV კათალიკოსის ზეობის წლებში (1447-1459).

[ქ. სახელითა] ღ(მრთი)სა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა; თავსმდებობითა, ოხითა და შუამდგომ[ე]ლობითა ყ(ოვლა)დ წმიდისა, უხრწნელისა და უმეტეს კურხეულისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ა თ ა; თავსმდებობითა და შუამდგომელობითა პატიოსნისა და ცხოველსმყოველისა ჯუარისა ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ჴორცითა ქ რ ი ს ტ ე, ღ(მერ)თი ჩუენი, ჴნისათუის ჩუენისა.

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წ(მიდა)თა ზეცისა ძალთა: მ ი ქ ა ე ლ და გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა თ ა, ცხრა არვეთა და ცხრათავე დასთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა; თავსმდებობითა და შუამდგომელობითა წმიდისა ი ო ა ნ ე წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისათა; და წმიდისა ი ო ა ნ ე მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი ს ა და ღ(მრ)თისმეტყუელისათა; თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წ(მიდა)თა თავთა მოციქულთა პ ე ტ რ ე ს და პ ა ვ ლ ე ს ი თ ა, ათორთა მოციქულთა და სამოცდაათეულთა მოწაფეთათა და წ(მიდა)თა მოწაფეთა: გ ი ო რ გ ი, თ ე ო დ ო რ ა, დ ი მ ი ტ რ ი; და უფროსღა ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრ{ე}ს-უზეშთაესისა კათოლიკე დედაქალაქისა მცხეთისა საყდრისა და მა[ს] შინა ღ(მრ)თივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღმერთ-მყოველისათა; და ყოვლად საშინელისა ანჩისა ხატისა თავსმდებობითა.

ამა ყოველთა ღ(მრ)თისა წ(მიდა)თა, ზეცისა და ქვეყანისათა, თავსმდებობითა და შუამდგომლობითა ესე წიგნი და პირი [გ]კადრეთ თქუენ, ქ რ ი ს ტ ე ს ღმრთისა მიერ ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს ა დ ა ვ ი თ ს, მე, ა ბ ე ლ ი ს ძ ე მ ა ნ ა ნ ჩ ე ლ ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ მ ა ნ ქ ე რ ო ბ ი ნ, მის ჟ{ა}მისა შედეგად, ოდეს მაწყუერელი და სამცხისა ეპისკოპოზნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარის თავზედა და თქუენ დიდითა ხუაშნითა მაკურთხეთ.

აწ, დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიჴსენებდეთ. ვინ[ცა] თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუენენ, ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდოებლი იყოს. თქუენგან შეუნდობელთა ებისკოპოზთა გუერდი[თ] ჟამი არ ვწიროთ, სადამდის თქუენგან აჴსნილობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუი[ვიდეს]. ვის სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლოცველნი ვიყუნეთ.

და თუ ყ უ ა რ ყ უ ა რ ე მ ა წ ყ უ ე რ ლ ო ბ ა და ანუ სხუა რ ა მ ე ჴ ე ლ ი გ უ ა ძ ლ ი ო ს და დ ა გ უ პ ა ტ ი ჯ ო ს კურთხევისა მიზეზით, სადამდის თქუ{ე}ნსა საყდარსა არა დაემორჩილნენ, და რაზედაცა უწყრებით თქუენ[ი]სა საყდრისა წესითა, იგი ისრევე არა დაგეურვოს, როგორაცა თქუენ და თქუენსა საყდარსა გმართებს, მით წესითა.

ს ხ უ ა ჴ ე ლ ი ა რ ა გ ა მ ო ვ ა რ თ უ ა და ა რ ცა რ ა ვ ი ნ დ ო მ ო თ ქ უ ე ნ { ა }

დ დ ა უ მ ო წ მ ე ბ ლ ა დ დ ა შ ე უ ნ დ ო ბ ლ ა დ. თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიქმნეთ და ერდგულთა მოყუარენი მლოცველნი ვიყუნეთ, ვითა წესად ძეს, მეძღუნენი და მოსამსახურენი.

ესე ასრე გაგითაოთ ღმერთმან, მამამან და წმინდამან სულმან და იმა საშინელმან ხატმან ანჩისამან. და რასაცა მიზეზისათუის ესე აღთქუმა გიტყუვოთ და არა გაგითაოთ თქუენისა კურთხევისა წილ, წყევასა ქუეშე ვიყუნეთ ღმრთისა და მისთა წ(მიდა)თ(ა)სა. და კათოლიკე ეკ-ლესიისაგან განუისხნეთ, ვითარცა ურჩნი და ძვრის მოქმედნი. და ვინცა, ანუ სამწყსომან, ანუ სხუამა-ვინ კაცმან შემიწყნაროს, იგიმცა კაცი კრულია ღმრთისა დ{ა}უსაბამოსა პირითა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

სადამდი[ს] თქუენვე არა შეიწყალოთ, მას გარეთ მაწყვერლობა და ანუ სხუა ჴელი რამე გუაძლიოს, არა გამოვართუათ ყუარყუარეს თქუენდა დაუმოწმებლად და ბატონისა ჩემისა უზიანოთა საქმითა საყდრისა თქუენი[სა] ერდგულნი ვიყუნეთ, ამა ზემო წერილთა მადლმან და ძალმან.

გამოცემები: თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ.267-268 (შემოკლებით);
ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 218-220.
ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, გვ. 70-72.

[1510-1516]. წიგნი ანტიოქიის პატრიარქ დოროთეოსისა მაწყვერლისადმი მისთვის ეპისკოპოსთა კურთხევის უფლების მინიჭების შესახებ

არაბულად შედგენილი დოკუმენტის ქართული თარგმანის დედანი; Ad-503; ქაღლდის ორი სხვადასხვა ზომის ფრ. არაბული დოკუმენტის ზომა: 61,5X26; ქართულის – 43 X 26,4; ხელი ნუსხური; შავი მელანი. ქართული ტექსტი, მსგავსად სხვა დოკუმენტებისა, იწყება ქრისტეს მონოგრამის აღმნიშვნელი „ქ“ გრაფემით, რომელიც შემკულია ქრისტეს ბერძნული მონოგრამით და დაქარაგმებული ბერძნული ნ˜კ (ნიკე) გრაფემებით („ქრისტეს ძლევა“).

ქ. დიდებაჲ ღმერთსა, მარადის ყოვლისა შემძლებელსა და დიდებულსა, ამინ.

მლოცველი, მოყვარე სულთა თქუენთა წყალობითა ღმრთისათა, დ ო რ ო თ ე ო ს პ ა ტ რ ი ა რ ქ ი დიდისა ღმრთისა ქალაქისა ა ნ ტ ი ო ქ ი { ი } ს ა და ყოვლისა აღმოსავლეთისა, მოგიმცნობ:

წყალობაჲ და მშვიდობაჲ და შეწევნა უფლისაჲ ჩუენისა ი ე ს უ ს ქ რ ი ს ტ ე ს მიერ თქუენ ზედა, და ყოველსა საბრძანებელსა თქუენსა, რომელმან განამტკიცნა წმინდანი მოციქულნი სიონს, ქორსა მას ზედა, განყოფითა ცეცხლისა ენათათა.

და მისცა ცნობაჲ ყოველთა ენათა და მათ მიერ მოინადირნა ყოველნი ნათესავნი. ლოცვაჲ მათი და კურთხევაჲ გარდამოვედინ სულთა და ჴორცთა თქუენთა ზედა და ყოველსა საბრძანებელსა თქუენსა, რომლისა ბრძანებითა ვიიძულენით თქუმად ამას დიდსა პ ა ტ რ ო ნ ი ს ა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი ს მიერ, რამეთუ მაგან ოდენ მხოლომან იყურჭუმა ჭეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისაღებისასა, რამეთუ სადაცა მიიწიოს ღონე მაგისი და დათრგუნოს ქუეყანაჲ მტერთა თჳნიერ ბრძოლისა, მოსცეს ღმერთმან ადგილი იგი, ანუ რომელთა იხილონ წუჱრი ჰოროლისა მისისა, თჳნიერ კუჱთების, ლტოლვილ ქმენინ

ყოველნი წინააღმდგომნი მისნი, პატიოსნისა და ღმრთისა მიერ განმტკიცებულისა და განძლიერებულისა დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა პ ა ტ რ ო ნ ი ს ა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი ს ა გ ა ნ. სამარადისოდ ყოს ღმერთმან პატივი და დიდებაჲ, ძალი და სიმტკიცე მათი უკუნისამდე; და აღამაღლოს პატივი მისი და ბედნ[იერ] ყოს.

და დაანთქნეს მტერნი მისნი და მოსცეს ძლევა მათ ზედა მას და ყოველსა მჴედრობასა და ერსა მისსა. და ადიდოს სახელი მისი მზისა და მთოვრისაებრ და სრულყოს ყოველი ნებაჲ და წადილი მისი უფალმან და ღმერთმან ჩუენმან ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ. და გარდამოავლინოს მას ზედა მადლი და კურთხევაჲ მისი, რომელსა უპყრიეს სჯული და მცნებაჲ ღმრთისაჲ და სიმართლით ჰმსახურებს ეკლესიასა და სჯულსა მართლმადიდებელთასა.

მერმე, ებრძანა აწყურისა ღმრთისმშობლისა საქმენი პირველნიცა და უკანის რაჲ გარდაჰჴდა, და თუ რაბამნი სასწაულნი აღას[რულნა]. და ვეტყი ნება-სურვილითა და სიყუარულითა მისითა და ვევედრები, რაჲთა მეცა ღირსმყოს ხილვად და თაყუანისცემად მისა.

და ესეცა, ვთარმედ, აწცა წარუვლენიან კაცნი სოფ[ელ]ს გუერდის. და ჩუენიცა ებისკოპოზი ყოფილიყო მათ წინაშე, სახელით გ რ ი გ ო ლ , ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი ბ ო ლ ო ზ ნ ი ს ა. და მას თჳთ განეცადა ყოველი საქმე, და თუალითა ეხილა და, გულისჴმაჲ-ეყო უსჯულოებაჲ მეფეთა და ერისა მათისა.

და პ ა ტ რ ო ნ ი ს ა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი ს ღმრთისმოშიშებაჲ და მართლმადიდებლობაჲ და ღმრთისმოყვარებაჲ, ყოველივე განგუაცადა და გულისჴმაჲ-გვიყო; და ეგრეთვე მაწყუერლისა სიკეთე და ღმრთის მოშიშებაჲ და მართლმადიდებლობაჲ და მეცნიერებაჲ და სჯულთა ღმრთისათა კეთილად პყრობაჲ და დაცვა მცნებათა ღმრთისათა.

ამისთჳს ვითარცა ჯერ-იყო და სამართალ, მადლითა ღმრთისათა და შეწევნითა დიდისა მოციქულთა თავისა პ ე ტ რ ე ს ი თ ა, ვინებეთ და მას მივათუალეთ ყოველი საბრძანებელი პ ა ტ რ ო ნ ი ს ა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი ს ი, რაჲთა ებისკო[პო]ზნი მისგან ეკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა ჰმორჩილობდენ. და სჯულთა მისთა ერჩდენ და მისგან იმწყსებოდენ.და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყუნენ და მაწყევარნი მისნი წყეულ. და მ ი ს დ ა მ ი გ უ ი ც ე მ ი ე ს , მ ა დ ლ ი თ ა ღ მ რ თ ი ს ა თ ა ჴ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა ჲ შ ე კ რ ვ ი ს ა დ ა გ ა ნ ჴ ს ნ ი ს ა. და რომელნი აკურთხნეს, კურთხეულ იყუნენ; და რომელნი შეკრნეს, შეკრულ იყუნენ, ამინ.

გამოცემები: თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 317-318; ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ.240; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 40-42.

ქართლის საპატრიარქოს სამწყსო და სამფლობელოები სამცხეში: თავადური სახლები და ეკლესია-მონასტრები. 1516 წ. ახლო, Ad-91

დედანი; ქაღალდი, ორი კეფი, ქვემოთა კეფი გადაჭრილი, ისე რომ წაკვეთილია ხელრთვის ქვედა ნაწილი; მელანი გახუნებული ყავისფერი, ხელი მკაფიო მხედრული.

ქ. წმიდისა და და ცათა მობაძავისა, კათოლიკე სამოციქულოსა, საპატრიაქო[სა მ ც ხ ე - თ ი ს ა დედაქალაქისა] ეკლესიისა ძუელთაგან საქონებელნი და სამწყსონი ს ა მ ც ხ ე ს ,

თავადნი და სოფელ[ი]

1. კ ა ვ კ ა ს ი ს ძ ე მისითა მამულითა;
2. პ ა რ ხ ა ლ ი მისითა შესავლითა და აზნაურისშვილებით, საყმოდ [და] სამწყსოდ;
3. ს ა მ ძ ი ვ ა რ ი მისითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა გ ო გ ი ბ ა ს შ ვ ი ლ ს ა აქუს;
4. ბ უ მ ბ უ ლ ი ს ძ ე ნ ი მათითა სასაფლაოთა, მონისტრითა და კარის ეკლესიითა ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ თ ა და ს ლ ე ს ა რ თ ა აქუს;
5. ლ ო ნ გ ო ს ძ ე [ნ ი მათითა] სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ლ ა ს უ რ ი ს ძ ე თ ა აქუს;
6. ჴ ე რ ჴ ე მ ე ლ ი ს ძ ე სასაფლაოთა, მონასატრითა და კარის ეკლესიითა თ ა ქ თ ი რ ი ს ძ ე ს ა აქუს;
7. ჩ ო რ ჩ ა ნ ე ლ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, ერისთავთა-ერისთავი, ხ უ რ ს ი ს ძ ე ს ა აქუს;
8. ღ ო ბ ი ე რ ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა დ ი ა ს ა მ ი ძ ე თ ა აქუს;
9. ა ბ უ ს ე რ ი ს ძ ე ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა;
10. ბ ო ც ო ს ძ ე ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ო ლ ა დ ა ს შ ვ ი ლ თ ა აქუს;
11. ო თ ა რ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, შ ა ლ ი კ ა ს შ ვ ი ლ თ ა აქუს;
12. ხ ე რ თ ვ ი ს ა რ ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ქ ა მ ქ ა მ ი ს ძ ი ს ა ეულზედა არიან, ა მ ა ტ ა კ ი ა ნ თ ა აქუს;
13. თ მ ო გ უ ე ლ ნ ი , სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ თ ა : ე ლ ი ს ბ ა ა ლ ს დ ა ი ო თ ა მ ს აქუს;
14. ბ უ ლ ღ ა დ ა რ ა ს შ ვ ი ლ ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიით რ ჩ ე უ ლ ა ა ნ თ ა და ფ რ ო დ ი ა ნ თ ა აქუს;
15. ა ს პ ა ნ ი ძ ე ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ს ფ ი რ ი დ ო ნ ს აქუს;
16. კ ა ლ მ ა ხ ე ლ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა უ ზ ნ ა ს ძ ე თ ა აქუს;
17. დ უ კ ი ს ძ ე ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა;
18. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა;
19. ს პ ა ს ა ლ ა რ ნ ი სამით სასაფლაოთა, მონასტრებითა და კარის ეკლესიითა;
20. ხ ა ხ უ ლ ა რ ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა;
21. ა ნ ძ ა ვ ე ლ ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა;
22. კ ო პ ა ს ძ ე ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა;
23. თ უ ხ ა რ ე ლ ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა;
24. მონასტერი ო შ კ ი მისითა შესავლითა;
25. დიდი და პატიოსანი ვ ა რ ძ ი ი ს მონასტერი მისითა შესავლითა და ეკლესიის შვილებითა, უნაკლულოდ.

ხელრთვები:

1. მ ა ნ უ ჩ ა რ

2. მ ა ნ უ ჩ ა რ (მანუჩარის ძე)

3. კ(ათალი)კ(ო)ზი – მაკურთხეველი მარჯვენის გამოსახულებით.

კათალიკოსის ბეჭედი წარწერით: რომელი განჰჭსნათ ქუეყანასა ზედა, ჭსნილ იყოს იგი ცათა შინა.

გამოცემები: დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 75-76. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, გვ. 17-18; ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI) გვ. 31-36; ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ.242-244; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 54-56.

დასკვნები

ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად „ტაო-კლარჯეთს“ უწოდებენ, მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, რომელსაც XIII საუკუნის მიწურულიდან სამცხე-საათაბაგოს სამთავრო ეწოდა. IX-X საუკუნეებში ეს მხარე საქართველოს ყველაზე დაწინაურებულ ნაწილს წარმოადგენდა.

ტაო-კლარჯეთში მწიგნობრული კულტურის აღმავლობას ხელი შეუწყო მთელი რიგი პოლიტიკური და კულტურული მოვლენების თანხვედრამ, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა: არაბთა ბატონობის სიმძიმის წლებში (VIII-IX სს.) აღმოსავლეთ საქართველოდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით დიდი მიგრაციული ნაკადების, მათ შორის, ქართლის არისტოკრატიული ნაწილის დაძვრა, რომელმაც თან მოიტანა ქართლის (ძველ ფარგლებში) პოლიტიკური ერთიანობის იდეა; IX საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ ბაგრატიონთა მოთავეობით ტაო-კლარჯეთის სამთავროს შექმნა; ადგილობრივთა და ჩამოსულთა შორის ბერმონაზვნური იდეალების ფართო გავრცელება, მათ მიერ სამონასტრო ორგანიზაციების ჩამოყალიბება და ამ საქმეში ტაო-კლარჯეთის მმართველი დინასტიის სრული მორალური და მატერიალური მხარდაჭერა.

ამ პროცესების ლოგიკური შედეგი იყო ტაო-კლარჯეთში (IX-X სს.) ფართო სამონასტრო მშენებლობის გაშლა (ხანცთა, შატბერდი, წყაროსთავი, პარეხთა, ბერთა, პარხალი, ოშკი, ხახული და სხვ.), რასაც თან მოჰყვა სკრიპტორიუმების და წიგნთსაცავების დაარსება, პროფესიონალ გადამწერ („მწერალ“) ბერთა გამრავლება. საკუთარი სკრიპტორიუმები ჰქონდა ტაო-კლარჯეტში ამ დროს აშენებულ ეპარქიულ ტაძრებსაც (იშხანი, ტბეთი, ბანა).

ტაო-კლარჯეთის მონასტრებში მწიგნობრულ საქმიანობას ასაზრდოებდა აქაური ბერმონაზვნობის მუდმივი კონტაქტები უცხოურ სამონასტრო ცენტრებთან (იერუსალიმი, საბაწმიდა, სინა). ქრისტიანული აღმოსავლეთის ამ უმნიშვნელოვანეს სამონასტრო ცენტრებთან თანამშრომლობა ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობას საშუალებას აძლევდა თავი ერთიანი კულტურული სივრცის ნაწილად ეგრძნო, რაც თავის გამოხატულებას, სხვა „ბერულ სათნოებებთან“ ერთად, მწიგნობრული კულტურის განვითარებაშიც პოულობდა. ტაო-კლარჯეთის სასულიერო მოღვაწეებს სამშობლოში მოჰქონდათ უცხოურ მონასტრეში შეძენილი ლიტურგიკის წესისა და რეპერტუარის ცოდნა, ბერული ასკეზის მრავალფეროვანი გამოცდილება, რომელთა გადმოსანერგად ტაოკლარჯულ მონასტრებში ავრცელებდნენ ასკეტური და ჰომილეტური მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. ქრისტიანული აღმოსავლეთის ცენტრებთან სიახლოვე ხელს უწყობდა ტაო-კლარჯეთის მწიგნობარ ბერთა პროფესიულ ზრდას და მწიგნობარ-რედაქტორთა კატეგორიის გაჩენას, ხელნაწერი წიგნის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური გამოცდილებების ურთიერთგაზიარებას. ტაოკლარჯული ხელნაწერები, მართლაც, სანიმუშოა კალიგრაფიით, მხატვრული და ტექნიკური გაფორმების წესებით.

ტაო-კლარჯეთის მწიგნობარი ბერები (ისევე, როგორც საზოგადოდ, ადრეული შუა საუკუნეების ბერები), თავიანთ ხელობას „ბერულ სათნოებათა“ რიგში განიხილავდნენ, ამიტომ უმაღლესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს, განსკუთრებულ ყურადღებას

აქცევდნენ გადასაწერი ტექსტის ხარისხსა და საიმედოობას. ტაოკლარჯული ხელნაწერები, გარდა ძირითადი ლიტერატურული მასალისა, შეიცავენ ე.წ. ანდერძებს და სხვადასხვა ხასიათის მინაწერებს, რომლებიც მდიდარია ხელნაწერთა თანადროული თუ უფრო გვიანდელი ისტორიულ-ქრონოლოგიური და ლიტერატურული ცნობებით, საღვთისმეტყველო პასაჟებით, იურიდიული შინაარსის ჩანაწერებით, ხელნაწერის შექმნის გარემოებებთან და მის შემდგომ თავგადასავალთან დაკავშირებული ინფორმაციით.

სამხრეთ კავკასიის საზღვრებთან ბიზანტიისა და არაბული საემიროების დაპირისპირებამ ბიზანტიურ პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ტაო-კლარჯეთს IX საუკუნის მიწურულიდან შესძინა. ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ და საეკლესიო ელიტებს მჭიდრო ურთიერთობა უხდებოდათ საიმპერატორო კართან, ახლოს ეცნობოდნენ ბიზანტიის დიპლომატიას, იმპერიულ კულტურას, საგანმანათლებლო ტენდენციებს, საეკლესიო ცხოვრებას და ლიტურგიკულ პრაქტიკას.

ბიზანტიური (კონსტანტინოპოლური) დიპლომატიისა და კულტურის მზარდი გავლენისა და, ამასთანავე, იმპერიასთან ეპიზოდური დაპირისპირებების ფონზე ტაო-კლარჯეთის ბერმონაზვნობაში ყალიბდება ბიზანტიური თანამეგობრობის ხალხებისათვის დამახასიათებელი თავისებური კონფიგურაციის იდენტობა, რომელშიც თანაარსებობს მაღალი ბიზანტიური განსწავლულობა და მისი ეროვნულ ენაზე დაუფლების იდეა. „ქართველის“ კულტურული იდენტობის ამგვარმა გაშინაარსებამ მძლავრი ბიძგი მისცა მწიგნობრული საქმიანობის ახალ ეტაპზე გადასვლას, რომლის მიზანი იყო ბერძნულთან უფრო დაახლოებული, უფრო ზუსტი თარგმანების შექმნა, სათარგმნი რეპერტუარის განახლება, ბერძნულ-ბიზანტიური სწავლულების ქართულ ენაზე გადმონერგვა. ეს იყო ეპოქალური ამოცანა, რომლის განხორციელება ტაო-კლარჯეთიდან წასულმა მოღვაწეებმა ათონის მონასტრის დაარსებით დაიწყეს.

ტაოკლარჯულ ხელნაწერთა უდიდესი ნაწილი ლიტურგიკული დანიშნულებისაა, რაც განსაზღვრავდა ხელნაწერების კალენდარულ სტრუქტურას და ჟანრობრივ ჩარჩოს – ასეთ ხელნაწერთა შორის გვხვდება ბიბლიის ცალკეული წიგნები: ოთხთავები, ფსალმუნი; ჰიმნოგრაფიული კრებულები (იადგარები) და ჟანრობრივად ჭრელი მრავალთავები. დამოუკიდებელ წიგნებად ფორმდება ძველი აღთქმა, პატრისტიკულ-ასკეტური და შემეცნებითი – ეგზეგეტური შინაარსის კრებულები. ხსენებულ კრებულებში ნათარგმნი ტექსტების ნაწილი გაცილებით ადრეულ პერიოდს (V-VII სს.) მიეკუთვნება, რითაც მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული ლიტურგიკული კრებულების ადრეული ტიპის რეკონსტრუქციისათვის. ასეთივე სიძველეს აჩვენებენ ტაოკლარჯული ოთხთავებისა და ბიბლიის სხვა წიგნების ადრეული ტექსტური შრეები. ტაოკლარჯულ ხელნაწერებშია შემონახული ადრეული ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიის და პოლემიკური მწერლობის ნიმუშები, თუმცა, მათი უმეტესობა, გარდა ჰიმნოგრაფიისა, ბევრად უფრო გვიანდელი ეპოქის ხელნაწერებით არის ჩვენამდე მოღწეული.

ტაოკლარჯულმა ხელნაწერებმა შემოინახეს სხვადასხვა დროის მთარგმნელობითი ტრადიციები. ამ ნიშნით ტაოკლარჯულ ხელნაწერებში შესული თარგმანები საკმაო სიჭრელეს აჩვენებს, რის გამოც ძნელია ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული პროდუქციის განხილვა

ერთიანი სალიტერატურო სკოლის ნორმათა ფარგლებში. მაგრამ ის, რაც ტაოკლარჯული ნათარგმნი და ორიგინალური ტექსტებისათის ნიშანდობლივია, ეს არის მდიდარი ლექსიკა, ხშირ შემთხვევაში, დახვეწილი და ძალდაუტანებელი სტილი, აზრის სიცხადე და მონასტრული ასკეზის ესთეტიზაცია.

ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერებში დამუშავებული ქართული სალიტერატურო ენა დაედო საფუძვლად გაერთიანებული ქართული მონარქიის დროინდელ მწერლობას, ოფიციალურ დოკუმენტებს და სამართლებრივ პრაქტიკას; ტაო-კლარჯეთში შემზადდა საქართველოს ეკლესიის საღვთისმსახურო კალენდრისა და რეპერტუარის განახლების იდეა, რომელთა განხორციელებისათვის მიზანმიმართულად იღვწოდა ქართველ ათონელთა რამდენიმე თაობა.

XI-XIII საუკუნეებში ტაო-კლარჯეთი ერთიანი ქართული მონარქიის პერიფერიულ ნაწილად იქცა. ამ პერიოდის ტაოკლარჯულ კერებში შედარებით ნაკლებად ჩანს ორიგინალური ლიტერატურული შემოქმედება, სამაგიეროდ, მიზანმიმართულად მიმდინარეობს ათონური ლიტერატურული პროდუქციის გამრავლების პროცესი. XI საუკუნეში აქ იქმნება სამოქალაქო ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი ძეგლი – სუმბატ დავითის-ძის ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ქრონიკა, რომელიც გაერთიანებულ საქართველოში ბაგრატიონთა მეფობის „ღვთაებრივ ლეგიტიმაციას“ ეძღვნება. ორიგინალური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშია ტბელ აბუსერისძის (XIII ს-ის 30-იანი წწ.) ლიტერატურული თხზულებებიც, რომლებიც ჰიმნოგრაფიის, აგიოგრაფიის და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ჟანრებს განეკუთვნება.

დიდი ტეხილი ტაო-კლარჯეთის კულტურულ ცხოვრებაში იწყება მონღოლთა ბატონობის დროიდან. XIII საუკუნის ბოლო ათეულ წლებში ტაო-კლარჯეთის მხარე სამცხე-საათაბაგოს სამთავროდ გადაიქცა, რომლის დინასტიური მმართველების, ჯაყელების, პოლიტიკურ იდეალად ერთიანი ქართული მონარქიიდან მოწყვეტა და სამთავროს დამოუკიდებლობა გახდა. სწორედ ამიტომ იქმნება აქ კანონთა კრებული – „ბექა-აღბუღას სამართალი“. მართალია, იგი ადგილობრივი მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ, რამდენადაც თავისი შედგენილობით და შინაარსით თანადროული საქართველოს სოციალურ სტრუქტურებს და სამართლებრივ ცხოვრებას შეესაბამებოდა, ამიტომ იგი დიდხანს გამოიყენებოდა საქართველოს ყოველ კუთხეში.

სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ მისწრაფებებს შესანიშნავად გამოხატავს ამ მხარესთნ დაკავშირებული XIV-XVI საუკუნეების იურიდიული დოკუმენტები – ე.წ. მღვდელმთავართა ფიცის წიგნები, რომელთა ადრესატები ქართლის კათალიკოსები არიან. რაც შეეხება სხვა – საეკლესიო ან სამოქალაქო მწერლობას, ამ დარგებში სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია. აქ ძირითადად ხდებოდა ძველი ლიტურგიკული ტექსტების გადანუსხვა-გამრავლება, მაგრამ ის, რითაც ამ ხელნაწერებს ფასდაუდებელი ისტორიული წყაროების ღირებულება შემორჩათ, – ეს არის მათ არშიებზე უხვად გაბნეული სულთა მოსახსენებლები და საგვარეულო ქრონიკული ჩანაწერები, რომლებიც ფაქტოლოგიურ, ქრონოლოგიურ და დემოგრაფიულ ცნობებს გვაწვდიან მხარის ისტორიული ცხოვრების შესახებ.

INTRODUCTION

The historical part of Georgia named Tao-Klarjeti in scholarly literature, in fact refers to the vast territory, situated in South West of historical Georgia. From the end of the 16th century, Tao-Klarjeti became a part of the Ottoman Empire. In 70s and 80s of the 19th c., Georgian and foreign scholars (D. Bakradze, G. Kazbegi. P.Uvarova, A. Pavlinov) first visited and described Tao-Klarjeti. Results of scientific expeditions, set up by Nicholas Marr and Ekvtime Takaishvili in the first decades of the 20th c., are usually regarded as particularly important; there are diaries, geographical and ethnographic researches, observations and records. Together with rich photographic material, sketches of architectural monuments and epigraphic inscriptions, they are considered as a first authentic source in the study of Tao-Klarjeti[1]. Based on these rich materials, in the 20th c., when Georgian scholars had no possibility to visit this region, some very important conclusions on spread of Tao-Klarjeti construction forms in the medieval Georgian architecture were made[2]. Typological aspects of Tao-Klarjeti architecture have been examined in the works of foreign scholars[3].

In the last decades, the study of South West of historical Georgia developed into very important projects. A number of Georgian, European and Turkish scholars – architects, art historians, historians, philologists, linguists, ethnologists - are actively involved in this process. Results of their studies are published as articles, various scholarly collections and proceedings of the international scholarly conferences dedicated to Tao-Klarjeti[4].

But a deep and complete understanding of the importance of Tao-Klarjeti in the development of the medieval Georgian culture seems impossible without taking into consideration the manuscript heritage of this region. It reflects the most important stage in the development of Christian literature in Georgian language which logically prepared the ground for the transition to the following and higher one, i.e. the literary school of Athos. Manuscript books written in Tao-Klarjeti are material examples of this heritage. It is no exaggeration that their discovery and rescue are closely related with

---

[1] N. Marr, Diaries of the Journey to Shavsheti and Klarjeti, in Giorgi Merchule, The Life of St. Grigol of Khandzta, Georgian Text. Introduction, edition and translation by N. Marr. Texts and Reserches in Armenian and Georgian Philology, vol. VII. St. Petersbourg, 1911; for Materials on archeological expedition of E.Takaishvili in the South Georgia in 1907 and 1917 see: E. Takaishvili, Works I, edited by R. Metreveli, Tbilisi, 2016.

[2] G. Chubinashvili, N. Severov, The Ways of Georgian Architecture, Tiflis, 1936; V. Beridze, Tao-Klarjeti Architecture, Tbilisi, 1981; P. Zakaraia, Architecture of Tao-Klarjeti, Tbilisi, 1990.

[3] We would like to indicate a very important work by V.Djobadze, Georgian Monasteries in Tao, Klarjeti and Ṡavṡeti, Stuttgart, 1992; its Georgian translation: ადრეული შუასაუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბილისი, 2006. A full bibliography on architecture of Tao-Klarjeti by foreign scholars is given in: D. Khoshtaria, Churches and Monasteries of Klarjeti, Artanuji Publisher, Tbilisi, 2005.

[4] Five international Conferences "Tao-Klarjeti" have been held by the initiative of the National Centre of Manuscripts and Ilia State University, see: Abstracts of Papers of Conference (2010, 2012, 2014, 2016); The catalogue "Tao-Klarjeti. Historical and Cultural Monuments (manuscripts and historical monuments)" was published in 2017, head of the project and editor B. Kudava. The catalogue contains an extensive bibliography, pp.529-591.

efforts of Georgian public figures and scholars who were involved in the foundation of museums in the second half of the 19th c. and in the first decade of the 20th c. in all over the country[5]. In the same period, the books of the Bible, liturgical, patristic and didactic miscellaneous have been found among the most precious manuscripts of Tao-Klarjeti. The so called Shatberdi recension of the "Conversion of Kartli" - one of most ancient and important manuscripts of the national historiography which was first published by E.Takaishvili, also belonged to a number of manuscripts, created in Tao-Klarjeti[6].

Due to the manuscripts copied in Tao-Klarjeti, wide range of scholars became familiar with the monasteries and their intensive cultural and literary activities, including copying and recopying of manuscripts. Their knowledge was significantly enriched after N. Marr published the "Life of Grigol of Khandzta" by Giorgi Merchule, together with the diaries of his personal journey to Shavsheti and Klarjeti. Familiarization with this multidisciplinary work clearly revealed the importance of Tao-Klarjeti in the history of Georgian culture and the same time it opened up new perspective in the study of Tao-Klarjeti. It is noteworthy that "The Life of Grigol of Khandzta" is not reached to us in its original version, i.e. in Tao-Klarjeti manuscripts[7]. Likewise, other important texts of the original hagiography, such as "The life of Serapion of Zarzma" and " The Martyrdom of Gobron". These texts are known due to the manuscripts of the 17th -18th centuries (A-69, A-139).

In the first part of the 20th century, the manuscripts written in Tao-Klarjeti were examined as a source for political history and religious life, as well as a stage, reflecting the history of Georgian language and literature. Fundamental works were dedicated to the hagiographic and polemical literature[8], miscellaneous of works in hymnography[9] and books of the Bible[10], written in Tao-Klarjeti. Soon after that foreign scholars paid close attention to these manuscripts[11].

---

[5] We intend collections of Georgian manuscripts collected by the Society for the Spreading of Literacy among Georgians (1879), Ecclesiastic Museum (1889) and Georgian Society for History and Ethnography (1907) which nowadays are kept in the National Centre of Manuscripts.

[6] E. Takaishvili, Three historical Chronicles, Tiflis, 1890.

[7] The Life of Grigol of Khandzta was found in the manuscripts of the Monastery of the Cross (Jer.2) by N. Chubinashvili, in 1889. In 1902 N. Marr was sent to the library of the Greek Patriarchy in Jerusalem by the Imperial Russian Orthodox Palestine Society; he studied and prepared for publication the text of the Life of Grigol of Khandzta.

[8] Iv. Javakhishvili, Old Georgian Historical Literature, vol. VIII, Tbilisi, 1977, pp.92-141; K. Kekelidze, History of the Old Georgian Literature, I, Tbilisi, 1980, pp.134-162, 170-178.

[9] P. Ingorokva, Giorgi Merchule, Tbilisi, 1954; P.Ingorokva, Old Georgian Poetry, Works, 3, Tbilisi, 1963.

[10] A.Shanidze, Two Old Recensions of Georgian Four Gospels According to Three Manuscripts from Shatberdi, Monuments of Old Georgian Language (series), 2,Tbilisi, 1945; A. Shanidze, Books of the Old testaments, I, part I-II, Tbilisi, 1947-1948; S. Kaukhchishvili, Grecisms in the Adishi Four Gospels, ENIMKI moambe, IV, Tbilisi, 1944; Iv. Imnaishvili, The Adishi Four Gospels from Recension Viewpoint, Works of TSU, 28, Tbilisi, 1946; E.Dochanashvili, Materials for the Origin of the Adishi Four Gospels, Materials for the history of Georgia and Caucasus, part 32, 1955.

[11] The Old Georgian version of the Cospel of Mark, From the Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet Gospels, Edited with a Latin translation by Robert P. Blake, Patrologia Orientalis, t. XX, fasc 3. Paris. 1928; R. P. Blake: The Old Georgian version of the Gospel of Mathew, From the Adysh Gospels, Patrologia Orientalis, t. XXIV: fasc1, 1933; Robert P. Blake, La Version géorgienne ancienne de l'Evangile de Luk, d'après les évangiles d'Adysh avec les variantes des évangiles d'Opiza et de Tbet. Ed. Avec une trad. Latin par Maurice Brière. Patrologia Orientallis.t.XXVII, fasc.3; P

High scholarly standards for description of manuscripts and critical editions of texts, introduced in the newly established Institute of Manuscripts (1958, currently the Georgian National Centre of Manuscripts) furthered a deep and systemic research of Tao-Klarjeti literary traditions. These standards enabled scholars to obtain information on archaeography and textology of the manuscripts, as well as on their thematic composition and genre peculiarities.

From this period, special attention had been paid to the publications, textological and linguistic study[12] of the Bible books, copied in Tao-Klarjeti, such as: Old Testament books, Four Gospels, Books of Psalms. Miscellaneous of didactic and liturgical works have been published[13]; scholars paid close attention to a very specific genre which repeatedly appeared in Tao-Klarjeti texts – apocryphal compositions[14].

From the outset, translations of archaic and early Byzantine recensions were revealed due to the study of Tao-Klarjeti literary heritage. These texts drew strong interests of foreign scholars in Byzantine and oriental studies. Their special researches are dedicated to the Bible books, as well as to the typology of miscellaneous, translations, genres (apocrypha, exegetics) and etc.[15]

Simultaneously, the scholars examined issues dedicated to the history of Georgian cultural and educational centres; due to these researches, literary activities of Tao-Klarjeti cultural centres and the importance of cultural relationships with the centres of Christian East and Byzantine Empire were revealed[16].

The artistic and esthetic image of Tao-Klarjeti manuscripts, alongside with their textual and content structure, is a reflection of the contemporary social and cultural context. For this reason, the scholars focused their attention over Tao-Klarjeti codices, as a complex cultural phenomenon with its proper technology of manuscript making, codicological and paleographic properties, rules of their

---

aris,1955.

[12] M.Shanidze, Old Georgian Recensions of the Psalter, on the basis of the 10th-13th cc. manuscripts, Tbilisi, 1960; Molitor J. Synopsis latina Evangeliorum ibericorum antiquissimorum secundum Mattaeum, Marcum, Lucum. Desumptae codicibus Adiysh, Odiza, Tbeth. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, t.24, Louvain, 1965. The Adishi Four Gospels, prepared for publication and vocabulary by E. Giunashvili, D,Tvaltvadze, M.Machkhaneli, Z.Sarjveladze e S. Sarjveladze, Tbilisi, 2003.

[13] The Shatberdi Collection of the 10th c. prepared for publication by B.Gigineishvili and El.Giunashvili, Tbilisi, 1979; The Klarjeti Polycephalon, prepared for publication by T.Mgaloblishvili, Tbilisi, 1991.

[14] N.Tchikvadze, Une traduction géorgienne d'un original perdu: L'histoire de l'église de Lydda. Appocriphe, 1997, 8. Brepols. pp. 171-179; N. Chkhikvadze, Apocrypha on the Foundation of the Church of Lydda by Joseph of Arimathea, Collection of philological and historical Works, Tbilisi, 1997, pp.60-66; N. Chkhikvadze, Apocrypha a Hidden Secret, Mravaltavi, philological and historical researches, XXI, Tbilisi, 2005, pp.80-87.

[15] Hippoliyte de Rome. Sur les bénédictions d'Isaac, de Jacob et de Moise, ed. Maurice Brière, Louis Mariès et B. Ch. Mercièr, Patrologia Orientalis. T.XXVII, favt. 1-2, Paris 1954; Esbroeck M. van, Les plus anciens homeliaires géorgiens. Louvin-La-Neuve, 1975; Voicu S.J. Histoire de l'enfance de Jesus, Introduction: Écrits apocryphes chretiens,I, Édition publié sous la direction de Francois Bovon et Pierre Geolrain, index établis par Sever J. Voicu, Gallimard, 1997,191-193.

[16] K. Kekelidze, History of Old Georgian Literature, Tbilisi, 1980, I, p. 97.

artistic decorations[17] . From this point of view, manuscript books of Tao-Klarjeti are in complete harmony with an ascendant line of cultural development of this province in which paradoxically were fused open and hidden controversy against the Byzantine Empire and needs and requirements of learning and assimilation of its culture.

Notwithstanding the complex and scrupulous scholarly researches, the study of Tao-Klarjeti manuscripts is far from its completion. First and foremost, the interest is conditioned by: rich literary materials kept in Tao-Klarjeti manuscripts; accumulation of new knowledge of political context which determined cultural progress of Tao-Klarjeti; deeper understanding of the role of Tao-Klarjeti monasteries in the development of manuscript culture; definition of their symbolic essence in the cultural of feudal aristocracy.

For this reason, every new generation of scholars, once again returns to the problems of Tao-Klarjeti manuscript heritage with revised conclusions of previous researches and new interpretation of old problems and argumentations.

Taking into consideration the cultural progress of Tao-Klarjeti, the most fruitful period is 9th-11th cc. For this reason, the greater part of the present work is dedicated to the literature of this period. Withal the book deals with the manuscript heritage of the following period (until 17th c.) i.e. the manuscripts of Samtskhe-Saatabago principality. The later period manuscripts cannot be compared with the previous ones neither by their creative impulses, nor by composition and artistic appearance. Though the manuscript heritage of the later centuries (juridical texts, commemorations, agapes, donation records, historical comments and annotations, "Chronicles of Meskheti" contain extremely interesting information on political and religious history of this region which are exceptionally important for the study of social processes.

The acquaintance with entirely manuscript heritage of Tao-Klarjeti, will be of benefit to readers, it will help them in better understanding of history of this region and comprehension of civilization factors which determined the cultural ascension and later downfall of this part of Georgia.

[17] Р. Шмерлинг, Художествнное оформление грузинской рукописной книги IX-X столетий. II, Тбилиси, 1979.

MANUSCRIPT HERITAGE OF TAO-KLARJETI

Contemporary scholarly experience of Georgian manuscript study enables us to characterize at least main tendencies of literacy traditions in Tao-Klarjeti. The total number of Tao-Klarjeti origin manuscripts, revealed so far is approximately 70[18]. At first sight, they are not numerous in comparison with Sinai and Jerusalem collections[19], but from the viewpoint of Georgian literacy formation, it deserves special attention. Essential traditions, born in the scriptoriums of Tao-Klarjeti from the moment of their creation, leaded the Georgian literacy culture to the formation of artistically sophisticated and flawless codices of the classical period (11th-13th cc). Though, we cannot consider all manuscripts created in Tao-Klarjeti as specimens of the most important stages of literary tradition. From this viewpoint, the manuscript books of the 9th-10th centuries are absolutely distinguished as they completely reflect literary and artistic processes, as well as styles of book decorations which were spread in the Tao-Klarjeti monasteries. Based on thematic diversities, variety of literary sources, and translation methods, we can claim that the monasteries of Tao-Klarjeti, likewise the cultural centres of other Eastern Christians, were mainly nourished by Jerusalem literary traditions, but the same time, the vector of their development were directed to West (Constantinople, Athos). In this period, excellent compositions of the original hagiography and hymnography were written in the monasteries of Tao-Klarjeti, that had a crucial importance in the history of Georgian religious literature.

In the 11th century, the scriptoriums of Tao-Klarjeti are no more in the vanguard, but they are actively involved in copying of new recensions of old translations made in the literary school of Athos or newly translated books (for instance: Ignatius the Monk). This was a participation in the long and complicated process of refreshment of Georgian liturgy, caused by the transition to the Constantinopolitan practice[20]. The foundation for the irreversible development of this process was laid down in the political and cultural life of Tao-Klarjeti.

In the 12th-13th centuries, the knowledge of Gelati Academy was spread among the elite of Tao-Klarjeti (Abuseridze Tbeli), like in whole Georgia. This knowledge was a great cultural achievement of the united Georgian state.

From the end of the 13th century until the end of the 16th c., historical Tao-Klarjeti was a territory of Samtskhe-Saatabago principality. In this period, only a restricted number of resembling manuscripts were copied; only some Gospels, Synaxarions, and books of Psalms, necessary for liturgy, have

